

ი. ღოღიაძე

ქველი აღმოსავლეთის სამეურთაღი

სტალინის სახელოგის
თბილისის სახელოფიფო უნივერსიტეტის
გამომცემლოგა

თბილისი — 1960

რედაქტორი პრფ. ბ. მელიძისვილი

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

«მეველი აღმოსავლეთის სამართალი» შეადგენს ნაწილს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსისას, რომელიც იკითხება ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. წიგნს სასწავლო დანიშნულება აქვს. იგი განკუთვნილია სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ მკვლეი აღმოსავლეთის სამართლის ისტორიის შესწავლისათვის.

აღმოსავლეთი წარმოადგენდა ცივილიზაციის უძველეს კერას, სადაც შეიქმნა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ძეგლები მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სამართლისა და ადამიანთა სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში.

ქართველი მკვლევრისა და მკითხველისათვის მეველი აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ურარტულ, ხურიტულ, ხეთურ და სხვა მოდგმის ტომებს ახლო მეზობლობა და ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ტომებთან. მუშქებისა და ტაბალების ქართველმა ტომებმა ხეთური კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. აღმოსავლეთის ტომთა გარკვეული ნაწილი გაითქვიფა ქართველ ტომებში და ერთგვარი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ენასა და კულტურაში. საფიქრებელია, რომ აღმოსავლური სამართლის ინსტიტუტების შორეული კვალი ერთგვარ ანარეკლს ჰპოვებდა მკვლქართულ იურიდიულ აზროვნებასა და ჰრაქტიკაშიც, მაგრამ ამ მოსაზრების გამაგრებას სპეციალური კვლევა-ძიება სჭირდება.

XX საუკუნის დასაწყისამდე სამართლის ისტორიას ჩვეულებრივად იწყებდნენ მეველი საბერძნეთის სამართლის ისტორიის, უმთავრესად კი რომის სამართლის ისტორიისა და სისტემის საკითხების განხილვა-გადმოცემით. აღმოსავლეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა ცივილიზაციის ისტორიას შესძინა უაღრესად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლები და კერძოფლებრივი აქტები, რომლებიც მკირფას მასალას შეადგენს სამართლის უძველესი ისტორიისათვის. ამიერიდან მკვლეი აღმოსავლეთის სამართლის ისტორია აღიარებულ იქნა სამართლის ისტორიის საწყის ჰერიოდად.

მკვლეი აღმოსავლეთის ქვეყნების წრე ბუერ ხალხსა და სახელმწიფოს მოიცავს. წინამდებარე წიგნში მოცემულია მხოლოდ სამი ქვეყნის—

ბაბილონის, ასირიისა და სეოების სამეფოს კანონმდებლობა, რომელთაცან ჩვენი შესწავლისა და განხილვის საგანს შეადგენს მარტოდეს მკვლი ბაბილონის სამართალი, უმთავრესად კი სამურაბის კანონები, რომლებიც მკვლი აღმოსავლეთის მონათმფლობელური სამართლის კლასიკური საკანონმდებლო ძეგლია, მასში დანახონებულთა კლასობრივი ჩაგვრისა და ბატონობის ურთიერთობანი, სოციალური და უფლებრივი უთანასწორობის პრინციპები, მონათმფლობელთა სრულუფლებიანობა და მონათა უუფლებობა.

ცნობილია, რომ საკანონმდებლო ძეგლებს პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ ურთიერთობათა შესწავლისათვის. ამ თვალსაზრისით მკვლი აღმოსავლეთის საკანონმდებლო ძეგლების შესწავლა და კვლევა-ძიება შეიძლება წარიმართოს ისტორიული, ეკონომიური, სოციოლოგიური, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი და კულტურული ურთიერთობის ხაზით. წიგნის სასწავლო დანიშნულებას გამო ეს კანონები ჩვენ გვანტერესებს პირველ რიგში როგორც იურიდიული ძეგლები. ამიტომ შრომას უმთავრესად სამართლის ცალკეული დარგების სისტემატური მიმოხილვის ხასიათი აქვს. სოციალური წყობილების საკითხებისადმი მიძღვნილია შრომის მხოლოდ მეორე თავი.

მარქსისტულ-ლენინური საისტორიო მეცნიერების და, მაშასადამე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნა ის არის, რომ საზოგადოების ისტორიის სქემები, განზოგადებანი და დასკვნები დაფუძნებული უნდა იყოს კონკრეტული საისტორიო მასალის შესწავლაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში უოველგვარი დასკვნა და განზოგადება მოკლებული იქნება მეცნიერულ საფუძველს. საკანონმდებლო მასალის კონკრეტული ანალიზი კი ზოგჯერ მშრალი და მოსაწყენია, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია საზოგადოების ისტორიის ნამდვილი სურათის აღსადგენად.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ძირითადი საკითხების ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული ინსტიტუტების თავდაპირველი ბუნება, მათი ისტორიული განვითარება და ცვალებადობა. წლების განმავლობაში სამართლის ზოგადი ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე მუშაობამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა იმაში, რომ ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლა-დამუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლის ზოგადი ისტორიის მონაცემებიც.

წინამდებარე წიგნი ორ ნაწილად იყოფა.

პირველი ნაწილი მიძღვნილია ქველბაბილონური სამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების დასასიათებისადმი. პირველ თავში განხილულია ქველბაბილონური სამართლის წყაროები და სისტემა, მოცემულია ადათის, კანონის, სასამართლო პრაქტიკის, კერძოუფლებრივი აქტების, მეფეთა წერილებისა და ბრძანებულებების, როგორც სამართლის ძირითადი წყაროების, მოკლე მიმოხილვა, მოსახლეობის ქველბაბილონური სამართლის სისტემა სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით და აღნიშნულია ქველბაბილონური სამართლის ძეგლების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. შრომის მეორე თავი ეხება ქველი ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დასასიათებას: განხილულია მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების (აკველუმები, მუშქენუმები, ვარდუმები, თაშქრები, ქურუმები, მსედრები) საზოგადოებრივი და უფლებრივი მდგომარეობა. მესამე თავში გაშუქებულია ბაბილონის საოჯახო და მეძვიდროების სამართლის ძირითადი ინსტიტუტები. შრომის მეოთხე და მეხუთე თავებში გადმოცემულია სისხლის სამართლის, სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების უმნიშვნელოვანესი საკითხები. სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები ცალკე თავად არ არის გამოყოფილი, მათ შესახებ შრომაში ნათქვამია მხოლოდ გაკვრით.

წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია ქველი ბაბილონის, ასირიისა და ხეთების კანონთა ტექსტების ქართული თარგმანი მოკლე ლექსიკონითა და საძიებლებით. შრომას დართული აქვს ქველბაბილონური სამართლის ძირითადი ლიტერატურა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე.

მიუხედავად ზოგიერთი სარკვევისა, ვფიქრობ, რომ ეს წიგნი და მასში წარმოდგენილი საკანონმდებლო მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს აგრეთვე უნივერსიტეტისა და ჰედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებსაც და, საერთოდ, ქველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირთ.

სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი მაღლობა მოვასხენო წიგნის რედაქტორს პროფ. გ. მელიქიშვილს, რომლის საგულისხმო შენიშვნები გავითვალისწინე ამ შრომაში.

ქველგაბილონური სამართლის წყაროები და სისტემა

I სამართლის წყაროები

1. ადათი. შუამდინარეთის სამართლის უძველეს წყაროს ადათი წარმოადგენდა. ადათობრივი ნორმები წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს. ისინი წარმოადგენენ ქვევის საერთო წესს, რომელიც დამკვიდრდა ამა თუ იმ გვარში ან თემში ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. ქვევის საერთო წესები მრავალნაირი იყო, ასეთი წეს-ჩვეულებებით წესრიგდებოდა ადამიანთა ურთიერთობა შუამდინარეთში გვაროვნული წყობილების დროს. მაგრამ ამ წესების, ანუ ადათების გამოყენება ემყარებოდა არა სახელმწიფო აპარატის ძალას, რომელიც იმ დროს არ არსებობდა, არამედ გვარის ან თემის საზოგადოებრივ ხელისუფლების ავტორიტეტს და მისდამი პატივისცემას.

როცა შუამდინარეთში კერძო საკუთრება გაჩნდა, კლასები ჩამოყალიბდა, სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა, გვაროვნული წყობილების ადათობრივი ნორმები შეცვალა ადათობრივმა სამართალმა, რომელიც მოქმედობდა დაწერილი სამართლის პარალელურად და გამოხატავდა არა მთელი საზოგადოების, არამედ მისი მხოლოდ ერთი, გაბატონებული ნაწილის ნება-სურვილსა და ინტერესებს. ამავე დროს ძველი გვაროვნული ადათები ერთბაშად არ გამქრალა. ადათობრივი ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებული იქნა ახალი, კლასობრივი შინაარსით, მონათმფლობელთა კლასის ინტერესების შესაბამისად.

უძველესი ცნობები ადათობრივი სამართლის ნორმების შესახებ დაცულია ქ. ლაგაშის პატესიის ურუკაგინას რეფორმებში, რომელთა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია არა პირვანდელი, არამედ მხოლოდ შემდგომი გადმოცემის სახით. რეფორმებში აღბეჭდილია ძველი ადათების ახალი ადათებით შეცვლის ცდა, თემის წარჩინებუ-

ლი ზედაფენის ბრძოლა თემის რიგითი წევრების წინააღმდეგ სათემო მიწების მიტაცების მიზნით. თემის გამდიდრებული დიდკაცობა ეუფლება თემის საკუთრებას, აუქმებს ძველ ადათებს, კონტროლსა და ზედამხედველობას აწესებს სათემო საკუთრების ობიექტებზე: «ხომალდს მიუჩინეს ხომალდის ზედამხედველი. სახედრებს მიუჩინეს მწყემსების ზედამხედველი, ცხვრებს მიუჩინეს ფარეხის ზედამხედველი. ბადეებს მიუჩინეს მეზადურთა ზედამხედველი».

თემის თავისუფალი წევრების დაზვევრამ, ფულადი გადასახადების შემოღებამ, სათემო მიწებისა და სხვა ქონების მიტაცებამ გამოიწვია თემის გაღატაკებულ მცხოვრებთა სასტიკი ბრძოლა საზოგადოების ზედაფენის წარჩინებულ წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, რომელსაც ურუკავინა ხელმძღვანელობდა, მდაბიო ხალხის გამარჯვებით დამთავრდა. საზოგადოების ქვედა ფენის გამარჯვებას შედეგად მოჰყვა დიდკაცობის მიერ შემოღებული ახალი წესების გაუქმება და ძველი წესების აღდგენა. თემებსა და ტაძრებს დაუბრუნდათ წარჩინებულთა მიერ მიტაცებული მიწები და ქონება. გაუქმდა კონტროლი და ზედამხედველობა სათემო და სატაძრო მფლობელობის ობიექტებისადმი. ურუკავინამ «ხომალდს მოაშორა ხომალდის ზედამხედველი. სახედრებსა და ცხვრებს მოაშორა მწყემსთა ზედამხედველი. ბადეებს მოაშორა მეზადურთა ზედამხედველი. ქურუმის საგადასახადო მარცვლეულს მოაშორა ბელის უფროსი».

ამ დოკუმენტში, რომელიც საზოგადოების რევოლუციური გადატრიალების უძველეს მატიანეს წარმოადგენს, კარგად ჩანს ბრძოლა ძველ და ახალ ადათებს შორის. აღნიშნული საისტორიო წყარო შეიცავს აგრეთვე სხვა ცნობებსაც ლავაში ძველი ადათების არსებობის შესახებ. დოკუმენტიდან ჩანს, რომ შუმერში იმ დროს არსებობდა პოლიანდრიის, ანუ მრავალქმრდანიობის ადათი, რომელიც საგვარეულო წყობილებიდან მომდინარე ძველი ჩვეულებაა. კანონი სიკვდილით დასჯას (წყალში გადაგდება) უწესებს იმ ქალებს, რომლებიც ამ ჩვეულებას მისდევენ.

მართალია, ძველბაბილონური სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში სისხლის აღების ადათის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ხამურაბის კანონების ზოგიერთ მუხლში გადმონაშთის სახით მაინც შენარჩუნებულია თ ვ ი თ გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა. დაზარალებული პირი თვითონ უსწორდება დამნაშავეს სასამართლოს ჯარეშე (მუხ. 21, 25, 129), თუმცა აღნიშნული მუხლები შურისძიების უფლებას არ აკანონებენ.

ადათობრივი სამართლის სფეროდანაა შეტანილი ხამურაბის კოდექსში კოლეტიური პასუხისმგებლობის პრინციპი. თუ ბოროტმოქმედი შეპყრობილი არ იქნება, თემი პასუხს აგებს მის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის გამო. შეილების პასუხისმგებლობა მშობლების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის და აგრეთვე ოჯახის პასუხისმგებლობა ნაპოვნი ნივთის გაყიდვისათვის ძველი ადათ-ჩვეულებების გადმონაშთია ხამურაბის კანონებში.

ადათობრივი სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენს აგრეთვე თემიდან ან ოჯახიდან დამნაშავეის გაძევება; სასჯელის ამ სახეს იცნობს როგორც შუმერული, ისე ხამურაბის კანონებიც. ტალიონის პრინციპიც — თუ ალი თუ ალისა წილ, კბილი კბილისა წილ» ძველი ჩვეულების გადმონაშთია სამართლის წიგნში. მას კანონმდებელი იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეცა და დაზარალებულიც აველუმები — ბაბილონის საზოგადოების თავისუფალი და სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან.

ძველბაბილონური სამართალი იცნობს გამაწბილებელ სასჯელებს სხვადასხვა სახეს (თმის, წვერის, საფეთქლების გაპარსვას, დაღის დასმას, თავზე ფისის დასმასა და სხვ.). სასჯელთა ეს სახეები და მათი შეფარდების წესი ძველი ადათ-ჩვეულებების სფეროდან არის ნასესხები კანონმდებლობის მიერ.

სისხლის დაურევება, ანუ კომპოზიციების სისტემა, რომელსაც ფართოდ იყენებს ძველბაბილონური სამართალი როგორც შუმერული, ისე კლასიკური პერიოდის კანონმდებლობაში, ადათობრივი სამართლის ინსტიტუტია. სისხლის აღების ადათი შეცვალა სისხლის დაურევების ადათმა, რომელიც ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულისათვის ფულადი ან ქონებრივი საზღაურის გადახდას.

ძველი ადათ-ჩვეულებები გამოყენებულია არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის დარგებშიც. ვალდებულებითი სამართლისათვის, უმთავრესად სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის, დამახასიათებელი იყო კანონით გათვალისწინებული წესებისა და ფორმების დაცვა. ხელშეკრულების წერილობითი ფორმა აუცილებელი პირობა იყო გარიგების ნამდვილობისათვის. ხელშეკრულებას ამაგრებდნენ ფიცით, რომელიც სრულდებოდა დადგენილი ფორმულის მიხედვით. სამართლის ფორმალიზმი იმითაც გამოიხატებოდა, რომ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს გარიგე-

ბათა დადება მოწმეთა დასწრებით უნდა მომხდარიყო. «უმოწმე-
ზოდა დადებული ზოგიერთი ხელშეკრულება ბათილად ითვლება,
იგი არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებას ხელშეკრულების მონა-
წილე მხარისათვის.

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ინსტიტუტებშიც მრავ-
ლად მოიპოვება ადათობრივი სამართლის ნორმები. სასძლოს
მოტაცების ჩვეულება, რომელსაც შემერული კანონები
იცნობს, ძველი ადათის დაკანონებას წარმოადგენს. წერილობითი
ხელშეკრულება, როგორც ქორწინების აუცილებელი პირობა, ჩვე-
ულებითი სამართლის წესია, რომელიც ძველი ბაბილონის საკანონ-
მდებლო ძეგლებში დამკვიდრდა.

ადათობრივი სამართლის ინსტიტუტებს წარმოადგენენ აგრეთვე
ბიბლუმი, ანუ საქორწინო საჩუქარი, თერხათუმი — სასძ-
ლოს გამოსასყიდი თანხა, ანუ საქორწინო გამოსასყიდი, შერიკ-
თუმი, ანუ მზითვი, რომელიც სასძლოს ეძლეოდა თავისი მამისა-
გან და ნუდუნი, ანუ ქვრივობის წილი, რომელსაც ქმარი გა-
დასცემდა ცოლს უზრუნველყოფისათვის თავისი გარდაცვალების
შემთხვევაში. ადათობრივი სამართლის ბევრი სხვა ნორმა შემორჩე-
ნილია აგრეთვე დაქორწინების, განქორწინებისა და მემკვიდრეობის
წესებშიც.

ბევრი ძველი ადათი დაკანონებულია საპროცესო სამართლის
ნორმებშიც. ძირითად დამამტკიცებელ საბუთებად სასამართლო წარ-
ბობებაში, გარდა წერილობითი დოკუმენტებისა და მოწმეთა ჩვენე-
ბისა, მიღებული იყო ფიცი და ორდალი, ანუ სასამართლო
გამოცდა. ფიცი და ორდალი მიეკუთვნება ე. წ. «ღვთის მსჯავრის»
დამამტკიცებელი საბუთების სისტემას და მთლიანად ფესვგადგმუ-
ლია ქველბაბილონელთა რელიგიური წარმოდგენებსა და სასა-
მართლო პრაქტიკაში. ბევრი რელიგიური წეს-ჩვეულება ამასთანავე
წარმოადგენდა ადათობრივი სამართლის ნორმებს, რომელთაც სა-
სამართლო პროცესში კანონის ძალა ჰქონდათ.

სხვა ადათების გამოყენებაზეც შეიძლებოდა მიგვეითებინა სა-
კანონმდებლო ძეგლებში, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმისა-
თვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ადათის როლზე სამართლის სხვა
წყაროებს შორის. თანაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ხა-
მურების კანონმდებლობა არ ისახავდა მიზნად მთელი ადათობრივი
სამართლის დაწერილი სამართლით შეცვლას. ეს შეუძლებელიც
იყო. ადათობრივი სამართალი მოქმედობდა კანონთა პარალელურად,

ავსებდა კანონმდებლობის ხარვეზებს და, მაშასადამე, ითვლებოდა ძველბაბილონური სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.

ამრიგად, ძველბაბილონური სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ადათი, რომელიც მრავალგვარი სახით ფართოდ იყო გამოყენებული სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო და საპროცესო სამართლის დარგებში.

2. კანონმდებლობა. ძველბაბილონური სამართლის მეორე წყაროს კანონმდებლობა შეადგენდა. ჩვენამდე არ მოუღწევია შუამდინარეთის კანონმდებლობის უძველეს ნიმუშებს, რომლებიც შედგენილი იყო, ალბათ, III ათასეულის დასაწყისში, მაგრამ ის კი ექვს გარეშეა, რომ უკვე ურუკაგინას დროს ქ. ლაგაში მოქმედობდა დაწერილი სამართალი. ეს სჩანს თვით ურუკაგინას სიტყვებიდანაც იმის შესახებ, რომ «მან აღადგინა წინანდელი წესები».

ძველი კანონმდებლობის არსებობაზე მიუთითებს აგრეთვე აქადის, ურის, ისინის და ურუქის მეფეთა არაპირდაპირი ცნობები. აქადის მეფე ს ა რ გ ა ნ ი თავის თავს უწოდებს «სამართლიანობის მეფეს, მას ვინც ქმნის სამართალს». ასეთივე ხასიათის განცხადებას ვხვდებით აგრეთვე ურის მეფის უ რ ე ნ გ უ რ ი ს სიტყვებში იმის შესახებ, რომ «შამაშის სამართლიანი კანონების შესაბამისად მან დაამკვიდრა მართლმსაჯულება». ისინის მეფე ს ი ნ-ი დ ი ნ ა მ ი თავის თავს უწოდებს მთავარს, «რომელმაც აღადგინა ანუნაქების წესები და კანონები». ურუქის მეფე ს ი ნ-გ ა შ ი დ ი აღნიშნავს, რომ მან დააწესა ყოველდღიური ცხოვრების საერთო მოხმარების საგნების (ხორბალი, ზეთი, მატყლი და სხვ.) მაქსიმალური ფასების ძველი ტარიფები.

ა) **შ უ მ ე რ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი.** რაც შეეხება შუამდინარეთის ე. წ. შუმერულ პერიოდს (XXIII—XXI საუკ.), ჩვენ შუმერული კანონების ფრაგმენტებისა და საოჯახო კანონების სახით მოგვეპოვება უტყუარი საბუთი იმისა, რომ იმ დროს არსებობდა არა მარტო დაწერილი ნორმები ცალკეული კანონის სახით, არამედ კანონთა კრებულებიც, რომლებიც აწესრიგებდნენ მრავალფეროვან სამართლებრივ ურთიერთობებს. ამას ამტკიცებს აგრეთვე ისინის მეფის ლიფიტ-იშთარისა და ეშუნის მეფის ბილალამის კანონების ჩვენამდე მოღწეული ტექსტები.

ბ) **ლი ფ ი ტ-ი შ თ ა რ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი.** თავისი კანონების შესავალში ლიფიტ-იშთარი აღნიშნავს, რომ ღიდმა ა ნ უ მ — ღმერთთა მამამ და. ე ნ ლ ი ღ მ ა — ყველა ქვეყნის მეუფემ და ბედ-იღბლის გამომწყვეტმა ჯუბოძეს მას მეფობა შუმერსა და აქადზე ისინში... და

კეთილი მართვა-გამგეობა». სჯულმდებელი მეფე მიუთითებს, რომ იგი «მოწოდებულია სამართლის დასადგენად ქვეყანაში, ადამიანთა პირიდან საჩივრის განსადგენად», რომ მე, «ისინის მეფემ, შუმერისა და აქადის მეფემ... ენლილის სიტყვით და ვ ა დ გ ი ნ ე ს ა მ ა რ თ ა ლ ი შუმერსა და აქადშიო».

ლიფიტ-იშთარმა რომ კანონთა კრებული შეადგინა, ეს აშკარად დასტურდება აგრეთვე იმ დასკვნიდან, რომელიც მის კანონებს დართული აქვს ბოლოში. აქ ლიფიტ-იშთარი აღნიშნავს, რომ მან მისცა «საშუალება შუმერსა: და აქადს დაიცვან სწორი მართლმსაჯულება», რომ «ამ კანონებით... ქეშმარიტება და სამართლიანობა მე გავხადე ბრწყინავიო». ბოლოსიტყვაობიდან კარგად ჩანს, რომ კანონთა ტექსტი, ისე როგორც ხამურაბის კანონები, დაწერილი ყოფილა ქვის ძეგლზე. კანონმდებელი საშინელი წყევლა-კრულვით ემუქრება მას, «ვინც ძეგლის მიმართ ჩაიდენს ბოროტ საქმეს, ვინც მოსპობს ჩემს ნაღვას, ვინც საგანძურში შევა და მოხსნის ძეგლს მისი საძირკვილიდან, ვინც წაშლის ჩემს წარწერილ სახელს და წააწერს თავის სახელსო». ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ლიფიტ-იშთარს შეუდგენია კანონთა კრებული, ანუ ძეგლი, რომელიც დადგმული ყოფილა საძირკველზე სპეციალურ შენობაში, ანუ «საგანძურში». დამახასიათებელია, რომ ასეთივე შინაარსის სიტყვებია ხამურაბის კანონთა კრებულის ბოლოშიც, სადაც სჯულმდებელი მეფე წყევლა-კრულვას უწესებს მას, ვინც «პატივს არ სცემს ჩემს ძეგლზე დაწერილ ჩემს სიტყვებს..., დაამახინჯებს ჩემს სიტყვებს, შეცვლის ჩემს სჯულდებას, ამოფხეკს ჩემს წარწერილ სახელს და ჩაწერს თავისასო». როგორც ლიფიტ-იშთარის, ისე ხამურაბის კანონებში სიტყვა «ძეგლი» გულისხმობს სჯულდებას ანუ ძეგლისდებას, კანონთა კრებულს, რომლის ტექსტი ამოკვეთილი იყო ქვის ძეგლზე და ინახებოდა კანონთა სპეციალურ საგანძურში.

ლიფიტ-იშთარის კანონთა ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ასირიოლოგმა ფ. სტილმა 1947 წელს ამერიკულ არქეოლოგიურ ჟურნალში¹. ეს კანონები წარმოადგენს ძველი შუმერული სამართლის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს.

ა) ბ ი ლ ა ლ ა მ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი. მკვლევართა აზრით ლიფიტ-იშთარის კანონებზე უფრო ძველი საკანონმდებლო ძეგლია ეშნუნის მეფის ბილალამის კანონები, რომლებიც წარმოადგენენ დღემდე ცნობილ კანონთა უძველეს კრებულს. ბილალამის კანონები აღმოჩენილ იქნა 1947 წელს ერაყში, ქ. ბაღდადის სამხრეთ განაპირა უბანში თერ-აბუ-ხარმალის გორაკზე წარმოებულ არქეო-

ლოგიური გათხრების დროს. იგი აღმოაჩინეს ასირიოლოგებმა სეიდ თახა ბეჭირმა და ალბრეხტ გოეცემ. უკვე 1948 წლის ეურნალ «სუმერის» № 2-ში გოეცემ გამოაქვეყნა კანონთა ტექსტი ტრანსკრიფციითა და ინგლისური თარგმანით¹. კანონთა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია თიხის ფირფიტების ორი დუბლიკატური ნუსხით.

ბილაღამის კანონები არ წარმოადგენს შინაარხის მიხედვით თანმიმდევრულად დალაგებულ საკანონმდებლო ძეგლს. კანონთა მუხლები განლაგებულია უწყესრიგოდ, უსისტემოდ. სამართლის წიგნის მე-17 და მე-18 მუხლები ეხება ცოლის შერთვისა და საქორწინო გამოსასყიდის საკითხებს, მომდევნო მუხლები კი (19—24) აწესრიგებს ვალისა და სესხის საკითხებს, ხოლო შემდეგ (მუხ. 25—28) კანონმდებელი კვლავ უბრუნდება ცოლის შერთვისა და საქორწინო გამოსასყიდის საკითხებს. კანონთა 37-ე მუხლში ლაპარაკია სახლის ჩამონგრევაზე, ხოლო 58-ე მუხლი ეხება კედლის ჩამონგრევას; 59-ე მუხლი კი კვლავ ცოლ-ქმრულ ურთიერთობის საკითხებს ეხება და ა. შ. საკანონმდებლო მასალის ასეთი ქაოტური და უწყესრიგო სახით გადმოცემა მოწმობს იმას, რომ სამართლის წიგნი შედგენილია უსისტემოდ.

ძველბაბილონური სამართლის მკვლევარების გ. დრაივერისა და ჯ. მაილზის აზრით ბილაღამის კანონთა მუხლების «ქაოტური უწყესრიგობა გვაფიქრებინებს, რომ ეს კანონები ორიგინალურ ტექსტს კი არ წარმოადგენენ, არამედ კანონთა კრებულს, რომელიც შედგენილია სასწაელო მიზნით, ისევე როგორც უთუოდ შედგენილი იყო შუმერული კანონები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს კანონები მსგავსად შუმერული კანონებისა დაწერილია თიხის ფირფიტებზე. სრულიად წარმოუდგენელია, რომ მეფეს თავისი კანონების გამოსაქვეყნებლად გამოუყენებინა ასე ადვილად მსხვრევადი მასალა; იგი უეჭველად ქვაზე ამოაკვეთინებდა მათ, როგორც ეს ხამურაბიმ გააკეთა. თიხის ფირფიტები კი შესაფერისია სკოლაში სახმარად.

ამავე დროს ხამურაბის კანონთა მუხლების თანმიმდევრული დალაგება, რითაც იგი უადრესად განსხვავდება ძველი აქადური და შუმერული კანონებისათვის დამახასიათებელი უსისტემობისაგან,

¹ F. R. Steele, American journal of archeology, № 1, 1917. გვ. 158.

² A. Goetze. The Laws of Eshnuna. Sumer, vol. IV, № 2, 1918, გვ. 63.

მოწმობს მათ ორიგინალობას. და რაკი საკითხების სხვადასხვანაირი დალაგება კანონთა სხვადასხვა კრებულებში წარმოადგენს საბუთს პირდაპირი ნასესხობის წინააღმდეგ, ძველი აქადური კანონების მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი შუმერულ, ბაბილონურ და ასირიულ კანონებთან ერთად ადასტურებენ საერთო მესოპოტამურ სამართლის არსებობას III ათასეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რადგან ყველა მათი ძირითადი პრინციპი ზოგადი აზრით ერთი და იგივეა¹.

მაგრამ ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი მოსაზრება არ შეიძლება მიხნეულ იქნეს დამაჯერებლად. ცნობილია, რომ თიხის ფირფიტებზე იყო დაწერილი არა მარტო ბილაამის კანონები, არა მარტო შუმერული და ლიფიტ-იშთარის კანონები, არამედ თვით ხამურაბის კანონებიც, რომლის ტექსტი მხოლოდ შემდეგ, ხამურაბის მეფობის 35-ე წელს, იქნა გადატანილი და ამოკვეთილი ქვის ძეგლზე. რაც შეეხება კანონთა მუხლების ქაოტურ განლაგებას, ამ მხრივ ბილაამის კანონები გამონაკლისს არ წარმოადგენს. თვით ხამურაბის კანონებშიც კი არ არის დალაგებული ყველა მუხლი თანმიმდევრულად. მასში ჩვენ ვხვდებით არა მარტო შეუსაბამობას, არამედ წინააღმდეგობასაც (მუხ. 6 და 8).

დაბოლოს, მართალია, ბილაამის კანონებს დიდი ხარვეზი აქვს, ბევრი ზაკითხი მასში გამოტოვებულია, კანონები სრული არ არის, მაგრამ ეს ნაკლი მეტ-ნაკლებად ახასიათებს არა მარტო ამ კანონებს, არამედ ლიფიტ-იშთარისა და თვით ხამურაბის კანონებსაც².

აღსანიშნავია, რომ ბილაამის კანონები იწყება პროდუქტების ფასებისა და ქირის განსაზღვრით (მუხ. 1—4). ხამურაბის კანონები კი მთავრდება ამ საკითხებით (მუხ. 271—277). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბილაამის კანონების თითქმის სამი მეოთხედი ამა თუ იმ სახით შესულია ხამურაბის კანონებში.

დ) ხამურაბის კანონები: კანონთა აღმოჩენა ხამურაბის კანონების ტექსტი აღმოჩენილ იქნა 1901 წლის ბოლოსა და 1902 წლის დამდეგს სპარსეთის ქალაქ სუზაში. ძველი აღმოაჩინა საფრანგეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც ცნობილი არქეოლოგის ე. დე-მორგანის ხელმძღვანელობით 1897—1912 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სპარსეთის ტე-

¹ G. Driver and J. Miles, *The Babylonian Laws* vol. I, 1956, გვ. 10—11.

² Л. Липин. Древнейшие законы Месопотамии, „Палестинский сборник“, вып. 1(63), 1954, гв. 20.

რიტორიაზე. 1901 წლის დეკემბერში გათხრების დროს მუშები მოულოდნელად წააწყდნენ შავი ბაზალტის დიდი სვეტის ნატეხს, ხოლო 1902 წლის იანვარში აღმოჩენილ იქნა იმავე ქვის კიდევ ორი ნატეხი. სუზა წარმოადგენდა ძველი ელამის სატახტო ქალაქს, რომელიც გვიან სპარსეთის ერთ-ერთ სატახტო ქალაქად ითვლებოდა. ძველი გატაცებული იყო ბაბილონიდან ელამელების ერთ-ერთი შემოსევის დროს.

ძველი წარმოადგენს ბაზალტის სტელას, მუქი ქვის სვეტს, რომლის სიმაღლე უდრის 2,25 მეტრს, ხოლო სიგანე ზემოთ — 1,65 მეტრს და ქვემოთ — 1,90 მეტრს. სვეტის თავზე გამოხატულია მეფე ხამურაბი და მზისა და მართლმსაჯულების ღვთაება — შამაში, რომელიც ზის მართლმსაჯულების მაღალ სავარძელში. მის წინაშე დგას მორჩილი და ღვთისმლოცველი მეფე ხამურაბი, რომელიც, შამაშის ხელიდან იღებს რა კანონმდებლობას, ეფიცება მართლმსაჯულების მფარველს, რომ იგი ერთგულად დაიცავს და შეასრულებს მის მიერ შედგენილ სჯულდებას. გამოსახულების ქვემოთ იწყება ლურსმული ტექსტი, რომლითაც დაფარულია სვეტის როგორც წინა, ისე უკანა მხარე. ტექსტი იყოფა სამ ნაწილად: შესავალი, კანონთა მუხლები და დასკვნა.

ძველი საეროდ კარგად არის შენახული. იგი შედგება 282 მუხლისაგან, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია 247 მუხლი. მაშასადამე, ტექსტს აკლია 35 მუხლი (66—100), რომლებიც, როგორც ვარაუდობენ წაუშლიათ ძველის გატაცებისთანავე. ალბათ. ელამის მეფეს განზრახული ჰქონდა ამოფხეკილ ტექსტში თავისი ლაშქრობანი და გამარჯვებანი აღენიშნა და ამით უკვდავეყო თავისი სახელი. მაგრამ სიკვდილის გამო განზრახვის სისრულეში მოყვანა არ დასცალდა და წაშლილი ადგილები შეუვსებელი დარჩა. დაკარგული ტექსტის ნაწილობრივი აღდგენა შესაძლებელი გახდა შემდგომ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კანონთა კრებულის პირების მიხედვით. სუზაში აღმოჩენილ იქნა ისეთივე მასალის სხვა სტელის კიდევ სამი ნატეხი, რომლებიც იმავე ტექსტს შეიცავდა. ასირიის მეფის ასურბანიფალის (668 — 633) ბიბლიოთეკაში, რომელიც აღმოაჩინეს ასირიის სატახტო ქალაქ ნინევიასში წარმოებული გათხრების შედეგად, ნაპოვნი იქნა თიხის ფირფიტების ნატეხები კანონთა ტექსტით; ამით და გვიან-ბაბილონის ქალაქების გათხრების დროს ნაპოვნი ხამურაბის კანონების პირთა 20-მდე ფრაგმენტით შევსებულ იქნა ტექსტის ზარეზი.

1914 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა ნიფურ-ში წარმოებული გათხრებისას ნაპოვნი ტაბულა, რომელიც კანონთა საკმაოდ დიდ ფრაგმენტს (მუხ. 90—162) შეიცავს. ამ ტაბულით შესაძლებელი გახდა კანონთა გადაშლილი ტექსტის 11 მუხლის აღდგენა. დღეისათვის დაკარგულად ითვლება კანონთა 22 მუხლი (67—70, 72—77, 79—88, 98, 262) მნიშვნელოვანი ხარვეზებია ორი-ორღე მუხლში (92—93).

ამჟამად ძეგლი ინახება პარიზში ლუერის მუზეუმში, ხოლო ძეგლის პირი, რომელიც თაბაშირიდან არის ჩამოსხმული, დაცულია მოსკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

კ ა ნ ო ნ თ ა შ ე დ გ ე ნ ი ს თ ა რ ი ღ ი. კანონთა შედგენის თარიღი უცნობია ჩვენთვის. არც კანონთა ტექსტში, არც პროლოგსა და ეპილოგში. არც სხვა საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ წელს იყო შედგენილი კანონთა კრებული. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ კანონთა შედგენის თარიღის დაახლოებით განსაზღვრაზე. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს ზოგიერთი ის არაპირდაპირი ცნობა, რომელიც დაცულია კანონთა შესავალსა და დასკვნაში. ამ ცნობების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კანონთა კრებული შეიძლება შედგენილი იყოს ხამურაბის მმართველობის უკანასკნელ ხანებში.

ერთ-ერთ წერილში თავისი მმართველობის მეორე წელს ხამურაბი უწოდებს წელს, როცა მან «დაამკვიდრა ქვეყნად სამართლიანობა». ამ განცხადებას მთლიანად შეესაბამება კანონთა პროლოგის უკანასკნელი სტრიქონი, სადაც ხამურაბი ამბობს, რომ «მე დავამკვიდრე ქვეყნად კანონი და სამართლიანობა». სჯულმდებელი მეფე სხვა ადგილას თავის მმართველობის 22-ე წელს უწოდებს «სამართლიანობის მეფის ხამურაბის ძეგლის» წელს. ამ წყაროს ჩვენება თოთქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ხამურაბის კანონთა ეპილოგის ამ ადგილს, სადაც იგი ამბობს: «მე გამოვკვეთე ჩემი ძვირფასი სიტყვები ჩემს ძეგლზე და დავდგი ჩემი, სამართლიანი მეფის, გამოსახულების წინაშე».

მაგრამ, როგორც ეს კანონთა პროლოგში აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, ხამურაბის მეფობის არც მე-2 და არც 22-ე წელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძეგლის შედგენის თარიღად.

საქმე ის არის, რომ პროლოგში ხამურაბი იხსენიებს ისეთ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ზემოთ დასახელებული წლების შემდეგ მოხდა. ამიტომ, ცხადია, პროლოგი არ შეიძ-

ლება შედგენილი ყოფილიყო მანამდე, სანამ ამ ფაქტებსა და მოვლენებს ექნებოდა ადგილი.

ერთ-ერთი მთავარი მოსაზრება კანონთა კრებულის ხამურაბის მმართველობის უკანასკნელ წლებში შედგენის სასარგებლოდ ისიც არის, რომ ძველი არ შეიძლებოდა შედგენილი ყოფილიყო იმ სამხედრო ლაშქრობათა და დაპყრობათა ჩატარებამდე, რომლებიც მოეწყო ქვეყნის გაერთიანების მიზნით და რომელთა შესახებ მოთხრობილია პროლოგში. ამ მოსაზრებას ამაგრებს თვით ხამურაბის განცხადება კანონთა შესავალში, სადაც იგი ამბობს, რომ ქვეყნის მმართველი გახდა მაშინ, როცა «ბაბილონს უწოდეს მისი დიადი სახელი, გახადეს იგი უძლიერესი ქვეყნის ოთხივე ნაწილში». იმავე პროლოგის სხვა ადგილას ხამურაბი თავის თავს უწოდებს «ქვეყნის ოთხივე მხარის მორჩილებაში მომყვანს» და «ქვეყნის ოთხივე ნაწილის მფარველს». თავისთავად ცხადია, რომ ძველი შედგენილი უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც ხამურაბი გახდა «ქვეყნის ოთხივე ნაწილის მფარველი», ე. ი. მთელი ბაბილონის გაერთიანების შემდეგ.

კანონთა პროლოგსა და ეპილოგში შემონახული ცნობების განხილვის შედეგად გ. დრაივერი და ჯ. მაილზი ასკვნიან: «მაშასადამე, მითითება აქ ჩამოთვლილ სხვადასხვა მოვლენებზე და მოხსენიება ტიტულებისა, რომლებიც გულისხმობენ მეფის ლაშქრობათა დამთავრებას, განხილულ უნდა იქნეს მთლიანობაში, როგორც აღმნიშვნელი იმისა, რომ მისი მეფობის მე-40 წელი არის უადრესი შესაძლებელი თარიღი კანონთა გამოქვეყნებისა მათი დღევანდელი ფორმით; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშაობა კანონთა მომზადებისა და შედგენისათვის არ მიმდინარეობდა მრავალი წლის განმავლობაში მათ გამოქვეყნებამდე»¹.

კანონთა მიზნები. ხამურაბის კანონთა კრებულის შედგენის ფაქტი მოასწავებს კანონის, როგორც სამართლის ძირითადი წყაროს, როლისა და მნიშვნელობის ამაღლებას ქვეყნის მართლმსაჯულებაში. ამავე დროს იგი გამოხატავს სამეფო ხელისუფლების

¹ დრაივერი და მაილზი, დასახ. ნაშრომი, I. გვ. 36.

მისწრაფებას დაამყაროს ქვეყნად ერთიანი კანონმდებლობა. კანონმდებლობის ასეთი უნიფიკაცია მთლიანად გამომდინარეობდა მეფის ხელისუფლების ცენტრალიზაციის აუცილებლობიდან. ბაბილონის მონარქია ხამურაბის დროს სწორედ ასეთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა „დესპოტიზმის ფორმით“².

კანონთა პროლოგსა და ეპილოგში ხამურაბი არა ერთხელ აღნიშნავს სახელმწიფოში ერთიანი კანონების შემოღების საჭიროებას. პროლოგის მიხედვით კრებულის შედგენა აუცილებელი იყო «იმისათვის, რათა ქვეყნად ბრწყინავდეს სამართლიანობა, რათა მოისპონ კანონთდამრღვეენი და ბოროტმოქმედნი». სამართლის წიგნის ეპილოგში კიდევ უფრო მკაფიოდაა ხაზგასმული კანონმდებლობის მიზნები და ამოცანები: «რათა ქვეყნად სუფევდეს მართლმსაჯულება, რათა ამ ქვეყნად დგინდებოდეს განაჩენები, რათა შევიწროებულს ეპყრობოდნენ სამართლიანად», მე შევადგინე კანონთა ძეგლიო, — ამბობს მეფე ხამურაბი. თავის თავს ხამურაბი «სამართლიან მეფეს», ხოლო იავის კანონებს «სამართლიან კანონებს» უწოდებს. კანონთა ეპილოგი სწორედ ასე იწყება: «აი სამართლიანი კანონები, დადგენილი ძლევაშოსილი მეფის ხამურაბის მიერ» ასეთივე შინაარსის ფორმულით მთავრდება, როგორც ზემოთ ითქვა, კანონთა პროლოგიც: «მე დავამკვიდრე ქვეყნად კანონი და სამართლიანობა».

«სამართლიანობის დამკვიდრება» ნიშნავს კანონთა კრებულის შედგენას და, მართლაც, პროლოგის ამ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს კანონთა ტექსტი. «სამართლიანობა» აქ ნახმარია კანონიერების მნიშვნელობით, ხოლო «სამართლიანი მეფე» — კანონიერი მეფის მნიშვნელობით. ამასთან საესებით გასაგებია, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ ის «კანონი და სამართლიანობა», რომელიც იცავს ბაბილონის მონათმფლობელთა კლასის წარმომადგენელთა (აველუმში, მუშქენუმში, თამქარი, ქურუმში, და სხვ.) პირადსა და ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს.

კ ა ნ ო ნ თ ა წ ყ ა რ ო ე ბ ი. ახლა განვიხილოთ საკუთრივ ხამურაბის სამართლის წიგნის წყაროები. ხამურაბის დიდი საკოდიფი-

² Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, стр. 391.

კაცო მუშაობისათვის სათანადო პირობები მომზადდა ქველბაბილონური სამართლის ისტორიის მთელი წინა პერიოდის მანძილზე. შუმერული პერიოდისა და ბაბილონის I დინასტიის ისტორიამ ხამურაბის ეპოქას დაუტოვა მდიდარი საკოდიფიკაციო მასალა ადათების, კანონების, მეფის ბრძანებულებისა და განკარგულებების, მრავალფეროვანი კერძოუფლებრივი, და ადმინისტრაციული დოკუმენტების, სასამართლო განაჩენების, გადაწყვეტილებების, ოქმების, პროცესის ჩანაწერებისა და სხვა სასამართლო აქტების სახით. ეს იურიდიული მასალა, როგორც სამართლის წყარო, კანონმდებლის მიერ სამართლის წიგნის შედგენის დროს გამოყენებულ იქნა მეტ-ნაკლებად, შერჩევით, სათანადო რედაქციითა და გადამუშავებით.

კანონთა მომზადებასა და შედგენაში არსებითი როლი შეასრულა ხამურაბის წერილებმა, რომლებიც ამჟღავნებენ მის დიდ ინტერესს სამართლისა და მართლმსაჯულების საკითხებისადმი.

ჩვენ არ შევეუდგებით იმის გამორკვევას, თუ რა მოცულობით შეიტანა კანონმდებელმა თავის კრებულში ზემოაღნიშნული ესა თუ ის მასალა. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია წინა პერიოდის კანონმდებლობამ ხამურაბის სამართლის წიგნზე, რამდენად გამოიყენა კანონმდებელმა ძველი შუმერული და აქადური სამართლის ნორმები.

შუმერული და აქადური კანონები — ხამურაბის კანონების წყარო. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ეშნუნის მეფის ბილალამის კანონების სახელწოდებით ცნობილი ძველი აქადური სამართლის თითქმის სამი მეოთხედი შეტანილია ხამურაბის კანონებში. ასევე ფართოდ არის გამოყენებული კანონმდებლის მიერ შუმერულ კანონების ფრაგმენტი და შუმერული საოჯახო კანონები. იგივე უნდა ითქვას ისინის მეფის ლიფტი-იშთარის კანონებზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შესულია ხამურაბის კოდექსში. ზემოთ დასახელებული საკანონმდებლო ძეგლების შექერება ხამურაბის კანონებთან ცხადყოფს, რომ ძველმა შუმერულმა და აქადურმა კანონმდებლობამ დიდი გავლენა მოახდინა ხამურაბის სამართალზე. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ სათანადო ადგილებს დასახელებული საკანონმდებლო ძეგლებიდან.

შუმერული კანონების ფრაგმენტი

1. უკეთუ ვინმე ხელს ჰკრავს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

2. უკეთუ ვინმე დაარტყამს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის, უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

3. უკეთუ ვინმე მისთვის მითითებულ გზას გადაუხვევს და გემს დაღუპავს, მან, თვით გემის ფასის გარდა, პატრონს უნდა მისცეს გემის ქირა.

8. თუ ბაკში ლომი ხარს შეჰყამს, ხარის ღირებულება მის პატრონს უნდა ჩაეთვალოს ზარალში.

9. თუ ბაკში ხარი ხარს მოკლავს, ხარი ხარში.

შუმერული საოჯახო კანონები

1. უკეთუ ვაჟიშვილი თავის მამას ეტყვის «შენ არა ხარ ჩემი მამაო». ის უნდა გაპარსონ, დაასვან მონობის ნიშანი, აგრეთვე მისცენ ვერცხლში.

2. უკეთუ ვაჟიშვილი თავის დედას ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი დედაო», მას უნდა გაპარსონ საფეთქლები და გააძევონ იგი თემიდან, აგრეთვე გაიყვანონ საოჯახო მეურნეობიდან.

ხამურაბის კანონები

209. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის მას, მან უნდა გადაუხადოს ნაყოფის საზღაურად 10 სიკლი ვერცხლი.

236. უკეთუ კაცი მიაქირავებს მებომალდეს თავის გემს, ხოლო მებომალდე დაუღვეარი იქნება და ჩაძირავს ან დაღუპავს გემს, მებომალდემ გემი უნდა აუნაზღაუროს გემის პატრონს.

263. უკეთუ ბაკში ლომი მოკლავს პირუტყვს, მწყემსმა ღვთის წინაშე უნდა დაიფიცოს, ხოლო ბაკის პატრონმა უნდა აპატიოს მას საქონლის გაწყდომა ბაკში.

უკეთუ დაღუპავს ხარს ან ცხვარს, უნდა აუნაზღაუროს ხარი ხარში და ცხვარი ცხვარში.

192. უკეთუ საჭურისის შვილობილი ეტყვის თავის გამზრდელ მამას ან გამზრდელ დედას: «შენ ჩემი მამა არა ხარ» ან: «შენ ჩემი დედა არა ხარ», მას ენა უნდა მოსჭრან.

3. უკეთუ მამა თავის ვაჟი-შვილს ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი შვილი», მამა კარგავს სახლს და კედლებს.

5. უკეთუ ცოლი თავის ქმარს შეიძულეს და ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი ქმარი», ის უნდა გადაადონ მდინარეში.

ბილალამის კანონები

3. ჴრმის ქირაა ხარებითა და მეურმეებით 1 მასიქთუ და 4 სუთუ ქერი.

5. უკეთუ მეხომალდე დაუღევარი იქნება და ნავს ჩაძირავს, მან უნდა შეავსოს, რამდენიც ჩაძირა.

15. თამქარმა ან მიკიტანმა ქალმა მონის ან მხეელის ზელიდან არ უნდა მიიღოს ვერცხლი, მატყლი, ქუნჯუთის ზეთი და სხვა.

17. უკეთუ კაცის ვაჟიშვილი სიმამრის ოჯახში გამოსასყიდს მიიტანს, თუ ორთაგან ერთი (სასიძო ან საპატარძლო), მოკვდება, ვერცხლი უბრუნდება მხოლოდ მის პატრონს.

168. უკეთუ კაცი განიზრახავს გააძევოს თავისი ვაჟიშვილი..., უნდა გამოიძიონ ეს საქმე და, უკეთუ შვილს არ ჩაუდენია მძიმე შეცდომა..., მამას არ შეუძლია ჩამოართვას მას მემკვიდრეობა.

142. უკეთუ ქალი შეიძულეს თავის ქმარს და ეტყვის მას: «ნუ მომეკარებო», მისი საქმე უნდა გამოიძიონ მის მეზობლებში.

271. უკეთუ კაცი დაიქირავეს ხარებს, ურემს და მეურმეს, მან უნდა აძლიოს დღეში 180 კა პუარი.

237. უკეთუ... მეხომალდე დაუღევარი იქნება და ჩაძირავს გემს... მეხომალდემ უნდა აანაზღაუროს გემი და ყველაფერი, რაც კი გემზე დაიღუპა.

7. უკეთუ კაცი... კაცის მონისაგან მიიღებს შესანახად ვერცხლს, ან ოქროს, ან მონას, ან მხეველს, ან ხარს, ან ცხვარს, ან ვირს, ან სხვა რამეს, მაშინ ეს კაცი ქურდია და იგი უნდა მოკლან.

163. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და მისგან შვილები არ ეყვლება, ხოლო შემდეგ ეს ქალი მოკვდება, თუ კაცის სიმამრი დაუბრუნებს მას გამოსასყიდს, რაც ამ კაცმა მიიტანა თავისი სიმამრის სახლში, მის ქმარს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ამ ქალის მზითევზე, მისი მზითევი ეკუთვნის მხოლოდ მისი მამის სახლს.

22. უკეთუ კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება კაცის მხევალი, მხეველის ბატონმა ღმერთი უნდა დაიფიცოს: «მე შენი არავითარი ვალი არა მაქვს». მან უნდა მიუწონოს მხეველის ფასის თანაბარი ვერცხლი.

23. უკეთუ კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება კაცის მხევალი, დააკავენ მძევალ ქალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს, მან უნდა უზღოს მხეველის ბატონს 2 მხევალი.

24. უკეთუ კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება მუშეყენუმის ცოლი, დააკავენ მძევალ ქალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს, ეს სასამართლო საქმეა სიცოცხლის შესახებ; მოგირავენ უნდა მოკვდეს.

25. უკეთუ კაცი სიმამრის სახლს მიმართავს და სიმამრი მას მიიღებს, მაგრამ თავის ქალიშვილს სხვას მიათხოვებს, ქალიშვილის მამამ მის მიერ მიღებული გამოსასყიდი ორმაგად უნდა დააბრუნოს.

27. უკეთუ კაცი ცოლად შეირთავს კაცის ასულს და არ დადებს მის მამასთან და დედასთან შეთანხმებას და წერილობით ხელშეკრულებას, თუნდაც მან მის სახლში ერთი წლის განმავლობაში იცხოვროს, იგი ცოლი არაა.

114. უკეთუ კაცს კაცისათვის სესხად არ მიუცია პური ან ვერცხლი, მაგრამ ეყოლება მისი მძევალი, თვითულ მძევალზე იგი ვალდებულია მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

116. უკეთუ მძევალი მოკვდება მოგირავენის სახლში ცემის ან ცუდად მოპყრობის შედეგად, მძევლის პატრონმა უნდა ამხილოს თავისი თამქარი, უკეთუ დაგირავებულია კაცის ვაჟიშვილი უნდა მოკლან მოგირავენის ვაჟიშვილი, უკეთუ ის კაცის მონაა, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ ვერცხლი, თანაც კარგავს ყველაფერს, რაც მან სესხად მისცა.

160. უკეთუ კაცი მიიტანს სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარს და მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი ქალიშვილის მამა ეტყვის: «მე არ მოგცემ ჩემს ქალიშვილსო», მან ორმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც კი იყო მასთან მიტანილი.

128. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა.

29. უკეთუ კაცი ლაშქრობაში დაიკარგება თავდასხმის ან დამარცხების დროს, ან ტყვედ ჩავარდება და... მის ცოლს სხვა შეირთავს და ქალი ბავშვს შობს, როცა ის დაბრუნდება, მას შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი.

30. უკეთუ კაცი შეიძლებს თავის თემს და ბატონს და გაიქცევა, და იმის ცოლს სხვა შეირთავს ცოლად, როცა ის დაბრუნდება, მას არ შეუძლია წარადგინოს სარჩელი თავისი ცოლის გამო.

36. უკეთუ კაცი თავის ქონებას შესანახად მიაბარებს შემდგომი გამოსყიდვის პირობით, და სახლი არ ყოფილა შენგრეული, შესასვლელი არ ყოფილა გატეხილი, ფანჯარა არ ყოფილა ჩამტვრეული, ხოლო შესანახად მიბარებული ქონება დაიკარგა, მან (ე. ი. ვინც მიიბარა) უნდა აანაზღაუროს მისი ქონება.

40. უკეთუ კაცი მონას, მხევალს, ხარს ან სხვა რამეს იყიდის, ხოლო ვერ შეძლებს გამყიდველის დადგენას, მაშინ ქურდი სწორედ ის არის.

42. კაცმა კაცს... სილის გარტყმისათვის უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

135. უკეთუ კაცი ტყვედ იქნება წაყვანილი და... მისი ცოლი შევა სხვის სახლში და შობს შვილებს, მერე კი მისი ქმარი დაბრუნდება და მიაღწევს თავის თემს, ეს ქალი უნდა დაუბრუნდეს თავის პირველ მეუღლეს; შვილები დარჩებიან თავიანთ მამებთან.

136. უკეთუ კაცი დატოვებს თავის თემს და გაიქცევა, ხოლო ამის შემდეგ მისი ცოლი შევა სხვის სახლში, თუკი ეს კაცი დაბრუნდება და მოისურვებს წაიყვანოს თავისი ცოლი, — ვინაიდან მან მოიძულა თავისი თემი და გაიქცა, გაქცეულის ცოლი არ უნდა დაუბრუნდეს თავის ქმარს.

125. უკეთუ კაცი შესანახად მიაბარებს რამეს, და იქ. სადაც მან მიაბარა, ან შენგრევის გზით ან შემტვრევის შედეგად დაიკარგება მისი კუთვნილი რამე სახლის პატრონის კუთვნილ რაიმე ნივთთან ერთად, სახლის პატრონმა, რომელიც დაუდევარი იყო და დაუშვა, რომ დაკარგულიყო რამე მისთვის შესანახად მიბარებული, უნდა შეუვსოს და აუნაზღაუროს ქონების პატრონს მისთვის შესანახად მიბარებული.

10. უკეთუ მყიდველი ვერ მოიყვანს გამყიდველს, რომელმაც მიჰყიდა მას, და მოწმეებს, რომელთა დასწრებით მან იყიდა... მაშინ მყიდველი ქურდია და ის უნდა მოკლან.

203. უკეთუ რომელიმე კაცი სილას გაარტყამს თავის ტოლკაცს, მან უნდა მიუწონოს 1 მილი ვერცხლი.

45. უკეთუ მას ფეხს მოსტეხს, უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

50. უკეთუ ვინმე... დაიჭერს სასახლის ან მუშქენუმის კუთვნილ გაქცეულ მონას, მხევალს... და არ მოიყვანს მათ ეშუნუაში, დააკავებს საკუთარ-სახლში... სასახლე მოსთხოვს მას ნაპარავს სასამართლო წესით.

54. უკეთუ ხარი მარქენალია და ამის შესახებ მეზობლები განუცხადებენ მის პატრონს, მაგრამ მისი ხარი არ იქნება უვნებელიყოფილი, ურქენს ადამიანს და მოკლავს, ხარის პატრონმა უნდა მიუწონოს $\frac{2}{3}$ მინა ვერცხლი.

58. უკეთუ კედელს ჩამონგრევა მოელის და მეზობლები ამის შესახებ განუცხადებენ კედლის პატრონს, მაგრამ ის თავის კედელს არ გაამაგრებს და კედელი ჩამონგრევა და ამას მოჰყვება კაცის სიკვდილი, — ეს სიცოცხლის საქმეა. გადაწყვეტილება მეფისა.

ლიფიტ-იშთარის კანონები

8. უკეთუ კაცი კაცს ყამირ მიწას მისცემს ბალის გასაშენებლად და იგი ამ ყამირზე არ დაამთავრებს ბალის გაშენებას, მან უნდა მისცეს ბალის გამშენებელ კაცს მის მიერ დაუმუშავებლად დატოვებული ყამირი მის წილად.

10. უკეთუ კაცი კაცის ბაღში ხეს მოჭრის, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

199. უკეთუ იგი მოსტეხს ძველს კაცის მონას, მან უნდა მიუწონოს მონის ნაყიდობის ფასის ნახევარი.

16. უკეთუ კაცი თავის სახლში დამალავს გაქცეულ მონას ან მხევალს, რომლებიც ეკუთვნიან სასახლეს ან მუშქენუმს და არ გამოიყვანს მათ შულტას ძახილზე, ამ სახლის პატრონი უნდა მოკლან.

251. უკეთუ კაცის ხარი მარქენალია და მეზობლები განუცხადებენ მას, რომ იგი მარქენალია, ხოლო იგი არ მოაჭრის მას რქებს და არ დააბამს თავის ხარს, და ეს ხარი ურქენს კაცს და მოკლავს, მან უნდა მისცეს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

229. უკეთუ მშენებელი აუშენებს კაცს სახლს და თავის სამუშაოს მკვიდრად არ შეასრულებს, ისე რომ მის მიერ აგებული სახლი ჩამონგრევა და ამას მოჰყვება სახლის პატრონის სიკვდილი, ეს მშენებელიც უნდა მოკლან.

61. უკეთუ მებაღე ვერ დაამთავრებს ბალის გაშენებას მინდორზე და მის ნაწილს გაუშენებელს დატოვებს, დაუმუშავებელი ნაწილი უნდა შევიდეს მის წილში.

59. უკეთუ კაცი მოჭრის კაცის ბაღში ხეს ბალის პატრონის დაუკითხავად, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

25. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს, ის მისგან შეიღებს შობს, და ეს მხევლები თავიანთი პატრონისაგან შეიღებს შობენ და მამა გაააზატებს მხევლებს და მათ შეიღებს, მაშინ მხევლების შეიღებმა არ უნდა გაიყონ სახლი თავიანთი პატრონის შეიღებთან.

28. უკეთუ კაცი პირს შეაქცევს თავის მეუღლეს, თუმცა ეს არ ჰქონდა მას ნებადართული ხელშეკრულებით, და ქალი არ გავა მისი სახლიდან, მაშინ მისი მეორე ცოლი, რომელიც მან შეირთო როგორც შეყვარებული ცოლი, მეორე ცოლია; პირველი მეუღლე მან უნდა არჩინოს.

29. უკეთუ სიძე-შვილობილი სიმამრის სახლში შევა და მიიტანს საქორწინო გამოსასყიდს, ხოლო შემდეგ მას გააძევებენ და მის ცოლს მის მეგობარს მიათხოვებენ, მათ უნდა მისცენ მას საქორწინო გამოსასყიდი, რომელიც მან მიიტანა, და მის მეგობარს არ შეუძლია ეს ქალი ცოლად შეირთოს.

34. უკეთუ კაცი ხარს დაიჭირავებს და ნესტოს ძარღვს დაუზიანებს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{3}$.

171. ხოლო თუ მამა თავის სიცოცხლეში არ ეტყვის შეიღებებს, რომლებიც მისგან შობა მხევალმა: «ჩემი შეიღებიაო», მას შემდეგ, რაც მოკვდება, მხევლის შეიღებებს არ შეუძლიათ გაიყონ მეუღლის შეიღებთან ერთად მამის სახლის ქონება. მხევალი და მისი შეიღები უნდა იქნან განთავისუფლებულნი.

148. უკეთუ კაცი ითხოვს ცოლს და ცოლს დაემართება კეთრი, ხოლო იგი განიზრახავს სხვა ქალის შერთვას, მას შეუძლია მოიყვანოს, მან არ უნდა მიატოვოს ცოლი, რომელსაც კეთრი დაემართა, ქალს შეუძლია იცხოვროს სახლში, რომელსაც ქმარი აუშენებს, და მან უნდა შეინახოს ქალი, ვიდრე იგი ცოცხალია.

161. უკეთუ კაცი მიიტანს თავის სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარს, მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი მისი მეგობარი ცილს დასწამებს მას, და სიმამრი ეტყვის ქალის ბატონს (ე. ი. ქმარს): «შენ ვერ წაიყვან ჩემს ქალიშვილსო», მან უნდა დაუბრუნოს ყველაფერი ორმაგად, რაც მასთან იყო მიტანილი, მისი ცოლი კი მის მეგობარს არ შეუძლია ცოლად შეირთოს.

246. უკეთუ კაცი დაიჭირავებს ხარს და მოსტეხს მას ფეხს ან ძარღვს გაუწყვეტს კეფაზე, მან ხარის პატრონს უნდა აუნაზღაუროს ხარი ხარში.

35. უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს და თვალს გაუფუჭებს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის ნახევარი.

36. უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს და რქას მოსტეხს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{4}$.

37. უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს და მას კუდს დაუზიანებს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{4}$.

247. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და დაუზიანებს მას თვალს, მან ხარის პატრონს უნდა მისცეს მისი ნაყიდობის ფასის ნახევარი ვერცხლით.

248. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და მოტეხს მას რქას, მონაკურის კუდს ან დაუზიანებს ნესტოს, მან უნდა მისცეს ნაყიდობის ფასი $\frac{1}{5}$.

ამრიგად, როგორც ზემოთ ითქვა, ხამურაბის კანონმდებლობაში ძირითად არის გამოყენებული შუმერული და აქადური სამართლის ნორმები. თავის მხრივ, ხამურაბის კანონმდებლობამაც გარკვეული გავლენა მოახდინა ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების, კერძოდ, ასირიის, ხეთებისა და ებრაელთა სამეფოს კანონმდებლობაზე.

3. მეფის განაწესი. ქველბაბილონური სამართლის ერთ-ერთ წყაროს მეფის ბრძანებულებანი წარმოადგენდნენ. ხამურაბის კანონების მხოლოდ ორიოდ მუხლი მიუთითებს მეფის ასეთი განაწესის, ანუ ბრძანებულების შესახებ. სამართლის წიგნის 51-ე მუხლში ნათქვამია, რომ უკეთუ მოვალეს აარ ექნება ვერცხლი ვალის დასაბრუნებლად, მას შეუძლია თამქარს ვერცხლში მისცეს პური ან ქუნჯითი, აგრეთვე მისი პროცენტები, რაც მან მიიღო თამქარისაგან, მეფის კანონების თანახმად». ამავე საკითხს ეხება კანონთა 90-ე მუხლი: უკეთუ კაცს, რომელმაც აიღო ვალი პროცენტით, არა აქვს ვერცხლი ვალის დასაბრუნებლად, არამედ აქვს მხოლოდ პური, თანახმად მეფის კანონისა, თამქარმა უნდა აიღოს თავისი პროცენტი ანგარიშით: 100 კა 1 ქურუზე მხოლოდ პურითო.

რას ნიშნავს ფორმულა «თ ა ნ ა ხ მ ა დ მე ფ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს ა?» ექვს გარეშეა, რომ აქ კანონმდებელს მხედველობაში არა აქვს მის მიერ შედგენილი კანონთა კრებული, რომელიც ცნობილია ხამურაბის კანონების სახელწოდებით. ეს გამოთქმა რომ საკუთრივ ხამურაბის კანონებს ვულისხმობდეს, მაშინ საჭიროც აღარ იქნებოდა ზემოაღნიშნულ მუხლებში სპეციალური მითითების გაკეთება იმის შესახებ, რომ ეს საქმე გადაწყვიტეთ — «თ ა ნ ა ხ მ ა დ მე ფ ი ს

კ ა ნ ო ნ ი ს ა», რადგან ხამურაბის კანონთა კრებული თვითონ წარმოადგენს მეფის კანონს.

აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა კანონები ან კანონთა კრებულები, არამედ ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე გამოცემული სპეციალური განკარგულებანი, რომლებიც აწესრიგებენ სამართლებრივი ურთიერთობის კერძო საკითხებს. თავისთავად ცხადია, რომ ხამურაბის კანონებში არ შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ადამიანთა იურიდიული ურთიერთობისა და სასამართლო პრაქტიკის ყველა კაზუსი და საკითხი. ასეთი კაზუსების გადაწყვეტა ხდებოდა მეფის სპეციალური განაწესის, ანუ განკარგულების საფუძველზე. ამიტომ უფრო ზუსტი იქნებოდა ეს ფორმულა გადმოგვეცა არა «თანახმად მეფის კანონისა», არამედ «თანახმად მეფის განაწესისა», რაც გულისხმობს სპეციალურ წესებს, რომლებიც ადგენენ სავალდებულო პროცედურას ამა თუ იმ კონკრეტული ურთიერთობისა და დავის მოსაწესრიგებლად. «მეფის განაწესი» არ არის საერთო კანონი ან სამართლის ზოგადი ნორმა.

აღსანიშნავია, რომ ხამურაბის წინადროინდელ მეფეთა განაწესები მეტად მცირე რაოდენობით არის შემონახული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღრე გამოცემულ განაწესთა დიდი ნაწილი ხამურაბიმ გააუქმა ან შეიტანა თავის კანონთა კრებულში. ხამურაბის შემდეგდროინდელი მეფეების მიერ გამოცემული განაწესებიდან ჩვენამდე ბევრმა ასეთმა განაწესმა მოაღწია.

ბაბილონის პირველი დინასტიის მეფეები ასეთ განაწესებს გამოსცემდნენ იმისათვის, რომ განსაზღვრული ყოფილიყო სხვადასხვა კერძოუფლებრივი ურთიერთობანი და გარიგებანი. ასეთ ფორმულას ვხვდებით საბუთებში მონებისა და ხარების გაყიდვის, უძრავ ქონებაზე (ყანა, სახლი, ბალი) პრეტენზიის გაცხადების, ქირავნობის, გაცვლილობის და სხვა გარიგებათა გამო. ხშირად ასეთი განაწესი გამოიცემოდა ფასების ტარიფების განსაზღვრის, გარკვეული იურიდიული კაზუსებისათვის პროცედურული წესების დადგენის ან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ზოგიერთი საბუთი შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ უკეთეს დაქირავებული პირები თავის დროზე არ გამოცხადდებიან «სამეფო სამსახურის» შესასრულებლად, მაშინ მათ მიმართ მიღებული იქნება ზომები «თანახმად მეფის განაწესისა». სამეფო სამსახური აქ გულისხმობს სახელმწიფო ბეგარას ან შრომით

ბეგარის სხვა ფორმას, რომლის შესრულებაზე უარისთქმა ისჯება მეფის განაწესის მიხედვით.

ფორმულა «თანახმად მეფის განაწესისა» მოხსენებულია ხამურაბის მიერ თავისი ხელქვეითი მოხელეებისადმი გაგზავნილ ზოგიერთ წერილშიც. ერთ-ერთ წერილში ხამურაბი ავალებს ლარსის მმართველს სინ-დინამს, რომ მან, თანახმად მეფის განაწესისა, განსაჯოს ორი შემთხვევა: ხარის უკანონო წართმევისა და სხეულის დაზიანებისა. მეორე წერილი შეიცავს მითითებას, რომ მოხელემ განიხილოს კაცის პრეტენზია იმ ქალის მიმართ, რომელმაც ამ კაცის სამსახური მიატოვა. თანაც ხამურაბი უბრძანებს თავის მოხელეს: საქმე გადაწყვიტე «თანახმად განაწესისა, რომელიც ხელთა გვაქვს». აქედან ჩანს, რომ ადგილებზე ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს, რომლებიც სასამართლო ფუნქციებსაც ახორციელებდნენ, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ჰქონდათ სათანადო «განაწესი».

მეფე რიმსინის მმართველობის 41-ე წლის ერთ-ერთი დოკუმენტი იხსენიებს გარიგებას, რომელიც დადებული იყო «თანახმად მეფის მესამე განაწესისა». როგორც ჩანს, «განაწესები» მრავალნაირი იყო, ისე როგორც მრავალნაირი იყო კერძოუფლებრივი გარიგებანი და კაზუსები. ამრიგად, «მეფის განაწესი» ქველბაბილონური სამართლის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა.

4. მეფეთა წერილები. შემონახულია და ჩვენამდე მოაღწია. მეფეთა რამდენიმე ასეულმა წერილმა. მეფეთა წერილები შეიცავს ინსტრუქციებს ოლქის მოხელეების მიმართ. მარტო ხამურაბის 145 წერილია ცნობილი და გამოცემული. მეფეთა წერილები ძვირფას მასალას იძლევა ძველი ბაბილონის სამეურნეო, ადმინისტრაციული და იურიდიული ურთიერთობის შესასწავლად. მათში მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი ცნობები ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ამავე დროს მეფეთა წერილები ქველბაბილონური სამართლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

5. კერძოუფლებრივი დოკუმენტები. ქველბაბილონური სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება ყოველგვარი კერძოუფლებრივი აქტები. უძველეს დროში ასეთი გარიგებები იღებოდა ზეპირსიტყვიერად მოწმეთა წინაშე. მაგრამ მესამე ათასეულის დასაწყისისათვის წარმოიშვა იმის საჭიროება, რომ ასეთი გარიგებები წერილობითი სახით გაფორმებულიყო. ჩვენამდე მოაღწია ქალაქ ლაგაშში მესამე ათასეულის პირველ მეოთხედში

წერილობითი სახით გაფორმებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ტექსტმა. ეკონომიურ და სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარებამ განაპირობა გარიგების წერილობით სახით გაფორმების აუცილებლობა. ამიერიდან კერძოუფლებრივ დოკუმენტებს სასამართლო პროცესში პირველხარისხოვანი დამამტკიცებელი საბუთის ძალა მიენიჭა. კერძოუფლებრივი აქტები შეიცავს სესხის, ყიდვა-გაყიდვის, გაცვლილობის, ქირავნობის, იჯარის, ჩუქების, შვილად აყვანის, მემკვიდრეობის გაყოფისა და სხვა მრავალნაირ გარიგებებს. უძრავი ქონების ნასყიდობის საბუთებიდან ჩანს, რომ გამყიდველი მყიდველს გადასცემდა ყველა დოკუმენტს, რომელიც ეხებოდა ამ უძრავი ქონების წინანდელ მფლობელობას. კერძოუფლებრივი დოკუმენტების საერთო სახელწოდება აღინიშნებოდა სიტყვებით: *duppum*, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს «თიხის ფირფიტა», *riksatum* — «წერილობითი ხელშეკრულება» და *kunukkum* — «ბეჭედდასმული დოკუმენტი».

დოკუმენტები იწერებოდა თიხის ფირფიტებზე, რომელთაც მზეზე აშრობდნენ ან ცეცხლში გამოწვავდნენ. თიხისაგან გაკეთებულმა ასეთმა დოკუმენტებმა 4.000 წლის განმავლობაში შემოგვინახა მრავალფეროვან კერძოუფლებრივ გარიგებათა ძვირფასი ტექსტები. ხელშეკრულებათა ფირფიტების საშუალო ზომა 7—9 სანტიმეტრს უდრის, ხოლო ზოგიერთი ფირფიტა, რომელზედაც ასახულია სასამართლო პროცესი, ზოგჯერ 20 სანტიმეტრამდე აღწევს. ზოგიერთი ფირფიტა სიყალბის თავიდან აცილების მიზნით თიხის კონვერტში ინახებოდა. დოკუმენტები შენახული იყო კონტრაგენტების სახლში თიხის ქურკლებში, რომლებიც ამისათვის საგანგებოდ იყო განკუთვნილი. დოკუმენტები დაცული იყო აგრეთვე სატაძრო არქივებში. დოკუმენტებს ადგენდა მწერავი, რომელსაც «ფირფიტის მწერავი» ეწოდებოდა.

ნიეთის ან უფლების გასხვისების ხელშეკრულებები, როგორც წესი, დამოწმებულია ფიცით, ხოლო სხვა გარიგებებში (სესხი, ქირავნობა) ფიცი არ იხსენიება. კონტრაგენტები (ან ერთი რომელიმე მხარე) ფიცს დებენ, რომ არ აღძრავენ სარჩელს და არ დაარღვევენ დადებულ გარიგებას. ფიცულობდნენ ქალაქის მთავარ ღვთაებას (ურაში, შამაში, მარდუქი და სხვ.). ზოგიერთ დოკუმენტში ღვთაებასთან ერთად ნახსენებია მეფე და ქალაქი.

კერძოუფლებრივ დოკუმენტებში ყოველთვის მოხსენებულია მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ ხელშეკრულების დადებას. მოწმეთა რიცხვი, როგორც ჩანს, განსაზღვრული არ იყო. მათი რაოდენობა

დენობა ორიდან ოცამდე და ზოგჯერ მეტიც იყო. მოწმეები საბუთის ნამდვილობას ადასტურებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ესწრებიან ხელშეკრულების ფაქტიურ დადებას. ისინი დოკუმენტის შედგენის მოწმენი არიან.

მოწმეებად გამოდიან მამაკაცები და აგრეთვე ის ქურუმი ქალები, რომლებსაც ქონების დამოუკიდებელი განკარგვის უფლება აქვთ. ზოგიერთ გარიგებაში მოწმეებად მოხსენიებული არიან ღმერთებიც.

დოკუმენტების ნამდვილობის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საშუალებას წარმოადგენს ბეჭედი. ბეჭედს ასვამდნენ როგორც ღია ფირფიტებს, ისე კონვერტებსაც. ბეჭედს არა მარტო ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, არამედ მოწმეებიც ასვამდნენ. ბეჭედი იმ მხარემ უნდა დაუსვას, რომელიც განმკარგულებელი, გამსხვისებელი ან თავისთავზე რაიმე ვალდებულების ამღებია. ასე მაგ., სესხის ხელშეკრულების შედგენის დროს ბეჭედს ასვამს დებიტორი, ნივთის ქირავნობის დროს — დამქირავებელი, ჩუქების დროს — მჩუქებელი, შენახვის დროს — შემნახველი, იჯარის დროს — იჯარაღარი.

ბეჭედს ამზადებდნენ ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან ცილინდრის ფორმით, რომელზედაც ამოკვეთილი იყო რელიგიური ან მითოლოგიური ხასიათის გამოსახულება ან მფლობელის სახელი, მისი მამისა და მფარველი ღმერთის აღნიშვნით. ხშირად ბეჭედზე მხოლოდ მისი მფლობელის სახელი იყო ამოკვეთილი¹.

კერძოუფლებრივ დოკუმენტების გარდა, ჩვენამდე მოღწეულია სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული დოკუმენტები, რომლებიც ეხება სასახლისა და ტაძრების სამეურნეო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას. როგორც დავინახეთ, კერძოუფლებრივი დოკუმენტების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს ის რომ მათში აღნიშნულია მოწმეები. რაც შეეხება ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, მათში, როგორც წესი, მოწმეები მოხსენიებული არ არიან. ადმინისტრაციულ დოკუმენტებს მიეკუთვნება ის საბუთები, რომლებიც ადასტურებენ რაიმე სამეურნეო-ადმინისტრაციულ აქტს (მემოსავალი, გასავალი, პირუტყვის გადაცემა, სხვადასხვა სახის ანგარიშები, სიები, ჩანაწერები). ამ კატეგორიის საბუთები ძვირფას მასალას შეიცავს ძველბაბილონური სამართლის ისტორიის შესასწავლად.

¹ А. П. Р и ф т и н, Старо-вавилонские документы, 1937, гл. 9—27.

6. სასამართლო პრაქტიკა. უმერული პერიოდის გადარჩენილ დოკუმენტთა შორის მოიპოვება სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ტექსტები, რომლებიც შეიცავს სასამართლო პროცესის ოქმებსა და ჩანაწერებს. ეს ოქმები ეხება მრავალფეროვან საკითხებს, როგორც არის მიწისა და სახლის საკუთრება, ტაძრის შემოსავალი, მონების შესყიდვა, მამის ან დედის მიერ ქალიშვილის გაყიდვა. სასამართლო ოქმების ერთი ნაწილი ეხება ნიშნობის, ქორწინების, განქორწინების, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის და სხვა საკითხებს. ეს სასამართლო განაჩენები, გადაწყვეტილებები, ოქმები, ჩანაწერები და სასამართლო წარმოების სხვა აქტები ძველბაბილონური სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ძველ ბაბილონში სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების მტკიცედ დაცვასა და სისრულეში მოყვანას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. თავისი კანონების ეპილოგში მეფე ხამურაბი არა ერთხელ მიუთითებს მის მიერ გამოტანილი და დადგენილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების დაცვის აუცილებლობაზე. სჯულმდებელი მეფე მოითხოვს, რომ ეს სასამართლო აქტები ისეთივე გულმოდგინებით იქნეს დაცული, როგორც თვით მისი საკანონმდებლო ძეგლი. კანონმდებელი თითქოს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე აქტებად მიიჩნევს სამართლის ამ ორ წყაროს — კანონსა და სასამართლო გადაწყვეტილებას.

კანონთა ტექსტის პროლოგში ხამურაბი ამბობს: ვინც პატივისცემით მოეკიდება ჩემს სჯულდებას, «დე უჩვენოს ამ ძეგლმა მას გზები მართვა-გამგეობისა, სასამართლო გადაწყვეტილებანი ქვეყნისა, რასაც მე ვადგენდი, განაჩენები ქვეყნისა, რაც მე გამომქონდა, დე სამართლიანად განაგებდეს იგი შავთავიანებს, დე უდგენდეს მათ სასამართლო გადაწყვეტილებებს, დე გამოჰქონდეს მათ მიმართ განაჩენები... თუ კაცი პატივს სცემს ჩემს სიტყვებს, არ გააუქმებს ჩემს სასამართლო გადაწყვეტილებებს, არ შეცვლის ჩემს სჯულდებას, დე გაუგრძელდეს მას მმართველობის წლებიო. მაგრამ თუ კაცი პატივს არ სცემს ჩემს სიტყვებს, «გააუქმებს სასამართლო გადაწყვეტილებებს, დაამახინჯებს ჩემს სიტყვებს. შეცვლის ჩემს სჯულდებას», მაშინ მას საშინელი წყევლა-კრულვით შეაჩვენებენ ბაბილონის უზენაესი ღმერთებიო.

სჯულმდებელი მეფის ზემოთ მოტანილი სიტყვებიდან კარგად ჩანს სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების, როგორც

ძველბაბილონური სამართლის წყაროს, როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სასამართლო წარმოებასა და იურიდიულ პრაქტიკაში.

7. სასწავლო ტექსტები. ძველ ბაბილონში სასწავლო მიზნით აღგენდნენ იურიდიული ტექსტების კრებულს, რომელიც შეიცავდა სასამართლო პრაქტიკის კაზუსებს და განკუთვნილი იყო სამართლის სკოლის მოსწავლეთა სახმარ წიგნად. იგი არ წარმოადგენდა სამართლის სახელმძღვანელოს. მას იყენებდნენ აგრეთვე როგორც წერით სავარჯიშოს შუმერულ და აქადურ ენებში. ასეთ სასწავლო ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხამურაბის კანონებისა და მისი ეპოქის იურიდიული საბუთების გასაგებად. მაგრამ ტექსტები გამოყენებულ უნდა იქნეს სიფრთხილით, რადგან გადამწერთა მიერ შესრულებული თარგმანი ხშირად არაზუსტია და დამახინჯებულად გადმოგვცემს ტექსტებს. გარდა ამისა, სასწავლო ტექსტები ზოგჯერ ამკლავნებს კანონებთან გარეგნულ მსგავსებას, მაგრამ სინამდვილეში მათთან არაერთგვაროვანი არა აქვს.

ასეთია ძველბაბილონური სამართლის წყაროების ძირითადი სახეები.

ბაბილონის კანონები — ასირიისა და ხეთების სამართლის წყარო. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ბაბილონის კანონებმა გარკვეული გავლენა იქონია შუა ასირიისა და ხეთების კანონმდებლობაზე. შედარებისათვის მოვიტანთ რამდენიმე ადგილს დასახელებული საკანონმდებლო ძეგლებიდან.

ხამურაბის კანონები

ასირიის კანონები,

ტაბულა III

6. უკეთუ კაცი მოიპარავს ღვთის ან სასახლის ქონებას, ეს კაცი უნდა მოკლან; აგრეთვე უნდა მოკლან ის, ვინც მისი ხელიდან მიიღებს ნაპარავს.

7. უკეთუ კაცი... მონისაგან მიიღებს შესანახად ვერცხლს, ოქროს, მონას ან მხეველს, ხარს, ცხვარს, ვირს ან სხვა რამეს, მაშინ ეს კაცი ქურდია და იგი უნდა მოკლან.

1. უკეთუ ქალი... შევა ღვთის სახლში და ღვთის სახლიდან სამლოცველოს კუთვნილ რამეს მოიპარავს, და მის ხელთ აღმოაჩენენ... მან უნდა მიიღოს ფიცი და შეევედროს ღმერთს: რასაც იგი ბრძანებს ქალის მიმართ, ის უნდა აღსრულდეს.

4. უკეთუ მონა ან მხეველი მიიღებს რამეს კაცის ცოლის ხელიდან, მონას და მხეველს უნდა მოეკვეთოს ცხვირი და ყურები, ნაქურდალი კი ანაზღაურდეს.

129. უკეთუ კაცის ცოლს წაასწრებენ სხვა კაცთან მწოლარეს, ისინი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ. თუ ცოლის პატრონი შეუწარჩუნებს თავის ცოლს სიცოცხლეს, მეფემაც უნდა შეუწარჩუნოს სიცოცხლე თავის მონას.

130. უკეთუ კაცი გააუბატიურებს კაცის ცოლს, რომელსაც მამაკაცთან არ უცხოვრია და თავისი მამის სახლში იმყოფება, ჩაუწვება ქალს და მას წაასწრებენ, ეს კაცი უნდა მოკლან: ქალი კი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

131. უკეთუ კაცის ცოლს სახელს გაუტეხს მისი ქმარი ფიცით, ხოლო ქალი არ ყოფილა წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, ქალმა უნდა დააფიცოს ღმერთი და შეუძლია დაბრუნდეს თავის სახლში.

135. უკეთუ კაცი ტყვედ იქნება წაყვანილი, ხოლო მის სახლში არ აღმოჩნდება სარჩო, და ამიტომ მისი ცოლი შეევა სხვის სახლში და შობს შვილებს, მერე კი მისი ქმარი დაბრუნდება და მიაღწევს თავის თემს, ეს ქალი უნდა დაუბრუნდეს თავის პირველ მეუღლეს; შვილები დარჩებიან თავიანთ მამებთან.

15. უკეთუ კაცი თავის ცოლთან წაასწრებს კაცს, აძხვლს მას ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებს, ორივე შეიძლება მოკლულ იქნენ, მას არ ექნება ამაში ბრალი...

12. თუ კაცის ცოლი ქუჩაში მიდის... და კაცი ძალით დაიჭერს მას და დაეუფლება, მაშინ თუ მას კაცის ცოლთან წაასწრებენ ან თუ მოწმეები ამხელენ მას ფიცით მიცემული ჩვენებით იმაში, რომ იგი დაეუფლა ქალს, ეს კაცი უნდა მოკლან; ქალი კი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

37. უკეთუ კაცი მიატოვებს თავის ცოლს, მაშინ თუკი საჭიროდ ცნობს, მას შეუძლია მისცეს ქალს რამე, ხოლო უკეთუ არ ცნობს საჭიროდ, შეუძლია არაფერი არ მისცეს; ქალი უნდა წავიდეს ხელცარიელი.

45. უკეთუ ქალი გათხოვილია, ხოლო ქმარს მტერი ჩაიგდებს ხელში... იგი ორი წელიწადი უნდა იყოს თავისი ქმრის ერთგული... როდესაც ორი წელიწადი შესრულდება, მას შეუძლია ჩაუსახლდეს იმ ქმარს, რომელიც მას სურს... თუ შემდგომ მისი დაკარგული ქმარი დაბრუნდება თავის ქვეყანაში, მას შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი... მეორე ქმრისგან შობილ შვილებზე მას უფლება არა აქვს, ისინი შეუძლია წაიყვანოს მხოლოდ მეორე ქმარმა.

136. უკეთუ კაცი დატოვებს თავის თემს და გაიქცევა, ხოლო ამის შემდეგ მისი ცოლი შევა სხვის სახლში, თუკი ეს კაცი დაბრუნდება და მოისურვებს წაიყვანოს თავისი ცოლი, — ვინაიდან მან მოიძულა თავისი თემი და გაიქცა, გაქცეულის ცოლი არ უნდა დაუბრუნდეს თავის ქმარს.

209. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის მას, მან უნდა გადაუხადოს ნაყოფის საზღაურად 10 სიკლი ვერცხლი.

210. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის მას... თუ ქალი მოკვდება, იმ კაცის ასულიც უნდა მოკლან.

ბილალამის კანონები

25. უკეთუ კაცი სიმამრის სახლს მიმართავს და სიმამრი მას მიიღებს, მაგრამ თავის ქალიშვილს სხვას მიათხოვებს, ქალიშვილის მამამ მის მიერ მიღებული გამოსასყიდი ორმაგად უნდა დაუბრუნოს.

26. უკეთუ კაცი მიიტანს კაცის ქალიშვილის გამოსასყიდს, მაგრამ სხვა, მისი მამისა და დედის დაუკითხავად, მოიტაცებს მას და აიძულებს კავშირი დაიჭიროს მასთან, ეს სიცოცხლის საქმეა, და ის კაცი უნდა მოკვდეს.

36. თუ ქმარი ისე წავიდა თემის ფარგლებს გარეთ, რომ ქალს არ დაუტოვა არც ზეთი, არც მატყლი, არც ტანისამოსი, არც საკვები... ეს ქალი 5 წელიწადი თავისი ქმრის ერთგული უნდა იყოს... ხოლო მე-6 წლის დამდეგისას მას შეუძლია ჩაუსახლდეს ქმარს, რომელსაც იგი მოისურვებს. როდესაც მოვა მისი ქმარი, მას არ შეუძლია განაცხადოს მასზე უფლება, იგი ეკუთვნის თავის მეორე ქმარს.

21. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ქალიშვილს და მუცელს მოუშლის მას... მაშინ მან უნდა მისცეს 2 ტალანტი ტყვია...

50. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ცოლს, და მას ნაყოფი მოწყდება, ცოლს იმ კაცისა, რომელმაც კაცის ცოლს ნაყოფი მოსწყვიტა, ისევე უნდა მოექცნენ, როგორც იგი მოექცა იმ ქალს: ნაყოფისათვის მან უნდა ზღოს როგორც სიცოცხლისათვის.

ხეთების კანონები

29. უკეთუ ქალიშვილს გაურიგებენ კაცს, და მან გაიღო მისი საქორწინო გამოსასყიდი, ხოლო შემდეგ მამა და დედა გააუქმებენ ხელშეკრულებას და ქალს არ მიათხოვებენ იმ კაცს, მათ უნდა აანაზღაურონ გამოსასყიდი ორმაგად.

28. უკეთუ ქალიშვილის მითხოვებას შეპირდნენ კაცს, ხოლო მას სხვა მოიტაცებს, იმან, ვინც ქალს მოიტაცებს, პირველ კაცს უნდა აუნაზღაუროს იმდენი სასყიდელი, რამდენიც მიცემული იყო: მამა და დედა არაფერს არ უნაზღაურებენ.

ლიფიტ-იშთარის კანონები

29. უკეთუ სიძე-შვილობილი სიმამრის სახლში შევა და მიიტანს საქორწინო გამოსასყიდს, ხოლო შემდეგ მას გააძევებენ და მის ცოლს მის მეგობარს მიათხოვებენ, მათ უნდა მისცენ მას საქორწინო გამოსასყიდი, რომელიც მან მოიტანა, და მის მეგობარს არ შეუძლია ეს ქალი ცოლად შეირთოს.

ხამურაბის კანონები

129. უკეთუ კაცის ცოლს წაასწრებენ სხვა კაცთან მწოლარეს, ისინი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ. თუ ცოლის პატრონი შეუნარჩუნებს თავის ცოლს სიცოცხლეს, მეფემაც უნდა შეუნარჩუნოს სიცოცხლე თავის მონას.

154. უკეთუ კაცი დაიჭერს კავშირს თავის ქალიშვილთან, ეს კაცი უნდა გააძევონ თემიდან.

157. უკეთუ კაცი თავისი მამის სიკვდილის შემდეგ ჩაუწყება თავის დედას, ისინი ორივენი უნდა დაწვან.

158. უკეთუ კაცს თავისი მამის სიკვდილის შემდეგ წაასწრებენ თავის დედინაცვალთან, რომელმაც შვილები შობა, ეს კაცი უნდა გააძევონ მამის სახლიდან.

28. უკეთუ მამა და დედა თერთონ მიათხოვებენ მას სხვა კაცს, მამამ და დედამ პირველ კაცს უნდა აუნაზღაურონ გამოსასყიდი; უკეთუ მამა და დედა უარს ეტყვიან ანაზღაურებაზე, მაშინ კაცს შეუძლია წაიყვანოს ქალი.

197. უკეთუ მამაკაცი დაიჭერს ქალს... თვით მის სახლში, მაშინ ქალია დამნაშავე, და ქალი უნდა მოკვდეს; უკეთუ მათ ქმარი წაასწრებს, მას შეუძლია ისინი მოკლას, ეს დანაშაული არ იქნება.

198. უკეთუ... თავის ცოლს ცოცხალს დატოვებს და მაცოტუნებელსაც დატოვებს ცოცხალს, მას შეუძლია თავი დაუბუროს მას. თუ იგი იტყვის: «ორივენი მოკვდენო», მაშინ მათ დაედებათ სასჯელი: მეფე ან მოკლავს მათ, ან ცოცხალს დატოვებს.

189. უკეთუ კაცი შესცოდებს თავის ქალიშვილთან, უნდა იყოს სასჯელი.

უკეთუ კაცი შესცოდებს თავის საკუთარ დედასთან, უნდა იყოს სასჯელი.

190. უკეთუ კაცი შესცოდებს დედინაცვალთან, ეს არ არის დანაშაული, ხოლო თუკი მისი მამა ცოცხალია, მაშინ უნდა იყოს სასჯელი.

176. თუ სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა ცოლად შეირთავს კაცის ასულს... ერთად დასახლდებიან, შექმნიან ოჯახს და შეიძენენ მოძრავ ქონებას... ყველაფერი, რაც მისმა ქმარმა და თვითონ შეიძინეს იმ დროიდან, რაც ერთად დასახლდნენ, უნდა მიიღოს მონის ბატონმა, ნახევარი კი უნდა მიიღოს კაცის ასულმა თავისი შვილებისათვის.

31. უკეთუ თავისუფალი კაცი და მხევალი ნებაყოფლობით შეერთდებიან, და იგი მას ცოლად შეირთავს და ისინი გაიჩენენ ოჯახსა და ბავშვებს, შემდეგ წაიხზებებიან და შეთანხმდებიან გაიყარონ, მათ შუაზე უნდა გაიყონ სახლი; მამაკაცს შეუძლია წაიყვანოს შვილები; ხოლო ქალს შეუძლია წაიყვანოს მარტო ერთი ვაჟი.

32. უკეთუ მონა შეირთავს თავისუფალ ქალს, მათი სასამართლო საქმე იგივეა.

ზემოთ მოტანილი მუხლებიდან ჩანს, რომ შუა ასირიისა და ხეტების სამეფოს კანონმდებლებს, როცა ისინი თავისი ქვეყნის სამართალს ადგენდნენ, მხედველობაში ჰქონიათ ძველი ბაბილონის კანონების ზოგიერთი დადგენილება.

II ქველბაბილონური სამართლის სისტემა

კ ა ნ ო ნ თ ა კ ა ზ უ ი ს ტ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი. ქველბაბილონური სამართლის წიგნები შედგენილია კაზუისტური პრინციპის საფუძველზე. კანონთა მუხლები და ნორმები გადმოცემულია ცალკეული შემთხვევების (კაზუსების) მიხედვით: «თუ ვინმე ამას და ამას წაიდენს, მას ამას და ამას უზამენ». მუხლების ასეთი კაზუისტური ფორმულირება აიხსნება იმით, რომ ქველბაბილონური სამართლის წიგნებში ფართოდ არის გამოყენებული სასამართლო პრაქტიკა და კონკრეტულ საკითხებზე მეფის მიერ გამოცემული ბრძანებულებანი.

კანონთა კრებულების კაზუისტური ხასიათი, სამართლებრივი ნორმების განზოგადებათა მოუხდენლად გადმოცემა აიხსნება აგრეთვე იურიდიული ცოდნისა და მართლშეგნების მაშინდელი დონით.

ქველბაბილონური სამართლის წიგნებში განსხვავებული არ არის სამოქალაქო და სისხლის სამართალი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესი, არეულია საჯარო და კერძო სამართლის

საწყისები. ამიტომ ბურჟუაზიულ მეცნიერთა დიდი უმრავლესობა საერთოდ უარყოფს რაიმე სისტემის არსებობას ძველბაბილონურ კანონმდებლობაში. მაგრამ ასეთი უარყოფა საფუძველს მოკლებულია.

არავინ არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ კანონთა კრებულებში სამართლებრივი ნორმები და მასალა გადმოცემული არ არის სამართლის ცალკეული დარგების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით. ისიც სწორია, რომ კანონთა მუხლების გარკვეული ნაწილი შინაარსობრივ თანმიმდევრულად არ არის დალაგებული და ზოგჯერ ძნელი დასადგენია კავშირი მათ შორის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, თითქოს კანონთა კრებულებში სამართლებრივი მასალის გადმოცემის არავითარი სისტემა არ იყოს.

სამურაბის კანონთა სისტემა. დავიწყოთ ხამურაბის კანონების სისტემის განხილვით. ხამურაბის კანონთა კრებული, როგორც უკვე ითქვა, სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი, კანონთა ტექსტი და ეპილოგი.

კანონთა პროლოგი. პროლოგი წარმოადგენს ღვთისმეტყველური ხასიათის შესავალს, რომელიც გადმოცემულია პანეგირიკის (ხოტბის) ფორმით. იგი დაწერილია პოეტური ენით და გვაუწყებს, რომ ხამურაბი მოწოდებულია ბაბილონის ხალხთა განმგებლად, ქვეყნისათვის კეთილდღეობის მისანიჭებლად, ქვეყნად კანონისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად. შესავალი იწყება შემდეგი სიტყვებით: «როდესაც დიდმა ანუმ, ანუნაქთა მეფემ, და ენლილმა, ცისა და დედამიწის მეუფემ, ქვეყნის ბედ-იღბლის განმსჯელმა, ენლილობა ყველა ხალხის მიმართ ჩააბარეს ეას პირველ შვილს მარდუქს, განადიდეს ის იგივეთა შორის, ბაბილონს უწოდეს მისი დიადი სახელი, გახადეს იგი უძლიერესი ქვეყნის ოთხივე ნაწილში, დაამყარეს მასში სამართლიანობა სამეფო ხელისუფლება... მაშინ მე, ხამურაბი, დიდებული, ღვთისმოშიში ხელმწიფე, იმისათვის, რათა ქვეყნად ბრწყინავდეს სამართლიანობა, რათა მოისპონ კანონდამრღვევნი და ბოროტმოქმედნი, რათა ძლიერმა არ შეავიწროოს სუსტი... მომიწოდეს ანუმ და ენლილმა ხალხთა საკეთილდღეოდ».

ამას მოსდევს ხამურაბის მეფობის დროს მომხდარი ძირითადი ფაქტებისა და მოვლენების ვრცელი ჩამოთვლა, დასახელება იმ ქალაქებისა, რომლებიც მან დაიპყრო და რომელთა მეცხოვრებთ მან «კეთილდღეობა» მიანიჭა, აღნიშვნა იმ ტაძრებისა, რომლებიც აგე-

ბული ან აღდგენილ იქნენ მის დროს. პროლოგი მთავრდება ხამურაბის შემდეგი განცხადებით: «როდესაც მარდუქმა გამგზავნა ხალხის გამგებლად და ქვეყნისათვის კეთილდღეობის მისანიჭებლად, მე დავამკვიდრე ქვეყნად კანონი და სამართლიანობა და ხალხს მივანიჭე კეთილდღეობა». მხოლოდ ამ სიტყვებით უკავშირდება პროლოგი კანონთა ტექსტს. პროლოგის სხვა ადგილები უშუალოდ არ არის დაკავშირებული კანონებთან. ამის შემდეგ იწყება საკუთრივ კანონთა ტექსტი. პროლოგი წარმოადგენს მაღალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოების ნიმუშს.

მაგრამ პროლოგის მთავარი მნიშვნელობა მაინც ის არის, რომ იგი წარმოადგენს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ძვირფას მატრიანეს, რომელშიც შემონახულია უშუამდინარეთის უძველესი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება ძველი ბაბილონის ისტორიის ბევრი საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა.

კ ა ნ ო ნ თ ა ე პ ი ლ ო გ ი. რაც შეეხება ეპილოგს, იგი წარმოადგენს ხამურაბის პოეტურ ხოტბას, რომელიც უშუალოდ მისდევს კანონთა ტექსტს. იგი იწყება ხამურაბის შემდეგი განცხადებით: «აი სამართლიანი კანონები, დადგენილი ძლევაშემოსილი მეფის ხამურაბის მიერ, რომელმაც დაამყარა ქვეყნად ჭეშმარიტი ბედნიერება და კეთილი მართვა-გამგეობა». ეპილოგის ამ სიტყვებს მოსდევს ხამურაბის ქება-დიდება, სადაც ნათქვამია, რომ იგი არის «შეუღარებელი მეფე», რომელმაც თავისი სიბრძნითა და სიძლიერით განდევნა მტრები ქვეყნიდან, ჩააქრო უთანხმოება, ქვეყანას კეთილდღეობა მიანიჭა. სამართლიანობისა და მართლმსაჯულების დამკვიდრების მიზნით მან შეადგინა კანონთა ძეგლი და დადგა იგი ე-საგილას ტაძარში. თავისი ღვაწლისა და დამსახურების ჩამოთვლას ხამურაბი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: «მე — მეფე, აღზევებული მეფეთა შორის, სიტყვები ჩემი დიდებულია, ჩემი ძლიერება უბადლოა».

შემდეგ კანონმდებელი თხოვნითა და რჩევით მიმართავს თავის მემკვიდრეებს, რომ ნუ გააუქმებენ მის სჯულდებას, ნუ დაამახინჯებენ ძეგლზე ამოკვეთილ მის სიტყვებს, ნუ შეცვლიან ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, პატივი სცენ მის სიტყვებს, მარად იხსენიებდნენ მის სახელს კანონთა ძეგლზე მისი გამოსახულების წინაშე ე-საგილას ტაძარში. ვინც პატივისცემით მოეკიდება სჯულდებას, იგი კეთილგონიერი და სამართლიანი მეფე იქნება და მას ღმერთი გაუზრძელებს მეფობის წლებს. ხოლო მას, ვინც შეცვლის

ან დაამახინჯებს სჯულდებას, იქნება ის მეფე, მმართველი თუ სხვა კაცი, საშინელი წყევლა-კრულვით შეაჩვენებენ ბაბილონის უზენაესი ღმერთები. ამის შემდეგ ჩამოხვლილია ბაბილონის ღმერთები და მოცემულია წყევლის ფორმულები, რითაც მთავრდება კანონთა ეპილოგი.

ეპილოგი მთლიანად დაკავშირებულია კანონთა ტექსტთან. იგი გვაუწყებს, რომ ქვეყნიდან მტრების გაძევების, უმერისა და აქადის ხალხის დაპყრობის და ქვეყნის გაერთიანების შემდეგ ხამურაბიმ ხალხის დასამშვიდებლად გამოაქვეყნა კანონთა კრებული. ეპილოგში არა ერთგზის ხაზგასმითაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ კანონების შედგენა ხამურაბის შემოქმედებაა, მისგან გამოდის, მას ეკუთვნის, რომ იგი არის კანონმდებელი, ანუ «სამართლიანი» მეფე. ეპილოგში ჩამოყალიბებულია სჯულმდებლობის მიზნები, განსაზღვრულია მათი შეფარდება, ღვთიური ლოცვით უზრუნველყოფილია კანონმდებლობის მარადიულობა და საშინელი წყევლა-კრულვით შეჩვენებულია მისი დამახინჯებისა და დარღვევის ყოველგვარი ცდა.

პროლოგი და ეპილოგი დაწერილია პოეტური ენით, ძველი ჰიმნოგრაფიული და ეპიკური ლიტერატურის ნიმუშების ყაიდაზე და, როგორც ზემოთ ითქვა, წარმოადგენს მაღალი რანგის ლიტერატურის პირველხარისხოვან ნაწარმოებს.

კ ა ნ ო ნ თ ა ტ ე ქ ს ტ ი. ხამურაბის კანონთა ტექსტი 282 მუხლისაგან შედგება. თვითონ ძეგლზე ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის. კანონთა ყველა თანამედროვე გამოცემაში მიღებულია მუხლებად ტექსტის ის დაყოფა, რომელიც მოცემულია ხამურაბის კანონების პირველი გამომცემლის, ფრანგი ასირიოლოგის შ ე ი ლ ი ს გამოცემაში. შეიღმა 1902 წელს პარიზში გამოსცა კანონთა ორიგინალის გაშიფრული და ფრანგულ ენაზე თარგმნილი ტექსტი¹. შეილის მიზანი იყო ყოველი კანონი მოეთავსებინა განსაზღვრულ მუხლში, რომელიც შეიცავს კაზუსის აღწერას (დისპოზიციას), ე. ი. ჩამოყალიბებულია პირობის სახით, და რომელსაც თან მოსდევს დასკვნა (სანქცია). მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ მოხერხდა კანონთა მთელი ტექსტის ამ პრინციპით დაყოფა. ზოგიერთი მუხლი შეიცავს დაქვემდებარებულ პუნქტებს, რომლებიც აღნიშნული უნდა იყოს როგორც დამატებითი მუხლი ან როგორც ქვემუხლი. რამდენიმე მუხლს აკლია პირობის ფორმა (დისპოზიცია).

¹ Delegation en Perse. Mémoires... Tome IV, Paris, 1902

ამავე დროს ერთმანეთისაგან გამოყოფილია რამდენიმე ისეთი მუხლი, რამელთა შინაარსი აშკარად მოითხოვს, რომ ისინი გაერთიანებულ იქნენ ერთ მუხლად. ეს შეცდომა განსაკუთრებით შეინაშნება მაშინ, როდესაც მუხლში მოხსენიებული არ არის საგანი და ამიტომ წინა მუხლის საგანი აუცილებლად გადმოტანილი უნდა იქნეს მომდევნო მუხლში ანდა მაშინ, როცა მომდევნო მუხლის საგანი იდენტურია წინა მუხლის საგნისა ნაცვალსახელის მეშვეობით.

ხამურების კანონების სისტემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: კანონთა ტექსტი იწყება სასამართლო წარმოების საკითხებით (მუხ. 1—5), რომელსაც მოსდევს საკუთრების საკითხების მოწესრიგებისადმი მიძღვნილი მუხლები (6—126). ამას მოჰყვება ქორწინებისა და ოჯახისადმი მიძღვნილი მუხლები (127—195). ამ ნაწილს აგრძელებს პიროვნების დაცვისადმი (დანაშაულნი პიროვნების წინააღმდეგ) მიძღვნილი მუხლები (196—214), რასაც მოჰყვება კანონთა უკანასკნელი ნაწილი, რომელიც მიძღვნილია შრომისადმი და შრომის იარაღებისადმი. ამრიგად, ხამურების კანონები შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან შედგება: 1. სასამართლო, 2. საკუთრება, 3. ქორწინება და ოჯახი, 4. პიროვნების დაცვა, 5. შრომის იარაღები¹.

კანონთა ტექსტი დალაგებულია მუხლებად საკითხების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით:

დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ: ტყუილი ბრალდება 1 — 2; ცრუმოწმეობა — 3 — 4; გადაწვეტილების გაყალბება — 5;

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ: ქურდობა და ნაქურდული ქონების მიღება — 6—13; ბავშვის მოტაცება — 14; გაქცეული მონების შეფარება — 15—20, სახლის გატეხა და ძარცვა — 21—24; ცეცხლმოკიდებული სახლის გაძარცვა—25.

მიწა და სახლები: მხედართა უძრავი ქონების მფლობელობა — 26—41; მიწათმოქმედთა მოვალეობანი — 42—48; მიწათმოქმედთა ვალები — 49—52; მიწის მორწყვასთან დაკავშირებული დანაშაული — 53—56; ჯოგის უნებართვოდ მოძოვება — 57—

¹ ს. ფ. კეჩეკიანი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაწ. I, 1946 წ. გვ. 117—118.

58; ხეების მოჭრა — 59; ბაღის მოვლა-გაშენება — 60—66; სახლების მფლობელობის უფლების დარღვევა — 67, 71, 78.

ვაჭრობა და კომერცია: ვაჭართა ხესხი — 89 — 96; სავაჭრო აგენტები — 100—107, სამიკიტნოს შესახებ — 108—111; ძალითობა — 112; სესხის უზრუნველყოფა — 113—119; მინაბარი (შენახვა) — 120—126.

ქორწინება, ოჯახი და საკუთრება: ცილისწამება — 127; გათხოვების ცნება — 128; მრუშობა — 129 — 132; ტყვედწაყვანილის ცოლის გათხოვება — 133—136; განქორწინება — 137—143; ქორწინებაგარეშე თანაცხოვრება მხევალთან — 144—147; ავადმყოფი ცოლის შენახვა — 148—149; ქმრის საჩუქარი ცოლს — 150; მეუღლეთა პასუხისმგებლობა ვალისათვის — 151—152; ქმრის მოკვლა — 153; სისხლის აღრევა — 154—158; საქორწინო ხელშეკრულების დადება — 159—161; საქორწინო გამოსასყიდის დაბრუნება — 162—164; მამის საჩუქარი ვაჟს — 165; ვაჟების მემკვიდრეობა — 165—167; ვაჟებისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევა — 168—169; შვილად აყვანა — 170; ქვრივის საკუთრება — 171—174; თავისუფალი ქალის ქორწინება მონასთან — 175—176; ქვრივის ხელმეორედ დაქორწინება — 177; ქურუმი ქალები — 178—184; მცირეწლოვანის აყვანა და რჩენა — 185—194.

შეურაცხყოფა, სხეულის დაზიანება და ტალიონი: მამის შეურაცხყოფა — 195; სხეულის დაზიანება — 196—208; დარტყმით მუცლის მოშლა — 209—214.

პროფესიის მქონე ადამიანები: დასტაქარი — 215—223; ბეითალი — 224—225; დალაქი — 226—227; ხურო — 228—233; გემთმშენებელი და მეხომალდე — 232—240.

სოფლის მეურნეობა: ხარები — 241—252; თესლის ან საკვების მითვისება — 253—256; მიწათმოქმედის დაქირავება — 257—258; სასოფლო-სამეურნეო იარაღების მითვისება — 259—260; მწყემსის დაქირავება — 261; მწყემსების მოვალეობანი — 262—267; ხარებისა და ურმის დაქირავება — 268—272; მოჯამაგირის დაქირავება — 273;

ქირა: ხელოსნის ქირა — 274; გემის დაქირავება — 275—277.

მონები: მონების გაყიდვა — 278—279; მონების შესყიდვა საზღვარგარეთ — 280—282.

ასეთი თანმიმდევრობით არის დალაგებული საკითხები კანონთა მუხლებში. როგორც ვხედავთ, პირველ რიგში კანონმდებელი იძლევა იმ მუხლებს, რომლებიც ეხება სასამართლო წარმოებასა და

მართლმსაჯულების დარღვევას. შემდეგ მოცემულია კანონთა დაყოფა ცალკეულ ჯგუფებად. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს პირთა გარკვეული კატეგორიები. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ხამურაბის კანონები წარმოადგენს პიროვნებათა მიხედვით შედგენილ სამართლის წიგნს. ასე მაგალითად, კანონები, რომლებშიც აღნიშნული არიან მხედრები, მიწათმოქმედნი, ვაჭრები, სავაჭრო აგენტები, მიკიტნები, დასტაქრები, ბეითლები, დალაქები, ხუროები, გემთმშენებლები, მესომალდენი და მწყემსები, დანაწილებულია ცალკეულ ჯგუფებად და თავმოყრილია ერთ განსაზღვრულ ჯგუფში. ზოგჯერ კანონთა ჯგუფები დალაგებულია საგნის (საკითხის) მიხედვით. ამ შემთხვევაში თვით საკითხი განსაზღვრავს კანონთა თანმიმდევრობას (ნიშნობა, ქორწინება, მრუშობა, განქორწინება, შთამომავლის შექმნა, მეუღლეთა გარდაცვალება და მათი ქონების მემკვიდრეობა). ცხადია, კანონთა ასეთ ცალკეულ ჯგუფებს შორის ძნელია ყოველთვის აღმოვაჩინოთ აუცილებელი კავშირი და გადასვლა, მაგრამ მუხლების დალაგება ჯგუფების შიგნით, როგორც წესი, საერთოდ ბუნებრივი და ლოგიკურია.

შინაარსობლივი კავშირი სხვადასხვა საკითხებისა თუმცა ყოველთვის ნათელი არ არის, ზოგჯერ კი ეს კავშირი მარტო წმინდა სიტყვიერია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩანს კანონმდებლობის ერთი მთლიანი ხაზი. თანაც ეს მთლიანობა კანონმდებელმა შექმნა ისე, რომ არ გამოიყენა კანონთა ტექსტის დაყოფა ცალკეულ თავებად, პარაგრაფებად და მუხლებად¹.

ამასთანავე ხამურაბის კანონების გაცნობის დროს, როგორც ზემოთ ითქვა, ნათელი ხდება, რომ კანონთა ტექსტში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ხარვეზებს, ზოგიერთ შეუსაბამობასა და წინააღმდეგობასაც კი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონთა ტექსტი დალაგებული არ არის სამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების მიხედვით. ამიტომ ხამურაბის კანონები არ წარმოადგენს კოდექსს ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში ხსენებულ კანონთა მიმართ ამ ტერმინსაც იყენებენ.

ძველი ბაბილონის საკანონმდებლო ძეგლები: შუმერული კანონების ფრაგმენტი, შუმერული საოჯახო კანონები, ბილაამის,

¹ დ რ ა ი ე რ ი და მ ა ი ლ ზ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—53.

ლიფიტ-იშთარისა და ხამურაბის კანონები სამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება დალაგებულ იქნეს შემდეგნაირად:

სამოქალაქო სამართალი

ს ა ნ ი ე თ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი: საკუთრების უფლება — 6, 8, 34, 39—40, 71, 138, 142, 155, 172, 176—178; ბილ. 22—23, 36—37; ლიფ. 9—11; შკფ. 4—5; შსკ. 3—4; მფლობელობა — 26—32, 35—41, 71, 150, 171; გირავნობა — 49—50, 66, 114—119, 151; ბილ. 22—24; ლიფ. 14.

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი: ყიდეა-გაყიდვა 7, 9—11, 35, 38, 40, 71; ბილ. 38—40; სესხი — 48—52, 89—96, 99, 151—152; ბილ. — 16—21, იჯარა — 42—47, 52, 60—66, 178; ქირავნობა — 26, 33, 78, 100—101, 215—239, 253—254, 257—261, 263, 271—277; შკფ. 3; შსკ. 7; ლიფ. 34—38; ბილ. 9; მინაბარი — 7, 120—126; ბილ. 36—37; მინდობილობა — 100—107; 112; ლიფ. 17; ნარდად მუშაობა — 228—236, 240; ჩუქება — 34—35, 38—39, 150, 165; ლიფ. 15; გაცელილობა — 41; ამხანაგობა — 99; გადაზიდვა — 236—240; ბილ. 4—6; ზიანის მიყენება 53—59; 225, 250—252, 267; შკფ. 8—9; ლიფ. 34—38; ბილ. 6, 53, 58; დაუძლეველი ძალით მიყენებული ზიანი — 45, 48, 249, 266; ზიანის ანაზღაურება — 53—59, 93, 102, 114, 125, 232—234, 236—238, 240, 247—248, 254—255, 263, 267; შკფ. 3, 6; შსკ. 7; ბილ. 5, 2, 36, 59; ლიფ. 11—13, 34—38; აუნაზღაურებელი ზარალი—45, 48, 103, 249—250, 266; შკფ. 8; ბილ. 37; ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე ვალდებულებანი — 71, 112, 124; ბილ. 9; ლიფ. 17.

საოჯახო სამართალი

ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა: საქორწინო ხელშეკრულება—128, 133, 156, 159—161; შკფ. 6; 25, 27—28; ლიფ. 28—30; მგორე ქორწინება—134—137, 144—146; 172—174; ქორწინება და თანაცხოვრება თავისუფალი კაცისა მხვეალთან და მონისა თავისუფალ ქალთან — 144, 146—147, 175—176; ბილ. 31; ლიფ. 25—26; დაქორწინება ქვრივზე — 173, 177; ქორწინების ბათილობა — 128; ბილ. 27; საქორწინო გამოსასყიდი — 138, 159—161, 163—164, 166; ბილ. 17—18, 15—26; ლიფ. 29—32; საქორწინო საჩუქარი — 159—161;

ვანქორწინება — 134—142; ლიფ. 30; ბილ. 30; შსკ. 5—6; განქორწინების აკრძალვა — 146; ბილ. 59; ლიფ. 28, 30; დაქორწინება მეძავ ქალზე — ლიფ. 27—30; მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობა — 127—153; 156, 161—163, 166—167; 172—174, 176, 178—179, 183; ლიფ. 21, 24—30; ბილ. 18, 59; მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობა — 7, 14, 116, 165, 168—170, 185, 187—193; შვილად აყვანა — 170, 185—188, 187—199; მეურვეობა — 177; ქვრივი ქალი — 171—172, 177; ქურუმის ქალი — 108—110, 127, 137, 144—146, 178—182, 187, 192—193; მეძავი ქალი — 108—109, 111, 181; ლიფ. 27, 30.

მემკვიდრეობის სამართალი

მემკვიდრეობა: ვაჟიშვილებისა — 137, 150, 165—167, 170, 177; შვილებისა — 135, 137, 150, 166—167, 173—175, 177; ლიფ. 20, 24—26, 31—32; ხასის შვილებისა — 183—184; მეძავი ქალის შვილებისა — ლიფ. 27; ქურუმის ქალის ქალიშვილისა — 178—182; ნაშვილებისა — 170, 191; მხედრის მიწის ნაკვეთისა — 27, 29; ძმის სამემკვიდრეო წილისა — 178—181; ბილ. 38; ლიფ. 32; ცოლის სამემკვიდრეო წილისა — 137; სიმამრის სამემკვიდრეო წილისა — ბილ. 18; მემკვიდრეობის ჩამორთმევა — 158, 168—169; ანდერძით მემკვიდრეობის ელემენტები — 38—39, 165, 178—182.

სისხლის სამართალი

დანაშაულები: მკვლელობა — 116, 153, 207, 209—213, 229—231, 251; ბილ. 24, 54, 56, 58; სხეულის დაზიანება — 196—201, 206—208, 218, 220; ბილ. 42—47; ბავშვის მოტაცება — 14; შეურაცხყოფა — 195, 202—214; ბილ. 42; ტყუილი ბრალდება — 1—4, 11, 13, 126—127; ცილისწამება — 126—127, 132, 161; ქურუმის ქალის დანაშაული — 110; გადაწყვეტილების გაყალბება მოსამართლის მიერ — 5; გაძარცვა 22—24; მიივისება — 253—254; ქურდობა — 6, 8—13, 21, 25, 253, 255—256, 259—260; ბილ. 40, 49—50; მცდელობა 12—13; ლიფ. 9; მრუშობა — 129, 133, 143, 153; ბილ. — 28; გაუპატიურება — 130; ბილ. 26; სისხლის აღრევა — 154; ძიძის მიერ ბავშვის შეცვლა — 194; მონობის ნიშნის მოცილება — 226—227; ლაშქრობისაგან თავის არიდება — 26, 33—34; თაღლითობა და ნდობის ბოროტად გამოყენება — 94, 107—108, 265; თვითნებობა — 66, 113; მუცლის მოშლა — 209—214; შკფ. 1—2; ჯადოსნობა — 2; განუცხადებლობა — 109;

მშობლების უარყოფა — შკფ. — 4; შსკ. — 1—2; შვილების უარყოფა — შკფ. — 4—5; შსკ. — 3—4, ცოლის უარყოფა — შსკ. — 6; ქმრის უარყოფა — შსკ. — 5; ცოლის გაგდება — ბილ. 59;

ს ა ს ჯ ე ლ ე ბ ი: სიკვდილით დასჯა — 1—3, 6, 11, 14, 16, 19, 21—22, 25—26, 33—34, 108—110, 129—130, 133, 143, 153, 155, 157; ბილ. 12—13, 24, 26; შსკ. — 5; გამაწბილებელი — 127, 146; შსკ. 1—2, სხეულებრივი — 199, 202, 213—214, 219—220; დამასახიჩრებელი — 192—195, 205, 226, 253; გაძევება — 154, 158, 168—169; შკფ. 4—5, შსკ. 2—4; ქონების ჩამორთმევა — 2, 26; ტალიონი — 21, 25, 116, 192—197, 200, 210, 218, 219, 229—231, 245—246; კომპოზიცია — 5ჩ 8—9, 12, 23—24, 59, 106, 112, 120, 124, 126, 156, 195—201, 203—209, 211—214, 220, 256—260, 265; ბილ. 6, 12—13, 22—23, 31, 35—36, 42—47, 49, 54—57; ლიფ. 9—10, 12—13; შკფ. 1—2; კოლექტიური პასუხისმგებლობა — 23—24.

სასამართლო და პროცესი

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო: 3—5, 9, 12—13, 118, 127, 142, 144, 165, 168—169, 177, 179, 185, 187—188; ბილ. 48, 50, 58; ლიფ. 30.

პ რ ო ც ე ს ი: სარჩელი — 5, 12, 115, 123, 150, 177, 250, 279; ბილ. 30; ტყუილი ან დაუდასტურებელი ბრალდება — 1—4, 13, 126—127, 131—132; ფიცით ჩვენება — 1, 99, 106, 120, 126, 131, 240, 249, 281; ბილ. 22, 37; შკფ. 7; მოწმეები — 3—4, 7, 9—11, 13, 96, 107, 122—124; წერილობითი დოკუმენტები — 5, 7, 37, 47, 48, 52, 66, 93, 104—105, 122—123, 128, 150—151, 165, 171, 177—179; 182—183, 253; ორდალი — 2, 132; თვითგასამართლება (თვითგასწორება) — 2, 9, 21, 25, 54, 129.

ასეთია ძველი ბაბილონის საკანონმდებლო ძეგლების სისტემა. მთელ ამ საკანონმდებლო მასალაში თავისი მოკუთულობითა და მნიშვნელობით მთავარი ადგილი უჭირავს ხამურაბის კანონებს, რომლებშიც შეტანილია უმერუელი და აქადური კანონების დიდი ნაწილი. ამიტომ, როცა ლაპარაკობენ ძველბაბილონური სამართლის სისტემის შესახებ, ჩვეულებრივ გულისხმობენ ხამურაბის კანონთა სისტემას, რომელიც არსებითად შეიცავს ძველ-ბაბილონური სამართლის ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტს.

კ ა ნ ო ნ თ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. ცნობილი ფრანგი ასირიოლოგი შ ე ი ლ ი, რომელმაც პირველად თარგმნა და გამოსცა ფრანგულ ენაზე ხამურაბის კანონები, ამ ძეგლის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ წერდა: «აღმოსავლეთის

გათხრების დასაწყისიდანვე არც ეგვიპტეში, არც ასირიაში, არც ბაბილონში, სხვა, სიძველეებით ნაკლებად მდიდარ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ დღემდე არ არის აღმოჩენილი ისეთი ძეგლი, რომელიც მნიშვნელობით უფრო საგულისხმო და შინაარსით უფრო სრული იყოს, ვიდრე ხამურაბის კოდექსია. ამა თუ იმ ხალხის მეცნიერული გაცნობისათვის ჯერ კიდევ სრულიადაც არ კმარა იცოდე მხოლოდ მისი სახელი, წარმოშობა, მეფეების დინასტიები, სამხედრო ლაშქრობანი, საერთოდ, ასე ვთქვათ, მისი ცხოვრების ზედაპირი. ყურადღებიდან გამოგვრჩება მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, ვიდრე ჩვენ არ გავეცნობით ამ ხალხის შინაგან წყობილებას და კანონებს, რომლებიც წარმართავდნენ მის ოჯახურ ყოფა-ცხოვრებას, სამოქალაქო ურთიერთობას და, საერთოდ, ხალხის მთელ ცხოვრებას. ამ თვალსაზრისით გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ხამურაბის კოდექსი არა მარტო სპეციალურად აღმოსავლეთის, არამედ აგრეთვე მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს»¹.

ხამურაბის კანონების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ეს შეფასება საყოველთაოდ აღიარებულია დღეს ასირიოლოგთა და, საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიოგრაფიაში. ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს ამ კანონებს გამოჩენილი რუსი ორიენტალისტი აკადემიკოსი ბ. ა. ტურაევი. იგი იხილავს ხამურაბის კანონების ბუნებას და აღნიშნავს, რომ ხსენებული კანონები არ დგას თეოკრატიულ საფუძველზე და რომ ამ მხრივ ისინი განსხვავდებიან აღმოსავლეთის სხვა კოდექსებისაგან, რომლებიც არ განასხვავებენ სამართალს ადათისა და ზნეობისაგან. კერძოდ, ხამურაბის კანონები მკვეთრად განსხვავდება მოსეს კანონმდებლობისაგან, რომელშიც მკაფიოდ გამოხატულია რელიგიური გრძნობა. ბიბლიური და ბაბილონური კანონების ზოგიერთი დამთხვევა აიხსნება ბაბილონური სამართლის რეცეპციით პალესტინაში, რომელიც ხამურაბის იმპერიის გავლენის ზონაში შედიოდა. ებრაელი პატრიარქების საოჯახო ურთიერთობანი ხამურაბის კანონების საუკეთესო კომენტარიებია. ბაბილონის კანონმდებლობას ახასიათებს ისეთი ცხოვრების ნიშანთვისებები, რომელიც არაჩვეულებრივად წინ წავიდა თავის განვითარებაში».

¹ Mémoires... Tome IV, Paris, 1902, გვ. II (ციტირებულია ი. მ. ბოიკოვის მიხედვით).

² Б. А. Тураев, История древнего Востока, т. I, 1936, გვ. 113.

მართლაც, ხამურაბის კანონების საერთო ხასიათი სრულიად თავისებურია და ამ მხრივ ისინი უაღრესად განსხვავდებიან ებრაული კანონებისაგან, რომლებიც ასახავს გაცილებით უფრო პრიმიტიულ ურთიერთობებს. ხამურაბის კანონები არ წარმოადგენს რელიგიურ დოკუმენტს რაიმე აზრით, მაშინ როცა მოსეს სამართალი გაელენთილია ღვთისმეტყველური სულით. ამიტომ არ არსებობს საფუძველი ვილაპარაკოთ მოსეს სამართალზე ხამურაბის კანონების მნიშვნელოვანი გავლენის შესახებ, თუმცა აღგილი აქვს ზოგიერთ დამთხვევას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით კანონთა ტექსტები და ფორმულები დამუშავებულია დიდი სიზუსტითა და დახვეწილობით. გადმოცემის ფორმა ნათელი და ლაკონიურია, კანონთა ტერმინოლოგია ზუსტია, თვითეული მუხლი შინაარსობლივად სავსეა, ყოველგვარი მრავალსიტყვაობის გარეშე. ამ მხრივ კანონები წარმოადგენს იშვიათ ნიმუშს, რომლის განმეორება მოგვცა მხოლოდ მონათმფლობელური რომის სამართალმა და იურისპრუდენციამ თავიანთი აყვავების პერიოდში — პრინციპატის პერიოდში.

ძველი ბაბილონის სამართლის ინგლისელი მკვლევარები გ. დ. რ. ა. ე. ვ. ე. რ. ი. და ჯ. მ. ა. ი. ზ. ი. აღნიშნავენ, რომ, როცა 1902 წელს შეიღება პირველად გამოცა ხამურაბის კანონები, მთავარი ინტერესი გამოიწვია არა ამ კანონების შინაარსმა, არამედ მისმა კავშირურთიერთობამ ებრაულ კანონებთან და ეს საკითხი განიხილებოდა ძველი აღთქმის შესწავლის სფეროში. როდესაც აღმოჩნდა, რომ ბიბლიური კანონმდებლობა ნასესხები არ არის ხამურაბის კანონმდებლობიდან და არც მისი პირდაპირი გავლენის შედეგს წარმოადგენს, თუმცა საბოლოოდ შესაძლებელია ორივეს საერთო წყაროები გააჩნდა, ხამურაბის კანონებისადმი ყოველგვარი ინტერესი დაიკარგა ინგლისში. ძველი აღთქმის მკვლევარნი დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ხამურაბი არ წარმოადგენდა ებრაულ სჯულმდებელთა ნიმუშს, და ისინი კმაყოფილებას გრძნობდნენ იმის შეგნებით, რომ ხამურაბის კანონებმა ასე თუ ისე დაადასტურეს, რომ პატრიარქების ეპოქის ცხოვრების სურათი, რომელსაც «დაბადება» იძლევა, ქვეშაირითი იყო.

უნებებიან რა ხამურაბის კანონების მნიშვნელობას ზემოთ დასახელებული ავტორები წერენ:

«თუ რაიმე ღირებულება აქვს ისტორიულ იურისპრუდენციას ან ცივილიზაციის ისტორიას, ხამურაბის კანონები წარმოადგენს

უნიკალური ღირებულებისა და უაღრესად სარწმუნო ხასიათის მქონე ორიგინალურ წყაროს; რადგან შენახულია თვით ძეგლი, რომელზედაც კანონები დაიწერა მისი ბრძანებით 1800 წლის მახლობლად ჩვენ ერამდე. შემონახულია არა მარტო კანონები, არამედ რამდენიმე ათასი იურიდიული დოკუმენტი, რომლებიც შეიცავს კაზუსების, გარიგებათა და ქონების გადაცემათა აღწერებს და რომლებიც აგრეთვე ორიგინალური ტექსტებია. იუსტინიანეს დიგესტამდე არ არსებობს ასე სრული კანონთა კრებული... მიუხედავად მათი სიძველისა, ეს კანონები პრიმიტიული არ არის; ისინი ემყარებიან საღ გონებას და კარგ ლოგიკას, მაგრამ, მსგავსად ინგლისური ადათობრივი სამართლისა, ისინი ინარჩუნებენ პრიმიტიული ადათებისა და რწმენათა კვალს. მათი მიზანი იგივეა, რაც კანონთა ყველა სისტემის: აუწყონ და მისცენ ქვეყანას მართლმსაჯულების წესები. დანაშაულისათვის უნდა მიეზღოს და დანაშაული თავიდან უნდა იქნეს აცილებული... სასჯელები ზოგჯერ სასტიკია, მაგრამ არა უფრო სასტიკი, ვიდრე ინგლისის სისხლის სამართალი 150 წლის წინათ. სახელშეკრულებო სამართალი მარტივი და კარგად განვითარებულია და არ გააჩნია ისეთი მახეები, როგორც აქვს ინგლისის სტატუტებს თაღლითობის შესახებ. ფორმა ბრწყინვალეა, იგი ზუსტია და ნათლად გამოთქმული და არ შეიცავს არავითარ მრავალსიტყვიანობას. კანონი სამოქალაქო მართლდარღვევების ან დელიქტების შესახებ კარგი და სამართლიანია. ხამურაბის კანონები და მათი თანამედროვე საბუთები უნიკალური წყაროა ცივილიზაციის ისტორიისათვის, სახელდობრ, უძველესი ხალხისა და მთელი საზოგადოების ცხოვრების, წეს-ჩვეულებების ისტორიისათვის¹.

ხამურაბის კანონები ძველდამოსავლური საზოგადოების სამართლებრივი აზრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში კანონთა პირველ ვრცელ კრებულს, რომელიც ასახავს მონათმფლობელურ წყობილებას, კერძო საკუთრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას².

ხამურაბის კანონები წარმოადგენს არა მარტო სამართლის მსოფლიო ისტორიის უძველესსა და უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო ძეგლს, არამედ აგრეთვე მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის უნიკალურ საისტორიო წყაროს. ანტიკურ მსოფლიოს კაცობრიობისათვის არ მოუცია უძველესი სოციალური და იური-

¹ დრაივერი და მაილზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57.

² Всемирная история, т. I, 1956, გვ. 295.

დიული ყოფა-ცხოვრების ასე სრულყოფილად ამსახველი სამართლის ძეგლი.

თავის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობით, განვითარების დონითა და იურიდიული ტექნიკით ხამურაბის კანონები შეუდარებლად მაღლა დგას ძველი მსოფლიოს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების მონათმფლობელური სამართლის სხვა ძეგლებზე. როგორც ცნობილია, ხამურაბის კანონები შედგენილია დაახლოებით 400 წლით ადრე, ვიდრე ასირიისა და ხეთების კანონები, 500 წლით ადრე ვიდრე ებრაელთა კანონები, 1300 წლით ადრე, ვიდრე XII ტაბულის კანონები და 2000 წლით ადრე, ვიდრე ძველი ინდოეთის ე. წ. მანუს კანონები. ზემოთ დავინახეთ, რომ ხამურაბის კანონებმა გარკვეული გავლენა იქონია ასირიისა და ხეთების სამართალზე, მისი გავლენა ემჩნევა ძველებზე კანონმდებლობასაც.

საფიქრებელია აგრეთვე, რომ ძველბაბილონურ სამართალს, როგორც პირველწყაროს, გავლენა ექნებოდა ბერძნულ-რომაულ სამყაროზე და მის კანონმდებლობაზე და, შესაძლებელია, სხვა გვიანდელი ხანის ქვეყნებისა და ხალხების სამართალზეც.

ხამურაბის კანონები ძველბაბილონური კანონმდებლობის უმაღლესი საფეხურია მისი განვითარების კლასიკურ ხანაში — ბაბილონის პირველი დინასტიის ხანაში (2000—1600), ამასთანავე იგი წარმოადგენს საერთოდ მონათმფლობელური სამართლის კლასიკურ ძეგლს. ხამურაბის კანონები ღირსშესანიშნავია იმიტაც, რომ იგი არის ძველი დროის ისეთი საკანონმდებლო კრებული, რომელშიც მოცემულია სამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების სისტემატიზაციის პირველი ცდა. მხოლოდ მონათმფლობელური რომის იურისპრუდენციამ და სასამართლო პრაქტიკამ შეძლო საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი იურიდიული ცოდნისა და კანონმდებლობის საფუძველზე შეექმნა უფრო სრულყოფილი იურიდიული ძეგლი — Corpus Juris Civilis. რომელიც შედგენილ იქნა რომის დასავლეთ იმპერიის დაცემის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს დროს.

ხამურაბის კანონების კლასობრივი არსის შეფასებისას უნდა გვახსოვდეს, რომ იგი წარმოადგენს მონათმფლობელური სამართლის ძეგლს, რომელშიც დაკანონებულია კლასობრივი ჩაგვრისა და ბატონობის ურთიერთობანი, სოციალური და უფლებრივი უთანასწორობის პრინციპები, მონათმფლობელთა სრულუფლებიანობა და მონათა უუფლებობა.

კანონთა თარგმანები და გამოცემები. ხამურაბის კანონები, როგორც ზემოთ ითქვა, პირველად ფრანგმა ასირიოლოგმა შეიღმა გამოსცა. 1904 წელს გერმანელმა ასირიოლოგმა პეიზერმა გამოაქვეყნა კანონთა გერმანული თარგმანი, ხოლო 1909 წელს ცნობილმა ასირიოლოგმა უნგნადმა ხელახლა თარგმნა ხამურაბის კანონები გერმანულ ენაზე. უნგნადის თარგმანი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად¹. შემდგომ გერმანულ თარგმანებში მოცემულია მხოლოდ ზოგიერთი ადგილისა და ტერმინის დაზუსტება.

ფრანგი იურისტისა და ასირიოლოგის პ. კრიუველიეს თარგმანი და კომენტარიები აჯამებს ბურჟუაზიული იურისტების (კოლერის, კოშაკერის, კიუკისა და სხვების) მუშაობას ტექსტზე². 1950 წელს ამერიკაში გამოვიდა ტ. მიკის ინგლისური თარგმანი, რომელიც უხვად შეიცავს ქველბაბილონური სამართლის ტერმინოლოგიის ფალსიფიკაციას, მისი შეცვლის ცდას ფეოდალური და კაპიტალისტური ხანის იურიდული ტერმინოლოგიით. ამიტომ აღნიშნული თარგმანი ფაქტიურად გამოუსადეგარია.

უკანასკნელი პერიოდის ინგლისური თარგმანიდან აღსანიშნავია გ. დრაივერისა და ჯ. მაილზის «ბაბილონური კანონები», რომელიც 1956 წელს გამოქვეყნდა ორ ტომად. პირველ ტომში მოცემულია გამოკლევა და კომენტარიები, ხოლო მეორე ტომში — ტექსტის ფოტოპირები და მათი თარგმანი³. აღნიშნული გამოცემა ითვალისწინებს უკანასკნელ წლებში ისტორიკოსების მიერ კანონთა ტექსტზე ჩატარებულ მუშაობას და უკეთეს თარგმანს წარმოადგენს დღემდე ცნობილ ინგლისურ თარგმანთა შორის.

რუსულ ენაზე არსებობს ხამურაბის კანონების ორი სრული თარგმანი. 1914 წელს ი. ვოლკოვმა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ხამურაბის კანონების რუსული თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო უმთავრესად ა. უნგნადის გერმანული გამოცემის მიხედვით. ხოლო 1952 წელს უტრნალში «Вестник древней истории» № 3 და 4-ში დაიბეჭდა ი. დიაკონოვის თარგმანი და კომენტარიები, რომელიც საფუძვლად უდევს კანონთა ტექსტის წინამდებარე ქართულ გამოცემას.

¹ Kohler—Peiser—Ungnad, Hammurabis Gesetz, I—II, 1904—1909 (ტექსტი, თარგმანი, კომენტარიები).

² P. Cruevilhier, Commentaire du Code d'Hammourabi, Paris, 1938 (ტექსტი, თარგმანი, კომენტარიები).

³ G. Driver and J. Miles, The Babilonian Laws, I—II, 1953 (ტექსტი, თარგმანი, კომენტარიები).

ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა

ძველი ბაბილონის საზოგადოების კლასებისა და ცალკეული სოციალური ფენების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ბაბილონის საკანონმდებლო ძეგლები წარმოსახავენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობას მონათმფლობელთა კლასის ინტერესების შესაბამისად. სამართლის წიგნები გვაძლევენ შუამდინარეთის რთული საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ არასრულსა და არაპირდაპირ სურათს.

ბაბილონის საზოგადოება ხამურაბის ეპოქაში ორი ძირითადი კლასისაგან — მონათმფლობელებისა და მონებისაგან შედგება. ეს არის საზოგადოების ძირითადი კლასობრივი დაყოფა. მაგრამ მხოლოდ ამ დაპირისპირებით არ აისახება შუამდინარეთის საზოგადოების რთული კლასობრივი სტრუქტურა. თვით მონათმფლობელთა გაბატონებული კლასის შემადგენლობა ერთნაირი არ არის. იგი იყოფა ცალკეულ სოციალურ ფენებად, რომელთა ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთიმეორისაგან.

განვიხილოთ ძველი ბაბილონის საზოგადოების კლასები და სოციალური ფენები.

1. აველუმი (awêlum). აველუმები შეადგენენ მონათმფლობელთა კლასის სრულუფლებიან ფენას. ამ ტერმინით აღინიშნება სახელმწიფოს ყოველი თავისუფალი სრულუფლებიანი მოქალაქე. ეს სოციალური ჯგუფი აერთიანებს არა მარტო მონათმფლობელებს, არამედ წვრილ მწარმოებლებსაც, რომლებიც შეადგენენ ტერიტორიული თემის თანასწორუფლებიან წევრთა მასას, და თავისი რიგებიდან მუდმივად გამოყოფს არა მარტო მონათმფლობელებს, არამედ მონებსაც. მონათმფლობელები და წვრილი მწარმოებლები ძველ ბაბილონში არ წარმოადგენენ დაპირისპირებულ კლასებს. თემის თავისუფალ მწარმოებელთა მასა თუმცა მონებს არ ფლობდა, მაგრამ ის სოციალური ბაზა იყო, რომელიც წარმოშობდა მონათმფლობე-

ლებს და, ამრიგად, მიეკუთვნებოდა აველუმთა ფენას. მიწის ფლობა თემში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა აველუმისათვის, ე. ი. სრულუფლებიანი მოქალაქისათვის.

ხამურაბის ეპოქის ბაბილონის საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ის არის, რომ აქ ერთმანეთში შერწყმულია საკუთრების თემური ურთიერთობა და საკუთრების კერძო მონათმფლობელური ფორმები. ტერიტორიული თემი აერთიანებდა როგორც აველუმებს — სრულუფლებიან მოქალაქეებსა და მონათმფლობელებს, ისე წვრილ მწარმოებელთა კლასს, რომელსაც ჰქონდა საკუთრება წარმოების საშუალებებზე და პირადი შრომით აწარმოებდა თავის მეურნეობას.

სიტყვა *awilum* ნიშნავს «კაცს», «ადამიანს». ამ მნიშვნელობითაა აველუმი ნახმარი ძველი ბაბილონის საკანონმდებლო ძეგლებსა და კერძოუფლებრივ აქტებში. ხოლო ამ ტერმინის სოციალური მნიშვნელობა, როგორც ითქვა, ის არის, რომ იგი აღნიშნავს თავისუფალ სრულუფლებიან მოქალაქეს.

ბაბილონის სამართლის წიგნების გაცნობისა და შესწავლის დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ სიტყვა «კაცი» კანონთა მუხლებში გამოხატავს იურიდიული ურთიერთობის სრულუფლებიან სუბიექტს, რომ ეს სიტყვა ნიშნავს მხოლოდ აველუმს. სხვა სოციალური ფენის წარმომადგენელს კანონმდებელი აღნიშნავს საკუთარი ტერმინით (მუშქენუმი, ვარდუმი, თამქარა, ქურუმი და სხვ.).

«კაცი» არ შეიძლება ეწოდოს არასრულუფლებიან ან ნახევრად თავისუფალ ადამიანს, «კაცი» მხოლოდ სრულუფლებიან მონათმფლობელს ეწოდება. ამიტომ კანონი განასხვავებს «კაცის» კუთვნილ ყოველგვარ ქონებას სხვა სოციალური ფენის წარმომადგენლის ქონებისაგან. როცა კანონმდებელი ლაპარაკობს აველუმის მონის ან მონა ქალის შესახებ, იგი წერს: «კაცის მონა ან მხევალის მონა ან მხევალი მხოლოდ აველუმს შეიძლება ეკუთვნოდეს და არა სხვა ვინმეს.

ამ მნიშვნელობით არის მოცემული «კაცის მონა ან მხევალის მონა» არა მარტო ხამურაბის კანონებში, არამედ ეშნუნის მეფის ბილალამისა და ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონებშიც.

სამართლის წიგნებში გვხვდება ასეთი გამოთქმები: «კაცის ასული», «კაცის ვაჟი შვილი», «კაცის ცოლი», რომლებშიც იგულისხმება სრულუფლებიანი მონათმფლობელის—ავე-

ლუმის მეუღლე და შვილები; კ ა ც ი ს მიწა, სახნავ-სათესი, ბაღი, სახლი და სხვა ქონება», რაც ნიშნავს აველუმის უძრავ და მოძრავ ქონებას.

კანონთა მუხლების დისპოზიციის ნაწილში მოცემულ სიტყვებში: «უკეთუ კ ა ც ი დაიქირავეს კ ა ც ს», «უკეთუ კ ა ც ი იჯარით აიღებს მიწას», «უკეთუ კ ა ც ი გაცელის ქონებას», «უკეთუ კ ა ც ი იყიდის რ ა მ ე ს ა», «უკეთუ კ ა ც ი ასესხებს კ ა ც ს ა», «უკეთუ კ ა ც ი შესანახად მიაბარებს რამეს», «უკეთუ კ ა ც ი აჩუქებს კ ა ც ს ა», «უკეთუ კ ა ც ს მართებს პროცენტიანი ვალი», უკეთუ კ ა ც ი კ ა ც ს თვალს დაუზიანებს, ძვალს მოსტეხს, კბილს ჩაუმტვრევს, სილას გაარტყამს და სხვ. ტერმინი «კ ა ც ი ა ყველგან ნიშნავს აველუმს — ბაბილონის მონათმფლობელთა კლასის სრულუფლებიანი ფენის წარმომადგენელს.

ამიტომ მცდარია ი. მ. ვოლკოვის მოსაზრება, თითქოს ტერმინით *awēlum* «არაიშვიათად აღინიშნება სხვა საზოგადოებრივი კლასების წარმომადგენლებიც — გააზატებულები და მონები»¹. ნახევრადთავისუფალი გააზატებულებისა და, მით უმეტეს, უუფლებო მონების დაშვება აველუმის ფენაში, სრულიად გამორიცხული იყო.

ძველი ბაბილონის საკანონმდებლო ძეგლები და დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ ტერიტორიული თემის წვრილ მწარმოებელთა ქონებრივი დიფერენცირების და გადატაკების პროცესი საკმაოდ შორს წასულა. ეშნუნის მეფის ბილალამისა და განსაკუთრებით ხამურაბის კანონები არაერთგზის აღნიშნავენ წვრილ მწარმოებელთა გადატაკებასა და მათ ჩავარდნას სავალო კაბალაში. ბილალამის კანონების მთელი რიგი მუხლები (22, 23, 24) ეხება სავალო მონობის საკითხებს. სხვა ადგილას კანონმდებელი აწესებს, რომ «უკეთუ კ ა ც ი გაღარიბდება და თავის სახლს გასცემს ვერცხლში», მყიდველს ფასის გადახდისთანვე უნდა გაუთავისუფლოს სახლიო. როგორც ჩანს, სასამართლო პრაქტიკაში არაიშვიათი იყო შემთხვევა, როცა გადატაკებული კაცი თავის სახლ-კარს ყიდდა, მაგრამ უსახლკაროდ დარჩენის გამო ცდილობდა რამდენადმე გაეჭიანურებინა სახლის განთავისუფლება. კანონმდებელი ამ შესაძლებლობასაც ართმევს მას.

თემის გაჩანაგებულ წვრილ მწარმოებელთა ჩავარდნა სავალო მონობაში დაკანონებულია ხამურაბის სამართლის წიგნის მთელ

¹ И. М. Волков, Законы вавилонского царя Хаммураби, 1914 г., зп. 22 (სქოლიო).

რიგ მუხლებში (54, 114—119). მევახშეობის ზრდის გამო ხამურაბი იძულებულია დააწესოს სესხზე პროცენტების მაქსიმუმი და აკრძალოს ვალაუვალ მოვალეთა სამუდამოდ სავალო კაბალაში ჩაყვარდნა: «უკეთუ კაცს ვალი მართებს და ვერცხლში მისცემს ან სავალო კაბალაში გადასცემს თავის ცოლს, თავის ვაჟიშვილს, ან თავის ქალიშვილს, მათ უნდა იმსახურონ მყიდველის ან გამსესხებლის სახლში 3 წელიწადი; მეოთხე წელიწადს ისინი უნდა გაათავისუფლონ». ვალგადაუხდელი «კაცის» ცოლ-შვილის ვალში გაყიდვა ან სავალო კაბალაში გადაცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ხამურაბის დროს. კანონმა მხოლოდ სავალო მონობის ვადა განსაზღვრა, რომელიც მანამდე უვადო, მუდმივი ყოფილა.

გალატაკებულ წვრილ მწარმოებელთა მეორე ნაწილი, რომელიც მიწის მფლობელობის დაკარგვის გამო თემთან კავშირს წყვეტდა, მაგრამ სავალო მონობაში ჩაყვარდნას თავს აღწევდა, უზარმაზარი სამეფო და სატაძრო მეურნეობის პერსონალში ითქვიფებოდა და არასრულუფლებიანი ხდებოდა.

2. მუშქენუმი (muškēnum) მუშქენუმი სიტყვასიტყვით ნიშნავს «წვრილ მანხალხს». მოსახლეობის ეს კატეგორია მონათმფლობელთა კლასს მიეკუთვნება, მაგრამ აველუმებთან შედარებით ამ სოციალურ ფენას უფრო დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავია.

ტერმინი «მუშქენუმი» ცნობილია ჯერ კიდევ შუმერის ისტორიის I დინასტიის პერიოდიდან (III ათასეულის დასაწყისი). ეშნუნის მეფის ბილაამის კანონებში (XX ს.) «მუშქენუმი» არაერთგზის არის მოხსენიებული. იმავე კანონებიდან ჩანს, რომ მუშქენუმი არის მიწათმფლობელი, მას აქვს თავისი სახნავ-სათესი, ყანა, ბაღი, სახლი, კარმიდამო. კანონი იცავს მუშქენუმის უფლებებს ყოველგვარი ხელყოფისაგან. თუ ქურდს მუშქენუმის ყანაში დაიჭერენ დღისით, დამნაშავემ მუშქენუმს 10 სიკლი ჭერცხლი უნდა მიუწონოს, ხოლო თუ ღამით დაიჭერენ, დამნაშავე უნდა მოკვდეს. ასეთივე სასჯელია დაწესებული ქურდის მიმართ, რომელიც დაკავებული იქნება მუშქენუმის სახლში დღისით ან ღამით. თუ ვინმეს გირაოდ ეყოლება მუშქენუმის ცოლი, დააკავებს მძევალ ქალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს მას, დამნაშავე უნდა მოკვდეს. შესაძლოა მუშქენუმს აღსაზრდელად ჰყავდეს მიბარებული სასახლის მონა ქალის ვაჟიშვილი ან ქალიშვილი. სასახლე მაინც ინარჩუნებს უფლებას აღზრდილის დაბრუნებაზე, რადგან თვით მონა ქალი სასახლის კუთვნილებაა.

აველუმის, ანუ «კაცის» მონებისაგან კანონი განასხვავებს «მუშქენუმის მონას ან მხევეალს» (15, 16, 175, 176, 219) და არამართ მონასა და მონა ქალს, არამედ მუშქენუმის კუთვნილ ყოველგვარ ქონებას. კანონი ჩამოთვლის მუშქენუმის საკუთრების ობიექტებს: «მუშქენუმის სახლი, ყანა, ხარი, ცხვარი, ღორი, ვირი და სხვა ქონება». ხაზგასმით რომ აღნიშნოს «კაცის» და მუშქენუმის არათანასწორუფლებიანობა, კანონი მუშქენუმის ოჯახის წევრებს აველუმის ოჯახის წევრებისაგან განასხვავებს იმით, რომ კანონში ყველგან იხსენიება «მუშქენუმის ცოლი», «მუშქენუმის შვილი», «მუშქენუმის ასული» და სხვ.

თუ რომელიმე თანამდებობის პირი დაიქვრს «მუშქენუმის კუთვნილ გაქცეულ მონას, მხევეალს» ან პირუტყვს, დააკავებს მათ თავის სახლში და არ გადასცემს პატრონს, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს როგორც ქურდმა. ამრიგად, ბილალამის კანონებით მუშქენუმი მონათმფლობელია, იგი გარკვეული ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მქონე პირია. მუშქენუმს ჰყავს მონები, მუშა საქონელი, აქვს კარმიდამო და სხვა ქონება, მამასადამე, იგი თავისი მდგომარეობით მონათმფლობელთა კლასს მიეკუთვნება.

ხამურაბის კანონების მთელი რიგი მუხლები განსაზღვრავს მუშქენუმის პიროვნებისა და მისი ქონების უფლებრივი დაცვის საკითხებს. თუ ვინმე მოიპარავს მუშქენუმის კუთვნილ საქონელს ან სხვა რამ ქონებას, დამნაშავემ მუშქენუმს ნაპარავი ათმაგად უნდა აუნაზღაუროს, ხოლო თუ ქურდს არაფერი აქვს მისაცემი, იგი მოკლულ უნდა იქნეს. ვინც მუშქენუმის მონას ან მონა ქალს გაიყვანს ქალაქის კარებიდან, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ასეთივე სასჯელია გათვალისწინებული იმ პირის მიმართ, რომელიც თავის სახლში დამალავს მუშქენუმის გაქცეულ მონას და არ გამოაჩინს მას შულტას ძახილზე.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მუშქენუმები მონათმფლობელთა კლასს მიეკუთვნებიან, მაგრამ აველუმებთან, ანუ სრულუფლებიან მონათმფლობელებთან შედარებით მათ უფრო დაბალი მდგომარეობა უკავიათ, ისინი მონათმფლობელთა არასრულუფლებიან ჯგუფს შეადგენენ. აველუმი უფრო პრივილეგიური მდგომარეობის პირია, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება უფრო დაფასებულია, ვიდრე მუშქენუმისა.

მუშქენუმების არასრულუფლებიანობა და აველუმებთან შედარებით მათი უფრო დაბალი უფლებრივი მდგომარეობა დაკანონე-

ბულია სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლებით. სხეულის დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულ მუშქენუმს დამნაშავემ ჯარიმა უნდა გადაუხადოს, ხოლო როდესაც დაზარალებულის როლში აველუმი გამოდის, დამნაშავე პასუხს აგებს ტალიონის პრინციპის მიხედვით: «თვალი თვალისა წილ, კბილი კბილის წილ». აველუმმა რომ აველუმს თვალი დაუზიანოს, მასაც თვალი უნდა დაუზიანონ; ძვალი რომ გაუტეხოს, მასაც ძვალი უნდა გაუტეხონ; კბილი რომ ჩაუგდოს, მასაც კბილი უნდა ჩაუგდონ, ე. ი. დაზარალებულ აველუმს კანონი უპირატესად იცავს იმით, რომ დამნაშავეს უფარდებს დანაშაულის თანაზომიერ სასჯელს.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა დაზარალებული მხარე მუშქენუმი. უკეთუ აველუმი მუშქენუმს თვალს დაუზიანებს ან ძვალს გაუტეხს, მან უნდა მიუწონოს მუშქენუმს 1 მინა ვერცხლი, ხოლო თუ კბილს ჩაუმტვრევს — 1/3 მინა ვერცხლი. ერთნაირი დანაშაულისათვის ასეთი არათანაზომიერი სასჯელი გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა უფრო მძიმე ბოროტმოქმედებას ჩადენის გამო. ჩხუბის დროს აველუმმა რომ აველუმი მოკლას არაწინასწარი განზრახვით, დაზარალებულის ოჯახს 1/2 მინა ვერცხლი უნდა გადაუხადოს, მაგრამ თუ დაზარალებული ვინმე მუშქენუმთანაა, მაშინ დამნაშავე აველუმმა მის ოჯახს 1/3 მინა ვერცხლი უნდა მისცეს. უკეთუ აველუმი გაარტყამს აველუმის ფეხმძიმე ქალიშვილს და მუცელს მოუშლის მას, დაზარალებულს უნდა გადაუხადოს 10 სიკლი ვერცხლი, ხოლო თუ ქალი მოკვდა დამნაშავე აველუმის ქალიშვილიც უნდა მოკლან. მაგრამ თუ აველუმი გაარტყამს მუშქენუმის ქალიშვილს და მუცელს მოუშლის მას, უნდა მიუწონოს 5 სიკლი ვერცხლი; თუ ქალი მოკვდა 1/3 მინა ვერცხლი.

ამრიგად, ადგილი აქვს აშკარა უფლებრივ უთანასწორობას. აველუმის ქალიშვილის მოკვლისათვის დამნაშავეს ქალიშვილი უნდა მოკლან, მაშინ როცა მუშქენუმის ქალიშვილის მოკვლისათვის მხოლოდ ფულადი ჯარიმა დაწესებული 1/3 მინა ვერცხლის ოდენობით. მუშქენუმის ქონებრივი ხელმოკლეობა აველუმთან შედარებით იმითაც გამოიხატება, რომ მკურნალობისათვის ექიმს იგი ორჯერ უფრო ნაკლებ გასამრჯელოს უხდის, ვიდრე აველუმი. მძიმე ქრილობის ან დაზიანებული თვალის მორჩენისათვის აველუმმა მკურნალ ექიმს 10 სიკლი ვერცხლი უნდა გადაუხადოს, ხოლო მუშქენუმმა — 5; გატეხილი ძვლის შეზრდისა და სიმსივნის მორჩენისათვის აველუმი იხდის 5 სიკლ ვერცხლს, ხოლო მუშქენუმი 2 სიკლს.

ასეთია ყველა ის ცნობა, რომელიც შემონახულია მუშქენუმის შესახებ ზემოხსენებულ ორ საკანონმდებლო ძეგლში — ბილაამისა და ხამურაბის კანონებში.

მაგრამ ამასთან ერთად მოიპოვება ხამურაბის ეპოქის სხვა დოკუმენტური მასალაც. სახელდობრ, ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა სახის კერძო წერილები. რომლებშიაც მოხსენიებული არიან მუშქენუმები. ერთ კერძო წერილში ავტორი სწერს ადრესატს, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს მისი თხოვნა: «ვანა შენ არ იცი, რომ მე მუშქენუმი ვარ», «ვანა შენ არ იცი ჩემი დამოკიდებული მსახურეული მდგომარეობა». სხვა წერილში ავტორი ამბობს: «ჩემი მუშქენუმობის გამო მე შემიძლია ვიმსახურო ჩემი ბატონის კარზე». ერთ-ერთ წერილში ვაჟიშვილი სწერს მამას: «როგორც მამაჩემისთვის ცნობილია, მე გავხდი მუშქენუმი; დაე მამა ჩემმა დამაბრუნოს მე თემის უფლებებში იმგვარად, რომ ჩემს წინააღმდეგ არ აღძრავდნენ საჩივრებს». სამსულიუნის წერილში რედუმი, ბაირუმი და მუშქენუმი მოხსენიებული არიან ერთად; თანაც ცხადად ჩანს, რომ მუშქენუმი, ისე როგორც რედუმი და ბაირუმი, მეფის სამსახურში მყოფი ბეგარავალდებული პირია, რომელსაც მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი სამეფო სამსახურის შესრულების პირობით. მონათმფლობელური ასირიის გვიანდელ პერიოდში ასირიელი მოხელე მეფესთან ჩივის რა იმის შესახებ, რომ მას ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამსახურო მიწის ნაკვეთი ჩამოართვა, ამბობს: «მეფემ, ჩემმა ბატონმა, იცის, რომ მე მუშქენუმი ვარ, ვასრულებ მეფის სამსახურს და არ ვშორდები სასახლეს; დაე: მე დამაბრუნონ ჩემი ყანა, რათა შიმშილით არ მოვკვდე».

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მუშქენუმი ეწოდებოდა იმას, ვინც პირობით ფლობდა სამეფო მიწის ნაკვეთს სამსახურისათვის. მეფის ყოველი მსახური, ანუ ბაბილონური გამოთქმით «მონა მეფისა» მუშქენუმად ითვლებოდა, თუკი ის იმავე დროს არ ფლობდა მიწას ამა თუ იმ თემში. მიწის ფლობა წარმოადგენდა აუცილებელ პირობას თემის სრულუფლებიანი მოქალაქეობისათვის. მუშქენუმი კი ითვლებოდა არასრულუფლებიან მოქალაქედ, რადგან მას არ ჰქონდა მფლობელობა მიწაზე ტერიტორიულ თემში. მუშქენუმები წარმოიქმნენ თემის იმ გაღატაკებულ წვრილ მწარმოებელთა რიგებიდან, რომლებსაც მიწის მფლობელობის დაკარგვით ეკონომი-

კური დასაყრდენი გამოეცალათ თემში და ისინი იძულებული იყვნენ სამეფო ნაკვეთის პირობითი მფლობელები გამხდარიყვნენ სამსახურის შესრულების პირობით. უზარმაზარი სამეფო მიწის ფონდი დაქუცმაცებულ იქნა პატარპატარა ნაკვეთებად, რომლებიც დასამუშავებლად იცნობდა როგორც სასამსახურო ნაკვეთები ანდა შემოსავლის დიდი ნაწილის ნატურით გადახდის პირობით. სწორედ მიწის ამ ნაკვეთების მფლობელები შეადგენდნენ მუშქენუმთა განსაკუთრებულ უფლებრივ კატეგორიას¹.

მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს ის გარემოება, რომ როგორც ბილაამის, ისე ხამურაბის კანონებში «მუშქენუმი» იხსენიება «სასახლესთან» ერთად. ეშუნის მეფის ბილაამის კანონებში ნათქვამია: თუ რომელიმე თანამდებობის პირი «სასახლის ან მუშქენუმის კუთვნილ გაქცეულ მონას, მხევალს» ან პირუტყვს დაიჭერს, სასახლეში (ეშუნაში) უნდა მიიყვანოსო. ხამურაბის კანონებიც ასეთ კონტექსტში იხსენიებენ მუშქენუმს: ვინც პირუტყვს ან რაიმე ქონებას მოიპარავს, «თუ ეს სასახლისაა», დამნაშავემ 30-ჯერადი ოდენობით უნდა გადაიხადოს, «ხოლო თუ ეს ეკუთვნის მუშქენუმს», უნდა აანაზღაუროს 10-ჯერადი ოდენობით. თუ ვინმე ქალაქის კარებიდან «გაიყვანს სასახლის მონას ან მხევალს, ან მუშქენუმის მონას ან მხევალს», დამნაშავე სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ასევე ისჯება ის, ვინც თავის სახლში დამალავს გაქცეულ მონას ან მხევალს, რომლებიც ეკუთვნიან სასახლეს ან მუშქენუმს».

სამართლის წიგნის 175 და 176 მუხლები აწესრიგებენ სასახლასა და მუშქენუმის მონების დაქორწინებას სოციალური მდგომარეობით თავისუფალ ქალზე და ადგენენ, რომ არც სასახლეს და არც მუშქენუმს, როგორც მონების პატრონს, არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია ასეთი ქორწინებიდან შობილი შვილების მონად გადაქცევის შესახებ. აღნიშნულ მუხლებშიც მუშქენუმი მოხსენიებულია სასახლესთან ერთად: «უკეთუ სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა ცოლად შეირთავს კაცის ასულს» და მათ შვილები შეეძინება, ასეთი წესით უნდა იმოქმედონო.

ყველა ზემოთ დამოწმებულ წყაროში მუშქენუმი იხსენიება ტერმინების «სასახლის მონის» და «სასახლის ქონების» გვერდით. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ

¹ И. М. Дьяконов, Старо-вавилонские законы (Комментарий): Вестник древней истории № 3, 1952 г., гл. 265—267.

მუშქენუმის ძირითად მოვალეობას სამეფო კარზე სამსახური შეადგენს და რომ მუშქენუმი სასახლესთან დაკავშირებული პირია. მეცნიერთა მეორე ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ მუშქენუმი არ არის სასახლესთან დაკავშირებული პირი და როგორც ბილალამის, ისე ხამურაბის კანონების მიხედვით მუშქენუმი შეპირისპირებულია სასახლესთან, რომ ფორმულა «სასახლის ან მუშქენუმის მონა» გამოხატავს სასახლისა და მუშქენუმის შეპირისპირებას და არა მათ კავშირს.

ბილალამისა და ხამურაბის კანონების მიხედვით მუშქენუმების მონები და ქონება, ისე როგორც სასახლისა და ტაძრის მონები და ქონება პრივილეგიური დაცვის უფლებით სარგებლობენ. საისტორიო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო საწყობებში შენახულია «მუშქენუმების მარცვლეული». ცნობილია, რომ ქვეყნის ჩრდილო და სამხრეთ ქალაქებში (სიფარა და სხვ.) იყო მუშქენუმებით დასახლებული მთელი რიგი კვარტალები.

ყველა ზემოთ აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მუშქენუმების კატეგორია საქმიანობით, სამსახურებრივი მდგომარეობით დაკავშირებული იყო სამეფო კართან, მის მეურნეობასა და სამსახურთან.

სპეციალურ ისტორიულ-იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრება მუშქენუმის სოციალური ბუნების შესახებ.

სამართლის შედარებითი ისტორიის გამოჩენილი გერმანელ მკვლევარი ი. კოლერი ხამურაბის კანონების გერმანულ თარგმანში სიტყვა «მუშქენუმს» გადმოგვცემს სიტყვით «მინისტერიალი». კოლერის აზრით მუშქენუმების საზოგადოებრივი მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც შუა საუკუნეების მინისტერიალები, რომლებიც სასახლის მსახურნი იყვნენ.

ი. მ. ვოლკოვი, რომელმაც რუსულ ენაზე პირველად თარგმნა ხამურაბის კანონების სრული ტექსტი, სიტყვა მუშქენუმს თარგმნის როგორც «вольнотпушеник-ს», ე. ი. გააზატებულს. მისი აზრით მუშქენუმები არიან სასახლისა და ტაძრის ყოფილი მონები, რომლებიც შემდეგში თავიანთი ბატონისაგან გააზატებულ იქნენ, მაგრამ სრული თავისუფლება ვერ მიიღეს, წინანდელ ბატონთან დარჩნენ კლიენტურ ურთიერთობაში და, ამრიგად, ვერ მოიპოვეს სამოქალაქო სრულუფლებიანობა. გააზატებული მუშქენუმები ნახევრადთავისუფალნი იყვნენ. ამასთან ერთად მუშქენუმთა კატეგორიას ი. ვოლკოვი «საზოგადოებრივ კლასს» უწოდებს, რაც, ცხა-

დია, შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგან მუშქენუმები ცალკე საზოგადოებრივ კლასს არ შეადგენდნენ, არამედ როგორც დავინახეთ, მონათმფლობელთა კლასის ერთ-ერთ, აველუმებთან შედარებით უფრო დაბალ, სოციალურ ფენას. არასწორად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე აზრი იმის შესახებ, რომ მუშქენუმები უმრავლეს შემთხვევებში შედგებოდნენ სასახლისა და ტაძრების ყოფილი მონებისაგან. რა თქმა უნდა, შესაძლო იყო გააზატებული მონა ცალკეულ შემთხვევებში მუშქენუმში გამხდარიყო, მაგრამ მუშქენუმობას ძირითად წყაროსა და ბირთვს გააზატებულები არ შეადგენდნენ. მუშქენუმები, როგორც ეს ამჟამად დამტკიცებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, გამოდიოდნენ თემის გალატაკებულ წვრილ მწარმოებელთა ფენიდან. ამიტომ «მუშქენუმის» როგორც «გააზატებულის» გაგება მცდარად უნდა ჩაითვალოს.

აკად. ვ. სტრუვეს აზრით «მუშქენუმად უნდა ვიგულისხმოთ იმ ქალაქებისა და ოლქების მცხოვრებნი, რომლებიც დაპყრობილნი იყვნენ ბაბილონის მიერ (შუმერისა და სხვათა მცხოვრებნი)»¹. აკად. ვ. სტრუვე სთვლის, რომ «მუშქენუმი» სიტყვა-სიტყვით ნიშნავს «ქვეშევრდომს». მუშქენუმი ეწოდება დაპყრობილი შუმერული ქალაქების მოქალაქეებს, რომლებიც ბაბილონის სახელმწიფოს არასრულუფლებიანი ქვეშევრდომები იყვნენ. აველუმი კი იყო სრულუფლებიანი პრივილეგიური ფენა, რომელშიც შედიოდნენ მეომრები, ამორეველთა, ე. ი. ხამურაბის დინასტიის ჩამომავალნი და სხვ. ამასთან ერთად აკად. ვ. სტრუვე ფიქრობს, რომ მხოლოდ მუშქენუმის მონა არის მონა, რომელიც იმყოფება კერძო მფლობელის ხელში, ხოლო აველუმთა მონები კი უთანაბრდებოდნენ თვით მეფის ან ტაძრის ქონებას და განიხილებოდნენ როგორც ტაძრებას ან სასახლის საკუთრება. კერძო საკუთრების უფლება მონებისა და მოძრავი ქონების მიმართ ჰქონდათ მხოლოდ მუშქენუმებს და არ ჰქონიათ აველუმებს. ავტორის ეს დასკვნა ემყარება ხამურაბის კანონების 15, 16 და 175, 176 მუხლებს, სადაც სამჯერ მეორდება სასახლის მონისა და მუშქენუმის მონის შეპირისპირება, — «ს ა ს ა ხ ლ ი ს მ ო ნ ა ან მ უ შ ქ ე ნ უ მ ი ს მ ო ნ ა», ხოლო აველუმის მონების შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგრამ ავტორის ეს დამოწმება ვერ გამოდგება იმის მტკიცების საფუძვლად, რომ აველუმებს არ ჰქონიათ საკუთრება მონებზე, რადგან სამართლის წიგნის მთელ რიგ მუხლებში (199, 205, 223, 252, 278—280) გათვალისწინებულია აველუმის, ანუ «კ ა ც ი ს მ ო ნ ა ან მ ხ ს ნ ე ლ ი», ხო-

¹ ვ. ვ. სტრუვე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, 1946 წ., გვ. 111.

ლო სხვა მუხლებში ლაპარაკია მონების შესახებ საზოგადოდ, მაგრამ სრულიად არ იხსენიება მუშქენუმის მონა.

ძველი აღმოსავლეთის საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა უმრავლესობა არ იზიარებს აგრეთვე აკად. ვ. სტრუვეს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მუშქენუმები იყვნენ ხამურაბის მიერ დაპყრობილი შუმერული მოსახლეობის (ლარსის სამეფოს) წარმომადგენლები. საისტორიო წყაროებიდან არ ჩანს, რომ ლარსის სამეფოს მცხოვრებნი უფლება შეზღუდულნი, არათანწორუფლებიანი ქვეშევრდომები იყვნენ. აქედან ცხადია, რომ არასწორად უნდა ჩაითვალოს «მუშქენუმის» გაგება როგორც «ქვეშევრდომისა». უმჯობესია სიტყვა «მუშქენუმი» ხმარებულ იქნეს გადაუთარგმნელად, ისე როგორც «რედუმი», «ხაირუმი», «დექემი», «ლებუთუმი» და სხვ.

არ არსებობს აგრეთვე მონაცემები იმის შესახებ, რომ სწორედ ამორეველნი, რომელთაგან წარმოიშვა ხამურაბის დინასტია, შეადგენდნენ ძველბაბილონური საზოგადოების იმ გაბატონებულ ფენას, რომელიც აღინიშნება სიტყვით *awánuum* — «კაცი». იმდროინდელ საისტორიო დოკუმენტებში დაცული საკუთარი სახლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამორეველნი, რომლებიც ბაბილონის მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ, მოსახლეობის სხვა ფენებშიაც შედიოდნენ.

ასეთია ძირითადი მოსაზრებანი, რომლებიც გამოთქმული იყო სპეციალურ ლიტერატურაში მუშქენუმების საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სოციალური ბუნების შესახებ.

3. ქურუმები. ბაბილონის საზოგადოებაში დიდ როლს ასრულებდნენ ქურუმები. ისინი შეადგენდნენ განცალკევებულ კასტას, რომელშიაც შედიოდნენ რელიგიური კულტის მსახურნი: ქურუმები, შემლოცველები, მკითხავეები, ასტროლოგები, მგალობელნი და სხვ. კულტის სამსახური ტაძრებში სრულდებოდა.

ტაძრებს პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდათ შუამდინარეთში. ხამურაბის კანონები საკუთრების პრივილეგიური დაცვის თვალსაზრისით ტაძრისა და სასახლის ქონებას ათანაბრებს და დამნაშავეს ერთნაირ სასჯელს უწესებს. ტაძრის ქონება «ღვთის ქონებაა» და ამიტომ იგი პრივილეგიური დაცვის ობიექტია. ნიშანდობლივია, რომ სამართლის წიგნში ტაძრისა და სასახლის ქონება ყოველთვის ერთად იხსენიება: «ღვთის ან სასახლის ქონება», «თუ ეს ღვთისა ან სასახლისაა» და სხვ. ტაძარი და სასახლე ბაბილონის საზოგადოებაში წარმოდგენდა ორ დიდ მესაკუთ-

რეს, რომლებიც კოლექტიურად ფლობდნენ მიწებსა და მრავალრიცხოვან მონებს.

ტაძრებს ეკუთვნოდა მიწის დიდი მასივი — სახნავ-სათესები, საძოვრები, ბალები და სხვ. ამ მიწებს მონები ამუშავებდნენ, რომელთა კოლექტიური ექსპლოატატორი ტაძრის არისტოკრატია, ქურუმები იყვნენ. მათ ჰქონდათ სამეურნეო მნიშვნელობის შენობები — პურეულის საწყობები, სხვადასხვა საცავები, სახელოსნოები, სავაჭრო დაწესებულებანი. ქურუმები ეწეოდნენ ვაჭრობას და მევანშეობას. ტაძრებისათვის განკუთვნილი იყო სპეციალური გადასახადები, გამოსაღებები და შესაწირავები.

ხამურაბის მიერ ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების გატარების შემდეგ ბაბილონში მნიშვნელოვნად შეიზღუდა ქურუმთა ფუნქციები და უფლებები. რეფორმა უწინარეს ყოვლისა შეეხო ქურუმთა სასამართლოს. ხამურაბამდე იუსტიციის დარგში გაბატონებული მდგომარეობა ქურუმთა სასამართლოს ეკუთვნოდა. საერო სასამართლოები იმ დროს არ არსებობდნენ. რეფორმის გატარების შედეგად ქურუმთა სასამართლოს ჩამოერთვა უმნიშვნელოვანეს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის უფლება და იგი გადაეცა საერო სასამართლოებს, რომლებიც დაარსებულ იქნა ხამურაბის მიერ. მაგრამ ქურუმთა სასამართლოს მთლიანად არ დაუქარგავს სასამართლო დაწესებულების ფუნქცია და იგი შენარჩუნებულ იქნა სატაძრო სასამართლოს სახით.

ხამურაბამდე ქურუმები დიდ როლს თამაშობდნენ ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის დარგშიც. ისინი ასრულებდნენ სახელმწიფოთა მმართველობის მთელ რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ საზეიმო დღესასწაულებზე მეფეებს თიარა (თავსამკაული) უნდა მოეხადათ ქურუმთა წინაშე, რომ შემდეგ ისევ მიეღოთ ქურუმთა ხელიდან. მაგრამ სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მიზნით ხამურაბის მიერ განხორციელებულმა ადმინისტრაციულმა რეფორმებმა მმართველობის ფუნქციებიც თითქმის მთლიანად გამოაცალა ხელიდან ქურუმთა წოდებას. გარდა ამისა, ხამურაბის კანონები ტაძრებს აკისრებს ვალდებულებას ტყვედჩავარდნილი მხედრების გამოსყიდვისა. თუ ტყვედწაყვანილ მხედრებს — რედუმს ან ბაირუმს არაფერი აქვს სახლში თავის გამოსასყიდად, «იგი უნდა გამოისყიდონ მისი სოფლის ტაძარშიო», ნათქვამია კანონში.

აღსანიშნავია, რომ ხამურაბის კანონებში ქურუმები თითქმის არ იხსენიებიან. კანონი განასხვავებს მხოლოდ ქურუმ და ტაძრის მე-
ძვე ქალთა კატეგორიებს.

ისინი მეფის ლიფიტი-ნიშთარის კანონები იხსენიებენ ქურუმ ქალთა სამ კატეგორიას. ქურუმ ქალთა ერთ კატეგორიას ეწოდება ენთუმი, ანუ «ღვთის ქალბატონი», მეორეს — ნადითუმი, ანუ «ღვთის ხასა», ხოლო მესამეს — კადითუმი, რომელიც წარმოადგენს ტაძრის მეძვე ქალთა უმაღლეს კატეგორიას, შემდგარს წარჩინებული ქალებისაგან.

ხამურაბის სამართლის მიხედვით ნადითუმი შეადგენს ქურუმ ქალთა ისეთ კატეგორიას, რომელსაც წილი აქვს სამეფო მიწაზე და იხდის სამხედრო ბეგარას (ილკუმს). ნადითუმს შეუძლია გაყიდოს თავისი სახნავ-სათესი, ბაღი და სახლი. ასეთ შემთხვევაში მყიდველმა უნდა იხადოს სახნავ-სათესის, ბაღისა და სახლის მფლობელობასთან დაკავშირებული ბეგარა. მხოლოდ ბაბილონის მფარველი ღმერთის მარდუქის ნადითუმს, ანუ მარდუქის ტაძრის ქურუმ ქალს არ ეკისრება სამხედრო ბეგარის გადახდა, ალბათ, იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რაც ამ ტაძარს ჰქონდა ძველბაბილონურ ღვთაებათა პანთეონში. გარდა ენთუმისა და ნადითუმისა, სასამართლოს წიგნში ნახსენებია აგრეთვე ტაძრის მეძვე ქალთა ერთი კატეგორია, რომელსაც ზიქრუმი ეწოდება. ხამურაბის კანონების მიხედვით ქურუმ ქალთა სამივე კატეგორია — ენთუმი, ნადითუმი და ზიქრუმი ინარჩუნებს სამემკვიდრეო წილის უფლებას მამის უძრავ ქონებაზე. კანონი სასტიკად სჯის ენთუმ ან ნადითუმ ქურუმ ქალს, რომელიც შევა სამიკიტნოში მაგარი სასმელის (სიქარუს) დასალევად.

ქურუმთა გარკვეულ ნაწილს გადაცემული ჰქონდა სამეფო მიწის საბეგრო ნაკვეთები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამხედრო (ილკუმ) ბეგარის გადახდასთან. იურიდიულად სატაძრო მეურნეობა სამეფო მიწის ფონდში შედიოდა. მაგრამ ფაქტიურად ტაძრებს ყოველ თემში დიდძალი საკუთარი მიწები ჰქონდათ და მსხვილ მიწათმფლობელებად და მეევანშეებად ითვლებოდნენ.

ქურუმთა დიდი როლი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აიხსნებოდა იმ განსაკუთრებული ადგილითა და მნიშვნელობით, რომელიც რელიგიურ იდეოლოგიას ჰქონდა ძველბაბილონურ საზოგადოების საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაში.

4. **თამქარი.** თამქრები შეადგენდნენ ბაბილონის საზოგადოებას ვაკართა ზედა ფენას. თამქარი არის დიდი, მდიდარი ვაჭარი. მისი ფუნქციები და მოვალეობანი მრავალმხრივი იყო. თამქრის საქმიანობაში შეერთებული იყო სახელმწიფოებრივი და კერძო საწყისები. იგი იყო სახელმწიფო მოსამსახურე — მეფის სავაჭრო აგენტი, ხარკის ამკრეფი და მევახშე. თამქრის ფუნქციას შეადგენდა სახელმწიფო გადასახადთა და გამოსაღებთა აკრეფა და მათი ხაზინაში შეტანა, ვაჭრებისა და სავაჭრო აგენტებისათვის სესხის მიცემა და სხვ. თამქარს ჰყავს თავისი ხელქვეითი სავაჭრო აგენტი შამალუმი, რომელსაც აძლევენ დავალებებს, აგზავნიან სავაჭროდ სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში.

ძველი ბაბილონის პერიოდი ხასიათდება სასაქონლო ფულადი ურთიერთობის, ვაჭრობისა და მევახშეობის მძლავრი განვითარებით. ეს გარემოება განსაზღვრავდა ვაჭართა დიდ როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ბაბილონის საისტორიო წყაროები თამქარს იხსენიებს ჯერ კიდევ III ათასეულში. მას იცნობს ეშნუნის მეფის ბილაამის კანონებიც, რომლებიც უკრძალავს თამქარს მონის ან მონა ქალის ხელიდან ვერცხლის, მატყლის, ზეთის ან სხვა რამ ქონების მიღებას.

ხამურაბის კანონების მიხედვით თამქარს, როგორც სახელმწიფო სავაჭრო აგენტს, განსაკუთრებული უფლებები აქვს მინიჭებული. მის განკარგულებაშია სამეფო მიწის ნაკვეთი, რისთვისაც იგი სამხედრო ბეგარას (ილკუმს) იხდის. მხედრებისათვის გაცემული ე. წ. ილკუმ ქონების გაყიდვა, გაცვლა, ანდერძით გადაცემა ან სხვა წესით გასხვისება აკრძალულია. მაგრამ კანონი გამონაკლისს უშვებს თამქრის მიმართ: «თამქარს... შეუძლია გასცეს თავისი სახნავ-სათესი, თავისი ბალი, თავისი სახლი ვერცხლში», ოღონდ იმ პირობით, რომ მყიდველმა უნდა იხადოს სახნავ-სათესის, ბალისა და სახლის მფლობელობასთან დაკავშირებული ბეგარა (ილკუმა). თამქარს ილკუმ ქონების არა მარტო გაყიდვა, არამედ ყიდვაც შეუძლია, რადგან იგი კისრულობს მიწის მფლობელობასთან დაკავშირებულ გადასახდელთა შეტანას ხაზინაში. კანონი ავალდებულებს თამქარს, რომ მან გამოისყიდოს მეფის ლაშქრობის დროს სხვა ქვეყანაში ტყვედწაყვანილი მხედარი, რომელმაც შემდგომ თავისი ქონებით უნდა გამოისყიდოს თავი თამქრის წინაშე. მაგრამ თუ მხედარს არაფერი აქვს თავის გამოსასყიდად, მაშინ სოფლის ტაძარმა ან სასახლემ უნდა მისცეს თამქარს გამოსასყიდი თანხა. მხედრის გამოსყიდვა საქვეყნო მოვალეობაა, რომელიც თამ-

ქარს ან მის აგენტს — შამალუმს ეკისრება სხვა ქვეყნებში სავაჭრო მოგზაურობის დროს. უკეთუ თამქარი ან მისი აგენტი უცხო ქვეყანაში იყიდის მონას ან მონა ქალს და ბაბილონში მოიყვანს, თუ აღმოჩნდება, რომ მათ ბაბილონში თავისი ბატონი ჰყავთ, მონის ბატონს შეუძლია მისცეს თამქარს მის მიერ გადახდილი თანხა და გამოისყიდოს თავისი მონები.

თამქრები ხელმძღვანელობენ ფართო სავაჭრო ოპერაციებს მოსაზღვრე ან შორეულ ქალაქებსა და ქვეყნებში. მათ ამ საქმისათვის როგორც ითქვა, ჰყავთ სპეციალური სავაჭრო აგენტები, რომლებსაც შ ა მ ა ლ უ მ ი ეწოდებათ. თამქრის რწმუნებით და მინდობილობით ისინი სავაჭროდ უცხო ქვეყნებში მიემგზავრებიან. თამქარი შამალუმს აძლევს ვერცხლს საქონლის შესასყიდად; ვერცხლი შეიძლება იყოს პროცენტიანი ან უპროცენტო. თამქრის დავალებით შამალუმს გასაყიდად მიაქვს სხვადასხვა სახის საქონელი — პური, მატყლი, ზეთი და სხვ. თამქარსა და შამალუმს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მრავალნაირი უფლება-მოვალეობა წარმოიშობა. ყველა ამ ოპერაციაში თამქარი გამოდის არა კერძო პირის, არამედ სახელმწიფო სავაჭრო აგენტის როლში.

ხამურაბის კანონების მთელი რიგი მუხლებიდან ჩანს, რომ თამქარი არის აგრეთვე მევახშე. მევახშეობა მისი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. თამქარს გასესხებული აქვს ფული პროცენტით ან უპროცენტოდ შამალუმზე, მიწის მუშაზე, ბაღის პატრონზე და სხვ. ის არა მარტო ფულს, არამედ პურს, ზეთს, მატყლს, სპილენძს და სხვა სახის საქონელსაც იძლევა სესხად. მას მევახშეობის ფართო ქსელი აქვს გაბმული. ბევრი ხელმოკლე და ვალუვალი მოვალე მევახშე თამქრის კლანკებში, მის საველო კაბალაში ვარდება. კანონი ცდილობს შეზღუდოს მევახშე თამქრების გაუმადლარი მადა, შეაჩეროს წვრილ მწარმოებელთა ქონებრივი გადატაკება, რისთვისაც განსაზღვრავს გასესხებულ ფულზე და პროდუქტებზე პროცენტის მაქსიმუმს და პროცენტის გადამეტებით აღებისათვის აწესებს ქონებრივ სასჯელს. თამქრის საველო კაბალაში ვარდება მოვალის ცოლი, ქალიშვილი, ვაჟიშვილი, მონა, მხევალი, რომლებიც იმყოფებიან თამქართან, როგორც მძევალი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უზრუნველყოფისათვის. როგორც ჩანს, ხამურაბამდე ვალუვალი მოვალე ან მისი ოჯახის წევრი თამქრის მულმივ კაბალაში ვარდებოდა. კანონმა საველო კაბალის ვადა 3 წლით განსაზღვრა. თვით ეს ფაქტი მოწმობს მევახშეობას ფართო გავრცელებას და იმას, რომ თამქართა ხელში თავმოყრილი

იყო დიდძალი ფული და სიმდიდრე და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიურად მათგან იყო დამოკიდებული.

5. ვარდუმი (wardum). ბაბილონის საზოგადოების ექსპლოატირებულ კლასს შეადგენდნენ მონები, რომლებსაც ვარდუმები ეწოდებოდათ. მონები ბაბილონში სახელმწიფოს, ტაძრებისა და თემების კოლექტიურ მფლობელობაში იყვნენ. მეფისა და ტაძრის მონები ჰყავდათ ცალკე ყაზარმებში, ე. წ. «პატიმრის სახლში». სასახლისა და ტაძრის კუთვნილი მონები ასრულებდნენ იძულებით საქვეყნო სამუშაოებს. რაც შეეხება კერძო მფლობელობაში მყოფ მონებს, მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო. მონათა კერძო მფლობელობა უმთავრესად შინასამსახურულ-პატრიარქალური მონობის ხასიათს ატარებდა.

მონათა ძირითადი მასა შეადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას. ბაბილონის მეფე საგვარეულო და მსახურულ დიდუცობასა და ქურუმებს მიწის გადაცემასთან ერთად მონებსაც გადასცემდა ხოლმე.

მონობის უძველეს სახეს შუამდინარეთში, ისე როგორც ყველგან, წარმოადგენდა ე. წ. პატრიარქალური მონობა, რომელიც დაკავშირებულია პატრიარქალური ოჯახის არსებობასთან¹. ოჯახის ამ ფორმის დროს მის ბატონ-პატრონად ითვლება ოჯახის მეთაური—მამა. მას დიდი უფლებები აქვს ოჯახის წევრების მიმართ. ოჯახის წევრი შეიძლება გაყიდული, დაგირავებული, გაძევებული და მოკლულიც კი იქნეს ოჯახის უფროსის განკარგულებით. ოჯახის მეთაურის მიერ ოჯახის წევრის მონად გაყიდვა, მისი ვალში დაგირავება, ან ოჯახიდან გაძევება გათვალისწინებულია ძველი ბაბილონის კანონებითაც.

მონობის მთავარ წყაროს ბაბილონში შეადგენდა წვრილ-მწარმოებელთა გადატაკებული ფენა, რომელიც ვალში ჩავარდნის გამო ქონებასთან ერთად პირად თავისუფლებასაც კარგავდა და მონათა კლასში გადადიოდა. ეს იყო მონობის ძირითადი და მუდმივ მასაზრდოებელი წყარო. ტერიტორიული თემი წვრილ მესაკუთრეთა ქონებრივი დაცემის შედეგად თავისი რიგებიდან სისტემატურად გამოყოფდა მონების მასას. ეს პროცესი დამახასიათებელია მონათმფლობელური ბაბილონის მთელი ისტორიისათვის.

ძველი ბაბილონის სახელმწიფო სამხედრო-ბიუროკრატიული მანქანა იყო. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა სხვა სახელმწიფოთა ხალხებისა და ტერიტორიების დაპყრობა,

¹ Маркс и Энгельс, Соч., т. XIV, зб. 451.

ანუ, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, «მეზობელ ხალხთა გაძარცვა»¹, ბაბილონი აწარმოებდა გამუდმებულ ომებს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. შუამდინარეთში მოედინებოდა დაპყრობილი ქვეყნებას სამხედრო ტყვეები. ისინი მონობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდნენ. ტყვედწაყვანილი მხედარი მონა ხდებოდა და ბატონის კერძო საკუთრებაში გადადიოდა. ხამურაბის კანონები არა ერთგზის იხსენიებენ ლაშქრობის დროს ტყვედ წამოყვანილ მხედრებს.

მონობა თაობიდან თაობაზე შთამომავლობით გადადიოდა. მონის ან მონა ქალის შვილისათვის მონობა თანდაყოლილი მდგომარეობა იყო, რომელსაც შვილები მშობლებისაგან მემკვიდრეობით ღებულობდნენ. ეს იყო მონობის მესამე მნიშვნელოვანი წყარო ბაბილონში. მემკვიდრეობითი მონობის შესახებ ბაბილონის კანონმდებლობამ საკმაო ცნობები შემოგვინახა. ეშნუნის მეფის ბილალამის კანონები ადგენენ: თუ ვინმე მხევალს შეაცდენს, როცა მისი შვილი გაიზრდება და მას მხევლის «ბატონი დაინახავს», ის უნდა მიუყვანონ ბატონს. მხევალი ბატონის საკუთრებაა და მისი შვილიც ბატონს ეკუთვნის. ამავე კანონებით სასახლის მხევლის შვილებიც სასახლეს ეკუთვნის და არ შეიძლება აღსაზრდელად მათი სხვაგან მიბარება.

მაგრამ სხვა მდგომარეობაა იმ შემთხვევაში, როცა მხევალი შვილებს შობს თავისი ბატონისაგან. კანონი ადგენს, რომ ბატონის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს არ შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზია მხევლის შვილების მონად გადაქცევის შესახებ. ასევე, თუ სასახლის მონამ ან მუშქენუმის მონამ ცოლად შეირთო თავისუფალი ქალი და მას შეეძინა შვილები, სასახლეს ან მუშქენუმს არ შეუძლია მოითხოვოს ამ შვილების მონებად გახდომა, მაშასადამე, თუ მხევალს თავისი ბატონისაგან ან თავისუფალ ქალს მონისაგან შვილი შეეძინება, იგი არ ითვლება მონად.

სავალო მონობა შუამდინარეთში ცნობილი იყო უძველესი დროიდან. ცნობები ასეთი მონობის არსებობის შესახებ შემონახულია ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებშიც, რომელიც ითვალისწინებს ვალში გირაოს სახით მოვალის ცოლის ან მხევლის მიცემას. სავალო კაბალას ენება ხამურაბის კანონებიც. უკეთუ კაშხალის პატრონის სიზარმაცით კაშხალი გაირღვევა და წყალი ყანას წალეკავს, მან თემის დაზარალებულ წევრებს დალუპული მოსავალი უნდა აუნაზღაუროს. მაგრამ თუ ანაზღაურებას ვერ შეძლებს, მაშინ «ის

¹ Маркс и Энгельс, Соч., т. IX, гл. 347.

და მისი მოძრავი ქონება უნდა გაიყიდოს ვერცხლში» და მიღებული თანხა დაზარალებულებმა ერთმანეთს შორის უნდა გაიყონ. ამრიგად, ვალაუვალ მოვალეს მონად ჰყიდიან.

მევახშეობის უჩვეულო განვითარება და სავალო კაბალაში ჩავარდნილთა რიცხვის კატასტროფული ზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა ბაბილონში ხამურაბის წინა ხანებში, იწვევდა წერილ მწარმოებელთა შეუჩერებელ გაჩანაგებას და მათ გადაქცევას მონებად.

გალატაკება წერილი მწარმოებლებისა, რომლებიც ბაბილონის ჯარის ძირითად ბირთვის შეადგენდნენ, და მათ ხარჯზე მონათა რიცხვის ზრდა საშიშროებას უქმნიდა თვით მონათმფლობელურ სახელმწიფოს, ძირს უთხრიდა ქვეყნის სამხედრო ძლიერებას, იწვევდა მეურნეობის მოშლას.

ამიტომ ხამურაბი იძულებულია გააუქმოს ვალუვალ მოვალეთა სამუდამოდ სავალო მონობაში ჩავარდნა. კანონები სპობენ მუდმივ კაბალას და აწესებენ სავალო მონობის სამი წლის ვადას. ამ ხნის განმავლობაში მოვალემ თავისი მუშაობით უნდა აანაზღაუროს ვალი. ამასთან დაკავშირებით ხამურაბის კანონები ადგენენ: უკეთუ კაცს ვალი მართებს და «ვერცხლში მისცემს ან სავალო კაბალაში გადასცემს თავის ცოლს, თავის ვაჟიშვილს ან თავის ქალიშვილს», მათ მყიდველის ან გამსესხებლის სახლში უნდა იმსახურონ 3 წელიწადი; მეოთხე წელიწადს ისინი უნდა გაათავისუფლონ. ამ დადგენილების მთავარი მიზანი მევახშეობის შეზღუდვა და სავალო მონობის ზრდის რამდენადმე შეჩერება იყო. სხვა საკითხია, რამდენად მოქმედი და ბრძოლისუნარიანი იყო თვით ეს კანონი, ჰქონდა თუ არა მას რეალურად იმის ძალა, რომ საჭირო წინააღმდეგობა გაეწია მევახშეობისა და სავალო მონობის ზრდისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს კანონი გამოხატავს ბაბილონის სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას და ამ ხელისუფლების სურვილს ებრძოლოს ბაბილონის სახელმწიფოსათვის საშიშ მოვლენას — სავალო მონობის შეუჩერებელ ზრდას.

ხამურაბის კანონებიდან ჩანს, რომ კრედიტორს დაგირავებულა ჰყავს მოვალის ცოლი, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, მონა, მხევალი, რომლებიც «მძევლები» არიან და სავალო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენენ. უკეთუ ვალი გადახდილი არ იქნება, დაგირავებული

ადამიანები რჩებიან კრედიტორის განკარგულებაში, როგორც სავალო მონები, კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

მონობის ერთ-ერთ ნაკადს შეადგენდნენ სხვადასხვა დანაშაულთა გამო მსჯავრდადებული პირნი. ზოგჯერ დამნაშავეს გამაწილებელი სასჯელის სახით დაასვამდნენ მონობის ნიშანს, რითაც იგი პირად თავისუფლებას კარგავდა და თავისი მებატონის საკუთრებაში გადადიოდა.

შუმერული საოჯახო კანონები ითვალისწინებენ თავხედი და მშობლების ურჩი შვილის, რომელიც თავის დედ-მამას უარყოფს, მონად გადაქცევას. მშობლების უარყოფელ შვილს „უნდა გაპარსონ საფეთქლები, დაასვან მონობის ნიშანი“ და მისცენ ვერცხლში. როცა კანონი ამბობს, რომ დამნაშავეს „უნდა გაპარსონ საფეთქლები“ ეს იმას ნიშნავს, რომ მას გამაწილებელი სასჯელის სახით არგუნეს მონობა. ხამურაბას კანონების მიხედვით ცილისმწამებელს, რომელმაც ვერ დაამტკიცა თავისი ნათქვამი სიტყვები, „უნდა გაპარსონ საფეთქლები“. ე. ი. დაასვან მონობის, უპატიობის ნიშანი; ცოლი, რომელიც დაიწყებს ხელგაშლილად ცხოვრებას და ოჯახის გაჩანაგებას, მხევალი ხდება, ხოლო ქმარი ირთავს მეორე ცოლს. ზოგჯერ დამნაშავეს გადასცემდნენ თვით დაზარალებულს, რომელიც მას მონად აქცევდა.

ბაბილონის სამართალი მონობის კიდევ ერთ წყაროს იცნობს. ეს არის ადამიანის მონად გაყიდვა. ადამიანის მონად გაყიდვას კანონი უწოდებს «ვერცხლში მიცემას», რაც სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება მოხდეს (დანაშაულის ჩადენა, ქონებრივი ზიანის მიყენება, ვალის გადაუხდელობა და სხვ.). ადამიანის ვერცხლში მიცემას, ანუ გაყიდვას, ითვალისწინებს შუმერული საოჯახო კანონები იმ შვილის მიმართ, რომელიც თავის მამას ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი მამა»; ასეთი დამნაშავე უნდა გაიციეს მის სრულ ფასად». ხამურაბის კანონების 54-ე მუხლის მიხედვით, თუ კაცმა ვერ შეძლო მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, იგი «უნდა გაიყიდოს ვერცხლში», ე. ი. გაყიდულ იქნეს მონად.

ასეთი იყო მონობის ძირითადი წყაროები ძველ ბაბილონში. ხამურაბის ეპოქაში ფართოდ გავრცელებულა მონების ყიდვა-გაყიდვა, რაც არა ერთხელ იხსენიება სამართლის წიგნში. მონებს ყიდის და ყიდულობს აველუმი, მუშქენუმი, თამქარი და სხვა მონათმფლობელები. სავალო კაბალაში აყვანილი მონა ან მხევალი თამქარს შეუძლია «მისცეს ვერცხლში», ე. ი. გაყიდოს, სადაც მოისურვებს.

დავალიანებულ კაცს ყოველთვის შეუძლია «ვერცხლში მისცეს თავისი მხევალი», და არა მარტო კაცს, არამედ «ქალბატონსაც შეუძლია გასცეს იგი ვერცხლში». უკეთუ კაცი იყიდის მონას ან მხეველს, ნათქვამია კანონში, და მას ერთი თვის გასვლამდე აღმოაჩნდება ბნედა, მყიდველს შეუძლია დაუბრუნოს იგი მის გამყიდველს და მყიდველი ღებულობს ვერცხლს, რომელიც მან მიუწონა. ასე ხდებოდა ავზნიანი პირუტყვის გაყიდვის დროსაც.

ხოლო თუ ვინმე იყიდის მონას ან მხეველს და მას მესამე პირი წარუდგენს სავინდიკაციო სარჩელს მონაზე საკუთრების უფლებას შესახებ, ასეთ სარჩელზე პასუხს აგებს მხოლოდ მონის გამყიდველი.

მონათმფლობელი საკუთრების უფლებას ინარჩუნებს სხვა ქვეყანაში გაქცეულ თავის მონებზე. უკეთუ ვინმე იყიდის მტრის ქვეყანაში გაქცეულ ან წაყვანილ ბაბილონელ მონებს ან მონა ქალებს და, როცა ბაბილონში მოიყვანს, მათ იცნობს თავისი ბატონი, ისინი უნდა გადაეცეს მონის ბატონს ყოველგვარი ვერცხლის გაუღებლად. ხოლო თუ მონები ბაბილონელები არ არიან, მაშინ მონას ბატონმა უნდა მისცეს თამქარს ვერცხლი, რომელიც მან გადაიხადა მონაში. ამრიგად, მონათმფლობელები ყიდიან და ყიდულობენ მონებს, როგორც ჩვეულებრივ ნივთს. კანონით დაშვებულია მონის არა მარტო ყიდვა-გაყიდვა, არამედ ყოველგვარი გასხვისება (ანდერძით გადაცემა, გაჩუქება, დაგირავება, გაქირავება და სხვ.).

კუთვნილების მიხედვით მონა შეიძლება იყოს: «სასახლის მონა» (15, 16, 175, 176), «ტაძრის მონა» (6, 8), აველუმის ანუ «კაცის მონა» (116, 199, 205, 223), «მუშქენუმის მონა» (15, 16, 175, 176, 219) და «თამქარის მონა» (115, 119, 280, 281). აქ აღნიშნულია მონათმფლობელთა კლასის ყველა ფენის წარმომადგენელი, რომელსაც კი საკუთრების უფლება აქვს მონაზე.

ბაბილონის სამართალი აკანონებს მონების უუფლებო მდგომარეობას. ეშუნის მეფის ბილალამის კანონების მიხედვით ნიშანდამულ მონებს არა აქვთ უფლება გავიდნენ სასახლის კარებიდან. მონას არ შეუძლია მისცეს ვაჭარს ან მიკიტან ქალს ვერცხლი, მატყლი, ზეთი ან სხვა რამ. ამავე კანონების მიხედვით «მონას არ უნდა მიეცეს სესხი». ლიფიტ-იშთარის კანონებით მხეველის გააზატებულ შვილებს, რომლებიც მხეველს მისი ბატონისაგან შეეძინა, არა აქვთ უფლება მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღონ სამემკვიდრო ქონების წილი.

მონების უუფლებო მდგომარეობა დაკანონებულია ზამურაბის სამართალშიც. არავის არა აქვს უფლება მონისა ან მხეველისა-

გან იყიდოს ან შესანახად მიიბაროს რაიმე (ვერცხლი, ოქრო, პირ-უტყვი და სხვ.). ვინც ამონისაგან მიიღებს შესანახად ვერცხლს, ოქროს, მონას, მხევალს, ხარს, ცხვარს, ვირს ან სხვა რამეს, იგი ქურდია და უნდა მოკლან. კანონი მონას ართმევს რაიმე ნიეთის გასხვისების უფლებას.

მონის მოკვლა და სხეულის დაზიანება არ ითვლება პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, არამედ განიხილება როგორც მონის პატრონისადმი მიყენებული ქონებრივი ზიანი, რომლის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო წესით. ასეთი დანაშაულისათვის კანონი სასჯელს კი არ აწესებს, არამედ ქონებრივი საზღაურით კმაყოფილდება. მაგრამ საზღაური ეძლევა არა მონას, არამედ მის ბატონს, რომელიც «დაზარალდა» მონის მოკვლით ან დასახიჩრებით. ანაზღაურების ასეთი წესი მონის მოკვლისათვის გათვალისწინებულია როგორც ბილალამის, ისე ხამურაბის კანონებშიც. მონისათვის ძვლის მოტეხის ან თვალის დაზიანების გამო დამნაშავემ მონის პატრონს უნდა გადაუხადოს მონის ნაყიდობის ფასის ნახევარი. მონა ქალის მოკვლის ან დარტყმით მუცლის მოშლისათვის საზღაური მის ბატონს ეკუთვნის. მუშქენუმის მონა რომ ექიმს ოპერაციის დროს შემოაკვდეს, მან მუშქენუმს «მონა მონითვე უნდა აუნაზღაუროს». ცუდად ამენებული სახლის ჩამონგრევის გამო რომ მონა მოკვდეს, სახლის ამშენებელმა სახლის პატრონს «უნდა მისცეს მონა მონაში». უკეთუ კრედიტორი ცემის შედეგად მასთან ვალში დაგირავებულ მონას მოკლავს, მონის პატრონს «მან უნდა მიუწონოს 1/3 მინა ვერცხლი».

სამართლის წიგნი არ ადგენს მონათმფლობელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას მონების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედობისათვის, მაგრამ ამავე დროს აწესებს მონების სასტიკ პასუხისმგებლობას მონათმფლობელთა წინააღმდეგ მიმართული უმნიშვნელო ქმედობისთვისაც კი. თუ მონა თავის ბატონს ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი ბატონიო», მონას ყური უნდა მოსჭრან. ასეთივე სასჯელი ედება მონას სოციალური მდგომარეობით თავისუფალი კაცის გარტყმისათვის.

უუფლებო და ყოველმხრივ სულშეხუთული მონები გარბოდნენ მონათმფლობელებისაგან. მონების გაქცევა, როგორც ჩანს, ხშირი მოვლენა ყოფილა. ამიტომ კანონმდებლობა სასტიკად სჯის მას, ვინც შეეცდება გაქცეული მონის დაფარვას და ხელის შეწყობას. მონების გაქცევას იმდენად სერიოზული და საშიში ხასიათი მიუღია, რომ ზოგჯერ მეფე თვითონ მიმართავს ზომებს გაქცეული მონების აღმოსა-

ჩნდა და შესაპყრობად. მთავრობა გაქცეული მონის დაპყრობისათვის აწესებს სპეციალურ გასამრჯელოს. ვინც გაქცეულ მონას ან მხევალს დაიპყრო და მიუყვანს მის ბატონს, მონის ბატონმა მას გასამრჯელოდ უნდა მისცეს 2 სიკლი ვერცხლი.

ლიფიტი-იშთარის კანონები ადგენს: უკეთუ კაცის მონა ან მხევალი გაიქცევა სოფლად და იქ სხვა კაცის სახლში იცხოვრებს ერთ თვეს, ეს კაცი მხილებულ უნდა იქნეს და მან უნდა მისცეს მონის პატრონს მონა მონაში. გაქცეულ მონას არავინ არ უნდა მისცეს თავშესაფარი. მონა უნდა შეიპყროს მისმა მნახველმა და მის პატრონს მიუყვანოს.

როგორც ბილალამის, ისე ხამურაბის კანონებიდან სჩანს, რომ ბაბილონში მეტად განხორციელებულა სასახლისა და მუშქენუმის მონის გაქცევა. უკეთუ რომელიმე თანამდებობის პირი დაიპყროს სასახლის ან მუშქენუმის კუთვნილ გაქცეულ მონას, მხევალს ან პირუტყვს და არ მიიყვანს მათ სასახლეში, არამედ დააკავებს საკუთარ სახლში, თუ შვიდი დღე ან ერთი თვე გავიდა, მაშინ სასახლე მოსთხოვს მას ნაპარევს სასამართლო წესით. ამრიგად, სასახლის ან მუშქენუმის გაქცეული მონის დამალვა იგივე ქურდობაა და დამნაშავემაც ქურდობისათვის დაწესებული სასჯელის მიხედვით უნდა აგოს პასუხი.

განსაკუთრებით მკაცრად სჯის გაქცეული მონის დამალვას ხამურაბის კანონმდებლობა. უკეთუ ვინმე თავის სახლში დამალავს მონას ან მხევალს, რომლებიც ეკუთვნიან სასახლეს ან მუშქენუმს, სასახლის პატრონი უნდა მოკლან. სიკვდილით ისჯება აგრეთვე ის, ვინც დაიპყროს გაქცეულ მონას ან მხევალს, წაიყვანს მათ სახლში და თავისთან დაიტოვებს.

თუ გაქცეულ მონას დაიპყრენ და იგი არ დაასახელებს თავის ბატონს, მონის დამპყრმა მონა უნდა მიიყვანოს სასახლეში, იქ უნდა გამოიძიონ მისი საქმე, დაადგინონ ვის ეკუთვნის მონა და დაუბრუნონ იგი მის ბატონს. ხოლო თუ დაპყრილი მონა გაექცევა ხელიდან, მონის დამპყრმა «უნდა დაუფიცოს ღმერთი «თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან».

ასე შეუქრა ყველგან გზები კანონმდებლობამ გაქცეულ მონებს.

ბაბილონის კანონმდებლობა სისხლის სამართლის სასტიკი ზომებით იცავს მონათმფლობელთა საკუთრების უფლებას მონებზე. მონის მოპარვა და მითვისება მკაცრად ისჯება. ბილალამის კანონების მიხედვით, «ქურდი სწორედ ის არის», ვინც მონას, მხევალს, ხარს ან სხვა რამეს იყიდის, მაგრამ ვერ შეძლებს გამყიდველის

დადგენას, ვერ დაასახელებს და ვერ მოიყვანს იმ კაცს, რომლისგანაც მონა იყო. ხოლო თუ ვინმეს აღმოაჩნდება მოპარული მონა ან მხევალი, მან მონის პატრონს უნდა მიუყვანოს მონა მონაში და მხევალი მხევალში.

მონური მდგომარეობის აღსანიშნავად, როგორც ზემოთ ითქვა, მონებს დაასვამდენ განსაკუთრებულ ნიშანს. მონის ნიშანი გამოხატავდა მის კუთვნილებას, ე. ი. იმას, თუ ვის საკუთრებაში იყო მონა, აგრეთვე იგი განმასხვავებელი და ამოსაცნობი ნიშანიც იყო. მონობის ნიშნის დანიშნულებას შეადგენდა ის, რომ თავიდან აეცილებინათ მონების გაქცევა და სხვა პირთა მიერ მათი მითვისება.

მონური მდგომარეობის გამომხატველი ნიშნები სხვადასხვა იყო. სასახლის მონებს და კერძო მფლობელობაში მყოფ მონებს განსხვავებული ნიშნები ჰქონდათ. ეშუნის მეფის ბილალამის კანონების მიხედვით სასახლის — «ეშუნის» მონებისა და მონა ქალების ნიშნები იყო: ქ ა ნ უ მ ი, მ ა შ ქ ა ნ უ მ ი და ა ბ უ თ უ მ ი. მაშქანუში იყო ხელ-ფეხის ბორკილი, ქანუმი წარმოადგენდა ქედის ბორკილს ანუ სახივს (ხუნდი), ხოლო აბუთუმი ნიშნავდა თმის კონას და, ალბათ, გულისხმობდა შუბლზე ან საფეთქლებზე თმების გაპარსვას. სასახლის მონებს, როცა ისინი შევლენ «ეშუნის კარებში», უნდა დაესვათ ქანუმი, მაშქანუმი და აბუთუმი». ისინი დაცულ უნდა იქნენ თავიანთი ბატონებისათვის და მათ «არ შეუძლიათ გავიდნენ ეშუნის კარებიდან მათი ბატონის დაუკითხავად». ბილალამის კანონმდებლობიდან ჩანს, რომ სასახლის მონები განსაკუთრებით მკაცრი დაცვის ქვეშ იყვნენ. მათი პრივილეგიური დაცვა აიხსნებოდა, საზოგადოდ, სასახლის როლითა და მნიშვნელობით ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ არა მარტო მონები, არამედ სასახლის ყოველგვარი ქონება პრივილეგიური დაცვის ობიექტი იყო. სასახლის მონების ნიშნებიც — ქანუმი, მაშქანუმი და აბუთუმი მონის ჩვეულებრივი ნიშნებისაგან განსხვავდებოდა და გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობის გამომხატველი იყო (ბორკილები ხელ-ფეხზე და კისერზე). სასახლისა და ტაძრის მონებზე საკუთრების უფლების უპირატეს დაცვას აკანონებს ხამურაბის სამართალიც.

რაც შეხება კერძო მფლობელობაში მყოფ მონებს, როგორც ჩანს, მათი კუთვნილების გამომხატველი ნიშანი იყო დაღი. თვითეული მონათმფლობელი საკუთარ დაღს ასვამდა თავის მონებს, მსგავსად პირუტყვისა.

მონებზე დალის დასმა ხდებოდა სხეულის ამოწვით, ამოკვეთით ან სხვა რამ წარუხმოცელი ნიშნით. ცხადია, დალი შეიძლებოდა არაკერძო მფლობელობაში მყოფი მონებისათვისაც დაესვათ, სასახლის მონებს კი, როგორც დავინახეთ, მონური მდგომარეობის განსხვავებული ნიშნები ჰქონდათ დადებული.

მონობის ნიშნის დასმა, როგორც სასჯელი, დაწესებულია შუმერული საოჯახო კანონებითაც, რომელთა მიხედვით დამნაშავეს «უ ნ დ ა გ ა პ ა რ ს ო ნ ს ა ფ ე თ ქ ლ ე ბ ი ა» ან «დ ა ა ს ვ ა ნ მ ო ნ ო ბ ი ს ნ ი შ ა ნ ი» (გრი-რ). ამ ნიშნის მნიშვნელობა უცნობია.

მონობის ნიშნის დასმას ეხება ხამურაბის კანონების მთელი რაგი მუხლები. კანონი იცნობს მონური მდგომარეობის სხვადასხვა ნიშანს. ვინც ცილს დასწამებს კაცის ცოლს ან ქურუმ ქალს მრუშობაში, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ბრალდებას, მას უნდა «გ ა პ ა რ ს ო ნ ს ა ფ ე თ ქ ლ ე ბ ი ა». მხევალი, რომელსაც შვილი შეეძინა თავისი ბატონისაგან, მონობის ნიშანს არ ატარებს, მაგრამ თუ იგი თავს მიიჩნევს თავისი ქალბატონის ტოლად, ქალბატონს შეუძლია «დაადოს მას მონობის ნიშანი და გაათანაბროს სხვა მხეველებთან».

მონობის ნიშნის ჩამოპარსვა ან სხვა რამ გზით მოშლა სასტიკად ისჯება ხამურაბის კანონებითაც. უკეთუ დალაქი მონის ბატონის დაუკითხავად სხვის მონას ჩამოპარსავს მონობის ნიშანს, დალაქს თითები უნდა მოსჭრან. ხოლო ვინც შეცდომაში შეიყვანს დალაქს, მოატყუებს მას და დალაქი სხვის მონას ჩამოპარსავს მონობის ნიშანს, ეს კაცი უნდა მოკლან და ჩაფლან მის კარებთან. დალაქმა კი უნდა დაიფიცოს: «მე ჩამოვპარსე განუზრახველადო» და ის თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

ასეთი იყო მონების მდგომარეობა ძველ ბაბილონში. ამ მდგომარეობიდან კანონი უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს. ერთი შეეხება ვალაუვალი მოვალის სავალო კაბალაში ჩავარდნას. როგორც დავინახეთ, მოვალე მუდმივი მონა არ ხდება. სავალო მონობის ვადა კანონით განსაზღვრულია 3 წლის ვადით; ამ ხნის განმავლობაში მოვალემ თავისი შრომით უნდა აანაზღაუროს ვალი. 3 წლის შემდეგ ის ლებულობს თავისუფლებას. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს შეეხება თავისუფალ კაცს, რომელიც ვალებში ჩავარდა, და არა შთამომავლობით მონებს.

მეორე გამონაკლისი ის არის, რომ, თუ მონა ქალს შვილები შეეძინა მის ბატონთან, ქალი მონობის ნიშანს აღარ ატარებს და ბატონის გარდაცვალების შემდეგ თავისუფლდება მონური მდგომარეობიდან. ამასთან ასეთი მხევალი არ შეიძლება «გაიციეს ვერცხლში»,

ე. ი. გაყიდულ იქნეს. თამქრისათვის სავალო კაბალაში მიცემული მხვეალი, რომელმაც შვილები შობა მისი ბატონისაგან, უნდა გამოისყიდოს მხველის პატრონმა.

ხამურაბის კანონების მიხედვით, თუ კაცს თავისი მეუღლისაგან შვილები ეყოლება და მისი მხვეალიც შობს მისგან შვილებს, მაგრამ მამა თავის სიცოცხლეში არ გაუტოლებს მათ თავისი მეუღლის შვილებს, მაშინ, როცა მამა მოკვდება, მხვეალი და მისი შვილები განთავისუფლებულ უნდა იქნენ. მეუღლის შვილებს არ შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზიები მხველის შვილების მონად გადაქცევის შესახებ. ხოლო თუ მამა თავის სიცოცხლეში მხველისაგან შობილ შვილებს გაუტოლებს თავისი მეუღლის შვილებს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, მეუღლის შვილებმა და მხველის შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მამის სახლის ქონება.

თუ სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა ცოლად შეირთავს სოციალური მდგომარეობით თავისუფალ ქალს და მას ეყოლება შვილები, მონის ბატონს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია ასეთი ქორწინებიდან შობილი შვილების მონად გადაქცევის შესახებ.

თუ მას შემდეგ, რაც მონა და თავისუფალი ქალი შეუღლდებიან, «დასახლდებიან ერთად, შექმნიან ოჯახს და შეიძენენ მოძრავ ქონებას», მონა მოკვდება, ქალმა უნდა მიიღოს მამის სახლიდან მოტანილი თავისი მზითვეი. ხოლო რაც შეეხება ერთად ცხოვრების დროს შეძენილ ქონებას, იგი უნდა გაიყოს ორ ნაწილად: ნახევარი უნდა მიიღოს მონის ბატონმა, ხოლო ნახევარი უნდა გადაეცეს ქვრივ ქალს ბავშვებისათვის. როგორც ვხედავთ, მონას თავისი პეკულიუმი, ანუ ქონება აქვს, რომლის ნაწილი მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცემა მის შვილებს. მაგრამ ასეთი უფლებრივი მდგომარეობა აქვს მხოლოდ სასახლისა და მუშქენუმის მონას, რომელმაც სოციალური მდგომარეობით თავისუფალი ქალი შეირთო.

ამრიგად, სოციალური მდგომარეობით თავისუფალი კაცისა და მონა ქალის ქორწინებიდან წარმომდგარი შვილები, ისე როგორც მონისა და თავისუფალი ქალის შეუღლებიდან შეძენილი შვილები, არ შეიძლება მონებად აქციონ. თუ მამამ თავის სიცოცხლეში არ მიაწინა მათ საკუთარი შვილის უფლებები, მამის გარდაცვალების შემდეგ ისინი თავისუფალნი ხდებიან.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ცალკეულ შემთხვევაში მონას გარკვეული პირადი და ქონებრივი უფლებები ჰქონდა, მას შეეძლო ოჯახის შექმნა და მოძრავი ქონების შეძენა. მაგრამ ასეთი მდგომა-

რეობა მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა და დამახასიათებელი არ იყო მონების უდიდესი უმრავლესობისათვის.

ლიფიტ-იშთარის კანონების მიხედვით მონა შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მონური მდგომარეობიდან, თუ იგი «თავის ბატონს დაუბრუნდება თავის მონურ სამსახურში და ბატონისათვის შეასრულებს თავის მონურ სამსახურს ორმაგად». ამავე კანონით მხევლის ბატონმა შეიძლება გაააზატოს მხევალი და მისი შვილები, რომლებიც მხევალმა თავისი ბატონისაგან შობა. ასეთია ის ორიოდე გამონაკლისი, რაც დაშვებულია კანონით ზოგიერთი კატეგორიის მონების მიმართ.

რა ღირდა მონა? მონის ფასი, როგორც ძველბაბილონური კანონმდებლობიდან და კერძოუფლებრივი აქტებიდან ჩანს, სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო. როცა მონის ფასზე ვლავარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ შუამდინარეთის როგორც ადრინდელი, ისე ხამურაბის დროინდელი კანონმდებლობა ყიდვა-გაყიდვის, გირავნობის, ქირავნობის და სხვა ხელშეკრულებათა განხილვის დროს მონასა და მონა ქალს იხსენიებს პირუტყვთან ერთად. ეშუნნის მეფის ბილაამის კანონებში ნათქვამია: «უკეთუ კაცი იყიდის მონას, მხევალს, ხარს ან სხვა რამეს», მან უნდა დაასახლოს გამყიდველი, ხოლო ვინც «გაქცეულ მონას, მხევალს, ხარს ან ვირს» დაიჭერს, უნდა მიიყვანოს სასახლეში (ეშუნნაში). ხამურაბის კანონების მიხედვით არ შეიძლება მონის ხელიდან შესყიდულ ან შესანახად მიბარებულ იქნეს «მონა, მხევალი, ხარი, ცხვარი, ვირი» ან სხვა რაიმე ქონება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები მონებს ითვლის სულადობის— «თავების» მიხედვით. როცა კანონმდებელს სურს თქვას, რომ გაქცეული მონის დამალვისათვის დამნაშავემ მონის ბატონს უნდა მისცეს მონა მონაში, იგი ამბობს: «უნდა მისცეს თავი თავში». მაგრამ თუ დამნაშავეს «არა აქვს თავი», ე. ი. არა ჰყავს მონა, მან უნდა გადაიხადოს მონის ფასი. ამრიგად მონებს, ისე როგორც პირუტყვს, ანგარიშობენ სულადობის მიხედვით. რამდენი სული, ანუ «თავი» მონაა მითვისებული, მოპარული ან მოკლული, იმდენი «თავი» უნდა აუნაზღაურდეს მონის ბატონს.

ბილაამის კანონებით, რომელიც შედგენილია XX საუკუნის შუა წლებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე, მონის ფასი უდრის 15 სიკლ ვერცხლს (მუხ. 55, 57). ასეთივე ფასია დაწესებული

მონისათვის ლიფიტ-იშთარის კანონებითაც (მუხ. 13), რომელიც შედგენილია იმავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ხამურაბის კანონები აღნიშნულ საკანონმდებლო ძეგლებზე დაახლოებით 200 წლით უფრო გვიანაა შედგენილი. ხამურაბის ეპოქაში, როგორც ეს კანონებიდან ჩანს, მონის ფასს ცოტა მოუმატია. ისიც შესაძლოა, რომ კანონმდებელმა საბაზრო ფასი არ მიიღო მხედველობაში და მთელ სამეფოში ზემოდან დააწესა მონის ერთიანი ფასი. ხამურაბის კანონების მიხედვით მონის ფასი შეადგენს $1/3$ მინა ვერცხლს (მუხ. 116, 214, 252). ერთი მინა ვერცხლი უდრის 60 სიკლ ვერცხლს, მაშასადამე, მონის ფასი შეადგენს 20 სიკლ ვერცხლს. ამრიგად, ხამურაბის დროს მონის ფასი 5 სიკლით მეტი იყო, ვიდრე ბილაამის და ლიფიტ-იშთარის დროს.

მონის ფასი თანამედროვე წონის ერთეულით რომ გამოვხატოთ მივიღებთ შემდეგ სურათს: ერთი მინა ვერცხლი უდრის დაახლოებით 500 გრამს, ხოლო ერთი სიკლი — დაახლოებით 8,4 გრ. ვერცხლს. მაშასადამე, ბილაამის დროინდელი მონის ფასი შეადგენდა 126 გრამ ვერცხლს, ხოლო ხამურაბის დროინდელი — 168 გრამ ვერცხლს. როგორც ვხედავთ, მონის ფასი სხვადასხვა დროს მეტ-ნაკლები იყო. საერთოდ კი მონის ფასი დაბალი იყო და მისი ღირებულება საშუალოდ უდრიდა დაქირავებული ხარის ფასს¹.

6. მხედრები. ბაბილონის მონათმფლობელური მონარქიის სამხედრო-ბიუროკრატიული ხასიათის გამო ჯარსა და სამხედრო სამსახურს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკულ ცხოვრებაში. სამხედრო სამსახური სახელმწიფო ბეგარად ითვლებოდა, ხოლო სალაშქრო სამსახურისადმი თავის არიდება სახელმწიფო დანაშაულად. ბაბილონში სამხედრო მსახურებს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული. მართალია, მხედრები ბაბილონის სახელმწიფოში ცალკე კლასს არ შეადგენდნენ, მაგრამ სამხედრო სამსახურის სპეციფიკური ხასიათის გამო ისინი ეკონომიკურად და უფლებრივად განსხვავდებოდნენ არასამხედრო ბეგარავალდებული მოსახლეობისაგან და, შეიძლება ითქვას, გამოყოფილი იყვნენ მათგან.

ხამურაბის კანონები განასხვავებენ მხედრების ორ კატეგორიას: რედუმი (rēmum) და ბაირუმი (ba'irum). როგორც ერთი, ისე მეორე სამეფო ბეგარავალდებული პირია, რომელსაც მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი სამხედრო სამსახურის პირადად შესრულებას პირობით. ჩვენ არ ვიცით რა განსხვავება არსებობდა მათ შორის.

¹ В. И. Авдиев, *История древнего Востока*, 1953 г., гл. 89.

ფიქრობენ, რომ რედუმი იყო მიმხედ შეიარაღებული ჯარისკაცი, ხოლო ბაირუმი — მსუბუქად შეიარაღებული.

მხედრებს ჰყავთ თავიანთი უფროსები, რომლებსაც დექუმი (lêkûm) და ლუბუთუმი (lubbutûm) ეწოდებათ. როგორც ერთი, ისე მეორე ჯარისკაცთა მეთაურნი, ალბათ, ოფიცრები იყვნენ. დექუმი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს «შემკრებს», «მოლაშქრეს», ხოლო ლუბუთუმი — «ძლიერ კაცს», ორივე მხედართუფროსად ითვლება.

რედუმთან და ბაირუმთან ერთად კანონში (36—38, 41) იხსენიება აგრეთვე შემოსავლის მიმტანიც (nâši biltim) ეს არის ბეგარავალდებული პირი, რომელსაც სამეფო მიწაზე მიღებული აქვს ნაკვეთი ჭირნახულის დიდი ნაწილის გადახდის პირობით. კანონი ადგენს, რომ რედუმის, ბაირუმის ან შემოსავლის მიმტანს სახნავ-სათესი, ბაღი და სახლი არ შეიძლება. გაყიდულ იქნესო. ვინც რედუმისაგან მეფის მიერ ბოძებულ მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის იყიდის, ის კარგავს გადახდილ თანხას.

რედუმს, ბაირუმს და შემოსავლის მიმტანს არ შეუძლია ბეგარასთან დაკავშირებული სახნავ-სათესიდან, ბაღიდან ან სახლიდან გადასცეს რამე თავის ცოლს ან ქალიშვილს ან გასცეს თავისი ვალის დასაფარავად. რედუმს, ბაირუმს ან შემოსავლის მიმტანს შეუძლია მხოლოდ იმ ქონების გაყიდვა, რომელიც მათ შეძენილი აქვთ საკუთარი სახსრებით.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რედუმი, ბაირუმი და შემოსავლის მიმტანი კანონით ერთნაირად არიან შეზღუდულნი მათ მფლობელობაში მყოფი უძრავი ქონების გასხვისების უფლების თვალსაზრისით. არც ერთ მათგანს არ შეუძლია გაყიდოს, გააჩუქოს ან ვალში მისცეს ასეთი ქონება. მაგრამ, როგორც ჩანს, «შემოსავლის მიმტანი» მაინც არ არის სამხედრო მსახური. ის ბეგარავალდებული პირია, მაგრამ არასამხედრო ბეგარავალდებული, იგი მხედრების კატეგორიას არ მიეკუთვნება.

რედუმის ან ბაირუმის ტყვედ წაყვანის შემთხვევაში მისი სახნავ-სათესი და ბაღი უნდა გადაეცეს სხვას, რომელსაც დაეკისრება სამხედრო ბეგარა, ხოლო თუ ის ტყვეობიდან დაბრუნდება, მას უნდა გადაეცეს მისი სახნავ-სათესი და ბაღი და მან თვითონ უნდა იხადოს თავისი ბეგარა. თუ ტყვედწაყვანილ რედუმს ან ბაირუმს გამოისყიდის თამქარი, სახლში დაბრუნებისას რედუმმა ან ბაირუმმა თვითონ უნდა გამოისყიდოს თავი თავისი ქონებით, ხოლო თუ მას არაფერი გააჩნია, მაშინ მისი სოფლის ტაძარმა ან სასახლემ

უნდა გამოისყიდოს იგი. იმ შემთხვევაში, თუ ტყვედწაყვანილი რედუმის ან ბაირუმის ვაეიშვილს შეუძლია იხადოს ბეგარა, სახნავ-სათესი და ბალი მას უნდა მიეცეს და ის მოიხდის თავისი მამის ბეგარას. ხოლო თუ იგი მცირეწლოვანების გამო ვერ შესძლებს იხადოს თავისი მამის ბეგარა, მაშინ სახნავ-სათესისა და ბალის მესამედი უნდა მიეცეს დედამისს, რომელიც გაზრდის მას.

თუ რედუმი ან ბაირუმი ბეგარის სიმძიმის გამო 3 წლის განმავლობაში მიატოვებს თავის სახნავ-სათესს, ბალსა და სახლს და წავა სხვაგან, ხოლო მის შემდეგ სხვა აიღებს მის სახნავ-სათესს, ბალსა და სახლს და იხდის ბეგარას, როცა რედუმი ან ბაირუმი დაბრუნდება, მას არ უნდა მიეცეს თავისი სახნავ-სათესი, ბალი და სახლი. მაგრამ თუ ერთი წლის განმავლობაში დაბრუნდება, მას უნდა მიეცეს მისი სახნავ-სათესი და ბალი.

კანონი სასტიკად სჯის იმ რედუმს ან ბაირუმს, რომელსაც ნაბრძანები აქვს წავიდეს მეფის ლაშქრობაში, მაგრამ არ წავა ან დაიქარავებს ვინმეს და მას გაგზვნის თავის ნაცვლად. ასეთი რედუმი ან ბაირუმი «უნდა მოკლან». ანალოგიური დანაშაულისათვის ასევე აგებენ პასუხს მხედართა მეთაურებიც — დექუმი ან ლუბუთუმი. უკეთუ ისინი შეიძენენ ე. წ. «ამოგდებულ კაცს» ან მეფის ლაშქრობის დროს დაიქარავებენ კაცს და შემცვლელის სახით გაგზავნიან მას, ასეთი დექუმი ან ლუბუთუმი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

ამრიგად, რედუმის, ბაირუმის, დექუმისა და ლუბუთუმისათვის, როგორც სამხედრო მსახურთათვის, აუცილებელია სამხედრო ბეგარის პირადად შესრულება. ამ ვალდებულების სხვაზე გადაკისრება სასტიკად აკრძალულია. ლაშქრობაში გაწვევისაგან თავას არიდებისათვის არა მარტო რიგითი მხედრები (რედუმი, ბაირუმი), არამედ მათი მეთაურნიც (დექუმი, ლუბუთუმი) სიკვდილით ისჯებოდნენ.

მეორე მხრივ, კანონი იცავს სამხედრო მსახურთა უფლებებს. ეს პირველ რიგში შეეხება რიგით მხედრებს, რომლებსაც კანონი იცავს მათი მეთაურების მხრივ ძალადობისა და თვითნებობისაგან. უკეთუ დექუმი ან ლუბუთუმი წაიღებს რედუმის ხაბაკს, ზიანს მიაყენებს რედუმს, გააქარავებს რედუმს, უფრო ძლიერზე გასცემს რედუმს სასამართლოში ან თვითონ წაიღებს საჩუქრებს, რომელიც მეფემ რედუმს უწყალობა, «ეს დექუმი ან ლუბუთუმი უნდა მოკლან».

ამრიგად, კანონი იცავს რედუმისა და ბაირუმის პირად და ქონებრივ უფლებებს მათი მეთაურების — დექუმისა და ლუბუთუმის მხრივ ხელყოფისაგან.

ძველი ბაბილონის კანონმდებლობა იცავს მხედრის საოჯახო უფლებებსაც. ეშნუნის მეფის ბილალამის კანონების მიხედვით, თუ კაცი ლაშქრობაში დაიკარგება თავდასხმის ან დამარცხების დროს ან ტყვედ ჩავარდება და, სახამის უცხო ქვეყანაში იმყოფება, თუ მის ცოლს სხვა შეირთავს და ქალი ბავშვს შობს, როცა ეს კაცი დაბრუნდება, მას შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი. ხამურაბის კანონები სასტიკად უკრძალავს ტყვედწაყვანილი მხედრის ცოლს გათხოვებას, თუკი მას სახლში რაიმე სარჩო გააჩნია. ცოლს შეუძლია გათხოვდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «მის სახლში არ აღმოჩნდება სარჩო». მაგრამ თუ მისი ქმარი დაბრუნდება, ქალი უნდა დაუბრუნდეს თავის პირველ მეუღლეს.

დაბოლოს, მხედრის პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ხამურაბის კანონების ის დადგენილებანი, რომლებიც შეეხებიან ტყვედწაყვანილი მხედრის გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონი ითვალისწინებს მეფის ლაშქრობის დროს ტყვედჩავარდნილი რედუმის ან ბაირუმის გამოსყიდვას. თუ მას უცხო ქვეყანაში მოგზაურობის დროს გამოსყიდის მეფის სავაჭრო აგენტი — თამქარი ან მისი რწმუნებით მისი სავაჭრო აგენტი — შამალუმი, როცა ტყვე დაბრუნდება თავის სახლში, თუ მას არაფერი აქვს თავისი გამოსასყიდი, იგი უნდა გამოისყიდოს «მისი სოფლის ტაძარმა», ხოლო თუ ტაძარს არაფერი აქვს მის გამოსასყიდად, მაშინ იგი «უნდა გამოისყიდოს სასახლე ემ». ამრიგად, ტყვედჩავარდნილი მეომრის გამოსყიდვა წარმოადგენს კანონით დადგენილ სახელმწიფო ვალდებულებას, რომელიც საპირობების შემთხვევაში თვით მეფის სასახლესაც ეკისრება.

ჩვენ დავინახეთ, რომ მხედრები და მათი მეთაურნი შეადგენენ სამხედრო მსახურთა ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებული ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა ჰქონდა ძველი ბაბილონის საზოგადოებაში.

ასეთია მოკლედ ძველი ბაბილონის კლასობრივი სტრუქტურის სურათი.

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი

I. საოჯახო სამართალი

ქორწინება. ძველ ბაბილონში, პირველი ბაბილონური დინასტიის ეპოქაში, როგორც ჩანს, არსებობდა ქორწინების მხოლოდ ერთადერთი ფორმა მონოგამია, რომელიც პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აგრეთვე შუა ასირიის კანონმდებლობის მიხედვითაც.

დაქორწინება ბაბილონში ხელშეკრულებით ხდებოდა. იურიდიული შედეგი მოჰყვებოდა მხოლოდ ისეთ ქორწინებას, რომელიც ხელშეკრულების შედეგი იყო. ფაქტიური თანაცხოვრება მამაკაცისა ქალთან, როგორც ქორწინება, არანამდვილად ითვლებოდა.

ქორწინების ეს წესი შუამდინარეთში არსებობდა დიდი ხნით ადრე ხამურაბამდე. წერილობითი ხელშეკრულება, როგორც კანონიერი ქორწინების აუცილებელი პირობა, გათვალისწინებულია შემერულ კანონებსა და ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებშიც. უკეთეს კაცი ცოლად შეირთავს კაცის ასულს, ადგენს ბილალამის კანონები, არ დადებს მის მამასთან და მის დედასთან შეთანხმებას და წერილობით ხელშეკრულებას, თუნდაც ქალმა მის სახლში ერთი წლის განმავლობაში იცხოვროს, იგი ცოლი არაა.

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები სავსებით ანალოგიურ დადგენილებას შეიცავენ: „უკეთეს კაცი ცოლს შეირთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა.“

მაშასადამე, ძველი ბაბილონის სამართლის მიხედვით ქორწინების მთავარი პირობა, მისი იურიდიული საფუძველი არის წერილობითი ხელშეკრულება. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბაბილონის სამართლის მიხედვით უმნიშვნელოვანესი გარიგებების ნამდვილობისათვის საჭირო იყო ხელშეკრულებების წერილობით

ვაფორმება. ნასყიდობის, გაცვლილობის, დაქირავეების, შენახვისა და ქორწინების შესახებ გარიგებები წერილობითი ხელშეკრულებას სახით უნდა ყოფილიყო შესრულებული. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს წერილობითი ხელშეკრულების მნიშვნელობა საქორწინო ურთიერთობის სფეროში. თუკი საქორწინო ხელშეკრულება დადებული არქნებოდა, ამის შემდეგ თუნდაც რომ გარკვეული დროის განმავლობაში ქალს თავისი მამის სახლში ეცხოვრა, იგი მაინც გათხოვილად ითვლებოდა მანამდე, სანამ საქორწინო ხელშეკრულების გაუქმება არ მოხდებოდა. საქორწინო ხელშეკრულებას ოჯახის უფროსები დებდნენ ჩვეულებრივ მაშინ, როცა «მეუღლეები» ჯერ კიდევ მცირეწლოვანები იყვნენ. ამიტომ გასაგებია, რომ სასიძო და საპატარძლო გარიგების ობიექტებს წარმოადგენდნენ და არა სუბიექტს. ამრიგად, ბაბილონის საქორწინო სამართალი არ მოითხოვს მომავალი მეუღლეების თანხმობას დაქორწინებისათვის; მათი თანხმობა, როგორც ქორწინების პირობა, დაქორწინებისათვის საჭირო არ არის, მათ ეს საქმე არ ეკითხებათ, ამ საქმეს მათი მშობლები განაგებენ. საქორწინო ხელშეკრულების დადება ხდებოდა სასიძოსა და სასიძოს მცირეწლოვანების დროს მათ მშობლებს შორის.

ქორწინების ერთ-ერთ პირობად საქორწინო ასაკი ითვლება. ბაბილონის სამართლის მიხედვით არც საქორწინო ასაკია დაწესებული. ხაშურაბის კანონები და მათი შესაბამისი კერძოუფლებრივი დოკუმენტები გვიხატავენ პატრიარქალური საოჯახო სამართლის სურათს და ეს პირველ ყოვლისა შეეხება საქორწინო სამართლის ზღვროს. ოჯახის უფროსი — მამა განაგებს შვილის ბედს ქორწინების საკითხებში. ჯერ კიდევ III ათასეულის დასაწყისში ბაბილონში ქალისათვის ქორწინება მტკიცედ მონოგამიურია. ქალაქ ლაგაშის პატესი უ რ უ კ ა გ ი ნ ა (დაახლ. 2400 წ.) თავის დამსახურებად თვლის იმ გარემოებას, რომ «წინათ ქალები დაუსჯელად ცხოვრობდნენ ორ მამაკაცთან, ახლა კი მათ ამისთვის წყალში გადააგდებენ», ხაშურაბის კანონებში ქორწინება ქალებისათვის მონოგამიურია.

ძველი ბაბილონის სამართლის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის პ ა უ ლ კ ო შ ა კ ე რ ი ს საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ სავსებით ცხადი გახდა, რომ ბაბილონის სამართალი იცნობს როგორც საქორწინო საჩუქარს — ბ ი ბ ლ უ მ ს, ასევე სასიძოს გამოსასყიდ ფასსაც — თ ე რ ხ ა თ უ მ ს. საქორწინო გამოსასყიდი, ანუ თ ე რ ხ ა თ უ მ ი აღნიშნულია ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებ-

ში (17, 25, 26) და აგრეთვე ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონებშიც (29, 32).

დაქორწინებას წინ უქლოდა აქტი, რომელიც სასიძოს ან მისი მამის მხრით სასძლოს მამისათვის საქორწინო საჩუქრის და ქალის — სასძლოს გამოსასყიდი ფასის გადაცემაში მდგომარეობდა. ეს აქტი წარმოადგენდა ნიშნობას. ხამურაბის ეპოქის დოკუმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასძლოს გამოსასყიდის გადაცემა შეიძლებოდა უშუალოდ ქორწინების დროსაც. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ წინაშეა ყიდვა-გაყიდვითი ქორწინების დამახასიათებელი ნიშნები. გამოსასყიდის — თ ე რ ხ ა თ უ მ ი ს გადაცემის შემდეგ სასძლო უკვე ცოლად იწოდებოდა, ხოლო სასიძო — ქმრად, ცოლის ბატონად. გამოსასყიდის მიღების შემდეგ სასძლოს მამა იწოდებოდა სიმამრად, თუმცა შეიძლებოდა, რომ ქორწინება ჯერ კიდევ არ შემდგარიყო. გამოსასყიდის — თ ე რ ხ ა თ უ მ ი ს გადახდა მხოლოდ ფულით შეიძლებოდა, საქორწინო საჩუქრის — ბ ი ბ ლ უ მ ი ს გადახდა კი შეიძლებოდა ნივთებითაც. ნიშნობის დროს ღებოდა დოკუმენტი, რომელშიაც კონტრაგენტებად გამოდიოდნენ სასიძოს მამა ან თვით სასიძო და სასძლოს მამა. ამ დოკუმენტში აღინიშნებოდა სასძლოსთვის გამოსასყიდისა და საქორწინო საჩუქრის მიღება ქალის ოჯახის მხრით და გარდა ამისა, სასძლოს მამის ვალდებულება ქალის გათხოვების შესახებ.

ნიშნობა წარმოადგენდა თავისებურ საკრედიტო გარიგებას, რომელშიაც კრედიტორად გამოდიოდა სასიძო ან სასიძოს მამა. ხელშეკრულების დამდებ ორივე კონტრაგენტს შეეძლო გარიგების დარღვევა.

ემშუნის მეფის ბილალამის კანონების მიხედვით გარიგებას დარღვევა შეიძლება მოხდეს სასიძოს ან საპატარძლოს გარდაცვალების გამო. ასეთ შემთხვევაში გამოსასყიდი თანხა — თ ე რ ხ ა თ უ მ ი უბრუნდება მის პატრონს. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება მოხდეს საპატარძლოს მამის მხრითაც. უკეთეს სიმამრი თავის სახლში მიიღებს სასიძოს, მაგრამ თავის ქალიშვილს სხვას მიათხოვებს, მან საქორწინო გამოსასყიდი ორმაგად უნდა დაუბრუნოს სასიძოს.

საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა გათვალისწინებულია ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონებითაც. უკეთეს სასიძო სიმამრის სახლში შევა და საქორწინო გამოსასყიდს მიიტანს, მაგრამ მის საცოლეს მის მეგობარს მიათხოვებენ, მას უნდა დაუბრუნონ საქორწინო გამოსასყიდი და მის მეგობარს არ შეუძლია ეს ქალი

ცოლად იყოლიოს. საქორწინო გამოსასყიდს, როგორც ეს ლიფტი-იშთარის კანონების 32-ე მუხლიდან ჩანს, მამა თავის სიცოცხლეში განუსაზღვრავდა უფროს ვაჟიშვილს.

ბილალამისა და ლიფტი-იშთარის კანონების ეს დადგენილებანი საქორწინო გამოსასყიდის შესახებ შემდგომ შეტანილ იქნა ხამურაბის სამართლის წიგნში. ხამურაბის კანონების 159—161 მუხლები ასე განსაზღვრავენ საქორწინო ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობებს: უკეთუ კაცი მიიტანს საქორწინო საჩუქარს თავისი სიმამრის სახლში, მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი იგი სხვა ქალს მიაპყრობს თვალს და ეტყვის თავის სიმამრს: «მე არ წავიყვან შენს ქალიშვილსო», ქალის მამას შეუძლია დაიტოვოს ყველაფერი, რაც მიტანილი იყო მასთან. ხოლო თუ კაცი მიიტანს სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარს და მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი ქალიშვილის მამა ეტყვის: «მე არ მოგცემ ჩემს ქალიშვილსო», მან ორმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც კი მასთან იყო მიტანილი.

უკეთუ კაცი მიიტანს თავისი სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარს, ნათქვამია კანონთა 161-ე მუხლში, მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი მისი მეგობარი ცილს დასწამებს მას და სიმამრი ეტყვის ქალის ბატონს — საქმროს: «შენ ვერ წაიყვან ჩემ ქალიშვილსო», მან უნდა დაუბრუნოს ყველაფერი ორმაგად, რაც მასთან იყო მიტანილი. მისი საცოლე კი მის მეგობარს არ შეუძლია ცოლად შეირთოს.

როგორც ვხედავთ, ძველი ბაბილონის სამართლის მიხედვით საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა ერთ-ერთი მხარის მიერ იწვევდა ხელშეკრულების დამრღვევი მხარისათვის ჯარიმის, ე. წ. «გასამრჯელოს» გადახდევინებას.

ძველ ბაბილონში ხამურაბის ეპოქაში არც ისე ძნელი იყო საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა მონათმფლობელთა კლასის წარმომადგენლებისათვის და საერთოდ მდიდრებისათვის. საქორწინო ხელშეკრულების დამრღვევი მხარე იხდიდა ჯარიმის სახით გარიგების თანხის 100 პროცენტს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულების დადების დროს ბეს მიმღები მხარე დაარღვევს გარიგებას, იგი აბრუნებს ბეს სახით მიღებულ ქონებას ორმაგად.

საქორწინო გამოსასყიდი ეკონომიკური თვალსაზრისით ძველ ბაბილონურ პერიოდში ქალის ფასს უახლოვდებოდა. ქალი განიხილებოდა როგორც სამუშაო ძალა და ტირხატუმის ოდენობა ჩვეულებრივ უდრიდა მონა ქალის საბაზრო ფასს.

ძველი ბაბილონის სამართალი იცნობდა მზითევის ინსტიტუტსაც. სასძლოს თავისი მამისაგან ეძლეოდა მზითევი, რომელსაც ეწოდება შერიკთუმი და რომელიც საქმროს გადაეცემოდა. მზითევი იყო ის მატერიალურ-ქონებრივი ბაზა, რომელსაც ასე თუ ისე უნდა შეემსუბუქებინა ქალის მდგომარეობა ქმრის ოჯახში. მზითევი, როგორც ქონებრივი მასა, ქალის გათხოვებასთან ერთად გადადიოდა მისი ქმრის ოჯახში და წარმოადგენდა ქალის მემკვიდრეობას მისი მამის ქონებიდან. ქალი, რომელსაც მამა ქურუმად ან სატაძრო ხასად შესწირავდა, მშობლების ქონებიდან ლებულობდა მზითევის მსგავს საჩუქარს. ქალი, რომელიც გათხოვებისას მზითევს ლებულობდა, უკვე მონაწილეობას ვერ მიიღებდა მამის ქონების დამემკვიდრებაში მისი სიკვდილის შემდეგ.

ქალის სიკვდილის შემდეგ მის მზითევს მემკვიდრეობით ლებულობს მისი საყუთარი შვილი, მაგრამ მისივე ქმრის შვილს სხვა ქალისაგან არა აქვს უფლება დედინაცვლის ქონებაზე. თუ ქალი გათხოვების შემდეგ უშვილოდ მოკვდება ისე, რომ ქმრის სახლში მზითევი არ ექნება მიტანილი და სიმამრი სიძეს დაუბრუნებს ქალის გამოსასყიდ ფასს, მაშინ სიძეს არა აქვს უფლება სიმამრისაგან მოითხოვოს მზითევი.

მამა ვალდებული იყო მიეცა მზითევი ხასისაგან ნაშობი ქალი-შვილისათვის. თუ მამა ცოცხალი არ იქნებოდა, მაშინ მზითევი ძმას უნდა მიეცა. ხამურაბის კოდექსში ვკითხულობთ: უკეთუ მამა ხასისაგან შობილ თავის ქალიშვილს არ მისცემს მზითევს და არ გაათხოვებს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, მისმა ძმებმა უნდა მისცენ მას მზითევი მამის სახლის ქონების შესაბამისად და გაათხოვონ იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ბაბილონში ქორწინება ზოგჯერ გამოსასყიდის გარეშეც ხდებოდა. ეს იყო, ალბათ, თავისუფალი ქალის ქორწინება სასახლის მონასთან ან მუშქენუმთან. ასეთი ქორწინება, როგორც ჩანს, კანონიერად ითვლებოდა და ასეთი მონის ცოლს მზითევსაც აძლევდნენ. ქალს ეკუთვნოდა საქორწინო თანაცხოვრების დროს შექმნილი ქონების ნახევარი; მეორე ნახევარი ქონებისა კი განიხილებოდა როგორც მონის პეკულიუმი და ამ უკანასკნელის სიკვდილის შემთხვევაში ეძლეოდა მის ბატონს.

ხამურაბის კანონებით სოციალური მდგომარეობით თავისუფალი ქალი, რომელიც მონას გაჰყვა, არ ითვლება «ცოლად», არამედ მინც იწოდება «კაცის ასულად». უკეთუ სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა, ნათქვამია კანონებში, ცოლად წაიყვანს კაცის ასულს და

მას ეყოლება შვილები, მონის ბატონს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია კაცის ასულის შვილების მონად გადაქცევის შესახებ.

ძველ აღმოსავლეთში, რომისაგან განსხვავებით, მონას ერთგვარი პირადი და ქონებრივი უფლებები ჰქონდა. ეს უფლებები იმდენად განსხვავებული იყო, რომ ძველ ბაბილონში ხამურაბის ეპოქაში მონას ოჯახის შექმნა და თავისუფალი ქალის შერთვაც კი შეეძლო.

გარდა ბიბლუმის და თერხათუმისა, რომელსაც ქმრის ოჯახი ცოლის მშობლებს ქორწინებისას უხდიდა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ ქმარი აჩუქებდა ხოლმე ცოლს განსაზღვრულ ქონებას. ქმრის მიერ ცოლისათვის მიცემულ საჩუქარს, რომელიც განკუთვნილია ცოლის მატერიალური უზრუნველყოფისათვის ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, ნ უ დ უ ნ უ მ ი ეწოდება. ასეთი საჩუქარი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. ამის შესახებ ხამურაბის კანონები ადგენს: უკეთუ კაცი აჩუქებს თავის ცოლს სახნავ-სათესს, ბაღს, სახლს და მოძრავ ქონებას და მისცემს მას ბეჭედდასმულ საბუთს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალის ვაჟიშვილებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ რამე ქალს სასამართლო წესით, დედას შეუძლია, რომ ის, რაც მისი სიკვდილის შემდეგ დარჩება, თავის ჯაყვარულ ვაჟიშვილს მისცეს, ძმას კი ვერ გადასცემს (150).

როგორც ვხედავთ, ხსენებული საჩუქრის ძირითადი დანიშნულება ცოლის მატერიალურად უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო ქმრის სიკვდილის შემთხვევაში. სანამ ცოლი ცოცხალი იყო, ის სრულუფლებიანი მფლობელი იყო თავისი გარდაცვლილი ქმრის მიერ ნაჩუქარი ქონებისა. თუ ქმარი ცოლს ხსენებულ საჩუქარს არ დაუტოვებდა, მაშინ ცოლს უფლება ენიჭებოდა შვილების თანაბრად მიეღო მემკვიდრეობითი წილი.

ბიბლუმი და თერხათუმი ეძლეოდა სასძლოს მამასა და ამ ფაქტში უთუოდ მოჩანს ქორწინების პატრიარქალური ბუნება ძველი ბაბილონის სამართლის მიხედვით. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ხელების სამართლის წიგნის მიხედვით საქორწინო გამოსასყიდი ეძლეოდა როგორც სასძლოს მამას, ასევე დედასაც, რაშიაც მოჩანს მატრიარქატის გადმონაშთი.

ქორწინების პატრიარქალური ხასიათი ძველ ბაბილონში მოჩანს აგრეთვე იმ ფაქტშიც, რომ როგორც ლიფიტ-იშთარის კანონებში, ასევე ხამურაბის კანონებშიც ქმარს უფლებას აძლევს პირველი ცოლის უშვილობის შემთხვევაში იყოლიოს მეორე ცოლიც, თუმცა.

ამ უკანასკნელს პირველის თანაბარი უფლებები არ ჰქონდა. ლიფიტ-იშთარის კანონებში ვკითხულობთ: უკეთუ ცოლმა კაცისაგან შვილები არ შობა, ხოლო ქუჩის მეძაფმა ქალმა შობა მისგან შვილები, მან მეძაფ ქალს უნდა აძლიოს კმაყოფა — პური, ზეთი და ტანისამოსი (27).

ხოლო უკეთუ კაცი პირს შეაქცევს თავის მეუღლეს, თუმცა ეს მას არა აქვს ნებადართული ხელშეკრულებით, და ქალი არ გავა მისი სახლიდან, მაშინ მისი მეორე ცოლი, რომელიც მან შეირთო როგორც შეყვარებული ცოლი, მეორე ცოლია; პირველი მეუღლე მან უნდა არჩინოს (28).

ქორწინება მონოგამიური იყო მხოლოდ ქალისათვის. ქორწინების გარეშე ყოველგვარი სქესობრივი ურთიერთობა ცოლისა უცხო მამაკაცთან სიკვდილით ისჯებოდა.

უკეთუ კაცის ცოლს წაასწრებენ სხვა კაცთან მწოლარეს, ისინი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონო, — ნათქვამია ხამურაბის კანონებში (127). ვინც სხვის დანიშნულ საცოლეს გაუპატიურებდა, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. თუ ცოლი საყვარლის გამო თავის ქმარს მოაკვლევინებდა, ქალს ამისთვის სარზე ჩამოცმა ელოდა.

სისხლის აღრევა აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავთა შორის სასტიკად აკრძალული იყო. უკეთუ ვინმე კავშირს დაიკერს თავის ქალიშვილთან, იგი უნდა გააძევონ თემიდან. ვინც თავისი მამის სიკვდილის შემდეგ ჩაუწევა თავის დედას, ისინი ორივენი უნდა დაწვან. მკაცრად ისჯება აგრეთვე სიმამრის სქესობრივი კავშირი რძალთან და გერის კავშირი დედინაცვალთან.

ბაბილონის კანონმდებლობა სასტიკად იცავდა ქორწინების სიწმინდეს ოჯახის შიგნით. ქორწინების სიწმინდე დაცული იყო აგრეთვე გარეშე პირთა ხელყოფისაგან. ქალის გაუპატიურებისათვის დამნაშავე სიკვდილით ისჯება. საზოგადოდ, ვინც ქალს უსაფუძვლოდ ცილს დასწამებდა, უნდა დასჯილიყო. ხამურაბის კანონებში ნათქვამია: უკეთუ კაცი ენთუმს ან კაცის ცოლს ცილს დასწამებდეს, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ბრალდებას, ეს კაცი უნდა დაამხონოს მოსამართლეების წინაშე, აგრეთვე «გაპარსონ მას საფეთქლები» (127). საფეთქლების გაპარსვა ძველ ბაბილონში მძიმე ხასიათის გამაწილებელი სასჯელი იყო, რომელიც უპატიობისა და მონობის ნიშნად ითვლებოდა.

განქორწინება. ძველი ბაბილონის სამართლის მიხედვით ქორწინება, როგორც წესი, წარმოადგენს მეუღლეთა ურღვევ კავშირს.

განქორწინება პრინციპში აკრძალულია. შუამდინარეთის უძველესი კანონმდებლობა — ემშუნის მეფის ბილაღამის კანონები ადგენს: უკეთუ კაცი მას შემდეგ, რაც მას შვილები შეეძინა, მიატოვებს თავის ცოლს და ითხოვს სხვას, ის გაძევებულ უნდა იქნეს სახლიდან, ჩამოერთვას ყველაფერი, რაც გააჩნია, და გადაეცეს ქალს, რომელიც მან მიატოვა. ასევე კრძალავს განქორწინებას ისინის მეფის ლიფიტ-იშტარის კანონებიც. უკეთუ ქმარი «პირს შეაქცევს თავის მეუღლეს», მაგრამ ქალი არ გავა სახლიდან, ქმარმა თუნდაც რომ მეორე ცოლი შეირთოს, პირველი მეუღლე ითვლება პირველ ცოლად და ქმარი ვალდებულია არჩინოს ის. ხოლო თუ ცოლიანი ჭაბუკი მოიყვანს მეძაგ ქალს და ამის გამო მიატოვებს თავის მეუღლეს, გაყრის საფასურის სახით ორმაგი საზღაური უნდა გადაიხადოს — «მეტოვებისათვის უნდა მიუწონოს ვერცხლი ორმაგად».

მაუხედავად ამისა, ძველბაბილონური სამართალი განსაკუთრებულ შემთხვევაში უშვებს განქორწინების შესაძლებლობას. მართალია, განქორწინების თავისუფლება შეზღუდულია როგორც ქალისათვის, ისე მამაკაცისათვისაც, მაგრამ მამაკაცი გაცილებით მეტი უფლებებითაა აღჭურვილი განქორწინების საქმეში, ვიდრე ქალი. ქალს განქორწინების უფლება პეტისმეტად შეზღუდულ ფარგლებში, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვს. თუ ქმარი ცილს დასწამებს ცოლს უპატიოსნობაში, ეს გარემოება ქალისათვის განქორწინების საკმაო საფუძვლად ითვლება. უკეთუ კაცის ცოლს სახელს გაუტეხს მისი ქმარი ფიცით, ხოლო ქალი არ ყოფილა წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, ქალმა უნდა დაიფიცოს ღმერთი და მას შეუძლია დაბრუნდეს თავის სახლში.

განქორწინების მოტივად ცოლისათვის შეიძლება გამოდგეს აგრეთვე ქმრის მხრით თავისი მეუღლეობრივი მოვალეობის უგულვებელყოფა, ცოლისა და ოჯახის შერცხვენა. თუ ქალი შეიძულებს თავის ქმარს და ეტყვის მას: «ნუ მომეკარებიო», მისი საქმე უნდა გამოიძიონ მის მეზობლებში. უკეთუ ქალი უბიწო და უმწიკვლოა, ხოლო მისი ქმარი გადის სახლიდან და ძალიან არცხვენს მას, ეს ქალი უდანაშაულოა, მას შეუძლია წაიღოს თავისი მზითვეი და წავიდეს თავისი მამის სახლში.

თუ ქმარი დატოვებს თავის თემს და ოჯახიდან გაიქცევა, ეს გარემოება ცოლისათვის განქორწინების კანონიერი მოტივია. ბილაღამის კანონების მიხედვით, თუ კაცი თავის თემსა და ბატონს შეიძულებს და გაიქცევა და მის ცოლს სხვა შეირთავს ცოლად,

როცა კაცი დაბრუნდება, მას უფლება არა აქვს მოითხოვოს თავისი ყოფილი ცოლის სახლში დაბრუნება. ემუნის კანონებით გათვალისწინებულმა ამ წესმა გამოხატულება პოვა ხამურაბის კანონებშიც: თემიდან გაქცეული კაცის ცოლს შეუძლია გათხოვდეს; თუ პირველი ქმარი დაბრუნდება და მოისურვებს წაიყვანოს თავისი ყოფილი ცოლი, ვინაიდან მან მოიძულა თავისი თემი და გაიქცა, ცოლი არ უნდა დაუბრუნდეს მის ყოფილ ქმარს.

კეთრით დაავადებულ ცოლს უფლება აქვს წავიდეს თავისი ქმრის სახლიდან. ქმარს არა აქვს უფლება მიატოვოს თავისი დაავადებული ცოლი, მაგრამ თუ ეს ქალი არ დთანხმდება იცხოვროს თავისი ქმრის სახლში, ქმარმა სრულად უნდა მისცეს მას მზითევი, რომელიც მან მოიტანა თავისი მამის სახლიდან, და ქალს შეუძლია წავიდეს.

ბილაამის კანონებში ნათქვამია: ლაშქრობაში დაკარგული ან ტყვედ ჩავარდნილი კაცის ცოლს შეუძლია გათხოვდეს, მაგრამ როცა ყოფილი ქმარი დაბრუნდება, თუ მოისურვებს, მას შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი.

აღნიშნულ დადგენილებას მცირეოდენი რედაქციით იმეორებს ხამურაბის კანონებიც. თუ ქმარი ტყვედ იქნება წაყვანილი და მის სახლში ცოლისთვის საარსებო საჩიო არ აღმოჩნდება, ცოლს უფლება აქვს გათხოვდეს და ეს მას დანაშაულად არ ჩათვლება. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ქმარი ტყვეობიდან დაბრუნდება, «ქალი უნდა დაუბრუნდეს თავის პირველ მეუღლეს».

ქმარს, თავის მხრით, რიგ შემთხვევებში თავისუფლად შეუძლია გამოორდეს ცოლს. თუ ცოლი ქმრის ოჯახში დაიწყებს ხელგამოღულად ცხოვრებას, ოჯახის გაჩანაგებას და თავისი ქმრის შერცხვენას, იგი უნდა ამხილონ და თუ მისი ქმარი გადასწყვეტს განშორდეს მას, შეუძლია მიატოვოს იგი, ამასთან არ მისცეს საგზლად განქორწინების არავითარი საფასური. უკეთუ მისი ქმარი გადასწყვეტს არ მიატოვოს იგი, მის ქმარს შეუძლია სხვა ცოლი შეერთოს, ხოლო ის ქალი თავისი ქმრის სახლში უნდა ცხოვრობდეს როგორც მსვენალი.

ქმარს სრული უფლება აქვს მიატოვოს ისეთი ცოლი, რომელსაც მისგან შეილები არ ეყოლა, მაგრამ ქმარი ამასთანავე ვალდებულია მისცეს ქალს ვერცხლი მისი გამოსასყიდი თანხის ოდენობით და დაუბრუნოს მზითევი, რაც ქალმა თავისი მამის სახლიდან მოიტანა.

მაშასადამე, თუ ცოლი უშვილოა, თუნდაც რომ ცოლის ყოფა-ქცევაში არავითარი ზნეობრივი მანკიერება არ ჩანდეს, ქმარს სრული უფლება აქვს გაეყაროს მას.

გარდა ამისა, ქმარს სრული უფლება ჰქონდა გაჰყროდა ცოლს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ცოლს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა ქმრის წინაშე და არც უშვილო იყო. ცოლს კი ასეთი უფლებები არ ჰქონდა მინიჭებული კანონით. უმიზეზოდ განქორწინება მამაკაცისათვის მხოლოდ და მხოლოდ ფულადი ხასიათის ჯარიმით თუ იქნებოდა აღკვეთილი. სხვა დაბრკოლება ქმრისათვის განქორწინების გზაზე არ არსებობდა. ცხადია, მდიდარ ბაბილონელებს შეეძლოთ უმიზეზოდ ცოლების გაგდება. ცოლის მხრივ განქორწინება მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იყო სასამართლო ფორმალობის დაცვა. მრავალცოლიანობის ადამი ქალს დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებდა. მეუღლეობრივი ერთგულების დარღვევისათვის ცოლი და ქმარი სხვადასხვა სასჯელებით ისჯებოდნენ. თუ ქმარი სისტემატურად ღალატობდა ცოლს, ამ უკანასკნელს შეეძლო წაეღო თავისი მზითევი და სახლში დაბრუნებულიყო. მაგრამ თუ ცოლი უღალატებდა ქმარს, მას ამისთვის წყალში ახრჩობდნენ. ხშირად საქორწინო კონტრაქტებში პირობად დებდნენ, რომ თუ ცოლი ქმარს უღალატებდა, მაშინ ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა დაედალა ქალი და მონად გაეყიდა.

შვილების პატრონ ქვრივ ქალს მოსამართლეთა ნებართვის გარეშე არ ჰქონდა ხელმეორედ გათხოვების უფლება. უკეთუ ქვრივი, რომელსაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, განიზრახავს გათხოვდეს, მას არ შეუძლია მოსამართლეთა დაუკითხავად გათხოვდეს (177).

მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ ბაბილონში ქორწინების ძირითადი ფორმა მონოგამია იყო, რომელიც ამასთან პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. იგი მთლიანად მამაკაცის ბატონობაზე იყო დამყარებული და ამიტომაც ქმრისთვის მონოგამიის დარღვევა, ქორწინების ამ ძირითადი ფორმიდან გადახვევა, დაშვებული იყო. ქორწინებაში მამაკაცის ბატონობა ძველი ბაბილონის საოჯახო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო. ეს გარემოება თავის ნათელ გამოხატულებას პოულობდა აგრეთვე მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ ურთიერთობაშიაც. ეშნუნის მეფის ბილალამის კანონების (24) და ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონების (117) მიხედვით ქმარს შეეძლო თავის ვალებში დაეგირავებინა ცოლი. თუ ქალი არ

იქნებოდა უბიწო, ოჯახს ტოვებდა და სახლს აოხრებდა, მას ამისათვის სასტიკად სჯიდნენ — მდინარეში ახრჩობდნენ. ღალატისათვის ცოლი სიკვდილით ისჯებოდა, ქმარს კი გარკვეულ შემთხვევებში მრავალცოლიანობის უფლება ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ბაბილონში მეუღლეთა პირადი ურთიერთობის საკითხებში კანონმდებელი საკმაოდ მკაცრად ექცევა ქალს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბაბილონის კანონმდებლობა მეტ ჰუმანურობას იჩენს ახირიის კანონმდებლობასთან შედარებით. ამ უკანასკნელის მიხედვით ქმარს შეუძლია ცოლს სცემოს, თმები დააწიწკნოს, ყურებში ურტყას, ტყეპოს და ეს მას ბრალად არ ჩაეთვლება. თუ ქალი არავის საკუთრებას არ შეადგენდა და თავის თავს ეკუთვნოდა, მაშინ არავითარ დანაშაულად არ ითვლებოდა, რომ ასეთ ქალთან ვინმეს ძალით დაეკავებინა სქესობრივი კავშირი. ქმარს უფლება ჰქონდა ყურები დაეჭრა ცოლისათვის.

ძველი ბაბილონის კანონმდებლობა ასე არ ამცირებდა ქალის პატივსა და ღირსებას და განვითარების უფრო მაღალ დონეს გამოხატავდა. ეს გარემოებაც ნათლად გამოიხატა აგრეთვე მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობაშიაც. ბაბილონის კანონმდებლობა მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობაში ცოლს შედარებით მაღალ მდგომარეობას ანიჭებდა. ქონებრივ ურთიერთობაში იგი უფლების სუბიექტად მოჩანს. ცოლი მზითვეის მესაკუთრედ ითვლება. ცოლქმრული ცხოვრების განმავლობაში ქმარი ცოლის მზითვეს მხოლოდ გამგებლობასა და დროებით სარგებლობაში ღებულობდა. ის გარემოება, რომ ძველ ბაბილონში მზითვეი ცოლის საკუთრებად ითვლებოდა, მიუთითებს ოჯახში ქალის დამოუკიდებლობისათვის ქონებრივი ბაზის არსებობაზე. ცოლს შეეძლო ნებისმიერად გამოეყენებინა ის ქონებაც, რომელსაც ის ქმრისაგან საჩუქრად ღებულობდა. ასეთი ქონება ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოლის საკუთრებად რჩებოდა და მას შეეძლო იგი ანდერძით გადაეცა თავის შვილთაგან იმისათვის, ვინც მას ყველაზე მეტად უყვარდა.

ცოლის უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობა ძველი ბაბილონის კანონმდებლობის მიხედვით გაცილებით უფრო სრულია, ვიდრე სამი-ოთხი საუკუნით უფრო გვიან შედგენილი ასირიული კანონმდებლობით და რვა საუკუნით უფრო გვიან შედგენილი ბიბლიური კანონმდებლობით. ძველი ბაბილონის სამართლის მიხედვით ცოლი თავისუფლად ღებს ხელშეკრულებას, იჯარით ღებულობს ქონებას, ასესხებს ფულს, ეწევა მევახშეობას, ვაჭრობას და სხვ.

მაგრამ სქესების თანასწორუფლებიანობამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა¹.

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა. სპეციალურ იურიდიულ და ისტორიულ ლიტერატურაში დღეს უკვე აღიარებულია ის გარემოება, რომ ძველ ბაბილონში ოჯახის უფროსის ძალაუფლებას იმ დონისათვის არასოდეს არ მიუღწევია, როგორსაც ძველ ასირიასა და რომში მიაღწია.

მამის ძალაუფლება შვილების მიმართ ხამურაბის კანონმდებლობის მიხედვით ჯერ კიდევ ატარებს პატრიარქალური ყოფის ნიშნებს, მაგრამ იგი მაინც ისე ფართო არ არის, როგორც იყო მამის უფლება ძველ რომში, სადაც მამას შეეძლო შვილისათვის სიცოცხლეც კი მოესპო. ძველბაბილონური კანონმდებლობით მამას შვილის სიკვდილით დასჯის უფლება არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, შვილები მაინც მამის ძალაუფლების ობიექტს წარმოადგენდნენ. შვილების მდგომარეობა ძველ ბაბილონში არ იყო დამოუკიდებელი. მამას სრული უფლება ჰქონდა ქურუმად მიეცა ქალიშვილი. ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო ე. წ. «რელიგიური» პროსტიტუცია. ტაძრის მსახური ქურუმები ქალების ნაწილი ვალდებული იყო რელიგიური თვალსაზრისით დანებებოდა უცხო მამაკაცებს. ფულის გულისათვის სხეულის დანებება, წერს ენგელსი, თავდაპირველად სარწმუნოებრივი აქტი იყო; ეს აქტი სიყვარულის ქალღმერთის ტაძარში ხდებოდა და ფული ტაძრის სალაროში შედიოდა. ეს იყო მემკვიდრეობა, რომელიც ჯგუფობრივმა ცოლქმრობამ ცივილიზაციას უანდერძა².

ძველ ბაბილონში მამას, გარდა ზემოაღნიშნულისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლება ჰქონდა მონებად გაეყიდა თავისი შვილები. ზოგჯერ მამა კაბალაში აძლევდა შვილს თავისი ვალის ასანაზღაურებლად და სხვ. დოკუმენტურად დასტურდება, რომ მამას და ქმარს შეეძლოთ უკიდურეს შემთხვევებში მონად გაეყიდათ ოჯახის წევრები. მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ ვიღაც შამაშ-დაიანმა თავისი ვალის დასაფარავად მონად გაყიდა თავისი ოჯახის ყველა წევრი და თვითონ კი შეინარჩუნა პირადი თავისუფლება. ხამურაბის კანონების 117-ე მუხლის მიხედვით, თუ კაცს ვალი მართებს, მას შეუძლია «ვერცხლში» ან

¹ ს. ფ. კეჩეკიანი, სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია, ნ. I, გვ. 67.

² ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1946, გვ. 156.

«სავალო კაბალაში» გადასცეს თავისი ცოლი, თავისი ვაჟიშვილი და ქალიშვილი.

მამას უფლება ჰქონდა მემკვიდრეობა ჩამოერთმია შვილისათვის და გაეძევიბინა ის ოჯახიდან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შვილი მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა. უკეთუ კაცი განიზრახავს, ნათქვამია კანონში, გააძევოს თავისი ვაჟიშვილი და ეტყვის მოსამართლეებს: «მე ვაძევებ ჩემს შვილსო», მოსამართლეებმა უნდა გამოიძიონ ეს საქმე და, უკეთუ შვილს არ ჩაუდენია მძიმე შეცოდება, რაც საკმარისი იქნებოდა მისთვის მემკვიდრეობის ჩამოსართმევად, მამას არ შეუძლია ჩამოართვას მას მემკვიდრეობა. კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავდა, თუ როგორი ხასიათის «შეცოდება» ითვლებოდა მამის წინაშე მძიმე დანაშაულად. მაგრამ ასეთის განსაზღვრა უთუოდ ადამთბრივი საშართლის მიხედვით ან სასამართლოს მიერ ხდებოდა. მთავარი ისაა, რომ მამას უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ არ შეეძლო ვაჟიშვილის გაძევება და მისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევა. გარდა ამისა, როგორც ეს ხამურაბის კანონების 169-ე მუხლიდან ჩანს, უკეთუ შვილი მამის მიმართ ჩაიდენდა ისეთ მძიმე შეცოდებას, რაც საკმარისი იქნებოდა მისთვის მემკვიდრეობის ჩამოსართმევად, პირველ შემთხვევაში უნდა აპატიონ მას; უკეთუ იგი მძიმე შეცოდებას მეორეჯერ ჩაიდენს, მამას შეუძლია ჩამოართვას შვილს მემკვიდრეობა. მაშასადამე, მემკვიდრეობის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ შვილი ამ ძ ი მ ე შე ც ო დ ე ბ ა ს მ ე ო რ ე ჯ ე რ ჩ ა ი დ ე ნ ს ა.

ისეთი ძლიერი პატრიარქალური ძალაუფლება, როგორც ასირიულ კანონმდებლობაში იყო ასახული, ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებში არა ჩანს. პატრიარქალური ოჯახის უფროსის ძალაუფლება ასირიაში ოჯახის ყველა წევრზე ვრცელდებოდა. ოჯახის წევრები და მათ შორის შვილებიც განიხილებოდა, როგორც უბრალო საცვლელი ღირებულება, როგორც ყიდვა-გაყიდვის საგანი.

ძველ ბაბილონში, ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფართო გავრცელება პოვა შვილად აყვანამ. მოტივი და მიზეზი შვილად აყვანის გავრცელებულობისა მრავალი იყო. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სურვილი — შეეძინათ მუქთი მუშახელი ოჯახისათვის. შვილად აყვანის მოტივად შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი საკუთრების გასხვისების სურვილი, რომლის გაყიდვაც აკრძალული იყო (ადგილმამული). ამ შემთხვევაში მყიდველი შვილად აყვანილად გვევლინებოდა. გარდა ამისა, შვილად აყვანა, როგორც ცნობილია, ანდერძის თავისუფლების თა-

ვისებური სუროგატიცაა. ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები იცნობენ შვილად აყვანის თავისებურ ფორმას ე. წ. «ს ი ძ ე-შ ვ ი-ლო ბ ი ლ ის» სახით. ზედსიძე იმავე დროს ოჯახის შვილადაც ითვლებოდა.

მონების რაოდენობა ძველ ბაბილონში ისე მრავალრიცხოვანი არ იყო, როგორც, მაგ., ძველ საბერძნეთში და განსაკუთრებით კი რომში. მონის ფასი, როგორც ეს ბილაამის (მუხ. 55, 57) და ლიფიტ-იშთარის კანონებიდან (მუხ. 13) ჩანს, შეადგენდა 15 სიკლს. ყოველ შემთხვევაში მონა 10 სიკლზე ნაკლები არ ღირდა. ამიტომაც შვილად აყვანა მონების შეძენის საკმაოდ სარფიან საშუალებად ითვლებოდა. უკეთუ კაცი იშვილებს მცირეწლოვანს, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული და გამოზრდის მას, — ამბობს ხამურაბის კანონების 185-ე მუხლი, — არ შეიძლება ამ აღზრდილის უკან გამოთხოვა სასამართლო წესით. შვილად აყვანის საფასით მონების შეძენა უმთავრესად უპატრონო ბავშვების ხარჯზე ხდებოდა. სწორედ ამ გარემოებას უნდა ითვალისწინებდეს ხამურაბის კანონები, როცა ამბობს, რომ უკეთუ კაცი იშვილებს მცირეწლოვანს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი იშვილეს, გაიგებს, რომ მას თავისი დედ-მამა ჰყოლია, ამ აღზრდილს შეუძლია დაბრუნდეს თავისი მამის სახლში.

ზოგჯერ შვილად აყვანა ექსპლოატაციის თავისებური ფორმა იყო. შვილად ამყვანი ამუშაებდა შვილად აყვანილს თავის სასარგებლოდ, მაგრამ უფლებებში არ გაუტოლებდა თავის შვილებს და ნაშვილები იძულებული იყო თავისი მამის სახლში დაბრუნებულიყო. შეიძლება ასეც მომხდარიყო, რომ შვილად ამყვანს ოჯახი შეექმნა და ბავშვები გაეჩინა შვილად აყვანის შემდეგ, მაშინ ის იძულებულს ხდიდა თავის ნაშვილებს, რომ იგი თავის სახლში წასულიყო.

უშვილო ბაბილონელს შვილად აყვანისათვის სხვა მომენტებიც ამოძრავებდა. შვილად აყვანა, როგორც ჩანს, ხდებოდა იმ მიზნითაც, რომ კანონიერი შვილების უფლება მოეპოვებინათ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის. ეს ეხებოდა, პირველ ყოვლისა, მონა ქალისაგან წარმომდგარ ბავშვებს.

ხამურაბის კოდექსი, როგორც კაზუისტური საკანონმდებლო ძეგლი, შემთხვევების მიხედვით ჩამოთვლის გარემოებებს, როდესაც მშვილებელს არ შეეძლო უარი ეთქვა ნაშვილებზე. მშვილებელს არ შეეძლო შვილად აყვანილზე უარი ეთქვა, თუკი იგი მას

თავის სახელს მისცემდა ან თავის შვილად მიიჩნევდა, თუნდაც მას საკუთარი შვილები ჰყოლოდა.

ხშირად მშვილებელის როლში გამოდიოდა საჭურისი ან ქურუმი ქალი. პირველს თავისი ფიზიკური მონაცემებით არ შეეძლო საკუთარი შვილების ყოლა, ხოლო მეორეს — თავისი მდგომარეობის გამო.

თუ შვილად ამყვანი შვილად აყვანილს თავის გვარზე დასწერდა ან თავის შვილებს გაუტოლებდა და იტყოდა: «ეს ჩემი შვილიაო», მაშინ შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა შვილად ამყვანის მიმართ და შვილად ამყვანი შვილად აყვანილსა და მისი შთამომავლობის მიმართ იქნებდნენ ყოველგვარ პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობას, როგორც შთამომავლობითი ნათესავეები. ამავე დროს შვილად აყვანილი და მისი შთამომავლობა კარგავდნენ ყველა უფლებას და თავისუფლდებოდნენ ყველა მოვალეობისაგან სხვა თავიანთი შთამომავლობითი ნათესავეების მიმართ.

ნაშვილები ასეთ შემთხვევაში ღვიძლი შვილის უფლებებს ღებულობს, კანონი მას ნამდვილ შვილად თვლის და ამიტომ კრძალავს ნაშვილების უკან გამოთხოვას. უკეთუ კაცი იშვილებდა მცირეწლოვანს, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული, და გამოზრდიდა მას, არ შეიძლებოდა ამ აღზრდილის უკან გამოთხოვა სასამართლო წესით. ასევე არ შეიძლებოდა გამოთხოვილი ყოფილიყო სასამართლო წესით სასახლის მსახური საჭურისის შვილობილი და ზიქრუმის შვილობილი. კანონი სასტიკად სჯის (ენის მოჭრა, თვალის დათხრა) საჭურისისა და ზიქრუმის ნაშვილებს თავისი აღმზრდელი დედ-მამის შეძლებისა და უარყოფისათვის, მათი მიტოვებისა და და მშობელი მამის სახლში დაბრუნებისათვის.

თუ რომელიმე ხელოსანი მცირეწლოვანს შეგირდად აიყვანდა, და მას შეასწავლიდა თავის საკუთარ ხელობას, მაშინ შვილად აყვანილი არ შეიძლებოდა გამოთხოვილი ყოფილიყო უკან სასამართლო წესით.

ხამურაბის კანონების მიხედვით მშვილებელს შეეძლო უარი ეთქვა შვილობილზე, თუკი ამის შემდეგ მას თავისი შვილები ეყოლებოდა, მაგრამ ნაშვილების ხელცარიელად გაშვება არ შეიძლებოდა. უკეთუ კაცი გამოზრდის მცირეწლოვანს. — ნათქვამია კანონში, — რომელიც მან იშვილა, მაგრამ შექმნის თავის ოჯახს და შემდეგ გააჩენს ბავშვებს და განიზრახავს განდევნოს აღზრდილი, ეს შვილი არ უნდა წავიდეს ხელცარიელი: მისმა აღმზრდელმა მამამ მას თავისი ქონებიდან უნდა მისცეს სამემკვიდრეო წილის 1/3,

და მაშინ მას შეუძლია წავიდეს; სახნავ-სათესიდან, ბალიდან და სახლიდან შეუძლია არაფერი არ მისცეს (191). მაშასადამე, აღნიშნულ შემთხვევაში შვილობილი მშვილებელის ქონებიდან ღებულობდა იმის 1/3 ნაწილს, რაც მოძრავ ქონებაში მისი საკუთარი შვილების მემკვიდრეობით წილს შეადგენდა.

თავის მხრივ, შვილად აყვანილსაც შეეძლო დაეტოვებინა შვილად ამყვანი. უკეთუ კაცი იშვილებს მცირეწლოვანს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი იშვილეს, გაიგებს, რომ მას თავისი ღებ-მამა ჰყოლია. ამ აღზრდილს შეუძლია დაბრუნდეს თავისი მამის სახლში. აქ კანონს მხედველობაში აქვს ორი გარემოება: ჯერ ერთი ის, რომ შვილად აყვანა მოხდა შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშე, და მეორეც ის, რომ მან შვილად აყვანის მომენტისათვის არ იცოდა, რომ მას «თავისი ღებ-მამა ჰყოლია». გარდა ამისა, ნაშვილებს შეეძლო შვილად ამყვანი დაეტოვებინა იმ შემთხვევაში, როდესაც შვილად ამყვან ხელოსანს შვილად აყვანილისათვის ხელობა არ შეუსწავლებია. უკეთუ ხელოსანი თავის შეგირდს არ შეასწავლის ხელობას, შეგირდს შეუძლია დაბრუნდეს თავისი მამის სახლში.

ამრიგად, თუკი შვილად აყვანილი ნამდვილად იქნებოდა აღიარებული შვილად ამყვანის ოჯახის წევრად, მაშინ იგი იძენდა კანონიერი შვილის უფლებებს.

როგორც ითქვა, მკაცრად ისჯებოდა მშობლებისა და შვილად ამყვანების შეურაცხყოფა შვილებისა და შვილად აყვანილების მხრივ. შვილებსა და ნაშვილებს არ შეეძლოთ უარი ეთქვათ თავიანთ მოვალეობაზე მშობლების მიმართ. უკეთუ საჭურისის შვილობილი ან ზიქრუმის შვილობილი ეტყვის თავის გამზრდელ მამას ან გამზრდელ ღებდას: «შენ ჩემი მამა არა ხარ», «შენ ჩემი ღებდა არა ხარ», მას ენა უნდა მოსჭრან. ხოლო თუ საჭურისისა ან ზიქრუმის შვილობილი შეიტყობდა თავისი მშობელი მამის ოჯახის არსებობას და შეიძულებდა თავის აღმზრდელ მამას ან აღმზრდელ ღებდას და წავიდოდა თავისი მამის სახლში, მისთვის თვალი უნდა დაეთხარათ. კანონმდებელი მკაცრად სჯის შვილს მამისადმი აშკარა უპატივცემლობისათვის და მამის სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფისათვის. უკეთუ შვილი გაარტყამს თავის მამას, მას თითები უნდა მოსჭრან.

ამავე დროს უნდა ითქვას, როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, რომ პატრიარქალური პრინციპების ბატონობას ძველი ბაბილონის პრაქტიკაში არასრული ხასიათი ჰქონდა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შვილს შეეძლო მამისაგან განკერძოებული

ქონება ჰქონოდა. იყო შემთხვევები, როდესაც შვილი სახელმწიკრულ-ლებო ხასიათის გარიგებას სდებდა მამასთან. ასევე ცოლს შეეძლო ქმრისაგან დამოუყიდებელი საკუთარი ქონება ჰქონოდა. ხამურაბის ეპოქის დოკუმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქმრისა და ოჯახის უფროსის პიროვნება არ ნთქავდა მათი ოჯახის წევრების ქმედობაუნარიანობას. თავი რომ დავანებოთ იმ გარემოებას, რომ ქურუმი ქალები მამაკაცების თანაბრად ყოველნაირი სახის კერძო-სამართლებრივი ხასიათის გარიგებას სდებდნენ, რიგი დოკუმენტების მიხედვით გათხოვილი ქალებიც კი გამოდიოდნენ კონტრაგენტების როლში სხვადასხვა ხასიათის გარიგებებში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულია, ბაბილონის კანონმდებლობის მიხედვით ოჯახის უფროსი მაინც გვევლინება, როგორც საკმაოდ ფართო ძალაუფლების მქონე მებატონე-მონათმშობელი ოჯახში. იგი საკუთარი მიხედულობით ათხოვებდა ქალიშვილს, ცოლს რთავდა ვაჟიშვილს, კაბალაში აძლევდა ცოლს, შვილს და სხვ.

II. მემკვიდრეობის სამართალი

მემკვიდრეობის სამართალმა თავისი განვითარების გზაზე, მკვლევართა აზრით, სანი ურთიერთისაგან განსხვავებული საფეხური გაიარა. განვითარების უადრეს საფეხურზე მემკვიდრეობად გვევლინება გვარის ყველა წევრი. თანამგვარეებს საერთო მემკვიდრეობის უფლება ჰქონდათ; ქონება გვარში რჩებოდა. ეს წესი გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციიდან მომდინარეობდა. აქ მემკვიდრეობის სამართალზე, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეიძლება. კლასობრივი საზოგადოების შემდგომ საფეხურზე, როცა მონოგამიური ოჯახი დიდი პატრიარქალური კომლების სახით გვევლინება, სამემკვიდრეო უფლება აქვს კომლში შემავალ ყველა აგნატს. უფრო გვიან, კლასობრივი საზოგადოების, კერძო საკუთრების, ოჯახის, სახელმწიფოს და სამართლის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, როდესაც მკირე მონოგამიური ოჯახი იქცევა საზოგადოების სოციალურ უჯრედად, მემკვიდრეობად გვევლინებიან გარდაცვლილის უახლოესი ნათესავები, მისი ოჯახის წევრები.

ძველი ბაბილონის კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხში განვითარების მაღალ დონეს გვიჩვენებს. მემკვიდრეობის საკითხში კანონმდებლობის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მემკვიდრეობა ოჯახის ფარგლებში რჩება.

ძველ ბაბილონში ყოველთვის ერთნაირად როდი წესრიგდებოდა მემკვიდრეობის საკითხები. თავდაპირველად, სანამ წერილობითი კანონები იქნებოდა შედგენილი, მემკვიდრეობის საკითხებს ადათებით აწესრიგებდნენ. ხამურაბის სამართლის წიგნის შედგენის შემდეგ მემკვიდრეობა უპირატესად ამ კანონების მიხედვით რეგულირდება.

მეფე გუდეას ქანდაკების ერთი წარწერის მიხედვით, რომელიც ხამურაბის კანონებამდე გაცილებით ადრეა შედგენილი და ბაბილონის I დინასტიის წინა პერიოდს განეკუთვნება, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მემკვიდრეებად თავდაპირველად მიჩნეული იყვნენ გარდაცვლილის მხოლოდ ვაჟიშვილები. ქალიშვილები მემკვიდრეებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდნენ, თუ გარდაცვლილს ვაჟი არ ეყოლებოდა.

შემდეგში, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული პროგრესის უფრო მაღალ საფეხურზე, ბაბილონის კანონმდებლობა მემკვიდრეობის სამართლის სფეროში ქალებს მამაკაცებთან ათანაბრებს. მემკვიდრეობითი სამართლის სფეროში ქალების ასეთი უფლება-უნარიანობა აღინიშნება მხოლოდ ძველი რომის სამართალში, რომელიც თითქმის 18 საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა.

გარდაცვლილის პირდაპირი მემკვიდრეები მისი შვილები და შვილიშვილები იყვნენ. თუ სამკვიდროს დამტოვებელს შვილები და შვილიშვილები არ დარჩებოდა, მაშინ სამკვიდრო ქონებას გარდაცვლილის ძმა ან ძმები ღებულობდნენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სამკვიდროს დამტოვებელს არც შვილი, არც შვილიშვილი და არც ძმა არ დარჩებოდა, მაშინ მემკვიდრეობა, მამის ძმების ხელში გადადიოდა. თუ სამკვიდროს დამტოვებელს სიკვდილის მომენტისათვის ვაჟიშვილი ცოცხალი არ დარჩებოდა, მაგრამ მისი შვილი ე. ი. სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილი იქნებოდა სახეზე, ეს უკანასკნელი ღებულობდა მემკვიდრეობას.

ასეთი იყო მემკვიდრეთა წრე, რომელიც განსაზღვრულია ხამურაბის კანონებით.

ისინი მეფის ლიფიტ-იშთარის კანონების მიხედვით მემკვიდრეთა სხვადასხვა კატეგორია არსებობს: უკეთუ მამა ცოცხალია, მისი ქურუმი ქალიშვილი (ენთუმი, ნადითუმი ან კადითუმი) «თ ი თ ქ ო ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე ა», ოღონდ იმ აზრით, რომ შეუძლია იცხოვროს მის სახლში. უკეთუ კაცს მეუღლე მოუკვდა და მის შემდეგ მან ცოლად შეირთო თავისი მხევალი, პირველი ცოლის შვილები მისი მემკვიდრეებია, ხოლო შვილები, რომლებიც მხე-

ვალმა შობა თავისი პატრონისაგან, «თითქოს პატრონის შვილებია», მათ შეუძლიათ ისარგებლონ მისი სახლით. ხოლო თუ ცოლმა ქმრისაგან შეიღებინა არ შობა, მაგრამ ქუჩის მეძვემა ქალმა შობა მისგან შეიღებინა, ისინი «მისი მემკვიდრეები». ამრიგად, ლეგიტიმური კანონები იცნობენ ე. წ. თითქოს მემკვიდრეებს. ხოლო მეძვე ქალისაგან შობილ შეიღებულ ცნობენ მემკვიდრეებად იმ შემთხვევაში, თუ კაცს თავისი ცოლისგან შეიღებინა არა ჰყავს.

ხამურების კანონების მიხედვით ვაჟიშვილები თანაბრად ღებულობენ სამკვიდრო ქონებას როგორც მამის, ისე დედის გარდაცვალების შემდეგ. ქალიშვილები ღებულობენ მზითვეს, როგორც თავიანთ წილს სამკვიდრო ქონებაში. როგორც ჩანს, საერთოდ, უფროს ვაჟს არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა დანარჩენების წინაშე.

სათანადო დოკუმენტების მეშვეობით, რომლებიც ხსენებულ ეპოქას ეკუთვნის, ჩანს, რომ ხამურების კანონების დადგენილება ფაქტიურად მხოლოდ ჩრდილოეთ ბაბილონში მოქმედებდა. სამხრეთში კი (ყოფილი ლარსის სამეფო) უფროსი შვილი, ადათების მიხედვით, სხვა ძმებთან შედარებით ორჯერ მეტ ქონებას ღებულობდა მემკვიდრეობად.

მამას შეუძლია თავის საყვარელ შვილს, რომელიც «მის თვალს ესიამოვნება», აჩუქოს უძრავი ქონებაც კი და ეს მას სამკვიდრო წილში არ ჩაეთვლება. უკეთუ აკცი აჩუქებს თავის გამორჩეულ მემკვიდრეს, ნათქვამია კანონში, სახნავ-სათესა, ბაღს და სახლს და დაუწერს მას ბეჭედდამბულ საბუთს; მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება და ძმები შეუდგებიან ქონების გაყოფას, მან უნდა აიღოს მამის მიერ მისთვის ბოძებული საჩუქარი და, გარდა ამისა, მათ თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მამის სახლის ქონება.

მამის დამოკიდებულებას შვილებისადმი შეეძლო გარკვეულ როლი შეესრულებინა შვილების სხვადასხვა ოდენობით ქონებრივი უზრუნველყოფის საქმეში და. მაშასადამე, გამხდარიყო მათი სამემკვიდრეო თანასწორუფლებიანობის დამრღვევი ფაქტორი.

უმცროს ვაჟიშვილს, რომელიც მამის სიცოცხლეში არ იყო დამოკიდებული, უფლება ჰქონდა მამის გარდაცვალების შემდეგ, უფროს ცოლიან ძმებთან ქონებრივი გათანაბრების მიზნით, მიეღო ქონება საქორწინო გამოსასყიდისათვის და ამის შემდეგ ძმებთან ერთად თანაბრად გაენაწილებინა დანარჩენი სამკვიდრო მასა. უკეთუ კაცი თავის ვაჟიშვილებს შერთავს ცოლებს, ამბობს კანონმდებელი, ხოლო თავის უმცროს ვაჟს არ შერთავს ცოლს; მას შემ-

დევ. რაც მამა მოკვდება, და ძმები შეუღდებთან ქონების გაყოფას. მამის სახლის ქონებიდან მათ უმცროს ძმას, რომელსაც ჯერ ცოლი არ შეუერთავს, გარდა მისი წილისა, უნდა განუსაზღვრონ ვერცხლი-საქორწინო ვამოსასყიდისათვის და შერთონ მას ცოლი.

შვილად აყვანილები გარდაცვლილის საკუთარი შვილების თანაბრად ღებულობდნენ მემკვიდრეობას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სამკვიდროს დაბტოვებულს ორი ან მეტი ცოლი ჰყავდა, მემკვიდრეობა ყველა შვილს. მიუხედავად იმისა, თუ რომელი მათგანის ნაშობი იყო იგი. თანაბრად უნდა მისცემოდა.

მემკვიდრეობის ეს წესი ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონებიდან უნდა იყოს შეტანილი ხამურაბის სამართალში. აღნიშნული კანონები ადგენს, რომ «პირველი ცოლის შვილებმა და მეორე ცოლის შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ თავიანთი მამის ქონება».

მონა ქალის შვილები, რომლებიც მამამ გაუტოლა შვილებს, კანონიერი შვილების თანაბრად ღებულობენ მემკვიდრეობას. უკეთუ კაცს თავისი მეუღლსაგან შვილები ეყოლება და მისი მხევალიც შობს მისგან შვილებს და მამა თავის სიცოცხლეში ეტყვის შვილებს, რომლებიც შობა მისგან მხევალმა: «ჩემი შვილებიაო», გაუტოლებს მათ თავის მეუღლის შვილებს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, მეუღლის შვილებმა და მხევლის შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მამის სახლის ქონება; მემკვიდრეკ, მეუღლის ვაჟიშვილმა, გაყოფისას პირველმა უნდა აირჩიოს და წაიღოს თავისი წილი (170).

თუკი მამა მხევლისაგან შობილ შვილებს თავისად არ ცნობდა, ისინი მამის ქონების დამემკვიდრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. თუ მამა თავის სიცოცხლეში არ ეტყვის შვილებს, რომლებიც მისგან შობა მხევალმა: «ჩემი შვილებიაო», მას შემდეგ რაც მამა მოკვდება, მხევლის შვილებს არ შეუძლიათ გაიყონ მეუღლის შვილებთან ერთად მამის სახლის ქონება (171).

თუ მამა მხევლისაგან ნაშობ შვილებს თავისად არ ცნობს, მაშინ მამის გარდაცვალების შემდეგ მხევალი და მისი შვილები განთავისუფლებული უნდა იქნენ. მეუღლის შვილებს არ შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზიები მხევლის შვილების მონად გადაქცევის შესახებ. ამ წესში ძველი შუმერული კანონების გავლენა მოჩანს.

ლიფიტ-იშთარის კანონებით, მხევლისაგან ნაშობ შვილებს, თუნდაც რომ მამამ ისინი გააზატოს, მაინც არა აქვთ მემკვიდრეობის მიღების უფლება. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს, — ნათქვამია კა-

წონში,—ცოლი შეიღებნ შობს და ისინი ცოცხლები იქნებიან. აგრეთვე მხეველები თავიანთი პატრონისაგან შეიღებნ შობენ და მამა გაააზატებს მხეველებს და მათ შეიღებნ. მაშინ «მხეველების შეიღებმა არ უნდა გაიყონ სახლი პატრონის შეიღებთან».

ლიფიტ-იშთარის კანონებში მკაცრად გატარებული კლასობრივი, მონათმფლობელური პრინციპი რამდენადმე შემსუბუქებული ხანს ხამურაბის კანონმდებლობაში. ხამურაბის კანონით მაშინ ერთი, მაგრამ დედით სხვადასხვა შეიღები დედების მიხედვით კი არ იყოფენ ქონებას, არამედ მამის მიხედვით. მათ თანაბრად უნდა გაინაწილონ მამის ქონება. კანონმდებელი ამ შემთხვევაში არ ცნობს მატრიარქატიდან მომდინარე პრინციპს და პატრიარქალურ თვალსაზრისზე დგას.

თუ მამა ხასისაგან შობილ თავის ქალიშვილს მისცემს მშითევს. გაათხოვებს და ამასთან დაკავშირებით დაუწერს მას ბუკედდამსმულ საბუთს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება. იგი ვერ მიიღებს წილს მამის სახლის ქონებიდან. მაშაადამე, მშითევი ხასისაგან ნაშობი ქალიშვილისათვის სამკვიდრო წილი იყო. ხოლო თუ მშითევი არ უქნებოდა მიცემული, ხასისაგან ნაშობ ქალიშვილს მამის გარდაცვალების შემდეგ ძმებისაგან უნდა მიეღო საჩუქრად მშითევი — შერიქტუმი, დატოვებული სამკვიდრო შესაბამისად. უნდა ვიფიქროთ, რომ კანონიერად შობილი გათხოვილი ქალებიც ქონებიდან როგორც კანონიერ სამკვიდრო წილს ღებულობდნენ მხოლოდ მშითევს (შერიკთუმს) სახით. მხევა ქალიშვილები რომლებიც მამის ოჯახში იმყოფებოდნენ, ვაჟიშვილების თანაბრად იყოფდნენ მამის მემკვიდრეობას.

ქურუმ ქალიშვილს მამა ჩვეულებრივ აძლევდა მშითევს — შერიკთუმს. ქურუმ ქალს თავისი მშითევის მხოლოდ სარგებლობის უფლება ჰქონდა და კანონი მას შერიკთუმის გასხვისების უფლებას არ აძლევდა. ქურუმ ქალს გაპონაკლისის სახით მშითევის გასხვისება მაშინ შეეძლო, როდესაც ნაჩუქრობის პირობებით მანამის უფლებას მიანიჭებდა. მაშინ სიკვდილის შემდეგ ქურუმი ქალიშვილისათვის მშითევად დათმობილი ქონება მისი ძმების ხელში გადადიოდა. ძმები კი თავის მხრივ ვალდებულნი იყვნენ მიეცათ ქურუმი დისთვის სარჩო მისი წილის ოდენობის შესაბამისად. თუ ქალს ძმები არ მისცემენ მას მისი წილის ოდენობის შესაბამისად პურს, ხეთს და მატყლს და ამით არ დააკმაყოფილებენ მას. ქალს შეუძ-

ლია გადასცეს თავისი სახნავ-სათესი და ბალი მისთვის შესაფერის ბიწათომოქმედს და ამ ბიწათომოქმედმა უნდა არჩინოს ის, ვიდრე ქალი ცოცხალია. მას შეუძლია ისარგებლოს სახნავ-სათესით, ბალით და ყველაფრით, რაც მას მისცა მისმა მამამ; მათი გაცემა ვერცხლში და ამით ვალის გადახდა მას არ შეუძლია (178).

ზემოთ მოტანილი წესი გვიჩვენებს, რომ ქურუმ ქალს, რომელსაც მამამისმა მისცა მზითევი და დაუწერა ამის შესახებ საბუთი და მასში ქალიშვილს მზითვის გასხვისების უფლება არ მიანიჭა, არ გააჩნდა საკუთრების უფლება შერიკთუმის მიმართ. ქალი ამ შემთხვევაში მხოლოდ მზითევის მოსარგებლედ გამოდის.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნებოდა ქურუმი ქალისათვის, თუ მამა მზითევის მიცემისას სათანადო დოკუმენტით მას მზითევის გასხვისების უფლებას მიანიჭებდა. ამ შემთხვევაში ქურუმი ქალი მზითვის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად გამოდიოდა. უკეთუ ქურუმ ქალს მამამისმა მისცა მზითევი და დაუწერა ბეჭედდასმული საბუთი და ჩაუწერა საბუთში, რომ ქალს შეუძლია გასცეს ის, რაც მის შემდეგ დარჩება, სადაც მოისურვებს, მიანიჭა მას თავისუფალი განკარგულების უფლება, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ქალს შეუძლია გასცეს ის, რაც მის შემდეგ დარჩება, სადაც მოისურვებს; ძმებს არ შეუძლიათ მოახთხოვონ ქალს რაიმე სასამართლო წესით (179).

თუ ქურუმი ქალიშვილი მამისაგან მზითევს არ მიიღებდა, ამ შემთხვევაში იგი მამის ქონებას სხვა შვილების თანაბრად ეუფლებოდა. უკეთუ მამა თავის ქურუმ ქალიშვილს არ მისცემს მზითევს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ქალი მამის სახლის ქონებიდან ლებულობს წილს, თანაბარს ერთი მემკვიდრის წილისა, და მას შეუძლია ისარგებლოს ამით, ვიდრე ცოცხალია. ის, რაც ქალის სიკვდილის შემდეგ დარჩება, ეკუთვნის მხოლოდ მის ძმებს. ამ შემთხვევაში ქურუმი ქალი თავისი სამკვიდრო ქონების მოსარგებლედ გვევლინება და არა მესაკუთრედ.

ხამურაბის კანონმდებლობა იცნობს აგრეთვე ისეთი ქურუმი ქალების ჯგუფს. რომლებიც ლებულობენ არასრულ მემკვიდრეობით წილს. უკეთუ მამა ღვირთს შესწირავს ნადითუმს, ტაძრის მეძაგ ქალს ან ტაძრის ქალწულს და მისცემს მას მზითევს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, იგი მამის სახლის ქონებიდან ლებულობს თავის სამემკვიდრეო წილის $\frac{1}{3}$ -ს და შეუძლია ისარგებლოს იმით, ვიდრე ცოცხალია; ის, რაც ქალის სიკვდილის შემდეგ დარჩება, ეკუთვნის მხოლოდ მის ძმებს.

განსხვავებული იყო ბაბილონის მარდუქის ქურუმი ქალების სამემკვიდრეო უფლებები. ყველა სხვა ქურუმი ქალისაგან განსხვავებით, მათ უფლება ეძლეოდათ თავისი სამკვიდრო ქონების წილის არა მარტო სარგებლობის, არამედ თავიანთი შეხედულებებისამებრ განსხვავებისაც. თუ მამა არ მისცემს მზითევს თავის ქურუმ ქალიშვილს — ბაბილონის მარდუქის ნადითუმს, არ დაუწერს მას ბეჭედდასმულ საბუთს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ძმების გაყოფისას იგი მამის სახლის ქონებიდან ღებულობს თავის სამემკვიდრეო წილის $1/3$ -ს. ის, რაც მის შემდეგ დარჩება. მარდუქის ნადითუმს «შეუძლია გასცეს, სადაც მოისურვებდა».

ეს, ალბათ, აიხსნება იმ განსაკუთრებული როლითა და მნიშვნელობით, რაც ბაბილონის მფარველი ღმერთის — მარდუქის ტაძარს ე-ს ა გ ი ლ ა ს ჰქონდა ძეგლბაბილონურ ღვთაებათა პანთეონში. ამ ტაძრის ქურუმი ქალები, როგორც ჩანს, პრივილეგიებით სარგებლობდნენ სხვებთან შედარებით. ისინი არც სამხედრო ბეგარას (ილქუმს) იხდიდნენ.

ცოლის სამემკვიდრეო ქონებას შეადგენდა მზითევი და ქვრივობის წილი — ნუღუნუმი, აგრეთვე ქმრისაგან ნაჩუქარი სხვა ქონება. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ცოლი განაგრძობდა ცხოვრებას გარდაცვლილი მეუღლის სახლში. ცოლს არ შეეძლო გაეყიდა ოჯახის ქონება, რომელიც მიაჩნო ცოლის შემდეგ შვილების ხელში გადადიოდა. თუ ქმარმა არ დაუტოვა ცოლს ქვრივობის წილი, მაშინ ცოლი მზითვის — შერიკთუმის გარდა ღებულობს შვილის თანაბარ მემკვიდრეობით წილს. სახლიდან დედის გაძევებისათვის შვილები სასამართლო წესით ისჯებოდნენ, დედა კი ქმრის სახლში რჩებოდა. თუ ქალი ქმრის ოჯახიდან წავიდოდა. ნუღუნუმს ღებულობდა, ქვრივობის წილს კი კარგავდა.

გარდაცვლილი დედის მზითევი შვილების საკუთრებას შეადგენდა. შვილები დედის მზითევს თანაბრად ინაწილებდნენ. თუ გათხოვილი ქალი უშვილოდ მოკვდებოდა, ქმარი სიმამრისაგან მიიღებდა გამოსასყიდ ფასს — თერხათუმს, ხოლო მას ქალის მზითევს უბრუნებდა.

ემუნენის მეფის ბილალაჰის კანონების მიხედვით, უშვილოდ გარდაცვლილი ქალის კუთვნილი ქონების დამკვიდრების ასეთი წესი არსებობდა: ქალის მამას შეუძლია წაიღოს არა მარტო ის, რაც ქალმა მოიტანა; მას გარდა ამისა შეუძლია წაიმატოს: 1 სიკლ ვერცხლზე — მეექვსედი წილი და 6 უთუთუ. ხოლო 1 ქურუ ქერზე პროცენტი — 1 მასიქთუ და 4 სუთუ.

აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს ოჯახში ახლად მოყვანილი პატარძლის გარდაცვალება, რომელსაც შვილები არ ღარჩხ. პროცენტების გადახდა, რასაც კანონი ითვალისწინებს, გამოწვეული იყო იმით, რომ ქალისათვის მზითევად მიცემული ფულითა (ვერცხლი) და ქვრით ისარგებლა სიძის ოჯახმა.

ხამურაბის კანონები ქვრივ ქალს გათხოვების უფლებას ანიკვებდა. თუ ქვრივი გათხოვდებოდა, მისი მზითევის მემკვიდრეებად ხდებოდნენ პირველი ქორწინებიდან წარმოშობილი შვილები, ოლონდ იმ შემთხვევაში, თუკი მას მეორე ქორწინებაში შვილები არ გაუჩნდებოდა. თუ ქალს ორივე ქორწინებიდან ეყოლებოდა შვილები, მამის დედის მზითევს, მისი გარდაცვალების შემდეგ, პირველი ქორწინებიდან შობილი შვილები ღებულობდნენ მეორე ქორწინებიდან შობილი შვილების თანაბრად.

ჩვეულებრივ, მონის ქონება მისი სიკვდილის შემდეგ მისი პატრონის ხელში გადადიოდა, ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა ცოლად ირთავდა თავისუფალ ქალს, ქმრის სიკვდილის შემთხვევაში ცოლი ინარჩუნებდა მზითევს — შერიკთუმს, ხოლო ცოლ-ქმრის დანარჩენი ქონება შუაზე გაიყოფოდა: ერთ ნაწილს ქვრივი მიიღებდა შვილების აღსაზრდელად, ხოლო მეორე ნაწილს — მონის პატრონი. შესაძლოა, რომ ეს დადგენილება ყველა მონას არ ეხებოდა. საფიქრებელია, იგი მხოლოდ სასახლისა და მუშქენუმის მონების პრივილეგიას შეადგენდა.

ხამურაბის კანონები, გარდა კანონით მემკვიდრეობისა, იცნობს ოჯახის ფარგლებში ანდერძით მემკვიდრეობის განვითარებულ ელემენტებს, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ანდერძს პირდაპირ არ იხსენიებს. სამკვიდრო ქონების დამტოვებელს, როგორც ხამურაბის კანონმდებლობიდან ჩანს, უფლება ჰქონდა შეექმნა ქონებრივი უპირატესობანი ზოგიერთი მემკვიდრის სასარგებლოდ და დანარჩენების საზიანოდ. მამას სასამართლო წესით შეუძლია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში წაართვას შვილს მემკვიდრეობა. მამას უფლება აქვს კანონიერი სამკვიდრო წილის გარეთ მიაცეს თ ა ვ ი ს გამო რ ჩ ე უ ლ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ს ა სახნაე-სათესი მიწა, ბალი, სახლი და სხვ. ამ შემთხვევაში ს.ქმე არა გვაქვს ჩუქების ხელშეკრულებასთან. რადგან ქონების მიმღებისაგან არც თანხმობა და არც ხელშეკრულება არაა საჭირო ხსენებული აქციის კანონიერად აღიარებისათვის. ესაა სამკვიდროს დამტოვებლის განკარგულება სიკვდილის შემდეგ მისი ქონების მიმართ უფლება-მონაცვლების შესახებ.

ცხადია, ამ შემთხვევაში სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის შემდეგ ქონება მემკვიდრეზე გადადის. რაც ხსენებულ აქტის ანდერძს უახლოვებს.

მთელ რიგ შემთხვევებში ანდერძის როლს ასრულებდა შვილად აყვანა, რომელიც ანდერძის თავისუფლებას სუროგატი იყო და რომლის შედეგადაც შვილად აყვანილი შვილად ამყვანის მემკვიდრე ხდებოდა. გარდა ამისა, ხამურაბის კანონების 150-ე მუხლის მიხედვით დედას შეუძლია მისცეს ის, რაც დარჩება მისი სიკვდილის შემდეგ. «თავის საყვარელ ვაჟი შვილს».

ასეთია საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი საკითხები ძველბაბილონური კანონმდებლობის მიხედვით.

საკითხის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა ის ახალი მომენტები, რომლებსაც ხამურაბის კანონებთან შედარებით შეიცავს ე. წ. «ახალბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული». კრებული შედგენილია VI საუკუნეში და წარმოადგენს სასამართლო კაზუსების ჩანაწერს კითხვა-პასუხის სახით.

თუ ქალის მამამ გამოაცხადა თავისი ქალიშვილის მზითვეი და ვაჟის მამამაც გამოაცხადა საბუთში რომელიმე ქონება და მისცა თავის ვაჟიშვილს და მათ ამის შესახებ ერთმანეთს საბუთი დაუწერეს, თავიანთი საბუთი მათ არ უნდა შეეცალონ. მაშას არ შეუძლია თავის განკარგულებაში იქონიოს რაიმე, რაც მან გადასცა თავის ვაჟიშვილს საბუთით და აჩვენა თავის მძაბალს. როდესაც მამის ცოლი მოკვდება და მამა ითხოვს მეორე ცოლს და მას შეეძინება შვილები, მეორე ცოლის შვილებს მამის გარდაცვალების შემდეგ შეუძლიათ წაიღონ მისი დარჩენილი ქონების მესამედი.

თუ კაცი თავის ქალიშვილს შეპირდა მზითვეს და დაუწერა საბუთი ამის შესახებ. თუნდაც რომ შემდეგ მისი ქონება შემცირდეს, მან უნდა მისცეს თავის ქალიშვილს მზითვეი შესაბამისად თავისი დარჩენილი ქონებისა. სიმამრმა და სიძემ არ უნდა დაარღვიონ ერთმანეთთან დადებული შეთანხმება.

უკეთეს მამამ თავის ქალიშვილს მისცა მზითვეი და ქალი გარდაიცვალა ისე, რომ მას არ დარჩა ვაჟიშვილი ან ქალიშვილი, ქალის მზითვეი უნდა დაუბრუნდეს მისი მამის სახლს. ასევე ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას შვილი არ ჰყავს, ქალი ღებულობს თავის მზითვეს მთლიანად და აგრეთვე საქორწინო საჩუქარს, რომელიც მას აჩუქა ქმარმა. ხოლო თუ ქალს არ ჰქონდა მზითვეი, მაშინ მას ქმრის დარჩენილი ქონების შესაბამისად უნდა მიეცეს რამე.

თუ ქალი, რომელსაც შვილები ჰყავს, თავისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ განიზრახავს გათხოვებას, მას შეუძლია წაიღოს მზითევი და საქორწინო საჩუქარი. თუ მას მეორე ქმრისაგანაც შეეძინება შვილები, ქალის სიკვდილის შემდეგ მეორე ქმრის შვილებს და პირველი ქმრის შვილებს შეუძლიათ გაიყონ მისი მზითევი.

უკეთეს კაცს ჰყავს შვილები პირველი ცოლიდან და მისი გარდაცვალების შემდეგ შეირთავს მეორე ცოლს და მისგანაც შეეძინება შვილები. მას შეეძლება, რაც კაცი გარდაიცვლება, მისი ქონებიდან 2 ნაწილი შეუძლიათ წაიღონ პირველი ცოლის შვილებმა. ხოლო მესამე ნაწილი — მეორე ცოლის შვილებმა.

ასეთია საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ის ახალი მომენტები. რომლებიც დამკვიდრდა ახალბაბილონის სასამართლო პრაქტიკაში.

დანაშაული და სასჯელი

I. სასჯელები. ძველბაბილონური სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში, სახელდობრ, გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციაში აქვს. ხამურაბის ეპოქის საკანონმდებლო ძეგლებში სისხლის აღების ადათი არ ჩანს. როგორც ირკვევა, III ათასეულის დასასრულისათვის ეს ადათი უკვე გამქრალა. არც ეშნუნის მეფის ბილა-ლამისა და არც ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონებშია მის შესახებ რაიმე ნათქვამი. კერძო შურისძიება შეცვლილია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სასჯელით. მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულის გამოსყიდვა ხდება ფულადი ან ქონებრივი საზღაურით, რომელსაც დანაშაულებს უხდის დაზარალებულს ან მისი ოჯახის წევრებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის სოციალური მდგომარეობის მიხედვით.

შურისძიების აღკვეთა დაკავშირებულია იმასთან, რომ კანონმდებელს დანაშაული უკვე აღარ მიაჩნია კერძო საქმედ, რომელიც მხოლოდ დაზარალებულის ინტერესებს არღვევს. დანაშაული. უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა და ამიტომ თვით სახელმწიფო სჯის დამნაშაულს. რაკი დანაშაული კერძო საქმე არაა, ცხადია, არც სასჯელი შეიძლება მინდობილი იყოს კერძო პირის—დაზარალებულს ან მისი ნათესავების ნება-სურვილზე. ამიტომ შურისძიების, სისხლის აღების ადათს ძველბაბილონური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მაგრამ ამასთან ერთად ბაბილონის სამართალში შემორჩენილია პირველყოფილი თემური წყობილების ზოგიერთი გადმონაშთი, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს სისხლის სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის პრიმიტიულ ხასიათსა და იურიდიულ აზროვნების დაბალ დონეს.

ა) კოლექტიური პასუხისმგებლობა. ზოგიერთი მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს, როცა დამნაშავე აღმოჩენილი არ არის. კანონი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს მთელი თემის მოსახლეობასა და თემის მამასახლისს (რაბიანუმს). ასეთ მძიმე დანაშაულად კანონმდებელი თვლის ძარცვას. უკეთუ მძარცველი შეპყრობილი იქნა. იგი უნდა მოკლან. ხოლო თუ მძარცველი ვერ იქნა შეპყრობილი, გაძარცულმა კაცმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი, რაც მან დაკარგა, ხოლო თემმა, რომლის საზღვრებში ჩადენილია დანაშაული და თემის რაბიანუმმა უნდა აუნაზღაურონ დაზარალებულს. რაც მან დაკარგა. უკეთუ ძარცვის დროს მოკლული იქნა კაცი და დამნაშავის ვინაობა უცნობია, ამ შემთხვევაშიც თემმა და რაბიანუმმა დაზარალებულის ნათესავებს უნდა მისცენ ერთი შინა ვერცხლი.

კოლექტიური პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის. რომელიც დამნაშავის გვარს ან იმ თემის მოსახლეობას ეკისრება, რომლის ტერიტორიაზე ჩადენილი იყო დანაშაული, გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობიდან მომდინარე ჩვეულებაა. რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში შემორჩენილია გადმონაშთის სახით. კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარება და დაკანონება სისხლის სამართლის, კერძოდ სასჯელის ინსტიტუტების, თავდაპირველ და განუვითარებელ ბუნებას მოწმობს.

ბ) შვილების პასუხისმგებლობა მშობლების დანაშაულისათვის. ხამურების კანონების ჩამდენიმე მუხლი აწესებს შვილების პასუხისმგებლობას მშობლების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შვილებს არავითარი ბრალი არ მიუძღვით ჩადენილ ბოროტმოქმედებაში. თამქარმა რომ ცუდად მოპყრობის შედეგად მასთან მყოფი მძევალი—მოვალის დაგირავებული ვაჟიშვილი მოკლას, თამქარის ვაჟიშვილიც უნდა მოკლან, თუმცა ეს უკანასკნელი არაფერ შუაშია. ვინც დარტყმის შედეგად კაცის ასულს მოკლავს, მისი ქალიშვილიც უნდა მოკლან. თუ მშენებელი სახლს ააშენებს და სამუშაოს მკვიდრად არ შეასრულებს, ისე რომ მის მიერ აგებული სახლი ჩამოინგრევა და ეს გამოიწვევს სახლის პატრონის შვილის სიკვდილს, სახლის მშენებლის შვილიც უნდა მოკლან. უდანაშაულო შვილების ასეთი განუვითარება და სანატიკი დასჯა, ცხადია, შეუთავსებელია განვითარებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებთან.

გ) ოჯახის პასუხისმგებლობა ნაპოვნი ნივთის გაყიდვისათვის. ხაშურაბის კანონები ითვალისწინებდა მეტად მკაცრ პასუხისმგებლობას დაკარგული ნივთის მოთვისების ან გაყიდვისათვის. დაკარგული ნივთის მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი, რომლისგანაც იყიდა ნივთი, თუ ვერ მოიყვანს, მაშინ მყიდველი ქურდია და ის უნდა მოკლან, ხოლო პატრონმა უნდა მიიღოს თავისი დაკარგული ნივთი.

მაგრამ თუ სხვისი ნივთის მპოვნელ-გამყიდველ მოკვდა, ხოლო ნივთის მესაკუთრემ სარჩელი აღძრა მყიდველის წინააღმდეგ, მაშინ ნივთის მყიდველი ნივთის გამყიდველის სახლიდან 5-ჯერადი ოდენობით ღებულობს ამ სასამართლო საქმეზე წარდგენილ სარჩელს. ამრიგად სხვისი დაკარგული ნივთის მპოვნელ-გამყიდველის გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა ნივთის 5-ჯერადი ღირებულების ოდენობით, თუმცა ოჯახი აქ არაფერ შუაშია და შეიძლება მან არაფერი იცის ჩადენილი ქმედობის შესახებ.

დ) დამნაშავეის გაძევება თემიდან ან ოჯახიდან. ეს უძველესი ადამიანი გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს. როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, იგი დაკანონებულია არა მარტო ხაშურაბის, არამედ უფრო აღრინდელი პერიოდის კანონებშიც. კერძოდ, მას იცნობს შუმერული კანონების ფრაგმენტი და ე. წ. შუმერული საოჯახო კანონები. ამასთან ორივე ეს საკანონმდებლო ძეგლი ითვალისწინებს როგორც თემიდან, ისე ოჯახიდან გაძევებას; დამნაშავემ «უნდა დატოვოს კედლები და სოფელი», იგი უნდა გააძევიონ თემიდან, გააგდონ სახლიდან. ხაშურაბის კანონების მიხედვით ეს სასჯელი შეეფარდება დამნაშავეს (მამა, შვილი) ოჯახის წევრთან (ქალიშვილი. დედინაცვალი) სქესობრივი კავშირის დაქვრის შემთხვევაში. გაძევება ადამიანობრივი სამართლის ინსტიტუტია, რომელიც გადმონაშთის სახით შემორჩენილია ძველი ბაბილონის სისხლის სამართალში.

ე) ტალიონი. ხაშურაბის კანონებში გათვალისწინებულია ტალიონის პრინციპი—*თანაბრისათვის თანაბარი*, დანაშაულისათვის დამნაშავეს უნდა მიეგოს თანაზომიერი სასჯელი. საფიქრებელია, რომ სასჯელის ეს პრინციპი ძველებრაულ სამართალში ე. წ. «მოსეს სჯულში» შეტანილია ბაბილონის კანონმდებლობიდან. «დაბადების» ქართულ თარგმანში ეს პრინციპი გადმოცემულია შემდეგნაირად: *«განტეხა განტეხისა წილ, თუალი*

თუ ვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, და რა მცა გერში დასდვას კაცმან კაცსა, ეგრევე უყავთ მასა — ე. ი. ძვლის მოტეხა ძვლის მოტეხისათვის, თვალის დათხრა თვალის დაზიანებისათვის, კბილის ჩამტვრევა კბილის ჩაგდებისათვის და, ამრიგად, კაცმა კაცს რა ჭრილობაც მიაყენოს, ეგრევე უყავით მასო.

ტალიონის პრინციპის გამოყენებას ხამურაბის კანონმდებლობაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს. დამნაშავეს მას უფარდებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეც და დაზარალებულიც თანაბარი სოციალური მდგომარეობის პირები — ბაბილონის თავისუფალი და სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან. ასეთ მოქალაქეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, კანონი «კაც-ს», ანუ აველუმს უწოდებს. ხამურაბის კანონების მიხედვით ტალიონის პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა აველუმმა ჩაიდინა დანაშაული აველუმის წინააღმდეგ. «უკეთუ კაცი თვალს დაუზიანებს რომელიმე კაცს, მასაც თვალი უნდა დაუზიანონ» (196); «უკეთუ იგი ძვალს მოსტეხს კაცს, მასაც ძვალი უნდა მოსტეხონ» (197); «უკეთუ კაცი კბილს ჩაუმტვრევს თავის ტოლ კაცს, მასაც კბილი უნდა ჩაუმტვრიონ» (200). «კაცი» აქ გულისხმობს სოციალურად თავისუფალ პირს. ბაბილონის საზოგადოების სრულუფლებიან მოქალაქეს (აველუმს).

ხამურაბის სამართალი იცნობს სიმბოლურ ტალიონსაც, რაც ჩვეულებრივად გულისხმობს დამნაშავეის სხეულის იმ ორგანოს მოკვეთას, რომლის საშუალებითაც ჩადენილია დანაშაული. უკეთუ ექიმის მიერ უხეიროდ გაკეთებული ოპერაციის შედეგად კაცი მოკვდება, ექიმს თითები უნდა მოსჭრან. შვილი თუ მამას გარტყამს, მასაც თითები უნდა მოსჭრან. უკეთუ კაცი შეანგრევს სახლს, გაქურდვის მიზნით, იგი ამ შენანგრევის წინ უნდა მოკლან და ჩაფლან. ვინც ხანძრის დროს რამეს მოიპარავს, იმავე ცეცხლში უნდა ჩააგდონ. ნაშვილებს, რომელიც თავის გამზრდელ დედას ან მამას ეტყვის: «შენ ჩემი მამა, ჩემი დედა არა ხარო», ენა უნდა მოსჭრან. უკეთუ დალაქი მონის ბატონის დაუკითხავად მონას ჩამოპარსავს მონობის ნიშანს, დალაქს თითები უნდა მოსჭრან. სიმბოლურ ტალიონს მიეკუთვნება აგრეთვე ზემოთ აღნიშნული შემთხვევებიც, რომლებიც ითვალისწინებენ შვილების პასუხისმგებლობას მშობლების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

სარულიად სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. როცა საკითხი ეხება სოციალურად დაბალი მდგომარეობის ადამიანებს—მუშქენუმებს ან უუფლებო მონებს. ასეთ შემთხვევაში ტალიონის პრინციპი არ მოქმედებს და დამნაშავე დაზარალებულს მკვლელობის ან სხეულის დაზიანებისათვის მხოლოდ საზღაურს უხდის. აველუმმა რომ მუშქენუმს თვალი დაუზიანოს ან ძვალი მოსტეხოს, მან ამისათვის ერთი მინა ვერცხლი უნდა უხლოს, ხოლო თუ იგი მონის მიმართ ჩაიდენს ასეთ ქმედობას, მონის ბატონს უნდა გადაუხადოს მონის ნაყიდობის ფასის ნახევარი. ამრიგად, სოციალურად ზემდგომი პირი (აველუმი), რომელმაც სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება მიიყენა დაბლა მდგომ პირს (მუშქენუმს, მონა), თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან ტალიონის პრინციპის მიხედვით, მას მხოლოდ ქონებრივი საზღაური ეკისრება.

საწინააღმდეგო სურათი გვაქვს, როცა დანაშაული ჩადენილია დაბალი მდგომარეობის მქონე პირის მიერ მასზე მაღლა მდგომის მიმართ. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იზრდება და შესაბამისად სასჯელიც დიდდება. თუ კაცი თავის ტოლ კაცს ზილას გაართყამს, ერთი მინა ვერცხლი უნდა გადაუხადოს, მაგრამ თუ ასეთი დანაშაული ჩადენილია მაღლა მდგომის მიმართ, მაშინ დამნაშავეს სათემო კრებაზე 60-ჯერ უნდა დაართყან ხარის ტყავის მათრახი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქურდობისათვის ჯარიმის გადახდა ეკისრება შეძლებულ პირს, ხოლო ვინაც ჯარიმის გადახდა არ შეუძლია, იგი სიკვდილით ისჯება. — **ე უ კ ე თ უ ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ე ს მ ი ს ა ც ე მ ი , ი გ ი უ ნ დ ა მ ო კ ლ ა ნ ა .**

ამრიგად, ხამურაბის კანონმდებლობის მიხედვით სასჯელი ატარებს ამჟამა კლასობრივ ხასიათს. იგი გამოხატავს სოციალურად და უფლებრივად განსხვავებული ადამიანების შეუნიღბავ უთანასწორობას.

განვიხილოთ სასჯელის ცალკეული სახეები.

სიკვდილით დასჯა. სასჯელის ამ ზომას ფართოდ იყენებს ძველბაბილონური კანონმდებლობა. სიკვდილით დასჯას უფარდებენ დამნაშავეებს სხვადასხვა დანაშაულისათვის, როგორცაა, მაგ.: სახელმწიფო დანაშაული, მკვლელობა, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, ქურდობაში თანამონაწილეობა, დანაშაულის დაფარვა, ბავშვების მოტაცება, დანაშაული ოჯახის წინააღმდეგ, ტყუილი ბრალდება და სხვ. მართო ხამურაბის კანონმდებლობა ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის 31 შემთხვევას. სიკვდილით დასჯა ბაბი-

ლონის კანონმდებლობით შემოღებული იყო ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ხამურაბაძემდე. ეწინის მეფის ბილალამის კანონები არაერთგზის იხსენიებს სასჯელის ამ სახეს. განსაკუთრებით მკაცრად სჯის აღნიშნული კანონი ღამის ქურდს. უკეთუ ქურდი შეპყრობილ იქნა ღამით სახლში ან ყანაში, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. დანიშნული ქალის მოტაცება მიძიმე ღანაშაულად ითვლება, ამიტომ ვინც დანიშნულ ქალს მოიტაცებს და იძულებით კავშირს დაიჭერს მასთან, ის უნდა მოკვდეს.

მავე მკაცრად სჯის კანონი იმ პირს, ვინც დაგირავებულ ქალს ცუდად მოპყრობის შედეგად სიკვდილამდე მიიყვანს, «ეს სასამართლო საქმეა სიცოცხლის შესახებ, მოგირავენ უნდა მოკვდესო». მაშააღამე, განზრახ მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული. სიკვდილით დასჯის თავისებურ სახეს იცნობს შუმერული საოჯახო კანონებიც. თუ ქალი თავის ქმარს შეიძულებს და ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი ქმარიო», ასეთი ჭირვეული ცოლი მღინარეში უნდა გადააგდონ.

ხამურაბის კანონები სიკვდილით დასჯას აწესებენ მრავალგვარი ღანაშაულისათვის. სამართლის წიგნი იცნობს სიკვდილით დასჯის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის კვალიფიციურ ფორმებსაც (სარზე ჩამოგება, ცეცხლში დაწვა, გაგლეჯა და სხვ.). მთელ რიგ შემთხვევებში სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია სამხედრო ღანაშაულისათვის. ბაბილონში სამხედრო სამსახურის შესრულება დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო საქმე იყო. სამხედრო ბეგარა პირადად უნდა შეესრულებინა ბეგარავალდებულ პირს, კანონი სასტიკად კრძალავდა სამსახურვალდებულ პირის ნაცვლად სხვა დაქირავებული კაცის გაგზავნას ლაშქრობაში. უკეთუ მხედარი (რედუმი ან ბაირუმი), რომელმაც ნაბრძანები აქვს წავიდეს მეფის ლაშქრობაში, არ წავა ან დაიქირავებს ვინმეს და მას გაგზავნის თავის ნაცვლად, ეს მხედარი უნდა მოკლან. სამხედრო სამსახური სამეფო ბეგარაა, სამხედროვალდებულს, მხედარს, მიღებული აქვს სამეფო მიწის ნაკვეთი სამსახურის შესრულების პირობით. ეს წესი ვრცელდება არა მარტო მხედრებზე, არამედ მხედართა უფროსებზეც (დექუმი, ლუბუთუმი). თუ ისინი დაიქირავებენ კაცს და შემცვლელს სახით გაგზავნიან მას ლაშქრობაში, ასეთი დექუმი ან ლუბუთუმი უნდა მოკვდეს.

სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია მკვლელობაში ტყუილ ბრალდებისათვის. ვინც მკვლელობას დააბრალებს სხვას, მაგრამ

ვერ შეძლებს ამის დამტკიცებას, იგი უნდა მოკლან. ასევე ვინც გამოდის სასამართლო სხდომაზე დანაშაულის დასამოწმებლად, მაგრამ ვერ დაამტკიცებს თავის ნათქვამს, თუკი ეს სასამართლო საქმე შეეხება მკვლელობას, ასეთი მოწმე უნდა მოკლან. მაშასადამე, «თუ საქმე შეეხება სიცოცხლეს», ე. ი. კაცს ბრალი ედება მკვლელობაში, მაგრამ ბრალმდებელი ამას ვერ დაუმტკიცებს, მას როგორც ცილისმწამებელს სიკვდილით სჯიან.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ განზრახ მკვლელობისათვის დამნაშავე ყოველთვის სიკვდილით ისჯებოდა. ასეთი დასკვნა რომ სწორია, ამას იხიცი ადასტურებს, რომ კანონი მთელრიგ შემთხვევაში აწესებს დამნაშავის სიკვდილით დასჯას არაწინასწარი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისათვისაც.

სასჯელის უმაღლესი ზომა ფართოდ არის გამოყენებული დანაშაულისათვის საკუთრების წინააღმდეგ. კანონი მთელი სისასტიკით იცავს ბაბილონის საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს—მონათმფლობელურ საკუთრებას. სიკვდილით ისჯება არა მარტო ის, ვინც მოიპარავს სასახლის ან ტაძრის ქონებას, არამედ ისიც, ვინც ქურდის ხელიდან მიიღებს ნაპარაკს. არასრულწლოვანისაგან ან მონისაგან ადამიანის ან რაიმე ქონების უმოწმეებოდ და უხელშეკრულებოდ ყიდვა სიკვდილით ისჯება, ასეთის მყიდველი ქურდია და იგი უნდა მოკლანო, ნათქვამია კანონში. აქაც კანონმდებელს ნაპარაკი ქონების ყიდვა უნდა ჰქონდეს მხედველობაში. კანონი სიკვდილით დასჯას უწესებს დაკარგული ნივთის გამყიდველსაც და მყიდველსაც. თუ ისინი ვერ შეძლებენ მოწმეების დასახელებას, რომელთა დასწრებით იყიდეს მათ ეს ნივთი. სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული მცირეწლოვანი ვაჟის მოპარვისთვისაც. კანონი სასტიკად იცავს მონებსა და მონა ქალებზე მონათმფლობელური საკუთრების უფლებას. ქალაქის კარებიდან მონის ან მხევლის გაყვანისათვის დამნაშავე უნდა მოკლან. სიკვდილით ისჯება აგრეთვე იმ სახლის პატრონი, რომელიც თავშესაფარს მისცემს გაქცეულ მონას ან მხევალს, ის, ვინც ქურდობის მიზნით სახლს შეიარაღებებს, ან ის, ვინც ძარცვას ჩაიდენს.

ხელშეკრულებით დანიშნული საცოლეს გაუპატიურება მძიმე დანაშაულად ითვლება და ამიტომ კანონი დამნაშავეს სიკვდილით დასჯას უწესებს. თუ კაცი დალაქს მოატყუებს და დალაქი სხვის მონას ჩამოპარსავს მონობის ნიშანს, ასეთი კაცი სიკვდილით უნდა დასაჯონ, ხოლო დალაქმა უნდა დაიფიცოს, რომ მას განზრახვით არ მოუპარსავს, და იგი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. სა-

მართლის წიგნი აღნიშნავს სიკვდილით დასჯის სხვა შემთხვევებსაც. ახლა განვიხილოთ სიკვდილით დასჯის კვალიფიციური ფორმები. ეს ფორმები გულისხმობს დანაშაულის ისეთი საშუალებებით დასჯას, რომლებიც დაკავშირებულია მეტად მძიმე ტანჯვა-წვალების მიყენებასთან.

ცეცხლში დაწვა. სიკვდილით დასჯის კვალიფიციური ფორმებიდან უნდა აღინიშნოს დანაშაულის ცეცხლში დაწვა. კანონი ასეთ სასჯელს ორიოდ შემთხვევისათვის ითვალისწინებს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ იგი უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სამართლის წიგნის 25-ე მუხლი სიმბოლური ტალიონის პრინციპის საფუძველზე აღგენს: უკეთუ კაცის სახლში ხანძარი გაჩნდა და კაცი, რომელიც მივა ხანძრის ჩასაქრობად, თვალს მიაპყრობს სახლის პატრონის ხაბაკს და წაიღებს რამეს სახლის პატრონის ხაბაიდან, *«ე ს კ ა ც ი უ ნ დ ა ჩ ა ა გ დ ო ნ ა მ ა ვ ე ც ე ც ხ ლ შ ი ა»*. ამ შემთხვევაში ქურდობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში — ხანძრით გამოწვეული უბედურების დროს და კანონმდებელიც დანაშაულის სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ ფორმას უფარდებს.

ბაბილონში ქურუმ ქალებს დიდი ღირსება და პატივი ჰქონდათ. არსებობდა ქურუმ ქალთა რამდენიმე კატეგორია. მათ შორის აღსანიშნავია ნ ა დ ი თ უ მ ი და ე ნ თ უ მ ი. ქურუმ ქალები, თუნდაც რომ ისინი სავანეში არ ცხოვრობდნენ, ღვთის მსახურნი არიან. ამიტომ მათ უფლება არა აქვთ სამიკიტრო გახსნან ან სამიკიტროში შევიდნენ სიქარუს (მათრობელა სასმელი) დასალევად. თუ ნადითუმი ან ენთუმი ამახ ჩაიდნეს, *«ქ ა ლ ი უ ნ დ ა დ ა ი წ ვ ა ს ა»*.

სისხლის აღრევა მძიმე დანაშაულად ითვლება. კანონი იცავს აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესაურ დამოკიდებულებასა და სიწმინდეს. უკეთუ კაცი თავისი მამის სიკვდილის შემდეგ ჩაუწვება თავის დედას, *«ი ს ი ნ ი ო რ ი ვ ე ნ ი უ ნ დ ა დ ა წ ვ ა ნ ო»*, ნათქვამია კანონთა 157-ე მუხლში.

წყალში დახრჩობა. ამ სასჯელს კანონი იყენებს სხვადასხვა ხალხის დანაშაულის ჩადენის დროს. ერთ-ერთ ასეთ დანაშაულად ითვლება თაღლითობა, რომელიც დაკავშირებულია ნდობის ბოროტად გამოყენებასა ან მოტყუებასთან. უკეთუ მიკიტანი ქალი, ნათქვამია 108-ე მუხლში, არ ღებულობს პურს სიქარუს ფასად, ვერცხლს

ლებულობს მეტად დიდი საწონით და სიქარუს სატარიფო ოდენობას ამცირებს პურის სატარიფო ოდენობასთან შედარებით, მაშინ ეს მიკითხვანი ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ. თაღლითობა აქ შეერთებულია წონაში და ზომაში მოტყუებასთან, რასაც მოტივად აქვს ქონებრივი გამორჩენა, ანგარებით ქონებაზე უფლების მოპოვება.

სალაშქროდ წასული მხედარი რომ ტყვედ ჩაეარდეს, მისი ცოლი ვალდებულია შეინახოს ქონება და ოჯახი. მას გათხოვების უფლება არა აქვს. მაგრამ თუ ქალი არ შეინახავს ქონებას და გათხოვდება, იგი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ. ასეთივე სასჯელი უნდა შეეფარდოს იმ ქალს, რომელიც არ არის უბიწო, ტოვებს ოჯახს, აოხრებს თავის სახლს და არცხვენს თავის ქმარს.

ხამურების კანონები იცავს მონათმფლობელური ოჯახის საფუძვლებს, ცოლქმრული ურთიერთობის სიწმინდეს. უკეთუ კაცის ცოლს წაასწრებენ სხვა კაცთან მწოლარეა, იხინი უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ.

სამართალი შიითხოვს, რომ ოჯახის უფროსი (მამა) პატივისცემით მოექიდოს ახალდაქორწინებული ვაჟიშვილისა და პატარძლის საქორწინო უფლებებსა და ღირსებას. მაგრამ თუ კაცი თავის პატარძალს თვითონვე ჩაუწევება, ეს კაცი უნდა შეკრან და გადააგდონ წყალში, ნათქვამია სამართლის წიგნის 155-ე მუხლში.

სარზე ჩამოცმა. სიკვდილით დასჯის ეს კვალიფიციური სახე მხოლოდ ერთხელ გვხვდება ხამურების კანონებში. არც აღრინდელ კანონმდებლობაშია რაიმე ნახსენები მის შესახებ. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენება, ალბათ, არც ისე იშვიათი იყო. სიკვდილით დასჯის კვალიფიციური ფორმები უმთავრესად ადათობრივი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა. ამიტომ კანონმდებელი არ თვლის საჭიროდ მიუთითოს ასეთ სასჯელზე ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ბაბილონის სამართალი მოითხოვს ცოლის სრულ მორჩილებასა და ერთგულებას ქმრისადმი. დალატი, ცოლქმრული ერთგულების დარღვევა ცოლის მხრივ მძიმე დანაშაულად ითვლება. დანაშაული კიდევ უფრო მძიმდება და პასუხისმგებლობა იზრდება, როცა ქალი თავისი საყვარლის გამო აკვლევინებს თავის ქმარს. უკეთუ ცოლი მოაკვლევინებს ვინმეს თავის ქმარს სხვა მამაკაცის გამო ეს ქალი სარზე უნდა ჩამოაცვან. ამ შემთხვევაში ვერაგულ მკვლელობას თან ერთვის აშკარა დალატი ცო-

ლის მხრივ და, ცხადია, კანონმდებელს მრუში დედაკაცის მიმართ ასეთი სასჯელის შეფარდება სავესებით ბუნებრივად მიაჩნია.

გაგლეჯა. ხაჭურაბის კანონების 253 — 256 მუხლები პირადი (ადამიანის) ჭირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს აწესრიგებს. აქ საქმე ეხება ადამიანის როგორც სამუშაო ძალის დაჭირავებას. უკეთეს კაცი დაიჭირავენს კაცს თავის მინდორზე სამუშაოდ, მიანდობს მას გუთანს, ჩააბარებს პირუტყვს და ხელშეკრულებით დაავალდებულებს დაამუშაოს მინდორი, ხოლო დაჭირავებული კაცი თვითონ გააჭირავენს პირუტყვს ან მოიპარავს თესლს და, ამრიგად, არ მოიყვანს პურს მინდორზე, ეს კაცი უნდა ამხილონ და მან მკის დროს პატრონს უნდა მიუწონოს 1 ბურუზე 60 ქურუ პური. მაგრამ თუ მას არ შეუძლია გადაიხადოს ის, რისთვისაც იგი პასუხისმგებელია, «უ ნ და გა გ ლ ი ჯ ო ნ მ ი ნ დ ო რ ზ ე პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს სა შ უ ა ლ ე ბ ი თ». სამართლის წიგნში ნათქვამია, რომ დამნაშავე პირუტყვის საშუალებით უნდა გაგლეჯონო. მაგრამ არა ჩანს ის, თუ რა სახით ხდებოდა ამ შემზარავი სასჯელის შეფარდების პროცედურა. არც სხვა ძველბაბილონურ დოკუმენტებსა და კერძო-უფლებრივ აქტებშია შემონახული ცნობა ამის შესახებ.

ამიტომ საჭიროა გადავხედოთ ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სჯულმდებლობას. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მეტად საინტერესოა ხეთების სამეფოს სამართალი, სადაც ვხვდებით დამნაშავეს გაგლეჯას პირუტყვის საშუალებით. მართალია, ხეთების კანონები დაახლოებით 350 — 400 წლით უფრო გვიანაა შედგენილი, ვიდრე ხაჭურაბის კანონები, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სიკვდილით დასჯის ეს კვალიფიციური სახე, რომელიც მოცემულია ხეთების კანონებში, დამახასიათებელი იყო ძველბაბილონური სამართლისთვისაც.

ხეთების კანონთა მეორე ტაბულის 166-ე მუხლში ნათქვამია: «უკეთეს ვინმე თესლზე თესლს დასთესს, მას კ ი ს ე რ ზ ე უ ნ და და ა დ გ ა ნ გ უ თ ა ნ ი, შე მ დ ე გ კ ი შე ა ბ ა ნ ხ ა რ ე ბ ი, ერთი შე ა ბ რ უ ნ ო ნ პ ი რ ი თ ი ქ ი თ, მე ო რ ე ა ქ ე თ; კ ა ც ე მ ო კ ვ დ ე ბ ა და ხ ა რ ე ბ ი ც უ ნ და და ხ ო ც ო ნ ო ა. აქ ხდებოდა ხეთების სამეფოში დამნაშავეს გაგლეჯა პირუტყვის საშუალებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სახით სრულდებოდა იგი ძველ ბაბილონშიც.

აღსანიშნავია, რომ სიკვდილით დასჯას უფრო ფართო სარბიელი ჰქონდა, ვიდრე ეს კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ზოგჯერ ექვმიტანილის წყლით გამოცდა (მუხ. 2, 132) სიკვდილით მთავრდებოდა. განზრახ მკვლელობაც ადათობრივი სამართლის მიხედვით სიკვდილით ისჯებოდა. მსჯავრდებულს, რომელიც დაკისრებულ კომპოზიციას ვერ გადაიხდიდა, ზოგჯერ სიკვდილით სჯიდნენ ან მონებად ყიდდნენ.

ასეთია სიკვდილით დასჯის ძირითადი შემთხვევები და სიკვდილით დასჯის კვალიფიციური ფორმები, რომლებიც გათვალისწინებულია ძველი ბაბილონის კანონმდებლობით.

ახლა საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ სამართლის წიგნით დაწესებული სასჯელის სხვა სახეების დახასიათებაზე.

გამაწილებელი სასჯელები. გამაწილებელ, ანუ შემარცხვენელ სასჯელს მიზნად აქვს ადამიანის პიროვნების დამცირება, მისი საქვეყნოდ შერცხვენა. გამაწილებელი სასჯელი მიმართულია ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. ასეთ სასჯელს მიეკუთვნება უპატიობის ნიშნის დასმა (თმის, წვერის ან საფეთქლების გაპარსვა, დალის დასმა, თავზე ფისის დასხმა და სხვ.). გამაწილებელ სასჯელს იცნობს ძველი შუმერული საოჯახო კანონები. ვაიჟივილი, რომელიც თავის მამას ეტყვის, შენ არა ხარ ჩემი მამაო, აუ ნ და გაპარსონ, დაასვან მონობის ნიშანია და გაყიდონ, ხოლო თუ დედას უარყოფს, მას უნდა «გაუპარსონ საფეთქლებია და გააძვეონ თემიდან შვილის მიერ დედ-მამის უარყოფა ითვლება მძიმე დანაშაულად და ამიტომ გამაწილებელ სასჯელს თან ერთვის სხვა სასჯელებიც (გაყიდვა, გაძევება). ხშირად დამნაშავეს გამაწილებელი სასჯელის სახით უპატიობის, მონობის ნიშანს დაადებდნენ. ეშნუნის მეფის ბილაჰამის კანონები აღნიშნავენ მონური მდგომარეობის სამ ნიშანს: მაშქანუმი, ანუ ხელ-ფეხის ბორკილი, ქანუმი — ქედის ბორკილი, ანუ ხუნდი და აბუთუმი — თმის ან საფეთქლის გაპარსვა.

ხამურაბის კანონები არა ერთგზის იხსენიებს მონური მდგომარეობის ნიშნებს (146, 226, 227), რომლებითაც განასხვავებდნენ მონებს და განსაზღვრავდნენ მათზე საკუთრების უფლებას. მაგრამ გამაწილებელი სასჯელის—მონობის ნიშნის დასმის შესახებ მხოლოდ ერთ მუხლშია (127) აღნიშნული. აქ საქმე ეხება ბრალდებას გათხოვილი ქალის წინააღმდეგ იმაში, რომ ის ქმარს ღალატობს. თუ ბრალმდებ-

ლი ვერ დაამტკიცებს ბრალდებას, იგი როგორც ცილისმწამებელი უნდა დაამხონ მოსამართლეების წინაშე და «გაპარსონ მას საფეთქელები». საფეთქელების გაპარსვა უპატიობის, მონობის ნიშანი იყო, რომელიც შეეფარდებოდა დამნაშავეს გამაწილებელი სასჯელის სახით. გრძელი თმა, ქიღვაში (ბაკენბარდი) და წვერი, მრგვალად დაწილი და სურნელოვანი საცხები ზეთით წასმული, ბაბილონელის პატივი, ღირსება და სიამაყე იყო. ამიტომ თმის, წვერის ან საფეთქელის გაპარსვა დიდი სასირცხლო და გამაწილებელი საქმე იყო, რაც თითქმის სამოქალაქო სიკვდილს უდრიდა.

დამასახიჩრებელი სასჯელები. დამასახიჩრებელი სასჯელების შეფარდება, როგორც წესი, სხეულის რომელიმე ორგანოს მოკვეთით ხორციელდებოდა. ამიტომ ამ სასჯელებს ჩვეულებრივად ასოთდამაზიანებელ სასჯელებს ან, უფრო მოკლედ, ასოთმოკვეთას უწოდებდნენ. შუპერის, ემუნისა და ისინის სამეფოს კანონმდებლობაში ასეთ სასჯელებს ვერ ვხვდებით, მაგრამ სრულიად უდავოა, მათი არსებობა და გამოყენება იმ დროს.

ხამურების კანონები ასოთდამაზიანებელი სასჯელის შეფარდების ჩამდენივე შემთხვევას აღნიშნავს. ჩვეულებრივად დამნაშავეს ჰკვეთენ იმ ასოს, რომლის საშუალებითაც ჩადენილია ბოროტმოქმედება, ე. ი. ასოთდამაზიანებელ სასჯელებს სიმბოლური ტალიონის პრინციპით უფარდებენ. დანაშაულებრივი მოქმედების ჩამდენი ასოს მოკვეთა სიმბოლურად გამხატავს ბოროტების მოკვეთას.

სამართლის წიგნის მიხედვით «ენა უნდა მოსჭრან» იმ ნაშვილებს, რომელიც თავის განზრდელ დედასა და მამას ეტყვის: თქვენ არა ხართ ჩემი დედა და მამაო, ხოლო მას, ვინც შეიძლებს აღმზრდელ დედასა და მამას, დატოვებს მათ და წავა თავისი მამის სახლში, «თვალი უნდა დასთხარონ». უკეთუ ძიძა დედამამის დაუკითხავად ბავშვს შეცვლის სხვა ბავშვით, მას «ძუძუ უნდა მოკვეთონ», შვილი თუ მამას გაარტყამს, მას «თითები უნდა მოსჭრან». იმ ქეიმსაც თითები უნდა მოსჭრან, რომლის მიერ უხეიროდ გაკეთებული ოპერაციის შედეგად კაცი მოკვდა. დალაქს, რომელმაც მონის ბატონის დაუკითხავად მონას მონობის ნიშანი ჩამოპარსა, თითები უნდა მოსჭრან. იგივე სასჯელი უნდა შეეფარდოს დაქირავებულ კაცს, რომელმაც თესლი ან საკვები მოიპარა.

უკეთუ მონა თავისუფალ კაცს სილას გაარტყამს ან თავის ბატონს ეტყვის, შენ არა ხარ ჩემი ბატონიო, — მას **უნდა მოსკრან ყური**.

ასეთია ასოთდამაზინებელი სასჯელის ძირითადი შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია სამართლის წიგნში.

სხეულგებრივი სასჯელები. ფიზიკურ, ანუ სხეულგებრივ სასჯელს დამნაშავის ტანჯვა-წამების ხასიათი აქვს და მისი შეფარდებით მწვეავე ტკივილებს იწვევენ დამნაშავის სხეულზე. თუმცა ხაპურაბამდელ კანონმდებლობას არ შემოუნახავს ცნობა მათი გამოყენების შესახებ, მაგრამ ფიზიკური სასჯელების არსებობა შემერულ ხანაში ეჭვს არ იწვევს. ხაპურაბის კანონები სხეულგებრივი სასჯელის მხოლოდ ერთ შემთხვევას აღნიშნავენ. თუ ვინმე სილას გაარტყამს მასზე მაღლამდგომს, მას **ესაქვეყნოდ 60-ჯერ უნდა დაარტყან ხარის ტყავის მათრახი**. გამათრახებას უპატიობის, ანუ გამაწბილებელი სასჯელის ხასიათიც აქვს, რამდენადაც მისი შეფარდება არა მარტო ფიზიკურ ტკივილს აყენებს დამნაშავეს, არამედ საქვეყნოდაც არცხვენს მას, ამცირებს მის პიროვნებას, პატივსა და ღირსებას. მაგრამ სასჯელის მთავარი აზრი მაინც ისაა, რომ გამათრახების, გაჯოხვის ან ცემის სხვა საშუალებით დამნაშავეს მიაყენოს ფიზიკური ტკივილები, ჩააგდოს იგი ტანჯვა-წამებაში.

კომპოზიცია. მთელ რიგ დანაშაულობათა გამო სამართლის წიგნი ითვალისწინებს კომპოზიციას, ანუ საზღაურის გადახდას. დამნაშავემ უნდა მისცეს დაზარალებულს ან მისი ოჯახის წევრებს ფულადი ან ქონებრივი საზღაური, რომლითაც ხდება დაზარალებულის დაკმაყოფილება და დანაშაულის გამოსყიდვა. დამნაშავისადმი კომპოზიციის შეფარდებას ითვალისწინებს როგორც შემერული, ისე ემუნუნისა და ისინის სამეფოს კანონებიც. შემერული კანონების ფრაგმენტში შემონახულია მუხლი, რომელიც ეხება ფეხმძიმე ქალის მუცლის მოშლას. უკეთუ ვინმე ხელს ჰკრავს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის მას, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი. აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს არაწინასწარი განზრახვით ხელის კერა, რასაც შედეგად მოჰყვა ნაყოფის მოწყვეტა. ამით აიხსნება კომპოზიციის შეფარდებით მცირე ოდენობაც. მაგრამ თუ ვინმე განზრახ დაარტყამს ფეხმძიმე ქალს და მუცელს მოუშლის მას, უნდა გადაუხადოს 1/3 მინა ვერცხლი.

ეშნუნის ჰეტის ბილაღამის კანონები დაწერილებით განსაზღვრავენ კომპოზიციის ოდენობას სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებისათვის: ცხვირის მოკვეთისათვის—1 მინა ვერცხლი, თვალის დაზიანებისათვის—2 მინა ვერცხლი, კბილის ჩამტკრევისათვის—1/2 მინა ვერცხლი, ყურის მოკვეთისათვის—1/2 მინა ვერცხლი, თათას მოკვეთისათვის—2/3 მინა ვერცხლი, ხელის მოტეხისათვის—1/2 მინა ვერცხლი, ფეხის მოტეხისათვის—1/2 მინა ვერცხლი, სილის გარტყმისათვის ან ხელის კვრისათვის—10 სიკლი ვერცხლი. გააკვირვება იწვევს კომპოზიციის ზემოაღნიშნული ნიხრის ერთგვარი შეუსაბამობა. ასე მაგ., თითის მოკვეთისათვის მეტი საზღაურია დაწესებული, ვიდრე ხელის ან ფეხის მოტეხისათვის ან ყურის მოკვეთისათვის. თუ აქ რაიმე შეცდომას არა აქვს ადგილი, უნდა ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს აღნიშნული ორგანოს სრული დაზიანება, რომელიც იწვევს ორგანოს ფუნქციის მთლიან მოშლას, და ამის გამო ასეთი დაზიანებისათვის აწესებს მეტი ოდენობის კომპოზიციას, ვიდრე ხელის ან ფეხის მოტეხილობისათვის, რომლის შესრულა შესაძლებელია და რომელსაც შედეგად არ მოჰყვება ფუნქციის დაკარგვა.

გარდა სხეულის დაზიანებისა, კომპოზიცია დაწესებულია სხვა დანაშაულისთვისაც. ნაღის უნებართვოდ წაყვანისათვის, დღისით ყანაში ან სახლში უცხო პირის თვითნებურად შესვლისათვის კომპოზიცია განსაზღვრულია 10 სიკლის ოდენობით. ვინც უსაფუძვლოდ გირაოდ წაიყვანს კაცის მხევალს, მან მხევლის ბატონს უნდა გადაუხადოს მხევლის ფასის თანაბარი ვერცხლი. ხოლო თუ დააკავენ მძევალ ქალს და სიკვდილამდე მიიყვანს მას, მხევლის ბატონს 2 მხევალი უნდა უშლოს. მხევალთან იძულებითი კავშირის დაჭერისათვის, დამნაშავემ მხევლის ბატონს უნდა მიუწონოს 2/3 მინა ვერცხლი. ორმაგი საზღაურია დაწესებული მონის ან მხევლის მოპარვისათვის. უკეთუ ხარი თავისუფალ ადამიანს ურჩქმს და მოკლავს, ხარის პატრონმა დაზარალებულს უნდა გადაუხადოს 2/3 მინა ვერცხლი, ხოლო თუ მონას მოკლავს, მონის ბატონს—15 სიკლი ვერცხლი.

ამავე ოდენობის საზღაური უნდა გადაიხადოს ძაღლის პატრონმა ცოფიანი ძაღლის კბენით თავისუფალი ადამიანის ან მონის სიკვდილისათვის.

ისინი მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები ადგენს, რომ თუ ვინმე შეპყრობილი იქნება ბაღში ქურდობისათვის, მან უნდა მიუწონოს

ბალის პატრონს 10 სიკლი ვერცხლი, ხოლო სხვის ბაღში ხის უნებართვოდ მოჭრისათვის—1/2 მინა ვერცხლი. ვინც გაქცეულ მონას ან მხეველს დამალავს და თავშესაფარს მისცემს, მან მონის პატრონს უნდა მისცეს მონა მონაში; ხოლო თუ მას არა ჰყავს მონა, მონის ბატონს უნდა გადაუხადოს 15 სიკლი ვერცხლი. როგორც ბილაღამისა და ლიფტი-იშთარის კანონებიდან ჩანს, მონის ფასი შეადგენდა 15 სიკლ ვერცხლს.

ხამურაბის კანონები ადგენს კომპოზიციების საკმაოდ განვითარებულ სისტემას. დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით კომპოზიციის ოდენობა ზოგჯერ ზუსტად განსაზღვრულია, ხოლო ზოგჯერ დაწესებულია ერთჯერადი, ორჯერადი ან მრავალჯერადი საზღაური. თემის დასამუშავებელი მიწიდან სარწყავი იარაღის მოპარვისათვის დამნაშავემ იარაღის პატრონს უნდა მისცეს 5 სიკლი ვერცხლი, ხოლო ტყავის ვედროს ან თოხის მოპარვისათვის — 3 სიკლი.

დაკარგული ნივთის მპოვნელმა, თუ ნაპოვნი ნივთი გაყიდა, 5-ჯერადი ოდენობით უნდა გადაუხადოს ნივთის საზღაური მის პატრონს. უკეთუ მწყემსი, რომელსაც მოსამწყემსად მიაბარეს მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვი, შეცვლის დაღს ან გაყიდის პირუტყვის, მან 10-ჯერადი ოდენობით უნდა აუნაზღაუროს პირუტყვის პატრონს მითვისებული საქონელი. სასახლის ან ტაძრის კუთვნილი პირუტყვის ან სხვა რაჰ ქონების მოპარვისათვის დამნაშავემ 30-ჯერადი ოდენობით უნდა გადაიხადოს საზღაური. ხოლო თუ პირუტყვი ეკუთვნის მუშქენუმს, რომელიც გაღარიბებული მონათმფლობელია, ქურდმა უნდა აანაზღაუროს მოპარული ქონება 10-ჯერადი ოდენობით. ამრიგად, კომპოზიციის ოდენობა იზრდება ან მცირდება დაზარალებულის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. რაც უფრო მაღლა დგას დაზარალებული, მით უფრო დიდია საზღაური და პირიქით.

სამართლის წიგნის მე-5 მუხლში ნათქვამია: უკეთუ მოსამართლე განიხილავს საქმეს, გამოითანს გადაწყვეტილებას, დაამზადებს ბეჭედდასმულ საბუთს, ხოლო შემდეგ შეცვლის გადაწყვეტილებას, მან 12-ჯერადი ოდენობით უნდა გადაიხადოს სასამართლო საქმეზე წარდგენილი სასარჩლო თანხა და თანაც იგი საქვეყნოდ უნდა გადმოაგდონ თავისი სამსჯავრო სავარძლიდან. მოსამართლის ასეთ მოქმედებას კანონი მძიმე თანამდებობრივ დანაშაულად თვლის და

მას, გარდა იმისა, რომ სასარჩლო თანხის 12-ჯერად საზღაურს ახდენენ, სანუდამოდ უკრძალავს მოსამართლეობას.

კომპოზიცია გათვალისწინებულია ქონების მითვისებისათვის. უკეთუ სავაქრო აგენტი (შამალუმი) მიიღებს თაქქრისაგან (დიდვაქარი) ვერცხლს, ხოლო შემდეგ უარყოფს ამას, მან სამამაგად უნდა მისცეს თაქქარს ვერცხლი. ამანათის მითვისებისათვის დამნაშავემ ამანათის პატრონს ხუთმამაგად უნდა აუნაზღაუროს ამანათის ღირებულება. შესანახად მიბარებული ქონების (პური, ოქრო, ვერცხლი და სხვ.) მითვისებისა ან უარყოფისათვის, დამნაშავემ პატრონს ეს ქონება ორმამაგად უნდა გადაუხადოს. ორკეცი საზღაურია დაწესებული აგრეთვე ქურდობაში მეზობლისათვის ცილის დაწამების გამო.

სოციალური მდგომარეობით თავისუფალი და სრულუფლებიანი ადამიანის (აველუმი) მკვლელობის შემთხვევაში, უკეთუ იგი ჩადენილია არაწინასწარი განზრახვით, დამნაშავემ დაზარალებულის ოჯახს 1/2 მინა ვერცხლი უნდა უზღოს, ხოლო თუ დაზარალებული ვინმე მუშქენუმაგანია მაშინ—1/3 მინა ვერცხლი. ვინც სოციალური მდგომარეობით თავისუფალ ქალს დარტყმის შედეგად მუცელს მოუშლის, მან ნაყოფის საზღაურად 10 სიკლი ვერცხლი უნდა გადაიხადოს, ხოლო თუ ქალი მუშქენუმის ასულია, — 5 სიკლი. მამასადავ, მუშქენუმის ნაყოფის საზღაური ორჯერ ნაკლებია აველუმისაზე.

უკეთუ დარტყმის შედეგად მუცელი მხეველს მოეშალა, დამნაშავემ მხეველის ბატონს 2 სიკლი ვერცხლი უნდა უზღოს, ხოლო თუ მხეველი მოკვდება, — 1/3 მინა. ორივე შემთხვევაში საზღაური ეძლევა მონა ქალის ბატონს, რომლის საკუთრებასაც შეადგენს მხეველი.

რაც შეეხება სხეულის განზრახ დაზიანებას, აველუმების მიმართ მოქმედებს ტალიონის პრინციპი—თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ხოლო მუშქენუმების მიმართ — კომპოზიციის პრინციპი, ე. ი. დაზარალებულს ეძლევა ფულადი ან ქონებრივი საზღაური. მუშქენუმისათვის თვალის დაზიანების ან ძელის მოტეხის საზღაურად დაწესებულია 1 მინა ვერცხლი, კბილის ჩამტვრევისათვის — 1/3 მინა ვერცხლი. აველუმისათვის არაწინასწარი განზრახვით მიყენებული ჭრილობისათვის. აველუმი მხოლოდ ექიმს უხდის გასამრჯელოს.

მონის სხეულის დაზიანებისათვის კომპოზიცია მონის პატრონს ეძლევა. ვინც მონას თვალს დაუზიანებს ან ძვალს მოსტეხს, მან მონის პატრონს უნდა მისცეს მონის ნაყიდობის ფასის ნახევარი ვერცხლით. მონათმფლობელს მონაზე სრული საკუთრება აქვს, ამიტომ საზღაურიც მონის დაზიანებისათვის მას ეკუთვნის.

კომპოზიცია გათვალისწინებულია ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაშიც. აველუმი თუ აველუმს სილას გაარტყამს, 1 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს, ხოლო თუ მუშქენუმი გაარტყამს მუშქენუმს,—10 სიკლი ვერცხლი, ე. ი. მუშქენუმის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის 6-ჯერ ნაკლები საზღაურია დაწესებული, ვიდრე აველუმის შეურაცხყოფისათვის.

მონის ან მხეელის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის კანონმდებელი საერთოდ არავითარ საზღაურს არ აწესებს.

ქონების კონფისკაცია. დამატებითი სასჯელის სახით ძველბაბილონური კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას, რომელიც თან ერთვის ძირითად სასჯელს. ჯადოსნობა კანონმდებლის მიერ მიჩნეულია უმძიმეს დანაშაულად. ამიტომ ჯადოსანს ძირითად სასჯელთან—სიკვდილით დასჯასთან ერთად ქონების კონფისკაციაც ეფარდება. თუ კაცი ბრალს დასდებს კაცს ჯადოსნობაში და ვერ დამტკიცებს ამას, მაშინ ის, ვისაც ბრალი დასდეს ჯადოსნობაში, უნდა წავიდეს მდინარესთან და გადავარდეს მასში. თუ მას მდინარე დაეუფლება, მამხილებელს შეუძლია წაიღოს მისი სახლი. კონფისკაციაქმნილი ქონება გადადის არა სახელმწიფოს, არამედ კერძო პირის — დამნაშავის მამხილებლის ხელში.

ქონების კონფისკაცია გათვალისწინებულია საზნედრო დანაშაულის—ლაშქრობაში გაწვევისაგან თავის არიდების შემთხვევაში. უკეთუ მხედარი, რომელსაც ნაბრძანები აქვს წავიდეს მეფის ლაშქრობაში, არ წავა ან დაიჭირავენ ვინმეს და მას გაგზავნის თავის ნაცვლად, ასეთი მხედარი სიკვდილით ისჯება და მის სახლსა და ქონებას ეუფლება ის კაცი, რომელიც მან ლაშქრობაში გასაგზავნად დაიჭირა. აქაც ქონება კერძო პირის ხელში გადადის. მხედრის მიერ სამხედრო სამსახურის შეარულება მის პირად ბეგარას, მოვალეობას შეადგენს და ამიტომ დაუშვებელია ამ მოვალეობის სხვა პირზე გადაკისრება.

როდესაც დამნაშავეს თემიდან ან ოჯახიდან აქეცებენ, მას ჩვეულებრივად ქონების კონფისკაციასაც უფარდებენ. უუმერჯული სა-

მართალი აღვეს: გაძევებულმა უნდა დატოვოს სახლი და ყველა ქონება, იგი უნდა გაიყვანონ საოჯახო მეურნეობიდან, მან უნდა დატოვოს კედლები და სოფელი.

ემუნის მეფის ბილალამის კანონების მიხედვით, სახლიდან გაძევებულს უნდა ჩამოერთვას ყველაფერი, რაც უნდა იყოს».

გაძევება. ამ სასჯელის, როგორც ადათობრივი სამართლის გადმონაშთის შესახებ ნათქვამი იყო ზემოთ. დანაშაულის გაძევება, ანუ მიხთვის ე. წ. მშვიდობის აღკვეთა უძველესი და მეტად სასტიკი სასჯელია. თემიდან და ოჯახიდან მოკვეთილი პირი კარგავენ არა მარტო სახლსა და ყოველგვარ ქონებას, არამედ საზოგადოების მხრივ დაცვის უფლებასაც. გაძევებულს უფლება არა აქვს იცხოვროს ადამიანებს შორის, მისთვის თავშესაფარის მიცემა სასტიკად აკრძალულია, მისი მოკვლისათვის არაფერს არ აგებს. სასჯელის ამ სახეს იცნობს როგორც შუმერული, ისე ბილალამისა და ხანდრების კანონებიც.

თანამდებობის დაკავების აკრძალვა. თანამდებობიდან დათხოვნა და მომავალში თანამდებობის დაკავების აკრძალვა, როგორც სასჯელი, გათვალისწინებულია ხამურების კანონების მე-5 მუხლში. საქმე ეხება მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით სამსახურებრივი სიყალბის ჩადენას—ბეჭედდასმული სასამართლო გადაწყვეტილებების შეცვლას. თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მოსამართლე საქვეყნოდ უნდა გადმოაგდონ თავისი სამსჯავრო საეკრძლიდან და მომავალში არ უნდა ბჭობდეს სასამართლოში. ყალბისმქნელ მოსამართლეს საერთოდ ეკრძალება მართლმსაჯულების დარგში მუშაობა.

ასეთია სასჯელის ძირითადი სახეები ძველბაბილონური სამართლის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სასჯელის განსაზღვრისას კანონმდებელი მხედველობაში იღებს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს—ბრალს და ამის მიხედვით აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ხამურების კანონების ზოგიერთი მუხლი (206—208, 227) განასხვავებს დანაშაულის განზრახვით და განუზრახველად ჩადენას. მაგრამ სუბიექტური ბრალეულობის ცნება სამართლის წიგნში მხოლოდ ჩანასახ ფორმებშია მოცემული. ეს

იქიდანაც ჩანს, რომ ხშირად კანონი არ ითვალისწინებს ბრალეულობის საკითხს და სრულად უდანაშაულო ადამიანებს სიკვდილით დასჯას უწესებს (მუხ. 116, 210, 230), რაც სისხლის სამართლის განუვითარებლობასა და პრიმიტიულობას მოწმობს.

ჩვენ დავინახეთ, რომ სასჯელთა სისტემა აგებულია ზოციალური და უფლებრივი უთანასწორობის პრინციპზე. კანონმდებლობის მთელი ეს მასა აკანონებს კლასობრივ ჩაგვრასა და ბატონობას. მის ძირითად მიზანს შეადგენს დაიცვას და განამტკიცოს მონათმფლობელური წყობილება, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი. სასჯელთა ცალკეული სახეების განხილვისას ჩანს აშკარად გამოხატული კლასობრივი და წოდებრივი უთანასწორობის აღიარება ძველი ბაბილონის სამართალში. ერთისა და იმავე დანაშაულისათვის დაზარალებულისა და დამნაშავეის კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით კანონი აწესებს მეტისმეტად განსხვავებულ სასჯელს, საგრძნობლად ზრდის ან ამცირებს მას.

ძველბაბილონურ სასჯელთა სისტემის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ დასჯის ფუნქცია თუმცა სახელმწიფოს ხელშია, მაგრამ მთელ რიგ სასჯელებში ჯერ კიდევ ბატონობს კერძო საწყისი. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს კომპოზიციების სისტემაში. მართალია, კომპოზიციების ოდენობა დადგენილია სახელმწიფოს მიერ, მაგრამ მისი ანაზღაურება უფრო კერძოუფლებრივ პრინციპზეა დაფუძნებული, ვიდრე სახელმწიფოებრივზე. ნიშანდობლივია, რომ კომპოზიცია მთლიანად ეძლევა მხოლოდ დაზარალებულს ან მის ოჯახს. კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის განკუთვნილ კომპოზიციის ნაწილს. სახელმწიფო ჯარიმას არ ღებულობს; მთელი საზღაური ეკუთვნის კერძო პირს ან მის ნათესავეებს, თითქოს დანაშაული კერძო ანგარიშსწორების საქმეა, რომელიც არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ ლახავს სახელმწიფოს ინტერესებს. საზღაურის გადახდაც, როგორც წესი, სასამართლოს გარეშე ხდება. სასამართლო განხილვის საგნად იგი მაშინ იქცევა, თუ დამნაშავე არ გადაუხდის დაზარალებულს კანონით განსაზღვრულ კომპოზიციას. ქაბოლოს, ბაბილონის კანონმდებლობა არ იძლევა მკაფიო განსხვავებას სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ ჯარიმას შორის, არ უპასუხებს კითხვას—ხელისუფლების რომელი ორგანო უფარდებს ჯარიმას ან რა შედეგი მოსდევს ჯარიმის გადაუხდელობას. ამრიგად, სასჯელთა სისტემაში შერეულია საჯარო და კერძოუფლებრივი მომენტები და ბოლომდე არ არის გატა-

რებული დასჯითი ფუნქციის ერთიანი სახელმწიფოებრივი საწყისი.

11. დანაშაული. ა) დ ა ნ ა შ ა უ ლ ნ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ . ამ კატეგორიის დანაშაული თითქმის არ გვხვდება ბაბილონის სამართალში. ხამურაბის კანონების მხოლოდ ერთი მუხლი ეხება ამ დანაშაულს. სამართლის წიგნის 109-ე მუხლში ნათქვამია: უკეთე მიკიტანი ქალის სახლში პირს კრავენ დამნაშავენი და იგი არ შეიპყრობს დამნაშავეებს და არ მიიყვანს სასახლეში, ეს მიკიტანი ქალი უნდა მოკლან. ამ კანონმდებელს მხედველობაში აქვს შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ. შეთქმულთა თავშეყრა და «პირის შეკვრა», ანუ მოლაპარაკება-შეთანხმება დანაშაულის ჩადენის შესახებ, როგორც ჩანს, მიკიტანი ქალის სახლში ხდებოდა. კანონი ავალდებულებს მიკიტან ქალს აცნობოს შეთქმულთა თავშეაფრას შესახებ ხელისუფლების ორგანოებს და მათი წარმომადგენლების საშუალებით, შეიპყროს შეთქმულთა ჯგუფი და გადასცეს ისინი სასახლის ხელისუფალთ. თუ მიკიტანი ქალი არ განაცხადებს ამას, დაფარავს დამნაშავეებს, ასეთი მძიმე სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობისათვის იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

სახელმწიფო დანაშაულს უახლოვდება აგრეთვე დანაშაულის ის შედეგნილობა, რომელიც გათვალისწინებულია სამართლის წიგნის 110-ე მუხლში. ქურუმი ქალი, რომელიც სამიკიტნოს გახსნის ან სამიკიტნოში შევა მათობელა სასმელის (სიქარუს). დასალევად, ცეცხლში უნდა დაიწვას. ღვთისმსახურება სახელმწიფოებრივი მოვალეობაა და ამიტომ ღვთისმსახურ ქალს სასტიკად სჯიან ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც სახელს უტეხს რელიგიური კულტმსახურების საქმეს.

ხამურაბის კანონები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამხედრო სამსახურის შეარულებას, რომელიც სახელმწიფოს ერთერთ მთავარ ფუნქციას შეადგენს. ბაბილონის სახელმწიფო სამხედრო-ბიუროკრატიული მონარქია იყო, რომლის ძალა და ძლიერება ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციას ეყრდნობოდა. ამიტომ კანონმდებელი სამხედრო დანაშაულს—ბეგარავალდებული პირის მიერ ლაშქრობაში გაწვევისაგან თავის არიდებას ან სამხედრო ბეგარაზე უარისთქმას განიხილავს როგორც მძიმე სახელმწიფო დანაშაულს, რომელიც სიკვდილით ისჯება (26, 33).

სახელმწიფო დანაშაულს შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა რაიმე მოსაზრებით სამსახურებ-

რივი სიყალბის ჩადენა—ბეკედდასმულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა. თანამედროვე კლასიფიკაციით ეს წმინდა თანამდებობრივი დანაშაულია. იმ დროს კი, ცხადია, დანაშაულთა ასეთი გამიჯვნა არ არსებობდა. მართლმსაჯულება განიხილებოდა როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, ხოლო მისი გაყალბება და დამახინჯება კი ისეთ დანაშაულად, რომელიც თავისი შედგენილობით ენათესავენა სახელმწიფო დანაშაულს.

ასეთია ყველა ის შემთხვევა, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო დანაშაულთა რიცხვს. შეცდომა იქნებოდა ბაბილონის კანონმდებლობისათვის მოგვეთხოვა დანაშაულთა კლასიფიკაციის ის სქემა, რომელიც მიღებულია თანამედროვე სისხლის სამართალში. ძველალმოსავლურ სამართლის წიგნებში იშვიათად არის ცალკეულ დანაშაულთა მკაფიოდ ჩამოყალიბებული შედგენილობა. ხშირად სხვადასხვა დანაშაულნი არეულია ერთმანეთში, და არა მარტო დანაშაულნი, არამედ სამართლის მთელი დარგებიც (სისხლის, სამოქალაქო და სხვ.). ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულთა დღევანდელი კლასიფიკაცია საკმაოდ პირობითი და დაახლოვებითია. ასეთ გადმოცემას უფრო სასწავლო მეთოდური ხასიათი აქვს, ვიდრე მეცნიერული.

საკვიროა აღინიშნოს, რომ ძველალმოსავლური კანონმდებლობა სრულიად არ იხსენიებს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დანაშაულს. მეტად ძუნწი ცნობებია შემონახული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ისეთი მძიმე დანაშაულის შესახებ, როგორიცაა მკვლელობა. თითქმის არაა ნახსენები რელიგიური დანაშაული და სხვ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იმდროინდელ საზოგადოებაში ასეთი დანაშაულნი იშვიათი იყო. ძველი აღმოსავლეთის სამართლის წიგნები შედგენილია კაზუსტური პრინციპის მიხედვით. მათში ცალკეული დანაშაულობანი გათვალისწინებულია კონკრეტული შემთხვევების მიხედვით. ამიტომ ეს კანონმდებლობა შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზს—მასში გათვალისწინებული არაა მთელი რიგი იურიდიული ურთიერთობა. ამით აიხსნება, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი სამართლის წიგნებში.

მეორე მხრივ, კანონმდებლის დუმილი ამ კატეგორიის დანაშაულზე აიხსნება იმით, რომ ასეთი მძიმე დანაშაულის სასტიკი დასჯადობა, კერძოდ, დამნაშავეთა მიმართ სიკვდილის დასჯის როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური ფორმების შეფარდება თა-

ვისთავად იგულისხმებოდა და სრულიად საჭირო არ იყო მათი დაწერილებით აღნიშვნა კანონმდებლობაში. სიკვდილით დასჯა მეფის უფლებამოსილებას. შეადგენდა, — «საქმე სიცოცხლის შესახებ ექვემდებარება მხოლოდ მეფეს», ნათქვამია ეშნუნის მეფის ბილაღამის კანონებში. ასეთ ვითარებაში სრულიად ზედმეტი იყო მძიმე დანაშაულთა დაწერილებითი ჩამოთვლა კანონთა მუხლებში. ასეთი საქმეები «მეფის კანონით», ანუ მისი ნება-სურვილით და ადათობრავი სამართლის მიხედვით განიხილებოდა.

ბ) დ ა ნ ა შ ა უ ლ ნ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ. პიროვნებას წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან ბაბილონის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ბავშვის მოტაცება, შეურაცხყოფა, ტყუილი ბრალდება, ცილასწამება, გაუპატიურება და სხვ.

ზემოთ აღინიშნა, რომ ბაბილონის კანონმდებლობაში მეტად ცოტა რამ არის ნათქვამი განზრახ მკვლელობაზე.

ეშნუნის მეფის ბილაღამის კანონები მკვლელობის რამდენიმე შემთხვევას აღნიშნავს, მაგ., ცუდად მოპყრობის შედეგად დაგირავებული ქალის მოკვლას და სახლის პატრონის დაუდევრობით კედლის ჩამონგრევის გამო კაცის სიკვდილს (24,58). ორივე ეს შემთხვევა «სიცოცხლის საქმეა» და კანონიც დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას აწესებს. პირველ შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია განზრახვით, ხოლო მეორეში — დაუდევრობით. აღნიშნულია აგრეთვე მარქენალი ხარის რქენით და ცოფიანი ძაღლის კბენით გამოწვეული მკვლელობა. უკეთეს ხარის ან ძაღლის პატრონს მეზობლებმა განუცხადეს ამის შესახებ, მაგრამ პატრონმა თავისი დაუდევრობით არ უვნებლყო ისინი, მაშინ მან დაზარალებულის ოჯახს უნდა მისცეს საზღაური 2/3 მინა ვერცხლის ოდენობით (54,56).

განზრახ მკვლელობის ორიოდ შემთხვევა გათვალისწინებულია ზამურაბის კანონებშიც (116, 153). პირველი ითვალისწინებს თამქართან ვალში დაგირავებული კაცის ცემით მოკვლას, ხოლო მეორე — მრუში დედაკაცის მიერ თავის ქმრის მოკვლას. ორივე შემთხვევაში დაწესებულია სიკვდილით დასჯა.

არაწინასწარი განზრახვით მკვლელობის შემთხვევები გათვალისწინებულია სამართლის წიგნის რიგ მუხლებში (207, 208, 210, 212, 229—231, 251). თვითეული ამ შემთხვევისათვის კანონ-

მდებელი აწესებს განსაზღვრულ სასჯელს—საზღაურის გადახდას ან ტალიონის პრინციპით დამნაშავეს ან მისი შვილის მოკვლას. 207-ე მუხლას მიხედვით, დაზარალებულის სიკვდილი გამოწვეულია ჩხუბის დროს მიყენებული ცემით. უკეთუ ბრალდებული დაიფიცებს: «მე არ გამირტყამს მისთვის განზრახვითო», მან დაზარალებულის ოჯახს საზღაურის სახით უნდა გადაუხადოს 1/2 მინავერცხლი. აქ საქმე გვაქვს უცაბედ, გაუფრთხილებლობით გამოწვეულ მკვლევლობასთან და ამიტომ კანონმდებელიც შედარებით მცირე კომპოზიციას უწესებს დამნაშავეს სრულუფლებიანი პირის—აველუმის მოკვლისათვის.

სამართლის წიგნის ზემოთ აღნიშნული სხვა მუხლებიც გაუფრთხილებლობით გამოწვეული მკვლევობის შემთხვევებს ითვალისწინებს.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის აღსანიშნავია სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება. ეშნუნის მეფის ბილალამის კანონი აღნიშნავს სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევებს. სხეულის დაზიანებიდან, რასაც შედეგად მოჰყვა რომელიმე ორგანოს დაკარგვა ან სახის წარუხოციელი დამახინჯება, აღნიშნულია: ცხვირის ან ყურის მოკვეთა, ხელის ან ფეხის მოტეხა, თვალის დაზიანება და კბილების ჩამტვრევა.

შემერული კანონების ფრაგმენტი აღნიშნავს არაწინასწარი განზრახვით ხელისკვრის შედეგად ფეხმძიმე ქალის მუცლის მოშლას, რისთვისაც დამნაშავემ 10 სიკვლი ვერცხლი უნდა გადაიხადოს. მაგრამ თუ მუცლის მოშლა გამოწვეულია განზრახ დარტყმით, მაშინ საზღაური შეადგენს 1/3 მინა ვერცხლს.

ხამურაბის კანონები ითვალისწინებს სხეულის დაზიანების შემდეგ შემთხვევებს: თვალის დაზიანება, ძვლის მოტეხა, კბილის ჩამტვრევა. თუ ასეთი დანაშაული ჩადენილია სრულუფლებიანი პირის—აველუმის მიერ აველუმის მიმართ, მაშინ მოქმედებს ტალიონის პრინციპი—დამნაშავეს ჰკვეთენ ისეთივე ორგანოს, როგორც დაშავებული აქვს დაზარალებულს, ხოლო თუ სხეულის დაზიანება მიაყენეს მუშქენუმს, კანონი ითვალისწინებს კომპოზიციის გადახდას. მონის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის საზღაური ეძლევა მონის პატრონს. კანონი აღნიშნავს სხეულის გა-

უფროსილებლობით დაზიანების შემთხვევასაც. უკეთუ კაცი გაართყავს კაცს ჩხუბის დროს და მიაყენებს მას ჭრილობას, თანაც დაამტკიცებს, რომ მას განზრახ არ გაურტყავს, მაშინ ის მხოლოდ ექიმს უნდის გასამრჯელოს მკურნალობისათვის.

ცნობილია, რომ შუმერული სამართლის ზოგიერთი ნორმა და მუხლი შევიდა ხამურაბის კანონებში. სამართლის წიგნის 209-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს განუზრახველად დარტყმის შედეგად ფეხმძივე ქალის მუცლის მოშლას, შუმერული სამართლის ფრაგმენტის I მუხლის ვარიანტს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს საზღაურს 10 სიკლის ოდენობით.

პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან ხამურაბის კანონები აღნიშნავს მოქმედებით შეურაცხყოფას. თუ შეილი მამას ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს, მას უნდა მოსჭრან ის ხელი, რომლითაც გაართყა მამას. მოქმედებით შეურაცხყოფის გამო სასჯელის განსაზღვრისას კანონმდებელს მხედველობაში აქვს დამნაშავისა და დაზარალებულის სოციალური მდგომარეობა. თუ აველუმი გაართყავს სილას აველუმს, უნდა გადაუხადოს 1 მინა ვერცხლი, მაგრამ თუ მუშქენუმი გაართყავს მუშქენუმს—10 სიკლი ვერცხლი, ე. ი. 6-ჯერ ნაკლები. ხოლო თუ მონა გაართყავს თავისუფალ კაცს, მონას ყური უნდა მოსჭრან. ქვემდგომის მიერ ზემდგომის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის გათვალისწინებულია გამაწილებელი სასჯელი—60-ჯერ ხარის ტყავის მათრახის დარტყმა. ამრიგად, დანაშაულთა ყველა კატეგორიაში მკაცრად გატარებულია კლასობრივი მიდგომის პრინციპი.

პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ცილისწამება, ე. ი. სხვა პირის შესახებ წინასწარი შეცნობით ტყუილი და გამაწილებელი მოგონილი რამის გავრცელება. ხამურაბის კანონების მთელი რიგი მუხლები ითვალისწინებს ისეთ დანაშაულში ბრალის დადებას, რომლისთვისაც კანონით დაწესებულია სიკვდილით დასჯა. კანონი მოითხოვს, რომ ბრალის დამდებმა უნდა დაამტკიცოს ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალმდებელი პასუხს აგებს როგორც ცილისმწამებელი და მას უნდა შეეფარდოს ისეთივე სასჯელი, რაც გათვალისწინებულია იმ დანაშაულისათვის, რომელშიაც ის ბრალს სდებდა სხვას. მკვლელობა და ჯადოსნობა მძივე დანაშაულად ითვლება, ამიტომ ვინც ბრალს დასდებს კაცს

შვედეთში ან ჯაღონობაში, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ამას, ის უნდა მოკლან. უკეთეს ვინმე ქურდობაში დასდებს ბრალს სხვას, მაგრამ ვერ დაამტკიცებს, მაშინ «ის მატყუარაა, ცილს სწამებს, იგი უნდა მოკლანო», ნათქვამია სამართლის წიგნის მე-11 მუხლში. ასეთივე შემთხვევას ითვალისწინებს მე-13 მუხლიც.

ცილისწამება მაშინაც არის, როცა კაცს არაფერი არ დაკარგვია, მაგრამ ამბობს, მე ესა და ეს ნივთი დამეკარგაო. მეზობლებმა ფიცით უნდა ამხილონ იგი მასში, რომ მას არაფერი არ დაკარგვია, და ვინაიდან ის «ცილს სწამებს თავის მეზობლებს», მან ორმაგად უნდა გადაიხადოს ღირებულება იმ ნივთისა, რაზედაც პრეტენზიას აცხადებდა. თუ ვინმე კაცის ცოლს ან ქურუმ ქალს (ენტუმს) ცილს დასწამებს—«თითის გაიშვერს», მაგრამ ვერ დაამტკიცებს ბრალდებას, ეს კაცი უნდა დაამხონ მოსამართლეების წინაშე და გამაწბილებელი სასჯელის სახით გაპარსონ მას საფეთქლები. კანონი ითვალისწინებდა აგრეთვე ქმრის მიერ ცოლისათვის სახელის გატეხას, თუნდაც ცოლი არ ყოფილიყო წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, მაგრამ ასეთი დაუდასტურებელი ბრალდებისათვის მამაკაცს კანონი არავითარ მტკიცებას არ სთხოვს და მას არც სასჯელს უწესებს. პირიქით, ქალმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა იმართლოს თავი და შეუძლია წავიდეს თავის სახლში. იმ შემთხვევაში კი, როცა ქალის წინააღმდეგ «გაშვერილი იქნება თითი» სხვა პირის მიერ, თუნდაც ქალი არ ყოფილიყო წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, ქალი თავისი ქმრისათვის «უნდა გადაეკარდეს მდინარეში», ე. ი. განიწმინდოს ბრალდებისაგან, თავი იმართლოს მდინარით გამოცდის საშუალებით (წყლის ორდალი). ამ შემთხვევაშიც ბრალმდებელ პირს მტკიცებას არ სთხოვენ, მხოლოდ ქალმა უნდა იმართლოს თავი.

თუ ვინმე ქალს დანიშნავს, საქორწინო საჩუქარსა და გამოსასყიდს მიიტანს სიმამრის სახლში, ხოლო შემდეგ სასიძოს მეგობარი «ცილს დასწამებს» სასიძოს და ამის გამო სიმამრი უარს ეტყვის მას ქალის მითხოვებაზე, სიმამრმა სასიძოს ორმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც მასთან იყო მიტანილი. ცილისმწამებლური ბრალდების გამო პირობის მოშლისათვის სიმამრი ჯარიმდება ორმაგად, სასიძოს მეგობარს კი, რომელმაც მას ცილი დასწამა, კანონი სასჯელს არ უწესებს, მაგრამ მიუთითებს, რომ მას «არ შეუძლია ცოლად შეირთოს» ის ქალი.

ცალკე უნდა აღინიშნოს წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემა სანამართლოში. მოწმის ჩვენებას, რომელიც ამოწმებს სანამართლოში მიცემულის ბრალდებას, მაგრამ ვერ ამტკიცებს თავის ნათქვამ სიტყვას, ცილისწამების ხასიათი აქვს. ამიტომ მას, ვინც გამოვა სანამართლო საქმეზე დანაშაულის დასამოწმებლად და ვერ დაამტკიცებს თავის ნათქვამს, უნდა შეეფარდოს ისეთი სასჯელი, როგორც გათვალისწინებულია იმ დანაშაულისათვის, რომელშიც ის ბრალს სდებდა სანამართლოში მიცემულს (მუხ. 3, 4).

გ) დ ა ნ ა შ ა უ ლ ნ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ . ძველბაბილონური კანონმდებლობა მკაცრად იცავს მონათმფლობელური საკუთრების უფლებას ყოველგვარი ხელყოფისაგან. სასტიკად სჯის საკუთრებისა და მფლობელობის უფლების დარღვევას. ეს სავესებით გასაგებია, რადგან მონათმფლობელური საკუთრება ბაბილონის საზოგადოების საფუძველს შეადგენდა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: ქურდობა, გაძარცვა, მითვისება, თაღლითობა და სხვა მოქმედება, რომელსაც მიზნად აქვს ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება. ქონებრივ დანაშაულთა შორის ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს ბაბილონის კანონმდებლობის მიხედვით ქურდობა წარმოადგენს.

ემუნის მეფის ბილალამის კანონები ადგენს: უკეთუ კაცი მონას, მხევალს, ხარს ან სხვა რამეს იყიდის, მაგრამ ვერ შეძლებს გააყიდველის დადგენას, მაშინ მყიდველი ქურდიაო. აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს გაქცეული მონის ან მოპარული ნივთის შესყიდვა. თუ მყიდველი ვერ მიუთითებს გამყიდველზე ან ვერ დაასახელებს მოწმეებს, რომელთა დასწრებით მოხდა შესყიდვა, მას კანონი ქურდად თვლის და უფარდებს ისეთ სასჯელს, რაც დაწესებულია ქურდობისათვის. ქურდია აგრეთვე ისიც, ვინც სასახლის ან მუშქენუმის გაქცეულ მონას, მხევალს ან რაიმე პირუტყვს დაიჭერს, დააკავებს მას საკუთარ სახლში და არ მიიყვანს სასახლეში (ემუნუნაში). ვისაც მოპარული მონა ან მხევალი აღმოაჩნდება, მან, თუნდაც რომ ის ქურდი არ იყოს, უნდა მიუყვანოს პატრონს მონაში და მხევალი მხევალში.

ბილალამის კანონები არა მარტო ქურდობას, არამედ ქურდობის მცდელობას, ე. ი. დაუმთავრებელ დანაშაულსაც სჯის. უკეთუ ვინმეს მუშქენუმის ყანაში ან სახლში დაიჭერენ დღისით, მან ყანის ან სახლის პატრონს უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი. დაუმთავრე-

ბელ ქურდობას ლიფიტ-იშთარის კანონებიც სჯიან. ვინც სხვის ბაღში იქნება შეპყრობილი ქურდობისათვის, ბაღის პატრონს უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

ხამურაბის კანონები საკუთრებისა და მფლობელობის უფლების დარღვევის მრავალ შემთხვევას იცნობს. საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლას კანონმდებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საგულისხმოა, რომ სამართლის წიგნის პირველი 25 მუხლიდან 20 მუხლი ქონებრივ დანაშაულს, სახელდობრ, ქურდობასა და ძარცვას ეხება, რითაც კანონმდებელი ხაზს უსვამს ამ დანაშაულის განსაკუთრებით საშიშ ხასიათს და მოითხოვს ასეთი ქმედობის მკაცრ დასჯას.

მაგრამ კანონმდებელი ამით არ ამთავრებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა აღწერას. სამართლის წიგნის შემდგომი მუხლები კვლავ უბრუნდება ქონებრივი დანაშაულის საკითხებს და იძლევა სხვადასხვა დანაშაულთა შედეგნილობის დახასიათებას და მათთვის დაწესებულ სასჯელებს.

ამიტომ სრულიად მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მონათმფლობელური საკუთრების სისხლის სამართლებრივ დაცვას, მისი ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლას ცენტრალური ადგილი უჭირავს სამართლის წიგნის სისხლის სამართლებრივ ნორმებში.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ნორმები, რომლებიც აწესებს და იცავს საკუთრების უფლებას მონაზე. აქ კანონმდებელი პირველ რიგში ეხება სასახლისა და მუშქენუმის მონებზე საკუთრების უფლების სისხლის სამართლებრივ დაცვას. ვინც სასახლის ან მუშქენუმის მონას გაიყვანს ქალაქის კარებიდან (გატაცების მიზნით) ან თავის სახლში დამალავს სასახლის ან მუშქენუმის გაქცეულ მონას, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. სიკვდილით ისჯება აგრეთვე ისიც, ვინც მოიპარავს კაცის—აველუმის მცირეწლოვან ვაჟიშვილს, რა მიზნითაც არ უნდა იყოს ეს ჩადენილი (გაყიდვა, მონად გახდომა და სხვ.). ბატონის დაუკითხავად მონობის ნიშნის ჩამოპარვისათვის დამნაშავეს თითები უნდა მოსჭრან, ხოლო ვინც ამას მოტყუებით ჩადენინებს დალაქს, ის უნდა მოკლან და ჩაფლან მის კარებთან.

არა მარტო მონობის ნიშნის მოცილება, არამედ მონის მიერ თავისი მონური მდგომარეობის სიტყვიერი უარყოფაც არის მონაზე კერძო მესაკუთრული უფლების დარღვევა, რომლის გამო მონას მისი ბატონი ყურის მოკრით სჯის.

ძველბაბილონური კანონმდებლობა განასხვავებს უბრალო და კვალიფიციურ ქურდობას, ითვალისწინებს ქურდობის მთელ რიგ დამამძიმებელ ნიშნებს. ეშუენის მეფის ბილალამის კანონები ქურდობის ერთ-ერთ დამამძიმებელ ნიშნად აღიარებს ღამით ქურდობას, რომელიც კვალიფიციურ ქურდობად ითვლება და ამის გამო ღამის ქურდს სასჯელად მხოლოდ სიკვდილით დასჯას უწესებს.

ქურდობის დამამძიმებელ ნიშნად ითვლება აგრეთვე ისეთი ქურდობა, რომელიც ჩადენილია ტექნიკური ხერხის ხმარებით. ხამურაბის კანონები ადგენს: უკეთუ კაცი შეანგრევს სახლს, იგი ამ შენანგრევის წინ უნდა მოკლან და ჩაფლან. შენგრევით ქურდობა ტექნიკური ხელსაწყოს გამოყენებით ხდება, რაც ქურდობის კვალიფიციურ შედეგნილობას გვაძლევს და დამნაშავეც სიკვდილით ისჯება.

კვალიფიციურ ქურდობად ითვლება ისეთი ქურდობაც, რომელიც ჩადენილია რაიმე უბედური შემთხვევის დროს. ერთერთ ასეთ შემთხვევად ხამურაბის კანონები თვლის ხანძრის დროს ჩადენილ ქურდობას. უკეთუ კაცს სახლში ხანძარი გაჩნდა და კაცი, რომელიც მივა ხანძრის ჩასაქრობად, თვალს მიაპყრობს სახლის პატრონის საბაკს და წაიღებს რამეს სახლის პატრონის საბაკიდან, ეს კაცი ამავე ცეცხლში უნდა ჩააგდონ. ხანძრის დროს ჩადენილი ქურდობა განსაკუთრებით დამამძიმებელ ნიშნებს შეიცავს, რადგან უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალის გარდა დამნაშავე დაზარალებულის ოჯახს კიდევ ზიანს აყენებს. თანაც დაზარალებული ამ დროს თავისი დაბნეული მდგომარეობის გამო მოკლებულია ქონებაზე მეთვალყურეობის გაწევის საშუალებას. ამიტომ კანონმდებელი სავსებით მართებულად მიიჩნევს ასეთ პირობებში ჩადენილი ქურდობისათვის დამნაშავის მიმართ სიკვდილით დასჯის კვალიფიციურა ფორმის შეფარდებას.

საბაბლე და ტაძარი ბაბილონის სახელმწიფოში კოლექტიური მონათმფლობელობის ორ მთავარ დაწესებულებას წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, მონები ბაბილონში უმთავრესად სახელმწიფოსა და ტაძრების კოლექტიურ მფლობელობაში იმყოფებოდნენ¹. კერძო მფლობელობაში მყოფი მონების რიცხვი მეტად უმნიშვნელო იყო. ასეთი მონობა უმთავრესად პატრიარქალური მონობის ხასიათს ატარებდა და ბაბილონის სოციალურ წყობილებაში რამდენადმე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა. ამიტომ საესებით გასა-

¹ Есемирная история, т. I, 1956 г., стр. 297.

გებია ის გარემოება, რომ ხანძრის კანონები განსაკუთრებით მკაცრად იცავს საკუთრების იმ ობიექტებს, რომლებიც სასახლის ან ტაძრის კუთვნილებას შეადგენს. საქართველოს სახარტოლის წიგნის დასაწყისშივე (მუხ. 6) კანონმდებელი უკვე ეხება ამგვარ ქურდობას. უკეთუ ვინმე მოიპარავს ტაძრის ან სასახლის ქონებას, ის სიკვდილით უნდა დაისაჯოს, აგრეთვე უნდა მოკლან ისიც, ვინც ქურდის ხელიდან ნაპარავი მიიღო. ამრიგად, არა მარტო ქურდი, არამედ ნაქურდალის მიმღებიც, როგორც ქურდობაში თანამონაწილე, სიკვდილით ისჯება. აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს წინასწარი შეცნობით ნაპარავი ქონების მიღება, ე. ი. ქონების მიმღებმა იცოდა, რომ ქონება ნაქურდალი იყო.

საქართველოს წიგნის სხვა ადგილას კანონმდებელი სასახლის ან ტაძრის ქონების ქურდს საშუალებას აძლევს გადაიხადოს მოპარული ქონება 30-ჯერადი ოდენობით, ხოლო მუშქენუმის კუთვნილი ქონების ქურდს კი—10-ჯერადი ოდენობით. მაგრამ ასეთი «საშუალება», ფაქტიურად სიკვდილით დასჯას ნიშნავდა, რადგან არაფრისმქონე პირის მიერ ამ ოდენობით საზღაურის გადახდა სინამდვილეში გამორიცხული იყო. ამიტომაც კანონმდებელი ამბობს: «თუ ქურდს არაფერი აქვს მისაცემი, იგი უნდა მოკლან».

კანონი აღნიშნავს აგრეთვე თემის დასამუშავებელი მიწიდან სარწყავი ან სხვა სამუშაო იარაღის მოპარვას, რისთვისაც აწესებს საზღაურის გადახდას 3—5 სიკლაძედ.

საქართველოს წიგნი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ქურდი და ქურდობა გამოქვლავნდება სასამართლოში დაკარგულ ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ დავის გამო. ასეთ შემთხვევაში საკუთრების უფლების დადგენა და ქურდის აღმოჩენა ხდება შემდეგნაირად: დაკარგული ნივთის მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი და მოწმეები, რომელთა დასწრებით იყიდა. მოწმეები უნდა მოიყვანოს აგრეთვე ნივთის პატრონმაც. უკეთუ ნივთის პატრონის მოწმეები ღვთის წინაშე ფიცით დაადასტურებენ, რომ დაკარგული ნივთი ეკუთვნის მის პატრონს, მაშინ ნივთის გამყიდველი ქურდია, ის უნდა მოკლან, ნივთს ღებულაბს ნივთის პატრონი, ხოლო მყიდველი — მის მიერ გადახდილ ვერცხლს. მაგრამ თუ მყიდველი ვერ მოიყვანს გამყიდველს და მოწმეებს და მხოლოდ ნივთის პატრონი მოიყვანს მოწმეებს, მაშინ «მყიდველი ქურდია, ის უნდა მო-

კლანა. ნიეთის პატრონმა კი უნდა მიიღოს თავისი დაკარგული ნივთი.

ზემოაღნიშნული პროცედურიდან ჩანს, რომ საკუთრების უფლების დადგენა, სასამართლოს მიერ ნივთზე საკუთრების უფლების მინიჭება რომელიმე მხარისადმი გამაგრებული არ არის სათანადო დამატკიცებელი საბუთებით. მართო მოსარჩლის მოწმეთა ფიცია მიჩნეული საკმაო მტკიცებულებად. ეს მით უფრო ითქმის ნიეთის გამყიდველას ან მყიდველის მიმართ, რომლებსაც კანონი ქურდად თვლის და სასტიკად სჯის იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს სასამართლოში თავიანთი უდანაშაულობის დამადასტურებელი მოწმეების მოყვანა. ეს პროცესუალური აქტიც იმას ადასტურებს, რომ ძველბაბილონური კანონმდებლობა კერძო მონათმფლობელურ საკუთრებას წმიდათა წმიდა უფლებად მიიჩნევს და ყოველგვარი ღონისძიებით იცავს მას მოსალოდნელი ხელყოფისაგან.

ხამურაბის კანონმდებლობა განასხვავებს ქურდობასა და გაძარცვას. ქურდობა სხვისი ქონების ფარულად გატაცებაა, ხოლო გაძარცვა — სხვისი ქონების აშკარად გატაცება ძალადობის გამოყენებით.

უკეთუ კაცი ჩაიდნეს ძარცვას და შეპყრობილი იქნება, იგი უნდა მოკლანო, ნათქვამია კანონში. მაგრამ თუ მძარცველი შეპყრობილი არ იქნება, გაძარცვულმა კაცმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს გველაფერი, რაც მან დაკარგა. თემმა და თემის მამასახლისმა (რაბი-ანუშუმა), რომელთა მიწაზეც და საზღვრებშიც ჩადენილია ძარცვა, უნდა აღწარმოადგინონ დაზარალებულს, რაც მან დაკარგა. აქ, როგორც ზემოთ ითქვა, შემორჩენილია გვაროვნულ-ტომობრივი წყობილებიდან მომდინარე წესი ოჯახის, გვარისა და თემის კოლექტიური პასუხისმგებლობის შესახებ.

უკეთუ ძარცვის დროს მოკლულ იქნა კაცი, თემმა და რაბიანუშმა მას ოჯახს უნდა გადაუხადოს 1 მინა ვერცხლი. ქონებრივი დანაშაულის ასეთი დანაწევრება (ქურდობა და გაძარცვა) მოწმობს არა მართო იმას, რომ ხამურაბის კანონმდებლობა დიდ ყურადღებას აქცევს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, არამედ ამ დარგში იურიდიული აზროვნების საკმაო განვითარებასაც.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მითვისება, ე. ი. თვითნებობით და ანგარებით დაჭერა, აგრეთვე გაფლანგვა განსაზღვრული მიზნით მიბარებული ქონებისა. კანონი ითვალისწინებს მინდობილი ქონების მითვისებას ქირავნობის ხელშეკრულების დროს. თუ კაცი კაცს სამუშაოდ

დაიჭირავენ, მიანდობს მას გუთანს, ჩააბარებს პირუტყვს და ეს კაცი მიითვისებს თესლს ან საკვებს და ეს აღმოჩნდება მის ხელში, მას თითები უნდა მოსჭრან, ხოლო თუ იგი მიითვისებს გუთანს, მან უნდა უზლოს გუთნის პატრონს პურის დანაკლისი. იმ შემთხვევაში, თუ დაჭირავეული კაცი თვითონ გააჭირავენს პირუტყვს ან მიითვისებს თესლს და, ამრიგად, არ მოიყვანს პურს მინდორზე, მან ჰკისდროს უნდა მიუწონოს პატრონს 1 ბურღზე 60 ქურუ პური. უკეთუ ვერ შეძლებს ამის გადახდას, დამნაშავე ამავე მინდორზე პირუტყვის საშუალებით უნდა გაგლიჯონ.

ქონების მითვისებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მინდობილობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დროსაც. უკეთუ მგზავრობაში მყოფი კაცი მისცემს კაცს ამანათს (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები და სხვ.) დანიშნულების ადგილზე მისატანად, მაგრამ ეს კაცი არ მიიტანს და თვითონ წაიღებს ამანათს, მაშინ მან ამანათის პატრონს ხუთმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც მან გაატანა ამანათის სახით.

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე შესანახად მიბარებული ქონების მითვისებას. უკეთუ კაცი შესანახად მიბარებს ვერცხლს, ოქროს ან სხვა რამეს მოწმეთა დასწრებით, ხოლო ვინც შესანახად მიიბარა ქონება, უარყოფს ამას, მან ქონების პატრონს ორმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი. მინდობილობისა და შენახვის ხელშეკრულების პირობების დარღვევიდან გამომდინარე ქონების მითვისების ზემოაღნიშნული ორი შემთხვევა სამოქალაქო-უფლებრივი ურთიერთობის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ რამდენადაც ხელშეკრულების დარღვევის შედეგად ადგილი აქვს მითვისებას, ასეთი ქმედობა განხილულ უნდა იქნეს როგორც სისხლის სამართლებრივი დარღვევა, რომლისთვისაც კანონი გაორკეცებულ ჯარიმას აწესებს.

როგორც ხამურაბის კანონებიდან ჩანს, ბაბილონში საკმაოდ განვითარებული იყო მევახშეობა, ე. ი. ისეთი სარგებლის გადახდევინება, რაც კანონით განსაზღვრულ მაქსიმალურ ნორმას აღემატება. ხამურაბის კანონების მიხედვით პროცენტის დადგენილი მაქსიმუმი იყო: პურზე 33,5%, ხოლო ვერცხლზე 20%. ნატურით (პურით) პროცენტის გადახდა ხდებოდა ანგარიშით: 100 კა 1 ქურუზე. უკეთუ მევახშე (თამქარი) გადაამეტებდა 1 ქურუზე 100 კა მარცვლეულის პროცენტს ან 1 სიკლზე 1/6 საკლს და 6 შე ვერცხლს და მეტ პროცენტს აიღებდა, იგი კარგავდა გასესხებულ ძირითად თანხასაც. უკეთუ თამქარი არ ჩაუთვლის მოვალეს პურით გადა-

ხდომილი ვალის ნაწილს, არ აღნიშნავს ვალის თანხის შემცირებას, არ დადგინებს დამატებით საბუთს ამის შესახებ ან ვალის ძირითად თანხას პროცენტებს მიუმატებს, მან ვალის დასაფარავად მიღებული პური მოვალეს ორმაგად უნდა დაუბრუნოს.

ქონებრივ დანაშაულს მიეკუთვნება თ ა ლ ლ ი თ ო ბ ა, ე. ი. ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება ნღობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით. ხამურაბის კანონები ითვალისწინებს თაღლითობის ორ შემთხვევას. ერთი შეეხება მეფისზე თამყარს, ხოლო მეორე—მიკიტან ქალს. უკეთუ თამყარი გაასესხებს პურს ან ვერცხლს პროცენტობით და სესხის გაცემის დროს მისცემს ვერცხლს ნაკლები საწონით ან პურს ნაკლები საწყავით ან, როდესაც ღებულობს, გამოართმევს ვერცხლს მეტი საწონით ან პურს მეტი საწყავით, ეს თამყარი კარგავს, რაც სესხად მისცა. ანალოგიური შემთხვევაა გათვალისწინებული 108-ე მუხლშიც. თუ მიკიტანი ქალი არ ღებულობს პურს სიქარუს (მათრობელა სასამელი) ფასად, ვერცხლს ღებულობს მეტად დიდი საწონით და სიქარუს სატარიფო ოდენობას ამცირებს პურის სატარიფო ოდენობასთან შედარებით, ეს მიკიტანი ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ.

სამართლის წიგნი იცნობს ქონებაზე უფლების მოპოვებას ნ ღ ო ბ ი ს ბ ო რ ო ტ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ა ც. უკეთუ სავაქრო აგენტი—შ ა მ ა ლ უ მ ი დაუბრუნებს თავის თამყარს ყველაფერს, რაც მან თამყარმა მისცა, ხოლო შემდეგ თამყარი უარყოფს იმის მიღებას, რაც მას შამალუმმა დაუბრუნა, თამყარი უნდა ამხილონ მოწმეთა წინაშე და მან ექვსმაგად უნდა მისცეს შამალუმს ყველაფერი, რაც მისგან მიიღო. მეფისზე თამყრების გაუმადლარი მადის შეზღუდვად კანონი აწესებს ჯარიმას, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ხელშეკრულებით მიღებულ თანხას.

ნღობის ბოროტად გამოყენებას ქონების დაუფლების მიზნით მაშინაც აქვს ადგილი, როცა მწყემსი შეამცირებს მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის ან მათი ნამატიის რიცხვს, რაც სამწყემსად გადაეცა მას. ასეთ შემთხვევაში მან ნამატი და შემოსავალი ხელშეკრულების შესაბამისად უნდა აანაზღაუროს და სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს.

სხვა ქონებრივ დანაშაულთა შორის კანონი ითვალისწინებს ქონების განადგურებასა და გაფუჭებას, მათ შორის მონის მოკვლასაც (213, 214, 223—225, 231, 252). საზღაური როგორც ქონების განადგურების ან გაფუჭების, ისე მონის მოკვლის ან დაზიანებისათვის მის პატრონს ეკუთვნის. სამართლის წიგნი აღნიშ-

ნაეს პატრონის ნებადაურთველად მწყემსის მიერ წვერილფეხა პირუტყვის მიშვებით მინდვრის ან მდელის მოძოვებას და წახდენას; რისთვისაც მწყემსმა მიყენებული ზიანის შესაბამისად მკის დროს პურით უნდა აუნაზღაუროს ზიანი მინდვრის პატრონს. ეს შემთხვევა უფრო სამოქალაქო ურთიერთობას განეკუთვნება, რამდენადაც აქ საქმე ეხება სამოქალაქო უფლების დარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპხით.

კანონში გათვალისწინებულია აგრეთვე წყლის მიშვებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. უკეთუ ვინმეს დაუდევრობით დაეზარება გაამაგროს თავისი მინდვრის კაშხალი და ამის გამო კაშხალი გაირღვევა და წყალი წალეკავს თემის დაშუშავებულ მიწას, მან უნდა აანაზღაუროს განადგურებული პური, მაგრამ თუ იგი ვერ შეძლებს აანაზღაუროს პური, მაშინ ის და მისი მოძრავი ქონება უნდა გაიყიდოს ვერცხლში და ეს ვერცხლი უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის თემის იმ წევრებმა, რომელთაც მიწა კქონდათ დამუშავებული და რომელთა პურიც წყალმა წალეკა. ამრიგად, ის, ვინც დაუდევრობით დაუშვებს, რომ წყალმა წალეკოს მისი მეზობლების ყანა, ვალდებულია აანაზღაუროს წანახელი, ხოლო თუ ვერ შეძლებს ანაზღაურებას, ის და მისი ქონება უნდა გაყიდონ ზარალის ასანაზღაურებლად.

დ) დ ა ნ ა შ ა უ ლ ნ ი ო ჯ ა ხ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ. სქესობრივ დანაშაულთა შორის პარველ რიგში აღსანიშნავია სისხლის აღრევა, ე. ი. სქესობრივი კავშირი აღმავალი ან შთამომავალი შტოს ნათესაებებში ან გვერდის შტოს ნათესაებებში. მამის კავშირი ქალიშვილთან ისჯება მამის გაძევებით თემიდან, ხოლო შვილის კავშირი დედასთან მამის გარდაცვალების შემდეგ—ორივე დამნაშავის დაწვით. კანონი სასტიკად კრძალავს აგრეთვე მამამთილის სქესობრივ კავშირს თავის რძალთან; დამნაშავე უნდა შეკრან და წყალში გადააგდონ. ხოლო თუ იგი თავის ვაჟს საცოლეს გაურიგებს და მის ვაჟს ჯერ კიდევ არ ექნება კავშირი ქალთან და თვითონ სიმამრი დაიჭერს კავშირს ქალთან, მან 1/2 მინა ვერცხლი უნდა გადაუხადოს საპატარძლოს და დაუბრუნოს მას ყველაფერი, რაც კი ქალმა მოიტანა მამის სახლიდან. უკეთუ გერს თავისი მამის სიკვდილის შემდეგ წაასწრებენ თავის დედინაცვალთან, რომელმაც შეიღებო შობა, გერი უნდა გააჰვეონ მამის სახლიდან.

ამრიგად, ხამურების კანონები სასტიკად კრძალავენ სქესობრივ კავშირს ახლო ნათესაებებსა და მოყვრებთან, დაუშვებლად თვლის სისხლს აღრევას არა მარტო აღმავალი ან შთამავალი შტოს ნათე-

სავებში, არამედ უფრო შორეულ ნათესაეებსა და მოყვრებს შორისაც.

ძველბაბილონური სამართლის მიხედვით ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია მრუშობა, ე. ი. ქმრიანი ქალისა და ცოლიანი კაცის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი. კანონმდებლობა საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ცოლქმრული ერთგულების დარღვევის საკითხებს. თუ ქალი გარყვნილია, ტოვებს ოჯახს, აოხრებს თავის სახლს, არცხვენს თავის ქმარს, ეს ქალი წყალში უნდა დაახრჩონ. ასევე ეპყრობოდნენ ქმრის მოლაღატე მრუშ ცოლსა და მის საყვარელსაც — მათ კრავდნენ და წყალში აგდებდნენ. უკეთუ მრუში დედაკაცი საყვარლის გამო ვინმეს თავის ქმარს მოაკლევინებს, ეს ქალი სარზე უნდა ჩამოაცვან. მრუშობა მეტად მძიმე დანაშაულად მიაჩნია კანონმდებელს და ამიტომაც უწყესებს დამნაშავეებს ასეთ სასტიკ სასჯელს. ქმარს შეეძლო ცოლისათვის ეპატიებინა ღალატი, მაშინ მეფეს მრუში მამაკაცისათვის უნდა შეენარჩუნებინა სიცოცხლე. ტყვედწაყვანილი კაცის ცოლს, რომელსაც სახლში სარჩო და ქონება აქვს, არ შეუძლია გათხოვდეს — «სხვის სახლში შევიდეს», ხოლო თუ მანც გათხოვდება, ცოლქმრული ერთგულების დარღვევისათვის იგი სიკვდილით ისჯება.

ემშუნის მეფის ბილაამის კანონებიც სიკვდილით სჯიან მრუშ ცოლს, რომელსაც წაასწრებენ სხვა მამაკაცთან, — ქალი «უნდა მოკვდეს, არ უნდა დარჩეს ცოცხალიო», ნათქვამია სამართლის წიგნის 28-ე მუხლში.

საქირთა აღინიშნოს, რომ ცოლქმრული ერთგულების დარღვევისათვის მხოლოდ ცოლი ისჯება. მამაკაცის მიერ თავისი ცოლის მიმართ ერთგულების დარღვევა დანაშაულად არ ითვლება, მისთვის ცოლის ღალატი ნებადართულია. კიდევ მეტი, მას შეუძლია ოჯახში ხასაც მოიყვანოს და შვილები გააჩინოს მასთან (145 — 146). ქალს კი მრუშობაში ბრალდების გამო «მდინარეში გადავარდნით» უნდა ემართლებინა თავი.

შუმერული საოჯახო კანონები აღიარებს ცოლისა და ქმრის აშკარა უფლებრივ უთანასწორობას, ქმარს გაბატონებულ მდგომარეობას ანიჭებს ცოლის მიმართ. ოჯახის წინააღმდეგ დანაშაულისათვის ქალი სიკვდილით ისჯება, ქმარი კი ასეთივე დანაშაულისათვის საზღაურს იხდის. თუ ცოლი თავის ქმარს შეიძულებს და ეტყვის: «შენ, არა ხარ ჩემი ქმარიო» ქალი მდინარეში უნდა გადააგდონ. ასეთივე დანაშაულისათვის ცოლის მიმართ, როგორც ეს დოკუმენტებიდან ჩანს, იყენებდნენ სხვა სასჯელსაც — კოშკიდან გა-

დაგდებას. მეორე მხრივ, თუ ქმარი ეტყვის თავის ცოლს: «შენ არა ხარ ჩემი ცოლი», მან გაგდებულ ცოლს უნდა გადაუხადოს 1/2 მინა ვერცხლი. პირველ შემთხვევაში ქმრისადმი კანდიერებისათვის ცოლი სიცოცხლეს კარგავს, მეორე შემთხვევაში კი ქმარი ცოლის მიმართ კანდიერი მოქცევისათვის მხოლოდ საზღაურს იზღის და ამით ცოლს თავიდან იცილებს, ოჯახიდან აგდებს.

ცოლის გაგდებისათვის ქმრის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით განსხვავებულ მდგომარეობას აქვს ადგილი ეშნუნის მეფის ბილალამის კანონებში. უკეთუ კაცი,—ნათქვამია კანონში,—მას შემდეგ, რაც მას შეილება შეეძინა, მიატოვებს თავის ცოლს და ითხოვს სხვას, ის გაძევებულ უნდა იქნას სახლიდან, მას უნდა ჩამოერთვას ყველაფერი და გადაეცეს ქალს, რომელიც მან მიატოვა. როგორც ვხედავთ, აქ კანონი იცავს ქალის უფლებრივ მდგომარეობას ოჯახში და მკაცრად სჯის ქმარს ცოლ-შვილის უსაფუძვლოდ მიტოვებისათვის.

ხამურაბის კანონების მიხედვით, თუ ცოლი შეიძულეს ქმარს და ეტყვის მას: «ნუ მომეკარებიო», მათი საქმე უნდა გამოიძიონ მეზობლებში. თუ ქალი უმწიკვლოა, ქმარი კი თავისი ქცევით არცხვენს მას, ქალს შეუძლია წაიღოს თავისი მზითველი და წავიდეს თავისი მამის სახლში. მაგრამ თუ ქალი გარყვნილია და არცხვენს თავის ქმარს, ის წყალში უნდა გადააგდონ. ქალის მდგომარეობა აქაც მეტად მძიმეა. მოხეტიალე ქმრის მიმართ სამართლიანი საყვედუროსათვის ცოლს ოჯახიდან აგდებენ, ქმარს კი სასჯელს არ უწესებენ. მაგრამ თუ იგივე დანაშაული ჩადენილია ცოლის მიერ, მას სჯიან სიკვდილით — წყალში გადაგდებით.

გ ა უ პ ა ტ ი უ რ ე ბ ა. სქესობრივი დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს გაუპატიურება. ამ დანაშაულს იცნობს როგორც ბილალამის, ისე ხამურაბის კანონებიც. უკეთუ ვინმე მოიტაცებს დანიშნულ ქალს და აიძულებს კავშირი დაიჭიროს მასთან, ეს კაცი უნდა მოკვდეს. ქალის მოტაცება აქ ხდება არა მასზე დაქორწინების მიზნით, არამედ სქესობრივი კავშირის დაკვირის მიზნით. მაგრამ იგივე ბილალამის კანონები მონა ქალის გაუპატიურებისათვის მხოლოდ საზღაურს აწესებს 2/3 მინა ვერცხლის ოდენობით, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაუხადოს მონა ქალის ბატონს. მონა ქალს პატივი და ღირსება არა აქვს, კანონი მის გაუპატიურებას განიხილავს, როგორც მისი ბატონისადმი მიყენებულ ქონებრივ ზიანს, და საზღაურსაც ბატონს აძლევს.

ხამურაბის კანონები ადგენს: თუ ვინმე გააუპატიურებს დანიშ-

ნულ ქალს, რომელსაც მამაკაცთან არ უცხოვრია და თავისი მამის სახლში იპყოფება, ეს კაცი უნდა მოკლან, ქალი კი თავისუფალია პასუხისმკებლობისაგან.

ხამურაბის ეპოქის ოჯახი მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფი ოჯახი იყო. ოჯახის უფროსს დიდი უფლებები ჰქონდა ოჯახის წევრებისა და შვილების მიმართ. შვილები მამის ფართო ძალაუფლების ობიექტს წარმოადგენდნენ. მამას უფლება აქვს მონებად გაყიდოს, ვაღინ საზღაურად მისცეს ან ქურუმად შესწიროს თავისი შვილები. ზემოაღნიშნულის გამო შვილები მოვალენი იყვნენ განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით მოპყრობოდნენ თავიანთ მამას. კანონი დაუშვებლად თვლის შვილის მხრივ მამის მიმართ რაიმე კადნიერებას, ურჩობასა და თავხედობას.

სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლი ეხება მშობლებისა და შვილების ურთიერთობას. შვილს, რომელიც გაარტყამს თავის მამას, თითები უნდა მოჰკვეთონ. მამას შეუძლია გააძევოს შვილი და ჩამოართვას მას მემკვიდრეობა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შვილი მამის მიმართ ამ ე ო რ ე ჯ ე რ ჩ ა ი დ ე ნ ს მ ძ ი მ ე შ ე ც ო დ ე ბ ა ს ა. კანონი სასტიკად სჯის შვილის ან შვილობილის მიერ პატრიარქალური უფლების უარყოფას. საჭურისის ან ზიქრუმის შვილობილს, რომელიც უარყოფს თავის გამზრდელ დედას ან მამას, ენა უნდა მოსჭრან. ხოლო თუ იგი შეიძულებს თავის აღმზრდელ დედ-მამას, მიატოვებს მათ და წავა თავისი მშობელი მამის სახლში, მას თვალები უნდა დასთხარონ. უკეთუ ძიძას მოუკვდა ძუძუს საწოვად მიბარებული ბავშვი და იგი მან სხვა ბავშვით შეცვალა, ძიძას ძუძუ უნდა მოჰკვეთონ.

შუმერული კანონების ფრაგმენტისა და ე. წ. შუმერული საოჯახო კანონების მიხედვით შვილი, რომელმაც მშობლები უარყო, უნდა გაპარსონ, გააგდონ სახლიდან და გააძევონ თემიდან. ამავდროულს თავის სხვა შემთხვევაში მან უნდა დატოვოს სახლი, სახნავ-სათესი, ბაღი, ყველა მონა და ქონება და გაყიდულ იქნეს მონად.

მაგრამ ამასთან ერთად კანონი იცავს შვილებს მშობლების მხრივ უსაფუძვლო დევნისაგან. შუმერული კანონებით, მშობლების მიერ უდანაშაულო შვილების უარყოფა მშობლების გაძევებით და მათთვის ქონების ჩამორთმევით ისჯება. ხოლო ხამურაბის კანონები მოითხოვს, რომ ამ ო ს ა მ ა რ თ ლ ე ე ბ მ ა უ ნ დ ა გ ა მ ო ი ძ ი ო ნ ს ა ქ მ ე ა, ე. ი. რამდენად სამართლიანია მამის მიერ შვილის უარყოფა, მისი ოჯახიდან გაძევებისა და მისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის მოთხოვნა.

თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ ა. ცალკე უნდა აღინიშნოს თვითნებობა, რომელიც გათვალისწინებულია როგორც ეშვნის მეფის ბილალამის, ისე ბაბილონის მეფის ხაშურაბის კანონებშიც. თვითნებობა არის ვისგანმე თავისი ნებით, სათანადო ხელისუფლების უკითხავად, ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების განხორციელება, სხვა პირის ასეთივე უფლების დარღვევით. დანაშაულთა თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით თვითნებობა მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლება. თვითნებობა არა მარტო მმართველობის წესის დარღვევაა, არამედ სხვა პირის უფლების დარღვევაც. იგი შეიძლება მიმართული იყოს როგორც დაწესებულების წესიერი მუშაობის, ისე მოქალაქის უფლების წინააღმდეგაც.

ეშვნის მეფის ბილალამის კანონებში თვითნებობის შემთხვევები გათვალისწინებულია ადამიანის ვალში დაგირავებასთან დაკავშირებით. სესხის ან სხვა სავალო ურთიერთობის დროს მოვალე კრედიტორთან აგირავებდა თავის ცოლს, შვილს ან მონას, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის პირობას. ვალის გადახდის შემდეგ დაგირავებული უნდა განთავისუფლებულიყო. კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა მხარეებს შორის არ არსებობს სავალო ურთიერთობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვინმეს თვითნებურად გირაოდ ჰყავს დაკავებული თავისთან კაცი. უკეთუ კაცს კაცი სათვის არაფერი არ უსესხებია, ნათქვამია კანონში, მაგრამ გირაოდ ეყოლება კაცის მხევალი, მან მხევლის ბატონს უნდა მისცეს მხევლის ფასის თანაბარი ვერცხლი. ხოლო თუ თვითნებურად დააკავებს მხევალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს, მან უნდა უზღოს მხევლის ბატონს ორი მხევალი. იმ შემთხვევაში კი, როცა კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება მუშქენუმის ცოლი, თვითნებურად დააკავებს მძევალ ქალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს მას, მოგირაუნე უნდა მოკვდეს. ასე მკაცრად სჯის ბილალამის კანონები იმას, ვინც თვითნებურად იქცევა სხვა ადამიანის ან მისი კუთვნილი მონის მიმართ.

ასეთივე ურთიერთობას ითვალისწინებს ხაშურაბის კანონებიც. უკეთუ კაცს კაცისათვის სესხად არ მიუცია პური ან ვერცხლი, მაგრამ ეყოლება მისი მძევალი, თვითნებურად მძევალზე იგი ვალდებულია მიუწონოს 1/3 მინა ვერცხლი.

სამართლის წიგნი აღნიშნავს აგრეთვე თვითნებობას სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების პირობებთან დაკავშირებით. უკეთუ კაცმა ასესხა კაცს პური ან ვერ-

ცხლი და გამსესხებელი პურის პატრონის დაუკითხავად წაიღებს პურს ბელლიდან ან კალოდან, მან უნდა დააბრუნოს მთლიანად მის მიერ წაღებული პური და აგრეთვე კარგავს ყველაფერ იმას, რაც მან სესხად მისცა. ამრიგად, კანონი უკრძალავს კრედიტორს (გამსესხებელს) თვითნებურად განახორციელოს თავისი უფლება დებიტორის (მსესხებლის) უფლების დარღვევის ხარჯზე.

ანეთია ძველბაბილონური კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულთა ძირითადი სახეები. კანონები ითვალისწინებს აგრეთვე ზოგიერთი მცირე მნიშვნელობის მქონე სხვა სისხლის სამართლებრივ დარღვევებს, რისთვისაც აწესებს კომპოზიციების გადახდას ჩადენილი ქმედობის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ბაბილონის კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედობანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცხოვრებაში და რომლებიც ადამიანთბრძივი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა. ასეთი ხარვეზი, როგორც ცნობილია, საერთოდ ახასიათებს კანონმდებლობას და მით უმეტეს ეს თავისთავად გასაგებია ძველბაბილონური კანონმდებლობისათვის, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოში დღემდე ცნობილ ყველაზე ადრინდელ და უძველეს კანონმდებლობას.

სასამართლო და პროცესი

I. სასამართლო წყობილება. სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია ძველ ბაბილონში სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო. ხამურაბის ეპოქა ამ მხრივ გარდატეხის მომენტს წარმოადგენს. შუამდინარეთის ადრინდელი პერიოდის სასამართლო სისტემისათვის დამახასიათებელი იყო სათემო-სატაძრო სასამართლოს არსებობა. ეს იყო ქურუმთა სასამართლო, რომელიც სასულიერო სასამართლოს წარმოადგენდა. ქურუმთა სასამართლო კოლეგიას რიგრიგობით სათავეში ედგა ერთ-ერთი ქურუმი, რომელიც თავმჯდომარეობდა სამსჯავრო სხდომას. თვითელი ქურუმი, როგორც კოლეგიის წევრი, იმავე დროს მოსამართლედ, იყო. სასამართლო საქმეებს ქურუმები, როგორც წესი, არჩევდნენ ტაძარში, სადაც გამოჰქონდათ სათანადო განაჩენები და გადაწყვეტილებები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე; თუმცა იმდროინდელი საპროცესო სამართალი მკაფიოდ არ განასხვავებდა განაჩენისა და გადაწყვეტილების ცნებებს, ისევე როგორც სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესებს.

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ხამურაბამდე შუამდინარეთში ურის III დინასტიის დროს (2100—2000 წ.წ.) არსებობდა საერო სასამართლოც, რომ სასამართლო საქმეებს არჩევდნენ მეფის მოსამართლენი. ეს სასამართლო მოქმედებდა «მეფის კანონით», ე. ი. მეფის მითითებებისა და განკარგულებების საფუძველზე. ურის III დინასტიის დაცემის შემდეგ, ეს სასამართლო დაწესებულება აღარ იხსენიება დოკუმენტებში და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გაქრა ამ დინასტიის დაცემასთან ერთად.

როგორც ცნობილია, მეფე ხამურაბის მიერ გატარებულ იქნა დიდი ადმინისტრაციული რეფორმა. მნიშვნელოვნად შეიცვალა მმართველობის ორგანოების სტრუქტურა და ფუნქციები. ადმი-

მისტრაციული ორგანოების რეფორმასთან ერთად ჩატარდა სასამართლო სისტემის ძირფესვიანი რეფორმაც, რასაც გადაუდებლევ მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის გაძლიერება და ახალი კანონმდებლობის განხორციელება. ქურუმთა ძველი სასამართლოები ფაქტიურად გაუქმებულ იქნა, თუმცა ისინი ფორმალურად არსებობას განაგრძობდნენ ხამურაბის დროსაც. საქმე ის იყო, რომ ხამურაბის რეფორმებმა ქურუმთა სასამართლოს ხელიდან გამოატაცა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს საქმეთა განხილვის უფლება. ქურუმთა სასამართლო კომპეტენცია მეტისმეტად შეიზღუდა, მის იურისდიქციაში სრულიად უმნიშვნელო საქმეები დარჩა.

ხამურაბის ეპოქის სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის თავისებურება ის არის, რომ სასამართლო ხელისუფლება მკიდრო კავშირშია ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან. მართლმსაჯულება და მმართველობა ფაქტიურად ერთისა და იმავე ორგანოს ორი ფუნქციაა. ადმინისტრაციული თანამდებობის პირები (მამასახლისი, ქალაქის ან ოლქის მმართველი და თვით მეფეც) იმავე დროს სასამართლო ფუნქციებსაც ახორციელებენ. მართალია, ხამურაბის დროს შემოღებულ იქნა სპეციალური სასამართლო დაწესებულება მეფის სასამართლოს სახით, მაგრამ ადმინისტრაციული ფუნქციების გავლენისაგან არც ეს სასამართლო იყო თავისუფალი.

სასამართლო ორგანოების სისტემა ხამურაბის დროს მოწყობილი იყო შემდეგნაირად:¹

I. კოლეგიური სასამართლო. სასამართლო კოლეგიები არსებობდა საქალაქო თემებსა და ოლქებში. კოლეგიის წევრებად იყვნენ უხუცესები, რომლებიც ქურუმთა ან ადგილობრივი დიდკაცობის წრიდან გამოდიოდნენ. კოლეგიის შემადგენლობაში წევრებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ აგრეთვე დიდვაჟრები, მეფის სავაჭრო აგენტები—ე. წ. თამქრები. ჩვეულებრივ სასამართლო კოლეგია თემის უხუცესთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოიყოფოდა, მაგრამ ზოგიერთ თემში თვით უხუცესთა საბჭო გამოდიოდა სასამართლოს როლში.

საქალაქო თემების სასამართლო კოლეგიებს სათავეში ედგა ქალაქის მმართველი—რ ა ბ ი ა ნ უ მ ი, რომელიც ითვლებოდა თემის მეთაურად. რაბიანუმი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია, იგი საქალაქო თემის მამასახლისია, ქალაქის მეთაურია, რომელსაც

¹ Я. М. Магазинер, Старовавилонские законы (комментарий). «Вестник древней истории», 1952, № 3, стр. 297—299.

ნიშნავს მეფე. თავის ძირითად ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ერთად იგი თემის მართლმსაჯულების საქმეებსაც განაგებს. რაბიანუმი ვალდებულია საზოგადოებრივი წესრიგი დაიცვას თავის თემსა და ქალაქში.

ხამურაბის კანონებიდან ჩანს, რომ რაბიანუმი თემის მცხოვრებლებთან ერთად პასუხს აგებდა თემის ფარგლებში ჩადენილ და გაუხსნელ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულზე (მკვლელობა, გაძარცვა და სხვ.), თუ რაბიანუმი და თემი, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა გაძარცვა ან მკვლელობა, ვერ აღმოაჩენენ და ვერ შეიპყრობენ ბოროტმოქმედს, მაშინ მათ უნდა აუნაზღაურონ დაზარალებულის ოჯახს ყველაფერი, რაც მან დაკარგა, და აგრეთვე გადაუხადონ საზღაური მკვლელობისათვის, თუკი ასეთს ადგილი ჰქონდა ძარცვის დროს.

ქალაქის სასამართლო კოლეგიის შემადგენლობა არ იყო ზუსტად განსაზღვრული: კოლეგია შედგებოდა ხან 4 და ხან 8 წევრისაგან. კოლეგიის თავმჯდომარედ ითვლებოდა რაბიანუმი, რომლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მთელი სასამართლო პროცესი.

სასამართლო კოლეგიების სხდომებს თავმჯდომარეობდა აგრეთვე ოლქის მმართველი — შაქანაქუმი. ეშენის მეფის ბილალამი კანონები იხსენიებენ შაქანაქუმს, როგორც ოლქის «მდინარის სამსახურის ნაცვალს». მდინარის ოლქის ნაცვალი. ან უფრო ზუსტად, ოლქის გამგებელი — შაქანაქუმი მეფის მიერ ინიშნებოდა და უშუალოდ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე. სასამართლო საქმიანობას იგი ათავსებდა ოლქის სანეურნეო-ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან. იგი თავმჯდომარეობდა სასამართლო კოლეგიებს მნიშვნელოვანი საქმეების განხილვის დროს. კოლეგია შედგებოდა 6 ან 10 წევრისაგან. ჩვეულებრივ შაქანაქუმის სასამართლო კოლეგიაში თემის უხუცესთა საბჭო მთლიანად შედიოდა.

რაბიანუმისა და შაქანაქუმის სასამართლოში სარჩელების მიღებას სპეციალური მოსამართლე განაგებდა. ზოგიერთ საქმეზე, რომელიც საკიროებდა წინასწარ ადგილზე შემოწმებასა და ექსპერტიზის ჩატარებას, სასამართლოები გამოდიოდნენ არბიტრის როლში. აღნიშნული კოლეგიები იხილავდნენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებს, მონაწილეობას ღებულობდნენ სათემო ქონების მართვა-გამგეობაში. სხვადასხვა გარიგებები და აქტები უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, გამოსყიდვის, მემკვიდრეობის შესახებ მათი თანდასწრებით იღებოდა. თავიანთ სასამართლო

საქმიანობაში მართლმსაჯულების გატარების დროს ისინი უმთავრესად ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდნენ.

ხამურაბის ეპოქის ბაბილონში, როგორც ეს კერძოუფლებრივი აქტებიდან ჩანს. იყო სხვა სახის კოლეგიებიც, რომლებსაც «ფუხ-რუმი» ეწოდებოდა. ეს სასამართლო კოლეგია აღნიშნულია აგრეთვე ხამურაბის სამართლის წიგნშიც, სადაც ნათქვამია: მოსამართლე, რომელიც ბეჭედდასმულ სასამართლო გადაწყვეტილებაში ანგარებით ან სხვა რამ მოსაზრებით ცვლილებას შეიტანს, უნდა გადმოაგდონ თავის სამსჯავრო სავარძლიდან და იგი «არ უნდა ბჭობდე ს მოსამართლეებთან სასამართლოში» (მუხ. 5).

12. მეფის მოსამართლენი. დიდ ქალაქებსა და ოლქებში მეფის მიერ ინიშნებოდნენ პროფესიული მოსამართლენი, რომლებსაც «მეფის მოსამართლენი» ეწოდებოდათ. ისინი იმყოფებოდნენ მეფის უშუალო დაქვემდებარებაში და პირადად ანგარიშვალდებულნი იყვნენ მეფის წინაშე. ძვითნული ასეთი სასამართლოს შემადგენლობაში რამდენიმე წევრი შედიოდა. შემადგენლობა ზუსტად განსაზღვრული არ იყო; საქმეებს არჩევდა ხან 4 და ხან 8 კაცისაგან შემდგარი სასამართლო კოლეგია, რომლის წევრები უმთავრესად მეფის მოხელეები იყვნენ. მეფის მოსამართლენი მოქმედებდნენ «მეფის კანონის» შესაბამისად, ე. ი. მეფის ყოველგვარ განკარგულებას. სიტყვიერ ან წერილობით მითითებას მოსამართლეთათვის კანონის ძალა ჰქონდა. (მეფის მოსამართლეთა გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.) ქალაქ ბაბილონის სასამართლო, როგორც ფიქრობენ, იმავე დროს მეფის სასამართლოდაც ითვლებოდა.

შუადინარეთში იყო აგრეთვე სხვა შერეული ტიპის სასამართლოებიც, რომლებიც სხვადასხვა ქალაქების (ბაბილონი, სიფარა და სხვ.) მოსამართლეთაგან შედგებოდა. ასეთი სასამართლოს შექმნის საკიროებას იმით ხსნიდნენ, რომ მოდავე მხარეები სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ და ამის გამო სადავო საქმე არ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი რომელიმე ქალაქის სასამართლო იურისდიქციაში ყოფილიყო.

ზემოთ აღნიშნულ სასამართლო კოლეგიებთან იყვნენ მოსამართლეთა თანაშემწენი. ყოველ სასამართლოს თავისი თანაშემწეები ჰყავდა. მოსამართლის თანაშემწეთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რაბისუმი, რომელიც ხან საქმეს იძიებდა, ხან კი საქმეზე მოწმედ გამოდიოდა. რაბისუმი მოსამართლის მთავარი თანაშემწე იყო, რომელიც სასამართლო პროცესის ორგანიზაციასა და

სამსჯავრო გამოძიების წარმართვაში ეხმარებოდა მას.

გარდა რაბისუმისა, თვითეულ მოსამართლეს ჰყავდა ე. წ. «მოსამართლის მხედარი». რომელსაც აგრეთვე ნაგირუმი, ანუ შულტა ეწოდებოდა. ეს იყო სასამართლოს მოხელე, რომელიც ასრულებდა პოლიციური ხასიათის ფუნქციებს. იგი ითვლებოდა სასამართლოს აღმასრულებლად, რომელიც მეფის მოსამართლის განკარგულებებს ან სხვა სახის სასამართლოების დავალებებს ასრულებდა. ხამურაბის კანონები ადგენს: უკეთუ ვინმე თავის სახლში დამალავს სასახლის ან მუშქენუმის გაქცეულ მონას და არ გამოიყვანს მათ შულტას ძახილზე, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. შულტამ უნდა აუწყოს მხარეებსა და მოწმეებს სასამართლო საქმის განხილვის დღე და ადგილი და უნდა უზრუნველყოს მათი სამსჯავრო სხდომაზე გამოცხადება. მან უნდა აუწყოს თემის მცხოვრებლებს, რომ ამა და ამ დღეს თემის ამა და ამ წევრის უძრავ ქონებას ყიდულობს ესა და ეს კაცი, რომ თუ ვინმეს აქვს პრეტენზია ან უფლება შეძენისა, უნდა განაცხადოს ამის შესახებ მოსამართლეთა წინაშე დანიშნულ ვადაში და სხვ. სათემო სასამართლოსთან ერთ-ერთ თანაშემწედ იყო აგრეთვე რაქბუმი, ანუ მდევარი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებაში იმყოფებოდა.

საქმის წარმოებას სასამართლოში ტუფშარუმი, ანუ მდივანი განაგებდა. იგი სასამართლოს კანცლარიის გაბეე იყო. გარჩეული სასამართლო საქმეები, რომლებზეც გამოტანილი იყო გადაწყვეტილებები თიხის ფირფიტებზე, მასთან არქივში ინახებოდა. მხარეთა მოთხოვნით იგი იღებდა ამ საბუთების ასლებს და აძლევდა მათ დაინტერესებულ პირებს; ამით ის არქივარისის ფუნქციებსაც ასრულებდა. სასამართლოს მდივანი ზოგჯერ საქმეებზე მოწმედაც გამოდიოდა, ზოგჯერ კი მართვა-გამგებობის ფუნქციებსაც ასრულებდა (მიწის ქირაობა და იჯარით გაცემა. მ. ნათა ჯგუფის ხელმძღვანელობა და სხვ.).

3. სატაძრო სასამართლოები. ბაბილონში, როგორც ზემოთ ითქვა, არსებობდნენ აგრეთვე სატაძრო. ანუ ქურუმთა სასამართლოები. სატაძრო სასამართლოებმა შეინარჩუნეს ცალკეულ სასამართლო დავალებათა შესრულების ფუნქცია: მხარეებისა და მოწმეთა მოყვანა ტაძარში ფიცის მისაღებად, მოწმეთა ფიცით დაკითხვა, რომელსაც წინასწარ შემოწმების ხასიათი ჰქონდა, ფიცის მიღების და მოწმება, ქონების გაყოფა მემკვიდრეებს შორის, ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთის (დოკუმენტები, ცნობები) შეგროვება და მი-

წოდება სასამართლოსათვის. სატაძრო სასამართლოები, ალბათ, ქურუმობის საქმეებსაც იხილავდნენ და წყვეტდნენ. შეიძლებოდა ისინი მიწვეულნი ყოფილიყვნენ სათემო სასამართლო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის მისაღებადაც.

ამრიგად, საერო სასამართლოების დაარსებით ქურუმთა სასამართლო მთლიანად არ გაქრალა. ქურუმი მოსამართლეები ხამურაბის დროსაც არსებობენ და იწოდებიან ტაძრის მოსამართლეებად. როგორც ჩანს, ზოგიერთ პროცესუალურ აქტში მათი მონაწილეობა აუცილებელი იყო. ქურუმთა სასამართლო ახალი ბაბილონის მონარქიის ეპოქაშიც იხსენიება. ქურუმები დამზმარე ფუნქციების შემსრულებლები არიან სასამართლო პროცედურაში.

4. უზენაესი სასამართლო. უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება შუამდინარეთში მეფეს ეკუთვნოდა. მეფე იყო არა მარტო უმაღლესი კანონმდებელი და მმართველი, არამედ უზენაესი მსაჯუელიც. თავის სასამართლო ხელისუფლებას მეფე პირადად ან თავის მოსამართლეთა მეშვეობით ახორციელებდა. მეფის სასამართლო უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა, მაგრამ იგი ამავე დროს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებსაც ასრულებდა, რადგან უმძიმესი დანაშაულობანი და ურთულესი სამოქალაქო საქმეები მის სასამართლო ქვემდებარეობაში შედიოდა. ასეთ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები საბოლოოდ ითვლებოდა და მათი გასაჩივრება არ შეიძლებოდა. განზრახ მკვლელობის საქმე მხოლოდ მეფეს ან მის სასამართლოს უნდა განეხილა.

ენშუნის მეფის ბილაამის კანონები ადგენს, რომ «სიციოცხლის შესახებ ექვემდებარება მხოლოდ მეფეს». სიციოცხლის საქმე, ანუ განზრახ მკვლელობა სამეფო სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება. უმაღლესი იუსტიციის უფლება რომ შუამდინარეთში მეფეს ეკუთვნოდა, ეს კარგად ჩანს ამავე კანონების სხვა მუხლიდანაც: უკეთუ სახლის კედელი ინგრევა და ამის შესახებ მეზობლები სახლის პატრონს განუცხადებენ, მაგრამ ის კედელს არ გაამარებს, კედელი ჩამოინგრევა და ამას მოპყვება «კაცის სიკვდილი, — ეს სიციოცხლის საქმეა, გადაწყვეტილება მეფისა».

მეფის სასამართლო კომპეტენციას შეადგენდა აგრეთვე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ამ კატეგორიის დანაშაულთა შესახებ ბაბილონის კანონმდებლობა თითქმის არაფერს ამბობს, მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობიდან ირკვევა, რომ საქმეები სახელმწიფო დანაშაულთა გამო მეფესა და მის სასა-

მართლოს ექვემდებარებოდა. ხამურაბის კანონების 109-ე მუხლი ითვალისწინებს იმ მიკიტანი ქალის სიკვდილით დასჯას, რომლის სახლში პირს კრავენ დამნაშავენი შეთქმულების მოაწყობად; კანონი მოითხოვს მიკიტანი ქალის სიკვდილით დასჯას დანაშაუვითა დაფარვისა და ჩასადენად გამზადებული დანაშაულის განუტყხადებლობისათვის, იმისათვის, რომ მან დაცვის დახმარებით „დამნაშავეები არ მიიყვანა სასახლეში“. სასახლეში მიყვანა კი იმას ნიშნავს, რომ ეს დანაშაული მეფესა და მის სასამართლოს ექვემდებარება, ისევე როგორც სახელმწიფოს ყოველგვარი დალატი. სამხედრო დანაშაულნი, კერძოდ, ლაშქრობაში გაწვევისაგან თავის არიდება, რაც ხამურაბის კანონების მიხედვით სიკვდილით. ისჯება. მეფის სასამართლო კომპეტენციაში შედიოდა.

მრუში დედაკაცისა და მამაკაცის საქმეც მეფეს ეკითხებოდა, დანაშავენი წყალში უნდა გადაეგდოთ. მეფის სასამართლოს ექვემდებარებოდა აგრეთვე ჯადოსნობის საქმე, ტაძრის ან სასახლის კუთვნილი ქონების ქურდობის საქმე, აგრეთვე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა მძიმე დანაშაულნი: გაძარცვა (მუხ. 24), თაღლითობა (მუხ. 108) და მრუში ცოლის მიერ თავისი ქმრის მოკვლევინება (მუხ. 153). სამიკიტნოში მათრობელა სასამელის (სიქარუს) დასაღვეად შესვლისათვის ქურუმი ქალი (ენტუმი ან ნადითუმი) მეფის ბრძანებით ცეცხლში უნდა დაწვან. დავა ძმებსა და დებს შორის შემკვიდრების გაყოფის თაობაზე მეფის სასამართლოში უნდა განეხილათ.

მეფესა და მის სასამართლოს სხვა მძიმე დანაშაულიც ექვემდებარებოდა, მაგრამ კანონმდებლობა ამის შესახებ ღუმს, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი დანაშაულებრივი ქმედობანი ადათობრივი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა.

ხამურაბის კანონების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სანქციას თუ განერცობით განემარტავთ. შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი დანაშაულებრივი ქმედება, ყოველგვარი სისხლის სამართლის საქმე, თუ ეს სასამართლო საქმე შეეხება სიცოცხლეს, მეფის სასამართლო ქვემდებარებას შეადგენს.

დამნაშავის პატიების უფლება მხოლოდ მეფის პრეროგატივას შეადგენდა. სიკვდილისჯილისათვის მარტოდმარტო მეფეს შეეძლო სიცოცხლის ჩუქება, —*ემეფემ უნდა შეუენარჩუნოს სიცოცხლე თავის მონას*, ნათქვამია სამართლის წიგნის 129-ე მუხლში. მეფის მონა აქ ნიშნავს სოციალური მდგომარეობით თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს, ე. ი. აველუმს, რომელ-

საც მძივე დანაშაულის ჩადენის გამო შეფარდებული აქვს სიკვდილით დასჯა.

მეფის სასამართლოში შექპონდათ აპელაციები ქვემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებზე და გადაწყვეტილებებზე. მეფესთან შედიოდა საჩივრები სასამართლო საქმეების გაქიანურების ან საქმეთა წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის გამო, სხვადასხვა აღმინისტრაციულ ბოროტმოქმედებებზე, მოხელეთა და მოსამართლეთა მექრთაპეობაზე და სხვ. მეფე გამოსცემდა ბრძანებებს დამნაშავეთა დაპატიმრების, სასამართლოში მხარეთა და მოწმეთა მოყვანის შესახებ და ა. შ. პირადად მეფე მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს იხილავდა. დანარჩენ საქმეებს ჩვეულებრივ იხილავდნენ მეფის მოსამართლენი, რომლებსაც საქმეები ეგზავნებოდა მეფის მითითებითა და განკარგულებით. ზოგიერთი საქმე გასარჩევად სათემო სასამართლოში იგზავნებოდა.

11. პროცესი. ა) სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის წესი განსხვავებული იყო სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საქმეების განხილვის წესისაგან, თუმცა მკაფიო ზღვარი მათ შორის არ არსებობდა და ზოგიერთ საქმეში განსხვავება სრულიად არ იგრძნობოდა. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ «სისხლის სამართლის პროცესს და სამოქალაქო პროცესს, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ»¹. სისხლის სამართლის პროცესის ამსახველი დოკუმენტები და ოქმები ჩვენამდე თითქმის არ მოღწეულა.

მიუხედავად ამისა, საჭიროა აღინიშნოს სისხლის სამართლის საქმეების წარმოების ზოგიერთი თავისებურებანი, რითაც იგი განსხვავებულია სხვა საქმეთა წარმოებისაგან.

პირველი თავისებურება ის არის, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე გადმონაშთის სახით შენარჩუნებულია თვითგასამართლება. დაზარალებული თვით უსწორდება ბრალდებულს სასამართლოს გარეშე (2, 9, 25), მაგრამ ეს მაინც არ არის კანონმდებლის მიერ შუროსძიების უფლების აღიარება და დაკანონება.

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების მეორე თავისებურება ის არის, რომ ხამურაბის კანონები იცნობს სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელ ისეთ დამამტკიცებელ საბუთს,

¹ ს. ფ. კეჩეკიანი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, 1. 1946 წ., გვ. 175.

როგორც არის ორდალი, ანუ დამნაშავეის სასამართლო გამოცდა (მუხ. 2, 132). ასეთ გამოცდას თავისი შედეგი აქვს. თუ გამოცდა ბრალდებულისათვის კარგად დამთავრდა, ე. ი. ბრალდებული წყალში არ ჩაიძირა, მაშინ ბრალმდებელი უნდა მოკლან, ხოლო თუ გამოცდამ ბრალდებულისათვის ცუდად ჩაიარა, ე. ი. ის წყალში ჩაიძირა, მაშინ ის დამნაშავეა და მისი სახლი ბრალმდებელს გადაეცემა.

მესამე თავისებურება ის არის, რომ ზოგიერთ საქმეზე განსხვავება სისხლის სამართლის პროცესსა და სხვა საქმეთა განხილვის წესს შორის უფრო მკაფიო იყო. სისხლის სამართლის წესით წყდებოდა საქმეები ბრალდების გამო ისეთ დანაშაულში, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული. დაზარალებულის მხრივ პატიება არ ათავისუფლებდა ბრალდებულს სასამართლოსა და სასჯელისაგან. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ქმრის მიერ მრუში ცოლისათვის დანაშაულის პატიება (მუხ. 129).

ზოგიერთი დანაშაულისათვის დამნაშავემ მიყენებული ზიანის ღირებულება უნდა ანაზღაუროს მრავალჯერადი ოდენობით—სამკეცი, ხუთკეცი, ათკეცი და ზოგჯერ ოცდაათკეცი ოდენობითაც. ცხადია, ეს სახელმწიფოს მიერ დაწესებული სისხლის სამართლის ჯარიმაა, სასჯელია და არა დაზარალებულის ან დაინტერესებული მხარის ნება-სურვილით განსაზღვრული საზღაური. დაზარალებულს აღარ შეუძლია შეწყვიტოს დამნაშავეის დევნა და გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან. აღანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ ქონებრივი ხასიათის დავა, რომელიც სავინდიკაციო სარჩელით აღიძრა, შეიძლებოდა სისხლის სამართლის გამოძიებით დამთავრებულიყო (მუხ. 9—13).

სისხლის სამართლის საქმეებში ე. წ. მტკიცებულობის ტვირთსაც თავისებურება აქვს. ზოგიერთი ასეთი საქმე, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთის საფუძველზე წყდება. ასეთია, მაგ., გაძარცული კაცის «ღვთის წინაშე ფიცი» ან მრუშობაში ბრალდებული ცოლის მიერ «ღმერთის დაფიცება».

სამურაბის კანონებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტყუილი ბრალდების წინააღმდეგ ბრძოლას (მუხ. 1—4), იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს ბრალდებას, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასჯელის ძირითად საფუძველს. ეს გარემოება შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების მეხუთე თავისებურებად.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს მეტად დამახასიათებელი სისხლის სასამართლებრივი წარმოების პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს ხაშურაბის კანონები მოსამართლის მიერ ბეჭედდასაშუღ სასამართლო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გამო. დამნაშავე მოსამართლე არა მარტო იხდის ამ სასამართლო საქმეზე წარდგენილ სასარჩელო თანხას 12-ჯერადი ოდენობით, არამედ იგი ამავე დროს უნდა გადმოაგდონ თავისი სამსჯავრო სავარძლიდან და არ უნდა დაბრუნდეს და არ უნდა ბკობდეს მოსამართლეებთან სასამართლოში.

ზემოაღნიშნული წესებისა და ფორმების დაცვა აუცილებელია სასამართლო-სათვის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. ასეთი საქმეების დაწყება, წარმოება და შედეგი დამოკიდებულია არა მხარეებზე, არამედ სასამართლოზე, რომელიც ვალდებულია გახსნას და დასაჯოს ყოველგვარი ბოროტმოქმედება, რომელიც წარმოადგენს მონათმფლობელური წყობილების საფუძველთა ხელყოფას. ზემოთ ნათქვამი მოწმობს სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ნიშნების არსებობას ბაბილონის საპროცესო სამართალში.

სისხლის სამართლის მთელ რიგ საქმეთა წარმოების წესი შეიცავს თავისებურ მომენტებს, რომლებიც არასისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისათვის დამახასიათებელი არ არის. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ხაზი გავუსვათ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშანს. მაგრამ, ცხადია, ეს არ გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ ხაშურაბის ეპოქაში ბაბილონში არსებობდა ორი დამოუკიდებელი პროცესი—სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესები.

ბ) სამოქალაქო საქმეთა წარმოება. სამოქალაქო (ქონებრივი) და საოჯახო ხასიათის სადავო საქმეებზე ძიების აღძვრის ინიციატივა დაინტერესებულ მხარეს ეკუთვნოდა. სასარჩელო განცხადება ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ მოსარჩელეს შეაქვს მოსამართლესთან, რაც გამოხატულია ფორმულით—«მოსამართლესთან წასვლა». მოსამართლე იხილავს სასარჩელო განცხადების საფუძვლიანობას, იმას, თუ რამდენად კანონიერი და დასაბუთებულია მძიებლის პრეტენზია. უკეთუ მოსამართლე დარწმუნდება, რომ მოსარჩლის მოთხოვნა მოკლებულია საფუძველს, იგი უარს ეუბნება მას საქმის აღძვრაზე. მაგრამ, როცა მოსამართლე მძიებლის მოთხოვნას კანონიერ და საფუძველიან პრეტენზიად მიიჩნევს, მაშინ აძლევს მას საქმის დაწყების უფლებას ასეთი ფორმულ-

ლით: «მოსამართლეებმა მას სასამართლოში წარმოების ნება დართეს». ამის შემდეგ საქმე იხილება სასამართლო კოლეგიაში. მოსარჩლემ თვითონ უნდა მიიყვანოს მოპასუხე სასამართლოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმეს არჩევს მეფის სასამართლო. სასამართლო კოლეგია მხარეებს აგზავნის ტაძრის მოსამართლეებთან, სადაც ისინი ღებულობენ ფიცს და ფიცით ადასტურებენ თავიანთ ჩვენებას.

მოდვე მხარეთა მიერ ფიცით მიცემული ჩვენების, მოწმეთა ჩვენებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და შეფასების შემდეგ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. სათემო სასამართლოში საქმის განხილვის დამთავრებისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუ მოდვე მხარეები გადაწყვეტილების თანახმა არიან, დგება დოკუმენტი მომავალში ამ საქმეზე სარჩელის აღუძვრელობის შესახებ, რომელსაც მხარეებისათვის უკვე საბოლოო და სავალდებულო ძალა აქვს. ზოგჯერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მხარეები ღებულობენ ფიცს: «არ განაცხადონ პრეტენზია» და «არასდროს... არ დაუბრუნდნენ ამ საქმეს და არ უჩივლონ ერთმანეთს სასამართლოში». სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მხარეებისათვის. რაც შეეხება მესამე პირს, მას ყოველთვის შეუძლია აღძრას ე. წ. საჯინდიკაციო სარჩელი, ე. ი. არამფლობელი მესაკუთრის სარჩელი მფლობელი არამესაკუთრის წინააღმდეგ ნივთის მფლობელობიდან ამოღებისა და მესაკუთრეზე მისი გადაცემის შესახებ. უკეთუ მხარეები ან ერთი რომელიმე მხარე (მოსარჩლე ან მოპასუხე) გადაწყვეტილების თანახმა არ არიან, მათ შეუძლიათ მიმართონ ზემდგომ სასამართლო ინსტანციას.

სარჩელის განმეორებით აღძვრისათვის იმ საქმეზე, რომელზეც უკვე შედგა დოკუმენტი სარჩელის აღუძვრელობის შესახებ. მოსარჩლეს უნდა დაედოს სასჯელი, რომელიც მის პატივსა და ქონებას ეხება. ასეთი სასჯელი: როგორც წესი, წინასწარ დათქმული და ჩაწერილი იყო დოკუმენტში. უსაფუძვლო სარჩელისათვის მოსარჩლეს სასჯელს ადებენ ის მოსამართლენი, რომლებმაც მიიღეს და განიხილეს პირველი სასარჩელო განცხადება.

ძველბაბილონური კანონები და იურიდიული დოკუმენტები მკაფიოდ განასხვავებენ მოსარჩლისა და მოპასუხის უფლებრივ მდგომარეობას პროცესში. საქმის სასამართლო წარმოებაში დაშვებულია შეგებებული სარჩელი, მესამე პირთა მოწვევა და პროცესში შესვლა, მხარეთა წარმომადგენლობა, აგრეთვე შეპასუხება სარჩელის ხანდაზმულობით დაფარვაზე. სარჩელის ქარაფშუტულად აღძვრი-

სა, სიკრულისა ან შევიწროებისათვის მოსარჩელე ისჯება. მოპასუხე, თუ იგი თავს არიდებს პროცესს, შეიძლება მოყვანილ იქნეს სასამართლოში იძულებით.

კანონი კრძალავს კრედიტორის თვითნებობას, მაგრამ დასაშვებად მიიჩნევს მოვალის დაკავებას. მოწმეთა წინაშე შეხსენებას ვალთ გადახდის შესახებ, ახსნა-განმარტებების მოთხოვნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულების შესრულების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო საქმეთა წარმოებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური საპროცესო მოპენტების არსებობა.

დამამტკიცებელი საბუთები. როგორც სისხლის სამართლის, ისე არასისხლის სამართლის საქმეებზე დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენდა: ფიცი, მოწმეთა ჩვენებანი, წერილობითი აქტები (დოკუმენტები), ორდალი.

ფიცი. ფიცი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სახეს დამამტკიცებელი საბუთების იმ სისტემისა, რომელსაც «ლეთის მსჯავრი» ეწოდება. ბაბილონელთა წარმოდგენით ფიცი ღვთის განგებაა, მას ღვთაებრივი ძალა აქვს, ფიცი ღვთის სახელით ხდება და მისი ნების აღსრულებაა. ბაბილონის საპროცესო სამართალში ფიცი ითვლებოდა ზთავარ დამამტკიცებელ საბუთად. ფიცის მიღება ხდებოდა საზეიმო ვითარებაში ტაძარში ქურუმების წინაშე. ქალაქ სიფარაში, მაგალითად, ფიცს იღებდნენ მზისა და მართლმსაჯულების ღმერთის—შამაშის ან მისი მეუღლის, მცენარეულობის ქალღმერთის—აიის ტაძარში. როგორც წესი, ფიცულობდნენ თემის (ქალაქის) მფარველ ადგილობრივ ღვთაებას, მთელი ბაბილონის მფარველ ღმერთს—მარდუქს და ბაბილონის მმართველი მეფის სახელს. ქალაქ ეშუნის მფარველი ღვთაება იყო ტიშფაკი, ხოლო ქალაქ ბორსიფას ღვთაება—ტუტუ, რომელიც მარდუქის შვილად ითვლებოდა. ყოველ ქალაქს (თემს) თავისი მფარველი ღმერთი ჰყავდა. ქალაქ ბაბილონში ფიცს იღებდნენ ბაბილონის მფარველი ღმერთის ტაძარში—ე-საგილაში და მზისა და მართლმსაჯულების ღმერთის შამაშის ტაძარში—ე-ბარში. ჩვეულებრივად ფიცს მაშინ მიმართავდნენ, როცა ბრალდებულის მიმართ სხვა რამ დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობდა. წარდგენილი ბრალდებისა და საქმის გარემოების მიხედვით ფიცს ღებულობდა არა მარტო ბრალდებული ან ეკვმიტანილი პირი, არამედ დაზარალებულიც, ე. ი. ორივე მოდავე მხარე. აგრეთვე მათი მოწმეებიც.

ყოველ ფიცს, სადავო საქმის შინაარსის მიხედვით, თავისი ფორმულა ჰქონდა. სწორად და მართებულად წარმოთქმული ფიცი ათავისუფლებდა ბრალდებულს როგორც სისხლის სამართლის, ისე ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან. ფიცს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, ბაბილონის სამართალი იცნობს ხამურაბამდე დიდი ხნით ადრე. ფიცი გათვალისწინებულია როგორც შუმერული კანონების ფრაგმენტში, ისე აგრეთვე ეშნურის მეფის ბილალამის კანონებშიც (მუხ. 37): მოპასუხემ «ტიფიჯაქის კარებთან უნდა დაიფიცოს ღმერთთა და თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. ხამურაბის კანონებით მრუშობაში ბრალდებულმა ქმრიანმა ქალმა უნდა დაიფიცოს ღმერთთა და ის თავისუფალია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან; თუ დაქირავებულ ხარს მეხი განგმირავს, დამქირავებელმა აუნდა დაიფიცოს ღმერთთა და იგი თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან. ეს წესი ვრცელდება მწყემსზედაც, რომელსაც ბაქში მეხის დაცემის გამო გაუწყდა პირუტყვი, ამწყემსმა ღვთის წინაშე უნდა დაიფიცოსა და საქონლის პატრონმა უნდა აპატიოს მას პირუტყვის გაწყდომა. მოპასუხის (მწყემსი, ხარის დამქირავებელი) განთავისუფლება ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან ამ შემთხვევაში საფუძვლად უდევს ის, რომ ზიანი მოხდა და უძლეველი ძალის (მეხის დაცემის) გამო.

საქმის შინაარსის მიხედვით სასამართლომ პროცესის მსვლელობის დროს შეიძლება დაინიშნოს ე. წ. გამწმენდი ფიცთა, რომელიც ათავისუფლებს სამართალში მიცემულს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. თუ ასეთი ფიცი დაინიშნებოდა, მას სავალდებულო ხასიათი ჰქონდა საქმის მონაწილისათვის. ფიცის მიღება ხდებოდა რომელიმე ღვთაების გამოსახულებაზე ხელდადებულად.

ფიცს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, დიდი ძალა აქვს. ზოგჯერ მთელი მტკიცებულობა მარტოდენ ფიცს ეყრდნობა, ისიც ერთი მხარის—მხოლოდ დაზარალებულის ფიცით ჩვენებას. თუ მმართველი შეპყრობილი არ იქნება, «გამძარცულ შუა-კაცმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი», რაც მას წაართვის, და თემმა და რაბიანუმმა უნდა აღნაზღაურონ მას ნაძარცი ქონება. ამრიგად, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაქირება თემზე ხდება მხოლოდ დაზარალებულის ფიცის საფუძველზე. შესანახად მიბარებულ ხორბალზე რომ უარი თქვას მან, ვინც

ივი შესანახად პიიბარა, ხორბლის პატრონმა «ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს» თავისი ხორბლის ოდენობა და უარისმთქმელმა ორმაგად უნდა აუნაზღაუროს მას ხორბალი. უკეთუ წყალალმა მიწავალი გემი დაეჯახება წყალდაღმა მიწავალ გემს და ჩაძირავს მას. დაღუპული გემის პატრონმა «ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი, რაც დაიღუპა მის გეზე». და წყალალმა მიწავალმა გემმა უკლებლივ უნდა აუნაზღაუროს დაღუპული ქონება. აქაც მოპასუხის ქონებრივი პასუხის-ნებლობის მოცულობა და ოდენობა მთლიანად დაზარალებულის ფიცით მიცემულ ჩვენებაზე დაფუძნებული.

მაგრამ, მეორე მხრივ, სასტიკად ისჯება ცრუ ფიცი, რაც აძლიერებს რწმენას ფიცის დამაჯერებლობასა და ნამდვილობაში. ვინც ფიცით ბრალს დასდებს სხვას მკვლელობაში, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ავას, ის სიკვდილით ისჯება. ვინც თავის მეზობლებს ცილს დასწანებს ქურდობაში, მისმა «მეზობელმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა ამხილოს იგი მასში, რომ მას არაფერი არ დაკარგვია» და ცილისმწამებელი ვალდებულია ორმაგად აანაზღაუროს ის, რაზედაც პრეტენზიას აცხადებდა. სამკეცი საზღაური უნდა გადაუხადოს შამალუმმა თავის თამქარს იმ ვერცხლში, რომელიც მან მიიღო თამქარისაგან და შემდგომ უარყო. მაგრამ კანონი მოითხოვს, რომ «თამქარმა უნდა ამხილოს შამალუმი «ღვთისა და მოწმეთა წინაშე ვერცხლის მიღებაში». ფიცი გამოყენებულია ყიდვა-გაყიდვის, ამხანაგობის და სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დროს. ამხანაგობის ხელშეკრულების დროს მოგებიანა და ზარალის განაწილება ხელშეკრულების მონაწილეებს შორის ხდება «თანაბრად ღმერთთა წინაშე». გაყიდული მონის საკუთრების უფლებაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში «მყიდველმა ღვთის წინაშე უნდა აღნიშნოს ვერცხლი», ე. ი. განსაზღვროს მონის ნაყიდობის ფასი, მის მიერ მონაში გადახდილი თანხა.

ამრიგად, ფიცი ძველბაბილონურ სამართალში დიდი დამამტკიცებელი ძალის მქონე საბუთია, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული სასამართლო წარმოებაში როგორც სისხლის სამართლის, ისე არასისხლის სამართლის საქმეებზე.

მოწმეთა ჩვენებანი. მოწმეთა ჩვენებანი ბაბილონის საპროცესო სამართალში გამოყენებულია სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე. სასამართლოში მოწმე შეიძლება გამოვიდეს «დანაშაულის დასამოწმებლად». უკეთუ იგი მოწმედ გამოდის

მკვლელობის საქმეზე და ყვერ დაამტკიცებს თავის ნათქვამ სიტყვებსა, მას უნდა შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ცრუმოწმეს ედება ის სასჯელი, რაც გათვალისწინებულია განზრახ მკვლელობისათვის. მოწმემ უნდა დაამტკიცოს თავისი ნათქვამი სიტყვები; თუ ვერ დაამტკიცებს, მაშინ კანონი მოითხოვს, რომ მას უნდა დაედოს ისეთი სასჯელი, როგორც გათვალისწინებულია ასეთ სასამართლო საქმეზე, იქნება ეს მკვლელობა, თუ სხვა დანაშაული. მოწმის მიერ წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენების მიცემა ან დანაშაულის დასამოწმებლად სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ნათქვამი სიტყვების დაუმტკიცებლობა ისჯება დანაშაულის სიმძიმისა და მისთვის გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიხედვით.

დაკარგული ნივთის საკუთრების უფლებაზე სავინდიკაციო სარჩელით წარმოშობილი დავის დროს მოწმეთა ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დამამტკიცებელი საბუთის ძალა აქვს. დავა ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ წყდება ორივე მოდავე მხარის მოწმეთა მოყვანითა და ჩვენებით სასამართლოში. დაკარგული ნივთის პატრონმა უნდა მოიყვანოს მოწმეები, რომლებიც იცნობენ მის დაკარგულ ნივთსა, ხოლო ნივთის მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი და მოწმეები, რომელთა დასწრებით იყიდა მანა.

უწინარეს ყოვლისა, საქირთა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სასამართლოში მოწმეთა მიყვანა წარმოადგენს ორივე მხარის — მოპასუხისა და მოსარჩელის მოვალეობას. მაქიებელიც და მოპასუხეც ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლოში თავიანთი მოწმეების გამოცხადება. ამ მოვალეობას სასამართლო არ კისრულობს, ეს დაინტერესებულ მხარეთა საქმეა. შემდგომ, მყიდველმა უნდა მიიყვანოს სასამართლოში მოწმეები, რომელთა დასწრებით მან იყიდა ნივთი. ამ შემთხვევაში მოწმემ ფიცით უნდა აჩვენოს, რომ ნივთის შესყიდვა მოხდა მისი დასწრებით. ნივთის პატრონმა კი ფიცით ჩვენება უნდა მიაცემინოს სასამართლოში იმ მოწმეებს, რომლებიც იცნობენ მის ნივთს. დასწრება და ცნობა განსხვავებული მომენტებია. მოწმე შეიძლება იცნობდეს ნივთს, მაგრამ არ ესწრებოდეს მის გაყიდვას. დასწრება გულისხმობს, რომ მოწმე არის ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის (ყიდვა-გაყიდვა, მიბარება და სხვ.) პირადად მნახველი და მოწმე, რომ მან საკუთარი თვალთ ნახა ნივთი და პირადად დაესწრო ხელშეკრულების დადებას.

მოწმეთა ძირითადი პროცესუალური მოვალეობა ის არის, რომ აღვთის წინაშე უნდა თქვან ის, რაც მათ იცინან. ღვთის წინაშე თქმა ნიშნავს ფიცით ჩვენების მიცემას, ფიცით დამოწმებას ამა თუ იმ ფაქტისა. მამასადამე, ფიცი მოწმისათვისაც აუცილებელი პროცესუალური მოპენტიია. ფიცი აძლევს მტკიცებულობის ძალას მოწმის ჩვენებას. მოწმემ უნდა თქვას ის, რაც თვითონ იცის. ყურმოკრული ამბავი არ გამოდგება მოწმის ჩვენების საფუძვლად სასამართლოში.

მოწმეების წინასწარ მოლაპარაკებასა და შეთანხმებას რომ არ ექნეს ადვილი, ხამურაბი ერთ-ერთ თავის წერილში ბრძანებს: სასამართლოში მოწმეები გაგზავნილი იქნენ არა ყველა ერთად, არამედ თვითიული ცალ-ცალკე.

საქმის გარემოებათა სირთულისა და მოწმეთა ადგილსამყოფელის მიხედვით ზოგიერთ საქმეზე კანონი უფლებას აძლევს სასამართლოს დაუნიშნოს მხარეებს მოწმეთა მოყვანის ვადა რთვის გასვლაძდე. რომელი მხარეც მეექვსე თვეზე თავის მოწმეებს ვერ მოიყვანა, ის მატყუარაა და მას უნდა დაედოს ისეთი სასჯელი, როგორც გათვალისწინებულია ასეთ სასამართლო საქმეზე. რთვე მაქსიმალური ვადაა მოწმეების სასამართლოში მოყვანისათვის და ისიც იმ შემთხვევაში, როცა «მოწმეები ახლოს არ იმყოფებიან».

მოწმეთა ჩვენება ფართოდ არის გამოყენებული ვალდებულებითი სამართლის დარგშიც. სახელმეკრულებო ურთიერთობათა გაფორმება, მთელ რიგ სამოქალაქო საქმეებზე გარიგებების დადება მოწმეთა დასწრებით ხდება. ყიდვა-გაყიდვის ზოგიერთი ხელმეკრულების დადება «უმოწმებოდა» არ შეიძლება. არც მინაბარის ხელმეკრულების დადება შეიძლება მოწმეების გარეშე. მოწმეები აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ შესანახად მისაბარებელი ნივთების გადაცემას. ვინც შესანახად აბარებს ვერცხლს, ოქროს ან სხვა რაქსს. მან უნდა წარუდგინოს მოწმეებს ყველაფერი, რასაც კი აბარებს, დადოს ხელმეკრულება და შეუძლია მისცეს შესანახად. მაგრამ თუ შესანახად მიაბარებს რაქსს მოწმეთა დასწრების გარეშე, ნივთის დაბრუნებაზე უარისთქმის შემთხვევაში მას არ შეუძლია სარჩელის აღძვრა, ნივთის სასამართლო წესით მოთხოვნა, ე. ი. ნივთის მესაკუთრე კარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას. იმ შემთხვევაში კი, როცა ნივთი მიბარებულია შესანახად «უმოწმეთა დასწრებით», და ის, ვინც ნივთი მიბარა შესანახად, უარს ეუბნება ნივთის პატრონს ნივთის დაბრუნებაზე, მან ორმაგად უნდა აუნაზღაუროს ყველაფერი ნივთის პატრონს.

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა (ვალის გადახდა) შესრულება მოწმეთა დასწრებით უნდა გაფორმდეს. თუ ვინმე თავს პურს ან ვერცხლს გამოართმევს სესხად და ვალის გადახდის დროს მას არ ექნება პური ან ვერცხლი, მას შეუძლია ვალის გადახდა სხვა მოძრავი ქონებით, მაგრამ აუცილებლად «მოწმეთა დასწრებით». ასევე აუცილებელია მოწმეთა მონაწილეობა მინდობილობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისა და სხვა გარიგებთა დადების დროს.

წერილობითი აქტები. როგორც ითქვა, შეამინარეთში ფართოდ იყო შემოღებული სხვადასხვა ხელშეკრულებათა და გარიგებათა წერილობითი გაფორმება. მთელი რიგი ხელშეკრულებები აუცილებლად წერილობითი სახით უნდა ყოფილიყო შედგენილი. ყიდვა-გაყიდვის, სესხის, ქირავნობის, მინაბარის, მინდობილობის, იჯარისა და სხვა გარიგებანი აუცილებლად წერილობით, ე. ი. «ხელშეკრულებით» უნდა დაიდოს. «ხელშეკრულებათა» ნიშნავს წერილობით გაფორმებულ და ბეჭედდასმულ საბუთს, აქტს, დოკუმენტს. უკეთეს გარიგებები «უხელშეკრულებოდა», ე. ი. არა წერილობით, არამედ სიტყვიერად ჩვენბოდა დადებული, მაშინ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დამრღვევი მხარის პასუხისმგებლობასაც არ იწვევდა. გარიგება დადებული უნდა იყოს «ხელშეკრულებით», ე. ი. წერილობით.

ემსუხნის მეფის ბილაღაის კანონები ადგენს: უკეთეს ვინმე ცოლად შეირთავს კაცის ასულს მისი დედ-მამის უნებართვოდ და «არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას» მის მშობლებთან, ქალმა თუნდაც რომ ერთი წელი იცხოვროს კაცის სახლში, იგი ცოლად არ ითვლება. «წერილობითი ხელშეკრულებათა» არის ის დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ქორწინებას კანონიერ იურიდიულ ფაქტად აღიარებს. ამავე წესს აკანონებს ხამურაბის კანონების 128-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: რომ თუ ვინმე ცოლს შეირთავს და «არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა».

ინინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები ითვალისწინებს უპატრონოდ მიტოვებული სახლის პატრონის ქონებრივ პასუხისმგებლობას ქურდობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახლის პატრონი თავის მეზობლის მიერ გაფრთხილებული იყო წერილობით, ე. ი. «ხელშეკრულებათა დადებულო იყო» იმის შესახებ, რომ სახლის პატრონი გაემაგრებია სახლი, რათა ქურდი არ შესულიყო მეზობლის სახლში.

დაამტკიცებელი საბუთი იყო აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება. რომელიც ხაშურაბის კანონების მიხედვით «ბეკედ-დასმულ საბუთსა წარმოადგენდა და მასში ცვლილების შეტანა არ შეიძლებოდა. სასამართლოს გადაწყვეტილება თიხის ფირფიტაზე იწერებოდა, ფირფიტას აშრობდნენ და ინახავდნენ თიხის კონვერტში. ამგვარად იწერებოდა და ინახებოდა სასამართლოს ოქმები და კერძოუფლებრივი აქტებიც. ხელშეკრულება, რომელიც დადებულა კანონსაწინააღმდეგოდ, ბათილია. თიხის ფირფიტა, რომელზედაც ასეთი გარიგების ტექსტია დაწერილი, უნდა დაიშხვრეს — ბეკედულა უნდა დაიბტვრეს». ყველა «ხელშეკრულება», ანუ წერილობითი აქტი უნდა იყოს შემოწმებული, ბეკედ-დასმული. მხოლოდ მაშინ აქვს მათ იურიდიული ძალა და მნიშვნელობა. ხაშურაბის კანონების მთელი რიგი მუხლები ითვალისწინებს ასეთი ბეკედდასმული საბუთების შედგენის აუცილებლობას. ეს აუცილებლობა და საბუთის სავალდებულო ძალა გამოხატულია ფორმულებით: «დაუწეროს ბეკედდასმული საბუთი», «აიღოს ბეკედდასმული საბუთი», «ჩაუწეროს მისთვის დაწერილ საბუთში», «გაპოუყოს საბუთის მეშვეობით», «თანახმად თავისი საბუთისა», «დაუწეროს დამატებითი საბუთი», «მისცეს საბუთი», «გამოართვან საბუთი» და სხვ.

ორდალი. ორდალი, ანუ სასამართლო გამოცდა წარმოადგენს ღვთის მსჯავრის ერთ-ერთ სახეობას. ისტორიულად ცნობილია ორდალის რამდენიმე სახე. ხაშურაბის სამართალი იცნობს ორდალის მხოლოდ ერთ სახეს—მდინარე წყლის ორდალს. არსებობდა თუ არა ბაბილონში მდულარე წყლის ორდალიც, ანუ მდულრით გამოცდა, ამის შესახებ ცნობები არ არის. სამართლის წიგნი ითვალისწინებს მდინარე წყლით გამოცდას ორ შემთხვევაში. უკეთეს ვინმე ბრალს დასდებს კაცს ჯადოსნობაში, მაგრამ კერ დაამტკიცებს ამას, მაშინ ბრალდებული «უნდა წავიდეს მდინარესთან და გადავარდეს მასში». თუ მას «მდინარე დაეუფლებს», ე. ი. ბრალდებული მდინარეში ჩაიძირება, იგი დამნაშავეა და უნდა მოკვდეს. ხოლო თუ ბრალდებულს «მდინარე გაწმენდა», ე. ი. მდინარე ამოატივტივებს მას ზედაპირზე, მაშინ ის უდანაშაულოა და, ვინც მას ბრალი დასდო ჯადოსნობაში, ის უნდა მოკლან. მეორე შემთხვევა ეხება ქმრიანი ქალის ბრალდებას მრუშობაში; თუ ქალი არ ყოფილა წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, მაშინ ბრალდებისაგან გაწმენდის მიზნით «თავისი ქმრისათვის ის უნდა გადავარდეს მდინარეში». წყალს,

როგორც წმიდა სტრიქონს, ბაბილონელები მიაწერდნენ დამნაშავეის მხილებისა და უდანაშაულო კაცის გამართლების უნარს.

როგორც ცნობილია, დასაველეთისა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ძველ დროსა და შუა საუკუნეებში წყლით გამოცდით ექვემდებარებოდა პირის ბრალეულობის დადგენა საწინააღმდეგო წესით ხდებოდა. თუ ბრალდებული წყალში ჩაიძირებოდა, იკი უდანაშაულო იყო.

საქმის სამსჯავრო განხილვის ძირითადი მომენტები ასახული უნდა ყოფილიყო სასამართლოს ოქმში. ასეთი მომენტებია: მოდავე მხარეთა ჩვენება, მათი ფიცი, სასამართლოს განაჩენის ასლი, მოწმეთა ვინაობა. პროცესი მთავრდებოდა განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანით.

სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხშირად წარმოებს თვით მოდავე მხარეების მიერ (2,9, 53—54). აღსრულების ეს წესი ეხება დადგენილებებს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. კრედიტორს ან დაზარალებულს შეეძლო მოვალის დროებით დაკავება და მისი სასამართლოში წარდგენა. სასამართლოს გადაწყვეტილებები ზოგჯერ სისრულეში მოჰყავდა თანამდებობის პირს, რომელიც მცველის ფუნქციას ასრულებდა¹.

¹ Я. М. Мазаниер, Старовавилонские законы (комментарий), «Вестник древней истории», 1952 г. № 3, стр. 299—303.

რედაქციისთვის

გეგმის ისტორია

ბაბილონის, ასირიისა და ხეთების კანონთა ქართულ თარგმანს საფუძვლად უდევს „Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства“, რომელიც ი. მ. დიაკონოვმა გამოაქვეყნა ჟურნალში «Вестник древней истории» № 3 და № 4, 1952 წელს. ბაბილონისა და ასირიის კანონთა რუსული თარგმანი ეკუთვნის ი. მ. დიაკონოვს, ხოლო ხეთების კანონებისა — ი. მ. დუნაევსკაიას.

ტექსტები წარმოდგენილია სამ ნაწილად.

პირველ ნაწილში მოცემულია ბაბილონის კანონები, რომლებიც შეიცავენ შუმერულ, ეშუნის მეფის ბილაღამის, ისინის მეფის ლიფიტ-იმთარის და ბაბილონის მეფის სამურაბის კანონებს. აქვე მოცემულია ასაღ-ბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული, რომელიც წარმოადგენს სასამართლო კანონების ჩანაწერს.

შუმერული კანონების მუსლების ნომერაცია პირობითია, რადგან ტექსტი შემორჩენილია კანონთა მსოლოდ შუა ნაწილიდან. ბილაღამის კანონების მე-60 და 61-ე მუსლის ტექსტი დაკარგულია. ლიფიტ-იმთარის კანონთა მუსლების ნომერაციაც პირობითია, — დასაწყისში აკლია სულ ცოტა 20—30 მუსლი; მე-19, 20 და 23-ე მუსლებიდან შემორჩენილია მსოლოდ ცალკეული სიტყვები. სხვა მეტლებთან შედარებით ნაკლებად დაზიანებულია სამურაბის კანონები, მაგრამ კანონთა ტექსტს 21 მუსლი მაინც აკლია (67—70, 72—77, 79—88, 98).

მეორე ნაწილი შეიცავს ასირიის კანონებს, რომელიც წარმოდგენილია ასირიის სავაჭრო კოლონიის წესდებისა და შუა ასირიის კანონების I, II, III ტაბულისა და IX ფრაგმენტის სახით. I ტაბულის მე-5, 6 და 8 მუსლებს შორის დიდი ხარვეზია, დაუდგენელია რამდენი მუსლი აკლია; მე-16 მუსლი მთლიანად დაკარგულია, ხოლო მე-11 მუსლიდან შემორჩენილია ცალკეული სიტყვები. II ტაბულიდან ჩვენამდე მოაღწია მთელი ტაბულის მსოლოდ მცირე ფრაგმენტმა, რომლის მე-5, 6 და 7 მუსლებში რამდენიმე სიტყვაა გადაჩენილი. III ტაბულის მე-11, 54-ე და 57-ე მუსლებიდანაც.

ცალკეული სიტყვებია შემონახული; 48-ე მუსლს აკლია ბოლო, ხოლო 49-ე მუსლს—დასაწყისი. კანონთა IV, V, VI, VII და VIII ფრაგმენტებიდან შემორჩენილია ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული წინადადებები და სიტყვები, რომელთა თარგმნა მიზანშეწონილად არ მივიჩნით.

მესამე ნაწილი შედგება ხეთების მეფის ტელეფინის კანონისა და ხეთების კანონთა I, II და III ტაბულისაგან. ტელეფინის კანონის 34—48 მუსლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები; I ტაბულის 26-ე მუსლიდან კი—ორიოდე სიტყვა. II ტაბულის 133—141 მუსლები მთლიანად დაკარგულია, ხოლო 144—146 და 183—184 მუსლებიდან შემორჩენილია ცალკეული სიტყვები; III ტაბულის 18—33 მუსლებიდანაც მხოლოდ ცალკეული სიტყვებია შემონახული.

კანონთა ტექსტებში სხვა უფრო მცირე მნიშვნელობის ხარვეზებიც არის, რაც მითითებულია სათანადო ადგილას. ტექსტის უოველგვარი ხარვეზი აღნიშნულია წერტილებით, რაც ერთი ან რამდენიმე სიტყვის, სტრიქონის, წინადადების, მუსლის და ზოგჯერ მთელი გვერდების დანაკლისს ნიშნავს.

რუსულ თარგმანში კავებში ჩასმული სიტყვები და ასოები ქართულად გადმოცემულია კავების გარეშე. ასევე არ შეგვიჩინარჩუნებია კითხვის ნიშანი (?), რომელიც რუსულში დასმული აქვს არასაიმედოდ თარგმნილ სიტყვებს.

ტექსტებში ბევრი ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილია. ჩვენ ვერიგებოდით განმარტებით თარგმანს და შემდეგისდაკვარად ვცდილობდით დაგვეცვა სიტყვასიტყვით თარგმანი, რადგან საზოგადოდ ცნობილია, რომ კანონი თავისი ლაკონური ფორმულების გამო ვერ ითმენს განვრცობილ თარგმანს, თანაც ძველი ტექსტის თანამედროვე ქართულით გამართვა უოველთვის არ ხერხდება.

ქართულს არ უნდება ბევრი ნაცვალსახელი, იგი მეტად ამძიმებს წინადადებას, მაგრამ ჩვენ რუსული თარგმანის მიხედვით მაინც მოგვიხდა ნაცვალსახელთა ჭარბად გამოყენება, რამაც საგრძნობლად დაამძიმა ტექსტი. მიუხედავად ამისა ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი საზოგადოება მიიღებს სანდოდ თარგმნილსა და გამართულ კანონთა ტექსტებს.

გამოჩენილი ასირიოლოგები და ხეთოლოგები დღემდე ვერ შეთანხმებულან აქ წარმოდგენილი კანონმდებლობის ზოგიერთი ბუნდოვანი მუსლის, ადგილისა და ტერმინების გაგებაში. ამიტომ, ვფიქრობთ, ქართული მკითხველი არ გვისაყვედურებს იმას, რომ წინამდებარე გამოცემა მიზნად არ ისახავს მიაწოდოს მეცნიერულ საზოგადოებრიობას

კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. მით უმეტეს, რომ ასეთი ცდა ჩვენს მაღას აღემატება.

კანონთა ქართულ გამოცემას მხოლოდ სასწავლო დანიშნულება აქვს. იგი განკუთვნილია უნივერსიტეტის იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტთა დაშვარე სახელმძღვანელოდ.

«ასურეთი» და «ასურელი», როგორც ქვეყნისა და ხალხის სახელწოდება, ქართულში ბევლთაგანვე დამკვიდრებულია, მაგრამ ჩვენ მაინც ვამჯობინეთ მათი გადმოცემა აშკამად გავრცელებული ტერმინებით—«ასირია» და «ასირიელი».

ვევლა საკანონმდებლო შეგლი, გარდა ხამურაბის კანონებისა, პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. ხამურაბის კანონები გამოიცა ქართულად ლითოგრაფიული წესით 1934 წელს პროფ. ალ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით. ქართული თარგმანი შესრულებული იყო ი. მ. კოლკოკის რუსული (1914 წ.) გამოცემის მიხედვით, რომელიც აშკამად მოძველებულად ითვლება.

ბაბილონის კანონები

შემაჯავლი კანონების უკანაგვენი¹

1². უკეთუ ვინმე ხელს ჰკრავს³ კაცის ასულს და მუცელს მოუშლის, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

2. უკეთუ ვინმე დაარტყამს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის, უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

3. უკეთუ ვინმე მისთვის მითითებულ გზას გადაუხვევს და გემს დალუპავს, მან, თვით გემის ფასის გარდა, პატრონს უნდა მისცეს გემის ქირა . . .⁴

4. უკეთუ უმცროსი⁵ ვაგი თავის მამას და თავის დედას ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი მამა, შენ არა ხარ ჩემი დედაო», მან უნდა დატოვოს სახლი, სახნავ-სთვისი, ბაღი, ყველა მონა და ქონება, ხოლო თვით ეს უმცროსი უნდა გაიციეს მის სრულ ფასად. თუ მამამისი და დედამისი ეტყვიან მას: «შენ არ ხარ ჩვენი შვილიო», მან უნდა დატოვოს . . . სახლი.

5. უკეთუ მამამისი და დედამისი ეტყვიან: «შენ არა ხარ ჩვენი შვილიო», მან უნდა დატოვოს კედლები და სოფელი.

6. უკეთუ ვინმე სახლიდან ქუჩაში გაიყვანს კაცის ასულს მისი მამისა და დედის დაუკითხავად, მან მის დედასა და მამას უნდა უთხრას . . . და მამამისი და დედამისი გაატანენ მას მუხლზედ.

7. უკეთუ ვინმე სახლიდან ქუჩაში გაიყვანს კაცის ასულს მისი მამისა და მისი დედის ნებართვით, მან, ვინც ის გაიყვანა სახლიდან, უნდა დაიფიცოს ღმერთი: «მან იცოდა, ის დამნაშავეა».

8. თუ ბაკში ლომი ხარს შესჰამს, ხარის ღირებულება მის პატრონს უნდა ჩაეთვალოს ზარალში.

9. თუ ბაკში ხარი ხარს მოკლავს, ხარი ხარში.

¹ ნაწილი დიდი ლურსმული ტაბულისა, ლარსის სამეფოს (ქ. ჟრუჭი) კანონ-მდებლობა, რომელიც შედგენილი უნდა იყოს XX საუკ. ჩვენს ერამდე.

² ნომერაცია პირობითია, ტექსტი შემორჩენილია მხოლოდ კანონთა შუა ნაწილიდან.

³ არაწინასწარი განზრახვით.

⁴ წერილებით ყველგან აღნიშნულია ტექსტის ხარვეზი.

⁵ სიტყვისიტყვით «სუსტი», «დაბალი».

შემაჯავრობის სარეგისტრაციო აქტები¹

აწ და მარადის.

1. უკეთეს ვაჟიშვილი² თავის მამას ეტყვის³: «შენ არა ხარ ჩემი მამაო, ის უნდა გაპარსონ, დაასვან მონობის ნიშანი⁴, აგრეთვე მისცენ ვერცხლში.

2. უკეთეს ვაჟიშვილი თავის დედას ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი დედაო, მას უნდა გაპარსონ საფეთქლები და გააძევეთ იგი თემიდან, აგრეთვე გაიყვანონ საოჯახო მეურნეობიდან⁵.

3. უკეთეს მამა თავის ვაჟიშვილს ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი შვილიო, მამა ჰკარგავს სახლს და კედლებს.

4. უკეთეს დედა თავის ვაჟიშვილს ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი შვილიო, დედა ჰკარგავს სახლს და განძეულობას.

5. უკეთეს ცოლი თავის ქმარს შეიძულებს და ეტყვის: «შენ არ ხარ ჩემი ქმარიო, ის უნდა გადააგდონ მდინარეში⁶.

6. უკეთეს ქმარი თავის ცოლს ეტყვის: «შენ არა ხარ ჩემი ცოლიო, მან უნდა მიუწონოს $1/2$ მინა ვერცხლი.

7. უკეთეს კაცი დაიქირავებს მონას და იგი მოკვდება, გაიქცევა, დაიკარგება, თავს აარიდებს ან ავად გახდება, მან⁷ უნდა მიუწყას⁸ მარცვლეული, მისი ქირა, თვითნებულ დღეზე შეპირებულის ნახევარი.

¹ ძველი შედგენილია, ალბათ, XX საუკუნეში ჩვენს ერამდე; იგი უნდა ასახედეს ლარსის სამეფოს იურიდიულ პრაქტიკას. ტექსტი ამოღებულია იურისტებისათვის განკუთვნილი შემერული ენის სახელმძღვანელოდან, რომელიც შეიცავს ლექსიკონს, გრამატიკული ფორმების ნუსხას, იურიდიულ ფორმულებს და იურიდიული შინაარსის ტექსტების ცალკეულ ნიმუშებს.

² მხედველობაშია, ალბათ, ნაშვილებიც.

³ მოწმეთა წინაშე.

⁴ გმრ-რა; შდრ. ბილაღამა—51,52; ხამურაბი—127, 146, 226, 227.

⁵ ე. ი. გააგდონ სახლიდან.

⁶ დოკუმენტებში იხსენიება ქირვეული ცოლის სხვა სასჯელიც — კოშკიდან გადაგდება.

⁷ ე. ი. დამქირავებელმა.

⁸ მონის პატრონს.

ეშენის მუხის ბილაჲის კანონები¹

დადგენილია . . . თვის დღესა 21-სა, . . . წელს იმ დრო-
იდან, რაც ბილაჲამაჲ, კირიკირის შვილმა, მიიღო ეშენის²
სამეფო ხელისუფლება და ქანდაკება თავის მამის სახლში . . . ქა-
ლაქი სუფურ-შამაში . . . მდინარე ტიგროსი,—წელი, წოდე-
ბული „მოიტანა მმლაერი საჭურველი“³.

1.

1 ქურუ ქერი	1 სიკლი ვერცხლი ⁴
3 კა საუკეთესო მცენარეული ზეთი	1 სიკლი ვერცხლი
1 სუთუ და 2 კა ქუნჯუთის ზეთი	1 სიკლი ვერცხლი
1 სუთუ და 5 კა ლორის ქონი	1 სიკლი ვერცხლი
4 სუთუ „მდინარის“ ზეთი	1 სიკლი ვერცხლი
6 მინა მატყლი	1 სიკლი ვერცხლი
2 ქურუ მარილი	1 სიკლი ვერცხლი
1 ქურუ . . .	1 სიკლი ვერცხლი
3 მინა სპილენძი	1 სიკლი ვერცხლი
2 მინა გაწმენდილი სპილენძი	1 სიკლი ვერცხლი

2.

- 1 კა შერჩეული ქუნჯუთის ზეთის ფასია 3 სუთუ ქერი.
- 1 კა შერჩეული ლორის ქონის ფასია 2 სუთუ და 5 კა ქერი..
- 1 კა შერჩეული „მდინარის“ ზეთის ფასია 7 კა ქერი.

¹ შედგ. XX ს. შუა წლებში. შემონახულია ორი ნუსხით თიხის ტაბულელებზე.
² ეშენა—ქალაქი ბაბილონის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაში.
³ III ათასეულის დასასრულიდან შუამდინარეთში წლები აღინიშნებოდა-
 წინამავალი წლების მნიშვნელოვანი მოვლენების მიხედვით.
⁴ აქ (1 და 2 მუხლში) განსაზღვრულია გასაყიდი ფასები.

3. ურმის ქირაა ხარებიტა და მეურმეებით 1 მასიქთუ და 4 სუთუ ქერი; უკეთუ ვერცხლით, მისი ქირაა $\frac{1}{3}$ სიკლი; მას შეუძლია გამოიყენოს იგი მთელი დღე.

4. ნავის ქირაა მოცულობის თვითეულ 1 ქურუზე 2 კა, აგრეთვე მეზომალდის ქირაა მასიქთუ და 4 სუთუ; მას შეუძლია გამოიყენოს იგი მთელი დღე.

5. უკეთუ მეზომალდე დაუდევარი იქნება და ნავს ჩაძირავს, მან უნდა შეავსოს რამდენიც ჩაძირა.

6. უკეთუ კაცი სხვის ნავს წაიყვანს, მან უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

7. 2 სუთუ ქერი მომკელის ქირაა; უკეთუ ვერცხლით, მისი ქირაა 12 უთუთუ.

8. ერთი სუთუ ქერი გამნიავებლის ქირაა.

9. უკეთუ კაცი მკისათვის დაქირავებულს მისცემს 1 სიკლ ვერცხლს, თუ იგი არ აღმოუჩენს დახმარებას და სულაც არ მოუშვებს სამკალს, მან უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი. მან უნდა მიიღოს ქირის სახით 1 სუთუ და 5 კა ქერი და წავიდეს, აგრეთვე დააბრუნოს მიღებული ქერი, ზეთი და ტანისამოსი.

10. 1 სუთუ ქერი ვირის ქირაა, აგრეთვე 1 სუთუ ქერი მისი მეხრის ქირაა; მას შეუძლია გამოიყენოს იგი მთელი დღე.

11. დაქირავებულის ქირაა 1 სიკლი ვერცხლი; მისი გამოკვება— 1 შე ვერცხლი. იგი უნდა ასრულებდეს სამსახურს¹ ერთ თვეს.

12. კაცმა, რომელსაც მუშქენუმის² ყანაში დაიქვრენ დღისით შესვენებისას, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი; ის, ვისაც დაიქვრენ ღამით უნდა მოკვდეს; ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი.

13. კაცმა, რომელსაც მუშქენუმის სახლში, თვით სახლში, დაიქვრენ დღისით შესვენებისას, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი; ის, ვისაც ღამით დაიქვრენ სახლში, უნდა მოკვდეს: ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი.

14. . . . ქირა: უკეთუ იგი მოიტანს 5 სიკლ ვერცხლს,— მისი ქირაა 1 სიკლი; უკეთუ ის მოიტანს 10 სიკლ ვერცხლს,— მისი ქირაა 2 სიკლი.

15. თამქარმა³ ან მიკიტანმა ქალმა მონის ან მხველის ხელიდან არ უნდა მიიღოს ვერცხლი, მატყლი, ქუნჯუთის ზეთი და სხვა.

¹ ე. ი. ინადოს ბეგარა.

² muškenum—იხ. ბილალამა მუხ. 13, 24, 50; ხამურაბი მუხ. 8, 15—16, 175—176, 198, 201, 204, 208, 211, 216, 222.

³ დიდ-ვაჭარი, სახელმწიფო სავაჭრო აგენტი, ხარკის ამკრეფი.

16. კაცის გამოუყოფელ ვაჟიშვილსა და მონას არ უნდა მიეცეს სესხი.

17. უკეთუ კაცის ვაჟიშვილი¹ სიმამრის ოჯახში გამოსასყიდს² მიიტანს, თუ ორთაგან ერთი (სასიძო ან საპატარძლო) მოკვდება, ვერცხლი უბრუნდება მხოლოდ მის პატრონს.

18. უკეთუ ის ცოლად შეირთავს მას და ქალი შევა მის სახლში, და მხოლოდ უფრო გვიან მოკვდება პატარძალი, მას (სიმამრს) შეუძლია წაიღოს არა მარტო ის, რაც ქალმა მიიტანა; მას გარდა ამისა შეუძლია წაიღოს: 1 სიკლ ვერცხლზე მას შეუძლია წაიმატოს მეექვსედი წილი და 6 უთუთუ, 1 ქურუ ქერზე შეუძლია წაიმატოს პროცენტი 1 მასიქთუ და 4 სუთუ³.

19. კაცმა, რომელიც აძლევს თანაბარს თანაბარში, უნდა მიაცემინოს კალოზე⁴.

20. უკეთუ კაცი⁵ . . . და გამსესხებელი მისცემს, თანაც ქერს უანგარიშებს ვერცხლის ფასად, მოსავლის აღებისას მან უნდა მიიღოს ქერი და მისი პროცენტი: 1 ქურუზე 1 მასიქთუ და 4 სუთუ.

21. უკეთუ კაცი მისცემს ვერცხლს, როგორც ასეთს, მან უნდა მიიღოს ვერცხლი და მისი პროცენტი: მეექვსედი წილი და 6 უთუთუ 1 სიკლზე.

22. უკეთუ კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება კაცის მხევალი, მხეველის ბატონმა ღმერთი უნდა დაიფიცოს: «მე შენი არავითარი ვალი არა მაქვს», მან უნდა მიუწონოს მხეველის ფასის თანაბარი ვერცხლი.

23. უკეთუ კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება კაცის მხევალი, დააკავენს მძევალ ქალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს, მან უნდა უზლოს მხეველის ბატონს 2 მხევალი.

24. უკეთუ კაცს კაცისათვის არაფერი არ უსესხებია, მაგრამ გირაოდ ეყოლება მ უ შ ქ ე ნ უ მ ის ცოლი, დააკავენს მძევალ ქალს თავის სახლში და სიკვდილამდე მიიყვანს, ეს სასამართლო საქმეა სიცოცხლის შესახებ; მოგირავნე უნდა მოკვდეს.

¹ mār awēlim—«ძე კაცისა», ე. ი. სრულუფლებიანი მოქალაქის (ავიღუმის) ვაჟიშვილი.

² terhātum, იხ. აგრ. მუხ. 25—26; ხაზურაბი—138—139, 159.

³ ამრიგად, ბავშვების დაბადებამდე გარდაცვლილი ქალის მემკვიდრედ ითვლება მისი მამა.

⁴ ლაპარაკია ნატურალურ სესხზე.

⁵ შეიძლება ასე იყოს: «უკეთუ კაცი წაიღებს მარცვალს დასათესად» . . .

25. უკეთუ კაცი სიმაჰრის სახლს მიმართავს და სიმაჰრი მას მიიღებს, მაგრამ თავის ქალიშვილს სხვას მიათხოვებს, ქალიშვილის მამამ მის მიერ მიღებული გამოსასყიდი ორმაგად უნდა დააბრუნოს.

26. უკეთუ კაცი მიიტანს კაცის ქალიშვილის გამოსასყიდს, მაგრამ სხვა, მისი მამისა და დედის დაუკითხავად, მოიტაცებს მას და აიძულებს კავშირი დაიჭიროს მასთან, ეს სიცოცხლის საქმეა, და ის კაცი უნდა მოკვდეს.

27. უკეთუ კაცი ცოლად შეირთავს კაცის ასულს, მისი მამისა და მისი დედის დაუკითხავად, აგრეთვე არ დადებს მის მამასთან და მის დედასთან შეთანხმებას და წერილობით ხელშეკრულებას, თუნდაც მან მის სახლში ერთი წლის განმავლობაში იცხოვროს, იგი ცოლი არაა.

28. ხოლო თუ, პირიქით, ის შეთანხმებას და წერილობით ხელშეკრულებას დადებს მის მამასთან და მის დედასთან და შემდეგ წაიყვანს მას ცოლად, მაშინ ის ცოლია; როდესაც მას წაასწრებენ მამაკაცთან¹, ის უნდა მოკვდეს, არ უნდა დარჩეს ცოცხალი.

29. უკეთუ კაცი ლაშქრობაში დაიკარგება თავდასხმის ან დამარცხების დროს, ან ტყვედ ჩავარდება და, სანამ . . . ის ცხოვრობს უცხო ქვეყანაში, მის ცოლს სხვა შეირთავს და ქალი ბავშვს² შობს, როცა ის დაბრუნდება, მას შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი.

30. უკეთუ კაცი შეიძულებს თავის თემს და ბატონს და გაიქცევა, და იმის ცოლს სხვა შეირთავს ცოლად, როცა ის დაბრუნდება, მას არ შეუძლია წარადგინოს სარჩელი³ თავის ცოლის გამო.

31. უკეთუ კაცი აიძულებს კაცის მხევალს კავშირი დაიჭიროს მასთან, მან უნდა მიუწონოს $\frac{2}{3}$ მინა ვერცხლი; მხევალი კი ეკუთვნის მხოლოდ თავის ბატონს.

32. უკეთუ კაცი თავის ვაჟიშვილს ძუძუს საწოვად და აღსაზრდელად მიაბარებს, მაგრამ 3 წლის განმავლობაში პურს, ზეთს და მატყლს არ მისცემს, მაშინ მას შეუძლია თავისი შვილის აღზრდისათვის მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი, და მისი შვილი მას უნდა მიუყვანონ.

33. უკეთუ ვინმე მხევალს შეაცდენს, ხოლო მის ვაჟიშვილს მიაბარებს თავისუფალი კაცის ქალიშვილს, და როდესაც ის გა-

¹ ე. ი. სხვა კაცთან.

² სიტყვისიტყვით «ვაჟიშვილს» mârûm.

³ ul iraggam.

იზრდება მას მისი ბატონი¹ დაინახავს, ბატონს შეუძლია წაიყვანოს ის, და მას უნდა მიუყვანონ იგი.

34. უკეთუ სასახლის მხევალი თავის ვაჟიშვილს ან ქალიშვილს აღსაზრდელად მიაბარებს მუ შ ქ ე ნ უ მ ს, სასახლეს შეუძლია წაიყვანოს ვაჟიშვილი ან ქალიშვილი;

35. წამყვანმა კი, რადგანაც მან სასახლის მხველის ბავშვი წაიყვანა, სასახლეს (გარდა ამისა) უნდა აუნაზღაუროს მისი ღირებულება.

36. უკეთუ კაცი თავის ქონებას შესანახად მიაბარებს შემდგომი გამოსყიდვის პირობით, და სახლი არ ყოფილა შენგრეული, შესასვლელი არ ყოფილა გატეხილი, ფანჯარა არ ყოფილა ჩამტვრეული, ხოლო შესანახად მიბარებული ქონება დაიკარგა, მან (ე, ი. ვინც მიიბარა) უნდა აანაზღაუროს მისი ქონება.

37. უკეთუ კაცის სახლი ჩამოინგრევა, ან მიწაბართან² ერთად, რომელიც მან მისცა მას, დაიკარგა რაჲმ, სახლის პატრონის კუთვნილი, მაშინ სახლის პატრონმა ტ ი შ ფ ა ქ ი ს³ კარებთან უნდა დაუფიცოს მას ღმერთი: «შენ ქონებასთან ერთად დაიკარგა ჩემი ქონებაც; თაღლითობა⁴ არ ჩამიდენია და ტყუილი არ მითქვამს, — ასე უნდა დააფიცოს მან და მას არაერთი ვალი არ ექნება მისი.

38. უკეთუ ერთი ძმათაგანი თავის წილს ყიდის და მის ძმას სურს მისი ყიდვა, მან (გამყიდველმა) უნდა დააკმაყოფილოს იგი უპირატესად სხვების წინაშე.

39. უკეთუ კაცი გაღარიბდება და თავის სახლს გასცემს ვერცხლში, იმ დღეს, როცა მყიდველი ფასს გადაიხდის, სახლის წინანდელმა პატრონმა უნდა გაათავისუფლოს იგი.

40. უკეთუ კაცი მონას, მხევალს, ხარს ან სხვა რამეს იყიდის, ხოლო ვერ შეძლებს გამყიდველის დადგენას, მაშინ ქურდი სწორედ ის არის.

41. უკეთუ უ ბ ა რ უ მ ი⁵, ნ ა ფ ტ ა რ უ მ ი⁶ ან მ უ ლ უ მ ი⁷ გაყიდის თავის სიქარუს⁸, მიკიტანმა ქალმა უნდა მისცეს მას სასყიდელი არსებული ფასის მიხედვით.

¹ ე. ი. მხველის ბატონი.

² massartum.

³ ადგილობრივი ღვთაება — ეზნუნის მფარველი.

⁴ i-wi-tum.

⁵ შეიძლება ნიშნავდეს «ამხანაგს», «მეზობელს», «თანამოთემს».

⁶ სიტყვასიტყვით «გამოსყიდვა», «განთავისუფლება».

⁷ სიტყვასიტყვით «მცოდნე», «გამოცდილი».

⁸ პურის მათრობელა სასმელი, ლუღის მსგავსი.

42. უკეთუ კაცი კაცს ცხვირზე უკბენს და მოჰკვეთს მას, მან უნდა მიუწონოს 1 მინა ვერცხლი; თვალისათვის—1 მინა, კბილისათვის— $\frac{1}{2}$ მინა, ყურისათვის— $\frac{1}{2}$ მინა, სილის გარტყმისათვის უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

43. უკეთუ კაცი კაცს თითს მოჰკვეთს, მან უნდა მიუწონოს $\frac{2}{3}$ მინა ვერცხლი.

44. უკეთუ კაცი კაცს წააქცევს . . . და მას ხელს მოსტეხს, უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

45. უკეთუ მას ფეხს მოსტეხს, უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

46. უკეთუ კაცი კაცს გაართყამს და მოსტეხს მას . . . , უნდა მიუწონოს $\frac{2}{3}$ მინა ვერცხლი.

47. უკეთუ კაცი კაცს ხელს ჰკრავს . . . , უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

48. ხოლო მიმართ $\frac{2}{3}$ მინიდან 1 მინამდე მას უნდა გადაუწყვიტონ სასამართლო საქმე; საქმე სიცოცხლის შესახებ ექვემდებარება მხოლოდ მეფეს.

49. უკეთუ კაცს აღმოაჩნდება მოპარული მონა ან მოპარული მხევალი, მან უნდა მიუყვანოს მონა მონაში, მხევალი მხევალში.

50. უკეთუ მდინარის სამსახურის ნაცვალი¹ ან სხვა რომელიმე თანამდებობის პირი² დაიქერს სასახლის ან მ უ შ ქ ე ნ უ მ ი ს კუთვნილ გაქცეულ მონას, გაქცეულ მხევალს, გაქცეულ ხარს ან გაქცეულ ვირს და არ მოიყვანს მათ ე შ ნ უ ნ ა შ ი, არამედ დააკავებს საკუთარ სახლში, თუ შვიდი დღე ან ერთი თვე გავიდა, მაშინ სასახლე მას მოსთხოვს ნაპარევს სასამართლო წესით.

51. ეზნუნის მონას ან მხევალს, რომლებსაც დასმული აქვთ ქანუმი, მაშქანუმი და აბუთუმი³, არ შეუძლიათ გავიდნენ ეზნუნის კარებიდან მათი ბატონის დაუკითხავად.

52. მცველს ჩაბარებულ მონას ან მხევალს, რომლებიც შევლენ ეზნუნის კარებში, უნდა დაესვათ ქანუმი, მაშქანუმი და აბუთუმი, და ისინი დაცულ უნდა იქნან თავისი ბატონისათვის.

¹ Šakkanakkum—ოღქის მმართველი.

² bēl tērtim სიტყვასიტყვით «ბრძანების მუფფე».

³ მონური მდგომარეობის ნიშნები: მაშქანუმი—ხელ-ფეხის ბორკილი; ქანუმი—სახივი, ქედის ბორკილი (ხუნდი); აბუთუმი—თმის კონა შდრ. ხ ა მ უ რ ა ბ ი—127, 146, 226, 227.

53. უკეთუ ხარი ხარს ურქენს და ნოკლავს, ხარების ორივე პატრონმა უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის ცოცხალი ხარის ფასი და მკვდარი ხარის ღირებულება.

54. უკეთუ ხარი მარქენალია და ამის შესახებ მეზობლები განუცხადებენ მის პატრონს, მაგრამ მისი ხარი არ იქნება უვნებელყოფილი, ურქენს ადამიანს და მოკლავს, ხარის პატრონმა უნდა მიუწონოს $\frac{2}{3}$ მინა ვერცხლი.

55. უკეთუ ხარი ურქენს მონას და მოკლავს, ხარის პატრონმა უნდა მიუწონოს 15 სიკლი ვერცხლი.

56. უკეთუ ძალლი ცოფიანი აღმოჩნდება და მეზობლები ამის შესახებ განუცხადებენ მის პატრონს, მაგრამ ის არ მოსპობს თავის ძალს და ძალლი უკბენს ადამიანს და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, ძალლის პატრონმა უნდა მიუწონოს $\frac{2}{3}$ მინა ვერცხლი.

57. უკეთუ ძალლი უკბენს მონას და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, ძალლის პატრონმა უნდა მიუწონოს 15 სიკლი ვერცხლი.

58. უკეთუ კედელს ჩამონგრევა მოელის და მეზობლები ამის შესახებ განუცხადებენ კედლის პატრონს, მაგრამ ის თავის კედელს არ გაამაგრებს და კედელი ჩამოინგრევა და ამას მოჰყვება კაცის სიკვდილი, — ეს სიკოცხლის საქმეა: გადაწყვეტილება მეფისა.

59. უკეთუ კაცი, მას შემდეგ რაც მას შვილები შეეძინა, მიატოვებს თავის ცოლს და ითხოვს სხვას, ის გაძევებული უნდა იქნას სახლიდან და ჩამოერთვას ყველაფერი, რაც უნდა იყოს, და ეს უნდა გადაეცეს ქალს, რომელიც მან მიატოვა¹.

¹ აკლია ტექსტი (60 და 61 მუხ.)

ისინის მუჟის ლიჟიგ-იშთარის კანონები¹

[შესავალი]

როდესაც დიდმა ანუმ, ღმერთთა მამამ, და ენლილმა, უველა ქვე-
უნის მეფემ, მეუფემ, ბედ-ილბლის გადაშქვეტმა, ნინინსინაზე²,
ანუს ქალიშვილზე . . . მისი გულისათვის . . . სისარუ-
ლი, გადმოხედეს მის ნათელ შუბლს და უბოძეს მას მეფობა შუმერისა
და აქადზე ისინში, ანუს მიერ შექმნილ ბელელში, და კეთილი
შართვა გამკეობა,

როდესაც ლიფიტ-იშთარმა, ბრძენმა მწვემსმა, ვინც მოწოდებუ-
ლია ნუნამნირის³ მიერ, —სამართლის დასადგენად ქვეყანაში, ადა-
მიანთ ჰირიდან საჩივრის განსადევნად, იარაღით მტრობისა და ძალა-
ღობის ანაცელებლად, შუმერისა და აქადის სხეულის გასანებივრებ-
ლად, —როდესაც ანუმ და ენლილმა აირჩიეს ლიფიტ-იშთარი
ქვეყნის⁴ მეთაურად,

მაშინ მე, ლიფიტ-იშთარმა, ნიფურის⁵ თავმდაბალმა მწვემსმა
ურის⁶ ერთგულმა ენგარმა⁷, ერედუსთან⁶ განუერულად დაკავ-
შირებულმა, ურუქის⁶ ღირსეულმა ქურუმმა, ისინის მეფემ, შუმე-

¹ შედგენილია 1932—1921 წლებში ჩვენს ერამდე. ტექსტი აღდგენილია თი-
ხის ტაბულების 9 ფრაგმენტის მიხედვით. ორიგინალის ტექსტი დაწერილი იყო
ქვის სტელაზე.

² ქალაქ ისინის მფარველი ქალღმერთი. ანუ და ენლილი — უხენავის
ღმერთები.

³ ღმერთ ენლილის მეტსახელი («ხელისუფლების თავადი»).

⁴ სამხრეთ შუამდინარეთის საერთო სახელწოდება.

⁵ ღმერთ ენლილის საერთო შუმერული კულტის ცენტრი.

⁶ ური, ერედუ, ურუქი—ისინის სამეფოს ქალაქები ა.

⁷ ენგარი—სამეფო ან სატაძრო ადგილმამულების მოურავი; აქ გადატანილი
მნიშვნელობით.

რისა და აქადის მეფემ, ინანის¹ გულის მოსიყვარულემ, ენლილის სიტყვით დავადგინე სამართალი შუმერსა და აქადში.

ამ დროს ნიფურის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს, ურის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს, ისინის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს, შუმერისა და აქადის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს რომლებსაც
 დავადგი მონობის უღელი — მათი თავისუფლება ჩემს მათთვის მე ჭეშმარიტად დავადგინე. ჭეშმარიტად მე დავაქისრე მშობლებს არჩინონ თავიანთი შვილები, ჭეშმარიტად მე დავაქისრე შვილებს არჩინონ თავიანთი მშობლები, ჭეშმარიტად მე დავაქენე მშობლები მათი შვილების გვერდით, ჭეშმარიტად მე დავაქენე შვილები მათი მშობლების გვერდით. მამის ოჯახისა და ძმების ოჯახის შემქმნელი მე ჭეშმარიტად დავაშკვიდრე. მე ლიფიტ-იშთარმა, ენლილის შვილმა, მამის სასლში და ძმების სასლში 70 დავადგინე², უცოლო ჭაბუკის სასლში 10 თვე მე დავადგინე 10 კაცის ცოლი კაცის ვაჟიშვილი³ . . .

8.⁴ უკეთუ კაცი კაცს ყამირ მიწას მისცემს ბალის გასაშენებლად და იგი ამ ყამირზე არ დაამთავრებს ბალის გაშენებას, მან უნდა მისცეს ბალის გამშენებელ კაცს მის მიერ დაუმუშავებლად დატოვებული ყამირი მის წილად.

9. უკეთუ კაცი კაცის ბალში შევა და შეპყრობილი იქნება ქურდობისათვის, მან უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

10. უკეთუ კაცი კაცის ბალში ხეს მოჭრის, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

11. უკეთუ კაცის სახლის გვერდით მიტოვებულია კაცის მიწის ნაკვეთი და სახლის პატრონი⁵ ეტყვის ნაკვეთის პატრონს: «შენი ნაკვეთი მიტოვებულია, ჩემს სახლში შესაძლებელია ვინმე შემოიპაროს; გაამაგრე შენი სახლი»,

და თუ დადგენილია, რომ ასეთი ხელშეკრულება დადებული იყო, ნაკვეთის პატრონმა დაკარგვის შემთხვევაში უნდა აუნაზღაუროს მის პატრონს დაკარგული ქონება.

¹ ნაყოფიერების ქალღმერთი.
² გაუგებარია, შესაძლებელია 70 დღე წელიწადში?
³ ამის შემდეგ დაახლოებით ნახევარი ტექსტი აკლია. შემონახულია კანონთა მხოლოდ ხუთი ფრაგმენტი, რომელიც შეიცავს ცალკეულ სიტყვებს.
⁴ მუხლების ნომერაცია პირობითია, ალბათ, აკლია სულ ცოტა 20—30 მუხლი.
⁵ lugal—პატრონი, უფალი.

12. უკეთუ კაცის მონა ან მხევალი სოფლად გაიქცევა და იქ სხვა კაცის სახლში იცხოვრებს 1 თვეს, და ეს კაცი მხილებული იქნება, მან უნდა მისცეს თავი თავში¹.

13. უკეთუ ამ კაცს არა აქვს თავი², მან უნდა მიუწონოს 15 სიკლი ვერცხლი.

14. უკეთუ მონა თავის ბატონს დაუბრუნდება თავის მონურ სამსახურში და ბატონისათვის შეასრულებს თავის მონურ სამსახურს ორმაგად, ეს მონა განთავისუფლებულ უნდა იქნას.

15. უკეთუ მიკთუმი³ მეფის ნაბოძებია, იგი არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნას.

16. უკეთუ მიკთუმი თვითონ მივა კაცთან, ამ კაცმა არ უნდა დააკავოს იგი; დე წავიდეს, სადაც სურს.

17. უკეთუ კაცი კაცს მისთვის უცნობი საქმის გამო რამეს დაავალებს⁴ უსასყიდლოდ, ამ კაცს შეუძლია არ შეასრულოს ვალდებულება, თვითონ იმ კაცმა უნდა იკისროს ვალდებულება საქმეზე, რომელიც მან სხვას დაავალა.

18. უკეთუ სახლის პატრონმა ან დიასახლისმა შეწყვიტა სახლის გადასახადის გადახდა, ხოლო ამას იხდიდა უცხო კაცი, და მესამე წელსაც კი კაცმა ან ქალმა არ გააგდო იგი, მაშინ კაცს, რომელიც სახლის გადასახადს იხდის, შეუძლია დაეუფლოს ამ სახლს; სახლის პატრონს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია.

21⁵. . . უკეთუ . . . მამის სახლი . . . მან ცოლად შეირთო, მაშინ ქალის მამისეული სახლის საჩუქარი, რომელიც აჩუქეს მას, შეუძლია წაიღოს მან, როგორც ქალის მემკვიდრემ.

22. უკეთუ მამა ცოცხალია, მისი ქალიშვილი, — იქნება ის ენთუმი⁶, ნადითუმი⁷ თუ კადითუმი⁸ — თითქოს მემკვიდრეა, იმ გაგებით, რომ შეუძლია იცხოვროს მის სახლში.

24⁹. უკეთუ მეორე ცოლი, რომელიც მან შეირთო, მისგან შვილებს შობს, მამის სახლიდან მოტანილი მზითვეი¹⁰ მის შვილებს

¹ ე. ი. მონა მონაში.

² ე. ი. არა ჰყავს მონა.

³ პირი, რომელიც სიღარიბის გამო ტაძრის, მეფის ან კერძო პირის მფარველობაში შევიდა.

⁴ ალბათ თავდებათ დაასახელებს.

⁵ 29-19 და მე-20 მუხლებიდან შემორჩენილია ცალკეული სიტყვები.

⁶ ქერუმ ქალთა კატეგორია.

⁷ ქერუმ ქალთა კატეგორია; «ღუთის ხასა».

⁸ ტაძრის მეძვე ქალთა უმაღლესი კატეგორია, წარჩინებული ქალები.

⁹ 23-ე მუხლიდან შემორჩენილია ორიოდუ სიტყვა.

¹⁰ sag-rig.

უკუთვნის, პირველი ცოლის შვილებმა და მეორე ცოლის შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ თავიანთი მამის ქონება¹.

25. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს, ის მისგან შვილებს შობს, და ეს შვილები ცოცხალი დარჩებიან, აგრეთვე მხევლები თავიანთ პატრონისაგან შვილებს შობენ და მამა გააზატებს მხევლებს და მათ შვილებს, მაშინ მხევლების შვილებმა არ უნდა გაიყონ სახლი² თავიანთი პატრონის შვილებთან.

26. უკეთუ კაცს მეუღლე მოუყვდა და თავისი ცოლის შემდეგ მან ცოლად შეირთო თავისი მხევალი, პირველი ცოლის შვილები მისი მემკვიდრეებია; შვილები, რომლებიც მხევალმა შობა თავისი პატრონისაგან, — თითქოს პატრონის შვილებია; მათ შეუძლიათ ისარგებლონ მისი სახლით.

27. უკეთუ ცოლმა კაცისაგან შვილები არ შობა, ხოლო ქუჩის მეძავემა ქალმა შობა მისგან შვილები, მან მეძავე ქალს უნდა აძლიოს კმაყოფა — პური, ზეთი და ტანისამოსი. შვილები, რომლებიც შობა მისგან მეძავემა ქალმა, — მისი მემკვიდრეებია, მაგრამ სანამ მისი ცოლი ცოცხალია, მეძავემა ქალმა არ უნდა იცხოვროს სახლში მეუღლესთან ერთად.

28. უკეთუ კაცი პირს შეაქცევს თავის მეუღლეს, თუმცა ეს მას არ ჰქონდა ნებადართული ხელშეკრულებით, და ქალი არ გავა მისი სახლადან, მაშინ მისი მეორე ცოლი, რომელიც მან შეირთო როგორც შეყვარებული ცოლი — მეორე ცოლია; პირველი მეუღლე მან უნდა არჩინოს.

29. უკეთუ სიძე-შვილობილი³ სიმამრის სახლში შევა და მიიტანს საქორწინო გამოსასყიდს⁴, ხოლო შემდეგ მას გააძევენ და მის ცოლს მის მეგობარს მიათხოვებენ, მათ უნდა მისცენ მას საქორწინო გამოსასყიდი, რომელიც მან მიიტანა, და მის მეგობარს არ შეუძლია ეს ქალი ცოლად შეირთოს.

30. უკეთუ ცოლიანი ქაბუკი მოიყვანს ქუჩის მეძავე ქალს და მოსამართლენი ეტყვიან, რომ მან გაწყვიტოს კავშირი ამ მეძავე ქალთან, მაგრამ შემდეგ ის მიატოვებს თავის მეუღლეს, მიტოვებისათვის მან უნდა მიუწონოს ვერცხლი ორმაგად⁵.

¹ niġ-ga.

² ე. ი. მთელი ქონება.

³ mussa-dumu.

⁴ niġ-mussa, სიტყვასიტყვით «სიძის რამეს».

⁵ გაყრის საფასური.

31. . . . უბოძა ნას, მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს შეუძლიათ გაიყონ მამის სახლი, მაგრამ სახლის წილი¹ მათ არ უნდა გაიყონ; მათი მამის სიტყვა . . . არ უნდა . . .

32. უკეთუ მამამ თავის სიცოცხლეში თავის ვაჟიშვილისათვის, — უფროსი ძმისათვის, დაადგინა საქორწინო გამოსასყიდი — და მამის სიცოცხლეში ის ცოლს შეერთავს, მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრენი . . .

33. უკეთუ . . . კაცი . . . და დადგენილი იქნება, რომ მან არ გაყო სახლი, უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

34. უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს და ნესტოს ძარღვს დაუზიანებს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{2}$.

35. უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს და თვალს გაუფუჭებს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის ნახევარი.

36. უკეთუ კაცი ხარს დაიქირავებს და რქას მოსტეხს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{4}$.

37. უკეთუ კაცი ხაოს დაიქირავებს და მას კუდს დაუზიანებს, უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{4}$.

38. . . . უნდა მიუწონოს ნაყიდობის ფასის .

[დასკვნა]

უთუ² მართებული სიტყვით მე ჰქმარიტად მივეცი საშუალება შუშერსა და აქადს დაიცვან სწორი მართლმსაჯულება; თანახმად იმისა, რაც ენლილმა გვამცნო, მე, ლიფიტ-იშთარმა, ენლილის შვილმა, მოვსპე მტრობა და ძალადობა, ტირილი, მოთქმა და უთუ ამ კანონებით მე მივეცი დავიწყებას³, ჰქმარიტება და სამართლიანობა მე გავსადე მბრწენინავი, შუშერისა და აქადის სხეული გავანებვირე . . . როდესაც მე შევქმენი სიმდიდრე შუშერისა და აქადისათვის, ჰქმარიტად მე აღვმართე ეს პეგლი.

ის, ვინც პეგლის მიმართ არ ჩაიდენს ბოროტ საქმეს, ვინც ჩემს ნაღვაწს არ მოსპობს, ჩემს წარწერილ სახელს არ წაშლის, თავის სახელს არ წააწერს, — დე მას მიენიჭოს დღეგრძელი სიცოცხლე და სუნთქვა; დე იგი აღზევედეს ე-ქურში⁴, ენლილმა თავისი ნათელი სახე მიაპკროს მას ზეციდან.

¹ საოჯახო ქონების განუყოფელი ნაწილი.

² ე. ი. შამაში, მზისა და მართლმსაჯულების ღმერთი.

³ ე. ი. მართლმსაჯულების ღმერთს საჩივრებით აღარ აწუხებენ.

⁴ უზენაესი ღმერთის ენლილის ტაძარი ნიფურში; აგრეთვე მსოფლიოს სა-ბელწოდება.

სოლო ის, ვინც მეგლის მიმართ ჩაიდენს ბოროტ საქმეს, ვინც მოს-
პობს ჩემს ნაღვანს, ვინც საგანძურში შეუა და მოსხნის მეგლს მისი
სამირკველიდან, ვინც წაშლის ჩემს წარწერილ სახელს და წააწერს თა-
ვის სახელს ან ამ წეველის გამო გააგზავნის უცხო კაცს,—იგი, იქნება
ის მეფე, იქნება ის დე მას წაართვას და დე შეიკვასოს
იგი მის დე ნუ იქნება ; აშნანმა¹
და სუმუქანმა², სიუსვის მეუფეებმა, დე წაართვან მას სიმდი-
დრე დე გააუქმოს, უ. უმ, ზეცისა და დედამიწის განმსჯე-
ლმა დიდებული პირით დე წაართვას მას
მას მისი სამირკველი დე იგი მიეთვალოს სასა-
ფლას ბორცვთა ბინადრებს; მისი ქვეყნის საფუძველი დე ნუ იქნება
მკვიდრი; მისი მეფე, ვინც უნდა იყოს იგი — ნინურთა, ძლიერი
მხედარი, ენლილის შვილი³

¹ პურის კალდმერთი.

² პირუტყვის ღმერთი.

³ ბოლო აკლია.

ბაბილონის მეფის ხაშურაბის კანონები¹

[შესავალი]

როდესაც დიდმა ანუმ², ანუნაქთა³ შუფემ, და ენლილმა⁴, ცისა და დედამიწის შუფემ, ქვეენის ბედ-იბლების განმსჯელმა, ენლილობა⁵ კველა ხალხის მიმართ ჩააბარეს ეას⁶ პირველ შვილს მარდუქს⁷. განადიდეს ის „გიგთა“ შორის, ბაბილონს უწოდეს მისი დიადი სახელი, გახადეს იგი უმალიერესი ქვეენის ოთხივე ნაწილში, დააშარეს მასში სამარადისო საშეფო ხელისუფლება, რომლის საფუძველი მკვიდრია ცისა და დედამიწის მსგავსად, —

მასინ მე. ხაშურაბი. დიდებული, ღვთისმოსიში სელმწიფე, იმისათვის, რათა ქვეენად ბრწეინავდეს სამართლიანობა, რათა მოიხპონ კანონდამრღვევნი და ბოროტმოქმედნი, რათა ძლიერმა არ შეავიწროოს სუსტი, რათა მე. როგორც შაშაში⁸, აღვზევდე შავთავიანეებზე¹⁰ და შექი მოვფინო ქვეიანას, —

მომიწოდეს ასუმ და ენლილმა ხალხთა საკეთილდღეოდ.

მე, ხაშურაბი — მწვემნი, ეხლილის მოხმობილი, სიმდიდრისა და სიუხვის დამკროვებელი, კველაფრის გამკეთებელი ნიფურისა-

¹ შედგენილია 1792—1750 წლებში ჩვენს ერამდე.

² ლვერთების მამა, ხეცის უხენაგის ღვთაება.

³ მიწისა და მიწისქვეშეთის სამეფოს ღმერთები.

⁴ უხენაგის ღმერთი, ცისა და დედამიწის მფუფე.

⁵ ე. ი. მეუფება.

⁶ ცისქვეშეთის წყლისა, წყაროებისა და სიბრძნის ღვთაება.

⁷ ბაბილონის მფარველი ღმერთი.

⁸ ციურთი ღვთაებანი.

⁹ მხიანა და მართლმსაჯულებას ღმერთი, აგრეთვე სამისნო წინასწარმეტყველების ღვთაება.

¹⁰ ე. ი. აღამიანებზე

თვის¹—ცისა და დედაძინის კავშირისათვის, ე-ქურის² დიდებული მფარველი;

მლევამოსილი მეფე, ქალაქ ერედუს³ აღმდგენი, ე-აბზუს ზნეჩვეულებათა გაძმენდი;

ქვეენის ოთხი ნაწილის მფარველი, ბაბილონის სასჯელის განმადიდებელი, ჩემი მეუფის მარდუქის გულის შაამებელი, რომელიც მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძსასურებოდი ე-საგილას⁴;

მეფეთა მოდგმა, სინის⁵ გაჩენილი, ურისაჰვის⁶ სიუხვის მიმნიჭებელი, თავმდაბალი ღვთისშლოცველი, ე-კიშიოგალში ნაყოფიერების შიმტანი;

კანოხიერი მეფე, შამაშის მორჩილი, ძლიერი, სიფარის⁷ სამირკკლის განმამტკიცებელი, აიის⁸ საფლავის ძწვანით შემოსველი, ამშენებელი ე-ბარის⁹ ტაძრისა, მსკავსად ცათა სასუფეველისა;

მეომარი, ღარსის¹⁰ შემბრალბელი, ჩემი მოწყალე¹¹ შამაშისათვის ე-ბაბარის განმასლბელი;

მეუფე, ურუქისათვის¹² სიცოცხლის შემნარჩენებელი, მისი ხალხისათვის სიუხვის წყაროს მიმცემი, ე-ანუს ამმალბელი, ანუსა და იშთარისათვის სიძდიდრის დამკროვებელი;

ქვეენის კარავი, ისინის¹³ გაფანტული ხალხის შემკრები, ე-გალშასის ტაძრისათვის სიუხვის გამამრავლებელი;

მეფეთა დრაკონი, ზაბაბის მმადნაფიცი, ქალაქ ქიშის¹⁴ სადგომების გამამკრებელი, ე-მეტურსაგის ბრწყინვალეების მომეფენი, იშთარის დიად ზნე-ჩვეულებათა განმამტკიცებელი, ხურსაგ-

¹ ქალაქი სამხრეთ შუამდინარეთის ცენტრში, უხენავის ღვთაების—ენლილის კულტის ადგილი, ახლანდელი ნუფარი.

² ენლილის ტაძარი ნიფურში.

³ ქალაქი ტბასთან სპარსეთის ყურეში, ახლანდელი აბუ-შაჰრაინი.

⁴ მარდუქის ტაძარი ბაბილონში.

⁵ მთვარის ღმერთი.

⁶ ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი თელ-ალ-მუჰაიარი.

⁷ ქალაქი შუამდინარეთის ჩრდილოეთში, ახლანდელი აბუ-ჰაბა.

⁸ ქალღმერთი, შამაშის ცოლი. მცენარეულობის ღვთაება.

⁹ ტაძარი შამაშისა, მზისა და მართლმსაჯულების ღმერთისა.

¹⁰ ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი სენქერე.

¹¹ სიტყვისიტყვით «მოკავშირე».

¹² ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი ვარკა; ქალღმერთ იშთარისა და ღმერთი ანუს კულტის ცენტრი.

¹³ ქალაქი შუამდინარეთის ცენტრში.

¹⁴ ქალაქი შუამდინარეთის ჩრდილოეთში, ახლანდელი ჯალ-უჰაიმირი.

ქალაქის¹ ტაძრისათვის—მტერთა წინააღმდეგ ციხე-სიმაგრისათვის—
მზრუნველი;

ის, ვისი სურვილებიც შეასრულა მისმა მეგობარმა ირამ², ქალაქ
ქუთუს³ განძადიღებელი, ქესლაქისათვის ეველაფრის გამაძრავ-
ვლებელი;

მკინვარე კურატი, მტრების რქენით გამთელი, ტურუს⁴ გამორჩე-
ული, ქალაქ ბორსიფის⁵ გამაძრავლებელი, ე-ზიდაზე დაულა-
ლაკად მზრუნველი;

მეფეთა ღმერთი, სიბრძნის გამცემელი, დილბარის⁶ ეანის გა-
მფართოებელი, ძლიერი ურასისათვის ბედლის ამკნები;

მეფე, ღირსი სკიპტრისა და თიარისა, რომლებითაც შეაქმო იგი
ბრძენმა ქალღმერთმა მამამ⁷, კეშის საზღვრების დამდგენი, ნი-
ნთუსათვის წმიდა ხორაგის უხვად მიმართველი;

მეუდარებლად გონიერი, ლაგასისა⁸ და გირსუსათვის⁹ სა-
ძმორისა და წკალსალევის განმწესებელი, რომელსაც ხელო შიპქრია
დიდი სამსხვერპლო შესაწირავნი ე-ნინუსათვის;

მტრების შემპყრობი, ზენარის⁹ გამორჩეული, ხალაბის¹⁰ მი-
ნურ წინასწარმეტყველებათა შემსრულებელი, იშთარის გულის გამსა-
რებელი;

ბრწეინვალე ხელმწიფე, რომლის ლოცვა-კურთხევა უწყის ადადმა,
ქალაქ ბით-ქარქარაში მეომარ-ადადის გულის დაძაბმვიდებელი,
ე-უგალბალაში ეველაფრის ჯეროვან წესრიგში მოჰყვანი.

მეფე, ადაბისათვის¹¹ სიცოცხლის შიმნიჭებელი, ე-მანის
ტაძრის მფარველი;

მეფეთა მეფე, უძლეველი მეომარი, ის, ვინც სიცოცხლე უბოძა
ქალაქ მასქან-შაბრიძს, სიუსვე უწყალობა, ე-მესლამს;

¹ ქიშის გარეუბანი.

² შავი ჰირის ღმერთი, აქ გაიგივებულია ნერგალთან — ომიანობისა და სიკვდილიანობის ღმერთთან, ქ. კურტუს მფარველთან.

³ ქალაქი ნუზდინარეთის ჩრდილოეთში, ახლანდელი თელ-იბრა-
ჰიში.

⁴ მარდუქის შვილი. ბორსიფის ღვთაება.

⁵ ბაბილონის გარეუბანი.

⁶ ქალაქი ბაბილონის ახლოს, ახლანდელი დელემი.

⁷ დედა-ღმერთი, ნაყოფიერების ღვთაება.

⁸ ქალაქი ტიგროსის ქვემო ნაწილში, ახლანდელი თელო.

⁹ ქალღმერთ იშთარის ეპითეტი.

¹⁰ ალბათ ქ. ალფუო ჩრდილოეთ სირიაში.

¹¹ ქალაქი შუამდინარეთის საზნრეთში, ახლანდელი ბისმაია.

ბრძენი მმართველი, ის, ვინც მიაღწია ყოველგვარი ჩანაფიქრის შესრულებას, მალე გუშის ხალხის შემფარებელი უბედურების ეპს, მათი საცხოვრებლის სიძლიდრით ამკსები, ჩემი მეფურობის განმადიდებელი ეასა და დამკალნუნისათვის კი წმინდა ზვარაკის შეწირვის სამარადისოდ დამწესებელი;

უპირველესი მეფეთაგანი, თავისი გამჩენის დაცანის წკალობით ეეფრატის სოფლების დამკერობი, ის, ვინც შეიწყალა მერისა¹ და ტუტულის² ხალხს;

დიდებული ხელმწიფე, იშთარის ხახის გამსხივოსნებული, ნინაზუსათვის³ წმიდა სორაკის დამწესებელი, გაჭირვების დროს თავისი ხალხის დამხმარე, ბაბილონში მათი კეთილად დამამკვიდრებული;

მწვემსი ხალხისა, რომლის საქმეებიც სასიამოვნოა იშთარისათვის, ე-უ-ლ-მა-შ-ში, ქუჩაგანიერ აქადში⁴ იშთარის დამამკვიდრებული;

სიძარტლის გამბრწინებული, ტომთა სწორი გზით წაშკვანი, ქალაქ აშურისათვის⁵ მისი მწყალობელი ქალღმერთი—მფარველის⁶ დამბრუნებული;

აღის ჩამკრობი, მეფე, ნინეკიაში⁷, ე-მ-ი-მ-ი-მ-ში იშთარის ხახელის გამბრწინებული.

მე—დიდებული, დიდ ღმერთთა მორჩილი, სუ-მ-უ-ლა-ე-ლის შთამომავალი, სინ-მ-უ-ბ-ალიტის ძლიერი მემკვიდრე, მარად მეფური ელოარტი, ძლიერი მეფე, ბაბილონის მზე, შუშერისა და აქადის ქვეყნის შუქით გამბრწინებული, მეფე, ქვეყნის ოთხივე მხარის მორჩილებაში მოშკვანი, იშთარის გამორჩეული.

როდესაც მარღუქმა გამგზავნა ხალხის განმგებლად და ქვეყნისათვის კეთილდღეობის მისანიჭებლად, მე დაკამკვიდრე ქვეყნად კანონი და სამართლიანობა და ხალხს მივანიტყე კეთილდღეობა.

ამიერიდან:

¹ ქალაქი შუა ვეფრატზე, ახლანდელი თელ-ჰარირი.

² ქალაქი მერის სამხრეთით, ახლანდელი ჰითი.

³ ხლონის ლეთება, ენლილის ვაეიშვილი, ავრეთვე გაიგივებული იყო ტიშ-ფაქთან, ქალაქ ეშუნის ღმერთთან.

⁴ ადგილმდებარეობა უცნობია (სიფარის ახლოს).

⁵ ასირიის დედაქალაქი, ახლანდელი კალატ-შერქათი.

⁶ ალბათ იგულისხმება ქალღმერთი იშთარი.

⁷ ქალაქი ასირიაში, ახლანდელი კუიუნჯიკი და ნაბი-იუნუსი.

1. უკეთუ კაცი¹ ფიცით ამხელს კაცს და დააბრალებს მას მკვლელობას, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ამას, მისი მამხილებელი უნდა მოკლან.

2. უკეთუ კაცი ბრალს დასდებს კაცს ჯადოსნობაში და ვერ დაამტკიცებს ამას, მაშინ ის, ვისაც ბრალი დასდეს ჯადოსნობაში, უნდა წაეიდეს მდინარესთან² და გადაეარდეს მასში. თუ მას მდინარე დაეუფლება³, მამხილებელს შეუძლია წაილოს მისი სახლი; ხოლო თუ მდინარე ამ კაცს გაწმენდს⁴ და ის უვნებლად გადარჩება, ამ შემთხვევაში ის, ვინც მას ბრალი დადო ჯადოსნობაში, უნდა მოკლან; მდინარეში გადაეარდნილი ღებულობს მისი მამხილებლის სახლს.

3. უკეთუ კაცი გამოდის სასამართლო საქმეზე დანაშაულის დასამოწმებლად და ვერ დაამტკიცებს თავის ნათქვამ სიტყვებს, თუ კი ეს სასამართლო საქმე შეეხება სიცოცხლეს, ეს კაცი უნდა მოკლან.

4. უკეთუ იგი გამოვიდა დასამოწმებლად სასამართლო საქმეზე პურისა ან ვერცხლის შესახებ, მას უნდა დაედოს ისეთი სასჯელი, როგორც გათვალისწინებულია ასეთ სასამართლო საქმეზე.

5. უკეთუ მოსამართლე განიხილავს სასამართლო საქმეს, დაადგენს გადაწყვეტილებას, დაამზადებს ბეჭედდამსულ საბუთს, შემდეგ კი თავის გადაწყვეტილებას შეცვლის, ეს მოსამართლე მხილებულ უნდა იქნას გადაწყვეტილების შეცვლაში, და ის ვალდებულია 12 ჯერადი ოდენობით გადაიხადოს სასამართლო საქმეზე წარდგენილი სასარჩელო თანხა, თანაც კრებაზე⁵ იგი უნდა გადმოაგდონ თავის სამსჯავრო საეარძლიდან და არ უნდა დაბრუნდეს და არ უნდა ბკობდეს მოსამართლეებთან სასამართლოში.

6. უკეთუ კაცი მოიპარავს ღვთის⁶ ან სასახლის ქონებას, ეს კაცი უნდა მოკლან; აგრეთვე უნდა მოკლან ისიც, ვინც მისი ხელიდან მიიღებს ნაპარევს.

¹ awêlum — «კაცი», «ადამიანი» საზოგადოდ; ამ ტერმინით აღინიშნება აგრეთვე «თავისუფალი სრულუფლებიანი პირი».

² სიტყვისიტყვით «დმერთ-მდინარე»; იგულისხმება ბაბილონელებისათვის წმინდა (სალეთ) მდინარე ევფრატი.

³ ე. ი. ბრალდებული მდინარეში ჩაიძირება, მდინარე მიიღებს მას.

⁴ ე. ი. მდინარე ამოატივტავებს მას ხელაპირზე, როგორც უდანაშაულოს.

⁵ თემის სახალხო კრებაზე ან უზუცესთა საბჭოში,

⁶ ე. ი. ტაძრის.

7. უკეთუ კაცი უმოწმეებოდ და უხელშეკრულებოდ იყიდის კაცს კაცის ვაფიშვილისაგან¹ ან კაცის მონისაგან ან მიიღებს შესანახად ვერცხლს, ან ოქროს, ან მონას ან მბეველს, ან ხარს, ან ცხვარს, ან ვირს, ან სხვა რამეს, მაშინ ეს კაცი ქურდია, და იგი უნდა მოკლან.

8. უკეთუ კაცი მოიპარავს ან ხარს, ან ცხვარს, ან ვირს, ან ღორს, ან ნავს, თუ ეს ღვთისაა ან თუ ეს სასახლისაა, მას შეუძლია გადაიხადოს ეს 30-ჯერადი ოდენობით, ხოლო თუ ეს ეკუთვნის მუ შქენ უმს²,—მას შეუძლია აანაზღაუროს 10-ჯერადი ოდენობით; უკეთუ ქურდს არაფერი აქვს მისაცემი, იგი უნდა მოკლან.

9. უკეთუ კაცი, ვისაც რამე დაეკარგა, ნახავს დაკარგულ ნივთს, სხვა კაცის ხელში, და იგი, ვის ხელშიც აღმოჩნდება დაკარგული ნივთი, იტყვის: «მე მომეცა გამყიდველმა, მე ვიყიდე მოწმეთა დასწრებითო», ხოლო დაკარგული ნივთის პატრონი იტყვის «მე წარმოვადგენ მოწმეებს, რომლებიც იცნობენ ჩემს დაკარგულ ნივთსო». მაშინ მყიდველმა უნდა მოიყვანოს გამყიდველი, რომელმაც მიყიდა მას ეს ნივთი, და მოწმეები, რომელთა დასწრებით მან იყიდა; აგრეთვე დაკარგული ნივთის პატრონმაც უნდა მოიყვანოს მოწმეები, რომლებიც იცნობენ მის დაკარგულ ნივთს.

მოსამართლეებმა უნდა განიხილონ მათი საქმე, ხოლო მოწმეებმა, რომელთა დასწრებით მოხდა შესყიდვა, და მოწმეებმა, რომლებიც იცნობენ დაკარგულ ნივთს, უნდა სთქვან ღვთის წინაშე ის, რაც მათ იციან, და მაშინ გამყიდველი ქურდია, ის უნდა მოკლან; დაკარგული ნივთის პატრონმა უნდა მიიღოს უკან თავისი დაკარგული ნივთი; მყიდველმა უნდა დაიბრუნოს ღის მიერ მიწონილი ვერცხლი გამყიდველის სახლიდან.

10. უკეთუ მყიდველი ვერ მოიყვანს გამყიდველს, რომელმაც მიჰყიდა მას, და მოწმეებს, რომელთა დასწრებით მან იყიდა და მხოლოდ დაკარგული ნივთის პატრონი მოიყვანს მოწმეებს, რომლებიც იცნობენ მის დაკარგულ ნივთს, მაშინ მყიდველი ქურდია და ის უნდა მოკლან; დაკარგული ნივთის პატრონმა უნდა მიიღოს თავისი დაკარგული ნივთი.

¹ ტერმინს *am̄ aršim* აქვს ორი განსხვავებული მნიშვნელობა: 1) «ვინმე კაცთაგანი (ავიღუფთაგანი) ე. ი. «თავისუფალ მოკალაქეთაგანი»; 2) «კაცის ვაფიშვილი». აქ ლაპარაკია არასრულწლოვანზე.

² *muškenum*—ყოველთვის იხმარება ტერმინების «სახალე», «სახალის მონა», და «სასახლის ქონება» გვერდით: მუხ. 15—16, 175—176.

11. უკეთუ დაკარგული ნივთის პატრონი ვერ მოიყვანს მოწინებებს, რომლებიც იცნობენ მის დაკარგულ ნივთს, ის მატყუარაა, ცილს სწამებს; იგი უნდა მოკლან.

12. უკეთუ სხვისი ნივთის გამყიდველი მოკვდა, მყიდველი გამყიდველის სახლიდან 5-ჯერადი ოდენობით ღებულობს ამ სასამართლო საქმეზე წარღვენილ სარჩელს.

13. უკეთუ ამ კაცის მოწმეები ახლოს არ იმყოფებიან, მოსამართლენი უნიშნავენ მას ვადას 6 თვის გასვლამდე. თუ მე-6 თვეზე თავის მოწმეებს ის ვერ მოიყვანს, მაშინ იგი მატყუარაა, მას უნდა დაედოს ისეთი სასჯელი, როგორც გათვალისწინებულია ასეთ სასამართლო საქმეზე.

14. უკეთუ კაცი მოიპარავს კაცის მცირეწლოვან ვაჟიშვილს, იგი უნდა მოკლან.

15. უკეთუ კაცი გაიყვანს სასახლის მონას ან მხევალს, ან მუშკენუმის მონას, ან მუშკენუმის მხევალს ქალაქის კარებიდან, იგი უნდა მოკლან.

16. უკეთუ კაცი თავის სახლში დამალავს გაქცეულ მონას ან მხევალს, რომლებიც ეკუთვნიან სასახლეს ან მუშკენუმს, და არ გამოიყვანს მათ შულტას ძახილზე, ამ სახლის პატრონი უნდა მოკლან.

17. უკეთუ კაცი ველად დაიჭერს გაქცეულ მონას ან მხევალს და მიუყვანს მას მის ბატონს, მონის ბატონმა უნდა მისცეს მას 2 სიკლი ვერცხლი.

18. უკეთუ ეს მონა არ დაასახელებს თავის ბატონს, იგი უნდა მიიყვანონ სასახლეში, გამოიძიონ მისი საქმე და დაუბრუნონ იგი თავის ბატონს.

19. უკეთუ ის¹ თავის სახლში დაიტოვებს ამ მონას, და შემდგომ კი მონას აღმოაჩენენ მის ხელში, ეს კაცი უნდა მოკლან.

20. უკეთუ მონა გაიქცევა მისი დამპყრის ხელიდან, მან უნდა დაუფიცოს ღმერთი მონის ბატონს და თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან.

21. უკეთუ კაცი შეანგრევს სახლს, იგი ამ შენანგრევის წინ უნდა მოკლან და ჩაფლან.

22. უკეთუ კაცი ჩაიდენს ძარცვას და შეპყრობილ იქნება, იგი უნდა მოკლან.

¹ ვინც მონა დაიჭირა.

23. უკეთუ მძარცველი არ იქნება შეპყრობილი, გაძარცულმა კაცმა ღეთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი, რაც მან დაჰკარგა, ხოლო თემმა და რაბიანთმმა¹, რომელთა მიწაზე და საზღვრებშიც ჩადენილია ძარცვა, უნდა აუნაზღაურონ მას, რაც მან დაჰკარგა.

24. უკეთუ ამ დროს მოკლულ იქნა კაცი, თემმა და რაბიანთმმა მის ხალხს უნდა მიუწონონ 1 მინა ვერცხლი.

25. უკეთუ კაცის სახლში ხანძარი გაჩნდა და კაცი, რომელიც მივა ხანძრის ჩასაქრობად, თვალს მიაპყრობს სახლის პატრონის ხაბაკს და წაიღებს რამეს სახლის პატრონის ხაბაკიდან, ეს კაცი უნდა ჩააგდონ ამავე ცეცხლში.

26. უკეთუ რედუმი² ან ბაირუმი², რომელსაც ნაბრძანები აქვს წავიდეს მეფის ლაშქრობაში, არ წაეა ან დაიქირავებს ვინმეს და მას გაგზავნის თავის ნაცვლად, ეს რედუმი ან ბაირუმი უნდა მოკლან; მის მიერ დაქირავებულ კაცს შეუძლია მიიღოს მისი სახლი.

27. უკეთუ რედუმი ან ბაირუმი წაყვანილი იქნება ტყვედ მეფის სამსახურში ყოფნისას, ხოლო მის შემდეგ მისი სახნავ-სათესი და ბალი გადაეცემა სხვას და მას დაეკისრება მისი სამხედრო ბეგარა, თუ იგი დაბრუნდება და მიაღწევს თავის სოფელს, მას უნდა დაუბრუნდეს თავისი სახნავ-სათესი და ბალი, და ის თვითონ მოიხდის თავის ბეგარას.

28. უკეთუ რედუმი ან ბაირუმი წაყვანილი იქნება ტყვედ მეფის სამსახურში ყოფნისას, ხოლო მის ვაჭიშვილს შეეძლება იხადოს ბეგარა, მას უნდა მიეცეს სახნავ-სათესი და ბალი, და იგი მოიხდის თავისი მამის ბეგარას.

29. უკეთუ მისი ვაჭიშვილი მცირეწლოვანია და ვერ შეძლებს იხადოს თავისი მამის ბეგარა, სახნავ-სათესისა და ბალის მესამედი უნდა მიეცეს დედაჩისს და დედამისი გაზრდის მას.

30. უკეთუ რედუმი ან ბაირუმი თავისი ბეგარის სიმძიმის გამო მიატოვებს თავის სახნავ-სათესს, ბალსა და სახლს და სხვაგან წაეა, ხოლო მის შემდეგ სხვა აიღებს მის სახნავ-სათესს, ბალსა

¹ თემის მამასახლისი, სათემო დასახლების მეთაური, დანიშნული მეფის მიერ.

² მხედრები—სამეფო ბეგარავალდებულნი პირნი, რომლებსაც მიღებული აქვთ მიწის ნაკვეთი სამსახურის პირობით.

და სახლს და იხდის მის ბეგარას 3 წლის განმავლობაში, თუ იგი დაბრუნდება და მოითხოვს სახნავ-სათესს, ბალსა და სახლს, ისინი მას არ უნდა მიეცეს. ის, ვინც აიღო ისინი და იხდიდა მის ბეგარას, თვითონ მოიხდის მას.

31. უკეთუ იგი სხვაგან იქნება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში და დაბრუნდება, მას უნდა მიეცეს მისი სახნავ-სათესი, ბალი და სახლი, და იგი თვითონ მოიხდის თავის ბეგარას.

32. უკეთუ რედუმს ან ბაირუმს, რომელიც წაყვანილი იყო ტყვედ მეფის ლაშქრობის დროს, გამოისყიდის თამქარი და მიიყვანს მის სოფელში, თუკი მის სახლში არის რამე მის გამოსასყიდად, მან თვითონ უნდა გამოისყიდოს თავისი თავი;

თუ მის სახლში არაფერია მის გამოსასყიდად, იგი უნდა გამოისყიდონ მისი სოფლის ტაძარში.

უკეთუ მისი სოფლის ტაძარს არაფერი აქვს მის გამოსასყიდად, იგი უნდა გამოისყიდოს სასახლემ. მისი სახნავ-სათესი, ბალი და სახლი არ უნდა გაიციეს მის გამოსასყიდად.

33. უკეთუ დექუმი¹ ან ლუბუთუმი² შეიძენს ამოგდებულ კაცს³ ან მეფის ლაშქრობის დროს დაიქირავებს კაცს და შემცვლელის სახით გაგზავნის მას, ეს დექუმი ან ლუბუთუმი უნდა მოკლან.

34. უკეთუ დექუმი ან ლუბუთუმი წაიღებს რედუმის ხაბაკს, ზიანს მიაყენებს რედუმს, გააქირავებს რედუმს, ხელში ჩაუგდებს რედუმს სასამართლოში უფრო ძლიერს ან თვითონ წაიღებს საჩუქარს, რომელიც რედუმს მისცა მეფემ, ეს დექუმი ან ლუბუთუმი უნდა მოკლან.

35. უკეთუ კაცი რედუმისაგან იყიდის მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვს, რომელიც რედუმს მისცა მეფემ, ის ჰკარგავს თავის ვერცხლს.

36. რედუმის, ბაირუმის ან შემოსავლის მიმტანის⁴ სახნავ-სათესი ბალი და სახლი არ უნდა გასცენ ვერცხლში.

¹ სიტყვასიტყვით «შემკრები», «მოლაშქრე», მხედართა უფროსი.

² სიტყვასიტყვით—«ძლიერი კაცი», მხედართა უფროსი.

³ უთვისტომო, უპატრონო კაცი?

⁴ ბეგარავალდებული პირი, რომელმაც სამემკვიდრეო მფლობელობით მიიღო ნაკვეთი სამეფო მიწაზე კირანახულას დიდი ნაწილის გადახდის პირობით.

37. უკეთუ კაცი იყიდის რედუმის, ბაირუმის ან შემოსავლის მიმტანის სახნავ-სათესს, ბალსა და სახლს, მაშინ მისი ტაბულა¹ უნდა დაიმტვრეს, თანაც იგი ჰკარგავს თავის ვერცხლს. სახნავ-სათესი, ბალი და სახლი უბრუნდება მათ პატრონს.

38. რედუმს, ბაირუმს ან შემოსავლის მიმტანს არ შეუძლია მის ბეგარასთან დაკავშირებულ სახნავ-სათესიდან, ბალიდან ან სახლიდან გადასცეს რამე თავის ცოლს ან ქალიშვილს, აგრეთვე გასცეს თავისი ვალის დასაფარავად.

39. სახნავ-სათესიდან, ბალიდან ან სახლიდან, რომლებიც მან იყიდა და შეიძინა, მას შეუძლია გადასცეს რამე თავის ცოლს ან ქალიშვილს, აგრეთვე გასცეს თავისი ვალის დასაფარავად.

40. ნადითუმს², თაქპარს ან სხვა ბეგარავალდებულს შეუძლია გასცეს თავისი სახნავ სათესი. თავისი ბალი და თავისი სახლი ვერცხლში. მყიდველმა უნდა იხადოს ბეგარა, დაკავშირებული სახნავ-სათესთან, ბალთან ან სახლთან, რომლებიც მან იყიდა.

41. უკეთუ კაცი რედუმის, ბაირუმისა ან შემოსავლის მიმტანის სახნავ-სათესს, ბალს და სახლს გასცვლის თავის ქონებაზე და სართსაც მიუმატებს, მაშინ რედუმს, ბაირუმს ან შემოსავლის მიმტანს შეუძლია დაუბრუნდეს თავის სახნავ-სათესს, ბალსა და სახლს, თანაც შეუძლია წაიღოს სართი, რომელიც მას გადაუხადეს.

42. უკეთუ კაცი იჯარით აიღებს მიწას დასამუშავებლად და არ მოიყვანს მასზე პურს, იგი უნდა ამხილონ, რომ მან არ შეასრულა საჭირო სამუშაო მინდვრად, და მან უნდა მისცეს სახნავ-სათესის პატრონს პური, მისი მეზობლების მოსავლის შესაბამისად.

43. უკეთუ ის არ დაამუშავებს სახნავ-სათესს და მიატოვებს მას, მან უნდა მისცეს სახნავ-სათესის პატრონს პური, მისი მეზობლების მოსავლის შესაბამისად, ხოლო სახნავ-სათესი, რომელიც მან მიატოვა, უნდა მოხნას, დაფარცხოს და დაუბრუნოს მიწის პატრონს.

44. უკეთუ კაცმა იჯარით აიღო დასამუშავებლად ყამირი მიწა 3 წლით, მაგრამ სიზარმაცის გამო მიწა არ დაამუშავა, მეოთხე წელიწადს მან მიწა უნდა მოხნას, დაბაროს და დაფარცხოს და

¹ თიხის ფირფიტა, რომელზედაც დაწერილია ხელშეკრულების ტექსტი.

² ქურუმ ქალთა კატეგორია, რომელსაც წილი აქვს სამეფო მიწაზე.

დაუბრუნოს იგი სახნავ-სათესის პატრონს, თანაც მიუზომოს მას 1 ბურზე 10 ქურუ პური.

45. უკეთუ კაცი თავის სახნავ-სათესს საიჯარო ქირით გადასცემს მიწათმოქმედს და მიიღებს საიჯარო ქირას თავის სახნავ-სათესში, შემდეგ ადადი¹ შეტბორავს სახნავ-სათესს ან წყალდიდობა წალექავს სამკალს, იზარალებს მხოლოდ მიწათმოქმედი.

46. უკეთუ იგი არ მიიღებს საიჯარო ქირას, ან სახნავ-სათესს გასცემს სანახევროდ ან სამესამედოდ, მაშინ მინდორზე მოყვანილი პური მიწათმოქმედმა და მიწის პატრონმა უნდა გაიყონ დათქმულ წილთა შეფარდების მიხედვით.

47. უკეთუ მიწათმოქმედი, იმის გამო, რომ მან პირველ წელიწადს ვერ ნახა სარგებლობა თავისი შრომის შედეგად, იტყვის: «მე დავამუშავებ მიწას ჩემთვისო», მიწის პატრონი არ უნდა წავიდეს ამის წინააღმდეგ: მისი მიწა უნდა დაამუშაოს მხოლოდ მისმა ამ მიწათმოქმედმა, და ნების დროს იგი მიიღებს პურს ხელშეკრულების შესაბამისად.

48. უკეთუ კაცს მართებს პროცენტიანი ვალი, ხოლო ადადი შეტბორავს სახნავ-სათესს, ან წყალდიდობა წალექავს სამკალს, ან გვალვის გამო მინდორზე არ მოვა პური, მას ამ წელიწადს შეუძლია არ დაუბრუნოს პური თავის მეველეს და მოსპოს თავისი საბუთი; ასევე მას შეუძლია არ მისცეს ამ წლის პროცენტი.

49. უკეთუ კაცი თამქარს გამოართმევს ვერცხლს, და თამქარს მისცეს პურის ან ქუნჯუთის მოსაყვანად ვარგის მიწას, თანაც იტყვის: «დაამუშავე მიწა, ხოლო პური ან ქუნჯუთი, რომელიც მოვა, აიღე და შენი იყოსო», და თუ მიწათმოქმედი მოიყვანს პურს ან ქუნჯუთს, მომკის დროს მინდორზე მოყვანილი პური და ქუნჯუთი უნდა წაიღოს მხოლოდ მიწის პატრონმა და თამქარს უნდა მისცეს პური თამქარისაგან მიღებულ ვერცხლში, და მისი პროცენტი, აგრეთვე თამქარის მიერ დასამუშავებლად გაწეული ხარჯებისათვის.

50. უკეთუ იგი ვალის დასაფარავად მისცემს უკვე დამუშავებული პურის ყანას ან დამუშავებული ქუნჯუთის მინდორს, მაშინ მინდორზე მოყვანილი პური ან ქუნჯუთი უნდა წაიღოს მხოლოდ მიწის პატრონმა და თამქარს უნდა დაუბრუნოს ვერცხლი და მისი პროცენტები.

¹ ქეკა-ქუხილის, წვიმის და წყალდიდობის ღმერთი.

51. უკეთუ მას არ ექნება ვერცხლი ვალის დასაბრუნებლად, მას შეუძლია თამქარს ვერცხლში მისცეს პური ან ქუნჯუთი, აგრეთვე მისი პროცენტები, რაც მან მიიღო თამქარისაგან, მეფის კანონების თანახმად.

52. უკეთუ მიწათმოქმედიარ მოიყვანს მინდორზე პურს ან ქუნჯუთს, ამან არ უნდა შეცვალოს მისი ხელშეკრულება.

53. უკეთუ კაცს დაეზარება გაამაგროს თავისი მინდვრის კაშხალი, და იმის გამო, რომ კაშხალი არ იყო გამაგრებული მის მიერ, მისი კაშხალი გაირღვევა, ხოლო წყალი წალეკავს თემის დამუშავებულ მიწას, მაშინ იმ კაცმა, რომლის კაშხალიც გაირღვა, უნდა აანაზღაუროს მის მიერ განადგურებული პური.

54. უკეთუ იგი ვერ შესძლებს აანაზღაუროს პური, მაშინ ის და მისი მოძრავი ქონება უნდა გაიყიდოს ვერცხლში, და ეს ვერცხლი უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის თემის იმ წევრებმა, რომელთაც მიწა ჰქონდათ დამუშავებული და რომელთა პურიც წყალმა წალეკა.

55. უკეთუ კაცი, გახსნის რა თავის არხს მოსარწყავად, დაუღევრობით დაუშვებს, რომ წყალმა წალეკოს მისი მეზობლების ყანა, მან უნდა მიუწყას პური, მისი მეზობლების მოსავლის შესაბამისად.

56. უკეთუ კაცი გამოუშვებს წყალს, და წყალი წალეკავს მისი მეზობლის დასათესად მომზადებულ მინდორს¹, მან უნდა მიუწყას მას 1 ბურზე 10 ქურუ პური.

57. უკეთუ მწყემსი არ შეუთანხმდება მინდვრის პატრონს წვრილფეხა პირუტყვის ბალახით კვების შესახებ და მინდვრის პატრონის დაუკითხავად მოაძოვებინებს მინდორს წვრილფეხა პირუტყვს, მინდვრის პატრონი მომკის თავის მინდორს²; მწყემსმა, რომელმაც მინდვრის პატრონის დაუკითხავად მოაძოვებინა მინდორი წვრილფეხა პირუტყვს, პატრონის მიერ მომკილ მოსავლის გარდა, მინდვრის პატრონს უნდა მისცეს 1 ბურზე 20 ქურუ პური.

58. უკეთუ მას შემდეგ, რაც წვრილფეხა პირუტყვი დატოვებს მდელს და მთელი ჯოგი დაკავებულ იქნება ქალაქის კარებთან, მწყემსი გაუშვებს წვრილფეხა პირუტყვს მინდორზე და მოაძოვებინებს მას წვრილფეხა პირუტყვს, მაშინ მწყემსმა უნდა უდა-

¹ სიტყვასიტყვით «მისი მოსახლერის მინდვრის ნამუშევარს».

² ე. ი. დარჩენილ მოსავალს.

რაჯოს მინდორს, რომელზედაც მან აძოვა პირუტყვი, და მკისდროს მინდვრის პატრონს მიუწყას 1 ბურზე 60 ქურუ პური.

59. უკეთუ კაცი მოსკრის კაცის ბაღში ხეს ბაღის პატრონის დაუკითხვად, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

60. უკეთუ კაცი მისცემს მებაღეს მინდორს ბაღის გასაშენებლად, ხოლო მებაღე გააშენებს ბაღს და ამ ბაღს უელის 4 წლის განმავლობაში, მეხუთე წელიწადს ბაღის პატრონი და მებაღე გაიყოფენ ერთმანეთს შორის თანაბრად; ბაღის პატრონმა პირველმა უნდა აირჩიოს და წაიღოს თავის წილი.

61. უკეთუ მებაღე ვერ დაამთავრებს ბაღის გაშენებას მინდორზე და მის ნაწილს გაუშენებელს დატოვებს, დაუმუშავებელი ნაწილი უნდა შევიდეს მის წილში.

62. უკეთუ ის ვერ გადააქცევს ბაღად მინდორს, რომელიც მას მიეცა, თუკი ეს დამუშავებული მიწაა, მებაღემ მინდვრის პატრონს უნდა გადაუხადოს საიჯარო ქირა, მეზობლების მსგავსად, იმ წლებისა რომელთა განმავლობაში მიწა შიტოვებული იყო, აგრეთვე უნდა შეასრულოს სამუშაო მინდორზე და დაუბრუნოს იგი მინდვრის პატრონს.

63. უკეთუ ეს ყამირი მიწაა, მან უნდა შეასრულოს სამუშაო მინდორზე და დაუბრუნოს მინდვრის პატრონს, აგრეთვე მიუწყას ერთი წლისა თვითეულ ბურზე 10 ქურუ პური.

64. უკეთუ კაცი მისცემს მებაღეს თავის ბაღს პალმების გასანაყოფიერებლად, მებაღემ, ვიდრე ფლობს ბაღს, უნდა აძლიოს მოსავლის ორი მესამედი ბაღის შემოსავლიდან ბაღის პატრონს, ხოლო მესამედი აიღოს თვითონ.

65. უკეთუ მებაღე არ გაანაყოფიერებს ბაღს და შეამცირობს შემოსავალს, მებაღემ უნდა მისცეს ბაღის საიჯარო ქირა, მეზობლების მსგავსად.

66. უკეთუ კაცი ისესხებს ვერცხლს თამქარისგან და მისი თამქარი დაჟინებით მოითხოვს ვალის გადახდას, მას კი არაფერი აქვს მისაცემი, და იგი თამქარს მისცემს თავის ბაღს განაყოფიერების შემდეგ და ეტყვის: «ბაღში მოყვანილი ყველა ინდისხურმა წაიღე შენს ვერცხლშიო», ამ თამქარს არ შეუძლია დაეთანხმოს ამას.

ბაღში მოყვანილი ინდისხურმა უნდა წაიღოს მხოლოდ ბაღის პატრონმა და დააკმაყოფილოს თამქარი ვერცხლით და მისი პროცენტებით თანახმად თავისი საბუთისა, ხოლო ბაღში მოყვანილი დანარჩენი ინდისხურმა წაიღოს მხოლოდ ბაღის პატრონმა.

67. უკეთუ კაცი სახლს აშენებს და მის გვერდით .
უნდა მისცეს მას .

(აკლია 3 მუხლი)

71. უკეთუ კაცი მისცემს პურს, ვერცხლს ან სხვა მოძრავ ქონებას ბეგარასთან დაკავშირებული სახლის შესაძენად, რომელიც განეკუთვნება მისი მეზობლის კარ-მიდამოს, რასაც ის ყიდულობს, მაშინ ის ჰკარგავს ყველაფერს, რაც მან მისცა, სახლი უნდა დაუბრუნდეს მის პატრონს.

თუ ეს სახლი არაა დაკავშირებული ბეგარასთან, მას შეუძლია იგი იყიდოს; ამ სახლში მას შეუძლია მისცეს პური, ვერცხლი ან სხვა მოძრავი ქონება.

(აკლია 6 მუხლი)

78. უკეთუ სახლში მცხოვრები კაცი მისცემს სრულად სახლის პატრონს თავის წლიურ ქირას, მაგრამ სახლის პატრონი უბრძანებს მდგმურს დაკალოს ბინა ვადის გასვლამდე, მაშინ სახლის პატრონი, იმის გამო, რომ მან აიძულა მდგმური გასულიყო სახლიდან ვადის გასვლამდე, ჰკარგავს ვერცხლს, რომელიც მას მისცა მდგმურმა.

(აკლია 10 მუხლი)

88. . . . უნდა დაუბრუნდეს მას ისევე, როგორც მის მეზობლებს.

89. უკეთუ თამქარი გაასესხებს პურს ან ვერცხლს პროცენტით, 1 ქურუზე მას შეუძლია აიღოს 100 კა მარცვლეული როგორც პროცენტი — თუ მან ვერცხლი გაასესხა პროცენტით, 1 სიკლ ვერცხლზე შეუძლია აიღოს $\frac{1}{6}$ სიკლი და 6 შე, როგორც პროცენტი¹.

90. უკეთუ კაცს, რომელმაც აიღო ვალი პროცენტით, არა აქვს ვერცხლი ვალის დასაბრუნებლად, არამედ აქვს მხოლოდ პური, თანახმად მეფის კანონისა, თამქარმა უნდა აიღოს თავისი პროცენტი ანგარიშით: 100 კა 1 ქურუზე მხოლოდ პურით.

91. უკეთუ თამქარი უარს იტყვის და გადაამეტებს 1 ქურუზე 100 კა მარცვლეულის პროცენტს ან 1 სიკლზე $\frac{1}{6}$ სიკლს და 6 შე ვერცხლს და აიღებს მას, იგი ჰკარგავს, რაც მისცა.

¹ ე. ი. მაქსიმალური პროცენტი, რომელიც კანონით ნებადართული ჰქონდა მეფისთვის, იყო: პურზე 33 $\frac{1}{3}$ % და ვერცხლზე 20 %.

92. უკეთუ თამქარი პროცენტით გასცემს პურს ან ვერცხლს და შემდეგ აიღებს მხოლოდ პროცენტებს . . . პურსა და ვერცხლს—მისგან პროცენტები არ არის . . .

93. ან იმაზე, რამდენი აიღო, არ აღნიშნავს ვალის თანხის შემცირებას, და არ დაუწერს დამატებითს საბუთს, ან ვალის ძირითად თანხას მიუმატებს პროცენტებს, ამ თამქარმა უნდა დაუბრუნოს პური ორმაგად, ვიდრე მან აიღო ვალის დასაფარავად.

94. უკეთუ თამქარი გაასესხებს პურს ან ვერცხლს პროცენტით და სესხის გაცემის დროს მისცემს ვერცხლს ნაკლები საწონით ან პურს ნაკლები საწყავით, ან როდესაც ღებულობს, გამოართმევს ვერცხლს მეტი საწონით ან პურს მეტი საწყავით, ეს თამქარი ჰკარგავს, რაც მისცა.

95. უკეთუ თამქარი სესხად აძლევს პურს ან ვერცხლს პროცენტით იმ დროს, როდესაც კონტროლიორი არ ესწრება, ის ჰკარგავს, რაც მისცა.

96. უკეთუ კაცი გამოართმევს თამქარს პურს ან ვერცხლს, ხოლო მას არ აქვს პური ან ვერცხლი ვალის დასაბრუნებლად, მაგრამ აქვს მხოლოდ სხვა მოძრავი ქონება, მას შეუძლია მისცეს თამქარს მოწმეების დასწრებით, რაც მიიტანა,—ყველაფერი რაც კი მის ხელთ აქვს,—თამქარმა არ უნდა თქვას უარი, არამედ უნდა მიიღოს.

(აკლია 2 მუხლი)

99. უკეთუ კაცი მისცემს კაცს ვერცხლს ამხანაგობის წესით, მოგება და ზარალი, რაც კი იქნება მათ უნდა გაინაწილონ თანაბრად ღმერთთა წინაშე.

100. უკეთუ თამქარი მისცემს შამალუმს¹ ვერცხლს გასასყიდად და შესასყიდად და გაუშვებს მას სამგზავროდ, ხოლო შამალუმი მგზავრობაში გაამრავლებს მისთვის მინდობილ ვერცხლს, თუკი შამალუმი იქ, სადაც გაემგზავრება, მოგებას ნახავს, მან უნდა გამოიანგარიშოს პროცენტები მთელი ვერცხლისა, რამდენიც კი წაიღო, და შემდეგ გამოთვალოს თავისი დღეები და დააკმაყოფილოს თამქარი.

101. უკეთუ იგი ვერაფერს მოიგებს იქ, სადაც გაემგზავრება, შამალუმმა უნდა მისცეს თამქარს წაღებული ვერცხლი ორმაგად.

¹ თამქარის აგენტი ვაჭრობის დარგში.

102. უკეთუ თამქარი უპროცენტოდ ასესხებს შამალუმს ვერცხლს, ხოლო ის იზარალებს იქ, სადაც გაემგზავრება, მან თამქარს უნდა დაუბრუნოს ძირითადი თანხა¹.

103. უკეთუ გზაში მას მტერი წაართმევს ყველაფერს, რაც მიჰქონდა, შამალუმმა უნდა დაიფიცოს ღმერთი და ის თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

104. უკეთუ თამქარი მისცემს შამალუმს პურს, მატყლს, ზეთს და სხვა რამე ქონებას გასაყიდად, შამალუმმა უნდა გამოიანგარიშოს ვერცხლი და დაუბრუნოს თამქარს. შამალუმმა უნდა მიიღოს ბეჭედდასმული საბუთი იმ ვერცხლზე, რომელიც მან მისცა თამქარს.

105. უკეთუ შამალუმი დაუღვევარი იქნება და არ აიღებს ბეჭედდასმულ საბუთს ვერცხლზე, რომელიც მან მისცა თამქარს, მაშინ ის ვერცხლი. რომელზედაც არ გაცემულა ბეჭედდასმული საბუთი, არ შევა ანგარიშში.

106. უკეთუ შამალუმი აიღებს თამქარისაგან ვერცხლს და უარყოფს თავის თამქარის წინაშე, ამქამქარმა უნდა ამხილოს შამალუმი ღვთისა და მოწმეთა წინაშე ვერცხლის მიღებაში და შამალუმმა სამმაგად უნდა მისცეს თამქარს ვერცხლი, რომელიც მან მიიღო.

107. უკეთუ თამქარი მიანდობს რამეს შამალუმს და შამალუმი დაუბრუნებს თავის თამქარს ყველაფერს, რაც მას თამქარმა მისცა, ხოლო თამქარი უარყოფს მის წინაშე რამეს მიღებას, რაც მას შამალუმმა მისცა, ამ შამალუმმა უნდა ამხილოს თამქარი ღვთისა და მოწმეთა წინაშე და თამქარმა იმის გამო, რომ მან უარყო თავის შამალუმის წინაშე. ექვსმაგად უნდა მისცეს შამალუმს ყველაფერი, რაც მიიღო;

108. უკეთუ მიკიტანი ქალი არ ღებულობს პურს სიქარუს² ფასად, ვერცხლს ღებულობს მეტად დიდი საწონით და სიქარუს სატარიფო ოდენობას ამცირებს პურის სატარიფო ოდენობასთან შედარებით, მაშინ ეს მიკიტანი ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ.

109. უკეთუ მიკიტანი ქალის სახლში პირს ჰკრავენ დამნაშავენი და იგი არ შეიპყრობს დამნაშავეებს და არ მიიყვანს სასახლეში, ეს მიკიტანი ქალი უნდა მოკლან.

¹ სიტყვისიტყვით «ვერცხლის თავი».

² სიქარუ — ქერისაგან გაკეთებული დამთრობი სასმელი.

110. უკეთუ ნადით უმი¹ ან ენთ უმი², რომელიც სავანეში არ ცხოვრობს, გახსნის სამიკიტნოს ან შევა სამიკიტნოში სიქარუს დასალევად, ეს თავისუფალი ქალი³ უნდა დაიწვას.

111. უკეთუ მიკიტანი ქალი გაასესხებს 60 კა თავის ლუდს, მომკის დროს მან უნდა მიიღოს 50 კა პური.

112. უკეთუ კაცი იმყოფება მგზავრობაში და სხვა კაცს მისცემს ვერცხლს, ოქროს, ძვირფას ქვებს ან სხვა მოძრავ ქონებას, რაც მას ხელთ აქვს და გააგზავნის ამანათის მისატანად, მაგრამ ეს კაცი არ მისცემს იმას, რაც გაატანეს იქ, სადაც გაგზავნილი იყო, არამედ თვითონ წაიღებს, მაშინ ამანათის პატრონმა უნდა ამხილოს იგი მასში, რომ მან არ მისცა ის, რაც გაგზავნილი იყო, და ამ კაცმა ამანათის პატრონს ხუთმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც მან მისცა.

113. უკეთუ კაცმა ასესხა კაცს პური ან ვერცხლი და იგი პურის პატრონის დაუკითხავად წაიღებს პურს ბელლიდან ან კალოდან, ეს კაცი მხილებულ უნდა იქნას მის მიერ ბელლიდან ან კალოდან პურის წაღებაში პურის პატრონის დაუკითხავად, და მან უნდა დააბრუნოს მთლიანად მის მიერ წაღებული პური, აგრეთვე ჰკარგავს ყველაფერს, რაც მან სესხად მისცა.

114. უკეთუ კაცს კაცისათვის სესხად არ მიუცია პური ან ვერცხლი, მაგრამ ეუოლება მისი მძევალი, თვითეულ მძევალზე იგი ვალდებულია მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

115. უკეთუ კაცმა ასესხა კაცს პური ან ვერცხლი და მას ეუოლება მისი მძევალი, ხოლო მძევალი თავისი ბედისწერით მოკვდება მოგირავნის სახლში, ეს არ იქნება პრეტენზიის საფუძველი⁴.

116. უკეთუ მძევალი მოკვდება მოგირავნის სახლში ცემის ან ცუდად მოპყრობის შედეგად, მძევის პატრონმა უნდა ამხილოს თავისი თამქარი, უკეთუ დაგირავებულია კაცის ვაჟიშვილი, უნდა მოკლან მოგირავნის ვაჟიშვილი, უკეთუ ის კაცის მონაა, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი, თანაც ჰკარგავს ყველაფერს, რაც მან სესხად მისცა.

117. უკეთუ კაცს ვალი მართებს და ვერცხლში მისცემს ან სავალო კაბალაში გადასცემს თავის ცოლს, თავის ვაჟიშვილს

¹ სიტყვასიტყვით «უნაყოფოა—ქურუმ ქალთა კატეგორია, «ღვთის ხასა».

² ქურუმ ქალთა კატეგორია, «ღვთის ქალბატონი ან ღვთის და».

³ სრულუფლებიანი ქალი.

⁴ სიტყვასიტყვით «ამ სასამართლო საქმეს არა აქვს პრეტენზია ან სარხელი».

ან თავის ქალიშვილს, მათ უნდა იმსახურონ მყიდველის ან გამსე-
სხებლის სახლში 3 წელიწადი; მეოთხე წელიწადს ისინი უნდა გა-
ათავისუფლონ.

118. უკეთუ იგი გადასცემს სავალო კაბალაში მონას ან მხე-
ვალს, თამქარს შეუძლია გადასცეს იგი სხვას, მისცეს იგი ვერცხ-
ლში; მონა თუ მხევეალი არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას
უკანვე სასამართლო წესით¹.

119. უკეთუ კაცს ვალი მართებს და ვერცხლში მისცემს
თავის მხეველს, რომელმაც მისგან შეიღებუ შობა, მხეველის პა-
ტრონს შეუძლია მიუწონოს ვერცხლი, რომელიც მიუწონა მას
თამქარმა, და გამოისყიდოს თავისი მხევეალი.

120. უკეთუ კაცი თავის პურს შეინახავს კაცის სახლში და
პურის საწყობში აღმოჩნდება დანაკლისი, ან სახლის პატრონი,
გახსნის რა ბელელს, წაიღებს პურს, ან სრულიად უარს იტყვის,
რომ პური შენახული იყო მის სახლში, პურის პატრონმა ღვინის
წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს თავისი პური და სახლის პატრონმა
პურის პატრონს ორმაგად უნდა მისცეს მის მიერ წაღებული
პური.

121. უკეთუ კაცი შეინახავს თავის პურს კაცის სახლში, მან
უნდა მისცეს წელიწადში ბელლის ქირა თვითეულ ქურუზე 5 კა
პური.

122. უკეთუ კაცი მიაბარებს კაცს შესანახად ვერცხლს, ოქროს,
ან სხვა რამეს, მან უნდა წარუდგინოს მოწმეებს ყველაფერი,
რასაც კი აბარებს, დადოს ხელშეკრულება და შეუძლია მისცეს
შესანახად.

123. უკეთუ იგი შესანახად მიაბარებს უმოწმეებოდ და უხელ-
შეკრულებოდ, და იქ, სადაც მან მიაბარა უარყოფენ მის წინაშე,
ეს არ იქნება პრეტენზიის¹ საფუძველი.

124. უკეთუ კაცი მიაბარებს კაცს შესანახად ვერცხლს, ოქროს
ან სხვა რამეს მოწმეთა დასწრებით, და იგი უარყოფს მის წინაშე,
ეს კაცი უნდა ამხილონ და მან ორმაგად უნდა დააბრუნოს ყვე-
ლაფერი, რაზედაც უარს ამბობდა.

125. უკეთუ კაცი შესანახად მიაბარებს რამეს, და იქ, სადაც
მან მიაბარა, ან შენგრევის გზით ან შემტვრევის შედეგად დაიკა-
რგება მისი კუთვნილი რამე სახლის პატრონის კუთვნილ რაიმე

¹ «სარჩელის აღძვრა», «სასამართლო წესით მოთხოვნა». იხ. 115 მუხლის
შენიშვნა.

ნივთთან ერთად, სახლის პატრონმა, რომელიც დაუდევარი იყო და დაუშვა, რომ დაკარგულიყო რამე მისთვის შესანახად მიბარებული, უნდა შეუქოს და აუნაზღაუროს ქონების პატრონს მისთვის შესანახად მიბარებული. სახლის პატრონს შეუძლია ეძიოს ყველაფერი, რაც მან დაკარგა, და მიიღოს ქურდისაგან.

126. უკეთუ კაცი, რომელსაც არაფერი არ დაკარგვია იტყვის: «მე რაღაც დაჰეკარგაო» და ცილს დასწამებს თავის მეზობლებს, მისმა მეზობლებმა ღვთის წინაშე ფიცით უნდა ამხილონ იგი მასში. რომ მას არაფერი არ დაკარგვია, და მან უნდა მისცეს თავის მეზობლებს ორმაგად ის, რაზედაც ის პრეტენზიას აცხადებდა.

127. უკეთუ კაცი ენთუმის ან კაცის ცოლის წინააღმდეგ თითს გაიშვერს¹ და ვერ დაამტკიცებს ბრალდებას, ეს კაცი უნდა დაანაზონ მოსამართლეების წინაშე, აგრეთვე გაპარსონ მას საფეთქლები².

128. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა.

129. უკეთუ კაცის ცოლს წაასწრებენ სხვა კაცთან მწოლარეს, ისინი უნდა შეკრან და წყალში გადაადგონ. თუ ცოლის პატრონი შეუწარჩუნებს თავის ცოლს სიცოცხლეს, მეფემაც უნდა შეუწარჩუნოს სიცოცხლე თავის მონას.

130. უკეთუ კაცი გააუპატიურებს კაცის ცოლს³, რომელსაც მამაკაცთან არ უტხოვრია და თავისი მამის სახლში იმყოფება, ჩაუწვება ქალს და მას წაასწრებენ, ეს კაცი უნდა მოკლან; ქალი კი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

131. უკეთუ კაცის ცოლს სახელს გაუტეხს მისი ქმარი ფიცით, ხოლო ქალი არ ყოფილა წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, ქალმა უნდა დაიფიცოს ღმერთი და შეუძლია დაბრუნდეს თავის სახლში.

132. უკეთუ კაცის ცოლის წინააღმდეგ გაშვერილი იქნება თითი სხვა მამაკაცის გამო, ხოლო ის არ ყოფილა წასწრებული სხვა მამაკაცთან მწოლარე, თავის ქმრისათვის ის უნდა გადავარდეს მდინარეში⁴.

133. უკეთუ კაცი ტყვედ იქნება წაყვანილი და მის სახლში აღმოჩნდება სარჩო, მისმა ცოლმა უნდა . და შეინახოს

¹ ე. ი. ცილს დასწამებს.

² გამაწბილებელი სასჯელი; უპატიობის, მონობის ნიშანი. გრძელი თმა, ქიღაღი (ბაკენბარდი) და წვერი, მრგვალად დაწნილი და სურნელოვანი საცხები ხე-თით წასმული. ბაბილონელის პატივი და სიამაყე იყო.

³ ე. ი. ხელშეკრულებით დანიშნულ საცოლეს.

⁴ ე. ი. განიწმინდოს ბრალდებისაგან (იხ. მე-2 მუხ. შენიშვნა).

თავისი ქონება, ხოლო სხვის სახლში არ უნდა შევიდეს. უკეთუ ეს ქალი არ შეინახავს თავის ქონებას და შევა სხვის სახლში¹ ეს ქალი უნდა ამხილონ და წყალში გადააგდონ.

134. უკეთუ კაცი ტყვედ იქნება წაყვანილი და მის სახლში არ აღმოჩნდება სარჩო, მის ცოლს შეუძლია შევიდეს სხვის სახლში; ეს ქალი არ არის დამნაშავე.

135. უკეთუ კაცი ტყვედ იქნება წაყვანილი, ხოლო მის სახლში არ აღმოჩნდება სარჩო, და ამიტომ მისი ცოლი შევა სხვის სახლში და შობს შვილებს, მერე კი მისი ქმარი დაბრუნდება და მიაღწევს თავის თემს, ეს ქალი უნდა დაუბრუნდეს თავის პირველ მეუღლეს; შვილები დარჩებიან თავიანთ მამებთან.

136. უკეთუ კაცი დასტოვებს თავის თემს² და გაიქცევა, ხოლო ამის შემდეგ მისი ცოლი შევა სხვის სახლში, თუკი ეს კაცი დაბრუნდება და მოისურვებს წაიყვანოს თავისი ცოლი,—ვინაიდან მან მოიძულა თავისი თემი და გაიქცა, გაქცეულის ცოლი არ უნდა დაუბრუნდეს თავის ქმარს.

137. უკეთუ კაცი განიზრახავს მიატოვოს ხასა, რომელსაც მისგან შვილები ეყოლა, ან უნაყოფო ქალი, რომელმაც მას საშუალება მისცა ჰყოლოდა შვილები, ამ ქალს უნდა დაუბრუნდეს მისი მზითევი³, თანაც მიეცეს მას სახნავ-სათესის, ბალის და მოძრავი ქონების ნაწილი, რათა მან შესძლოს გაზარდოს თავისი შვილები. როდესაც იგი გაზარდის შვილებს, მას უნდა მიეცეს მის შვილებზე გაცემული მთელი ქონებიდან წილი, რომელიც თანაბარი იქნება ერთი მემკვიდრე—ვაჟიშვილის წილისა, და შემდეგ ქალი შეუძლია შეერთოს მის მიერ შეყვარებულმა კაცმა.

138. უკეთუ კაცი ტოვებს თავის პირველ მეუღლეს, რომელსაც მისგან არ ეყოლა შვილები, მან უნდა მისცეს ქალს ვერცხლი მისი გამოსასყიდი თანხის⁴ ოდენობით, აგრეთვე შეუყვოს მას მზითევი, რაც ქალმა მოიტანა თავის მამის სახლიდან, და შეუძლია დასტოვოს ქალი.

¹ ე. ი. გათხოვდება.

² სიტყვასიტყვით «მის სოფელს»; როგორც ჩანს კუთვნილება თემისადმი ყველა თავისუფალი ადამიანის არა მარტო უფლება, არამედ ვალდებულებაც იყო.

³ šeriktum — მზითევი, რომელიც მამის სახლიდან ეძლეოდა ქალიშვილს გათხოვების ან ქურუმ ქალად გახდომის დროს (პირადი ნივთები, ავეჯი, ზოგჯერ მონები).

⁴ terhātum. თანხა, რომელსაც უზღის ვერცხლის სახით სასიძო საპატარძლოს მამას იხ. აგრ. მუხ. 139, 159, 161, 163—164, 166.

139. უკეთუ გამოსასყიდი არ ყოფილა, მან უნდა მისცეს ქალს განქორწინების საფასურის სახით 1 მინა ვერცხლი.

140. უკეთუ იგი ნუშქენუშია—მან უნდა მისცეს ქალს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

141. უკეთუ კაცის ცოლი, რომელიც ცხოვრობს კაცის სახლში, განიზრახავს წასვლას და დაიწყებს ხელგაშლილად ცხოვრებას, თავის სახლის გაჩანაგებას, თავის ქმრის შერცხვენას, იგი უნდა ამხილონ და თუ მისი ქმარი გადასწყვეტს განშორდეს მას,—შეუძლია მიატოვოს იგი, შეუძლია არ მისცეს საგზლად განქორწინების არავითარი საფასური.

უკეთუ მისი ქმარი გადასწყვეტს არ მიატოვოს იგი, მის ქმარს შეუძლია სხვა ცოლი შეერთოს, ხოლო ის ქალი თავის ქმრის სახლში უნდა ცხოვრობდეს, როგორც მხევალი.

142. უკეთუ ქალი შეიძულებს თავის ქმარს და ეტყვის მას: «ნუ მოჰკეარებიო» მისი საქმე უნდა გამოიძიონ მის მეზობლებში.

უკეთუ ქალი უბიწო და უმწიკვლოა, ხოლო მისი ქმარი გადის სახლიდან და ძალიან არცხვენს მას, ეს ქალი უდანაშაულოა, მას შეუძლია წაილოს თავისი მზითვეი და წავიდეს თავის მამის სახლში.

143. უკეთუ ქალი არ არის უბიწო და ტოვებს ოჯახს, აოხრებს თავის სახლს, არცხვენს თავის ქმარს, ეს ქალი უნდა გადაადგონ წყალში.

144. უკეთუ კაცი შეირთავს უნაყოფო ქალს, ეს უნაყოფო ქალი თავის ქმარს მიუყვანს მხევალს და ამრიგად გააჩენს შვილებს, ხოლო ეს კაცი განიზრახავს აიყვანოს თავისთვის ხასა, ამის ნება არ უნდა მიეცეს ამ კაცს, მას არ შეუძლია აიყვანოს ხასა.

145. უკეთუ კაცი შეირთავს უნაყოფო ქალს, რომლისაგან მას შვილები არ ეყოლება, და კაცი განიზრახავს აიყვანოს ხასა, ამ კაცს შეუძლია აიყვანოს თავისთვის ხასა და შეიყვანოს ის თავის სახლში. ეს ხასა არ უნდა გაუტოლდეს უნაყოფო ცოლს.

146. უკეთუ კაცი შეირთავს უნაყოფო ქალს, უკანასკნელი მიუყვანს თავის ქმარს მხევალს, და იგი შობს შვილებს, შემდეგ ეს მხევალი თავს მიიჩნევს თავის ქალბატონის ტოლად, ვინაიდან მან შობა შვილები, მის ქალბატონს არ შეუძლია გასცეს ის ვე-

რცხლში; მას შეუძლია დაადოს მას მონობის ნიშანი და გაათანაბროს სხვა მხეველებთან¹.

147. უკეთუ მან შვილები არ შობა, მის ქალბატონს შეუძლია გასცეს იგი ვერცხლში.

148. უკეთუ კაცი ითხოვს ცოლს და ცოლს დაემართება კეთრი, ხოლო იგი განიზრახავს სხვა ქალის შერთვას, მას შეუძლია მოიყვანოს, მან არ უნდა მიატოვოს ცოლი, რომელსაც კეთრი დაემართა, ქალს შეუძლია იცხოვროს სახლში, რომელსაც ქმარი აუშენებს და მან უნდა შეინახოს ქალი, ვიდრე იგი ცოცხალია.

149. უკეთუ ეს ქალი არ დათანხმდება იცხოვროს თავის ქმრის სახლში, ქმარმა უნდა შეუფსოს მას მზითვევი, რომელიც მან მოიტანა თავის მამის სახლიდან, და ქალს შეუძლია წავიდეს.

150. უკეთუ კაცი აჩუქებს თავის ცოლს სახნავე-სათესს, ბალს, სახლს და მოძრავ ქონებას და მისცემს მას ბეჭედდასმულ საბუთს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალის ვაჟიშვილებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ რამე ქალს სასამართლო წესით, დედას შეუძლია მისცეს ის, რაც დარჩება მისი სიკვდილის შემდეგ, თავის საყვარელ ვაჟიშვილს; ძმას კი არ უნდა გადასცეს.

151. უკეთუ ქალი, რომელიც ცხოვრობს კაცის სახლში, იმ მიზნით, რათა მისი ქმრის მევეალებმა არ დააკავონ იგი, ვალდებულს გახდის თავის ქმარს ხელშეკრულებით და აიძულებს მას მისცეს ქალს საბუთი ამის შესახებ, მაშინ თუ ამ კაცს ვალი ემართა ამ ქალის ცოლად შერთვამდე, მის მევეალებს არ შეუძლიათ დააკავონ მისი ცოლი. აგრეთვე, თუ ამ ქალს ვალი ემართა ქმრის სახლში შესვლამდე, ქალის მევეალებს არ შეუძლიათ დააკავონ ქალის ქმარი.

152. უკეთუ მათ დაედებათ ვალი კაცის სახლში ამ ქალის შესვლის შემდეგ, ისინი ერთად აგებენ პასუხს თამქარის წინაშე.

153. უკეთუ კაცის ცოლი მოაკვლევინებს თავის ქმარს სხვა მამაკაცის გამო, ეს ქალი სარზე უნდა ჩამოაცვან.

154. უკეთუ კაცი დაიქვრს კავშირს თავის ქალიშვილთან, ეს კაცი უნდა გააძევეთ თემიდან.

155. უკეთუ კაცი თავის ვაჟს საცოლეს გაურიგებს და მისი ვაჟი დაიქვრს ქალთან კავშირს, ხოლო შემდეგ კი თვითონ ის ჩა-

¹ მხევალი, რომელსაც შვილი შეეძინა თავისი ბატონისაგან, მონობის ნიშანს არ ატარებდა და, ალბათ, განცალკევებით ცხოვრობდა. ბატონის გარდაცვალების შემდეგ ის უნდა განთავისუფლებულიყო (იხ. 171 მუხ.).

უწვება ქალს და წაასწრებენ, ეს კაცი უნდა შეკრან და გადაადგონ წყალში.

156. უკეთუ კაცი თავის ვაჟს საცოლეს გაურიგებს და მის ვაჟს არ ექნება კავშირი ქალთან, ხოლო იგი თვითონ ჩაუწვება ქალს, მან უნდა მიუწონოს ქალს $\frac{1}{2}$, მინა ვერცხლი და შეუვსოს მას ყველაფერი, რაც კი მან მოიტანა მამის სახლიდან, და შემდეგ იგი შეუძლია ცოლად წაიყვანოს კაცმა, რომელიც მას ეყვარება.

157. უკეთუ კაცი თავისი მამის სიკვდილის შემდეგ ჩაუწვება თავის დედას, ისინი ორივენი უნდა დაწვან.

158. უკეთუ კაცს თავისი მამის სიკვდილის შემდეგ წაასწრებენ თავის დედინაცვალთან, რომელმაც შვილები შობა, ეს კაცი უნდა გადაძევონ მამის სახლიდან.

159. უკეთუ კაცი მიიტანს საქორწინო საჩუქარს¹ თავის სიმამრის სახლში, მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი იგი სხვა ქალს მიაპყრობს თვალს და ეტყვის თავის სიმამრს: «მე არ წაიყვან შენს ქალიშვილსო». ქალის მამას შეუძლია დაიტოვოს ყველაფერი, რაც მიტანილი იყო მასთან.

160. უკეთუ კაცი მიიტანს სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარს და მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი ქალიშვილის მამა ეტყვის: «მე არ მოგცემ ჩემს ქალიშვილსო», მან ორმაგად უნდა დაუბრუნოს ყველაფერი, რაც კი იყო მასთან მიტანილი.

161. უკეთუ კაცი მიიტანს თავის სიმამრის სახლში საქორწინო საჩუქარს, მისცემს გამოსასყიდს, შემდეგ კი მისი მეგობარი ცილს დასწამებს მას, და სიმამრი ეტყვის ქალის ბატონს²: «შენ ვერ წაიყვან ჩემს ქალიშვილსო», მან უნდა დაუბრუნოს ყველაფერი ორმაგად, რაც მასთან იყო მიტანილი, მისი ცოლი კი მის მეგობარს არ შეუძლია ცოლად შეირთოს.

162. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს, და მისგან შვილები ეყოლება, შემდეგ ეს ქალი მოკვდება, მის მამას არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია მზითევეზე, მისი მზითევი მხოლოდ მის შვილებს ეკუთვნის.

163. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და მისგან შვილები არ ეყოლება, ხოლო შემდეგ ეს ქალი მოკვდება, თუ კაცის სიმა-

¹ biblum—თანხა ან ნივთი, რომელიც სასიძოს მიაქვს საპატარძლოს მამასთან შეთანხმების დროს.

² ე. ი. საქმროს.

მრი დაუბრუნებს მას გამოსასყიდს, რაც ამ კაცმა მიიტანა თავის სიმამრის სახლში. მის ქმარს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ამ ქალის მზითევზე, მისი მზითევი ეკუთვნის მხოლოდ მისი მამის სახლს.

164. უკეთუ სიმამრი არ დაუბრუნებს მას გამოსასყიდს, მან უნდა გამოაქლოს მისი მზითევიდან იმდენი, რამდენიც იყო გამოსასყიდი და დააბრუნოს ქალის მზითევი მისი მამის სახლში.

165. უკეთუ კაცი აჩუქებს თავის გამორჩეულ მემკვიდრეს¹ სახნავე-სათესს, ბალს და სახლს, და დაუწერს მას ბეკედლასნულ საბუთს, მას შემდეგ. რაც მამა მოკვდება და ძმები შეუდგებიან გაყოფას, მან უნდა აილოს მამის მიერ მისთვის ბოძებული საჩუქარი, და გარდა ამისა, მათ თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მამის სახლის ქონება.

166. უკეთუ კაცი შერთავს ცოლებს თავის ვაჟიშვილებს, ხოლო თავის უმცროს ვაჟს არ შერთავს ცოლს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება და ძმები შეუდგებიან გაყოფას, მამის სახლის ქონებიდან მათ უმცროს ძმას, რომელსაც ჯერ ცოლი არ შეურთავს, გარდა მისი წილისა, უნდა განუსაზღვრონ ვერცხლი საქორწინო გამოსასყიდისათვის და შერთონ მას ცოლი.

167. უკეთუ კაცი ცოლს შერთავს და მისგან შვილები ეყოლება, მერე ეს ქალი მოკვდება და მისი სიკვდილის შემდეგ კაცი მოიყვანს სხვა ქალს, და ისიც შობს შვილებს, შემდგომ, როდესაც მამა მოკვდება და შვილები არ უნდა გაიყონ დედების მიხედვით; მათ უნდა წაიღონ თავიანთი დედების მზითევი და თანაბრად გაიყონ მამის სახლის ქონება.

168. უკეთუ კაცი განიზრახავს გააძევოს თავისი ვაჟიშვილი და ეტყვის მოსამართლეებს: მე ვაძევებ ჩემს შვილსო, მოსამართლეებმა უნდა გამოიძიონ ეს საქმე, და უკეთუ შვილს არ ჩაუდენია მძიმე შეცოდება, რაც საკმარისი იქნებოდა მისთვის მემკვიდრეობის ჩამოსართმევად, მამას არ შეუძლია ჩამოართვას მას მემკვიდრეობა.

169. უკეთუ მან მამის მიმართ ჩაიდინა მძიმე შეცოდება, რაც საკმარისი იქნებოდა მისთვის მემკვიდრეობის ჩამოსართმევად, მათ

¹ ე. ი. უფრო საყვარელ შვილს; სიტყვისიტყვით, «რომელიც მის თვალს ესიამოვნება».

პირველ შემთხვევაში უნდა აპატიონ მას; უკეთუ იგი მძიმე შეცოდებას მეორეჯერ ჩაიდენს, მამას შეუძლია ჩამოართვას შვილს მემკვიდრეობა.

170. უკეთუ კაცს მისი მეუღლისგან შვილები ეყოლება და მისი მხევალიც შობს მისგან შვილებს, და მამა თავის სიცოცხლეში ეტყვის შვილებს, რომლებიც შობა მისგან მხევალმა: «ჩემი შვილებიაო», გაუტოლებს მათ თავის მეუღლის შვილებს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, მეუღლის შვილებმა, და მხველის შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მამის სახლის ქონება; მემკვიდრემ, მეუღლის ვაჟიშვილმა, გაყოფისას პირველმა უნდა აირჩიოს და წაიღოს თავისი ნაწილი.

171. ხოლო თუ მამა თავის სიცოცხლეში არ ეტყვის შვილებს, რომლებიც მისგან შობა მხევალმა «ჩემი შვილებიაო», მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, მხველის შვილებს არ შეუძლიათ გაიყონ მეუღლის შვილებთან ერთად მამის სახლის ქონება.

მხევალი და მისი შვილები უნდა იქნან განთავისუფლებულნი. მეუღლის შვილებს არ შეუძლიათ განაცხადონ პრეტენზიები მხველის შვილების მონად გადაქცევის შესახებ.

მეუღლე ნიიღებს თავის მზითვეს და ქვრივობის წილს¹, რაც მას მისცა და საბუთის მეშვეობით გამოუყო მისმა ქმარმა, და იცხოვრებს თავის ქმრის ბინაში და ისარგებლებს² ყოველივე ამით, ვიდრე ცოცხალია, მაგრამ ვერ გასცემს ვერცხლში; რაც მის შემდეგ დარჩება, მხოლოდ მის შვილებს ეკუთვნის.

172. უკეთუ მისმა ქმარმა არ მისცა ქვრივობის წილი, მაშინ მას უნდა შეუესონ მისი მზითვეი, და მან თავისი ქმრის სახლის ქონებიდან უნდა მიიღოს წილი, თანაბარი ერთი მემკვიდრის წილისა.

თუ მისი შვილები შეავიწროებენ მას, რათა გააძევონ იგი სახლიდან, მოსამართლეებმა უნდა გამოიძიონ ეს საქმე და დასაჯონ მისი შვილები; ეს ქალი არ უნდა წავიდეს თავისი ქმრის სახლიდან.

თუ ეს ქალი განიზრახავს წასვლას, მან შვილებს უნდა დაუტოვოს ქვრივობის წილი, რაც მას მისცა მისმა ქმარმა, თან ჯეი

¹ *nudunnim*—საჩუქარი, რომელსაც ქმარი გადასცემს ცოლს უზრუნველყოფისათვის გარდაცვალების შემთხვევაში.

² სიტყვასიტყვით «კამსა».

წაილოს თავისი მამის სახლის მზითვევი, და იგი შეუძლია შეირთოს ცოლად კაცმა, რომელიც მას ეყვარება.

173. უკეთუ ეს ქალი იქ, სადაც გათხოვდება, შობს შვილებს თავისი მეორე ქმრისგან, მერე კი ეს ქალი მოკვდება, მისი მზითვევი უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის მისმა პირველი და მეორე ქმრისგან შობილმა შვილებმა.

174. უკეთუ მას არ ეყოლება შვილები მეორე ქმრისგან, მისი მზითვევი უნდა მიიღონ მხოლოდ პირველი ქმრის შვილებმა.

175. უკეთუ სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა ცოლად წაიყვანს კაცის ასულს¹ და მას ეყოლება შვილები, მონის ბატონს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია კაცის ასულის შვილების მონად გადაქცევის შესახებ.

176. ხოლო თუ სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა ცოლად შეირთავს კაცის ასულს, და იგი, როდესაც მან ცოლად შეირთო ის, სასახლის მონის ან მუშქენუმის მონის სახლში შევიდა მზითვევით თავის მამის სახლიდან, და მერე, მას შემდეგ, რაც ისინი ერთად დასახლდებიან², შექმნიან ოჯახს და შეიძენენ მოძრავ ქონებას, თუ შემდგომ ან სასახლის მონა ან მუშქენუმის მონა მოკვდება, მაშინ კაცის ასულმა უნდა მიიღოს თავისი მზითვევი.

ხოლო ყველაფერი, რაც მისმა ქმარმა და თვითონ შეიძინეს იმ დროიდან, რაც ერთად დასახლდნენ, უნდა გაიყოს ორ ნაწილად, და ნახევარი უნდა მიიღოს მონის ბატონმა, ნახევარი კი უნდა მიიღოს კაცის ასულმა თავისი შვილებისათვის.

უკეთუ კაცის ასულს არ ჰქონდა მზითვევი, მაშინ ყველაფერი, რაც მისმა ქმარმა და მან თვითონ შეიძინეს ერთად დასახლების დროიდან, უნდა გაიყოს ორ ნაწილად, და ნახევარი უნდა მიიღოს მონის ბატონმა, ნახევარი კი უნდა მიიღოს კაცის ასულმა თავისი შვილებისათვის.

177. უკეთუ ქვრივი, რომელსაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, განიზრახავს შევიდეს სხვის სახლში³, მას არ შეუძლია შევიდეს მოსამართლეთა დაუქითხავად.

როდესაც ის შედის სხვის სახლში, მოსამართლეებმა უნდა გამოიძიონ მისი პირველი ქმრის სახლის საქმე და მისი პირველი

¹ mârât awêlim, თავისუფალი ქალი, რომელიც მონას გაყვა, არ ითვლება «ცოლად», არამედ მაინც იწოდება «კაცის ასულად».

² სიტყვასიტყვით «გაერთიანდებიან».

³ ე. ი. გათხოვდეს.

ქმრის სახლი უნდა ჩააბარონ¹ მის მეორე ქმარსა და ამ ქალს, და გამოართვან მათ საბუთი.

მათ უნდა დაიცვან სახლი, აგრეთვე აღზარდონ მცირეწლოვანი შვილები და ნება არა აქვთ გასცენ სამკაული ვერცხლში. მყიდველი, რომელიც იყიდის ქვრივის შვილების სამკაულს, ჰკარგავს თავის ვერცხლს; მათი ქონება უნდა დაუბრუნდეს მის პატრონებს.

178. უკეთუ ერთუმ, ნადითუმ, ან ზიქრუმ² ქურუმ ქალს, რომელსაც მამამისმა მისცა მზითვეი და დაუწერა საბუთი, იგი არ ჩაუწერს მისთვის დაწერილ საბუთში, რომ ქალს შეუძლია გასცეს ის, რაც მის შემდეგ დარჩება, სადაც მოისურვებს, არ მიანიჭებს მას თავისუფალი განკარგულების უფლებას, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ქალის ძმები ლებულობენ მის სახნავ-სათესსა და ბაღს და უნდა აძლიონ მას, მისი წილის ოდენობის შესაბამისად, პური, ზეთი და მატყლი, და ამით დააკმაყოფილონ იგი.

თუ ქალის ძმები არ მისცემენ მას, მისი წილის ოდენობის შესაბამისად, პურს, ზეთს და მატყლს და ამით არ დააკმაყოფილებენ მას, ქალს შეუძლია გადასცეს თავისი სახნავ-სათესი და ბაღი მისთვის შესაფერის მიწათმოქმედს, და მისმა მიწათმოქმედმა უნდა არჩინოს ის.

ვიდრე ქალი ცოცხალია, მას შეუძლია ისარგებლოს სახნავ-სათესით, ბაღით და ყველაფრით, რაც მას მისცა მისმა მამამ; მათი გაცემა ვერცხლში და ამით ვალის გადახდა მას არ შეუძლია; ქალის სამემკვიდრეო წილი ეკუთვნის მხოლოდ მის ძმებს.

179. უკეთუ ერთუმ, ნადითუმ ან ზიქრუმ ქურუმ ქალს, რომელსაც მამამისმა მისცა მზითვეი და დაუწერა ბექედდამული საბუთი, იგი ჩაუწერს მისთვის დაწერილ საბუთში, რომ ქალს შეუძლია გასცეს ის, რაც მის შემდეგ დარჩება, სადაც მოისურვებს, მიანიჭებს მას თავისუფალი განკარგულების უფლებას, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ქალს შეუძლია გასცეს ის, რაც მის შემდეგ დარჩება, სადაც მოისურვებს; ძმებს არ შეუძლიათ მოსთხოვონ ქალს რაიმე სასამართლო წესით.

180. უკეთუ მამა თავის ქალიშვილს—ნადითუმს, სავანეში მცხოვრებს, ან ზიქრუმს—არ მისცემს მზითვეს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ქალი მამის სახლის ქონებიდან ლებუ-

¹ სიტყვასიტყვით—«მიანდო».

² ტაძრის მემკვიდრე ქალი.

ლობს წილს, თანაბარს ერთი მემკვიდრის წილისა, და მას შეუძლია ისარგებლოს ამით, ვიდრე ცოცხალია.

ის, რაც ქალის შემდეგ დარჩება, ეკუთვნის მხოლოდ მის ძმებს.

181. უკეთუ მამა შესწირავს ღმერთს ნადითუმს, ტაძრის მეძავე ქალს ან ტაძრის ქალწულს და მისცემს მას მზითევს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, იგი მამის სახლის ქონებიდან ღებულობს თავის სამემკვიდრეო წილის $\frac{1}{3}$, და შეუძლია ისარგებლოს ამით ვიდრე ცოცხალია;

ის, რაც ქალის შემდეგ დარჩება, ეკუთვნის მხოლოდ მის ძმებს.

182. უკეთუ მამა არ მისცემს მზითევს თავის ქალიშვილს—ბაბილონის მარდუქის ნადითუმს, არ დაუწერს მას ბეჭედდასმულ საბუთს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, ძმების გაყოფისას იგი მამის სახლის ქონებიდან ღებულობს თავის სამემკვიდრეო წილის $\frac{1}{3}$;

ბეგარა¹ მან არ უნდა იხადოს;

ის, რაც მის შემდეგ დარჩება, მარდუქის ნადითუმს შეუძლია გასცეს, სადაც კი მოისურვებს.

183. უკეთუ მამა ხასისაგან შობილ თავის ქალიშვილს მისცემს მზითევს, გაათხოვებს და დაუწერს მას ბეჭედდასმულ საბუთს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, იგი ვერ მიიღებს წილს მამის სახლის ქონებიდან.

184. უკეთუ მამა ხასისაგან შობილ თავის ქალიშვილს არ მისცემს მზითევს და არ გაათხოვებს, მაშინ მას შემდეგ, რაც მამა მოკვდება, მისმა ძმებმა უნდა მისცენ მას მზითევი მამის სახლის ქონების შესაბამისად, და გაათხოვონ იგი.

185. უკეთუ კაცი იშვილებს მცირეწლოვანს, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული და გამოზრდის მას, არ შეიძლება ამ აღზრდილის უკან გამოთხოვა სასამართლო წესით.

186. უკეთუ კაცი იშვილებს მცირეწლოვანს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი იშვილეს, გაიგებს, რომ მას თავისი დედ-მამა ჰყოლია, ამ აღზრდილს შეუძლია დაბრუნდეს თავის მამის სახლში.

187. სასახლეში მსახურ საქურისის შვილობილი და ზიქრუმის შვილობილი არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას უკან სასამართლო წესით.

¹ ilkum—ბეგარა, დაკავშირებული სამხედრო სამსახურთან და მიწის მფლობელობასთან.

188. უკეთუ რომელიმე ხელოსანი აიყვანს მცირეწლოვანს შეგირდად და შეასწავლის მას თავის ხელობას, იგი არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას უკან სასამართლო წესით.

189. უკეთუ იგი არ შეასწავლის მას თავის ხელობას, ამ შეგირდს შეუძლია დაბრუნდეს თავის მამის სახლში.

190 უკეთუ კაცი გამოზრდის მცირეწლოვანს, რომელიც მან იშვილა, მაგრამ არ გაუტოლებს მას თავის შვილებს, მაშინ აღზრდილს შეუძლია დაბრუნდეს თავის მამის სახლში.

191. უკეთუ კაცი გამოზრდის მცირეწლოვანს, რომელიც მან იშვილა, მაგრამ შექმნის თავის ოჯახს და შემდეგ გააჩენს ბავშვებს და განიზრახავს განდევნოს აღზრდილი, ეს შვილი არ უნდა წავიდეს ხელცარიელი: მისმა აღმზრდელმა მამამ უნდა მისცეს მას თავის ქონებიდან სამემკვიდრეო წილის $\frac{1}{3}$, და მაშინ მას შეუძლია წავიდეს; სახნავ-სათესიდან, ბალიდან და სახლიდან შეუძლია არაფერი არ მისცეს.

192. უკეთუ საკურისის შვილობილი ან ზიქრუმის შვილობილი ეტყვის თავის გამზრდელ მამას ან გამზრდელ დედას: «შენ ჩემი მამა არა ხარ» ან: «შენ ჩემი დედა არა ხარო», მას ენა უნდა მოსკრან.

193. უკეთუ საკურისის შვილობილი ან ზიქრუმის შვილობილი შეიტყობს თავისი მშობელი მამის ოჯახის არსებობას და შეიძულებს თავის აღმზრდელ მამას და აღმზრდელ დედას და წავა თავის მამის სახლში, მას თვალი უნდა დასთხარონ.

194. უკეთუ კაცი თავის ბავშვს მიაბარებს ძიძას და ეს ბავშვი მოკვდება ძიძის ხელში, ხოლო ძიძა მისი დედ-მამის დაუკითხავად შეცვლის მას სხვა ბავშვით, ძიძა უნდა ამხილონ და იმის გამო, რომ მან დედ-მამის დაუკითხავად შესცვალა იგი სხვა ბავშვით, მას ძუძუ უნდა მოკვეთონ.

195. უკეთუ შვილი გაარტყამს თავის მამას, მას თითები უნდა მოსკრან.

196. უკეთუ კაცი თვალს დაუზიანებს რომელიმე კაცს, მასაც თვალი უნდა დაუზიანონ.

197. უკეთუ იგი ძვალს მოსტეხს კაცს, მასაც ძვალი უნდა მოსტეხონ.

198. უკეთუ იგი მუშქენუმს დაუზიანებს თვალს ან მოსტეხს მუშქენუმს ძვალს, მან უნდა მიუწონოს ერთი მინა ვერცხლი.

199. უკეთუ იგი თვალს დაუზიანებს კაცის მონას ან მოსტებს ქვალს კაცის მონას, მან უნდა მიუწონოს მონის ნაყიდობის ფასის ნახევარი.

200. უკეთუ კაცი კბილს ჩაუმტვრევს თავის ტოლ კაცს, მასაც კბილი უნდა ჩაუმტვრიონ.

201. უკეთუ იგი კბილს ჩაუმტვრევს მუშქენუმს, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

202. უკეთუ კაცი სილას გაარტყამს მასზე უფრო მაღლა მდგომს, მას კრებაზე¹ 60-ჯერ უნდა დაარტყან ხარის ტყავის მათრახი.

203. უკეთუ რომელიმე კაცი სილას გაარტყამს თავის ტოლ კაცს, მან უნდა მიუწონოს 1 მინა ვერცხლი.

204. უკეთუ მუშქენუმი სილას გაარტყამს მუშქენუმს, მან უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

205. უკეთუ კაცის მონა სილას გაარტყამს რომელიმე კაცს, მან უნდა მოსპრან ყური.

206. უკეთუ კაცი გაარტყამს კაცს ჩხუბის დროს და მიაყენებს მას ქრილობას, ამ კაცმა უნდა დაიფიცოს: «მე არ გამირტყამს მისთვის განზრახვითა», აგრეთვე გადაუხადოს ექიმს.

207. უკეთუ იგი მოკვდება მისი ცემისაგან, მან უნდა დაიფიცოს, და თუ დაზარალებული ვინმე კაცთაგანია², მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

208. თუ დაზარალებული ვინმე მუშქენუმთაგანია, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

209. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ასულს და მუცელს მოუშლის მას, მან უნდა გადაუხადოს ნაყოფის საზღაურად 10 სიკლი ვერცხლი.

210. უკეთუ ეს ქალი მოკვდება, იმ კაცის ასულიც უნდა მოკლან.

211. უკეთუ იგი მუშქენუმის ასულს ცემით მოუშლის მუცელს, მან უნდა მიუწონოს 5 სიკლი ვერცხლი.

212. უკეთუ ეს ქალი მოკვდება, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

213. უკეთუ იგი დაარტყამს კაცის მხევალს და მოუშლის მას მუცელს, მან უნდა მიუწონოს 2 სიკლი ვერცხლი.

214. უკეთუ ეს მხევალი მოკვდება, მან უნდა მიუწონოს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

¹ თემის კრებაზე ან უზუცესთა საბჭოზე.

² ე. ი. ავილუმი—თავისუფალი, სრულუფლებიანი ადამიანი.

215. უკეთუ ექიმი ბრინჯაოს დანით გაუკეთებს კაცს მძიმე კრილს და კაცს მოარჩენს, ან კაცს ბრინჯაოს დანით მოაჯლის ლიბრს და კაცს მოურჩენს თვალს, მან უნდა მიიღოს 10 სიკლი ვერცხლი.

216. უკეთუ ავადმყოფი ვინმე მუშქენუმთაგანია, ექიმმა უნდა მიიღოს 5 სიკლი ვერცხლი.

217. უკეთუ ავადმყოფი კაცის მონაა, მონის ბატონმა ექიმს უნდა მისცეს 2 სიკლი ვერცხლი.

218. უკეთუ ექიმი ბრინჯაოს დანით კაცს გაუკეთებს მძიმე კრილს და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, ან კაცს ბრინჯაოს დანით მოაჯლის ლიბრს და კაცს დაუზიანებს თვალს, მას თითები უნდა მოსკრან.

219. უკეთუ ექიმი ბრინჯაოს დანით მძიმე კრილს გაუკეთებს მუშქენუმის მონას და ამას მოჰყვება მისი სიკვდილი, მან მონა მონითვე უნდა აანაზღაუროს.

220. უკეთუ იგი ბრინჯაოს დანით მოაჯლის მას ლიბრს და დაუზიანებს თვალს, მან უნდა მიუწონოს მონის ნაყიდობის ფასის ნახევარი ვერცხლით.

221. უკეთუ ექიმი შეუზრდის კაცს მოტეხილ ძვალს ან მოურჩენს მას მტკივნეულ სიმსივნეს, ავადმყოფმა უნდა მასცემს ექიმს 5 სიკლი ვერცხლი.

222. უკეთუ ავადმყოფი ვინმე მუშქენუმთაგანია, მან უნდა მისცეს ექიმს 3 სიკლი ვერცხლი.

223. უკეთუ ავადმყოფი კაცის მონაა, მონის ბატონმა უნდა მისცეს ექიმს 2 სიკლი ვერცხლი.

224. უკეთუ ხარის ან ცხვრის მკურნალი გაუკეთებს მძიმე კრილს ხარს ან ცხვარს და მოარჩენს პირუტყვს, ხარის ან ცხვრის პატრონმა მკურნალს ქირის სახით უნდა გადაუხადოს $\frac{1}{6}$ სიკლი ვერცხლი.

225. უკეთუ იგი მძიმე კრილს გაუკეთებს ხარს ან ცხვარს და პირუტყვი მოკვდება, მან ხარის ან ცხვრის პატრონს უნდა მისცეს მისი ნაყიდობის ფასის $\frac{1}{6}$.

226. უკეთუ დალაქი მონის ბატონის დაუკითხავად სხვის მონას ჩამოპარსავს მონობის ნიშანს¹, ამ დალაქს თითები უნდა მოსკრან.

¹ abbuttum-ს; შდრ. ბილაღამის კანონები მუხ 52.

227. უკეთუ კაცი მოატყუებს დალაქს და იგი სხვის მონას ჩამოპარასავს მონობის ნიშანს, ეს კაცი უნდა მოკლან და ჩაფლან მის კარებთან; დალაქმა უნდა დაიფიცოს: «მე ჩამოვპარსე განუზრახველადო», და ის თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

228. უკეთუ მშენებელი აუშენებს კაცს სახლს, დაამთავრებს მის აგებას, მან გასამრჯელოდ სახლის თვითეულ სარ ფართობზე უნდა მისცეს 2 სიკლი ვერცხლი.

229. უკეთუ მშენებელი აუშენებს კაცს სახლს და თავის სამუშაოს მკვიდრად არ შეასრულებს, ისე რომ მის მიერ აგებული სახლი ჩამოინგრევა და ამას მოჰყვება სახლის პატრონის სიკვდილი, ეს მშენებელიც უნდა მოკლან.

230. უკეთუ ის გამოიწვევს სახლის პატრონის შვილის სიკვდილს, ამშენებლის შვილიც უნდა მოკლან.

231. უკეთუ ის გამოიწვევს სახლის პატრონის მონის სიკვდილს, სახლის პატრონს უნდა მისცეს მონა მონაში.

232. უკეთუ იგი გაანადგურებს ქონებას, მან უნდა აანაზღაუროს ყველაფერი, რაც კი მან გაანადგურა; ხოლო იმის გამო, რომ სახლი მკვიდრად არ ააგო, ისე რომ იგი ჩამოინგრა, საკუთარ ხარჯზე უნდა ააშენოს ჩამონგრეული სახლი.

233. უკეთუ მშენებელი აუშენებს კაცს სახლს და არ გაამაგრებს თავის სამუშაოს, ისე რომ კედელი ჩამოინგრევა, ამ მშენებელმა კედელი უნდა გაამაგროს საკუთარი ვერცხლით.

234. უკეთუ გემთმშენებელი აუშენებს კაცს 60 ქურუს ტევადობის გემს, ამ კაცმა გასამრჯელოდ უნდა მისცეს მას 2 სიკლი ვერცხლი.

235. უკეთუ გემთმშენებელი აუშენებს კაცს გემს და თავის სამუშაოს საიმედოდ არ შეასრულებს, ისე რომ გემს იმავე წელიწადს შეუვა წყალი ან სხვა რაიმე ნაკლი აღმოაჩნდება, გემთმშენებელმა უნდა დაამტერიოს ეს გემი, ააგოს მკვიდრი გემი საკუთარ ხარჯზე და მისცეს გემის პატრონს.

236. უკეთუ კაცი მიაქირავებს მეხომალდეს თავის გემს, ხოლო მეხომალდე დაუდევარი იქნება და ჩაძირავს ან დაღუპავს გემს, მეხომალდემ გემი უნდა აუნაზღაუროს გემის პატრონს.

237. უკეთუ კაცი დაიქირავებს მეხომალდეს და გემს, დატვირთავს მას პურით, მატყლით, მცენარეული ზეთით, ინდისხურმით ან სხვა რაიმე ტვირთით, ხოლო ეს მეხომალდე დაუდევარი იქნება და ჩაძირავს გემს ან დაღუპავს რაც გემზეა, მეხომალდემ უნდა

აანაზლაუროს გემი, რომელიც მან ჩაძირა, და ყველაფერი, რაც კი გემზე დაიღუპა.

238. უკეთუ მეხომალდე ჩაძირავს გემს, მაგრამ ამოიღებს მას, წყლიდან, მან უნდა გადაიხადოს მისი ნაყიდობის ფასის ნახევარი ვერცხლით.

239. უკეთუ კაცი დაიქირავებს მეხომალდეს, უნდა აძლიოს მას წელიწადში 6 ქურუ პური.

240. უკეთუ გემი, რომელიც წყალაღმა მიემართება, დაეჯახება წყალაღმა მიმავალ გემს, და ჩაძირავს მას, მაშინ იმ გემის პატრონმა, ვისი გემიც ჩაძირა, ღვთის წინაშე ფიცით უნდა აჩვენოს ყველაფერი, რაც დაიღუპა მის გემზე, და წყალაღმა მიმავალმა გემმა, რომელმაც ჩაძირა წყალაღმა მომავალი გემი უნდა აუნაზლაუროს მას გემი და ყველაფერი, რაც მას დაეღუპა.

241. უკეთუ კაცი გიროდ¹ ხარს აიყვანს, მას უნდა მისცეს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

242—243². უკეთუ კაცი დაიქირავებს პირუტყვს 1 წლით, მან უნდა მისცეს მის პატრონს: მუშა ხარის ქირა—4 ქურუ პური, ძროხის ქირა . . . —3 ქურუ პური.

244. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს ან ვირს, და მას ველზე მოკლავს ლომი, ზარალი მხოლოდ მის პატრონს დაეკისრება.

245. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და მოკლავს მას დაუდევრობით ან ცემით, მან ხარის პატრონს უნდა აუნაზლაუროს ხარი ხარში.

246. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და მოსტეხს მას ფეხს ან ძარღვს გაუწყვეტს კეფაზე, მან ხარის პატრონს უნდა აუნაზლაუროს ხარი ხარში.

247. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და დაუზიანებს მას თვალს, მან ხარის პატრონს უნდა მისცეს მისი ნაყიდობის ფასის ნახევარი ვერცხლით.

248. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და ნოტეხს მას რქას. მოაქრის კუდს ან დაუზიანებს ნესტოს, მან უნდა მისცეს ნაყიდობის ფასის $\frac{1}{6}$.

249. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს და მას განგმირავს ღმერთი³, ისე რომ იგი დაეცემა, მან, ვინც ხარი დაიქირავა უნდა დაი-

¹ ალბათ იგულისხმება ხარის თვითნებური წაყვანა; შდრ. 114 მუხ.

² ეს ორი მუხლი გავრთიანებულია ტექსტის მიხედვით.

³ იგულისხმება მეხი; სიტყვასიტყვით «ღმერთი შეეგება».

ფიცოს ღმერთი, და იგი თავისუფალი იქნება პასუხისმგებლობისაგან.

250. უკეთუ ქუჩაში მიმავალი ხარი ურქენს კაცს და მოკლავს მას, ეს არ არის პრეტენზიის საფუძველი.

251. უკეთუ კაცის ხარი მარქენალია და მეზობლები განუცხადებენ მას, რომ იგი მარქენალია, ხოლო იგი არ მოაქრის მას რქებს და არ დააბამს თავის ხარს, და ეს ხარი ურქენს კაცს და მოკლავს, მან უნდა მისცეს $\frac{1}{2}$ მინა ვერცხლი.

252. უკეთუ დაღუპული მონაა კაცისა, უნდა მისცეს $\frac{1}{3}$ მინა ვერცხლი.

253. უკეთუ კაცი დაიჭირავენს კაცს თავის მინდორზე სამუშაოდ, მიანდობს მას გუთანს, ჩააბარებს პირუტყვს და ხელშეკრულებით დაავადებულებს დაამუშაოს მინდორი, და თუ ეს კაცი მოიპარავს თესლს ან საკვებს, და ეს აღმოჩნდება მის ხელში, მას თითები უნდა მოსჭრან.

254. უკეთუ იგი მიითვისებს გუთანს ან დააუძღურებს საქონელს, მან უნდა აუნაზღაუროს პურის დანაკლისი, ვინაიდან იგი თოხნიდა (ნაცვლად იმისა, რომ მოეხნა).

255. უკეთუ იგი გააჭირავენს კაცის პირუტყვს ან მოიპარავს თესლს, და ამრიგად, არ მოიყვანს პურს-მინდორზე, ეს კაცი უნდა ამხილონ, და მან მკის დროს უნდა მიუწყას 1 ბურზე 60 ქურუ პური.

256. უკეთუ მას არ შეეძლება გადაიხადოს ის, რისთვისაც იგი პასუხისმგებელია, უნდა გაგლიჯონ ამ მინდორზე პირუტყვის საშუალებით.

257. უკეთუ კაცი დაიჭირავენს მიწათმოქმედს, უნდა აძლიოს მას წლიურად 8 ქურუ პური.

258. უკეთუ კაცი დაიჭირავენს ხარების მეხრეს, უნდა აძლიოს მას წლიურად 6 ქურუ პური.

259. უკეთუ კაცი თემის დასამუშავებელი მიწიდან მოიპარავს სარწყავ იარაღს, მან უნდა მისცეს სარწყავი იარაღის პატრონს 5 სიკლი ვერცხლი.

260. უკეთუ იგი მოიპარავს ტყავის ვედროს ან თოხს, მან უნდა მისცეს 3 სიკლი ვერცხლი.

261. უკეთუ კაცი დაიჭირავენს მწყემსს მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის სამწყესად, მან უნდა აძლიოს მწყემსს წლიურად 8 ქურუ პური.

262. უკეთუ კაცი . . ხარს ან ცხვარს

263. უკეთუ იგი დაღუპავს ხარს ან ცხვარს, რომელიც მას მისცეს, მან უნდა აუნაზღაუროს პატრონს ხარი ხარში და ცხვარი ცხვარში.

264. უკეთუ მწყემსი, რომელსაც სამწყესად გადაეცა მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირტყვი, მიიღებს მთელ ქირას და დაკმაყოფილდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეამცირობს მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირტყვის რიცხვს ან შეამცირობს ნამატს, მან უნდა მისცეს ნამატი და შემოსავალი თავისი ხელშეკრულების შესაბამისად.

265. უკეთუ მწყემსი რომელსაც სამწყესად გადაეცა მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირტყვი, უპატიოსნო აღმოჩნდება, შეცვლის დაღს ან გასცემს პირტყვს ვერცხლში, ის უნდა ამხილონ, და მან უნდა აუნაზღაუროს პატრონს 10 ჯგერადი ოდენობით, რაც მოიპარა მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის სახით.

266. უკეთუ ბაკში ღმერთი¹ განგმირავს ან ლომი მოკლავს პირტყვს, მწყემსმა ღვთის წინაშე უნდა დაიფიცოს, ხოლო ბაკის პატრონმა უნდა აპატიოს მას საქონლის გაწყდომა ბაკში.

267. უკეთუ მწყემსი დაუღვევარი იქნება და ამის გამო ბაკში გაჩნდება თეთრისხლიანობა², მწყემსა უნდა აუნაზღაუროს პატრონს მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის თეთრისხლიანობით გამოწვეული ზარალი, რაც მან მიაყენა ბაკში.

269. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარს ლეწვაზე, მისი ქირაა 20 კა პური.

269. უკეთუ იგი დაიქირავებს ვირს ლეწვაზე, მისი ქირაა 10 კა პური.

270. უკეთუ იგი დაიქირავებს ვაცს³ ლეწვაზე, მისი ქირაა 1 კა პური.

271. უკეთუ კაცი დაიქირავებს ხარებს, ურემს და მეურმეს, მან უნდა აძლიოს დღეში 180 კა პური.

272. უკეთუ კაცი დაიქირავებს მხოლოდ ურემს, მან უნდა აძლიოს დღეში 40 კა პური.

273. უკეთუ კაცი დაიქირავებს მოჯამაგირეს, მან უნდა აძლიოს მას წლის დასაწყისიდან მეხუთე თვემდე⁴ 6 შე ვერცხლი დღეში.

¹ იგულისხმება მები.

² სიტყვასიტყვით «თეთრი», რაღაც ავადმყოფობა.

³ ზოგიერთი მკვლევარის აზრით იგულისხმება მოხარდი პირტყვი (მოხვერი, ჩოჩორი).

⁴ ე. ი. მარტი—აპრილიდან, როცა იწყებოდა ბაბილონის წელიწადი, ივლის-აგვისტომდე.

მეექვსე თვიდან წლის ბოლომდე მან უნდა აძლიოს 5 შე ვერცხლი დღეში.

274. უკეთუ კაცი დაიქირავებს რომელიმე ხელოსანს, მან უნდა აძლიოს დღეში:

ქირა	5 შე ვერცხლი
ქირა მიწის მთხრელს	5 შე ვერცხლი
ქირა მკერავს	...შე ვერცხლი
ქირა ქვისმჭრელს	...შე ვერცხლი
ქირაშე ვერცხლი
ქირა მკედელს	...შე ვერცხლი
ქირა დურგალს	5 შე ვერცხლი
ქირა მეტყავეს	...შე ვერცხლი
ქირა ხუროს	...შე ვერცხლი
ქირა ნშენებელს	...შე ვერცხლი

275. უკეთუ კაცი დაიქირავებს გემს წყალდაღმა, მისი ქირაჲ დღეში 3 შე ვერცხლი.

276. უკეთუ კაცი დაიქირავებს გემს წყალადმა, მან დღეში ქირად უნდა აძლიოს $2\frac{1}{2}$ შე ვერცხლი.

277. უკეთუ კაცი დაიქირავებს 60 ქურუს ტევადობის გემს, მან დღეში ქირად უნდა აძლიოს $\frac{1}{6}$ სიკლი ვერცხლი.

278. უკეთუ კაცი იყიდის მონას ან მხევალს და მას ერთი თვის გასვლამდე აღმოაჩნდება ბნედა, მყიდველს შეუძლია დაუბრუნოს იგი მის გამყიდველს და ეს მყიდველი ლებულობს ვერცხლს, რომელიც მან მიუწონა.

279. უკეთუ კაცი იყიდის მონას ან მხევალს და მას წარუდგენენ სარჩელს¹, ასეთ სარჩელზე პასუხისმგებელია მხოლოდ მისი გამყიდველი.

280. უკეთუ კაცი მტრის ქვეყანაში იყიდის კაცის მონას ან მხევალს, და როდესაც იგი მოვა ქვეყანაში² მონის ან მხევალის ბატონი იცნობს თავის მონას ან მხევალს, თუ ეს მონა ან მხევალი ქვეყნის შვილებია³, ისინი განთავისუფლებული უნდა იქნენ ყოველგვარი ვერცხლის გაულებლად.

281. უკეთუ ისინი სხვა ქვეყნის შვილებია, მყიდველმა ღვთისწინაშე უნდა აღნიშნოს ვერცხლი, რომელიც მან მიუწონა, ხოლო

¹ სავინდიკაციო სარჩელი მესამე პირის მხრივ.

² ე. ი. ბაბილონში (შუმერი და აქადი)

³ ე. ი. ბაბილონელები არიან.

მონის ან მხევალის ბატონს შეუძლია მისცეს თამქარს მის მიერ მიწონილი ვერცხლი და გამოისყიდოს თავისი მონა ან მხევალი.

282. უკეთუ მონა ეტყვის თავის ბატონს: «შენ არა ხარ ჩემი ბატონიო», მან უნდა ამხილოს იგი, როგორც თავისი მონა, და შემდეგ მის ბატონს შეუძლია მას ყური მოსჭრას.

[დასკვნა]

აი სამართლიანი კანონები, დადგენილი ძველბაბილონის მეფის სამურაბის მიერ, რომელმაც დაამუშავა ქვეყნად ჭეშმარიტი ბედნიერება და კეთილი მართვა-გამგეობა.

მე — სამურაბი, შეუდარებელი მეფე. მე არ უგულვებელყოფდი შავთავიანებს, რომლებიც მიწყალობა ენლილმა და რომელთა მწყემსობა დამავალა მარდუქმა, არ ვყოფილვარ დაუდევარი, ვეძებდი მათთვის უშიშარ საცხოვრებელ ადგილებს, თავიდან ვაშორებდი დიდ უბედურებას, შუქს ვყენდი მათ.

საბაბილონი¹ და იშთარი² მიერ ჩემთვის ჩაბარებული მძლავრი იარაღით, ეას³ მიერ მონიჭებული სიბრძნით, მარდუქის მიერ ბოძებული სიძლიერით, მე განვაძევე მტრები შემოთაც და ქვემოთაც⁴, ჩავაქრე უთახსმოება, ქვეყანას მივანიჭე კეთილდღეობა, ხალხს მივეცი საშუალება იცხოვროს შემოზღუდულ სოფლებში, არ მიმიკვანია იგი მღვლეარებადე.

მე მომიწოდეს დიდმა ღმერთებმა, და აი მე—კეთილისმყოფელი მწყემსი. რომლის კვერთხი მტკიცება: ჩემი კეთილი საფარველი გაშლილია ჩემი ქალაქის თავზე, ჩემს საბრძანებელში მე შეავსე შუშურისა და აქადის ხალხი, ჩემი მფარველი ქალღმერთისა და მისი ძმების დახმარებით განვაგებდი მათ ამ ქვეყნად, ვფარავდი მათ ჩემი სიბრძნით.

რათა ძლიერი არ ავიწროებდეს სუსტს, რათა ობოლსა და ქვრივს ეჭურობოდნენ სამართლიანად, ბაბილონში, ქალაქში, რომლის თავიც განადიდეს ანუმ და ენლილმა, ე-საკილაში,⁵ ტაძარში, რომლის სამირკველი მკვიდრია ისევე, როგორც ცა და დედამიწა, რათა ქვეყნად სუფევდეს მართლმსაჯულება, რათა ამ ქვეყნად დგინდებოდეს განაჩენები, რათა შევიწროებულს ეჭურობოდნეს სამართლიანად, მე

¹ ომის ერთერთი ღმერთთაგანი; ენლილის შვილი.

² ომისა და ბოძოლის ქალღმერთი.

³ სიბრძნის ღმერთი.

⁴ ე. ი. ტიგროსისა და ეფრატის ველის ქვემო ნაწილში, სპარსეთის ყურესთან, და შემოთ—ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

⁵ მარდუქის ტაძარი ბაბილონში.

გამოაკვეთე ჩემი პერიფასი სიტყვები ჩემს პეგლზე და დაკდგი ჩემი-სამართლიანი მეფის, გამოსასულების წინაშე.

მე—მეფე, აღზევებული მეფეთა შორის, სიტყვები ჩემი დიდებულია. ჩემი ძლიერება უბადლოა. ცისა და დედამიწის დიდი განმსჯელის შამაშის¹ განგებით, დე ბრწყინავეს ჩემი სამართლიანობა ამ ქვეყნად, ჩემი მეუფის, მარდუქის სიტყვისამებრ დე ნუ გამოუჩნდება ჩემს სჯულდებას ვინმე, ვინც გააუქმებს მას. დე მარად იხსენებდნენ ჩემს სახელს სასიკეთოდ ე-საგილაში, რომელიც მე მიუვარს.

შვიწროებული ადამიანი, რომელსაც დავა² აქვს, დე მოვიდეს ჩემი, სამართლიანი მეფის, გამოსასულებასთან, ითხოვოს წაუკითხონ მას ჩემი დაწერილი პეგლი, დე გაიგონოს ჩემი პერიფასი სიტყვები, დე ჩემმა პეგლმა გახუმარტოს მას საქმე, დე იპოვოს მან მართლ-მსაჯულება³, დე თავისუფლად ამოისუნთქოს და სმამალა თქვას: «ხამურაბი — მეუფეა, რომელიც ხალხისათვის იყო ვით მშობელი მამა; იგი მუსლს იდრეკდა თავისი მეუფის, მარდუქის სიტყვის წინაშე, და მარდუქისათვის მოიპოვა გამარჯვება ზემოთაც და ქვემოთაც, ახარებდა თავისი მეუფის მარდუქის გულს, და მარად კეთილდღეობას ანიჭებდა ხალხს, ხოლო ქვეყანას სამართლიანად განაგებდა».

დე მთელი გულით დამლოცოს მან ჩემი მეუფის, მარდუქისა და ჩემი მეუფე ქალის სარფანიტის⁴ წინაშე, ხოლო ღმერთი—მცველი-ქალღმერთი—მფარველი, ღმერთები, რომლებიც შედიან ე-საგილაში, და ე-საგილის აგურები დე უოველდღე იწონებდნენ მის ზრახვებს ჩემი მეუფის მარდუქისა და ჩემი მეუფე ქალის სარფანიტის წინაშე.

აწ და მარადის!

მეფემ, რომელიც იქნება ქვეყნად, დე დაიცვას ჩემს მიერ ჩემს პეგლზე დაწერილი სამართლიანი სიტყვები, დე ნუ შეცვლის იგი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს⁵, როგორც ჩემს მიერ უოფილან-ისინი დადგენილნი, დე ნუ დაარღვევენ ჩემს პეგლდებას.

უკეთუ ეს კაცი კეთილგონიერია და შესძლებს სამართლიანად მართოს თავისი ქვეყანა, მაშინ დე პატივი სცეს სიტყვებს, რომლებიც დაწერილია ჩემს პეგლზე. დე უჩვენოს ამ პეგლმა მას გზები მართვა-გამგობისა, სასამართლო გადაწყვეტილებანი ქვეყნისა, რასაც მე ვადგენდრ, განაჩენები ქვეყნისა, რაც მე გამოქონდა, და დე სამართლიანად განაგებდეს.

¹ მზისა და მართლმსაჯულების ღმერთი.

² awšutum.

³ dīnum, სიტყვისიტყვიტით—«სასამართლო, სასამართლო საქმე, სასამართლო-დავა, საჩივარი, სამართალი».

⁴ ქალღმერთი—მარდუქის ცოლი.

⁵ dīnum—სასამართლო გადაწყვეტილება.

იგი შავთავიანებს, დე უდგენდეს მათ სასამართლო გადაწყვეტილებებს, დე გამოჰქონდეს მათ მიმართ განაჩენები, დე სპობდეს თავის ქვეუანაში კანონდამრღვევებს და ბოროტმოქმედებს, დე შინაიჭოს თავის ხალხს კეთილდღეობა.

მე — ხამურაბი, მეფე სამართლიანი, რომელსაც შამაშმა მომანიჭა ჭეშმარიტება, ჩემი სიტყვები დიდებულია, ჩემი საქმეები სწორუპოვარია, ისინი მხოლოდ უგუნურიისთვისაა ფუჭი, სოლო ბრძენისთვის ბრწყინავენ სადიდებლად.

უკეთუ ეს კაცი ჰატივს სცემს ჩემს სიტყვებს, დაწერილთ ჩემს მიერ ჩემს მეგლზე, არ გააუქმებს ჩემს სასამართლო გადაწყვეტილებებს, არ დაამახინჯებს ჩემს სიტყვებს, არ შეცვლის ჩემს სჯულდებას, ეს კაცი, როგორც მე, სამართლიანი მეფეა, დე გაუგრძელოს მან შამაშმა კვერთხი¹, დე შწყემსოს მან თავისი ხალხი სამართლიანად.

უკეთუ ეს კაცი ჰატივს არ სცემს ჩემს მეგლზე დაწერილ ჩემს სიტყვებს, უნუღებელეოფს ჩემს წიკვლას, არ შეუშინდება ღმერთთა წიკვლა-კრულვას, გააუქმებს სასამართლო გადაწყვეტილებებს, რასაც მე ვადგენდი, დაამახინჯებს ჩემს სიტყვებს, შეცვლის ჩემს სჯულდებას, ამოფხეკს ჩემს წარწერილ სახელს და ჩასწერს თავისას, ან ამ წიკვლა-კრულვით დაშინებული სხვას შეაგულიანებს, მაშინ—იქნება ის მეფე თუ მეუფე, ახ შმართველი, ან რომელიმე კაცი, რა სახელწოდებისაც უნდა იყოს იგი, —

დე დიდმა ან უმ, ღმერთთა შამამ, რომელმაც განმიწესა ჩემი შმართველობის წლები, წაართვას მან მეფური ბრწყინვალება, გაუტეხოს მან კვერთხი, დასწყევლოს მისი სვე-ბედი;

ენ ლი ლ მა, მეუფემ, ბედი-იბლის განმსჯელმა, რომლის განგებაც გარდუვალა, რომელიც განადიდებს ჩემს მეფობას, დე გააღვივოს მის წინააღმდეგ მის საცხოვრებელში დაუთრგუნველი არეულობა, აჯანკება, რაც გამოიწვევს მის დაღუპვას, დე არგუნოს მას სვედრად უმწეო შმართველობა, მოკლე დღეები, მშიერი წლები, ბნელ-უკუნი წევდიადი, უცაბედი სიკვდილი, აუწეოს თავისი ძლიერი ხმით მისი ქალაქის დაღუპვა, მისი ხალხის გაფანტვა, მისი სამეფოს დაჭრობა, მისი სახელისა და მისი სხენების გაჭრობა ქვეყნად.

ნი ნ ლი ლ მა², დიდმა დედამ, რომლის სიტყვა საჰატიოა ექურში, მეუფე ქალმა, ჩემი გულისთქმის მოწვალე შუამდგომელმა, დე წაიკვანოს ცუდად მისი საქმე სამჯავროსა და განაჩენის ადგილას, ენლილის წინაშე, დე მეფე ენლილის ჰირით ათქმევინოს მისი ქვეყნის

¹ ე. ი. გაუხანგრძლივოს მეფობა.

² ქალღმერთი—ენ ლი ლ ის ცოლი.

დამარცხება, მისი ხალხის დაღუპვა. მისი სულის დანთხევა, კითარცა წეღისა.

ე ა მ, დიდმა ხელმწიფემ, რომლის მიერ ბედის განგება სხვათა განგებას სმლევს, ბრძენმა ღმერთებს შორის, ეოვლისმტოდნემ, ჩემი სიცოცხლის დღეთა გამგრძელებელმა, დე წაართვას მას გონება და სიბრძნე, დე მისცეს იგი დავიწყებას, დე დააშროს მისი მდინარეები სათავესთან, დე არ გაახაროს მის შიწაზე ჰური—ხალხის სიცოცხლე;

შ ა მ ა მ მ ა, ცისა და დედამიწის განმსჯელმა, ცოცხალ არსებთა განმგებელმა, მეუფემ, ჩემმა იმედმა, დე დაამხოს მისი სამეფო, დე ნუ დაადგენს მის სასამართლო გადაწყვეტილებებს, დე აუზნიოს მას გზა-კვალი, შეარკიოს მწუობრი მისი ლაშქრისა, დე მოუვლინოს სამსხვერპლო მარჩიელობისას მას ცუდი ნიშანი მისი სამეფოს ფესვების ამოგდებისა. და მისი ქვეყნის დაღუპვისა, დე მალე თავს დაატყდეს მას შამაშის წიკვლა-კრულვა, დე აღმოფხვრას მან იგი ზემოთ მცხოვრებთა წრიდან, ზოლო ქვემოთ, ქვესქნელში, დე ტანჯოს მისი სული უწელობით.

ს ი ნ მ ა, ცათა მეუფემ, ღმერთმა, ჩემმა გამჩენმა, რომლის დისკოც ანათებს ღმერთთა შორის, დე წაართვას მას თიარა¹ და სამეფო ტახტი, დე დაადოს მას მძიმე ცოდვა, დიდი სასჯელი, რაც არ წარინოცოს მის ტანზე, დე აღუსრულოს მას მისი მმართველობის დღეები, თვეები და წლები ოხვრასა და ცრემლებში, მძიმე ტვირთად გადაუქციოს მას მეფის წოდება, წილად არგუნოს მას სიცოცხლე, მსგავსი სიკვდილისა;

ა დ ა დ მ ა, ნაყოფიერების მეუფემ, ცისა და დედამიწის მომრწყელმა, ჩემმა მოწყალემ², დე მოუსპოს მას წვიმა ცაზე და წალღუზობა მდინარეთა სათავეში, დე დაღუპოს მისი ქვეყანა შიმშილით და გაჭირვებით, დე დაიქუხოს ძრისხანედ მისი ქალაქის თავზე, დე გადააქციოს მისი ქვეყანა წარღვნის შემდგომ ნანგრევებად.

ზ ა ბ ა ბ ა მ, დიდმა მეომარმა, ე-ქურის ჰირველმა შვილმა, რომელიც ჩემი მარჯვენა ხელია, დე დაუმსხვრიოს მას იარაღი ბრძოლის ადგილზე, დე გადაუქციოს მას დღე ღამედ, დე ფესით გაათეღიოს იგი მის მტერს;

ი მ თ ა რ მ ა, ომისა და ბრძოლის მეუფე ქალმა, რომელიც გზას უხსნის ჩემს იარაღს, ჩემმა მოწყალე მფარველმა ქალღმერთმა, რომელსაც უკვარს ჩემი მმართველობა, დასწევლოს თავის მკვინვარე გულში, თავისი უდიდესი მრისხანებით მისი მეფური წოდება, დე მისი კეთილი საქმეები გადააქციოს ბოროტ საქმეებად, დე დაუმსხვრიოს მას იარაღი ომისა და ბრძოლის ადგილზე, დე მოუვლინოს მას არეულობა

¹ თიარა—ძველი აღმოსავლეთის მეფეთა თავსამკაული (გვირგვინი).

² სიტყვასიტყვით—«მოკავშირემა».

და აჯანკება, დე განთელოს მისი მეომრები, მორწყოს მიწა მათი სისხლით, დე მოფინოს ველი მისი ლაშქრის გვაშა გროვით, დე ნუ შეიწყალებს მის ლაშქარს, დე თვითონ იგი ჩაუგდოს მის მტერს ხელში, დე წაიყვანოს ის ბორკილგაყრილი მისი მტრის ქვეყანაში;

ნ ერ ტ ა ლ მ ა ¹, ძლიერმა ღმერთთა შორის, უძლეველმა მებრძოლმა, რომელიც მანიჭებს მე გამარჯვებას, თავისი დიდი ძლიერებით, როგორც ლერწაში მშვინვარე ცეცსლმა, დე დასწყვას მისი ხალხი, დე განკვეთოს იგი თავისი ძლიერი იარაღით, დე დაამსხვრიოს მისი სახსრები, ვითარცა თიხის ქანდაკება;

ნ ი ნ თ უ მ ², ქვეყანათა დიდმა დედოფალმა, დე დამ, ჩემმა მშობელმა, დე წაართვას მას შემკვიდრე, დე ნუ მისცემს მას შთამომავლობას, დე ნუ გააჩენს ადამიანის მოდგმას მის ხალხში;

ნ ი ნ ქ ა რ ა ქ მ ა ³, ანუს ასულმა, რომელიც მანიჭებს მეჯანმრთელობას ე-ქურში, დე მოუვლინოს მას მძიმე ავაღმყოფობა, ავი სნეულება, მწვავე წელული, რომელთაგანაც არ არის შვება, რომელთა არსს ვერ სწვდება ექიმი, რომელთაც ვერ ამშვიდებს შეხვევა, რომლებიც მსგავსად სასიკვდილო ნაკბენისა განუკურნებულა, და ვიდრე მისი სიცოცხლე არ ჩაჰქრება, დე მწარედ მოთქვამდეს თავის მამაკაცურ ძაღლს;

ცისა და დედაძინის დიდმა ღმერთებმა, ეველა ანუნაქმა, ტაძრის მფარველმა ღმერთმა, ე - ბ ა რ ის ⁴ აგურებმა, დე შეაჩვენონ საშინელი წიქვლა-კრულვით თვითონ იგი, მისი მოდგმა, მისი ქვეყანა, მისი მხედრები, მისი ხალხი და მისი ლაშქარი;

ენ ლ ი ლ მ ა თავისი უცვალებელი წარმოთქმით დე შეაჩვენოს იგი ხმამაღალი წიქვლა-კრულვით, და მკისვე აუნდეს იგი მას.

¹ ომის, სნეულებისა და სიკვდილიანობის ღმერთი, ქ. ქუთუს მფარველი.

² ქალღმერთი—ადამიანთა გამჩენი.

³ მკურნალობის ქალღმერთი.

⁴ ტაძარი შამაშისა—მხისა და მართლმსაჯულების ღმერთისა.

ახალ-გაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული¹

5.² ა. კაცი, რომელმაც გასცა ვინმეს სახელზე სახნავ-სათესის ან სახლის პატრონის ბეჭედდასმული საბუთი და ტაბულა, მაგრამ ამავე დროს არ დადო ხელშეკრულება წარმომადგენლობის შესახებ, აგრეთვე არ გადმოიღო საბუთის პირი.

ბ. კაცს, რომლის სახელზედაც დაწერილია საბუთი და ვალდებულება, შეუძლია წაიღოს ეს სახნავ-სათესი და სახლი.

6. ა. კაცმა, რომელმაც მხევალი მისცა ვერცხლში, ხოლო ქალის მიმართ აღიძრა სარჩელი³, და იგი წაყვანილი იქნა.

ბ. გამყიდველმა უნდა მისცეს მყიდველს ვერცხლი ვალდებულების შინაარსის შესაბამისად, ძირითადი თანხა; იმ შემთხვევაში თუ მან შეიღებინა შობა, თვითეულ მათგანში მან უნდა მისცეს $\frac{1}{2}$ სიკლი ვერცხლი.

7. ა. ქალი, რომელმაც შეასრულა წეს-ჩვეულება ან განიბანა კაცის მინდორზე ქუჩის ახლოს ან ლუმელზე⁴ ან სადაც უნდა იყოს.

ბ. შემოსავალი ხეებისა, რომელთა შორის ის განიბანა, მან უნდა მისცეს მინდვრის პატრონს ანგარიშით სამი ერთში.

¹ ტაბულა VI საუკუნისა ჩ. ერამდე, რომელიც შეიცავს სასამართლო გადაწყვეტილებათა ჩანაწერს. თავისი შინაარსით თვითეული მუხლი იყოფა ორ ნაწილად—კახუსად და გადაწყვეტილებად. კახუსი აღნიშნულია ა-თი, ხოლო გადაწყვეტნლება ბ-თი. კრებული საინტერესოა, ბამურაბის კანონებთან შედარებით, ბაბილონური ოჯახის ისტორიისათვის (გამოსასყიდის გაქრობა, ახალი მომენტი მემკვიდრეობაში).

² მე-5 მუხლამდე შემონახულია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

³ *πακισμα*, სარჩელი საკუთრების შესახებ, სავინდიკაციო სარჩელი მესამე პირის მხრივ.

⁴ ეხოში მოთავსებული და მიწაში ჩათხრილი ღია კერა.

უკეთუ განიბანა ხომალდზე, განიბანა ლუმელზე ან სადაც უნდა იყოს. მან უნდა მისცეს მინდვრის შემოსავლის შემცირების შესავსებად ანგარიშით სამი ერთში.

9.¹ ა. კაცი, რომელმაც თავისი ქალიშვილი მიათხოვა კაცის შვილს, და მამამ გამოაცხადა საბუთში რომელიმე ქონება და მისცა თავის ვაჟიშვილს. . . . გამოაცხადა თავისი ქალიშვილის მზითველი² და მათ ერთმანეთს საბუთი დაუწერეს.

ბ. თავიანთი საბუთი მათ არ უნდა შესცვალონ. მამას არ შეუძლია იქონიოს თავის განკარგულებაში რამე, რაც მან გადასცა თავის ვაჟიშვილს საბუთით და აჩვენა თავის მძახალს.

როდესაც მამის ცოლი მოკვდება და ის ითხოვს მეორე ცოლს და მას მისგან ეუოლება შვილები, მეორე ცოლის შვილებს შეუძლიათ წაიღონ მისი დარჩენილი ქონების მესამედი.

10. ა. კაცი, რომელიც დაპირდა თავის ქალიშვილს მზითვეი ან დაუწერა მას ამის შესახებ საბუთი, შემდგომ კი მისი ქონება შემცირდა.

ბ. მან უნდა მისცეს თავის ქალიშვილს მზითვეი შესაბამისად თავისი ქონებისა, რომელიც დარჩა. სიმამრმა და სიმძემ არ უნდა დაარღვიონ ერთმანეთთან დადებული თავიანთი შეთანხმება.

11. ა. კაცი, რომელმაც მისცა თავის ქალიშვილს მზითვეი, ქალს კი არ ჰყავდა ვაჟიშვილი ან ქალიშვილი და იგი გარდაიცვალა.

ბ. ქალის მზითვეი უნდა დაუბრუნდეს მისი მამის სახლს.

13.² ა. ცოლი, რომლის მზითვეი წაიღო ქმარმა და რომელსაც თავისი ვაჟიშვილი ან ქალიშვილი არა ჰყავს, ქმარი კი გარდაიცვალა.

ბ. მისი ქმრის ქონებიდან მას უნდა მიეცეს მზითვეი, რამდენიც იყო მზითვეი.

უკეთუ ქმარმა აჩუქა მას საქორწინო საჩუქარი³, მან უნდა წაიღოს თავის ქმრის საქორწინო საჩუქარი მზითვეთან ერთად და დაკმაყოფილებული იქნება.

თუ მას არ ჰქონდა მზითვეი, მოსამართლეებმა უნდა განიხილონ რა ქონება დარჩა ქმარს და ქმრის ქონების შესაბამისად უნდა მიეცეს მას რამე.

¹ მე-9 მუხლამდე შემორჩენილია ცალკეული სიტყვები.

² mudunni ამ პერიოდში ნიშნავს «მზითვეს».

³ მე-12 მუხლიდან შემორჩენილია ცალკეული სიტყვები.

⁴ širiktu აქ ქორწინებამდელი საჩუქრის მნიშვნელობით.

14. ა. კაცმა შეირთო ცოლი, რომელმაც მისგან შობა შეიღებ; მერე ეს კაცი მოკვდა, და ამ ქალმა განიზრახა შევიდეს სხვის სახლში.

ბ. მას შეუძლია წაილოს მზითევი, რომელიც მან მოიტანა თავის მამის სახლიდან, აგრეთვე ყველაფერი, რაც მას აჩუქა მისმა ქმარმა და მის მიერ შეყვარებულ კაცს შეუძლია შეირთოს ის ცოლად. ვიდრე იგი ცოცხალია, მას შეუძლია იკვებოს თავის ვაჟიშვილებთან ერთად.

უკეთუ იგი მეორე ქმრისგან შობს შვილებს, ქალის სიკვდილის შემდეგ მეორე ქმრის შვილებს და პირველი ქმრის შვილებს შეუძლიათ გაიყონ მისი მზითევი. დები

16¹. ა. კაცი, რომელმაც შეირთო ცოლი და მან მისგან შობა შეიღებ, ხოლო შემდეგ ცოლი გარდაიცვალა, მან კი შეირთო მეორე ცოლი და იმანაც შობა მისგან შეიღებ.

ბ. მას შემდეგ, რაც მამა გარდაიცვლება, მამის სახლის ქონებიდან 2 ნაწილი შეუძლიათ წაიღონ პირველი ცოლის შვილებმა, ხოლო მესამე ნაწილი—მეორე ცოლის შვილებმა. მათი დები, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ მამის სახლში².

¹ მე-15 მუხლიდან შემორჩენილია ცალკეული სიტყვები.

² აკლია ტექსტი.

საინჟინრო კონსტრუქციები

ასიკრიის სავაჭრო კოლონიის წესდება¹

I ტაბულა

კოლონიის გადაწყვეტილება. მწერავემა უნდა გაჰყოს კოლონიის ხალხი სამ ნაწილად და მათ უნდა გამართონ სასამართლო ბჭობა. თუნდაც ყველა ეს კოლონიის ხალხი იყოს ან მეხუთე ნაწილი — ქალაქის ბატონი უხუცესი² უნდა ესწრებოდეს ფულადი ანგარიშსწორება . . . არ უნდა . . . რომლებიც უნდა ესწრებოდნენ . . . მწერავემა უნდა გაჰყოს ისინი სამ ნაწილად, და ისინი გადაწყვეტენ საქმეს.

თუ ისინი ვერ გადაწყვეტენ საქმეს, მაშინ, როდესაც შეიკრიბებიან ყველანი დიდიდან პატარამდე³, მათ უნდა გადაწყვიტონ საქმე, ვინაიდან ისინი მისი ამხანაგები არიან, უმრავლესობის გადაწყვეტილებით და რაშიც კი არ იქნეს თანახმა რომელიმე დამსწრეთაგანი, — უმრავლესობის რაობით უნდა გადაწყვიტონ მათ საქმე.

II ტაბულა

. . . . მათი საქმე და მათ უნდა უბრძანონ მწერავეს თავიანთ კრებაზე მოაგროვონ ყველა დიდიდან პატარამდე და შემდეგ მწერავემა უნდა შეკრიბოს ყველა დიდიდან პატარამდე.

დიდ ადამიანთა⁴ უმრავლესობის ნებადაურთველად ცალკეულმა კაცმა ფულადი ანგარიშსწორების საქმეზე არ უნდა უბრძანოს მწერავეს და მწერავემა არ უნდა შეკრიბოს ყველა დიდიდან პატარამდე.

¹ შედგენილია 2000 წლის ახლოს ჩვენს ვრამდე.

² *awêlum rabî m(lim)* სიტყვასიტყვით «თავისუფალი კაცი, ქალაქის ან თემის უხუცესი».

³ ე. ი. კოლონიის თავისუფალ მოქალაქეთა მთელი შემადგენლობა.

⁴ ე. ი. უხუცესთა.

უკეთუ მწერავე დიდ ადამიანთა დაუკითხავად ცალკეული კაციის გადაწყვეტილებით შეკრებს ყველას დიდიდან პატარამდე, მაშინ მწერავემა უნდა მიუწონოს 10 სიკლი ვერცხლი.

არც ერთი პატარა კაცი¹ არ უნდა მიმართავდეს ადამიანებს² ფულადი ანგარიშსწორების საქმეზე და არ უნდა მიდი-მოდოდეს კოლონიის საბკოს შენობაში. უკეთუ იგი მიდი-მოდის კოლონიის საბკოს შენობაში, მაშინ უნდა მიუწონოს . . . სიკლი ვერცხლი.

უკეთუ სასამართლო საქმეზე ვერცხლისა ან ოქროს შესახებ ერთი ვაჭართაგანი აღძრავს საქმეს და კოლონიის სახლში ისინი შეიკრიბებიან და გამართავენ სასამართლო ბკობას, მაშინ ხალხი კრებაზე . . . დაბრუნდებიან კრებაზე . . .³

¹ ამრიგად, კოლონიის მოქალაქენი შედგებოდნენ «პატარა» და «დიდი» ადამიანებისაგან.

² ე. ი. უხუცესებს.

³ III ტაბულიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

შუა ასირიის კანონები¹

ტაბულა I²

1. უკეთუ ძმები შეუდგებიან თავიანთი მამის სახლის გაყოფას, უფროსმა ძმამ თავის სამემკვიდრეო წილად უნდა აირჩიოს და წაიღოს დაუმუშავებელ მიწაზე³ აგებული სახლების, ბაღებისა და კეების 2 ნაწილი. ყოველგვარი სახნავ-სათესი, აგრეთვე მათი ყველა შრომის ნაყოფი უნდა გაანაწილოს უმცროსმა ძმამ, უფროსმა ძმამ უნდა აირჩიოს და წაიღოს 1 ნაწილი, ხოლო მის მეორე ნაწილზე მან წილი უნდა ჰყაროს თავის ძმებთან ერთად.

2. უკეთუ რომელიმე გაუყოფელი ძმათაგანი მოკლავს კაცს, ამ კაცის ბატონს, თუ სურს, შეუძლია მოკლას იგი. ხოლო თუ სურს — შეუძლია შეიწყნაროს, აგრეთვე წაიღოს მისი სამემკვიდრეო წილი.

3. უკეთუ რომელიმე გაუყოფელი ძმათაგანი გამცემლურ სიტყვას⁴ წარმოთქვამს ან გაიქცევა, მეფე მის სამემკვიდრეო წილს ისე მოექცევა, როგორც სურს.

4. უკეთუ ძმები ხედან გაუყოფელ მიწაზე, და ერთი რომელიმე მათგანი თავის სამემკვიდრეო წილსათეს მიწაზე დასთესს . . . და დაამუშავებს მიწას, და მოვა მეორე ძმა და თავისი ძმის სათეს მიწას ხელმეორედ დაამუშავებს, და მას ამხელენ ფიციტ მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, როდესაც წილის პატრონი მოვა, დამუშავებული ყანის პური მხოლოდ მან უნდა წაიღოს.

¹ შედგენილია არა უკვიანეს XV საუკ. ჩვენს ერამდე.

² შემონახულია ორი დუბლიკატის ფრაგმენტები.

³ იგულისხმება არა სახნავ-სათესი მიწა.

⁴ ოპილტუ.

5. უკეთუ ძმები სხედან გაუყოფელ მიწაზე და ერთი რომელინე მათგანი¹

6. უკეთუ კაცი ეტყვის კაცს: «მე ვიძენ ზენს სახლსა და მიწას ვერცხლითო», მაშინ ვიდრე იგი შეიძენდეს მიწას და სახლს ვერცხლით, შულტამ მთელი 1 თვის განმავლობაში სამჯერ უნდა დაიძახოს აშურში და მან სამჯერვე უნდა დაიძახოს სოფელში, სადაც ის კაცი იძენს მიწასა და სახლს: ამა და ამ თემის დამუშავებულ მიწაზე, ამა და ამ კაცის ზვილის, ამა და ამის მიწასა და სახლს მე ვიძენ ვერცხლით, ვისაც აქვს უფლება მიიღოს ან პრეტენზია, მათ უნდა წარადგინონ თავიანთი საბუთები და დადონ ისინი «ზედამხედველთა»² წინაშე, დე აღძრან სარჩელი³, დე გაათავისუფლონ ქონება გარეშე პრეტენზიებისაგან და ამ წესით დე შეიძინონა.

ვინც მთელი ამ თვის განმავლობაში, ვიდრე სარჩელის ვადა არ გასულა, წარადგენს ასეთ საბუთებს და დადებს მათ «ზედამხედველთა» წინაშე — ეს კაცი უნდა იქნას დაკმაყოფილებული თავისი მიწის მიმართ და შეუძლია მიიღოს იგი.

როდესაც შულტა იძახის აშურში, უნდა ესწრებოდნენ მეფის ერთ-ერთი მრჩეველი, ქალაქის მწერავეი, შულტა და მეფის «ზედამხედველნი». რაც შეეხება თემს, სადაც იგი იძენს მიწასა და სახლს, უნდა ესწრებოდნენ თემის მამასახლისი და «უხუცესი»⁴. მათ უნდა დააძახებინონ შულტას, დაწერონ თავიანთი საბუთები და მისცენ: «ამ მთელი 1 თვის განმავლობაში შულტამ სამჯერ დაიძახა: ვინც ამ მთელი 1 თვის განმავლობაში არ მოიტანა თავისი საბუთი, არ დადო ის «ზედამხედველთა» წინაშე, მან დაჰკარგა მიწისა დასახლის თავისი ნაწილი; იწიწა და სახლი თავისუფალია იმისთვის, ვინც თხოვა შულტას რომ დაეძახა».

იმ სამი საბუთიდან შულტას დაძახების შესახებ, რომლებიც უნდა და წერონ მოსამართლეებმა, ერთი საბუთი უნდა წაიღონ ზედამხედველებმა⁵.....

8. უკეთუ კაცი გააფუჭებს თავის ამხანაგების დიდ მიჯნას⁶, და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ.

¹ აქ იწყება III სვეტი. დაუდგენელია რამდენი მუხლი აკლია.

² ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეები.

³ liddubū.

⁴ სიტყვისიტყვი «დიდი».

⁵ ბოლო აკლია. მე-7 მუხლში, რომლითაც იწყება IV სვეტი, შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები; დაუდგენელია რამდენი მუხლი აკლია.

⁶ იგულისხმება თანამოთემთა ყანის სასახლგრო მიჯნის წანხელი.

მაშინ მის მიერ გაფუჭებული და აღებული ყანა მან სამმაგად უნდა უზლოს; მას უნდა მოკვეთონ ერთი თითი, 100-ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

9. უკეთუ კაცი დაარღვევს წილის ყრის მცირე მიჯნას¹ და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მან უნდა გადაიხადოს ერთი ტალანტი ტყვია; მის მიერ გაფუჭებული და აღებული ყანა მან სამმაგად უნდა უზლოს; მას 50 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

10. უკეთუ კაცი ამოთხრის ქას ან ააშენებს გამაგრებულ კარმიდამოს სხვის მიწაზე, ის ჰკარგავს ქისა ან კარმიდამოს თავის ნაწილს; მას 30 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს².

12³ უკეთუ კაცი თავის ამხანაგის მიწაზე გააშენებს ბაღს, ამოთხრის ქას და გაზრდის ხეებს, ხოლო მიწის პატრონი ამას ხედავს, მაგრამ არ უშლის, მაშინ ბაღი თავისუფალია მისი გამშენებლისათვის, მაგრამ მან მიწის პატრონს უნდა მისცეს მიწა მიწის ნაცვლად.

13. უკეთუ კაცი სხვის დაუმუშავებელ მიწაზე გააშენებს ბაღს, ან ამოთხრის ქას, ან მოიყვანს ბოსტნეულს ან გაზრდის ხეებს, და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, როდესაც მიწის პატრონი მოვა, მას შეუძლია წაიღოს ბაღი მთელი მისი შრომის ნაყოფით.

14. უკეთუ კაცი სხვის დაუმუშავებელ მიწას შემოლობავს და დაიწყებს იქ აგურის დაყალიბებას, და ამხელენ მას ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ. მიწა მან უნდა მისცეს სამმაგად, და მისი აგურებიც უნდა წაიღონ; მას 50 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და იგი მთელი 1 თვე უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

15. უკეთუ კაცი სხვის დაუმუშავებელ მიწაზე დაიწყებს აგურის დაყალიბებას, მას უნდა ჩამოერთვას აგური. მას

¹ სათემო მიწის წილის ყრით გადასანაწილებელი ნაკვეთი.

² ამ მუხლის მეორე ნაწილიდან და მე-11 მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

³ მუხლები 12 — 15 შეადგენენ V სვეტის ნაწილს, რომლის დასაწყისი დაკარგულია.

უნდა დაარტყან ჯოხი და მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს¹.

17². უკეთუ სათემო მიწაზე კებში წყალი დგას, რომელიც სარწყავად იხმარება, მიწის პატრონებმა შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ; თვითეულმა უნდა შეასრულოს სამუშაო თავის ნაკვეთზე და მორწყოს თავისი ნაკვეთი.

ხოლო თუ მათ შორის არიან ამის მოწინააღმდეგენი, მაშინ მომხრეთა რიცხვიდან ვინმეს შეუძლია სთხოვოს მოსამართლეებს, აილოს საბუთი მოსამართლეებისაგან და შეასრულოს სამუშაო; მას შეუძლია ეს წყალი გამოიყენოს და მორწყოს თავისი ნაკვეთი; სხვამ არავინ არ უნდა მორწყოს ამ წყლით.

18. უკეთუ ღმერთ ადადის წყალია³, რომელიც იხმარება მოსარწყავად, მიწის პატრონებმა შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ; თვითეულმა უნდა შეასრულოს სამუშაო თავის ნაკვეთზე და მორწყოს თავისი ნაკვეთი.

ხოლო თუ მათ შორის არიან ამის მოწინააღმდეგენი, მაშინ მომხრეთა რიცხვიდან ვინმეს შეუძლია მოსამართლეებისაგან აილოს საბუთი მათ წინააღმდეგ. თემის მამასახლისი და 5 «უხუცესი»⁴ უნდა ესწრებოდნენ მას უნდა დაარტყან ჯოხი და იგი მთელი თვე უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

19. უკეთუ კაცი მოხნავს თავისი ამხანაგის მიწას, დაამუშავებს ან შემოლობავს მას, მაშინ თუ კი მიწის პატრონი მეფეს დაიფიცებს და იტყვის: «მან მოხნა ის და დაამუშავა», როდესაც პატრონი მოვა, მიწის დამმუშავებელი უნდა განდევნონ მკის დროს, ხოლო ხორბალი მან უნდა ჩაჰყაროს თემის ბელელში და მიწის პატრონს უნდა დაუბრუნოს მიწაზე უფლები ხორბალი ამ თემში პურის მოსავლის შესაბამისად მან უნდა მისცეს მიწის პატრონს .

20. უკეთუ კაცი სხვის მიწაზე შემოავლებს მას მიჯნას, დადგამს სამიჯნო ნიშანს და იტყვის: «მიწა მე გადმომეცაო», და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ⁵

¹ ამ მუხლის ბოლო ნაწილი და მე-16 მუხლი აკლია.

² აქ იწყება VI სვეტი.

³ ე. ი. წვიმის წყალია.

⁴ სიტყვასიტყვით «დიდი».

⁵ ბოლო აკლია.

ტაბულა II¹

2². უკეთუ კაცი სხვა კაცს ვერცხლის სანაცვლოდ გადასცემს კაცის ცოლს, ან კაცის ქალიშვილს, რომელიც მის სახლში ცხოვრობს ვერცხლის ნაცვლად როგორც გირაო, ან მისცემს სხვა ვინმეს, ვინც მის სახლში ცხოვრობს . . . იგი ჰკარგავს თავის წილ ვერცხლს, და მან უნდა მისცეს პატრონს მისი ფასის თანაბარი რამე, მას უნდა . . . დაარტყან ჯოხი და იგი 20 დღე უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

3. უკეთუ კაცი ვერცხლის სანაცვლოდ გადასცემს სხვა ქვეყანაში კაცის ცოლს, ან კაცის ქალიშვილს, რომელიც მის სახლში ცხოვრობს ვერცხლის ნაცვლად როგორც გირაო, და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მაშინ იგი ჰკარგავს თავის წილ ვერცხლს და მან უნდა მისცეს პატრონს ქალის ფასის თანაბარი რამე, მას უნდა . . . დაარტყან ჯოხი და იგი 40 დღე უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

ხოლო თუ კაცი, რომელიც მან გადასცა, მოკვდება სხვა ქვეყანაში, მან უნდა მისცეს მისი საზღაურო.

სრულ ფასად აყვანილი ასირიელი მამაკაცი და ქალი³ მას შეუძლია გადასცეს სხვა ქვეყანაში.

4. უკეთუ კაცი ვერცხლის სანაცვლოდ გასცემს სხვის ხარს, ან ვირს, ან ცხენს, ან რომელიმე სხვა პირუტყვს, რომელიც არის მის სახლში როგორც გირაო, მან უნდა მისცეს პირუტყვი პირუტყვის ნაცვლად, ვერცხლი კი შეუძლია არ დაუბრუნოს.

ხოლო თუ იგი არ მისცემს პირუტყვს, მაშინ ჰკარგავს თავის წილ ვერცხლს. კაცის სახლში გირაოდ მყოფი პირუტყვის პატრონს შეუძლია წაიყვანოს თავისი პირუტყვი. პირუტყვის მყიდველი დაკმაყოფილებული უნდა იქნას ვერცხლით გამყიდველის მიერ.

8⁴. კაცის ვაჟიშვილი, კაცის ქალიშვილი ან სხვა ვინმე, ვინც ვერცხლის სანაცვლოდ იმყოფება ასირიელის სახლში როგორც გირაო, ხოლო ვადა, რომელზედაც ისინი შეთანხმდნენ გავიდა, მაშინ თუ იგი სრულად შეიჭანს მისი ფასის ვერცხლს, შეუძლია წაიყვანოს . . . ;

¹ შემონახულია ორი სვეტის ნაწილი, 6- ი. მთელი ტაბულის მცირე ფრაგმენტი.

² პირველი მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

³ ივულისხმება ქ. აშურის ყველა სრულყოფილიანი მოქალაქე.

⁴ მე-5-7 მუხლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

ხოლო თუ იგი სრულიად არ შეიტანს მისი ფასის ვერცხლს, კრედიტორი ამით იძენს და თვითონ წაიყვანს ამ გირაოს
 აცნობებს და „ვერცხლის მხოლოდ ძირითად თანხას“ და
 არ უნდა იყოს.

9. უკეთუ კაცი გადამალავს პირუტყვს, ან სხვა რამე დაკარგულს და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მან უნდა მისცეს ტყვია; მას 50 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

ეს საქმე უნდა განსაჯონ ქვეყნის მოსამართლეებმა, ხოლო უკეთუ დაზარალებული მიმართავს მეფეს, დამნაშავემ უნდა დააბრუნოს ნაჭურღალი სრულ ფასად, რამდენიც მან მოიპარა, ბევრი იყო თუ ცოტა, სასჯელი კი — ისეთი, როგორსაც მეფე დაადებს.

10. უკეთუ კაცი დაჰკარგავს ხარს, ან ყოჩს, ან შესანახად მიბარებულ სხვა რამეს, ხოლო იგი დაგირავებული იქნა სხვაგან, ის კაცი კი, რომლის სახლშიც დაგირავებული იქნა, არ ეტყვის ამას საქონლის პატრონს, მაშინ ყოველივე, რაც ამ კაცს ხელთ აღმოაჩნდება, შეუძლია წაიღოს საქონლის პატრონმა; ეს კაცი პასუხს აგებს ქურდობისათვის.

11. უკეთუ კაცი გადამეტებულად უჩვენებს იმას, რაც შესანახად მიაბარა თავის ამხანაგს, და ასე ჩასწერს, და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, იგი ქურდია და მას მეფე დაადებს ისეთ სასჯელს, როგორიც სურს.

12. უკეთუ კაცი გადამეტებულად უჩვენებს და ასე ჩასწერს, რათა კრედიტორებმა დაკარგონ თავიანთი წილი ვერცხლი, და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მაშინ რამდენიც მან ჩასწერა უნდა მისცეს. მას უნდა დაარტყან ჯოხი¹.

ტაბულა III

1. უკეთუ ქალი, იქნება ის კაცის ცოლი¹, თუ კაცის ქალიშვილი², შევა ღვთის სახლში და ღვთის სახლიდან სამლოცველოს კუთვნილ რამეს მოიპარავს და მას მის ხელთ აღმოაჩენენ, ამხელენ მას ფიცით ნიციემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მაშინ მან უნდა მიიღოს ფიცი და შეევედროს ღმერთს: რასაც იგი ბრძანებს ქალის მიმართ, ის უნდა აღსრულდეს.

2. უკეთუ ქალი — იქნება ის კაცის ცოლი, თუ კაცის ქალიშვილი, იტყვის აღმაშფოთებელ³ სიტყვას ან დაუშვებს ღვთის გმობას, ამ ქალმა უნდა მოიხადოს თავისი სასჯელი; მის ქმარს, მის ვაჟიშვილებსა და მის ქალიშვილებს არ შეიძლება წარედგინოს მოთხოვნა.

3. უკეთუ კაცი ავად გახდება ან მოკვდება, ხოლო ცოლი მის სახლში მოიპარავს რამეს, ან გადასცემს რომელიმე კაცს ან ქალს ან სხვა ვინმეს, კაცის ცოლი და მისგან ნაქურდალის მიმღები უნდა მოკლან.

ხოლო თუ კაცის ცოლი, ვისი ქმარიც ჯანმრთელია, თავის ქმრის სახლში მოიპარავს რამეს, ან გადასცემა რომელიმე მამაკაცს ან ქალს ან სხვა ვინმეს, კაცმა ფიცით მიციემული ჩვენებით უნდა ამხილოს თავისი ცოლი და დაადოს მას სასჯელი; კაცის ცოლის ხელიდან ნაქურდალის მიმღებმა უნდა დააბრუნოს ნაქურდალი, თანაც მას უნდა დაედოს ისეთი სასჯელი, როგორც კაცმა თავის ცოლს მიაგო.

¹ *אשת איש* — ქალი, რომელიც იმყოფებოდა სოციალურად თავისუფალი ქმრის უფლების ქვეშ.

² *אשרא* *אמס* — ქალი, რომელიც იმყოფებოდა სოციალურად თავისუფალი მამის უფლების ქვეშ.

³ ე. ი. მიმართულს ხელისუფლების წინააღმდეგ.

4. უკეთუ მონა ან მხევალი მიიღებენ რამეს კაცის ცოლის ხელიდან, მონას და მხევალს უნდა მოეკვეთოს ცხვირი და ყურები, ნაქურდალი კი ანაზლაურდეს. კაცს შეუძლია მოკვეთოს ყურები თავის ცოლს.

ხოლო თუ იგი თავის ცოლს შეიწყნარებს და არ მოკვეთს მას ყურებს, მაშინ ყურები არ უნდა მოკვეთონ მონას და მხევალს, ნაქურდალიც არ უნდა ანაზლაურდეს.

5. უკეთუ კაცის ცოლი სხვა კაცის სახლში მოიპარავს რამეს, რაც აღმატება ტყვიის 5 მინის ღირებულებას, ნაქურდალის პატრონმა უნდა დაიფიცოს: «წყეული ვიყო, თუ მიმეცეს მისთვის წაღების ნება! ჩემს სახლში მოხდა ქურდობა!»

უკეთუ მისი ქმარი დათანხმდება, მას შეუძლია მისცეს ნაქურდალი, აგრეთვე გამოისყიდოს ის, მაგრამ ამასთან ქალს უნდა მოკვეთოს ყურები. უკეთუ ქმარი არ დათანხმდება მის გამოსყიდვაზე, მაშინ ნაქურდალის პატრონს შეუძლია წაიღოს ის და აგრეთვე მოკვეთოს ქალს ცხვირი.

6. უკეთუ კაცის ცოლი დააგირავებს რამეს სხვაგან, მიმღები პასუხს აგებს ისე, როგორც ქურდობისათვის.

7. უკეთუ ქალი ხელს აღმართავს კაცზე, და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით, მან უნდა მისცეს 30 მინა ტყვია და მას 20 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი.

8. თუ ქალი ჩხუბის დროს კაცს სათესლე ჯირკვალს გაუხეთქავს, მას უნდა მოკვეთონ ერთი თითი.

ხოლო თუ კაცს ექიმი სახვევს დაადებს, და ერთ ჯირკვალთან ერთად მეორეც დაზიანებული აღმოჩნდება და სიმსივნე წარმოიქმნება, ან თუ კი ჩხუბის დროს ქალი მეორე ჯირკვალსაც გაუხეთქავს, მას ორივე ძუძუ უნდა მოგლიჯონ.

9. უკეთუ კაცი აღმართავს ხელს კაცის ცოლზე და მოექცევა მას. როგორც ბავშვს, და ამხელენ მას ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მას უნდა მოკვეთონ ერთი თითი.

უკეთუ იგი აკოცებს მას, მაშინ მას უნდა გადაუწიონ ქვედატუჩი ნაჯახის პირით და მოკვეთონ იგი.

10. უკეთუ კაცი ან ქალი შევლენ კაცის სახლში, მოკლავენ ვინმე კაცს ან ქალს, მკვლელები უნდა გადასცენ სახლის პატრონს; თუ მოისურვებს, მას შეუძლია მოკლას ისინი; თუ მოისურვებს, მას შეუძლია დათანხმდეს მიიღოს მათგან რამე.

ხოლო თუ მკვლელთა ოჯახში მისაცემი არაფერია, მაშინ ან ვაჟიშვილი ან ქალიშვილი¹

12. თუ კაცის ცოლი ქუჩაში მიდის, მას დაიჭერს ვინმე კაცი და ეტყვის: *მე მსურს დაგეუფლო, ქალი კი არ დათანხმდება და თავს დაიცავს, მაგრამ კაცი ძალით დაიჭერს მას და დაეუფლება, მაშინ თუ მას კაცის ცოლთან წაასწრებენ, ან თუ მოწმეები ამხელენ მას ფიცით მიცემული ჩვენებით იმაში, რომ იგი დაეუფლა ქალს, ეს კაცი უნდა მოკლან, ქალი კი არ დაისჯება.*

13. უკეთუ კაცის ცოლი გამოვა თავის სახლიდან და წავა რომელიმე კაცთან იქ, სადაც ის ცხოვრობს, და იგი დაეუფლება მას, მაშინ თუ კი მან იცოდა, რომ ის ქალი კაცის ცოლია, მოკლულ უნდა იქნან როგორც ეს კაცი, ისე ქალიც.

14. უკეთუ რომელიმე კაცი დაეუფლება კაცის ცოლს საროსკიპოში ან ქუჩაში, თანაც ეცოდინება, რომ იგი კაცის ცოლია, მრუშ კაცს უნდა მოექნენ ისე, როგორც კაცი მოექცევა თავის ცოლს.

უკეთუ მან არ იცოდა, რომ იგი კაცის ცოლია, და დაეუფლა მას, მრუში კაცი თავისუფალია; კაცმა უნდა ამხილოს თავისი ცოლი ფიცით მიცემული ჩვენებით და შეუძლია მოექცეს მას ისე, როგორც სურს.

15. უკეთუ კაცი თავის ცოლთან წაასწრებს კაცს, ამხელს მას ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებს, ორივე შეიძლება მოკლული იქნან, მას არ ექნება ამაში ბრალი.

უკეთუ იგი დაიჭერს ამ კაცს და მიიყვანს მას შეფესთან ან მოსამართლეებთან, ამხელს მას ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებს, მაშინ თუ კი ქალის ქმარი მოკლავს თავის ცოლს, მას შეუძლია დაქერილი კაციც მოკლას; უკეთუ იგი თავის ცოლს მოკვდის ცხვირს, მაშინ მას შეუძლია ის კაცი აქციოს საქურისად, თანაც მთელი სახე დაუსახიჩროს მას, ხოლო თუ კი თავის ცოლს აპატიებს, იმ კაცსაც უნდა აპატიოს.

16. უკეთუ კაცი დაეუფლება კაცის ცოლს უკანასკნელის მხრივ მოტყუების შედეგად, კაცი არ დაისჯება; კაცს² შეუძლია დასაჯოს თავისი ცოლი ისე, როგორც მას სურს.

ხოლო უკეთუ იგი ძალით დაეუფლება ქალს, მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მაშინ იგი დაისჯება ისევე, როგორც კაცის ცოლი.

¹ ამ აბზაციდან და მე-11 მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა.

² ე. ი. ქმარს.

17. თუ კაცი ეტყვის კაცს: «შენს ცოლს ფლობენ», ხოლო მოწმენი არ ყოფილან, მათ უნდა შეადგინონ წერილობითი აქტი და წავიდნენ მდინარეზე¹.

18. უკეთუ კაცი თავის ამხანაგს ან ფარულად ან ჩხუბის დროს ეტყვის: «შენ ცოლს ფლობენ, თვითონ მე შემძლია ვამხილო იგი ფიცით, მაშინ თუ კი იგი ვერ შესძლებს ფიცით ამხილოს და ვერ ამხელს მას ფიცით მიცემული ჩვენებით, ამ კაცს 40-ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი, იგი მთელი 1 თვე უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს, ის უნდა², და აგრეთვე მან უნდა გადაიხადოს 1 ტალანტი ტყვია.

19. უკეთუ კაცმა ფარულად მოქორა თავის ამხანაგის წინააღმდეგ: «მას ფლობენ» ან ქმრების წინაშე ჩხუბის დროს ეტყვის მას: «შენ გფლობენ, მე შემძლია ფიცით ვამხილო შენ», მაშინ თუ კი ვერ შესძლებს ფიცით ამხილოს და ფიცით მიცემული ჩვენებით ვერ ამხელს მას, ამ კაცს 50 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი, მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს, ის უნდა³, აგრეთვე მან უნდა მისცეს 1 ტალანტი ტყვია.

20. უკეთუ კაცი დაეუფლება თავის ამხანაგს და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მაშინ მას უნდა დაეუფლონ და აქციონ იგი საჭურისად.

21. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ქალიშვილს და მუცელს მოუშლის მას და მას ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, მაშინ მან უნდა მისცეს 2 ტალანტი ტყვია; მას 50-ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

22. უკეთუ კაცის ცოლს არა მამამისი, არა ძმამისი, არა შვილიმისი, არამედ უცხო კაცი წაიყვანს თან სამგზავროდ, მაგრამ არ ეცოდინება, რომ იგი კაცის ცოლია, მან უნდა დაიფიცოს ეს, თანაც ქალის ქმარს მისცეს 2 ტალანტი ტყვია.

უკეთუ მან იცოდა, რომ იგი კაცის ცოლია, უნდა უზღოს ზარალი და დაიფიცოს: «წყუელიმც ვიყო თუ კი მას დაეუფლებოდე».

ხოლო თუ კაცის ცოლი იტყვის: «იგი მე დამეუფლა», მაშინ ეს კაცი აუნაზღაურებს კაცს ზარალს, იგი უნდა წავიდეს მდინარეზე, და წერილობითი აქტი მას არ უნდა შეუდგინონ. უკეთუ იგი თავს აარიდებს მდინარეს, მაშინ კაცს უნდა მოექცნენ ისე, როგორც ქმარი მოექცა თავის ცოლს.

¹ იგულისხმება წყლით გამოცდა (ორდალი).

² «დადაღონა?», «დაასაჭურისონა?»

³ «დადაღონა?», «დაასაჭურისონა?»

23. უკეთუ კაცის ცოლი თავის სახლში წაიყვანს კაცის ცოლს და მისცემს მას კაცს დასაუფლებლად, ხოლო კაცს ეცოდინება, რომ იგი კაცის ცოლია, მას ისე უნდა მოექცნენ, როგორც კაცის ცოლის დამუფლებელს, მაქანკალ ქალსაც ისე უნდა მოექცნენ, როგორც ქმარი მოექცევა თავის მრუშ ცოლს.

ხოლო თუ ქმარი არ დასჯის თავის მრუშ ცოლს, მაშინ მრუში კაციც და მაქანკალი ქალიც არ უნდა დასაჯონ, არამედ გაუშვან.

უკეთუ კაცის ცოლმა არ იცოდა, თავის სახლში წამყვანმა ქალმა კი ძალით შეიყვანა მასთან კაცი, და იგი დაეუფლა მას, მაშინ თუ კი ქალი, ამ სახლიდან გამოსვლისას, აცნობებს, რომ მას დაეუფლნენ, ეს ქალი უნდა გაუშვან, იგი თავისუფალია; მრუში კაცი და მაქანკალი ქალი უნდა მოკლან.

ხოლო თუ ქალმა არ აცნობა, ქმარს შეუძლია დასაჯოს თავისი ცოლი ისე, როგორც სურს; მრუში კაცი და მაქანკალი ქალი კი უნდა მოკლან.

24. უკეთუ კაცის ცოლი გაექცევა თავის ქმარს და შევა ასირიელის სახლში, იქნება ეს თვით იმავე სოფლის შიგნით თუ განაპირა სოფელში, სადაც მან აჩვენა მას სახლი, და იგი დაბინავდება დიასახლისთან, გაათევეს ღამეს სამჯერ-ოთხჯერ, სახლის პატრონს კი არ ეცოდინება, რომ მის სახლში ცხოვრობს კაცის ცოლი, მაგრამ, ბოლოს, ეს ქალი აღმოჩენილი იქნება, მაშინ სახლის პატრონს, რომელსაც ცოლი გაექცა, შეუძლია თავის ცოლს მოკვეთოს რამე და წაიყვანოს; იმ კაცის ცოლს, რომელთანაც ცხოვრობდა მისი ცოლი, უნდა მოკვეთონ ყურები; თუ კი მოისურვებს, მის ქმარს შეუძლია გაიღოს მისი ფასი — 3 ტალანტი და 30 მინა ტყვია, ხოლო თუ კი მოისურვებს მისი ცოლი შეუძლიათ წაიყვანონ მისგან.

ხოლო თუ სახლის პატრონმა იცოდა, რომ მის სახლში მის ცოლთან ცხოვრობდა კაცის ცოლი, მან სამმაგად უნდა ზლოს.

ხოლო თუ იგი უარზე დადგება და იტყვის: მე მართლა არ ვიცოდი, მაშინ ისინი უნდა წავიდნენ მდინარეზე. და უკეთუ კაცმა, რომლის სახლშიც ცხოვრობდა კაცის ცოლი, თავი აარიდა მდინარეს, მაშინ მან სამმაგად უნდა ზლოს. ხოლო თუ კაცმა, რომელსაც ცოლი გაექცა, თავი აარიდა მდინარეს, იგი თავისუფალია, მან შეასრულა ყველაფერი, რაც შეეხებოდა მდინარეს.

ხოლო თუ ქმარი, რომელსაც ცოლი გაექცა, არაფერს არ მოკვეთს თავის ცოლს და მხოლოდ წაიყვანს თავის ცოლს, არავითარი სასჯელი არ უნდა იყოს.

25. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ თავის მამის სახლში ცხოვრობს, ხოლო მისი ქმარი მოკვდა, მისი ქმრის ძმები არ არიან გაყოფილნი, შვილები კი მას არ ჰყავს, ყველა სამკაული, რომლითაც იგი შემოსა მისმა ქმარმა და რომელიც არ დაკარგულა, შეუძლიათ წაიღონ მისი ქმრის გაუყოფელმა ძმებმა; დანარჩენი ქონების ახლოს მათ უნდა ჩამოატარონ ღმერთები¹, დაამტკიცონ ფიცით მიცემული ჩვენებით თავიანთი უფლება მასზე და შეუძლიათ წაიღონ. ნდინარეზე და დასაფიცათ ისინი არ უნდა წაიყვანონ.

26. უკეთუ ქალი ცხოვრობს ჯერ კიდევ თავის მამის სახლში, მისი ქმარი კი მოკვდა, ყველა სამკაული, რომლითაც იგი შემოსა მისმა ქმარმა, თუ კი არიან მისი ქმრის შვილები, მათ შეუძლიათ წაიღონ. თუ კი მისი ქმრის შვილები არ არიან, თვითონ ქალს შეუძლია წაიღოს.

27. უკეთუ ქალი ცხოვრობს ჯერ კიდევ თავის მამის სახლში, ხოლო მისი ქმარი მუღმივად დადიოდა მასთან, ყოველგვარი სარჩო, რაც მას მისმა ქმარმა მისცა, უკანასკნელს თვითონ შეუძლია წაიღოს, მაგრამ ქალის მამის სახლის სარჩოზე მას უფლება არა აქვს.

28. უკეთუ ქვრივი შევიდა კაცის სახლში და თან მიიყვანა თავისი შვილი-ყრმა და იგი გაიზარდა ამ კაცის სახლში, მაგრამ არ ყოფილა დაწერილი ტაბულა შვილად აყვანის შესახებ, მაშინ იგი არ ღებულობს სამემკვიდრეო წილს მისი გამზრდელის სახლში და არ აგებს პასუხს ვალებისათვის, არამედ თავის კუთვნილ წილს ღებულობს თავის მშობლის სახლში.

29. უკეთუ ქალი შევა თავისი ქმრის სახლში, მისი მზითველი და ყველაფერი, რასაც იგი მოიტანს თავისი მამის სახლიდან, ან რაც კი მისცა მას მისმა მამამთილმა მისი სახლში შესვლისას— ეკუთვნის ქალის ვაჟიშვილებს; მისი მამამთილის შვილებმა არ უნდა განაცხადონ უფლება.

მაგრამ თუ კი ქმარი მოითხოვს მისგან, მას შეუძლია მისცეს მის რომელიმე შვილთაგანს.

30. უკეთუ მამა მიიტანს თავისი შვილის სიმამრის სახლში საქორწინო გამოსასყიდს², მაგრამ ქალი ჯერ კიდევ არ გაყოლია მის ვაჟიშვილს, ხოლო მისი მეორე ვაჟიშვილი, რომლის ცოლიც ცხოვრობს თავის მამის სახლში, მოკვდა, მაშინ თავისი გარდაცვა-

¹ იგულისხმება საოჯახო ან საგვარეულო ღვთაებათა გამოსახულებები.

² biblu.

ლებული შვილის ცოლი ახუზითუს¹ სახით, მას შეუძლია შერთოს თავის მეორე შვილს, რომლის სიმამრის სახლში მან შეიტანა საქორწინო გამოსასყიდი².

თუ ქალიშვილის ბატონი, რომელმაც მიიღო საქორწინო გამოსასყიდი², არ დათანხმდება მისცეს თავისი ქალიშვილი, საქორწინო გამოსასყიდის² მიმტან მამას შეუძლია, თუ მოისურვებს, წაიყვანოს თან თავისი რძალი და გადასცეს თავის შვილს, ხოლო თუ მოისურვებს, შეუძლია წაიღოს ყველაფერი, რაც კი მიიტანა,—ტყვია, ვერცხლი, ოქრო—მხოლოდ ძირითადი თანხა, გარდა საქმლისა; საქმელზე მას არ შეუძლია განაცხადოს უფლება.

31. უკეთუ კაცმა თავისი სიმამრის სახლში მიიტანა საქორწინო გამოსასყიდი,² ხოლო მისი ცოლი მოკვდა, მაგრამ მის სიმამრს კიდევ ჰყავს ქალიშვილები, მაშინ, თუ კი სიმამრი მოისურვებს, მას შეუძლია ცოლად წაიყვანოს თავისი სიმამრის სხვა ქალიშვილი ნაცვლად თავისი გარდაცვლილი ცოლისა, ან, თუ მოისურვებს, შეუძლია წაიღოს მის მიერ მიცემული ვერცხლი³; ქერი ან ცხვარი ან სხვა რამე საქმელი მას არ მიეცემა, მან უნდა მიიღოს მხოლოდ ვერცხლი.

32. თუ ქალი ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს, მაგრამ მას მისცეს თავისი სარჩო, მაშინ წაყვანილი იყო თუ არ იყო წაყვანილი ის თავისი მამამთილის სახლში, თავისი ქმრის დანაშაული და სასჯელი დაეკისრება მას.

33. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ თავისი მამის სახლში ცხოვრობს, და მისი ქმარი მოკვდა, ხოლო მას შვილები ჰყავს, ქალს შეუძლია იცხოვროს იმ სახლში, სადაც ის მოისურვებს.

თუ ქალს შვილები არა ჰყავს, მამამთილს შეუძლია მიათხოვოს იგი თავის რომელიმე შვილთაგანს. თუ ქალის მამა მოისურვებს, მას შეუძლია . . . ხოლო თუ მოისურვებს, შეუძლია მისცეს ქალი მამამთილს ახუზითუს სახით.

თუ მისი ქმარიც და მისი მამამთილიც მოკვდნენ, და მას შვილები არ ჰყავს, მაშინ იგი ქვრივია და მას შეუძლია წავიდეს, სადაც მოისურვებს.

34. უკეთუ კაცი ცოლად წაიყვანს ქვრივს, ხოლო ხელშეკრულება მასთან არ იქნება დადებული, და ქალი მის სახლში 2 წე-

¹ ოხუზითუსი მეორე ცოლი, რომელიც გათხოვებისას არ იყო ქალწული.

² zubullā.

³ გადახდა ჩვეულებრივად ხდებოდა ვერცხლით.

ლიწადი იცხოვრებს, ქალი მისი ცოლია და წასვლა არ შეუძლია.

35. უკეთუ კაცის სახლში შევა ქვრივი ქალი, ყველაფერი, რაც მან თან მიიტანა, ეკუთვნის მის ქმარს.

ხოლო თუ კაცი შევა ქალის სახლში, ყველაფერი რაც კი კაცმა მიიტანა, ეკუთვნის ქალს.

36. თუ ქალი ჯერ კიდევ თავის მამის სახლში ცხოვრობს, ან უკეთუ ის მისმა ქმარმა სახლში დააბინავა, ხოლო მისი ქმარი ისე წავიდა თემის ფარგლებს გარეთ, რომ ქალს არ დაუტოვა არც ზეთი, არც მატყლი, არც ტანისამოსი, არც საკვები, არც საერთოდ რამე და არაფერი არ გამოუგზავნა მას იქედან, მაშინ ეს ქალი 5 წელიწადი თავისი ქმრის ერთგული უნდა იყოს და არ უნდა ჩაუსახლდეს სხვა ქმარს.

თუ ქალს შვილები ჰყავს, ისინი უნდა დაექირავონ ვინმეს, და იმით იკვებონ, ქალი კი უნდა ელოდოს თავის ქმარს და არ ჩაუსახლდეს სხვა ქმარს.

უკეთუ ქალს შვილები არა ჰყავს, ის 5 წელიწადი უნდა ელოდოს თავის ქმარს, ხოლო მე-6 წლის დამდეგისას მას შეუძლია ჩაუსახლდეს ქმარს, რომელსაც იგი მოისურვებს.

როდესაც მოვა მისი ქმარი, მას არ შეუძლია განაცხადოს მასზე უფლება, იგი ეკუთვნის თავის მეორე ქმარს.

უკეთუ იგი დაავიანებს 5 წელიწადზე მეტს, მაგრამ ეს მოხდა არა მისი მიზეზით — ან ქალაქის მტერმა ხელთ იგდო ის, და იგი უნდა გაქცეულიყო, ან თუ იგი დაკავებული იყო დამნაშავეის ნაცვლად და ამიტომ დაავიანა, მაშინ დაბრუნებისას მან უნდა მისცეს ჩვენება ფიცით, მისცეს ქალი თავის ცოლის ნაცვლად და შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი.

ხოლო თუ მას მეფე გაგზავნის უცხო ქვეყანაში, და ის დაავიანებს 5 წელიწადზე მეტს, მისი ცოლი უნდა ელოდოს მას და არ უნდა ჩაუსახლდეს სხვა ქმარს.

ხოლო თუ 5 წლის გასვლამდე ქალი ჩაუსახლდება სხვა ქმარს და შეიღს შობს მისგან, ქმარს შეუძლია დაბრუნებისას წაიყვანოს ქალი და მისი ჩამომავლობა, ვინაიდან ქალი არ დაელოდა საქორწინო ხელშეკრულების ვადას და სხვას გაჰყვა ცოლად.

37. უკეთუ კაცი მიატოვებს თავის ცოლს, მაშინ თუ კი საჭიროდ ცნობს, მას შეუძლია მისცეს ქალს რამე, ხოლო უკეთუ არ ცნობს საჭიროდ, შეუძლია არაფერი არ მისცეს; ქალი უნდა წავიდეს ხელცარიელად.

38. უკეთუ ქალი ჯერ კიდევ თავის მამის სახლში ცხოვრობს, ხოლო მისი ქმარი მას მიატოვებს, ქმარს შეუძლია წაიღოს სამკაული, რომლითაც მან თვითონ შემოსა იგი, მაგრამ მას არა აქვს უფლება მის მიერ მიტანილ სარჩოზე; იგი ეკუთვნის ქალს.

39. უკეთუ კაცი გაათხოვებს არა თავის ქალიშვილს, და თუ ქალის მამას უწინ ვალი ემართა, ხოლო ქალი დაგირავებული იყო, და მოვა უწინდელი კრედიტორი, მაშინ იგი დაკმაყოფილებული უნდა იქნას ქალის გამთხოვებლის მიერ ქალის ფასის მხრივ; თუ მას არაფერი ექნება მისაცემი, მაშინ კაცს¹ შეუძლია წაიყვანოს გამთხოვებელი.

ხოლო თუ ქალი გაკვივრებულ მდგომარეობაში ცხოვრობდა, ის ეკუთვნის თავის გამთხოვებელს.

ხოლო თუ კაცმა, რომელმაც ითხოვა ეს ქალი, ან დაუწერა მის გამთხოვებელს საბუთი ან სხვაგვარად იკისრა პასუხისმგებლობა სარჩელის შემტანის წინაშე, მან უნდა აანაზღაუროს ქალის ფასი, გამთხოვებელი კი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან.

40. იქნებიან ეს კაცის ცოლები, თუ . . . თუ ქალები² . . . ქუჩაში გამოსვლისას თავლია არ უნდა იყვნენ. კაცის ქალიშვილებს . . . უნდა ჰქონდეთ მოხვეული ან ლეჩაქი, ან ტანისამოსი, ან . . . ან ქვრივი იყოს . . . ან ან სახლშია, შეუძლიათ იყვნენ თავლია, მაგრამ როდესაც ისინი ქუჩაში მარტონი დადიან თავდახურულნი უნდა იყვნენ. თავის ქალბატონთან მიმავალი ხასა ქუჩაში თავდახურული უნდა იყოს.

ქმრის მიერ წაყვანილი ტაძრის ნეძავი ქალი ქუჩაში თავდახურული უნდა იყოს; თუ ქმრის მიერ წაყვანილი არ არის, ქუჩაში თავლია უნდა იყოს, თავზე არ უნდა ეხუროს. მეძავმა ქალმა არ უნდა დაიხუროს, თავლია უნდა იყოს.

ვინც თავდახურულ მეძავ ქალს დაინახავს, მან უნდა დაიჭიროს ის, მიიყვანოს მოწმეები და ქალი მიგვაროს სასახლის კარებთან. ქალის ძვირფასეულობის წაღება არ შეიძლება; ქალის ტანისამოსი შეუძლია წაიღოს მისმა დამკავებელმა. ქალს 50 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი და თავზე გადაასხან ფისი.

ხოლო თუ კაცი დაინახავს თავდახურულ მეძავ ქალს და გაუშვებს, არ მიიყვანს მას სასახლის კარებთან, ამ კაცს 50 ჯერ

¹ ე. ი. კრედიტორს.

² დ რ ა ი ვ ე რ ი აღადგენს: «თუნდ გათხოვილი, თუნდ ქვრივნი, თუნდ ასირიელი ქალები».

უნდა დაარტყან ჯოხი; მის დამსმენს შეუძლია წაილოს მისი ტანისამოსი; მას უნდა გაუხვრიტონ ყურები, გაუყარონ ხეზი და შეუკრან უკან; მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

მხეველები თავლია უნდა იყვნენ; ვინც დაინახავს თავდახურულ მხეველს, უნდა დააკავოს ის და მიიყვანოს სასახლის კარებთან. ქალს უნდა მოკრან ყურები, მის დამკავებელს შეუძლია წაილოს მისი ტანისამოსი.

უკეთუ კაცი დაინახავს თავდახურულ მხეველს და გაუშვებს, არ დაიჭერს და არ მიიყვანს სასახლის კარებთან, და მას ამხელენ ფიციტ მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ,—მაშინ მას 50 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი, გაუხვრიტონ ყურები, გაუყარონ ხეზი და შეუკრან უკან; მის დამსმენს შეუძლია წაილოს მისი ტანისამოსი, მთელი 1 თვე იგი უნდა ასრულებდეს მეფის სამუშაოს.

41. უკეთუ კაცს სურს დაახუროს ხასას ლეჩაქი, მან უნდა დასვას თავისი 5 — 6 ამხანაგი და მათ წინაშე დაახუროს მას ლეჩაქი, თანაც თქვას: *ეს ჩემი ცოლია. იგი მისი ცოლია. ხასა, რომელსაც არ ეხურა ლეჩაქი მამაკაცების წინაშე, რომლის ქმარმაც არ თქვა: ჩემი ცოლია*—ცოლი არ არის, იგი მხოლოდ ხასაა.

თუ კაცი მოკვდა და მას ვაჟიშვილები არ ჰყავს თავისი ლეჩაქიანი ცოლისაგან, მაშინ ვაჟიშვილები მისი ხასისაგან კანონიერი შვილებია; მათ შეუძლიათ წაილონ სამემკვიდრეო წილი.

42. უკეთუ კაცი¹ დღეს დაასხამს თავზე ზეთს კაცის ქალიშვილს, ან ლხინის დროს მიიტანს huruppâte², იგი არ უნდა იქნეს დაბრუნებული.

43. უკეთუ კაცი თავზე გადაასხამს ზეთს ან მიიტანს huruppâte, ხოლო შვილი, ვისთვისაც მას იგი უნდოდა ცოლად, ან მოკვდება ან გაიქცევა, მაშინ მას შეუძლია მისცეს ქალი თავისი სურვილისამებრ ერთერთ დარჩენილ ვაჟიშვილთაგანს უფროსიდან უმცროსამდე, რომელსაც შეუსრულდა 10 წელიწადი.

თუ მამა მოკვდება, აგრეთვე მოკვდება ვაჟიშვილიც, ვისთვისაც მას უნდოდა იგი ცოლად, მაგრამ გარდაცვალებულ შვილს დარჩა ვაჟიშვილი, რომელსაც შეუსრულდა 10 წელიწადი, მას შეუძლია შეირთოს იგი ცოლად.

¹ ნიშნობის?

² საქორწინო საჩუქარს?

თუ ვაჟიშვილის შვილები 10 წელზე ნაკლები ხნისა არიან, მაშინ ქალიშვილის მამას, თუ სურს, შეუძლია მიათხოვოს თავისი ქალიშვილი, ან, თუ სურს, შეუძლია დააბრუნოს მიტანილი თანაბარი ოდენობით.

თუ ვაჟიშვილი არ ჰყავს, ყველაფერი, რაც მან მიიღო — ფერადი ქვები და სხვა რამ, რაც არ იქმება, — ძირითადი თანხა, — მან უნდა დააბრუნოს, ხოლო რაც იქმება მან არ უნდა დააბრუნოს.

44. უკეთუ ასირიელი კაცი ან ასირიელი ქალი, რომელიც ცხოვრობდა კაცის სახლში, თავის ფასად როგორც გირაო, სრულ ფასად¹ იქნა აყვანილი, კაცს შეუძლია სცემოს მას, დააწიწკნოს თმები, შრტყას ყურებში და გაუხვრიტოს ისინი.

45. უკეთუ ქალი გათხოვილია, ხოლო ქმარს მტერი ჩაიდებს ხელში, ქალს კი არა ჰყავს არც მამამთილი, არც ვაჟიშვილები, იგი ორი წელიწადი უნდა იყოს თავისი ქმრის ერთგული. ამ ორი წლის განმავლობაში, თუ კი მას არაფერი ექნება საქმელი, ის უნდა მივიდეს და თქვას: თუ ის სასახლის წინაშე ბეგარაველდებულია სხვის მაგიერ, მაშინ ის უნდა კვებოს მისმა მიმღებმა, და ქალმა უნდა შეასრულოს მისი სამუშაო.

თუ იგი ხუფშუს² ცოლია, იგი თვით სასახლემ უნდა კვებოს, და ქალმა უნდა შეასრულოს მისი სამუშაო.

ხოლო თუ მისი ქმარი თავის თემში იხდის სახნავ-სათესისა და სახლის ბეგარას, ქალი უნდა მივიდეს და უთხრას მოსამართლეებს: «არაფერი მაქვს საქმელი». მოსამართლეები უნდა შეეკითხონ მამასახლისს და თემის «უხუცესებს», რამდენადაც ქმარი იხდიდა სახნავ-სათესის ბეგარას ამ თემში, მათ უნდა გადასცენ³ ქალს გამოსაკვებად სახნავ-სათესი⁴ და სახლი 2 წლით, და ქალი ამით იცხოვრებს, აგრეთვე დაუწერონ მას საბუთი.

როდესაც ორი წელიწადი შესრულდება, მას შეუძლია ჩაუსახლდეს იმ ქმარს, რომელიც მას სურს; მას უნდა დაუწერონ საბუთი, როგორც ნამდვილ ქვრივს.

თუ შემდგომ მისი დაკარგული ქმარი დაბრუნდება თავის ქვეყანაში, მას შეუძლია წაიყვანოს თავისი ცოლი, რომელიც სხვას

¹ ნაყიდი (დროზე გამოუსყიდველი გირაო).

hupša — მხედრები, რომლებიც სამეფო მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ სამხედრო სასახურის შესრულების პირობით.

² იჯარით?

⁴ შემოსავალი იჯარით გაცემული სახნავ-სათესიდან.

ჰყავდა ცოლად; მეორე ქმრისაგან შობილ შვილებზე მას¹ უფლება არა აქვს, ისინი შეუძლია წაიყვანოს მხოლოდ მეორე ქმარმა.

სახნავ-სათესი და სახლი, რომლებიც გაცემული იყო სრულ ფასად სხვაზე ქალის გამოსაკვებად, — უკეთუ დაბრუნებული არ შევა მეფის სამსახურში, მაშინ მან უნდა მისცეს, რამდენიც იყო გაცემული, და შეუძლია მიიღოს ისინი.

ხოლო თუ იგი არ დაბრუნდება და მოკვდება სხვა ქვეყანაში, მეფეს შეუძლია მისი სახნავ-სათესი და სახლი გასცეს იქ, სადაც ის მოისურვებს.

46. უკეთუ ქალი, ვისი ქმარიც მოკვდა, ქმრის სიკვდილის შემდეგ არ გავა მისი სახლიდან, თუ ქმარმა არაფერი მისცა მას, ქალს შეუძლია იცხოვროს თავისი ვაჟიშვილების სახლში, სადაც სურს; მისი ქმრის ვაჟიშვილებმა უნდა არჩინონ ის: მათ უნდა დადონ ხელშეკრულება, რათა მისცენ მას საკმელ-სასმელი ისე, როგორც რძალს, რომელიც მათ უყვართ.

თუ ის მეორე ცოლია და თავისი ვაჟიშვილები არა ჰყავს, მას შეუძლია იცხოვროს ერთთან, მაგრამ ყველამ ერთად უნდა არჩინონ.

უკეთუ მას ვაჟიშვილები ჰყავს, მაშინ პირველი ცოლის ვაჟიშვილებს შეუძლიათ არ დათანხმდნენ არჩინონ ის, ხოლო მას შეუძლია იცხოვროს თავისი საკუთარი ვაჟიშვილების სახლში, სადაც სურს. მხოლოდ მისმა საკუთარმა ვაჟიშვილებმა უნდა არჩინონ ის, და მან უნდა შეასრულოს მათი სამუშაო.

ხოლო თუ არის მისი ქმრის რომელიმე ვაჟიშვილთაგანი, რომელიც აიყვანს მას თვითონ, მხოლოდ მისმა ამყვანმა უნდა არჩინოს ის, ხოლო ქალის ვაჟიშვილებს შეუძლიათ არ არჩინონ ის.

47. უკეთუ კაცი ან ქალი დაამზადებს ჯადოს, და ჯადოს აღმოუჩინენ მას ხელში, ამხელენ ფიცით მიცემული ჩვენებით და დაუმტკიცებენ, ჯადოს დამამზადებელი უნდა მოკლან.

კაცი, რომელმაც ნახა ჯადოს დამზადება ან ჯადოს მნახველისაგან გაიგონა თუ როგორ უთხრა მას: «მე თვითონ ვნახეო», — ეს გამგონი უნდა მივიდეს და აცნობოს მეფეს.

უკეთუ მნახველი გადათქვამს იმას, რაც გამგონმა მეფეს უთხრა, მაშინ გამგონმა უნდა თქვას ხ ა რ ი ს, შ ა მ ა შ ი ს ვ ა ჟ ი შ ვ ი ლ ი ს, წ ი ნ ა შ ე: «წყეულიმც ვიყო, თუ მას არ ეთქვას», იგი თავისუფალია; მნახველი რომელმაც თქვა, მაგრამ გადათქვა, — მეფემ უნდა დაკითხოს, როგორც საპიროდ მიიჩნევს, და გამოარკვიოს მისი წარსული.

¹ ე. ი. პირველ ქმარს.

შემლოცველმა, როდესაც მას მოიყვანენ უნდა ათქმევინოს მნახველს და უთხრას მას ასე: «შემლოცვისაგან, რომლითაც შენ შელოცვილი ხარ მეფისა და მისი ვაჟიშვილების გულისათვის იგი თქვენ¹ ვერ გაგანთავისუფლებთ; თანახმად ტაბულისა, რომლითაც შენ შელოცვილი ხარ მეფისა და მისი ვაჟიშვილის გულისათვის შენ შელოცვილი იქნები»².

48. უკეთუ ვინმე თხოვს კაცს მისი მოვალის ქალიშვილს, რომელიც ვალის გამო ამ კაცის სახლში იმყოფება, მას შეუძლია გაათხოვოს იგი. თუ ქალის მამა თანახმა არ არის, არ უნდა გაათხოვოს იგი.

თუ ქალის მამა მოკვდა, მან უნდა სთხოვოს ქალის ერთერთ ძმას, ხოლო ძმამ უნდა უთხრას ამის შესახებ თავის სხვა ძმებს; თუ ძმა იტყვის: «მე გამოვისყიდი ჩემს დას მთელი 1 თვის განმავლობაშიო», და იგი ვერ გამოისყიდის მას მთელი 1 თვის განმავლობაში, მაშინ ვერცხლის პატრონს, თუ სურს, შეუძლია გაათავისუფლოს იგი და გაათხოვოს; ხოლო თუ სურს, თანახმად თავისი საბუთის შინაარსისა, შეუძლია გაათხოვოს იგი...³.

49⁴. . . . ხოლო უკეთუ მეძავე ქალი მოკვდა, მაშინ, ვინაიდან მისმა ძმებმა ასე განაცხადეს, მის ვაჟიშვილებს შეუძლიათ გაყონ სამემკვიდრეო წილი თავის დედის ძმებთან ისე, როგორც ერთი ძმა მიიღებდა.

50. უკეთუ კაცი დაარტყამს კაცის ცოლს, და მას ნაყოფი მოწყდება, ცოლს იმ კაცისა, რომელმაც კაცის ცოლს ნაყოფი მოწყვიტა, ისევე უნდა მოექცნენ, როგორც იგი მოექცა იმ ქალს: ნაყოფისათვის მან უნდა ზღოს, როგორც სიცოცხლისათვის.

ხოლო თუ ის ქალი მოკვდა, კაციც უნდა მოკლან; ნაყოფისათვის მან უნდა ზღოს, როგორც სიცოცხლისათვის.

ხოლო თუ იმ ქალის ქმარს ვაჟიშვილი არ ჰყავს, მან კი დაარტყა ქალს და მას მოწყდა ნაყოფი, ნაყოფის მოწყვეტისათვის დამრტყმელი უნდა მოკლან.

უკეთუ ნაყოფი ქალიშვილი იყო, მან მაინც უნდა ზღოს, როგორც სიცოცხლისათვის.

¹ ე. ი. ჯადოსანს და მოწმეს.

² შემლოცველმა უნდა დაწეროს ჯადოზე უფრო ძლიერი შელოცვის ტაბულა, რომელიც აქარწყლებს ჯადოს.

³ ამ მუხლის ბოლო და 49-ე მუხლის დასაწყისი აკლია.

⁴ ამ მუხლის დასაწყისი შეიძლება ამგვარი შინაარსის იყო: «უკეთუ ძმები სთვლიან მეძავე ქალს თავის დად, მაშინ საოჯახო ქონების გაყოფისას მას უფლება აქვს წილზე, რომელიც ერთი ძმის წილის თანაბარია».

51. უკეთუ კაცი გაარტყამს კაცის ცოლს, რომელიც განწყობილი იყო მუცლის მოშლისადმი, და მოწყვეტს მას ნაყოფს, ეს დანაშაულია¹, მან უნდა მისცეს ორი ტალანტი ტყვია.

52. უკეთუ კაცი დაარტყამს მეძავ ქალს და მოწყვეტს მას ნაყოფს, მას დარტყმისათვის უნდა დაარტყან და ამით მან უნდა ზღოს სიცოცხლისათვის.

53. უკეთუ ქალმა თვითონ მოიწყვიტა ნაყოფი და იგი ამხილეს ფიცით მიცერიული ჩვენებით და დაუმტკიცეს, იგი სარზე უნდა ჩამოაცვან და არ უნდა დამარხონ. უკეთუ იგი მუცლის მოშლის დროს მოკვდება, სარზე უნდა ჩამოაცვან და არ უნდა დამარხონ. უკეთუ ეს ქალი, როდესაც იგი მუცელს იშლიდა, დამალეს და არ აცნობეს².

55³. უკეთუ კაცის ქალწული, თავის მამის სახლში მცხოვრები, რომლის დანიშვნაზე მამის თანხმობა არ ყოფილა, ქალწულობა დაკარგული არ ჰქონია და გათხოვილი არ ყოფილა, აგრეთვე არ ყოფილა მისი მამის სახლის წინააღმდეგ ვინმე სარჩელის აღმძვრელი, მაშინ კაცმა — იქნება ეს სოფელში თუ ველად, თუ ქუჩაში ღამით, ბელელში თუ სათემო დღესასწაულის დროს — უკეთუ ამ კაცმა ძალით მოიტაცა ქალწული და შებილწა იგი, ქალწულის მამას შეუძლია ქალწულის მომტაცებელი მრუში მამაკაცის ცოლს ახადოს პატივი: მას შეუძლია არ დაუბრუნოს იგი ქმარს, არამედ თვითონ წაიყვანოს; მამას თავისი გაუპატიურებული ქალიშვილი შეუძლია გაატანოს მრუშ კაცს ახუზითუს⁴ სახით.

თუ მას ცოლი არა ჰყავს, მრუშმა კაცმა მის მამას უნდა გადაუხადოს ვერცხლი, ქალწულობის ფასი, სამმაგად; მრუშმა უნდა წაიყვანოს იგი ცოლად და არ უნდა გამოაგდოს.

უკეთუ ქალის მამა არ მოისურვებს ამას, მას შეუძლია მიიღოს ქალწულობისათვის ვერცხლი სამმაგად და თავისი ქალიშვილი მიათხოვოს, ვისაც სურს.

56. უკეთუ ქალწული თვითონ დანებდება კაცს, ამ კაცმა უნდა დაიფიცოს და მის ცოლს არ უნდა შეეხონ. ქალწულობის ფასი, სამმაგი ვერცხლი, მრუშმა მაინც უნდა გადაიხადოს; მამას შეუძლია თავის ქალიშვილს მოექცეს ისე, როგორც მოესურვება.

¹ hiṭu სიტყვასიტყვით «ბრალი».

² ბოლო აკლია.

³ 54-ე მუხლი ეხებოდა მონა ქალებს; შემორჩენილია მხოლოდ ნაწყვეტები.

⁴ ე. ი. მეორე ცოლად.

58¹. ყველა სასჯელის შესახებ კაცის ცოლის მიმართ, — იქნება ეს მოგლეჯა თუ მოკვეთა, — დე ქურუმმაც გაიგოს და დე იგიც დაესწროს მის აღსრულებას, თანახმად იმისა, რაც ამ ტაბულაზე წერია.

59. კაცის ცოლის მიმართ ამ ტაბულაზე დაწერილ სასჯელთა გარდა, კაცს შეუძლია ცემოს თავის ცოლს, დააწიწყნოს თმები, ურტყას მას ყურებზე და ტყეპოს, ეს მას ბრალად არ ჩაეთვლება..
დღესა ორსა, თვესა შა-სარათესა, ეპონიმი სა გ ი უ.

¹ 57-ე მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

ფრაგმენტი IX¹

1. უკეთუ კაცი სხვა კაცს ეტყვის ჩხუბის დროს: «შენ აღმაშფო-
თებელ სიტყვას ამბობდი, აგრეთვე შენ აგინებდი ღვთის
სახლსო, მას 40 ჯერ უნდა დაარტყან ჯოხი

2. უკეთუ კაცი სხვა კაცს ეტყვის ჩხუბის დროს: «შენ აღმა-
შფოთებელ სიტყვას ამბობდი, აგრეთვე შენ აგინებდი
ღვთის სახლსო, მაგრამ ამას ველარ დაადასტურებს
ფიცით მიცემული ჩვენებით და ვერ დაამტკიცებს, ამ კაცს . . .
. . . უნდა დაარტყან ჯოხი და მთელი 1 თვე ის უნდა ასრუ-
ლებდეს მეფის სამუშაოს



¹ IV, V, VI, VII და VIII ფრაგმენტებიდან შემორჩენილია ერთმანეთთან დაჯკავშირებული ცალკეული წინადადებები და სიტყვები.

ხეტეების კანონები

ქ ა ნ ო ნ ი

ტახტის მემკვიდრეობის წესისა და უმნიშვნელოვანეს
დანაშაულობათა შესახებ,
მიღებული მეფე ტელეფინის მიერ ხეთების სამეფოს
სათათბირო კრებაზე¹

1. ტ ა ბ ა რ ნ ა² ტელეფინი ამბობს ასე. ოდესღაც იყო დი-
დი მეფე ლ ა ბ ა რ ნ ა. მაშინ მისი შვილები, მისი ძმები და მისი
ნათესავეები, მისი გვარის ხალხი, აგრეთვე მისი მხედრები გაერ-
თიანებული იყვნენ.

2. თვით ქვეყანა პატარა იყო; მაგრამ რა ლაშქრობაშიც კი
წავიდოდა იგი, ყოველთვის ძალით იმორჩილებდა მტრის ქვეყნებს.

3. და იგი ანგრევდა ამ ქვეყნებს და აშინებდა ამ ქვეყნებს და
ახეივნებდა მათ ზღვისკენ. ხოლო როდესაც ის უკან დაბრუნდებ-
ოდა ლაშქრობიდან, თვითეული მისი ვაჟიშვილი წავიდოდა რომ-
მელიმე დაპყრობილ ქვეყანაში, —

4. ქალაქებში: ხ უ ფ ის ნ ა, თ უ ვ ა ნ უ ვ ა, ნ ე ნ ა ს ა, ლ ა ნ დ ა,
ც ა ლ ა რ ა, ფ ა რ ს უ ხ ა ნ თ ა, ლ უ ს ნ ა. და ისინი მართავდნენ ამ
ქვეყნებს, და დიდი ქალაქები გადაეცათ მათ.

5. შემდეგ გამეფდა ხ ა ტ უ ს ი ლ ი. და მაშინ მისი შვილები,
მისი ძმები, მისი ნათესავეები, მისი გვარის ხალხი, აგრეთვე მისი
მხედრები გაერთიანებული იქნენ. და რა ლაშქრობაშიც კი წავი-
დოდა ის, ყოველთვის თვითონ იმორჩილებდა ძალით მტრის
ქვეყნებს.

6. და იგი ანგრევდა ამ ქვეყნებს და აშინებდა ამ ქვეყნებს და
ახეივნებდა მათ ზღვისკენ. ხოლო როდესაც ლაშქრობიდან უკან
დაბრუნდებოდა, თვითეული მისი ვაჟიშვილი წავიდოდა რომელიმე
ქვეყანაში, და დიდი ქალაქები ემორჩილებოდნენ მის ხელს.

¹ თიხის ტაბულა (XIII საუკ. ჩვენს წ.-მდე) ხატუსის სამეფო არქივიდან.
ორიგინალი მიეკუთვნება XVI საუკ. ჩვენს წ.-მდე.

² მეფის ტიტული.

7. ხოლო შემდგომ, როდესაც უფლისწულების მონები¹ აჯანყდნენ, ისინი შეუდგნენ მათი ოჯახების ამოწყვეტას და დაიწყეს თავიანთი ბატონების გაცემა და დაიწყეს მათი სისხლის ღვრა.

8. როდესაც მურსილი გამეფდა ხატუსაში, მაშინ მისი ვაჟიშვილები, მისი ძმები, მისი ნათესავები, მისი გვარის ხალხი, აგრეთვე მისი მხედრები გაერთიანებული იყვნენ. და ის ძალით იმორჩილებდა მტრის ქვეყნებს, და ის აშინებდა ამ ქვეყნებს და ახვეინებდა მათ ზღვისკენ.

9. და მან გაილაშქრა ქალაქ ხალფაზე და დაანგრია ქალაქი ხალფა და ხატუსაში ჩამოიყვანა ქალაქ ხალფას ტყვეები და ჩამოიტანა მისი ქონება. შემდეგ კი მან გაილაშქრა ბაბილონზე და დაანგრია ბაბილონი და გაანადგურა ხურიტები, და ბაბილონის ტყვეები ხატუსაში ჩამოიყვანა და ქონებაც ჩამოიტანა.

10. ხოლო ხანთილი იყო მესასმისე და მას ცოლად ჰყავდა ხარაფსილი, მურსილის და.

11. და აიციდანთმა შეაგულიანა ხანთილი, და მათ ჩაიდინეს ბოროტი საქმე და მოკლეს მურსილი და დაღვარეს სისხლი.

18². ხოლო როდესაც ხანთილი დაბერდა და ღმერთი ხდებოდა³, ციდანთმა მოკლა ხანთილის შვილი ფისენი მის ვაჟიშვილებთან ერთად, აგრეთვე მოკლა მისი უპირველესი ქვეშევრდომნი.

19. ციდანთი კი გამეფდა. და მაშინ ღმერთებმა ჩამორეცხეს მას ფისენის სისხლი, და ღმერთებმა ამუნი, მისი შთამომავალი, გახადეს მისი მტერი და მან მოკლა თავისი მამა ციდანთი.

20. ამუნი კი გამეფდა. და მაშინ ღმერთებმა ჩამორეცხეს მას მამის — ციდანთის სისხლი და თვითონ იგი, აგრეთვე მისი მარცვლეული, ბაღები, ვენახები, რქიანი პირუტყვი და ცხვრები მის ხელში არ გაახარეს.

21. ქვეყნები კი გახდნენ მისი მტრები — ქალაქი . . . , ქალაქი ქალმი, ქვეყანა ადანი⁴, ქვეყანა არცავი⁵, ქალაქები სალაფი, ფარდუვათი და ახული. და რალაშქრობაშიც კი წავა ჯარი, უკან ბრუნდება დამარცხებული. ხოლო რო-

¹ ალბათ, ქვეშევრდომნი.

² 12 — 17 მუხლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

³ ე. ი. როცა კვდებოდა.

⁴ აღმოსავლეთ კილიკიაში.

⁵ კილიკია.

დესაც ამუნი ღმერთი გახდა¹, იმავე დღეებში ცურმა, მთავარმა მეშედიმ², ფარულად გაგზავნა თავისი სახლიკაცი თახარვაილი, ოქროს შუბის კაცი, და მან ამოხოცა თითის³ გვარი მისი ვაჟიშვილებითურთ.

22. და მან გაგზავნა მღევარი თარუხსი, და მან მოკლა ხანთილი მისი ვაჟიშვილებითურთ. და გამეფდა ხუცი. ხოლო ტელეფინს ცოლად ჰყავდა მისი უფროსი და ისთაფარია. როდესაც ხუციმ მოკლა ისინი, ეს საქმე გამჟღავნდა, და ტელეფინმა გააძევა ისინი.

23. მას ჰყავდა 5 ძმა, და მან აუშენა მათ სახლები: დე წავიდნენ და იცხოვრონ, დე ჰამონ და სვან, მათ კი სიავეს არავინ უზამს. და მე ვაცხადებ: მათ მე სიავე მიყვეს, მე კი მათ სიავეს არ უზამა⁴.

24. როდესაც მე, ტელეფინი მამაჩემის ტახტზე ავედი, გავილაშქრე ქალაქ ხასუფზე და დავანგრეე ქალაქი ხასუფი. ხოლო ჩემი ლაშქარი იყო ქალაქ ციცილიფში, და ქალაქ ციცილიფში მოხდა ბრძოლა.

25. შემდეგ, როდესაც მე, მეფემ, გავილაშქრე ქალაქ ლავაცანთზე, მაშინ ლახა ჩემი მტერი იყო და მან ამომხედრა ქალაქი ლავაცანთი, მაგრამ ღმერთებმა ისინი მე გადმომცეს ხელთ. ხოლო პირველი ათასისთავი თათა აგრეთვე ქარუვი; უფროსი ინარი; მესასმისეთუხუცესი ქილა, აგრეთვე თათამიმა; მესკიპტრეთუხუცესი ცინვასელი, აგრეთვე ლელი, იყვნენ დიდებულნი. და მათ ფარულად გაგზავნეს მესკიპტრე თანუვთან.

26. მე, მეფე, არ ვიცნობდი ხუცს, აგრეთვე მის ძმებს. როდესაც მე, მეფემ, შევიტყვე, მაშინ თანუვა, თახარვაილი და თარუხსი მომიყვანეს, და ფანკუსმა⁵ განუწყესა მათ სიკვდილი. მაგრამ მე, მეფემ ვთქვი: «რატომ უნდა მოკვდნენ ისინი, დე დამალონ სახე⁶». და მე, მეფემ გამოვყავი ისინი, მე ვაქციე ისინი გუთნის ადამიანებად და შემდეგ მარჯვენა ბარძაყიდან ჩამოვხსენი მათ იარაღი და დავადგი მათ უღელი.

¹ ე. ი. მოკვდა.

² გამოჩენილი მოხელის წოდება.

³ ალბათ, ამუნის შვილის.

⁴ ცდა საგვარეულო შურისძიების შესაწყვეტად.

⁵ Pankus «საბჭო», სიტყვასიტყვით «ხალხი».

⁶ ლაპარაკია, ალბათ, მონად გადაქცევის შესახებ.

27. ხოლო დიდებული გვარის¹ სისხლი გახდა ჩვეულებრივი², და დედოფალი ისთაფარია მოკვდა, ხოლო შემდეგ ის მოხდა, რომ მოკვდა მეფის ვაჟიშვილი ამუნი. და საღვთო ადამიანები³ აცხადებდნენ: «აი, ხატუსაში სისხლი ჩვეულებრივი გახდა» და მე, ტელეფინმა, ხატუსაში მოვიწვიე კრება. ამიერიდან ხატუსაში სამეფო გვარის ვაჟიშვილს არავინ არ უნდა უყოს ავი, და არ უნდა ჩასცეს მას ხანჯალი.

28. მეფის შვილებიდან მეფედ დე გახდეს მხოლოდ მეფის პირველი ვაჟიშვილი. უკეთუ მეფის პირველი ვაჟიშვილი აღარ არის, მეფედ დე გახდეს მომდევნო ვაჟიშვილი. თუ მეფეს მემკვიდრე ვაჟიშვილი არ ჰყავს, მაშინ ის, რომელიც პირველი ქალიშვილია, გაათხოვონ, და დე მისი ქმარი იყოს მეფედ.

29. აწ და მარადის — ვინც ჩემს შემდეგ მეფე გახდება, დე მისი ძმები, მისი ვაჟიშვილები, მისი ნათესავები, მისი გვარის ხალხი, აგრეთვე მისი მხედრები დე იყვნენ გაერთიანებულნი. და მიხვალ შენ და ძალით დაიმორჩილებ მტრის ქვეყნებს. მაგრამ ნულარ იტყვი ასე: «მე ვაპატიებო», სინამდვილეში კი შენ არაფერს არ აპატიებ, არამედ მალავ გულში. გვარეულობიდან ნურავის ნუ მოკლავ — ეს ცუდის მომასწავებელია.

30. შემდგომაც, ის, ვინც მეფე იქნება, შეეცდება ძმას ან დას სიავე უყოს, თქვენ კი იქნებით მისი «ფანკუსი»⁴, პირდაპირ უთხარით მას: «ეს სასისხლო საქმეა! წაუკითხე ტაბულაზე: უწინ სისხლი უხვად იყო ხატუსაში, შემდეგ კი ღმერთებმა მისცეს დასაბამი დიდ გვარეულობას».

31. ვინც ძმებს ან დებს სიავეს უზამს, იგი პასუხს აგებს მეფის თავითა⁵. და მოიწვიეთ კრება. როდესაც შემდგომ მისი საქმე ასე წავა, მან სიცოცხლით აგოს პასუხი, ხოლო ფარულად, როგორც ცურმა, თანუგმა, თახარვაილმა და თარუხსმა, არ უნდა მოკლან, მის სახლს, მის ცოლს და ვაჟიშვილებს ავი არ უნდა უყონ.

უკეთუ უფლისწული დააშავებს, დე მან მხოლოდ თავის სიცოცხლით აგოს პასუხი. მაგრამ მის სახლს, აგრეთვე მის ვაჟიშვილებს ავი არ უნდა უყონ. იმას, ვის გამოც იღუპებიან უფლისწულნი, არა აქვს დამოკიდებულება მათი სახლებისა და მიწების, მათი

¹ ე. ი. მეფის ოჯახის.

² ე. ი. შეწყდა შურისძიება და სამეფო გვარის ადამიანები ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდნენ.

³ ქურუმები.

⁴ იხ. მუხლი 26-ე მუხლის შენიშვნა.

⁵ ე. ი. თავისი სიცოცხლით.

ვენახებისა და საძოვრების, მათი მონების, რქიანი პირუტყვისა და ცხვრების მიმართ.

32. ხოლო ამჟამად, როდესაც რომელიმე უფლისწული დააშავებს, დე მან მხოლოდ თავისი სიცოცხლით აგოს პასუხი, მის სახლსა და მის ვაჟიშვილს კი ავს ნუ უზამთ. უფლისწულთა ხალხისა და იარაღის გაცემა არ იქნება სწორი. ის ვინც ამ ბოროტ საქმეს ჩაიდენს — ხალხი , სახლის მეთაური, სასახლის მთავარი შვილთაგანი, მთავარი მეშედი, აგრეთვე მთავარი მევენახე, თუ მოისურვებს უფლისწულის სახლის დაუფლებას და გამოაცხადებს: ესა და ეს სოფელი ჩემი გახდებოა, ამით იგი სიავეს უზამს სოფლის ბატონს.

33. ხოლო ამჟამად, დღეიდან ხატუსაში, სასახლის შვილებო, მეშედებო, ოქროს მებაჯრენო, მესასმისენო, მესუფრენო, მეპურენო, მესკიპტრენო, salashijaz¹, საველე ათასისთავნო, — თქვენ იცოდეთ ეს საქმე მომავლისთვის — დე თანუვი, თახარვაილი, თარუხსი თქვენს წინაშე იქნებიან მანიშნებელნი: როდესაც ვინმე მომავალში ჩაიდენს სიავეს, იქნება ეს სახლის მეთაური, თუ სასახლის მთავარი შვილთაგანი, მთავარი მევენახე, მთავარი მეშედი, საველე ათასისთავი , ხოლო თქვენ, ფანკუსმა, შეიპყარით ის და მოჰკალით.

49². სისხლის საქმე ასე იყოს: ვინც სისხლს დაღვრის, იქნეს ისე, როგორც სისხლის ბატონი³ იტყვის — უკეთუ იგი იტყვის: «დე ის მოკვდესო», დე იგი მოკვდეს; უკეთუ ის იტყვის «დე მან ზლოსო», დე მან ზლოს. მეფეს კი ამასთან საქმე არა აქვს.

50. ამიერიდან ხატუსაშიც განწმინდეთ ჯადოსნობის საქმენი. ვინც რაიმე ჯადოსნობას გაიგებს გვარში, თქვენ იგი, ეს გვარი, შეიპყარით და მიიყვანეთ სასახლის კარზე. ვინც კი მას არ მიიყვანს, ისე მოხდება, რომ თვით მას, მის ხალხსა და მის სახლს დაატყდება თავს ბოროტება.

ტელეფინის 1 ტაბულა დამთავრებულია.

¹ სიტყვის მნიშვნელობა უცნობია.

² 34 — 48 მუხლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

³ ე. ი. მოკლულის ოჯახის მეთაური.

ხათაბის კანონთა პირველი გაბულა¹

«უკეთუ კაცი, მისი უდიდებულესობის
მამაჩემის ტაბულა

1. უკეთუ ვინმე ჩხუბში მოკლავს კაცს ან ქალს, მან უნდა დაკრძალოს ის და უნდა მისცეს 4 თავი², კაცი ან ქალი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით³.

2. უკეთუ ვინმე ჩხუბში მოკლავს მონას ან მხეველს, მან უნდა დაკრძალოს ის და მისცეს 2 თავი, კაცი ან ქალი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

3. უკეთუ ვინმე დაარტყამს მამაკაცს ან თავისუფალ ქალს და ის მოკვდება, თუ კი მხოლოდ მისმა ხელმა შესცოდა, მან უნდა დაკრძალოს ის და მისცეს 2 თავი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

4. უკეთუ ვინმე გაარტყამს მონას ან მხეველს და ის მოკვდება, თუ კი მხოლოდ მისმა ხელმა შესცოდა, მან უნდა დაკრძალოს ის და მისცეს 1 თავი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

5. უკეთუ ვინმე მოკლავს ხატუსელ ვაჟარს, მან უნდა გადაიხადოს 1¹/₂ მინა ვერცხლი⁴ და პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით; უკეთუ ეს მოხდება ლუფიაში⁵ ან ფალაში, მან უნდა გადაიხადოს 1¹/₂ მინა ვერცხლი და ანაზღაუროს მისი ქონება. თუ ეს მოხდება ხატუსაში, ვაჟარიც მან თვითონ უნდა დაკრძალოს.

¹ ტექსტი, რომელმაც მოაღწია ხეთების მეფეთა ქ. ხატუსის არქივიდან, მიეკუთვნება XV საუკუნის ბოლოს ჩვენს ერამდე; შეიცავს მითითებას გაუქმებულ, უფრო ადრინდელ კანონებზე. შემონახულია დუბლიკატური ნუსხების ფრაგმენტები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს.

² იგულისხმება მონები ან მათი ოჯახის წევრები.

³ ე. ი. საზღაური უნდა გადაიხადოს საოჯახო ქონებიდან დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის ღირსების მიხედვით.

⁴ 1¹/₂ მინა ვერცხლი უდრის 4 მონის ფასს.

⁵ მცირე აზიის სამხრეთი.

6. უკეთუ ვინმე, კაცი იქნება იგი თუ ქალი, მოკვდება სხვის სოფელში, მაშინ მან, ვის ნაკვეთზედაც იგი მოკვდება, უნდა მოსკრას ერთნახევარი ფესარი მინდორი და დაკრძალოს ის.

7. უკეთუ ვინმე დააბრმავებს თავისუფალ კაცს ან ჩაუმტვრევს მას კბილს, უწინ იხდიდნენ 1 მინა ვერცხლს, ახლა კი მან უნდა გადაიხადოს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

8. უკეთუ ვინმე დააბრმავებს მონას ან მხევალს ან ჩაუმტვრევს მას კბილს, მან უნდა გადაიხადოს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

9. უკეთუ ვინმე მოაჯადოებს კაცის თავს, უწინ იხდიდნენ 6 ნახევარსიკლ ვერცხლს: მოჯადოებული ღებულობდა 3 ნახევარსიკლ ვერცხლს, ხოლო სასახლეს ეძლეოდა 3 ნახევარსიკლი ვერცხლი, ახლა კი მეფემ ის, რაც სასახლეს ეკუთვნოდა, გააუქმა, და მხოლოდ მოჯადოებულმა უნდა მიიღოს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

10. უკეთუ ვინმე მოაჯადოებს კაცს და დააავადმყოფებს, მან უნდა მოუაროს მას და მის ნაცვლად მისცეს კაცი, და ან კაცმა უნდა იმუშაოს მისი სახლისათვის მანამდე, ვიდრე ავადმყოფი არ მორჩება; ხოლო როდესაც იგი მორჩება, მომჯადოებელმა უნდა მისცეს მას 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, და ექიმის გასამრჯელოც მან უნდა გაიღოს.

11. უკეთუ ვინმე თავისუფალ კაცს მოსტებს ხელს ან ფეხს, მან უნდა მისცეს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

12. უკეთუ ვინმე მოსტებს ხელს ან ფეხს მონას ან მხევალს, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

13. უკეთუ ვინმე ცხვირს მოკვნეტს თავისუფალ კაცს, მან უნდა მისცეს 1 მინა ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

14. უკეთუ ვინმე მოკვნეტს ცხვირს მონას ან მხევალს, მან უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

15. უკეთუ ვინმე დაუსახიჩრებს ყურს თავისუფალ კაცს, მან უნდა მისცეს 12¹ ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

¹ გ ი ო ტ ც ე ს მიხედვით «15».

16. უკეთუ ვინმე დაუსახიჩრებს ყურს მონას ან მხევალს, მან უნდა მისცეს 3¹ ნახევარსიკლი ვერცხლი.

17. უკეთუ ვინმე თავისუფალ ქალს მუცელს მოუშლის, თუ ფეხმძიმობის მე-10 თვე იყო, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი, თუ მე-5 თვე იყო, მან უნდა მისცეს 5 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

18. უკეთუ ვინმე მუცელს მოუშლის მხევალს, თუ ფეხმძიმობის მე-10 თვე იყო, მან უნდა მისცეს 5 ნახევარსიკლი ვერცხლი.

19. უკეთუ ვინმე ლუფიელი მოიტაცებს კაცს — იქნება ის კაცი თუ ქალი — ხატუსიდან და წაიყვანს მას არცავეაში², ხოლო მისი ბატონი იპოვის მას, შეუძლია წაიყვანოს მთელი მისი ოჯახი.

უკეთუ თვით ხატუსაში რომელიმე ხეთი მოიტაცებს ლუფიელს და წაიყვანს მას ლუფიაში, უწინ აძლევდნენ 12 თავს, ახლა კი მან უნდა მისცეს 6 თავი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

20. უკეთუ რომელიმე ხეთი მოიტაცებს ლუფიიდან ხეთ-მონას და მიიყვანს მას ხატუსის ქვეყანაში, ხოლო მისი ბატონი აღმოაჩენს მას, მომტაცებელმა უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

21. უკეთუ ვინმე ლუფიელს მოსტაცებს მონას ლუფიიდან და მიიყვანს მას ხატუსის ქვეყანაში, ხოლო მისი ბატონი მას აღმოაჩენს, მას შეუძლია წაიყვანოს მხოლოდ ეს მონა, ანაზღაურება არ უნდა იყოს.

22. უკეთუ მონა გაიქცევა და ვინმე უკანვე მოიყვანს მას, თუ კი ის ახლოს შეიპყრობს მონას, მონის პატრონმა მას უნდა მისცეს სანდალიები, უკეთუ იგი მას შეიპყრობს მდინარის გამოღმა, მონის პატრონმა მას უნდა მისცეს 2 ნახევარსიკლი ვერცხლი; ხოლო თუ მდინარის გაღმა შეიპყრობს, მონის პატრონმა უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

23. უკეთუ მონა გაიქცევა და წავა ლუფიაში, იმას, ვინც მას უკან მოიყვანს, უნდა მიეცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი; უკეთუ მონა გაიქცევა და წავა მტრის ქვეყანაში, მაშინ სწორედ იმას შეუძლია ის წაიყვანოს, ვინც უკან მოიყვანა იგი.

24. უკეთუ მონა ან მხევალი გაიქცევა, იმან, ვის კერასთანაც მას იპოვის მისი ბატონი, მამაკაცისთვის უნდა მისცეს საზღაური — 1 თვეში 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, ხოლო ქალისთვის უნდა მისცეს საზღაური — 1 თვეში 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

¹ ნიოტცეს მიხედვით «6».

² ოლქი მცირე ახიის სამხრეთში.

25. უკეთუ კაცი გააქუქყიანებს წყალსატევს ან ტბორს, უწინ აძლევდნენ 6 ნახევარსიკლ ვერცხლს: იმას, ვინც გააქუქყიანებდა, უნდა მიეცა 3 ნახევარსიკლი; აგრეთვე, სასახლისათვის, სახლში ახდევინებდნენ 3 ნახევარსიკლს; ახლა მეფემ გააუქმა ის, რასაც ახდევინებდნენ სასახლისათვის, და ვინც გააქუქყიანებს, თვითონ უნდა მისცეს მხოლოდ 3 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

27¹. უკეთუ კაცი ცოლს შეირთავს და წაიყვანს მას თავის სახლში, კაცს უნდა გადაეცეს ცოლის «ივარუსა» ნაწილი. უკეთუ ქალი მოუყვდება კაცს, როდესაც მის ქონებას დაწვავენ², კაცს შეუძლია წაიღოს მისი «ივარუსა» ნაწილი.

ხოლო თუ კი ქალი მოკვდება მამის სახლში, მამაკაცმა თავის ვაჟიშვილებისთვის არ უნდა წაიღოს ქალის «ივარუსა» ნაწილი.

28. უკეთუ ქალიშვილის მითხოვებას შეპირდნენ კაცს, ხოლო მას სხვა მოიტაცებს, იმან ვინც ქალს მოიტაცებს, პირველ კაცს უნდა აუნაზღაუროს იმდენი სასყიდელი, რამდენიც მიცემული იყო; მამა და დედა არაფერს არ უნაზღაურებენ.

უკეთუ მამა და დედა თვითონ მიათხოვებენ მას სხვა კაცს, მამამ და დედამ პირველ კაცს უნდა აუნაზღაუროს გამოსასყიდი; უკეთუ მამა და დედა უარს ეტყვიან ანაზღაურებაზე, მაშინ კაცს შეუძლია წაიყვანოს ქალი.

29. უკეთუ ქალიშვილს გაურიგებენ კაცს, და მან გაიღო მისი საქორწინო გამოსასყიდი³, ხოლო შემდეგ მამა და დედა გააუქმებენ ხელშეკრულებას და ქალს არ მიათხოვებენ იმ კაცს, მათ უნდა აანაზღაუროს გამოსასყიდი ორმაგად.

30. უკეთუ კაცი არ წაიყვანს ქალს ცოლად და უარს იტყვის მასზე, იგი ჰკარგავს გამოსასყიდს, რომელიც მან მიიტანა.

31. უკეთუ თავისუფალი კაცი და მხევალი ნებაყოფლობით შეერთდებიან, და იგი მას ცოლად შეირთავს და ისინი გაიჩენენ ოჯახსა და ბავშვებს, შემდეგ წაიჩხუბებიან და შეთანხმდებიან გაიყარონ, მათ შუაზე უნდა გაიყონ სახლი; მამაკაცს შეუძლია წაიყვანოს შვილები, ხოლო ქალს შეუძლია წაიყვანოს მარტო 1 ვაჟი.

32. უკეთუ მონა შეირთავს თავისუფალ ქალს, მათი სასამართლო საქმე იგვიყა.

¹ 26-ე მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა.

² ცოლის ოჯახის ქონების სამემკვიდრეთ ნაწილი, მისი მზითვევი.

³ პირად ქონებას წვაენდნენ მიცვალებულთან ერთად.

⁴ kusata.

33. უკეთუ მონა ცოლად წაიყვანს მხევალს, მათი სასამართლო საქმე იგივეა.

34. უკეთუ მონა გაიღებს გამოსასყიდს ქალისათვის და მოისურვებს ცოლად წაიყვანოს იგი, არავინ არაა ვალდებული გაათხოვოს ის.

35. უკეთუ აგრიგი¹ ან მწყემსი მოიტაცებს თავისუფალ ქალს და არ გაიღებს მისთვის გამოსასყიდს, ქალი 3 წლით უნდა გახდეს მხევალი.

36. უკეთუ მონა გაიღებს გამოსასყიდს თავისუფალი ყმაწვილისათვის და მოისურვებს მის ქმრად აყვანას², არავინ არაა ვალდებული გააყოლოს იგი.

37. უკეთუ ვინმე მოიტაცებს ქალს, ხოლო მათ დაედევნება ქომაგი, თუ დადევნებისას მოკვდება 2 ან 3 კაცი, ანაზღაურება არ უნდა იყოს: «შენ მგელი გახდიო».

38. უკეთუ ხალხი შეპყრობილი იქნება სასამართლო საქმეზე და ვინმე მოვა მათი ქომაგის სახით, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგენი სასამართლოს განაჩენის გამო წაიჩხუბებიან და ქომაგს მისი მოწინააღმდეგე სცემს, და იგი მოკვდება, ანაზღაურება არ უნდა იყოს.

39. უკეთუ სოფლის მცხოვრები დაიკავენს მეორის სახნავ-სათესს და შეასრულებს «სახანსა»³, თუ მან შემდგომ მიატოვა სახნავ-სათესი, ეს სახნავ-სათესი შეუძლია აილოს სხვამ, მაგრამ მას არ შეუძლია ეს სახნავ-სათესი გაყიდოს.

40. უკეთუ მხედარი დაიკარგება, და «სახანის» სხვა კაცი იქნება დანიშნული და «სახანის» ეს კაცი იტყვის: «ეს იარაღი ჩემია» აგრეთვე ეს «სახანი» ჩემიაო, ის დაეუფლება მხედრის სახნავ-სათესს, აგრეთვე მან უნდა აილოს იარაღი და შეასრულოს «სახანის» თუ იგი უარს იტყვის იარაღზე, დაჰკარგავს მხედრის მიერ მიტოვებულ სახნავ-სათესს, მიწას კი დაამუშავენს იმ თემის ხალხი.

თუ მეფე ტყვეს დანიშნავს, მას უნდა გადაეცეს ეს სახნავ-სათესი და ის გახდება მხედარი.

41. უკეთუ «სახანის» კაცი დაიკარგება და მის მაგიერ დანიშნება «სახანის» სხვა კაცი და ეს მხედარი იტყვის: «ეს იარაღი ჩემია, აგრეთვე ეს «სახანი» ჩემიაო, ის დაეუფლება «სახანის» კა-

¹ მონის რაღაც პროფესია.

² ალბათ არაბუნებრივი ცხოვრებისათვის.

³ «სახანი» — სამხედრო ბეგარა.

ცის სახნავ-სათესს, აგრეთვე მან უნდა აილოს იარაღი და შეასრულოს «სახანია»;

ხოლო თუ ის უარს იტყვის «სახანის» შესრულებაზე, მაშინ «სახანის» კაცის მიწა გადაეცემა სასახლეს¹, «სახანია კი დაიკარგება.

42. უკეთუ ვინმე დაიქირავებს კაცს, და ეს კაცი წავა სალაშქროდ და შემდეგ მოკვდება, თუ ქირა მიცემული იყო, მან საზღაური არ უნდა მისცეს;

თუ მისი ქირა ჯერ კიდევ არ ყოფილა მიცემული, დამქირავებელმა უნდა მისცეს 1 თაფი², აგრეთვე უნდა მისცეს საზღაური — 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, ქალს კი მან უნდა მისცეს საზღაური — 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

43. უკეთუ კაცს მდინარეზე გადაჰყავს თავისი ხარი, ხოლო მეორე ხელს ჰკრავს მას, ხარს კუდში ჩასჭიდებს ხელს და გადავა მდინარეზე, ხარის პატრონს კი მდინარე წაიღებს, იგი თვითონ უნდა იქნას წაყვანილი საზღაურად.

44. უკეთუ ვინმე ცეცხლს წაუკიდებს კაცს, და ის მოკვდება, მის მაგიერ შემდეგ მან უნდა მისცეს თავისი შვილი საზღაურად.

თუ ვინმე გაწმენდს კაცს³, უნდა მიუტანოს . . . უკეთუ ეს⁴ მან მიიტანა ვინმეს ყანაში ან სახლში, ასეთი ჯადოსნობა ექვემდებარება მეფის სასამართლოს.

45. უკეთუ ვინმე იპოვის ნივთს, უნდა დაუბრუნოს ის პატრონს და მან უნდა დააჯილდოვოს იგი; თუ კი არ დააბრუნებს ნივთს, იგი ქურდია.

46. უკეთუ ვინმეს თემში «ივარუს» სახით აქვს სახნავ-სათესი და «სახანია», თუ მიცემული ჰქონდა მთელი სახნავ-სათესი⁵ მან უნდა იკისროს «ლუციცა»⁶.

ხოლო თუ მას მიცემული ჰქონდა სახნავ-სათესის ნაკლები ნაწილი, მან არ უნდა შეასრულოს «ლუციცა», არამედ იგი უნდა იკისროს მისი მამის ოჯახმა;

უკეთუ «ივარუს» ბატონი გამოუყოფს მას სახნავ-სათესსა და იარაღს ან თემის ხალხი მისცემს მას მიწას, მან უნდა იკისროს «ლუციცა».

¹ ე. ი. გადავა სამეფო მიწის ფონდში.

² ე. ი. მონა.

³ ალბათ «განწმენდს ჯადოსანს».

⁴ ე. ი. ხანძარი ან ავადმყოფობა, გამოწვეული ჯადოსნობით.

⁵ ე. ი. სათემო მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს სამეფო ბეგარის საგანს.

⁶ სახელმწიფო ბეგარა.

47. უკეთუ ვინმეს აქვს სახნავ-სათესი, ვითარცა მეფის საჩუქარი, მან არ უნდა იკისროს «ლუცი», მეფე გაიღებს პურს მისთვის თავისი ბელლიდან¹.

თუ ვინმე შეისყიდის მხედრის მთელ სახნავ-სათესს, მან უნდა იკისროს მისი «ლუცი»;

უკეთუ შეისყიდოს სახნავ-სათესის ნეტ ნაწილს, არ უნდა იკისროს «ლუცი»;

თუ იგი გამოიყოფს სახნავ-სათესსა და იარაღს, ან თემის ხალხი მისცემს მას მიწას, მან უნდა იკისროს «ლუცი».

48. უკეთუ ტყვე² იკისრებს «ლუცის», ტყვესთან არავინ არ უნდა დადოს გარიგება; არავინ არ უნდა იყიდოს მისი ვაჟიშვილი, მისი სახნავ-სათესი და მისი ვენახი; ვინც დადებს გარიგებას ტყვესთან, იგი ჰკარგავს ფასს, ხოლო ტყვეს შეუძლია წაილოს ის, რაზედაც მან დადო გარიგება.

49. უკეთუ ტყვე მოიპარავს, საზღაური არ შეიძლება იყოს. თუ მან არტელი³ გაქურდა, თავისივე არტელს უნდა აუნაზღაუროს. როდესაც ყველამ წაიღო ნაქურდალი, მაშინ ყველა დამნაშავეა, ანუ ქურდია: როგორც კი დაიჭერენ ამას თუ იმას, უნდა ჩააგდონ მეფის დილეგში.

50. კაცი, რომელიც ბატონობს ნერიქში და ვინც არინაში, და ისინი, რომლებიც ციფალანთაში⁴ ქურუმებია— ყველა ქალაქში მათი სახლები თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ მათი სამემკვიდრეო წილის ხალხმა უნდა იკისროს «ლუცი»; ხოლო როდესაც არინაში 11 თვე გავა, მაშინ მისი სახლი⁵.

51. უწინ ის, ვინც შემლოცველი იყო არინაში აგრეთვე სახლი მისი უნდა ყოფილიყო თავისუფალი⁶, და მისი სამემკვიდრეო წილის ხალხი, აგრეთვე მისი სახლიკაცები უნდა ყოფილიყვნენ თავისუფალნი, ახლა კი მხოლოდ მისი სახლია თავისუფალი; მისი სამემკვიდრეო წილის ხალხმა, აგრეთვე მისმა სახლიკაცებმა უნდა იკისრონ «სახანი» და «ლუცი». ციფალანთაშიც ასევე.

¹ სიტყვასიტყვით «სუფრიდან».

² სიტყვასიტყვით «ნადავლი».

³ სიტყვასიტყვით «სხეული», ორჯანიხაციის სახეობა.

⁴ ხეთების სამეფოს წმინდა ქალაქები, რომლებსაც ჰქონდათ თვითმპარველობა.

⁵ დასასრული აკლია, შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

⁶ ბეგარისაგან.

52. საგანძურის მონამ, უფლისწულის მონამ და პატრონმა, რომლებსაც სახნავ-სათესი აქვთ მხედრების თანაბრად, უნდა იკისრონ «ლუცი».

53. უკეთუ მხედარი და მისი სამემკვიდრეო წილის კაცი ერთად იქნებიან, და შემდგომ ისინი წაიჩხუბებიან, მათ უნდა გაიყონ თავიანთი სახლი;

თუ მათ მეურნეობაში¹ 10 თავია², მხედარმა უნდა წაიყვანოს 7 თავი, ხოლო მისი სამემკვიდრეო წილის კაცმა უნდა წაიყვანოს 3 თავი; მათ აგრეთვე უნდა გაიყონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ცხვრები, რომლებიც მათ მეურნეობაში იყო;

თუ რომელიმე მათგანს აქვს მეფის ტაბულა საჩუქრის შესახებ, როდესაც ისინი შეუღდებიან თავიანთი წინანდელი სახნავ-სათესის გაყოფას, მხედარმა უნდა წაიღოს საჩუქრის 2 ნაწილი, ხოლო მისი სამემკვიდრეო წილის კაცმა უნდა წაიღოს 1 ნაწილი.

54. უწინ მანდის მხედრებს, სალის მხედრებს, ქალაქთა მალქის მხედრებს, ქალაქ ხათრის მხედრებს, ქალაქ ცალფის მხედრებს, ქალაქთასხინის მხედრებს, ქალაქ ხემუვის მხედრებს, მშვილდოსნებს, ხუროებს, აბჯროსნებს, აგრეთვე karuhalimes³ არ უნდა ეკისრათ «ლუცი», არ უნდა შეესრულებინათ «სახანი».

55. როდესაც ხატუსის მცხოვრებნი — «სახანის» ხალხი მეფის მამასთან ნივიდნენ და მიდიოდნენ და აცხადებდნენ: «ჩვენ არავინ არ გვიხდის, და ისინი⁴ ჩვენ გვეუბნებიან: «მხოლოდ თქვენ ხართ «სახანის» ხალხიო. და მეფის მამამ კრებაზე გადაწყვიტა და ბეკელი დასვა: «წადით; რადგან თქვენ ჩემი ares⁵-ები ხართ, ასეთებიც იყავითო».

56. მეფის ლაშქრობისას ციხე-სიმაგრის აგებისა და ყურძნის კრეფისაგან არც ერთი თოქმაჩი⁶ არ არის თავისუფალი; და ყველა მებაღემ უნდა იკისროს «ლუცი».

57. უკეთუ ვინმე მოიპარავს ბულა ხარს, — თუ ხარი ერთ წელზე ნაკლებისაა, იგი არ ითვლება ბულად, უკეთუ ხარი წლისაა, იგი არ ითვლება ბულად, უკეთუ ხარი ორი წლისაა, იგი ითვლე-

¹ მიწის ფართობი სოფლის გარეთ.

² ე. ი. მონა.

³ სიტყვის მნიშვნელობა უცნობია.

⁴ «სახანი»-საგან განთავისუფლებულნი.

⁵ ტერმინის მნიშვნელობა გაუგებარია.

⁶ ალბათ იგულისხმება ხელოსანი საერთოდ.

ბა ბუღად, — უწინ აძლევდნენ 30 ხარს, ახლა კი მან უნდა მისცეს 15 ხარი: მან უნდა მისცეს 5 ორწლიანი ხარი, 5 ერთწლიანი ხარი, 5 ერთ წელზე ნაკლები ხნის ხარი, თანაც პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

58. უკეთუ ვინმე მოიპარავს ულაყს, — თუ ცხენი ერთ წელზე ნაკლებისაა, იგი არ ითვლება ულაყად, თუ ცხენი წლისაა, იგი არ ითვლება ულაყად, თუ ცხენი ორი წლისაა, იგი ითვლება ულაყად. — უწინ აძლევდნენ 30 ცხენს, ახლა კი მან უნდა მისცეს 15 ცხენი: მან უნდა მისცეს 5 ორწლიანი ცხენი, 5 წლიანი ცხენი, 5 ერთ წელზე ნაკლები ხნის ცხენი, აგრეთვე ის პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

59. უკეთუ ვინმე მოიპარავს სანაშენო ყოჩს, უწინ აძლევდნენ 30 ცხვარს, ახლა კი მან უნდა მისცეს 15 ცხვარი: მან უნდა მისცეს 5 ნაზმატყლიანი ცხვარი, 5 ყოჩი, 5 ბატკანი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

60. უკეთუ ვინმე იპოვის ბუღა ხარს და მოაჯლის მას დაღს და მისი პატრონი აღმოაჩენს მას, მაშინ იმან, ვინც დაღი მოაცილა, უნდა მისცეს 7 ხარი: მან უნდა მისცეს 2 ორწლიანი ხარი, 3 ერთწლიანი ხარი და 2 ერთწელზე ნაკლები ხნის ხარი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

61. უკეთუ ვინმე იპოვის ულაყს და მოაჯლის მას დაღს, და მისი პატრონი აღმოაჩენს მას, მაშინ იმან, ვინც დაღი მოაცილა, უნდა მისცეს 7 ცხენი: მან უნდა მისცეს 2 ორწლიანი ცხენი, 3 ერთწლიანი ცხენი, 2 ერთ წელზე ნაკლები ხნის ცხენი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

62. უკეთუ ვინმე იპოვის სანაშენო ყოჩს და მოაჯლის მას დაღს და მისი პატრონი აღმოაჩენს მას, მაშინ იმან, ვინც დაღი მოაცილა, უნდა მისცეს 7 ცხვარი: მან უნდა მისცეს 2 ნაზმატყლიანი ცხვარი, 3 ყოჩი, 2 ბატკანი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

63. უკეთუ ვინმე მოიპარავს უღლის ხარს, უწინ აძლევდნენ 15 ხარს, ახლა მან უნდა მისცეს 10 ხარი: მან უნდა მისცეს 3 ორწლიანი ხარი, 3 ერთწლიანი ხარი, 4 ერთწელზე ნაკლები ხნის ხარი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

64. უკეთუ ვინმე მოიპარავს შესაბმელ ცხენს, მისი საქმეც იგივეა.

65. უკეთუ ვინმე მოიპარავს შინაურ ვაცს, ან მოშინაურებულ ან შინაურ მთის ყოჩს, მათი საზღაური ისეთივეა, როგორც ვაცისა.

66. უკეთუ ბაკში შევა გზააბნეული უღლის ხარი, ან შესაბმელი ცხენი, ან ძროხა, ან შესაბმელი ქაკი ვირი, ან ფარეხში შევა გზააბნეული შინაური ვაცი, ნაზმატყლიანი ცხვარი ან ყოჩი, და მისი პატრონი მას აღმოაჩენს, პატრონს შეუძლია კანონიერად წაიყვანოს ის, მაგრამ მას არ უნდა ექნეს უფლება შეიპყროს ქურდი.

67. უკეთუ ვინმე მოიპარავს ძროხას, უწინ აძღვედნენ 12 ხარს, ახლა მან უნდა მისცეს 6 ხარი: მან უნდა მისცეს 2 ორწლიანი ხარი, 2 ერთწლიანი ხარი, 2 ერთ წელზე ნაკლები ხნის ხარი, აგრეთვე პასუხს აგებს თავის სახლ-კარით.

68. უკეთუ ვინმე მოიპარავს შესაბმელ ქაკ ცხენს, მისი საქმე იგივეა.

69. უკეთუ ვინმე მოიპარავს ნაზმატყლიან ცხვარს ან ყოჩს, უწინ აძღვედნენ 12 ცხვარს, ახლა მან უნდა მისცეს 6 ცხვარი: მან უნდა მისცეს 2 ნაზმატყლიანი ცხვარი, 2 ყოჩი, 2 ბატკანი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

70. უკეთუ ვინმე მოიპარავს ხარს ან ცხენს, ან ჯორს, ან ვირს, და მისი პატრონი მას აღმოაჩენს, მას შეუძლია კანონიერად წაიყვანოს ის; ხოლო ქურდმა, გარდა ამისა, უნდა ზღოს ორმაგად, აგრეთვე იგი პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

71. უკეთუ ვინმე იპოვნის ხარს, ცხენს, ან ჯორს, მან უნდა მირეკოს მეფის კარზე.

თუ ის აღმოაჩენს მას მინდვრად, უხუცესებმა უნდა მიაკუთვნონ იგი მას, და იგი შეაბამს მას; თუ კი მას აღმოაჩენს მისი პატრონი, შეუძლია კანონიერად წაიყვანოს ის, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს უფლება შეიპყროს ქურდი.

ხოლო თუ უხუცესები არ მიაკუთვნებენ მას იმას, ის ქურდია.

72. უკეთუ ხარი დაეცემა ვინმეს მიწაზე¹, მიწის პატრონმა უნდა მისცეს 2 სული პირუტყვი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

73. უკეთუ ვინმე დაასახიჩრებს ჯანიერ ხარს, ის თვითონ თითქოს ქურდია.

74. უკეთუ ვინმე მოსტეხს ხარს რქას ან ფეხს, მან თვითონ უნდა წაიყვანოს ის, ხოლო მის პატრონს მისცეს კარგი ხარი; თუ კი ხარის პატრონი იტყვის: მე თვითონ წავიყვან ხარსო, მას შეუძ-

¹ ალბათ მუშაობის დროს.

ღია წაიყვანოს თავისი ხარი, ხოლო დამნაშავემ უნდა მისცეს 2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

75. უკეთუ ვინმე შეაბამს ხარს, ცხენს, ჯორს ან ვირს და იგი დაეცემა, ან წას ნგელი შექამს, ან დაიკარგება იგი, მისმა¹ შემბნელმა სრულად უნდა ზლოს; ხოლო თუ იტყვის: «იგი ღეთისგან მოკვდაოა², უნდა დაიფიცოს.

76. უკეთუ ვინმე ჩისიად წაიყვანს ხარს, ცხენს, ჯორს ან ვირს და იგი დაეცემა მუშაობის ადგილზე³, მან უნდა დამარხოს იგი, აგრეთვე უნდა გადაიხადოს მისი საფასური.

77. უკეთუ ვინმე დაარტყამს მაკე ძროხას და ნაყოფს დააგდებინებს, უნდა მისცეს 2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

უკეთუ ვინმე დაარტყამს მაკე ჰაკ ცხენს და ნაყოფს დააგდებინებს, უნდა მისცეს 2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

77-ბ. უკეთუ ვინმე ხარს ან ცხენს თვალს ამოუგდებს უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

78. უკეთუ ვინმე დაიქირაავებს ხარს და წაიღებს მის აღვირს ან აკაზმულობას³, მისი პატრონი კი იპოვის მას, დამნაშავემ უნდა მისცეს ერთ წყვილში (?) 1 საწყავი ქერი.

79. უკეთუ ხარები შევლენ ყანაში და ყანის პატრონი იპოვის მათ, წას შეუძლია ამუშაოს ისინი ერთი დღის განმავლობაში, მაგრამ ანოვა თუ არა ვარსკვლავები, მან ხარები უნდა მიუყვანოს მათ პატრონს.

80. უკეთუ ვინმე მგელს დააგდებინებს ცხვარს, პატრონს შეუძლია წაიღოს ხორცი, ხოლო იმ კაცს შეუძლია წაიღოს ცხვრის ტყავი.

81. უკეთუ ვინმე მოიპარავს გასუქებულ ღორს, უწინ აძლევდნენ 1 მინა ვერცხლს, ახლა კი მან უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

82. უკეთუ ვინმე მოიპარავს ეზოს ღორს, მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

83. უკეთუ ვინმე მოიპარავს მაკე ღორს, მან უნდა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი, აგრეთვე უნდა დათვალონ გოჭები: თვითეულ წყვილ გოჭში მან უნდა მისცეს PA მარცვლეული, თანაც პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

¹ იგულისხმება მეხის დაცემა.

² სიტყვისიტყვით «მის ადგილზე», «იქვე».

³ ალბათ იგულისხმება შესაჯდომი ხარი.

84. უკეთუ ვინმე დაარტყამს მაკე ღორს და იგი დაეცემა, მისი საქმეც იგივეა.

85. უკეთუ ძუძუთა გოჭებს მოაცილებენ დედა ღორს, და ვინმე მოიპარავს მათ, თვითეულ წყვილ გოჭში უნდა მისცეს 1 საწყაი ქერი.

86. უკეთუ ღორი შევა მდელში ან ყანაში, ან ბაღში, და მდელს, ყანის ან ბაღის პატრონი დაარტყამს მას და ის მოკვდება, მან უნდა მისცეს ის უკან თავის პატრონს; თუ არ მისცემს, იგი ქურდია.

87. უკეთუ ვინმე დაარტყამს მწყემსის ძაღლს და ის მოკვდება, მან უნდა მისცეს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

88. უკეთუ ვინმე დაარტყამს მეძაღლის ძაღლს და ის მოკვდება, მან უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

89. უკეთუ ვინმე დაარტყამს ეზოს ძაღლს და ის მოკვდება, მან უნდა გადაიხადოს 1 ნახევარსიკლი ვერცხლი.

90. უკეთუ ძაღლი შექამს ღორისქონს და ქონის პატრონი იპოვის და მოკლავს ძაღლს, ხოლო შემდეგ ქონს ამოიღებს მის შიგნეულობიდან, საზღაური არ უნდა იყოს.

91. უკეთუ ვინმე სკიდან მოიპარავს ფუტკრებს, უწინ აძლევდნენ 1 მინა ვერცხლს, ახლა კი მან უნდა მისცეს 5 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე ის პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

92. უკეთუ ვინმე მოიპარავს 2 ან 3 ფუტკრის სკას, უწინ ქურდს დასაკბენად მიუგდებდნენ ფუტკრებს; ახლა კი მან უნდა მისცეს 5 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე ის პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

თუ ვინმე მოიპარავს ფუტკრის სკას, ხოლო ფუტკრები მასში არ ყოფილა, უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

93. უკეთუ ეზოში შეიპყრობენ თავისუფალ კაცს მანამდე, ვიდრე იგი სახლში შევა, მან¹ უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი.

თუ ეზოში შეიპყრობენ მონას მანამდე, ვიდრე იგი სახლში შევა, მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

94. უკეთუ თავისუფალი კაცი გაქურდავს სახლს, მან სრულად უნდა ზლოს, რაც წაიღო; უწინ ქურდობისათვის, გარდა

¹ ე. ი. შეპყრობილმა, რომელიც ეკვმიტანილია ქურდობის მცდელობაში.

ამისა, კიდევ აძლევდნენ 1 მინა ვერცხლს, ახლა კი უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი.

უკეთუ იგი ბევრს მოიპარავს, მაშინ მას ბევრს მიუსჯიან, ხოლო თუ ცოტას მოიპარავს, ცოტას მიუსჯიან, აგრეთვე ის პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

95. უკეთუ მონა გაქურდავს სახლს, მან უნდა ზლოს სრულად, რაც წაიღო; ქურდობისათვის მან გარდა ამისა უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი. აგრეთვე მონას უნდა მოსკრან ცხვირი და ყურები და შემდეგ იგი უნდა გადაეცეს მის ბატონს; უკეთუ ის ბევრს მოიპარავს, მას ბევრს მიუსჯიან, უკეთუ იგი ცოტას მოიპარავს, მას ცოტას მიუსჯიან.

უკეთუ მისი ბატონი იტყვის: «მე ავანაზლაურებ მის ნაცვლადო», მან უნდა ზლოს; თუ ბატონი უარს იტყვის ანაზლაურებაზე, მაშინ თვით მონა უნდა მისცეს საზლაურად.

96. უკეთუ კაცი გაქურდავს მარცვლეულით სავსე ბელელს ან ბელლიდან წაიღებს მარცვლეულს, მან უნდა გაავსოს ბელელი მარცვლეულით და გარდა ამისა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

97. უკეთუ მონა გაქურდავს მარცვლეულით სავსე ბელელს ან ბელლიდან წაიღებს მარცვლეულს, მან უნდა გაავსოს ბელელი მარცვლეულით და გარდა ამისა მისცეს 6 სიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

98. უკეთუ თავისუფალი კაცი ცეცხლს წაუკიდებს სახლს, მან ისევ უნდა ააშენოს სახლი, ხოლო რაც კი სახლში დაიღუპება, იქნება ეს ადამიანი, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, ესეც უნდა ზლოს.

99. უკეთუ მონა ცეცხლს წაუკიდებს სახლს, მისმა პატრონმა უნდა აანაზლაუროს მის ნაცვლად, მონას უნდა მოსკრან ცხვირი და ყურები, და შემდეგ იგი უნდა გადასცენ მის ბატონს; თუ კი არ აუნაზლაურებს, მან თვითონ მონა უნდა მისცეს საზლაურად.

100. უკეთუ ვინმე ცეცხლს წაუკიდებს ფარდულს, მან უნდა გამოკვივოს დაზარალებულის პირუტყვი და დაუბრუნოს იგი გაზაფხულზე, შემდეგ კი აუგოს ფარდული.

თუ მასში ჩალა არ იყო, მან უნდა აუგოს ფარდული.

ხათაბის კანონთა მეორე გავულა¹

«უკეთუ ვაზი»

101. უკეთუ ვინმე ქურდულად დაჰკრეტს ვაზს, ვაშლის ან მსხლის ხეს² ან მოიპარავს ნიორს, უწინ 1 ძირ ვაზში აძღვედნენ 1 ნახევარსიკლ ვერცხლს, 1 ძირ ვაშლში — 1 ნახევარსიკლ ვერცხლს, 1 ძირ მსხალში — 1 ნახევარსიკლ ვერცხლს. — 1 კონა ნიორში — 1 ნახევარსიკლ ვერცხლს, და სასახლეში იგი უნდა გაეჯობათ, უწინ ასე შერებოდნენ, ახლა კი, თუ იგი თავისუფალია — უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, თუ მონაა — უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი.

102. უკეთუ ვინმე მოიპარავს შეშას , უნდა მისცეს: თუ მოიპარა 1 ტალანტი შეშა — 3 ნახევარსიკლი ვერცხლი, თუ 2 ტალანტი შეშა — 6 ნახევარსიკლი ვერცხლი. ხოლო თუ მოიპარავს 3 ტალანტ შეშას — ექვემდებარება მეფის სასამართლოს.

103. უკეთუ ვინმე მოიპარავს ნერგებს, თუ მოიპარავს 1 ფესარ ნერგს, ისევ უნდა დარგოს ის, აგრეთვე მისცეს 1 ნახევარსიკლი ვერცხლი; ხოლო თუ მოიპარავს 2 ფესარ ნერგს, ისევ უნდა დარგოს ის, აგრეთვე მისცეს 2 სიკლი ვერცხლი.

104. უკეთუ ვინმე მოსპობს ბროწეულის ან მსხლის ხეს, უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კართი.

105. უკეთუ ვინმე ცეცხლს წაუკიდებს და ცეცხლი მოედება ვენახს, თუ დაიწვა ვაზი, ვაშლის, ბროწეულის ან მსხლის ხე, მან

¹ ეს ტაბულა ხეთებს მიაჩნდათ კანონთა ცალკე კრებულად. რომელიც პირველ კრებულს ავსებდა. შემონახულია დუბლიკატური ნუსხების ფრაგმენტები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ.

² karpinas.

თვითელ ძირ ხეში უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, მერე კი დარგოს ნერგი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კართი; ხოლო თუ ის მონაა, უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

106. უკეთუ ვინმე თავის მიწაზე ცეცხლს დაანთებს. და მას მოსამკელი ყანისაჲენ მიუშვებს და ყანას ცეცხლს წაუქიდებს, იმან, ვინც ცეცხლი წაუქიდა, თვითონ უნდა აიღოს გადამწვარი ყანა, ხოლო ყანის პატრონს უნდა მისცეს კარგი ყანა, და იგი აიღებს მოსაყალს.

107. უკეთუ კაცი ცხვრებს შეუშვებს მეზობლის ვენახში და გაანადგურებს მას, თუ მოსაკრეფი ვენახი გაანადგურა, უნდა

მისცეს 1 GÁN-ში 10 ნახევარსიკლი ვერცხლი, უკეთუ მოკრეფილი ვენახი გაანადგურა, უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

108. უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაზს დამუშავებული ვენახიდან, თუ მოიპარა 100 ვაზი, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კართი, ხოლო თუ დაუმუშავებელი ვენახიდან მოიპარავს ვაზს, უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

109. უკეთუ ვინმე მოკრის ხეხილს არხთან, თუ მან მოკრა 100 ხეხილი, უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

110. უკეთუ ვინმე მოიპარავს ენდროს¹ hussellis²-დან, გარდა იმისა, რასაც იგი მოიპარავს, მან ერთი იმდენი უნდა ზლოს.

111. უკეთუ ვინმე აყვანილია . . . ეს — ჯადოსნობაა, და ექვემდებარება მეფის სასამართლოს.

112. უკეთუ . . . მარცვლეულს მისცემენ მხედრის სახნავ-სათესისათვის, ისინი 3 წელიწადს არ უნდა ასრულებდნენ სახანსა; 4 წლის შემდეგ მათ უნდა შეასრულონ სახანი და აიღონ იარაღი სხვა მხედრებთან ერთად.

113. უკეთუ ვინმე გადაქრის ვაზს, მან თვითონ უნდა აიღოს გადაქრილი ვაზი, ხოლო ვაზის პატრონს მისცეს კარგი ვაზი . . .

119³ უკეთუ ვინმე მოიპარავს მოშინაურებულ . . . მცურავ ფრინველს, უწინ აძლევენ . . . ნახევარსიკლ ვერცხლს, ახლა კი მან უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კართი.

120. უკეთუ ვინმე მოიპარავს . . . ფრინველს, თუ ის მოიპარავს 10 ფრინველს, უნდა მისცეს 1 ნახევარსიკლი ვერცხლი.

¹ საღებავი, გიოტცეს მიხედვით «კირხსნარი».

² სიტყვის მნიშვნელობა უცნობია, გიოტცეს მიხედვით—«ქასრია», «ქვაბია».

³ 114—118 მუხლები აკლია.

121. უკეთუ რომელიმე თავისუფალი კაცი მოიპარავს გუთანს, პატრონი დააყენებს მას სამარცხვინო ბოძთან . . . ; უწინ ასე შვრებოდნენ, ახლა კი მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

თუ იგი მონაა, მან უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

122. თუ ვინმე მოიპარავს ურმიდან ტვირთს, უწინ აძლევდნენ კომლზე (?)¹ 1 ნახევარსიკლ ვერცხლს, ახლა კი მან უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

123. უკეთუ სასჯელი, მან უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

124. უკეთუ ვინმე მოიპარავს უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით; უკეთუ ვინმე გადამალავს და სახნავ-სათესს ის მოიპარავს და იმან, ვინც გადამალა, უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

125. უკეთუ ვინმე მოიპარავს დიდ ჭურჭელს მან უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი.

125-ა. უკეთუ ვინმე მოიპარავს აღვირს ან სხვა აკაზმულობას, მან უნდა მისცეს 1 ნახევარსიკლი ვერცხლი.

126. უკეთუ ვინმე მოიპარავს სასახლის კარებზე გაკრულ შტანდარტს², მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

თუ ვინმე მოიპარავს სასახლის კარებზე ჩამოკიდებულ ბრინჯაოს შუბს, იგი უნდა მოკედეს.

თუ ვინმე მოიპარავს სპილენძის პალოს, მან უნდა მისცეს $\frac{1}{2}$ PA ქერი.

თუ) ვინმე მოიპარავს ერთი ქსოვილის ნაჭერს, მან უნდა მისცეს 1 მატყლის ქსოვილი³.

127. უკეთუ ვინმე განრისხებული მოიპარავს კარის საგდულს, მან უნდა აანაზღაუროს ის, რაც დაიკარგება, თანაც მისცეს 1 მიწა ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

¹ შეიძლება—«იჭვე».

² თარგმანი პირობითია, რადაც ხის საგანი.

³ აღბათ ქსოვილს ჰქონდა გარკვეული ზომა.

128. უკეთუ ვინმე მოიპარავს აგურს, გარდა იმისა, რაც მოიპარა, უნდა მისცეს ინდენივე.

თუ ვინმე მოიპარავს საძირკვლის ქვებს, მან ორ ქვაში უნდა მისცეს 10 ქვა.

თუ ვინმე მოიპარავს ან წისქვილის ქვას, მან უნდა მისცეს 2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

129. უკეთუ ვინმე მოიპარავს ცხენის ან ჯორის ბრინჯაოს ლაგამს, უწინ აძლევდნენ 1 მინა ვერცხლს, ახლა კი უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

130. უკეთუ ვინმე მოიპარავს ხარს ან ცხენს, მან უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავის სახლ-კარით.

131. უკეთუ ვინმე მოიპარავს მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით.

132. უკეთუ ვინმე მოიპარავს თავისუფალ მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით; ხოლო თუ ის მონაა, უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

142¹. უკეთუ ვინმე მიყვება ურემს და მოიპარავს მის ბორბალს მან უნდა მისცეს 1 ბორბალში $\frac{1}{2}$ PA მარცვლეული; თუ იგი მონაა, უნდა მისცეს 1 ბორბალში

143. უკეთუ ვინმე მოიპარავს თავისუფალ კაცს დანას² ან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლ-კარით; ხოლო თუ იგი მონაა, უნდა მისცეს 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

147¹. უკეთუ ვინმე დაიპირავებს *tampupis* კაცს, და სხვა გადაიბირებს მას, დანაშაულისათვის მან უნდა გადაიხადოს ნახევარსიკლი ვერცხლი.

148. უკეთუ ვინმე იპირავებს ხარს, ცხენს, ჯორს ან ვირს და სხვა შეცილებით წაართმევს მას, დანაშაულისათვის მან უნდა მისცეს ნახევარსიკლი ვერცხლი.

¹ 133—141 მუხლები დაკარგულია.

² თარგმანი პირობითია, სპილენძის ან ბრინჯაოს რაღაც საგანი.

³ 144—146 მუხლებიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

149. უკეთუ ვინმე გაყიდის შინაურ ცხოველს და შემდეგ იტყვის: «ის დაეცაო», ხოლო მისი პატრონი მას მიაკვლევს, მას შეუძლია წაიყვანოს ის; გარდა ამისა მან¹ უნდა მისცეს 2 თავი, აგრეთვე პასუხს აგებს თავის სახლ-ქარით.

150. უკეთუ მამაკაცი დაქირავებით წავა სამუშაოზე, მისი 1 თვის ქირაა . . . ნახევარსიკლი ვერცხლი.

თუ ქალი წავა დაქირავებით სამუშაოზე მისი 1 თვის ქირაა . . . ნახევარსიკლი ვერცხლი.

151. უკეთუ ვინმე დაიქირავებს უღლის ხარს, მისი ერთი თვის ქირაა 1 ნახევარსიკლი ვერცხლი².

157³. უკეთუ ბრინჯაოს ლანგარი 1 მინას იწონის, მისი ერთი თვის ქირაა 1 ნახევარსიკლი ვერცხლი; თუ ლანგარი იწონის 1/2 მინას, მისი ერთი თვის ქირაა 1/2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

თუ სინი იწონის 1 მინას, მისი ერთი თვის ქირაა 1/2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

158. უკეთუ მამაკაცი წავა დაქირავებით სამუშაოზე, შეკრულ ძნებს შეაგროვებს და დააწყობს ურემზე, ჩაჰკეტავს მათ ფარდულში . . . გაღეწავს მას კალოზე, მისი 2 თვის ქირაა—30 PA ქერი.

უკეთუ ქალი იმუშავეს სამზარეულოში დაქირავებით . . . მას უნდა მიეცეს 2 თვის ქირა 12 PA ქერი.

159. უკეთუ ვინმე შეაბამს უღელში ხარებს, უღლის ქირაა 1/2 PA ქერი.

160. უკეთუ მჰედელი გააკეთებს მინა წონის ჭურჭელს, მისი ფასია 1 1/2 PA ქერი; უკეთუ ის გააკეთებს 2 მინა წონის ლანგარს, მისი ფასია—1 PA ასლი⁴.

161. უკეთუ ის გააკეთებს 1 მინა წონის ლანგარს, მისი ფასია—1 PA ქერი.

162. უკეთუ ვინმე უკან შეაბრუნებს არხს, მან უნდა მისცეს 1 ნახევარსიკლი ვერცხლი; თუ ვინმე მერმე ზევით შეაბრუნებს არხს, ეს ნებადართულია, უკეთუ ის დაბლა წარმართავს არხს, ეს მისი საქმეა.

¹ ე. ი. გამყიდველმა.

² ამ მუხლის მეორე ნაწილიდან და 152 მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

³ 153—156 მუხლები, აღბათ, არ ყოფილა.

⁴ ერთგვარი ბრინჯი.

163. უკეთუ ვინმეს *suppalas*¹ გაცოფდებდა და ის (ე. ი. პატრონი?) მას მოარჩენს² და გააგდებს, აგრეთვე აიღებს *isuwan*-ს *isuwanalli*-ში, მაგრამ თავის მეზობელს ამას არ ეტყვის და მეზობელს არ ეცოდინება, რომ მან გააგდო *suppalas*, და ის მოკვდება, უნდა იქნას საზღაური³.

164—165. უკეთუ ვინმე სასესხებლად (?) წავა, და გამოიჩენს თვითნებობას და ქურჭლიდან ამოიღებს მსხვერპლის მისატანად განკუთვნილ ფქვილს ან ღვინოს, მან უნდა მისცეს 1 ცხვარი, 10 პური, 1 ფიხუ ლუდი, და მაშინ მისი სახლი გაწმენდილი იქნება; როდესაც გავა ერთი წელიწადი, მას შეუძლია «მიადგეს სახლს»⁴.

166. უკეთუ ვინმე თესლზე თესლს დასთესს, მას კისერზე უნდა დაადგან გუთანნი, შემდეგ კი შეაბან ხარები, ერთი შეაბრუნონ პირით იქით, მეორე—აქეთ; კაცი მოკვდება და ხარებიც უნდა დახოცონ; ხოლო ის, ვინც პირველმა დათესა ყანა, სწორედ იგი წაიღებს მას, უწინ ასე შვრებოდნენ.

167. ახლა კაცის სანაცვლოდ დაწესებულია ერთი ცხვარი, ხარების სანაცვლოდ დაწესებულია 2 ცხვარი; დამნაშავემ უნდა მისცეს 30 პური და 3 ფიხუ ლუდი, და კვლავ გაწმენდილი იქნება, ხოლო ის, ვინც პირველმა დათესა ყანა სწორედ იგი აიღებს მას.

168. უკეთუ ვინმე დაარღვევს სახნავ-სათესის საზღვარს, მან უნდა მოიყვანოს ერთი *akkalais*⁵, ხოლო მიწის პატრონს შეუძლია ჩამოჰკრას 1 ფესარი მიწა და აილოს ის თვითონ; მან, ვინც დაარღვევს სახნავ-სათესის საზღვარს, უნდა მისცეს 1 ცხვარი, 10 პური, 1 ფიხუ ლუდი, და მიწა კვლავ გაწმენდილი იქნება⁶.

169. უკეთუ ვინმე იყიდის მიწას და ამით დაარღვევს საზღვარს, მან უნდა აილოს ფქვილი და შეწიროს მზის ქალღმერთს და უთხრას: «ჩემი ხე მიწაზე შენ დარგეო». ასე ეტყვის ის, და მზის ქალღმერთი და ქარიშხლის ღმერთი არ გაწყრებიან.

170. უკეთუ თავისუფალი კაცი მოკლავს გველს და ახსენებს სხვის სახელს⁷ მან უნდა მისცეს 1 მინა ვერცხლი; თუ მონაა— ის უნდა მოკვდეს.

¹ ღორი?

² ან დაღს მოაცლის?

³ მუხლის შინაარსი გაუგებარია.

⁴ ე. ი. შევიდეს სახლში.

⁵ სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. რალაც ცხოველი?

⁶ ცოდვისაგან, რომელიც წარმოიშვა საზღვრის დარღვევის გამო.

⁷ თავისი მტრის სახელს მისწერი მიზნით.

171. უკეთუ დედა თავის ვაჟიშვილს ტანისამოსს უკულმა გადმოუბრუნებს¹ და ამით თავის შვილს განდევნის, როდესაც მისი შვილი დაბრუნდება და მოჰკიდებს ხელს თავის კარს და შემოატრიალებს აქეთა მხარეს, აიღებს თავის საწოლს, თავის სკამს და მოატრიალებს აქეთა მხარეს, მაშინ დედამ თავის ადგილზე უნდა დადოს ისინი და თავისი შვილი ისევ თავის შვილად აღიაროს².

172. უკეთუ ვინმე შიმშილობის წელიწადს კაცს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, მას შეუძლია თავის ნაცვლად სხვა მისცეს; ხოლო თუ ეს კაცი მონაა, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი.

173. უკეთუ ვინმე დაამტკრევს³ მეფის სასამართლო გადაწყვეტილებას, მისი სახლი უნდა დაანგრიონ.

თუ ვინმე დაამტკრევს წარჩინებული კაცის სასამართლო გადაწყვეტილებას, მას უნდა მოკვეთონ თავი.

უკეთუ მონა ხელს აღმართავს თავის ბატონის წინააღმდეგ, ის უნდა ჩააგდონ წყალსატევში.

174. უკეთუ რომელიმე მოჩხუბართაგანი მოკვდება, დამნაშავემ უნდა მისცეს 1 თავი.

175. უკეთუ მწყემსი ან აგრიგი ცოლად ითხოვს თავის უჟაღ ქალს, იგი 2 ან 4 წლის განმავლობაში იქნება მხევალი; აგრეთვე მის ვაჟიშვილებს უნდა შემოარტყან ქამარი⁴, და მათ ქამარი არაეინ არ უნდა მოხსნას.

176. უკეთუ ვინმე ბაკში დამალავს ბულა ხარს, უნდა შედგეს მეფის სასამართლო, დამნაშავეს გაჰყიდნიან. 3 წლის ხარი შეიძლება იყოს მწარმოებელი; 3 წლის ბულა, ყოჩი, ვაცი შეიძლება იყვნენ მწარმოებელნი.

176-ა. უკეთუ ვინმე იყიდის ხელოსანს, იქნება ის მექოთნე, მკედელი, ხურო, მეტყავე, მკერავი, ფეიქარი ან ტანსაცმლის დამამზადებელი, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი.

177. უკეთუ ვინმე იყიდის ეზოს⁵ ფრინველთმკერს, მან უნდა მისცეს 25 ნახევარსიკლი ვერცხლი.

¹ გაძევების სიმბოლური აქტი.

² გაძევების საწინააღმდეგო გამანეიტრალებელი აქტი.

³ საბუთები იწერებოდა თიხის ფირფიტაზე.

⁴ მონური მდგომარეობის ნიშანი.

⁵ ჰროზის მიხედვით—«გამოცდილს».

უკეთუ ვინმე იყიდის *tampupis*¹ კაცს ან ქალს, უნდა მისცეს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი.

178. ულლის ხარის ფასია 15 ნახევარსიკლი ვერცხლი; 1 ბულა ხარის ფასია 10 ნახევარსიკლი ვერცხლი; 1 ძროხის ფასია 7 ნახევარსიკლი ვერცხლი; 1 მოზვრის ან დეკუელის 5 ნახევარსიკლი ვერცხლი, ხოლო ერთ ბოჩოლაში მან უნდა მისცეს 4 ნახევარსიკლი ვერცხლი, მაკე ძროხაში უნდა მისცეს 8 ნახევარსიკლი ვერცხლი; 1 ახლადშობილი ხზოს ფასია 2 ნახევარსიკლი ვერცხლი. 1 ულაყის, 1 ფაშატის, 1 ვირის, 1 ქაკი ვირის ფასიც იგივეა.

179. უკეთუ ეს ცხვარია, მისი ფასია ერთი ნახევარსიკლი ვერცხლი; 3 თხის ფასია 2 ნახევარსიკლი ვერცხლი, 2 ბატკნის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 2 თიკნის ფასია $\frac{1}{2}$ ნახევარსიკლი ვერცხლი.

180. უკეთუ ეს შესაბმელი ცხენია, მისი ფასია 20 ნახევარსიკლი ვერცხლი; 1 ჯორის ფასია 1 მინა ვერცხლი, 1 ცხენის ფასია 14 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 წლიანი კვიცის ფასია 10 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 წლიანი ფაშატის ფასია 15 ნახევარსიკლი ვერცხლი.

181. ერთ წელზე ნაკლები ხნის 1 კვიცის ან ერთი ფაშატის ფასია 4 ნახევარსიკლი ვერცხლი.

4 მინა სპილენძის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი. ციმიტანი მცენარეული ზეთის ფასია 2 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 ციმიტანი ღორის ქონის ფასია 2 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 ციმიტანი კარაქის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 ციმიტანი თაჯლის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 2 ყველის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 3 ქუინტი ყველის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი.

182. *happusautas* ქსოვილის ფასია 12 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 ქვედა ტანისამოსის ფასია 30 ნახევარსიკლი ვერცხლი. 1 ლურჯი მატყლის ქსოვილის ფასია 20 ნახევარსიკლი ვერცხლი, *atupli* ქსოვილისა—10 ნახევარსიკლი ვერცხლი. . . . 1 ღიობი ტანისამოსის—3 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 ქუდისა—1 ნახევარსიკლი ვერცხლი².

185. 1 *G'AN*-ი ვენახის ფასია 1 მინა ვერცხლი.

¹ ძ რ ო ხ ნ ის მიხედვით—«დაუხელოვნებელს».

² აქედან 185 მუხლამდე შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

დიდი ხარის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 1 წელზე ნაკლები ხნის 5 ხბოს ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 10 ხარის ტყავის ფასია 1 მინა ვერცხლი, გაუკრეპავი ცხვრის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი. 10 გაკრეპილი ცხვრის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 4 თხის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 15 გაკრეპილი თხის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 20 ბატკნის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი, 20 თიკნის ტყავის ფასია 1 ნახევარსიკლი ვერცხლი.

ვინც იყიდის ორი დიდი ხარის ხორცს, მან უნდა მისცეს 1 ცხვარი.

186. ვინც იყიდის 2 მოზვრის ხორცს, მან უნდა მისცეს 1 ცხვარი; ვინც იყიდის ერთ წელზე ნაკლები ხნის 5 ბოჩოლას ხორცს, მან უნდა მისცეს 1 ცხვარი; ახლადშობილი 10 ხბოს ხორცში მან უნდა მისცეს 1 ცხვარი; 10 ცხვრის ხორცში მან უნდა მისცეს 1 ცხვარი, 20 ბატკნის ხორცში მან უნდა მისცეს 1 ცხვარი; ვინც იყიდის 20 თიკნის ხორცს, უნდა მისცეს 1 ცხვარი.

187. უკეთუ კაცი შესცოდებს ხართან, ის უნდა დაისაჯოს სიკვდილით; ის უნდა მიიყვანონ მეფის კარებთან და ან მეფე მოკლავს მას, ან მეფე მას დატოვებს ცოცხალს, მაგრამ ის არ უნდა მიუახლოვდეს მეფეს.

188. უკეთუ კაცი შესცოდებს ის უნდა დაისაჯოს სიკვდილით; ის უნდა იქნას მიყვანილი მეფის კარებთან, და ან მეფე მოკლავს მას, ან მეფე მას ცოცხალს დატოვებს, მაგრამ ის არ უნდა მიუახლოვდეს მეფეს.

189. უკეთუ კაცი შესცოდებს თავის საკუთარ დედასთან, უნდა იყოს სასჯელი¹; უკეთუ კაცი შესცოდებს თავის ქალიშვილთან, უნდა იყოს სასჯელი; უკეთუ კაცი შესცოდებს თავის ვაჟიშვილთან, უნდა იყოს სასჯელი.

190. უკეთუ ისინი² ნებაყოფლობით დაიპყრენ კავშირს, მამაკაცისა და ქალისათვის ეს არ არის დანაშაული.

უკეთუ კაცი შესცოდებს დედინაცვალთან, ეს არ არის დანაშაული, ხოლო თუ კი მისი მანა ცოცხალია, მაშინ უნდა იყოს სასჯელი.

¹ ḫurkil, „სიკვდილით დასჯა“?

² ვინ ისინი?

191. უკეთუ თავისუფალი კაცი კავშირს დაიქერს თავისუფალ *annanekus*-ებთან ან მათ დედასთან, იქნება ეს ამავე ადგილას, თუ სხვა ადგილას, ეს არ არის დანაშაული.

თუ ორგზის იცის მან, უნდა იყოს სასჯელი.

192. უკეთუ ქალს მოუკვდება ქმარი, მისი სამემკვიდრეო წილის კაცს შეუძლია წაიყვანოს მისი ცოლი¹.

193. უკეთუ მამაკაცი ცოლს შეირთავს, და კაცი მოკვდება, მისი ცოლი შეუძლია წაიყვანოს მისმა ძმამ, მერე შეუძლია წაიყვანოს მამამთილმა; შემდეგ როდესაც მამამთილი მოკვდება, ქალი შეუძლია წაიყვანოს მისმა რომელიმე ძმამ, თუნდაც რომ წინათ ცოლად შეერთოს რომელიმე ქალი, — ეს დანაშაული არ არის.

194. უკეთუ თავისუფალი კაცი კავშირს დაიქერს მხევლებთან — *annanekus*-ებთან ან მათ დედასთან, ეს არ არის დანაშაული; თუ სახლიკაცები კავშირს დაიქერენ თავისუფალ ქალთან, ეს არ არის დანაშაული; თუ მამა და მისი ვაგიშვილი დაიქერენ კავშირს მხევალთან ან მეძავ ქალთან ეს არ არის დანაშაული.

195. უკეთუ მამაკაცი კავშირს დაიქერს თავისი ძმის ცოლთან, ხოლო მისი ძმა ცოცხალია, უნდა იყოს სასჯელი.

თუ კაცი შეირთავს თავისუფალ ქალს და კავშირს დაიქერს მის ქალიშვილთან, უნდა იყოს სასჯელი; თუ ის შეირთავს მის ქალიშვილს და კავშირს დაიქერს მის დედასთან ან მის დასთან, უნდა იყოს სასჯელი.

196. უკეთუ ვინმე მონები ან მხევლები , ისინი წაყვანილ და დასახლებულ უნდა იქნან ერთი ერთ სოფელში, მეორე კი სხვა სოფელში; უნდა მიიყვანონ ერთის სანაცვლოდ 1 ცხვარი და მეორეს სანაცვლოდ 1 ცხვარი.

197. უკეთუ მამაკაცი დაიქერს ქალს მთაში, დამნაშავე მამაკაცია და ის უნდა მოკვდეს, თუ იგი დაიქერს ქალს თვით მის სახლში, მაშინ ქალია დამნაშავე, და ქალი უნდა მოკვდეს; უკეთუ მათ ქმარი წაასწრებს, მას შეუძლია ისინი მოკლას, ეს დანაშაული არ იქნება.

198. უკეთუ ის მიიყვანს მათ სასახლის კარებთან და იტყვის: «ჩემი ცოლი ნუ მოკვდებაო», და თავის ცოლს ცოცხალს დატოვებს და მაცთუნებელს დატოვებს ცოცხალს, მაშინ მას შეუძლია თავი

¹ აკლია ტექსტი.

დაუბუროს მას, თუ კი იგი იტყვის: «ორივენი მოკვდნენო», მაშინ მათ დაედებათ სასჯელი: მეფე ან მოკლავს მათ, ან ცოცხალს დატოვებს.

199. უკეთუ ვინმე შესცოდებს ღორთან ან ძაღლთან, ის უნდა მოკვდეს; იგი უნდა მიიყვანონ მეფის კარებთან, და მეფე ან მოკლავს მას, ან ცოცხალს დატოვებს, მაგრამ ის არ უნდა მიუახლოვდეს მეფეს.

თუ ხარი შეახტება მამაკაცს, ხარი უნდა მოკვდეს, კაცი კი არ უნდა მოკვდეს; კაცის სანაცვლოდ მიყვანილ უნდა იქნას 1 ცხვარი და ის უნდა დაკლან.

თუ ტახტი შეახტება კაცს, ეს არ არის დანაშაული.

200. უკეთუ კაცი შესცოდებს ცხენთან ან ჯორთან, ეს არ არის დანაშაული, მაგრამ მას არ შეუძლია მიუახლოვდეს მეფეს და არ შეუძლია გახდეს ქურუმი.

უკეთუ ის კავშირს დაიჭერს arnuwalas-თან¹ და მისი დედა ეს არ არის დანაშაული.

უკეთუ ვინმე თავის ვაჟიშვილს მისცემს ხელოსნად, — იქნება იგი ხურო თუ მექონე, ან ფეიქარი, ან მეტყავე, ან მკერავი, ან მკედელი, — მყიდველმა უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი; უკეთუ ღმერთი ან ჩემი მზე² მან უნდა მისცეს მას 1 თავი.

«უკეთუ ვაჟია სერიის მე-2 ტაბულა დამთავრებულია.»

¹ ჰროზნის მიხედვით «უცხოელი კაცი ან ქალი».

² ე. ი. ღმერთი, «ჩემი უდიდებულესობა».

ხათაბის კანონთა მესამე გაბულა¹

2². უკეთუ ვინმე დაარტყამს მონას და ის მოკვდება, თუ კი მხოლოდ მისმა ხელმა შესცოდა, უნდა მისცეს . . . ვერცხლი; თუ კი ეს მხევეალია, მან უნდა მისცეს 2 მინა ვერცხლი.

3. უკეთუ ვინმე მოკლავს ხატუსელ ვაჭარს მისი ქონების გამო, უნდა მისცეს მინა ვერცხლი, აგრეთვე სამმაგად ზლოს ქონება; თუ იგი მოკლა ვინმემ გაბრაზებულმა, მაგრამ ქონება არ წაუღია, უნდა მისცეს 6 მინა ვერცხლი; თუ კი მხოლოდ ხელმა შესცოდა, მან უნდა მისცეს 2 მინა ვერცხლი.

4. უკეთუ თავისუფალი კაცი მოკვდება სხვის ყანაში, სახნავესათესის პატრონმა უნდა მისცეს საყანე მიწა, სახლი და 1 მინა და 20 ნახევარსიკლი ვერცხლი; თუ ქალი მოკვდება, მან უნდა მისცეს 3 მინა ვერცხლი.

უკეთუ სხვისი ყანა არ არის, ღაშინ 3 ბერუ³ მანძილზე ერთ მხარეს და 3 ბერუ მანძილზე მეორე მხარეს, რა სოფელიც არ უნდა იყოს იქ, იგი უნდა შეეროდეს და სწორედ მან უნდა იკისროს საზღაური. თუ სოფელი არ არის, იგი ჰკარგავს საზღაურს.

5. უკეთუ ვინმე გაბრაზებული დააბრმავებს თავისუფალ კაცს, უნდა მისცეს 1 მინა ვერცხლი; თუ მხოლოდ ხელმა შესცოდა, მან უნდა მისცეს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი.

6. უკეთუ ვინმე გაბრაზებული დააბრმავებს მონას, უნდა მისცეს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი, თუ მხოლოდ ხელმა შესცოდა, უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი.

¹ ხეთების კანონთა პირველი ტაბულის გადამუშავებული ტექსტი, რომელიც, შესაძლოა, ეკუთვნოდეს XIII საუკ. ჩვენს ვრამდე.

² ტექსტის დასაწყისი დაკარგულია, მუხლების ნომერაცია პირობითია.

³ სივრცის ზომა, დაახლოებით 7 კილომეტრი.

7. უკეთუ ვინმე კბილს ჩაუმტვრევს თავისუფალ კაცს—როდესაც ის ჩაუმტვრევს 2 კბილს ან 3 კბილს, უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი; თუ მონას ჩაუმტვრევს, უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

8. უკეთუ ვინმე მოაჯადოებს კაცის თავს¹, მოჯადოებულს შეუძლია წაილოს სამი ნახევარსიკლი ვერცხლი.

9. უკეთუ ვინმე თავს გაუტეხს. თავისუფალ კაცს, მან უნდა მოუაროს მას და მის ნაცვლად უნდა მისცეს კაცი, და ამ კაცმა უნდა იმუშაოს მის სახლში, ვიდრე ის მორჩება; ხოლო როდესაც ის მორჩება, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი და ექიმს უნდა მისცეს გასამრჯელოდ 3 ნახევარსიკლი ვერცხლი.

ხოლო თუ ის თავს გაუტეხს მონას, უნდა მისცეს 2 ნახევარსიკლი ვერცხლი.

10. უკეთუ ვინმე მოსტეხს თავისუფალ კაცს ხელს ან ფეხს და იგი ხეიბარი გახდება, მან უნდა მისცეს მას 20 ნახევარსიკლი ვერცხლი; თუ იგი არ გახეიბრდება, მან უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი.

11. უკეთუ ვინმე მოსტეხს ხელს ან ფეხს მონას, და იგი ხეიბარი გახდება, მან უნდა მისცეს მას 10 ნახევარსიკლი ვერცხლი; უკეთუ იგი არ გახეიბრდება, მან უნდა მისცეს 5 ნახევარსიკლი ვერცხლი.

12. უკეთუ ვინმე თავისუფალ კაცს ცხვირს მოკვნეტს, უნდა მისცეს 30 შინა ვერცხლი, აგრეთვე პასუხს აგებს თავისი სახლკარით.

13. უკეთუ ვინმე მონას ან მხევალს მოკვნეტს ცხვირს, უნდა მისცეს 15 შინა ვერცხლი.

14. უკეთუ ვინმე დაუსახიჩრებს ყურს თავისუფალ კაცს, უნდა მისცეს 12 ნახევარსიკლი ვერცხლი.

15. უკეთუ ვინმე დაუსახიჩრებს ყურს მონას ან მხევალს, მან უნდა მისცეს 6 ნახევარსიკლი ვერცხლი.

16. უკეთუ ვინმე მოუშლის მუცელს თავისუფალ ქალს, უნდა მისცეს 20 ნახევარსიკლი ვერცხლი.

17. უკეთუ ვინმე მოუშლის მუცელს მხევალს, უნდა მისცეს 10 ნახევარსიკლი ვერცხლი².

¹ იხ. აგრეთვე პირველი ტაბულის მე-9 მუხლი.

² აქედან 34-ე მუხლამდე შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები.

34¹. . . . იგი შემდეგ უნდა გაწმინდოს; უკეთუ სახლში მიაყენებს რაიმე ზიანს, იგი შემდეგ უნდა გაწმინდოს, და რაც კი დაეკარგება მას, უნდა ზლოს მან იმავე ოდენობით.

35. უკეთუ ვინმე აღმოაჩენს ნივთს ან ხარს, ცხვარს, ცხენს, ვირს მან უნდა დაუბრუნოს პატრონს და მიუყვანოს; თუ იგი ვერ იპოვის მის პატრონს, უნდა იშოვოს მოწმეები; ხოლო უკეთუ, დასასრულ, მისი პატრონი თვითონ იპოვის მას, შეუძლია კანონიერად წაიღოს ის, რაც მას დაეკარგა.

ხოლო თუ მპოვნელი ვერ იშოვის მოწმეებს, პატრონი კი აღმოაჩენს თავის ნივთს, მაშინ მპოვნელი ქურდია და სამმაგად უნდა დააბრუნოს.

36. უკეთუ ვინმეს აქვს სახნავ-სათესი როგორც მეფის ნაბოძები, მან უნდა შეასრულოს «ლუცია», როდესაც მას მეფე გაანთავისუფლებს ამისაგან, მას შეუძლია არ შეასრულოს «ლუცია».

37. უკეთუ ვინმე იყიდის მხედრის² მთელ სახნავ-სათესს და თუ მისი პატრონი დაიკარგება, რა «სახანიცა» მას მეფემ დააკისრა, იგიც იმას შეასრულებს; თუ მიწის პატრონი ცოცხალია ან თუ პატრონის სახლი არის ამ ადგილას ან სხვაგან, მაშინ მყიდველმა არ უნდა შეასრულოს „სახანი“.

38. უკეთუ ვინმეს თემში აქვს სახნავ-სათესი «ივარუს» სახით და «სახანი», თუ მას მიცემული ჰქონდა მთელი მიწა, მან უნდა იკისროს «ლუცია»: ხოლო თუ მას არ ჰქონდა მიცემული მთელი მიწა, არამედ მიეცა მხოლოდ მისი ნაკლები ნაწილი, მან არ უნდა იკისროს «ლუცია», არამედ იგი უნდა იკისროს მისი მამის სახლმა; უკეთუ «ივარუს» ბატონის მიწა დაიკარგა და სახნავ-სათესს მისცემს მას თემის ხალხი, მან უნდა იკისროს «ლუცია».

39. უკეთუ ვინმეს აქვს სახნავ-სათესი როგორც მეფის ნაბოძები, მან უნდა შეასრულოს სწორედ ამ სახნავ-სათესის «ლუცია»; ხოლო თუ მას სასახლე გაათავისუფლებს ამისგან, მან არ უნდა იკისროს «ლუცია».

უკეთუ ვინმე იყიდის მხედრის მთელ სახნავ-სათესს, მაშინ შეეკითხებიან მეფეს, და რასაც მეფე იტყვის, ისეთი «ლუციცა» უნდა იკისროს მან. ხოლო თუ მან შეისყიდა მიწა მესამე პირისაგან, მან არ უნდა იკისროს «ლუცია»; თუ ეს იყო დაკარგული კაცის.

¹ აკლია ტექსტი.

² სიტყვასიტყვით «იარაღის კაცი».

სახნავე-სათესი, ან თუ იგი მას თემის ხალხმა მისცა, მან უნდა შეასრულოს «ლუცია».

40. უკეთუ ტყვე იკისრებს «ლუციის», ტყვესთან არავინ არ უნდა დადოს გარიგება; მისი ვაეიშვილი, მისი სახნავე-სათესი, მისი ვენახი არავინ არ უნდა იყიდოს;

ხოლო ვინც გარიგებას დადებს ტყვესთან, იგი ჰკარგავს ფასს, ტყვეს კი შეუძლია წაიღოს ის, რაზედაც მან დადო გარიგება¹.

(მარცხენა კიდეზე): დასწერა ხანი მაილმა, მეზალის შვილმა, მთავარი მწერავის შვილიშვილმა და ქარუნის შვილიშვილმა, ზემო ქვეყნის ოალიპის², და ხანი მაილის ბაღიშვილმა, მწყემსთა უფროსმა.

¹ 41 მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული სიტყვები.

² თანამდებობის სახელწოდება.

წონისა და ფულის ერთეულები

უთუთუ (შუმ. შე) < 0.05 გრამი

სიკლი = 180 უთუთუს = დაახ. 8,4 გრ.

მინა = 60 სიკლს = დაახ. 0,5 კგრ.

ტალანტი = 60 მინას = 3600 სიკლს = დაახ. 30,3 კგრ.

ნახევარსიკლი (წონის ხეთური ერთეული, რომლის ოდენობა უცნობია).

სანყავი ერთეულები

კა (შუმ. სილა) = 0,4-დან 0,8-მდე ლიტრს (ჩვეულებრივად 0,4 ლიტ).
ხუთუ = 10 კა-ს = 4 ლიტ. (?)

მასიქთუ = 6 (?) სუთუს = 60 კა-ს = დაახ. 24 ლიტ.

ქურუ (ძველბაბილონური, III ათასეულის ბოლოდან) = 300
კა-ს = 121 ლიტ. (?)

ქურუ (ახალბაბილონური) = 180 კა-ს = 72,7 ლიტ. (?)

იმერუ (ასირიული) = 100 კა-ს = 40,4 ლიტ. (?)

ცამიტანი (ტევადობის ხეთური ერთეული, რომლის ოდენობა უცნობია)

PA (წაკითხვა უცნობია) = ტევადობის ხეთური ერთეული = დაახ. 8 ლიტ. (??)

ფართობის ერთეულები

შე = დაახ. 0,2 კვ. მეტრს.

ხარი = 180 შე-ს = დაახ. 35 კვ.მ.

იკუ = (შუმ. განი) = 100 ხარს = 18000 შე-ს = დაახ. 0,35 გა-ს

ბური = 18 იკუს = 1800 ხარს = შე = დაახ. 6,35 გა-ს

ფესარი (გიფესარი) = ფართობის ხეთური ერთეული, რომლის ზომა უცნობია (გან-ზე ნაკლები)

ნათესაობის აღწერილობითი გარჩენები

ახუზითუ aḫuzitu ასირიული; მეორე ცოლი, რომელიც გათხოვე-
ბისას არ იყო ქალწული; მამას თავისი გაუპატიურებული
ქალიშვილი შეუძლია გაატანოს მრუმე კაცს ახუზითუს
სახითა (შაკ. 55)

და aḫūtu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური
დედა ummu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური
ვაჟიშვილი (ძე) māru(m) ძველბაბილონური ასირიული, ახალბაბი-
ლონური

მამა abu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური
მამამთილი emu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილო-
ნური

მეუღლე კაცი (პირველი) ḥawīrum ძველბაბილონური

მეუღლე ქალი (პირველი) ḥīrtum ძველბაბილონური

რძალი kallātu(m) ძველბაბილონური, ასირიული

სიმამრი emu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური

სიძე ḥatanu(m) ძველბაბილონური, ასირიული

ქალიშვილი (ასული) mārtu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალ-
ბაბილონური

ქვრივი allmattu(m) ძველბაბილონური, ასირიული

ქმარი mutū(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური

შვილი (მემკვიდრე) aplū(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალ-
ბაბილონური

ცოლი aššatu(m) ძველბაბილონური, ასირიული

ძმა aḫū(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური

ძმა გაუყოფელი aḫū lā zḫzu ასირიული

დასა esirtu, ასირიული; მეორე თანრიგის ცოლი; სიტყვასიტყვით
“შებოქილი, დატყვევებული“

ლექსიკონი

ა

აბუთუში *abbuttum*—მონობის ნიშანი, «თნის კონა»?

აგრიგი—მონის რალაც პროფესია

ადაბი—ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი ბის-
მაია

ადადი—ელვა-ქუხილის, წვიმისა და წყალდიდობის ღმერთი

ადანია—ოლქი აღმოსავლეთ კილიკიაში

აველუში *avslum* ძველბაბილონური — თავისუფალი სრულუფლებიანი მოქალაქე; სიტყვისიტყვით «კაცი»

აი—მცენარეულობის ქალღმერთი, შამაშის ცოლი.

ამხანაგი *tappa'um* ასირიული, *tappu* ძველბაბილონური—ამხანაგი სავაჭრო წარმოების, «თანამოთემე»

ანუ—ღმერთების მამა, ზეცის უზენაესი ღვთაება

ანუნაქები—მიწისა და მიწისქვეშეთის სამეფოს ღმერთები

არდუ *ardu*—მონა (ასირიული)

არინა—ხეთების სამეფოს წმინდა ქალაქი, მზის ქალღმერთის კულტის ცენტრი, რომელსაც თვითმმართველობა ჰქონდა

არცავა—ოლქი მცირე აზიის სამხრეთში

ასლი—ერთგვარი ბრინჯი

აქადუ—ქალაქი შუამდინარეთში, სიფარის ახლოს; ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია; ბაბილონეთის ჩრდილო ნაწილი

აშნანი—პურის ქალღმერთი

აშური — ასირიის დედაქალაქი, ახლანდელი ქალ'ატ-შერ-ქათი

ბ

ბაბილონი — შუამდინარეთის სახელმწიფო (შუმერი და აქადუ); ქალაქი.

ბაირუში *ba'irum* ძველბაბილონური—მხედრების კატეგორია; ბეგარავალდებული პირი, რომელსაც მიღებული აქვს სამეფო-მიწის ნაკვეთი სამსახურის შესრულების პირობით.

ბატონი: სისხლის ბატონი—დაზარალებულის (მოკლულის) ოჯახის მეთაური: ვინც სისხლს დაღვრის, იქნეს ისე, როგორც სისხლის ბატონი იტყვის» (ხეთ. 49); *bēlu(m)* ძველბაბილონური; *išḫaš* ხეთური—ბატონი, პატრონი, მესაკუთრე

ბალი *kirū(m)* ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური

ბეგარა *ilku(m)* ძველბაბილონური, ასირიული

ბერუ—სიგრძის ზომა (დაახ. 7 კილომეტრი)

ბიბლუში *biblu(m)*—თანხა ან ნივთი, რომელიც სასიძოს ან მის მამას მიაქვს საპატარძლოს მამასთან შეთანხმების დროს; წინასაქორწინო საჩუქარი

ბითქარქარა—ქალაქი, რომლის ადგილმდებარეობა უცნობია

ბილაღამა—ქალაქ ეშუნის მეფე (დაახ. 1950 წ.ჩ. ერამდე)

ბორსიფა—ბაბილონის გარეუბანი

გ

გადაწყვეტილება: სასამართლო გადაწყვეტილება—*dinum* ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური

გამოსასყიდი—საქორწინო გამოსასყიდი—*terḫātum* ძველბაბილონური; *zubullū*, *biblu* ასირიული; *kusata* ხეთური

გამოძიება; საქმის გამოძიება—*warkatam parāsum* ძველბაბილონური

გამყიდველი *nādinānu(m)* ძველბაბილონური, ასირიული

განაჩენი *purussūm* ძველბაბილონური

გასამრჯელო *kussan* ხეთური

გაყვანა: ფაიყვანონ საოჯახო მეურნეობიდან» (შსკ. 2)—გააძვეონ ოჯახიდან (მფლობელობიდან)

გაცემა: ფაიცეს მის სრულ ფასად» (შკფ. 4)—მიცემული იქნეს ვალში; გაყიდული იქნეს სრულ ფასად; მისცემს ვერცხლში» (შსკ. 1.)—მისცემს ვალში, გაყიდის

გაწმენდა: «მდინარე გაწმენდს» (ზამ. 2)—მდინარე ამოატივტივებს ზედაპირზე, როგორც უდანაშაულოს (ორდალი)

გვარი: «დიდებული გვარი» (ტელეფ. 27)—სამეფო გვარეულობა, მეფის ოჯახი

გირაო: *šapartu*; ზოგჯერ *maškattu* ასირიული

გირსუ—მთავარი ნაწილი ქ. ლაგაშისა

დ

დაგანი—ამორეველთა უძველესი ღვთაება, რომელიც დამკვიდრდა ბაბილონის პანთეონში ამორეველთა დინასტიის დროს

- დადგენილება (მეფისა)—*šimdāt šarrim* ძველბაბილონური
 დავა (საჩივარი) *awatum* ძველბაბილონური
 დამალვა: «დამალონ სახე» (ხეთ. 26)—გახდნენ მონებად
 დამგალუნე—სიბრძნის ღვთაების—ეას მეუღლე (მეორე სახელი
 დამკინა)
 დამტკიცება *kunnum, kutannum*
 დანამატი (ფასისა)—*nipšatum* ძველბაბილონური
 დატოვება: «დატოვოს კედლები და სოფელი» (შკფ. 5.)—გააძვეონ
 სახლიდან და თემიდან
 დაუფლება: «მდინარე დაეუფლება» (ხამ. 2)—მდინარე მიიღებს,
 მდინარეში ჩაიძირება (ორდალი)
 დაქირავება *agārūm* ძველბაბილონური
 დაქირავებული *agrūm* ძველბაბილონური
 დედოფალი *rubātum* ძველბაბილონური
 დეკუში *dēkūm* ძველბაბილონური—მხედართა უფროსის კატეგორია;
 სიტყვასიტყვით «შემკრები», «მოლაშქრე»
 დილბატი—ქალაქი ბაბილონის ახლოს, ახლანდელი დელემი
 დოკუმენტი *šuppum* ძველბაბილონური—თიხის ფირფიტა; დო-
 კუმენტი ბეჟედით—*kunukkum*

ე

- ეა—დედამიწის წყლების, წყაროებისა და სიბრძნის ღვთაება
 ე-აბზუ—ტადარი ქალაქ ერედუში.
 ე-ანუ—ღმერთების მამის—ანუს ტადარი ქალაქ ურუქში
 ე-ბაბარი—ტადარი ქალაქ ლარსაში
 ე-ბარი—მზისა და მართლმსაჯულების ღმერთის—შამაშის ტა-
 დარი ქალაქ ბაბილონში
 ე-გალმახი—ტადარი ქალაქ ისინში
 ე-ზიდა—ტადარი ქალაქ ბორსიფაში
 ე-კიშირგალი—ტადარი ქალაქ ურუში
 ე-ქური—უზენაესი ღმერთის ენლილის ტადარი ნიფურში; აგრეთ-
 ვე მსოფლიოს სახელწოდება
 ე-მახი—ტადარი ქალაქ ადაბში
 ე-მესლაში—ტადარი ქალაქ მაშქან-შაბრიმში
 ე-მეტეურსაგი—ტადარი ქალაქ ქიშში
 ე-მიშმიში—ტადარი ქალაქ ნინევიაში
 ენგარი—სამეფო ან სატადრო ადგილმამულების მოურავი
 ე-ნინუ—მდინარეებისა და წყაროების ქალღმერთ ნინუს ტადარი
 ქალაქ ლაგაშში

- ენლილი—უზენაესი ღმერთი, ცისა და დედამიწის მეუფე
 ენლილობა—ბატონობა, მეუფება, მბრძანებლობა
 ენთუმი—ღვთის ქალბატონი, ღვთის ხასა, ქურუმ ქალთა კატეგორია
 ერედუ—ქალაქი ტბასთან სპარსეთის ყურეში, ახლანდელი აბუ-შაჰრაინი
 ე-საგილა—ბაბილონის მფარველი ღმერთის—მარდუქის ტაძარი ქალაქ ბაბილონში
 ე-უგალგალა—ტაძარი ქალაქ ბითქარქარში
 ე-ულმაში—ტაძარი ქალაქ აქადუში
 ეშნუნა—ქალაქი ბაბილონის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

3

ვარდუმი wardum—მონა, ძველბაბილონური

ზ

- ზაბაბა—ომის ერთერთი ღმერთთაგანი, ენლილის შვილი
 ზიქრუმი—ქურუმ ქალთა კატეგორია, ტაძრის მძავე ქალი

თ

თავი: «უნდა მისცეს თავი» (ლიფ. 12; ხეთ. I, 1) —უნდა მისცეს მონა: «პასუხს აგებს მეფის თავით» (ტელეფ. 31)—მეფე პასუხს აგებს თავისი სიცოცხლით

თავ(ნ)ი—ძირითადი თანხა *kakkadum* ძველბაბილონური; სიტყვა-სიტყვით «თავი»

თავისუფლება *andurārum* ძველბაბილონური

თამქარი *tamkar(r)um* ძველბაბილონური—დიდვაჭარი, სახელმწიფო სავაჭრო აგენტი და ხარკის ამკრეფი

თაღლითობა *i-wi-tum* ძველბაბილონური

თემი *alu(m)* ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური; *hap-piris* ხეთური

თიარა—მეფეთა თავსამკაული (გვირგვინი)

თერხათუმი—*terḫatum* საპატარძლოს გამოსასყიდი თანხა (ფასი)

თოქმაჩი—ხელოსანი საზოგადო

თუვანუვა—ანტიური ქალაქი თიანა

ი

იგიგები—ციური ღვთაებანი *I*

ივარუ *iwaru* ხეთური,—სამემკვიდრეო საოჯახო ფონდი; ცოლის ოჯახის ქონების სამემკვიდრეო ნაწილი, მისი მზითევი

ილკუმი *ilku(m)* ძველბაბილონური,—სამხედრო ბეგარა, რომელიც დაკავშირებულია მიწის მფლობელობასთან სამსახურის შესრულების პირობით

ინანი—ნაყოფიერების ქალღმერთი
 ირა—შავი კირის ღმერთი, სიკვდილიანობის სიმბოლო
 იხინი—ქალაქი შუამდინარეთის ცენტრში
 იშთარი—ნაყოფიერების, აგრეთვე ომის ქალღმერთი
 იჯარაღარი—errāsum, ikkarum

კ

კაბლა: ს ა ვ ა ლ ო კ ა ბ ა ლ ა—kiššātum ძველბაბილონური
 კანონი dīnat(um) ძველბაბილონური
 კაცი awēlum ძველბაბილონური, antuhsas ხეთური—თავისუფალი
 სრულუფლებიანი მოქალაქე
 კალიშთუმი—ტაძრის მეძვე ქალთა უმაღლესი კატეგორია, წარჩინებული ქალები
 კეში—ქალაქი ჩრდილოეთ ბაბილონში მდინარე ტიგროსზე, ახლანდელი თ ა ქ-ი-ქ ი ს რ ა

ლ

ლაგაში—ქალაქი ტიგროსის ქვემო ნაწილში, ახლანდელი თ ე ლ ო
 ლარსა—ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი ს ე ნ-
 ქ ე რ ე
 ლიფიტ-იშთარი—ქალაქ ისინის მეფე (1932—1921)
 ლუბუთუმი lubbutūm ძველბაბილონური,—მხედართა უფროსის
 კატეგორია; სიტყვასიტყვით «ძლიერი კაცი»; შუმერულ
 ხანაში—სატაძრო მეურნეობის მმართველი, უფრო გვიან
 სამეფო მეურნეობის მუშათა უფროსი
 ლუვია—ოლქი მცირე აზიის სამხრეთში
 ლუცი luzzi, ხეთური,—შრომითი ბეგარა (არასამხედრო)

მ

მალგუმი—ოლქი ბაბილონის ჩრდილოეთით, მ ა რ ი ს სახელმწიფოს მოსაზღვრე
 მამა—დედაღმერთი, ნაყოფიერების ღვთაება
 მარდუქი—ქალაქ ბაბილონის მფარველი ღმერთი
 მარი—ქალაქი შუა ეფფრატზე, ახლანდელი თელ-ჰარირი
 მაშქანუმი—ხელფეხის ბორკილი (მონობის ნიშანი) ო
 მაშქან-შაბრიმი—ქალაქი ჩრდილოეთ ბაბილონში, მალგუმის ოლქში
 მდინარე: «მდინარეზე წასვლა» (შაკ. III, 17)—წყლით გამოცდა (ორდალი), «მდინარე დაეუფლება», «მდინარე გაწმენდა». (ხამ. 2)
 მებალე nukaribbum, lakurubbum ძველბაბილონური
 მეზობლები itū ძველბაბილონური, სიტყვასიტყვით «მხარეები»

- მემკვიდრე aplu(m) ძველბაბილონური, — ვაეი-მემკვიდრე
 მესლამი — ტაძარი? ქალაქ ქუთუში?
 მეფე šarru(m) ძველბაბილონური; ḥassus ბეთური
 მეშედი: «მთავარი მეშედი» (ტელეფ. 32) — სასახლის გამოჩენილი
 მოხელე
 მზითევი sag-rig (ლოფ. 24); šeriktum, (ხამ. 137) ძველბაბილო-
 ნური; širku, šerku ასირიული (შაკ. III, 29) nuḏunnu
 ახალბაბილონური (კრბ. 9)
 მიდგომა: «მიადგეს სახლს» (ხეთ. II, 164) — მიეცეს სახლში შესვლის
 უფლება
 მიმტანი: «შემოსავლის მიმტანი» (ხამ. 36) — nišar biltim ძველბაბი-
 ლონური, — ბეგარავალდებული პირი, რომელსაც მიღებული
 აქვს სამეფო მიწის ნაკვეთი სამემკვიდრეო მფლობელობის
 უფლებით; დოკუმენტებში აგრეთვე iškakkum
 მიკოთუმი — პირი, რომელიც სილარობის გამო ტაძრის, მეფის ან
 კერძო პირის მფარველობაში შევიდა
 მინაბარი maššartum (ბილ. 37)
 მინდორი eklu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბილონური
 მიწა (დასაწმუშაებლად ვარგისი) uššaru(m) ძველბაბილონური ასი-
 რიული
 მიწათმოქმედი errēsum, ikkarum
 მმართველი (გამგებელი) iškakkum (ხამ. დასკვ.)
 მოგება nēmelum ძველბაბილონური
 მოთხოვნა (პრეტენზიის უფლება) karābu ასირიული
 მონა wardum ძველბაბილონური, ardu ასირიული
 მონაგარი (შენაძენი) numattum ძველბაბილონური
 მოსამართლე dajjānu(m) ძველბაბილონური, ასირიული, ახალბაბი-
 ლონური
 მოწმე šibu(m) ძველბაბილონური, სიტყვასიტყვით «მოხუცია», «უხუ-
 ცესია»; mukinnu ახალბაბილონური
 მუღდუმი: სიტყვასიტყვით «მცოდნე», «გამოცდილი»
 მუშქენუმი muškēnum ძველბაბილონური — წვერილმანი ხალხი,
 სამეფო მიწის ნაკვეთების პირობითი მფლობელები —
 «მონა მეფისა»; აკად. ვ. ს ტ რ უ ვ ე თარგმნის: «დაპურო-
 ბილია», «დამორჩილებული»
 მყიდველი māhīrānu(m) ძველბაბილონური, ასირიული
 მძევალი (ვალში) nepūtum ძველბაბილონური; მძევალი ქალი —
 დაგირავებული ქალი
 მხედარი (ხეთ. III, 37) — სიტყვასიტყვით «იარაღის კაცი»
 მხევალი — მონა ქალი; მოახლე

მხილება *kunnu(m)* ძველბაბილონური,—დადგენა, დადასტურება; ფიციით მხილება—*burru(m)* ძველბაბილონური, ასირიული

6

ნადითუმი—ქურუმ ქალთა კატეგორია, რომელსაც წილი აქვს სამეფო მიწაზე; სიტყვასიტყვით „უნაყოფო“, ღვთის ხასიათისა; ნაკვეთი: სამემკვიდრეო ნაკვეთი *zittu* ასირიული

ნერგალი—ომის, სნეულებისა და სიკვდილიანობის ღმერთი, ქალაქ ქუთუს მფარველი.

ნერიქი—ხეთების სამეფოს წმინდა ქალაქი, რომელსაც თვითმმართველობა ჰქონდა

ნაფტარუმი—სიტყვასიტყვით „გამოსყიდვა“, „განთავისუფლება“

ნინაზუ—ხტონის ღვთაება, ენლილის ვაჟიშვილი, გაიგივებული იყო ტიშფაკთან, ქალაქ ეშნუნის ღმერთთან

ნინეცია—ქალაქი ასირიაში, ახლანდელი კუიუნჯიკი და ნაბი-იუნუსი

ნინქარაქი—მკურნალობის ქალღმერთი, ანუს ასული

ნინლილი—ქალღმერთი, უზენაესი ღმერთის ენლილის ცოლი

ნინთუ—ღმერთების დედა, დაბადებისა და ბედ-იღბლის ქალღმერთი.

ნიფური—ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში; ენლილის საერთო შუმერული კულტის ცენტრი, ახლანდელი ნუფარი

ნულუნუმი *nudunnu(m)* ძველბაბილონური,—ქვრივობის წილი (საჩუქარი), რომელსაც ქმარი გადასცემს ცოლს უზრუნველყოფისათვის გარდაცვალების შემთხვევაში (ხამ. 171—172); *nudunnu(m)* ახალბაბილონური (კრბ. 9)—მზითველი

ნუნამირი—უზენაესი ღმერთის ენლილის სახელწოდება

3

პატრონი *lugal* შუმერული—უფალი, მბრძანებელი, მფლობელი (ქვეყნის, მხარის, ოლქის); *h̄su(m)* ძველბაბილონური—პატრონი, ბატონი მესაკუთრე; *ish̄as* ხეთური—პატრონი, ბატონი

პროცენტი *šiptum*, *šibtu* ძველბაბილონური

რ

რაბიანუმი *rabi'ānu(m)* ძველბაბილონური—თემის მამასახლისი; მეფის მიერ დანიშნული სათემო დასახლების მეთაური

რედუმი *rēdmu(m)* ძველბაბილონური, სიტყვასიტყვით „მდევარი“, მებრე, მხედრების კატეგორია; ბეგარავალდებული პირი, რომელსაც მიღებული აქვს სამეფო მიწის ნაკვეთი სამსახურის შესრულების პირობით

ს

- სავალო: სავალო კაბალა *kiššatum* ძველბაბილონური
 საზღაური (ფასი, გასამრჯელო) *kussan* ხეთური
 საიჯარო: საიჯარო ქირა *biltum* ძველბაბილონური
 საკუთრება *nankurum* ძველბაბილონური; ზოგჯერ ქონებაც
 სამემკვიდრეო: სამემკვიდრეო წილი—*zittu(m)* ძველბაბილონური;
 სამემკვიდრეო ნაკვეთი—*zittu* ასირიული
 სამსახური: ასრულებდეს სამსახურსა—იხილდეს ბეგარას
 სარჩელი *uliraggam* (ბილ. 30); *tārum* (ხამ. 118); *pakāru* (კრბ. 6);
lidbubū (შაკ. 6); სარჩელის აღძერა *baḫārum* (ხამ. 118)
 სასამართლო: სასამართლო საქმე, სასამართლო გადაწყვეტილება—
dinum ძველბაბილონური
 სასახლე (სამეფო მამული)—*ḫkallu(m)* ძველბაბილონური
 სატარიფო: სატარიფო ფასი—*maḫīrum* ძველბაბილონური
 სარფანიტი—ქალღმერთი, მარდუქის ცოლი
 საქვრივო: საქვრივო წილი—*nudunnim* ძველბაბილონური
 საქმე: საქმის გამოძიება—*warkatam parāsum* ძველბაბილონური;
 სასამართლო საქმე, სასამართლო გადაწყვეტილება—
dinum ძველბაბილონური
 საქორწინო: საქორწინო გამოსასყიდი—*terḫātum*, ძველბაბილონური;
zubullū, *biblu* ასირიული; *kusata* ხეთური
 სახანი *saḫḫan* ხეთური—სამხედრო ბეგარა
 სახლ-კარი: «ბასუხს აგებს თავისი სახლ-კარით» (ხეთ. I, 1)—გადა-
 აადიან რს საოჯახო ქონებიდან
 სახლი *bitu(m)* ძველბაბილონური; *per*, *pir* ხეთური; ქალი შვეა
 სხვის სახლში» (ხამ. 133)—ქალი გათხოვდება
 სინი—მთვარის ღმერთი
 სინ-მუბალიტი—ბაბილონის მეფე, ხამურაბის მამა (1812—1793)
 სიფარი—ქალაქი შუამდინარეთის ჩრდილოეთში, ახლანდელი აბუ-
 ჰაბა
 სისხლი—მკვლელობა: «სისხლის საქმე ასე იყოს» (ხეთ. 49)—მკვ-
 ლელობის საქმე ასე იყოს; «სისხლის ბატონია»—(ხეთ. 49);
 დაზარალებულის (მოკლულის) ბატონი
 სიქარუ—ქერისგან გაკეთებული მათრობელა სასმელი
 სოფელი *ḫlu(m)* ძველბაბილონური; *happiris* ხეთური
 სუმუქანი—პირუტყვის ღმერთი, ცხოველთა ღვთაება
 სუმუ-ლა-ელი—ბაბილონის პირველი დინასტიის მეორე მეფე
 (1880—1845)

სუფურ-შამაში—ქალაქი ბაბილონის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაში

ტ

ტიშფაკი—ქალაქი ეშნუნის მფარველი ღვთაება

ტუტუ—ბორსიფას ღვთაება, მარდუქის შვილი

ტუტული—ქალაქი მარის სამხრეთით, ახლანდელი ჰითი

უბარუმი—ამხანაგი? მეზობელი? თანამოთემე?

ურაში—ნიწათნოქმედების ღმერთი, ტაძარი ქ. დილბატში

ური—ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი თელ-ალ-მუკაიარი

ურუქი—ქალაქი შუამდინარეთის სამხრეთში, ახლანდელი ვარქა; ღმერთ ანუსა და ღმერთქალი იშთარის კულტის ცენტრი

უთუ—მზისა და მართლმსაჯულების ღმერთის—შამაშის შუმერული სახელწოდება

ფ

ფანკუსი pankus—საბჭო, სიტყვასიტყვით «ხალხი»

ფარსუნანტა—ოლქი მცირე აზიაში

ფასი: გასაყიდი ფასი šimm ძველბაბილონური; happar ხეთური; სატარიფო ფასი mahirum ძველბაბილონური

ფიცი: ფიცით ჩვენება, ფიცით მხილება—burru(m) ძველბაბილონური, ასარიული

ქ

ქალი awēltum ძველბაბილონური, სოციალური მდგომარეობით თავისუფალი ქალი

ქანუმი—მონობის ნიშანი; სახივი—ქედის ბორკილი (ხუნდი)

ქვეყანა—ბაბილონი (შუმერი და აქადი) სამხრეთ ორმდინარეთის საერთო სახელწოდება

ქიში—ქალაქი შუამდინარეთის ჩრდილოეთში, ახლანდელი ალუჰამირი

ქირა idum ძველბაბილონური, სიტყვასიტყვით «ხელი»; «საიჯარო ქირა» kussan ხეთური

ქირავნობა igrum ძველბაბილონური

ქონება: bušum; მოძრავი ქონება—bišum ძველბაბილონური; asus ხეთური

ქუთუ—ქალაქი შუამდინარეთის ჩრდილოეთში, ახლანდელი თელ-ბრაჰიმი

ლ

ლმერთი: «ლმერთი ხდებოდა» (ხეთ. 18)—კვდებოდა, უფალი ღებულობდა; «ლმერთი გახდა» (ხეთ. 21)—მოკვდა, უფალმა მიიღო

ჟ

ჟიდვა wasi ხეთური

ზ

ზავთავიანები—ადამიანები, ქვეშევრდომნი, ბაბილონელები

ზაქანაქუმი sakkanakkum—ოლქის მმართველი

ზამალუმი šamallum—თამქარის ხელქვეითი სავაქრო აგენტი

ზამაში—მზისა და მართლმსაჯულების ღმერთი, აგრეთვე სამისნო. წინასწარმეტყველების ღვთაება

ზემოსავალი biltum ძველბაბილონური, იხ. «საიჯარო ქირა»

ზენაძენი (მონაგარი) nummattum ძველბაბილონური

ზერიკთუმი šeriktum (ზამ. 137)—მზითვეი, რომელიც მამის სახლიდან ეძლეოდა ქალიშვილს გათხოვების ან ქურუმ ქალად გახდომის დროს (სხვადასხვა ნივთები, ზოგჯერ მონებიც); širiktū ახალბაბილონური (კრბ. 13)—წინასაქორწინო საჩუქარი

ზესვლა: «ქალი შევა სხვის სახლში» (ზამ. 133)—ქალი გათხოვდება ვეილები (ქვეყნისა)—ბაბილონელები

ზეთამომავლობა šatum სიტყვასიტყვით «სახელი»

ზეტანდარტი (ხეთ. II, 126)—სახლის კარებზე მიკრული რაღაც ხის საგანი

ზეულტა—ქადაგი, მაუწყებელი, მაცნე

ზეუმერი—ოლქი შუამდინარეთში

ჩ

ჩვენება: ფიცით ჩვენება burru(m) ძველბაბილონური

ც

ციფალანტა: ხეთების სამეფოს წმინდა ქალაქი, რომელსაც თვით-მმართველობა ჰქონდა

წ

წილი: სანემკვიდრეო წილი zittu(m) ძველბაბილონური; საქვრიეო
წილი nudunu(m) ძველბაბილონური
წყალი: ადადის წყალი (შაკ. I, 18)—წვიმის წყალი

ხ

ხალაბი—ადგილმდებარეობა უცნობია

ხალფა—ქ. ალფო სირიაში

ხაშურაბი—ბაბილონის I დინასტიის მეექვსე მეფე (1792—1750)

ხახა—ხარკა

ხეზი—წვრილი ბაწარი, კანაფი (შპაგატი)

ხელმწიფე ruba'um, rubum ძველბაბილონური

ხელშეკრულება—riksatum ძველბაბილონური; riksu ასირიული;
riksate შუა ასირიის კანონებში ნიშნავს წერილობით
აქტს, ორდალის დროს

ხუფისნა—ასირიული ქალაქი ხუბიშნა, შესაძლოა ანტიური
Cybistra კატალონიაში

ხუფშუ hupšu (შაკ. 45)—მხედრები, რომლებიც სამეფო მიწის
ნაკვეთებს ფლობდნენ სამხედრო სამსახურის შესრულების
პირობით

ხურიტები (ტელეფ. 9) ჩრდილოეთ შუამდინარეთისა და მეზობე-
ლი ადგილების მოსახლეობა. მითანის ძლიერი სახელმწი-
ფოს შემქმნელი ხალხი. მათი ენა სიახლოვეს იჩენს ქარ-
თველ და სხვა კავკასიელ ხალხთა ენებთან

ხურსაკქალამი—ქალაქ ქიშის გარეუბანი

სამკიბეული ბაბილონის კანონებისა

ადალი: 45, 48.

ამხანაგობა: ამხანაგობის ხელშეკრულება—99; სავაჭრო ოპერაციები—100—107.

ანაზღაურება: მიყენებული ზიანისა—53—59, 102, 125, 232—234), 236—238, 240, 255, 263, 267; შკფ. 3; შსკ. 7; ბილ. 5, 23, 53; ლიფ. 11, 12, 13; ნაქირავები ქონების დაზიანებისათვის—247—248; ლიფ. 34—38; ქირავნობის ხელშეკრულების დარღვევისათვის—254—255; საიჯარო ხელშეკრულების დარღვევისათვის—93; მინაბარის (შენახვის) ხელშეკრულების დარღვევისათვის—125; ბილ. 36; გირაოსათვის—114; ბილ. 23; საქორწინო ხელშეკრულების დარღვევისათვის—შკფ. 6; ბილ. 59.

ბაირუმი: 26—32, 35—39, 41.

ბეგარა: სამხედრო—26—31, 37—38, 40; სხვა სახის—40, 71.

გადაზიდვა: 236—240; ბილ. 4—6.

გადასახალი: გადასახალის არგადახდა—ლიფ. 18.

გალარიბება: ბილ. 39.

გაცვლა-გამოცვლა: 41.

გირავნობა: 49—50, 66, 114—119; ბილ. 22—24; ლიფ. 14 (?)

დანაშაულობანი: მკვლელობა—116, 153, 207, 209—213, 229—231, 251; ბილ. 24, 54, 56, 58; სხეულის დაზიანება—196—201; გაუფრთხილებლობით, 206—208, 218, 220; ბილ. 42—47; ბავშვის მოტაცება—14; შეურაცხყოფა მოქმედებით—195, 202—214; ბილ. 42; ტყუილი ბრალდება—1—4, 11, 13, 126—127; ცილისწამება—126—127, 132, 161; ქურუმი ქალის დანაშაული—110; დანაშაული მოსამართლისა—5; გაძარცვა—22—24; მითვისება 253—254; ბილ. 36; ზიანის მიყენება—255—256, 264; საკუთრებისა და მფლობელობის უფლების დარღვევა—9—13; ბილ. 40; ქურდობა—6, 8—13, 21, 25, 253, 255—256, 259—260; ბილ. 40, 49—50;

მცდელობა—12—13; ლიფ.—9; ოჯახის წინააღმდეგ—მრუ შობა—129, 133, 143(?), 153; ბილ. 28; გაუპატიურება—130; ბილ.—26; სისხლის აღრევა—154; პატრიარქალური უფლების უარყოფა—195; ძიძის მიერ ბავშვის შეცვლა—194; მონობის ნიშნის მოცილება—226—227; ლაშქრობისათვის თავის არიდება—26, 33—34; თალღითობა და ნდობის ბოროტად გამოყენება—94, 107—108, 255—256, 265; მუცლის მოშლა—209—214; შკფ. 1—2; ჯადოსნობა—2; განუცხადებლობა—109; ცოლის დანაშაული—შსკ—5; ქმრის დანაშაული—ბილ. 59;

დაუძლეველი: დაუძლეველი ძალა—45, 48, 249, 266.

დეკუმე: 33—34;

ენთუმი: 110, 178, 179; ლიფ. 22.

ვალდებულება: ხელშეკრულების დარღვევიდან—71, 112, 124; ბილ. 9; ლიფ. 17.

ზარალი: აუნაზღაურებელი ზარალი—45, 48, 103, 249—250, 266; შკფ. 8; ბილ. 37.

ზიანი: ზიანის მიყენება—53—59, 225, 250—252, 267; შკფ.—8—9; ლიფ. 34—38; ბილ. 6, 53, 58.

ზიკრუმი: 178—179, 180—182, 193.

თამქარი: როგორც მეფის აგენტი—32, 100—107, 280—281; როგორც ვაჭარი და მევახშე—32, 49, 51—52, 66, 89, 91—96, 100, 102, 104, 107, 116, 118—119, 281; მევახშეობის შეზღუდვა—49—52, 66, 89—96, 108, 114; ბილ. 15.

თემი: ტერიტორიული თემი—135—136; თემის კოლექტიური პასუხისმგებლობა—23—24; თემის მამასახლისი—23—24; თემის კრება—5; თემიდან გაქცევა—30, 136; ლიფ. 18; დიდი საოჯახო თემი—158, 163—164; შკფ. 3—4; შესკ. 3—4; ბილ. 16, 38; ლიფ. 31, გაძევება საოჯახო თემიდან—158, 168—169; შკფ. 4—5; შესკ. 2—4; ბილ. 59.

თვითნებობა: 66, 113.

იჯარა: ყანისა—42—47, 52, 178; ბალისა—60—66, 178; ლიფ. 8; იჯარის ვადა—44, 60; იჯარის შეწყვეტა—44, 61—63; იჯარის ხელშეკრულების დარღვევა—42, 44, 46, 61—63, 65; საიჯარო ქირა—45—46, 64—65; იჯარა და ამხანაგობა—44, 60—61.

ლუბუთუმი—33—34.

მევახშეობა: 49—52, 66, 89—96, 151—152; ბილ. 15, 19—24.

მეზობლობა: 42—43, 53—56, 65, 71, 88, 142.

მემკვიდრეობა: ვაჟიშვილისა—137, 150, 165—167, 170, 177; ბავშვებისა—135, 137, 150, 166—167, 173—175, 177; **ლიფ.** 20, 24—26, 31—32; ხასის შვილებისა—183—184; მესავი ქალის შვილებისა—**ლიფ.** 27; ქურუმი ქალის ქალიშვილისა—178—182; ნაშვილებისა—170, 191; მხედრის მიწის ნაკვეთისა—27, 29; ძმის სამემკვიდრეო წილისა—178—181; **ბილ.** 38; **ლიფ.** 32; ცოლის სამემკვიდრეო წილისა—137; სიმამრის სამემკვიდრეო წილისა—**ბილ.** 18; მემკვიდრეობის ჩამორთმევა—158, 168—169; ანდერძით მემკვიდრეობის ელემენტები—38—39, 165, 178—182.

მეურვეობა: 177.

მეფე: მეფის მოხელეები—შულტა—16; კონტროლიორი 95; მეფის საჩუქარი—34; **ლიფ.** 15; მეფის სასახლე—18, 132; **ბილ.** 50; მეფის მსახურნი—**ლიფ.** (შესავ.)

მზითვევი: 137—138, 142, 149, 156, 162, 167, 172—174, 176, 178—179, 183; მზითვევის დაბრუნება—137, 142, 149; **ბილ.** 18; მზითვევის მემკვიდრეობა—162—164, 167, 173—174; **ლიფ.** 21, 24.

მიმტანი: შემოსავლის მიმტანი—36—39, 41.

მინაზარი: 7, 120—126; **ბილ.** 36—37.

მინდობილობა: 100—107, 112; **ლიფ.** 17.

მიკათუმი: **ლიფ.** 15—16.

მონა: მონად გაბრობა—127, 141; **შკვ.** 4; **შსკ.** 1; ტყვეთა მონობა—, 280; მონისა და მხეველის შვილები—119, 146, 170—171, 175—176; **ლიფ.** 25—26; **ბილ.** 33—35; მონის ყიდვა გაყიდვა—7, 118—119, 147; დადაღვა და მონობის ნიშნები—127, 146, 226—227; **შსკ.** 1; **ბილ.** 51—52; მონის პეკული—176; უფლებობა მონისა—7; **ბილ.** 15—16, 51; **ლიფ.** 25; მონის მოკვლა—116, 214, 231, 252; **ბილ.** 23, 55, 57; მონის ურჩობა—205, 282; მონის გაქცევა—16—20; **ბილ.** 50; **ლიფ.** 12; გაქცეული მონის დათარვა და მისთვის ხელისშეწყობა—16, 226—227; **ლიფ.** 12—13; გასამრჯელო მისი დაქერისათვის—17; მონის მოპარვა და მითვისება—15—16, 19, 226—227; **ბილ.** 40, 49—50; **ლიფ.** 12; მონის გამოსყიდვა—119, 281; მონის განთავისუფლება—117, 171, 280; **ლიფ.** 14, 25; მუშქენუმის მონა—15—16, 175—176; **ბილ.** 50; სასახლის მონა—15—16, 175—176; **ბილ.** 34—35, 50; სავალო მონობა—54, 114—

119; ბილ. 22—24; სხეულებრივი სასჯელები მონის მიმართ—199, 213—214, 219—220; მონის ფასი—ბილ. 22; ლიფ. 13; მონის დაქირავება—შსკ.—7.

შორწყვა: 53, 56.

მუშქენუმი: 8, 15—16, 140, 175—176, 198, 201, 204, 208, 211, 216, 219, 222; ბილ. 13, 24, 34—35, 50.

მფლობელობა: მებეგრე მხედრებისა—27—32, 35—38, 41; მეფის მსაურთა—40, 71; თამქრისა, ქურუმი ქალისა 40; ცოლისა—150, 171; მებეგრე მხედრის გაყიდვა—40, 71.

მშობლები: მშობლების უფლება—168—169; შკფ. 4—5; შესკ.—1—2; ბილ. 27; მოკალებობის დარღვევა—3—4; შვილები—შკფ. 4—5; შესკ.—1—2; ბილ. 16—17; ვაჟიშვილი—ხამ.—7, 14, 116, 165.

მხედრები: რედუმი—26, 30, 32, 34—35; მხედართა უფროსები—33—34; ამოგდებული კაცია—33; მხედრების საკუთრება—39, 71; მხედართა ტყვეობა—27—28, 32, 133—135; ბილ. 29; მხედართა უფლების დაცვა—34, 133, 135; ბილ. 29; სამხედრო დანაშაული—26, 33—34.

ნალითუმი: 40, 110, 178, 179, 180; ლიფ. 22.

ნაონობა: 235—240; ბილ. 4—6.

ნარდი: ნარდად მუშაობა—228—236, 240.

ორდალი: 2, 132.

პატიება: 129.

პროცენტი: ბილ. 18.

პროცესი: 5; სარჩელი—5, 12, 150, 177, 279; ბილ. 30; პრეტენზია—115, 123, 250; ბრალდება—112—113, 124, 126, 132—133, 142, 194, 255, 265, 282; ტყუილი ან დაუდასტურებელი ბრალდება—1—4, 13, 127, 131—132; ფიცით ჩვენება—1, 99, 106, 120, 126, 131, 240, 249, 281; მოწმეები—3—4, 7, 9—11, 13, 96, 107, 122—124; დაკავება—151; დოკუმენტი და მისი ფორმა—5, 7, 37, 47, 48, 52, 66, 93, 104—105, 122—123, 128, 150—151, 165, 171, 177—179, 182—183, 253; ბილ. 27—28; ლიფ. 11; ფორმულები, სიმბოლოები, ეესტები—20, 23, 103, 206—207, 227, 266; შკფ. 7; ბილ. 22, 37; თვითგასამართლება (თვითგასწორება)—21, 25, 129.

რაბიანუმი: 23—24.

რედუმი: 26—32, 34—39, 41.

- საკუთრება: მეფისა—6, 8; ბილ. 34, 35; ტაძრისა—6—8; კერძო—34, 39—40, 71, 138, 142, 156, 172, 176—178; ბილ. 22, 23, 36—37; ლიფ. 9—11.
- სასამართლო: 142, 144, 168—169, 179; სასამართლო საქმე—3—5, 12—13, 118, 142, 165, 169, 185, 187—188; ბილ. 48, 50; მოსამართლენი—5, 9, 13, 127, 177; ლიფ. 30; მეფის სასამართლო—18, 109, 129; ბილ. 48, 50, 58.
- სასჯელები: სიკვდილით დასჯა—სახელმწიფო დანაშაულისათვის—26, 33, 34, 110; მკვლელობისათვის—ბილ. 24; დანაშაულისათვის საკუთრების წინააღმდეგ—6, 11, 19, 21—22, 25, 108, 155, 157, 227, 230, 256; ბილ. 12—13; ქურდობაში თანამონაწილეობისათვის—6; დაფარვისათვის—16, 19, 109; ბავშვების მოტაცებისათვის—14; დანაშაულისათვის ოჯახის წინააღმდეგ—129—130, 133, 143, 153, 155, 157; შსკ. 5; ბილ. 26; ტყუილი ბრალდებისათვის—1—3, 11; გამაწბილებელი—127, 146; შსკ. 1—2; სხეულგბრივი—199, 202, 213—214, 219—220; დამასახიჩრებელი—192—195, 205, 226, 253; გაძევება თემიდან—154; ოჯახიდან—158, 168—169; შკფ. 4—5; შსკ. 2—4; ქონების ჩამორთმევა—2—26; ტალიონი—116, 196—197, 200, 210, 218, 229—230; ტალიონის გადმონაშთები—219, 231, 245—246, 263; სიმბოლური სასჯელი (ტალიონი?)—21, 25, 192—195, 208—218; კომპოზიცია—5, 59; ბილ. 6, 12—13, 22—23, 31, 35—36, 42—47, 49, 54—57; ლიფ. 9—10, 12—13; ქურდობისათვის—9, 12, 23, 259—260, 265; პირუტყვისათვის—8; მითვისებისათვის—106, 112, 120, 124; მრუშობისათვის—156; მუცლის მოშლისათვის—შკფ. 1—2; ტყუილი ბრალდებისათვის—126; თავისუფალის მოკვლისათვის—24, 207—208, 210, 212, 214; მონის მოკვლისათვის—213—214; თავისუფალის დაზიანებისათვის—195—201, 206; მონის დაზიანებისათვის—199, 213, 220; მოქმედებით შეურაცხყოფისათვის—203—208; კოლექტიური პასუხისმგებლობა—23—24; თვითნებობა—66, 113.
- სესხი: 91, 93, 99; ნატურით—89—90, 92, 94—96, 111; ბილ. 19—20; ფულით—49—51, 89—90, 92, 94—96; ბილ. 21; პირობები—48, 49, 95, 99; პროცენტი—49—51, 66, 89—95; ბილ. 18, 20—21; სესხის შეზღუდვა—ბილ. 16.

ტარიფი: ქირისა—273; ბილ. 4, 11; სოფ. მეურ. მუშაკებისა—258, 261, 271; ბილ. 3, 7—10; ხელოსნებისა—274; მეხომალდისა—239; ბილ. 4; ნივთის ქირავნობისა და სარგებლობისათვის—121, 271—272, 275—277; ბილ. 3—4; პირუტყვის დაქირავებისათვის—242—243, 268—271; ბილ. 3, 10; მომსახურეობისათვის—215—217, 221—224, 228, 234; ბილ. 32; სესხზე პროცენტისათვის—89—91, 111, ბილ. 20—21; პირუტყვის ფასებისა—108; ბილ. 1—2, 41;

ტაძარი: 32.

ქალი: ქვრივი—171—172, 177; ქურუმი ქალი—178—181; მეძავი—108—109, 111, 181; ლიფ. 27, 30; ქურუმ ქალთა პრივილეგიები—110, 127, 137, 144—146, 178—182, 187, 192—193.

ქალიშთუმი: ლიფ. 22.

ქირავნობა: ქონებისა—78, 121, 236—238, 271—272, 275—277; შკფ. 3; ლიფ. 34—38; პირუტყვისა—242—249, 268—272; ლიფ. 34—38; აღამიანისა—26, 33, 100—101, 215—237, 239, 253—254, 257—261, 263, 271, 273—274; ბილ. 9; ლიფ. 34; შსკ. 7 (მონისა);

ქმარი: ქმრის უფლებები—135, 141; ქმრის დანაშაული—142; ქმრის მოვალეობა—ლიფ. 28, 30.

ქორწინება: პირობები—128; შკფ. 6; ბილ. 27—28; მეორე ქორწინება—134—137, 172—174; საქორწინო ხელშეკრულება—128, 159; საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა ცოლის მიერ—133; სასიძოს მიერ—159; ბილ. 59; ლიფ. 28, 30; სასიძოს მამის მიერ—156; საპატარძლოს მამის მიერ—160—161; ბილ. 25; ლიფ. 29; ქორწინება და თანაცხოვრება თავისუფალი კაცისა მხევალთან—144, 146—147; ბილ. 31; ლიფ. 25—26; მონისა თავისუფალ ქალთან—175—176; დაქორწინება ქვრივზე—173, 177; ქორწინების ბათილობა—128; ბილ. 27; საქორწინო გამოსასყიდი—138, 159—161, 166; ბილ. 17—18, 25—26; ლიფ. 29—32; საქორწინო გამოსასყიდის დაბრუნება—163—164; საქორწინო საჩუქარი—159—161; განქორწინება ქმრის სურვილით—137—141; ლიფ. 30; ცოლის სურვილით—134—136, 142; ბილ. 30; ქმრის ბრალით—142; შსკ. 6; ცოლის ბრალით—141; შსკ. 5; განქორწინებული ცოლის უზრუნველყოფა—137—141; ლიფ. 30; განქორწინების აკრძალვა—

148; ბილ. 59; ლიფ. 28, 30: დაქორწინება მეძავ ქალზე—
ლიფ. 27, 30;

უიღვა-გაყიდვა: უძრავი ქონებისა—ბილ. 38—39; ხამ: 40, 71;
მოდრავი ქონებისა—ხამ. 7, 9—11; მონებისა—ბილ. 40;
ხამ. 9, 147, 278—281; ყიდვა-გაყიდვის ბათილობა—35—
38, 71, 177.

შამალუმი: 100—107.

შვილება: შვილად ამყვანის უფლებები—170, 185, 187—188; მისი
მოვალეობანი: 189—190; შვილად აყვანილის უფლებები—
170, 186, 191; შვილად აყვანის გაფორმება 170; საჭურისის
ან ზიქრუმის მიერ შვილად აყვანა—187, 192—193; ხე-
ლოსნის მიერ შვილად აყვანა—188—189; შვილად აყვანა,
როგორც ექსპლოატაციის ფორმა—190—191.

ჩუქება: 34—35, 38, 39, 150, 165; ლიფ. 15.

კოლი: 127—153, 161—163, 166—167; ლიფ. 21, 25—30; ცო-
ლის უფლებები—134—136, 146, 148; ბილ. 59: მოვალეო-
ბა და პასუხისმგებლობა—133, 135, 141; ცოლის და-
ნაშაულობანი—129, 133, 141, 143, 153; მეორე ცოლი—
141, 148, 167; ლიფ. 24, 28; მეორედ გათხოვება—133—
136, 172—174, 177; ქურუმისა—137, 144—146; ხასა (მე-
ორე თანრიგის ცოლი)—137, 145; მხევალი—137, 144,
146—147; ლიფ. 25—26.

წანახელი: 57—58.

ხელოსნები: 188—189, 274.

საქიპეაღლი ასიკრიის კანონებისა

ადადი: I, 18.

ანგარიშსწორება: აფულადი ანგარიშსწორება—ასკწ, II.

ბეგარა: სამწედრო ბეგარა—III, 45.

გირავნობა: ქონებისა—II, 4, 9; III, 6; ადამიანისა—II, 2—3; III—39—48; ვადაგასული გირაო—II, 8; III, 44, 48; გირაოს შენახვა—II, 10; გირაოს შეზღუდვა და გამოსყიდვა—II, 2—4; III, 6, 39, 48; გირაოს გაყიდვა—II, 2—5; III, 44;

დანაშაულობანი: ღალატი—I, 3; ხელისუფლების გინება—III, 2; IX, 1—2; ღეთის გმობა—III, 2; IX, 1—2; ჯადოსნობა—III, 47; მკვლელობა—I, 2; III, 10, 21, 50—53; სხეულის დაზიანება—III, 21; გაუფრთხილებლობით—III, 8; შეურაცხყოფა—III, 7, 9; ცრუ ფიცი—III, 18—19; ცილისწამება—III, 17—19; საკუთრებისა და მფლობელობის დარღვევა—I, 7—10, 13—15, 19; ოჯახის წინააღმდეგ—III, 13—16, 22, 56; გაუპატიურება—III, 12—16, 23, 55; მუცლის მოშლა—III, 21, 50—53; სიძვისათვის შუამავლობა—III, 23; მამათმავლობა—III, 20; მაქანკლობა—III, 23—24; გათხოვილი ქალის მოტაცება—III, 22; ქალის მიერ თავდასხურვის წესის დარღვევა—III, 40; ქურდობა—II, 9; III, 1, 3—5; თაღლითობა და ნდობის ბოროტად გამოყენება—I, 11—12; ცოლის გაქცევა—III, 24; მკრეხელობა—III, 1; განუცხადებლობა—III, 40; თვითნებობა—I, 8—10, 20; ხელისუფლების გადამეტება—ასკწ. II; მძევლას (დაგირავებული ადამიანის) გაყიდვა—II, 3.

ეპონიმი: ეპონიმი საგიუ—III, 59; კოლოთონი.

ვალდებულება: წარმოშობილი ხელშეკრულების დარღვევიდან—II, 10—11.

ვაპარი: ასკწ. II.

თემი: ტერიტორიული თემის საკუთრება—I, 6—18; III, 45; დიდ საოჯახო თემი—I, 1, 9; III, 3; გაუყოფელი ძმები—I, 2—5; III, 25.

თვითგასამართლება: I, 2; III, 3—5, 10, 14—16, 22—24, 56; კოლონია: კოლონიის წესდება, კოლონიის ხალხი, კოლონიის საბჭო, კოლონიის კრება, კოლონიის მწერავი, კოლონიის «პატარა» და «დიდი» ადამიანები—ასწკ. I—II.

მევახშეობა: II, 2—8, 11—12;

მეზობელი: I, 8—9, 12, 19.

მემკვიდრეობა: შვილებისა I, 1; III, 26, 29; მეძავის შვილებისა—III, 49; ხასის შვილებისა—III, 41; ქვრივი ქალის ვაჟი-შვილისა—III, 28; ძმის სამემკვიდრეო წილი—I, 1—4; III, 25, 49; ცოლის სამემკვიდრეო წილი—III, 25.

მეფე: I, 3, 6; II, 9, 11; III, 11, 15, 36, 45, 47; მეფის სასახლე—III, 40, 45; მეფის გვარეულობა: უფლისწული—III, 47; მეფის მსახურნი და მოხელეები: ზედამედველნი—I, 6; მეფის მრჩეველნი—I, 6; ქალაქის მწერავი—I, 6; შულტა (ქადაგი)—I, 6.

მზითვეი: III, 29; მზითვეის მემკვიდრეობა—III, 29.

მინაბარი: II, 10—11.

მოვალე: III, 47; მოვალის ქალიშვილი—III, 47.

მონები: უუფლებობა—III, 4. 40; მონის ურჩობა—III, 40; სავალო მონობა—II, 3, 8; III, 39, 44, 48.

მორწყვა: I, 10—13, 17—18.

მფლობელობა: მებეგრე მხედრებისა—III, 45; მეფის მებეგრე მსახურთა—III, 45; ცოლისა—25—27, 29, 32, 38; II, 2—4; III, 39.

მშობლები: მშობელთა უფლებები—I, 2; ვაჟიშვილის მოვალეობანი—III, 46; ქალიშვილი—II, 2—3; III, 1—2, 21, 40, 47, 55.

მხედრები: III, 45; მადართა ტყვეობა—III, 36, 45; საბეგრო ნაკვეთის გამოსყიდვა—III, 45.

მხევალი: III, 4, 40.

ორაკული: III, 1; «მევედროს ღმერთს. რასაც იგი ბრძანებს, უნდა აღსრულდეს».

ორდალი: III, 17, 22, 24—25.

პატიება: (შეწყნარება)—I, 2; III, 4, 10, 14—15, 24.

- პროცესა:** I, 6; III, 47, 57—58; სარჩელი—I, 6—7; III, 39; ტყუილი ან დაუდასტურებელი ბრალდება—III, 1, 3, 20, 21, 25, 36, 40, 47, 53; ფიცით ჩვენება—I, 4, 8—9, 13—14, 19—20; II, 1, 6, 9, 11, 12, 14, 15, 16; III, 1, 3, 5, 20—22, 25, 36, 40, 47, 53, 56; მოწმეები—II, 6; III, 47; დოკუმენტი და მისი ფორმა—I, 6, 11, 17—18; III, 28, 39, 45, 47, 57—59; ფორმულები, სიმბოლოები, წესტები—I, 10, 19; II, 1; III, 1, 47; სასამართლო ბქობა—ასკწ. I—II.
- ხაკუთრება:** თემური—I, 8—10, 17—19; II, 9; III, 45; მეფისა—III, 45; ტაძრისა—III, 1; კერძო—II, 4.
- ხარჩო:** ქვრივი ქალისა—III, 27, 38;
- ხასამართლო:** მეფის სასამართლო—I, 3; II, 9, 11; III, 15, 40, 47; მოსამართლენი—I, 6; 17—18; II, 9; III, 15; ორაკულის სასამართლო—III, 1; სასამართლო ბქობა—ასკწ. I—II.
- ხასჯელები:** სიკვდილით დასჯა—III, 3, 10, 12, 13, 15, 23, 47, 52—53; სხეულებრივი—I, 7—10, 14—15, 18; II, 2—3, 9, 12; III, 7, 18, 19, 21, 40, 52; დამასახიჩრებელი—I, 8; III, 4—5, 8—9, 15, 20, 24, 40, 58; სამეფო სამუშაო, როგორც სასჯელი—I, 7—10, 14—15, 18; II, 2, 3, 9; III, 18—19, 21, 40; გაძევება—I, 19; ქონების ჩამორთპევა I, 2, 3; ტალიონი—I, 2; III, 20, 50, 55; დამნაშავეის გადაცემა დაზარალებულის პატრონზე—I, 2; III, 10; კომპოზიცია—I, 7—10, 12—15, 19; II, 9; III, 7, 18—19, 21, 22, 24, 55, 56; ასკწ. II; შურისძიება—III, 15, 20, 55; დასაჭურისება—15, 20; გამაწბილებელი სასჯელები: თავზე ფისის გადასხმა, ყურების გახვრეტა და ხეზის გაყრა—III, 40.
- ხესხი:**—I, 11.
- ქალი:** უფლებაუნარიანობა—III, 7; ქვრივი ქალი—III, 33—35, 40, 45; ქურუმი ქალი—III, 40; მეძავი ქალი—III, 40, 49, 52.
- ქმარი:** ქმრის უფლება—III, 36, 45, 57—58.
- ქორწინება:** პირობები—III, 34—35, 41—43; საქორწინო ხელშეკრულება—III, 30—31, 34; საქორწინო ხელშეკრულების დარღვევა ცოლის მიერ—III, 36; განქორწინება ქმრის სურვილით—III, 37; დაქორწინება ქვრივზე—III, 34—35;

დაქორწინება დედინაცვალზე—III, 46; ლევირატული მავალი ირთავს უშვილო ქერივ რძალს) ქორწინება—III, 33, 43; სასიძოსა და საპატარძლოს შეცვლა—III, 30—31, 34—35; საქორწინო წესი—III, 41—43; საქორწინო გამოსასყიდი—III, 30—31, 43; გამოსასყიდის დაბრუნება—III, 30—31, 43.

ქურუმი: III, 58.

ყიდვა-გაყიდვა: უძრავი ქონებისა—I, 6; მოძრავი ქონებისა—II, 5 მონებისა—II, 1, 3.

შემლოცველი: III, 47—«შემლოცველმა უნდა ათქმევინოს მნახველსა შვილებსა: III, 28—«ტაბულა შვილად აყვანის შესახება».

ცოლი: II, 2—3; III, 1—6, 21—40; ცოლის დანაშაული—III, 1—5, 24; ცოლის დასჯა—III, 4—5, 24, 57—59; დამნაშავე ცოლის გამოსყიდვა—III, 5, 24; ცოლის მოვალეობა და პასუხისმგებლობა—III, 32, 36, 55; მეორე ცოლი—III, 30—33, 55; მეორედ გათხოვება—III, 30, 33—36, 45; ცოლის გაქცევა—III, 24.

ხასა: III, 41—«ხასა, რომელსაც არ ეხურა ლეჩაქი მამაკაცების წინაშე, ცოლი არ არის, იგი მხოლოდ ხასაა».

ჯადო: ჯადოს დამამზადებელი—III, 47; ჯადოს მნახველი—III, 47; ჯადოს გამგონი—III, 47; ჯადოს შემლოცველი—III, 47.

საქიპელო ხეთაგის კანონებისა

ანაზლაურება: მიყენებული ზიანისა—I, 25, 72—79, 84, 86—89; II, 105—107, 113, 144, 196; III, 34; ქირაენობის ხელშეკრულების დარღვევისათვის—II, 146—148; საქორწინო გამოსასყიდისა—I, 28—29; «შიმშილობის წელიწადს სი-
ცოცხლის შენარჩუნებისათვის»—II, 172.

აჯანყება: ტელეფინის კანონი—7, 21, 25.

ბეგარა: სამხედრო—სახანი—I, 39—41, 50—52, 54—55, II, 112; III, 30—31, 37—48; არასამხედრო ბეგარა—«ლუცია»—
46—47; 50—52, 54—56; III, 35, 38—40; ბეგარავალდე-
ბულნი და თავისუფალნი—I, 50—56.

გაცვლა-გამოცვლა: II, 185—186.

დანაშაულობანი: მკვლელობა—I, 1—6, 17—18, 43—44; II, 174; III, 2—4; სხეულის დაზიანება—I, 7—18, III, 5—16; გა-
უფრთხილებლობით III, 2—3, 5—6; დამნაშავეთა შეთქ-
მულება—109; სასამართლო გადაწყვეტილების მოსპობა—
II, 173; შითვისება—I, 78, 80, 86; აღამიანის მოტაცება—
I, 19—21; საკუთრების უფლების დარღვევა—II, 166—169;
გაუპატიურება—II, 197—198; სისხლის აღრევა—II, 189—
191, 195; სოდომია (პირუტყვთნავლობა)—«უკეთუ კაცი
შესცოდებს პირუტყვთან»—II, 187—188, 199—200; ჯა-
დოსნობა—I, 9—10, 44; II, 111, 170; III, 8; ტელეფ.—
50; მუცლის მოშლა—III, 16—17; ცეცხლის წაკიდება—I,
98—100; II, 105—106; ქურდობა—I, 57—59, 63—65,
67—70, 78, 80—83, 85, 91—97; II—101—103; 119—
143, 149; ქურდობის მცდელობა—I, 39; წყალსატევის გა-
კუჭყიანება—I—25; პირუტყვზე დაღის მოცლა—I, 61—62;
თვითნებობა—II; 104, 162, 164—168; სისხლის აღრევა
—II, 189—191 სახელმწიფო დანაშ: მეფის ან უფლისწუ-
ლის მკვლელობა—ტელეფ. 7, 11, 18, 19, 21—22; აჯან-
ყება—7, 21, 25.

ვალი: (სესხი)—I, 38, 48; II—111, 119. 151--152; ფულისა—I, 49—51, 66, 89—90, 93—96, 113—117; ნატურით—48, 89, 94—96, 111, 113—117.

ვალდებულება: ხელშეკრულების დარღვევიდან—II, 146—148.

ვაჭარი: I, 5; III, 3.

ზარალი: აუნაზლაურებელი ზარალი—I, 90.

ზიანი: ზიანის მიყენება—I, 25, 72—77, 87—89; II, 107, 162.

თამქარი: თამქარი როგორც ვაჭარი—I, 5; III, 3.

თემი: ტერიტორიული თემის საკუთრება—I, 47; უხუცესები—I, 71; საოჯახო თემი—I, 46.

თვითგასამართლება: II, 197—198: ტელეფ. 49.

ივარუ—დიდი საოჯახო მიწის ფონდი—I, 27, 46; III, 38.

მეზობელი: II, 107, 163.

მემკვიდრეობა: «სამემკვიდრეო წილის კაცია»—I, 50, 51—53; II, 192; მზითვეის მემკვიდრეობა—I, 27: ტახტის მემკვიდრეობა—ტელეფ. 28—29.

მეფე: ტელეფ.—1, 5, 8, 12, 19—20, 22, 25—31, 49; ტახტის მემკვიდრეობა—28—29: მეფის გვარეულობის წევრები—1, 4, 8, 10, 21, 23, 27. 29—31; დედოფალი—10, 27: უფლისწული—1, 3—4, 7--8, 18—19, 22, 27—29, 31—33; მეფის მსახურნი და ნობელები: მეშედი—21, 32—33: ოქროს შუბის კაცია—21; ოქროს მებაჯრენი—33; მესასმისეთუხუცესი 25; მესკიპტრეთუხუცესი—25; მესასმისენი—10. 33; მესუფრენი—33; მეპურენი—33; მესკიპტრენი—33; სასახლის შეილები—32—33; სახლის მეთაურნი—32—33; მთავარი მევენახე—32—33; საველე ათასისთავი—25—33: salaslijas—33; მეფის საკუთრება—20, 31—32; მეფის ან უფლისწულის მკვლელობა—7, 11, 19, 21—22; მეფის საჩუქარი—I, 47, 48, 53; III, 36, 39; მეფის სასახლე—I, 9, 25, 41.

მზითვეი: I, 27; მზითვეის მემკვიდრეობა—I, 27.

მონა: მონად გახდომა—I, 35; II, 175; მონისა და მხეველის შვილები—I, 31—33; მონის პეკული—I, 59, 93, 95, 97; მონის მოკლა—I, 2, 4. 18; III, 2: სხეულებრივი სასჯელები მონის მიმართ—I, 8. 12, 14, 16; III, 6—7, 9, 11, 13, 15, 17; გაქცეული მონის დაფარვა—I, 22—24; მონის მობარვა—20—21; სასახლის მონა I, 52; სავალო მონობა—172; მონების აჯანყება—II, 173, ტელეფ.—7.

მორწყვა: II, 162.

მოკრა: (ხეილისა)—II, 104.

მფლობელობა: მებეგრე მხედრებისა—I, 39—41, 46—47, 51—55; II, 112; III, 30—31, 37—38; მეფის მსახურთა—I, 46—48; III, 36, 38—40; ოჯახისა—I, 46; III, 38.

მხედრები: I, 39—42, 52—54; მშვილდოსნები—I, 54; აბჯროსნები—I, 54; ხუროები—I, 54; karuhalimes—I, 54; მხედარი და მისი სამემკვიდრო წილის კაცია—I, 53; მხედართა ტყვეობა—I, 40; ტელეფ.—1, 5, 8, 30; მხედართა უფროსი—25, 33; მხედართა ტყვეობა—9.

მხევალი: I, 2, 4, 8, 12, 14, 16, 18, 31—34, 93, 95, 99; II, 170, 175, 194, 196.

პოვნა: ნიეთისა—I, 45; III, 35; პირუტყვისა—I, 60—62, 66, 71, 79; III, 35.

პრივილეგია: მხედართა პრივილეგიები—I, 54—55.

პროცესი: III, 35.

საბუთები: დამამტკიცებელი საბუთები—ფიცი I, 75; ფორმულები, სიმბოლოები, ფესტები—II, 171; III, 34.

საკუთრება: ტერიტორიული თემისა—I, 47; მეფისა—ტელეფ.—20, 31—32.

სამუშაო: ნარდი სამუშაო.—I, 160—161

სასამართლო: მეფის სასამართლო—I, 44; II, 102, 111, 176, 187—188, 198—199.

სასჯელები: სიკვდილით დასჯა—I, 92; II, 125, 166; 170, 173 187—188, 197—199; ტელეფ.—31; სხეულგბრივი—II, 1; დამასახიზრებელი—I, 99; გამაწბილებელი—II, 121; თავისუფლების აღკვეთა—I, 49; კომპოზიცია ზიანის მიყენებისათვის—I, 74, 77, 84, 87—89, II—167; ქურდობისათვის—I, 57—70, 81—83, 85, 91—97; II—101—110, 112—113, 119—132, 142—144, 149, 164—168; III—35—41; მონის მოტაცებისათვის—I, 20; თავისუფალის მოტაცებისათვის—I, 19, 37; ცეცხლის წაკიდებისათვის—I, 98—100; ჯადოსნობისათვის—I, 9—10; II, 170; III, 8; შითვისებისათვის—I, 78; მკვლელობისათვის—I, 1, 3, 5, 17—18, 43; II, 174; III, 3, 4, 16; მონის მოკვლისათვის—I, 2, 4, 18; III, 2, 17; თავისუფალი ადამიანის დაზიანებისათვის—III, 5—10; მონის დაზიანებისათვის—I, 8, 12, 14,

16; III, 6, 8, 9, 11—17; დანაშაულის სახლის დანგრევა — II, 173; დანაშაულის გადაცემა დაზარალებულის ოჯახზე— I, 43—44; ოჯახიდან გაძევების სიმბოლიური აქტი—171; დანაშაულის წყალსატევში გადაგდება—II, 173; დანაშაულის გაყიდვა—II, 176.

სისხლი: «სისხლის ღვრა»— ტელეფ.—7, 11; «სისხლის ჩანორცება» —19—20; «სისხლის საქმეა»—30, 49.

ტარიფი: სოფ. მეურ. მუშაკებისა—I, 42; II, 150, 158; ხელოსნებისა—160—161; ნივთის ქირავნობისა და სარგებლობისათვის—II, 145, 157; პირუტყვის დაქირავებისათვის—II, 151—152, 159; მომსახურებისათვის—II, 160—161; III, 9; პროფესიის მქონე ადამიანის ფასი—II, 176-ა, 177, 200; პირუტყვის ფასი—178—181; ქსოვილის ფასი—II, 182; ვენახის ფასი—II, 185; ხორცის ფასი—II, 186; ტყავის ფასი—II, 185.

ტახტი: ტახტის მემკვიდრეობა—ტელეფ. 28—29.

ტყვე: სახელმწიფო მონები—I, 40, 48—49; III, 40—41.

პანკუსი: (pankus)—საბჭო, კრება, ხალხი—ტელეფ. 26—27, 30—31, 33.

ქალი: მეძავი ქალი—II, 194.

ქირავნობა: ქონებისა—II, 145—146, 157, 160—161; პირუტყვისა—III, 148, 151—152, 159; ადამიანისა—I, 42; II, 147, 148, 150—159.

ქორწინება: პირობები—I, 27; საქორწინო ხელშეკრულება—I, 28; ხელშეკრულების დარღვევა ქმრის მიერ—I, 30; სასიძოს მიერ—I, 30; საპატარძლოს მიერ—I, 28; საპატარძლოს მამის მიერ—I, 28, 29; საპატარძლოს მოტაცება—I, 28, 35, 37; ქორწინება და თანაცხოვრება თავისუფალი კაცისა მხვეალთან—I, 31, 36; მონისა თავისუფალ ქალთან—I, 32, 34—35; II, 175; მონისა მხვეალთან—I, 33; II, 196(?) ლევირატული ქორწინება (უშვილო ქვრივ რძალს ირთავს მახლი)—II, 193; ქორწინების ბათილობა—I, 28, 34—35; საქორწინო გამოსასყიდი—I, 28—30, 34, 36; საქორწინო გამოსასყიდის დაბრუნება—I, 28—29; განქორწინება (ქმრის სურვილით)—I, 31, 33.

ქურუმი: პრივილეგიები—I, 50, 51; II, 200; ტელეფ.—27.

ყიდვა-გაყიდვა: უძრავი ქონებისა—I, 47—48, III, 37, 39; მონებისა—II, 149, 176-ა, 177, 186, 200.

შემოქმედანი

- ასკწ.—ასირიის სავაქრო კოლონიის წესდება
ბილ.—ეშნუნის მეფის ბილალამის კანონები
ლიფ.—ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები
კრბ.—ახალბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული
ტელეფ.—ხეტების მეფის ტელეფინის კანონი
შაკ.—შუა ასირიის კანონები
შკფ.—შუმერული კანონების ფრაგმენტი
შსკ.—შუმერული საოჯახო კანონები
ხამ.—ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები
ხეთ.—ხეტების კანონები
-

ძირითადი ლიტერატურა

- К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения. т. IX, стр. 346—352; т. XIV, стр. 451; т. XVI, ч. I, стр. 287, 391; т. XXI, стр. 482, 487, 490, 493 — 494, 500—501.
- К. Маркс, *Формы, предшествующие капиталистическому производству*. Госполитиздат, 1940 г.
- ვ. ო. ლეონიძე, *თხზულებანი*, ტ. 29, გვ. 559. ✓
- Авдиев В. И., *История древнего Востока*, 1953.
- Буэескул В. П., *Открытие XIX и начала XX века в области истории древнего мира*, вып. I. Восток, 1923 г.
- Вохков И. М., *Законы вавилонского царя Хаммураби*, 1914 г.
- Всемирная история*, т. I, 1956 г.
- Древний мир в памятниках его письменности*, ч. I, Восток, 1915 г.
- Дьяконов И. М., *Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства*, «Вестник древней истории» № 3 и № 4, 1952 г.
- „ „ *Muškenum и повинностное землевладение на царской земле при Хаммураби*, 1956 (ცალკე ამბახეჭდი).
- „ „ *Развитие земельных отношений в Ассирии*, 1949 г.
- История государства и права (учебник)* т. I, 1949.
- Кечекьян С. Ф., *Всеобщая история государства и права*, ч. I, 1944 г. |
- Контоно Ж., Захаров А., *Хетты и хеттская культура*, 1924 г.
- Липин Л. А., *Древнейшие законы Месопотамии*, «Палестинский сборник», вып. 1 (63), 1954 г.
- „ *Из истории социальных отношений в Ассирии*, «Палестинский сборник», № 3 (65), 1953.
- Меликишвили Г. А., *Наири-Урарту*, Тбилиси, 1954 г.
- „ „ *К истории древней Грузии*, Тбилиси, 1959 г.
- Никольский И. М., *Частное землевладение и частное землепользование в Двуречье*, Минск, 1948 г.
- Рифтин А. П., *Старо-вавилонские документы в собраниях СССР*, 1937 г.
- Струве В. В., *История древнего Востока*, 1941 г.
- „ „ *Работство в древнейшем Сумире*, «Известия ГАНМК», вып. 97, 1934 г.
- Тураев В. А., *История древнего Востока*, т. I, 1936 г.

Тюменев А. П., Государственное хозяйство древнего Шумера, 1956 г.
Хрестоматия по истории древнего мира, т. I, 1950 г.
Cruveilhier, Introduction au Code d'Hammourabi, Paris, 1947.
Cruveilhier, Commentaire du Code d'Hammourabi, Paris, 1938 (ტექსტი, თარგმანი და კომენტარები).

Cuq, Études sur le droit babylonien, Paris, 1929.

David, Die Adoption im altbabylonischen Recht.

Driver and Miles, The Babylonian Laws, I—II, Oxford, 1956 (ტექსტი, თარგმანი და კომენტარები).

Driver and Miles, The Assyrian Laws, Oxford, 1935 (ტექსტი, თარგმანი და კომენტარები).

Eilers, Die Gesetzesstele Hammurabis, «Der AO», XXXI, 3—4, 1931.

Goetze, The Laws of Eshnunna, «Sumer», IV, 1948.

Kohler, Peiser, Ungnad, Hammurabi's Gesetz, I—II, 1904—1909, (ტექსტი თარგმანი და კომენტარები).

Kohler, Das Recht der orientalischen Völker («Allgemeine Rechtsgeschichte von J. Kohler und L. Wenger», 1914).

Kook, The Laws of Moses and the Code of Hammurabi, London, 1903.

Koschaker, Rechtsvergleichende Studien zur Gesetzgebung Hammurabis, Leipzig, 1917.

Koschaker, Babilonisch—assyrisches Bürgerschaftsrecht.

Lautner, Die richterliche Entscheidung und die Streibeendigung im altbabylonischen Prozessrecht.

Meissner, Beiträge zum altbabylonischen Privatrecht.

Pritchard, Ancient Near Eastern Texts, 1950 (ხეთების კანონები თარგმანილი ა. გოუცეს მიერ).

Steele, The Code of Lipit-Ishtar, AJA, LII, 3 (1948).

Walther, Das altbabylonische Gerichtswesen.

ს. ფ. კეჩეკიანი, სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაკვ. I, თბილისი 1946 წ.

ვ. ვ. სტრუკე, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1945 წ.

„ „ ძველი აღმოსავლეთის ისტორია, მოკლე კურსი, თბილისი, 1941 წ.

გ. მელიქიშვილი, ურარტუ (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართული ხალხის წინაპრების ისტორიიდან), თბილისი, 1951 წ.

საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), თბილისი, 1959 წ., გვ. 5—57.

ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, თბილისი, 1934 წ. (პროფ. ალ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით).

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	03—05
ძველბაბილონური სამართლის წყაროები და სისტემა	07—050
I. სამართლის წყაროები აღათი 07—011. კანონმდებლობა 011—026. მეფის განაწესი 026—028. მეფეთა წერილები 028. კერძოუფლებრივი დოკუმენტები 028—030. სასამართლო პრაქტიკა 031—032. სასწავლო ტექსტები 032—036.	07—036
II. ძველბაბილონური სამართლის სისტემა	036—050
ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა	051—080
აველუმი 051—054. მუშქენუმი 054—061. ქურუმებდ 061—063. თამქარი 064—066. ვარდუმი 066—077. მხედრები 077—080.	
სოფლის და მემკვიდრეობის სამართალი	081—0106
I. სოფლის სამართალი ქორწინება 081—087. განქორწინება 087—090. მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობა 090—092. შშობლებისა და შვილების ურთიერთობა 092—097.	081—097
II. მემკვიდრეობის სამართალი	097—0106
დანაშაული და სსჯელი	0107—0144
I. სასჯელები სიკვდილით დასჯა 0111—0114. ცეცხლში დაწვა 0114. წყალში დახრჩობა 0114—0115. სარზე ჩამოცმა 0115—0116. გაგლეჯა 0116—0117. გამაწბილებელი სასჯელები 0117—0118. დამასახიჩრებელი	0107—0126

სასჯელები 0118—0119. სხეულებრივი სასჯელები 0119. კომპოზიცია 0119—0123. ქონების კონფისკაცია 0123—0124. გაძევება 0124. თანაშემწეობის დაკავების აკრძალვა 0124—0126.	
II. დანაშაულნი	0126—0144
სასამართლო და პროცესი	0145—0163
I. სასამართლო წუობილება	0145—0152
კოლეგიური სასამართლო 0146—0148. მეფის მოსამართლენი 0148—0149. სატაძრო სასამართლოები 0149—0150. უზენაესი სასამართლო 0150—0152.	
II. პროცესი	0152—0163

* * *

ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

1—129

ტ ე ქ ს ტ ი ს ა თ ვ ი ს

3—5

ბაბილონის კანონები

7—67

შემერული კანონების ფრაგმენტი 9—10. შემერული საოჯახო კანონები 10. ეშენის მეფის ბილალამის კანონები 11—17. ისინის მეფის „ლიფიტ-იშთარის კანონები 18—23. ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები 24—64. ახალ-ბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული 65—67.

ასირიის კანონები

69—95

ასირიის სავაჭრო კოლონიის წესდება 71—72. შუა ასირიის კანონები 73—93. ფრაგმენტი IX 94.

ხეთების კანონები

95—131

კანონი ტახტის მემკვიდრეობის წესისა და უმნიშვნელოვანეს დანაშაულობათა შესახებ, მიღებული მეფე ტელეფინის მიერ ხეთების სამეფოს სათათბირო კრებაზე 97—101. ხეთების კანონთა პირველი ტაბულა 102—114. ხეთების კანონთა მეორე ტაბულა 115—125. ხეთების კანონთა მესამე ტაბულა 126—129.

წონისა და ფულის ერთეულები 130.

ხაწუავი ერთეულები 130.

ფართობის ერთეულები 130.

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები 131.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი	132—142
საძიებელი ბაბილონის კანონებისა	143—149
საძიებელი ასირიის კანონებისა	150—153
საძიებელი ხეთების კანონებისა	154—157
შემოკლებანი	158
ძირითადი ლიტერატურა	159—160

—

Долидзе Исидор Самсонович

Древневосточное право

(На грузинском языке)

Изд-во ТГУ им. Сталина
Тбилиси — 1960

*

კორექტორი ე. ტაბუცაძე
კონტროლიორ-კორექტორი ლ. გამცემლიძე

შეკვეთის № 1474.

უფ 03310.

ტირაჟი 2000.

გადაეცა წარმოებას 1·/VII-58 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VI-60 წ.
ანაწყოების ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×92. საბეჭდი თაბახი 20,5.
სააღრიცხველ-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 16,7.

შპსი 11 შპს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси,
проспект И. Чавчавадзе, 1.